



კულტურათა გზაჯვარედინი

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები
XIX-XX საუკუნეებში





კულტურათა ბზაჯვარედინი

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში

დამხმარე სახელმძღვანელო



გამოცემა დააფინანსა ევროკავშირმა პროგრამის „ინვესტირება ადამიანებში“ (განვითარების სფეროში თანამშრომლობის საშუალებები) და აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული კულტურული პარტნიორობისა და კეთილმეზობლობის პროგრამის დახმარებით.

ეს სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო 2012-2015 წლებში შეიქმნა საერთაშორისო პროექტის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგის“ ფარგლებში, როგორც ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციების ევროპული გაერთიანება EUROCLIO-ს, ისტორიის მასწავლებლების სომხეთის ასოციაციის, ისტორიის მასწავლებლების საერთოუკრაინული გაერთიანება „ნოვა დობას“, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის, ახალგაზრდა ისტორიკოსების მოღდოვას ასოციაციისა (ANTIM) და აზერბაიჯანის საზოგადოებრივი გაერთიანების თანამშრომლობის შედეგი.

დამხმარე სახელმძღვანელოზე მუშაობისას გამოყენებულია თავისუფლად ხელმისაწვდომი მასალები სახელმწიფო და პირადი არქივებიდან.

მთავარი რედაქტორი **იულია კუშნერიოვა**

რეცენზენტი **ვიმ ვან მეურსი**

პროექტის მენეჯმენტი: **სტივენ სტიგერსი, აისელ გოჯაევა**

გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია EUROCLIO და არ ასახავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

პროექტზე მუშაობის ისტორია

სასწავლო-დამხმარე მასალა შეიქმნა აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის სკოლებისა და უნივერსიტეტების პედაგოგთა და მეცნიერთათანამშრომლობის, EUROCLIO-ს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციების ევროპული გაერთიანებისა და პროექტში მისი პარტნიორების მხარდაჭერის შედეგად.

ეს არის მაგალითი, რომ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შეუძლიათ, კულტურის სწავლები-სა და სწავლის ინოვაციური მიდგომების დასაწერად, ერთად იღვანონ.

წიგნის შექმნის პროცესი ადვილი არ ყოფილა. ის დღის სინათლეს ვერ იხილავდა, რომ არა რედაქტორების გუნდის, ავტორების, კოორდინატორების, დიზაინერებისა და მთარგმნელების ერთუზიანობა, ასევე ევროკავშირის ფინანსური დახმარება. ამ წიგნის მომზადებაში მონაწილეობდა ასზე მეტი ადამიანი ოცზე მეტი ქვეყნიდან, რისთვისაც მათ მაღლობას ვუხდით.

წიგნის შექმნის პროცესი მოიცავდა მოდულების რეცენზირებას, პილოტირებას, ტრენინგებსა და საბოლოო რედაქტირებას. გაკვეთილზე სასწავლო საქმიანობის მედოდიკა პროექტის მონაწილე ქვეყნების მასწავლებლებმა დაამუშავეს. მათ საკუთარ იდეებსა და გამოცდილებას უზიარებდნენ უცხოელი მენტორები და ტრენერები. ამის შედეგად ავტორები სწავლების ხარისხის ასამაღლებლად გაეცნენ სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც თავიანთ მასალებში გამოიყენეს.

პროექტისთვის რთული გამოცდა აღმოჩნდა მონაწილეების სამეცნიერო ენის მრავალფეროვნება. საუკეთესო გადაწყვეტა აღმოჩნდა სამუშაო ენად რუსული ენის გამოყენება. ჩვენი გუნდის წევრებმა, რომლებიც თანაბრად ფლობდნენ როგორც რუსულ, ისე პროექტის მონაწილე ქვეყნების ენებს, შეამოწმეს თარგმანის სიზუსტე და ეროვნულ ენაზე და რუსულ ენაზე დაკაბადონებული წიგნები ერთმანეთს შეადარეს.

რა თქმა უნდა, ეს წიგნი მონაწილე ქვეყნების კულტურისა და ისტორიის ყველა ასპექტს ვერ მოიცავს, რომ აღარაფერი ვთქვათ, შავი ზღვის მთელ რეგიონზე. მოდულის ავტორები თემებს, წყაროებსა და მუშაობის მეთოდს თავად ირჩევდნენ. ისინი პასუხისმგებელები არიან მოდულის შინაარსსა და ინფორმაციის სიზუსტეზე. იმისთვის, რომ წიგნის მთლიანობა არ დარღვეულიყო და მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, რედაქტორთა ჯგუფმა დიდი სამუშაო ჩაატარა მასალის ადაპტაციისა და გამდიდრებისთვის.

გადაწყვეტილებამ, შექმნილიყო მასალა, რომლის გამოყენებაც პროექტის ყველა მონაწილე ქვეყანაში იქნებოდა შესაძლებელი, ხშირად მწვავე კამათს იწვევდა, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიის შესახებ. საკამათო სიტუაციაში შეთანხმების მისაღწევად მივმართავდით სპეციალისტებს, ვრთავდით ავტორებსა და რედაქტორებს.

დამხმარე მასალის საშუალებით სწავლების ორგანიზებისთვის შემუშავდა მეთოდური რეკომენდაციები, რათა მოსწავლეებმა შეძლონ კრიტიკული აზროვნება და, წყაროების მასალაზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები. ეს რეკომენდაციები საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა ისწავლონ განსხვავებულად, ვიდრე ეს შესაძლებელია ტრადიციული სახელმძღვანელოებით. სწავლა რომ საინტერესო გახდეს, წიგნის სხვადასხვა მოდულში გამოყენებულია აქტიური სასწავლო მეთოდები. კიდევ უფრო მეტი მეთოდი მოცემული მასწავლებლის წიგნში.

იმედი გვაქვს, ეს დამხმარე სახელმძღვანელო მოსწავლეებს დაეხმარება, შეისწავლონ მრავალფეროვანი კულტურა და შეიძინონ ახალი უნარები; მასწავლებლებს კი ახალი მიდგომების გამოყენებას შთააგონებს, ხოლო სასწავლო პროცესს თანამედროვე მოსწავლისთვის აუცილებელი ახალი თემებით გაამდიდრებს.

გმაღლობთ ამ წიგნის გამოყენებისთვის.

აისელ გოჯაევა და სტივენ სტიგერსი

პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ამ ადამიანების მონაწილეობის გარეშე:*

მთავარი რედაქტორი: იულია კუშნერიოვა

გამომშვები რედაქტორი: ირინა კოსტიუკი

დიზაინერი: ოლგა ბორისენკო

საერთაშორისო რედაქტორები: ირინა კოსტიუკი, ძინტრა ლიეპინია და ელენე მეძმარიაშვილი

ეროვნული რედაქტორები: ფუად აგაევი, ალექსანდრა კოზოროგი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლ მარგარიანი და პაველ ჩერბუშკა..

პროექტის მენეჯერები: აისელ გოჯაევა და სტივენ სტიგერსი.

ეროვნული კოორდინატორები: ქერიმ აბიდი, მხითარ გაბრიელიანი, პოლინა ვერბიცაია, ტიმურ ლუკინი, სერჟიუ მუსტიაცე, აიკაზ ოგანესიანი, ოლგა პედან-სლეპუხინა, რაუფ რაჯაბოვი, ნანა ციხისთავი და ამირან ჯამაგიძე.

ავტორები: ვაგიფ აბასოვი, გულნარა აბიდი, ფუად აგაევი, აიდინ ასლანოვი, კარენ ბაირამიანი, ვერა ბალანი, ელისაბედ ბუცხრიკიძე, მხითარ გაბრიელიანი, ნატალია გოლოსოვა, ლუდმილა გურსკაია, პოლინა ვერბიცაია, ვერა ვრაბიე, ანჟელა ზიამა, სამირა ისკენდეროვა, ლელა კაკაშვილი, ვარვარა კიპერი, ოლგა კოვალევსკაია, ალექსანდრა კოზოროგი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ლუდმილა მალესი, მიქაელ მალხასიანი, ნიკოლ მარგარიანი, ნატალია მარკუსი, ლუბა მელნიკი, მადონა მიქელაძე, ოქსანა მიხეევა, ნუგზარ მოლაშვილი, ანჟელა მუშენკო, როდიკა ნასტასი, გრანტ ოგანიანი, ეკატერინა ოდაჟიუ, აიკაზ ოჰანესიანი, ლილია ოჰანესიანი, ნარმინ რაჯაბოვა, ვერა სააკიანი, ლუჩია სავა, ნოდარ შოშიაშვილი, პაველ ჩერბუშკა, რუზანა ცატურიანი, ტატიანა ციგანუ, არტაკ ხაჩატრიანი, ამირან ჯამაგიძე, ოთარ ჯანელიძე და ნაზიმინ ჯაფაროვა.

თანავტორები: ფუად აგაევი, ალექსანდრა კოზოროგი და ოლგა პედან-სლეპუხინა.

თავიანთი მასლები მოგვანოდეს: არზუ აბასოვა და ლალი ფირცხალავამ.

მენტორები: ირინა კოსტიუკი, იულია კუშნერიოვა, მარე ოია, ოლგა პედან-სლეპუხინა, დინ სმარტი, ცირა ჩიკვაიძე და თამარა ეიდელმანი.

ტრენერები: სემიკ აკტეკინი, ირინა გოგონაია, ბოიანა დუიკოიჩ-ბლაგოვეჩი, ინეკე ველდჰიუს-მეესტერი, პოლინა ვერბიცაია, იგორ იოვანოვიჩი, კეროლ კაპიძე, ოლგა კოვალევსკაია, ალექსანდრა კოზოროგი, ჰუსეინ კოკსალი, ირინა კოსტიუკი, იულია კუშნერიოვა, კლაუდია ლენცი, რიჩარდ მაკფანი, სედა მელკუმიანი, მადონა მიქელაძე, ოქსანა მიხეევა, მარე ოია, ოლგა პედან-სლეპუხინა, დინ სმარტი, გულსენ ტურალი, ბენი ქრისტენსენი, ცირა ჩიკვაიძე, ნანა ციხისთავი და ამირან ჯამაგიძე.

ლექსიკონის ავტორები: ფუად აგაევი, ალექსანდრა კოზოროგი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლ მარგარიანი და პაველ ჩერბუშკა.

ნავიგატორი მოამზადეს:

აზერბაიჯანისთვის – ფაუდ აგაევი; **სომხეთისთვის** – ნიკოლ მარგარიანი; **საქართველოსთვის** – ბესიკ ლორთქიფანიძე; **მოლდოვასთვის** – პაველ ჩერბუშკა; **უკრაინისთვის** – ალექსანდრა კოზოროგმა.

რუკები შეადგინეს: დიმიტრი ისაევმა (გვ. 30, 218), ალექსი კახნიაშვილმა და მანანა შეყილაძემ.

* გვარები მოცემულია ანბანური თანმიმდევრობით.

მთარგმნელები:

აზერბაიჯანულზე – ნაზიმინ ჯაფაროვა, **სომხურზე** – მარინა ვარდანიანი, **ქართულზე** – მარიკა კვესელავა და მანანა ჩიგოგიძე, **მოლდოვურზე** – ლუბა პეტრენკო და პაველ ჩერბუშკა, **უკრაინულზე** – ოქსანა მიხეევა.

ეროვნულ ენებზე კორექტურა შეასრულეს:

აზერბაიჯანულზე – ფუად აგაევმა და რაუფ რაჯაბოვმა; **სომხურზე** – მხითარ გაბრიელიანმა, ნიკოლ მარგარიანმა და აიკაზ ოჰანესიანმა; **ქართულზე** – ბესიკ ლორთქიფანიძემ, ელენე მეძმარიაშვილმა და ნანა ციხისთავმა; **მოლდოვურზე** – პაველ ჩერბუშკამ; **უკრაინულზე** – ალექსანდრა კოზოროგმა და ირინა კოსტიუკმა..

რეცენზენტი: ვიმ ვან მეურსი.

მმართველთა საბჭო: ალექსანდრა გნატიუკი, სტეფან ირიგი, ნინო კილურაძე, მათიას კლინგენბერგი, კეიტ ლაფამი, იოკე ვან დენ ლეეუ-როორდი, ოქტავიან ტიცუ.

ვიზუალური წყაროები მოგვანოდეს: გურგენ ბაქშეციანმა, ანდრეი ვეიჩკომ, რიტა ვილერტმა, ალექსანდრ ვილჰელმმა, ტელმან იბრაგიმოვმა, მარიონ კოობმა, იაროსლავ კოჩერგინმა, ლუკაშ ჯეჯიჩ კროცმა, იური მეჩითოვმა, სეროი ოურიშიანმა, მონიკა პაკსიოვამ, გუენაი რაჟიმლიმ, რობერტ რანგემ, ბრიუს რიივმა, რუსლან სალიხოვმა, ოლეგ სიდორენკომ, დენის ტოპალმა, მარინა ფილიპოვამ, პაველ შუბერტმა, ქრისტინა ჩეჩეტომ.

EUROCLIO-ს სტაჟორ-ასისტენტები: პიტერ ბაეტენი, ირის დიიქსტერჰიუსი, გაი კოუნეტი, ივან მარკოვიჩი, სვენ მერსდოფი, ქრისტინა პოპესკუ, ფრანჩესკა სატიგნა.

ანგარიშებს ადგენდნენ: პატრიკ ბარკერი, ბლანდინ სმილანსკი.

ავტორების, თანაავტორების, კოორდინატორების, რედაქტორების, მენეჯერების, რუკების დიზაინერებისა და მასალების მომწოდებლების ბიოგრაფიული ცნობები მოცემულია წიგნის ბოლოს.

შინაარსი

შესავალი. წიგნის შექმნის ისტორია*

აისელ გოჯაევა, სტივენ სტიგერსი 3

ნაწილი I კულტურული მემკვიდრეობა 9

რაზე დუმს ქალწულის კოშკი
ფუად აგაევი, ნარმინ რაჯაბოვა 11

ქალაქი, როგორც მრავალფეროვნების სარკე
თბილისი და მისი მცხოვრებნი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს
ბესიკ ლორთქიფანიძე, ნუგზარ მოლაშვილი 19

გერმანელი ახალმოსახლეები აზერბაიჯანში XIX საუკუნესა და XX-ის დასაწყისში
გულნარა აბიდი, აიდინ ასლანოვი 29

კულტურათა დიალოგი და კულტურული მემკვიდრეობა
პოლინა ვერბიციკაია 41

ეროვნული მემკვიდრეობის ადგილი მსოფლიო კულტურაში
აიკაზ ოჭანესიანი, გრანტ ოგანიანი 56

ამიერკავკასიის სემინარია
ფუად აგაევი, ალექსანდრა კოზოროვი 69

საკუთარი სახელები, როგორც საზოგადოების კულტურისა
და ისტორიის შესწავლის წყარო
ნიკოლ მარგარიანი 83

ისტორია და კულტურა მეხსიერებასა და ძეგლებში
კარენ ბაირამიანი, ლილია ოჭანესიანი 92

სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება ეპოქებისა და კულტურების გზაჯვარედინზე
ამირან ჯამაგიძე 107

იდენტურობა მრავალკულტურული საზოგადოების პირობებში
ოლგა კოვალევსკაია, ლუდმილა მალესი, ოქსანა მიხეევა 122

ნაწილი II კულტურა და პოლიტიკა 133

შობისა და ახალი წლის რთული ხვედრი XIX-XX საუკუნეებში.
ელისაბედ ბუცხრიკიძე, ამირან ჯამაგიძე 135

დროთა დიალოგი ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებებში
ოთარ ჯანელიძე, ნოდარ შოშიაშვილი 160

როგორ გადაიქცა „დედაკაცი“ „ამხანაგად“
მადონა მიქელაძე 169

სტალინის ხსოვნა და ძეგლები
ლელა კაკაშვილი, ბესიკ ლორთქიფანიძე 179

მრავლისმეტყველი დუმილი: ძეგლი კულტურების გზაჯვარედინზე
ოქსანა მიხეევა, ოლგა კოვალევსკაია 195

გამოსახულება, სიტყვა და ბგერა საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდაში <i>ნატალია მარკუსი, ოქსანა მიხეევა</i>	204
საბჭოთა ახალგაზრდობის კულტურათმშორისი ურთიერთობები <i>ალექსანდრა კოზოროგი, ოლგა პედან-სლეპუხინა</i>	217
1 მაისი: გუშინ და დღეს <i>ვერა ბალანი, ლუჩია სავა</i>	232
ერთობა და მრავალფეროვნება <i>ვერა ვრაბიე, ლუბა მელნიკი</i>	246
საზოგადოების ძირითადი ფასეულობები და მათი ცვლილებები <i>როდიკა ბოლგარი</i>	253
ნაწილი III ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება	265
ტრადიციული ყოფა-ცხოვრების სიახლეები <i>ფუად აგაევი, ნარმინ რაჯაბოვა</i>	267
ბაქოს ნავთობი და კულტურა <i>სამირა ისკენდეროვა</i>	276
აზერბაიჯანელი ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს (ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პუბლიკაციების მიხედვით) <i>ვაგიფ აბასოვი, ნაზმინ ჯაფაროვა</i>	287
კულტურების მრავალფეროვნება მშობლიური მხარის ისტორიაში <i>ვარვარა კიპერი, ეკატერინა ოდაჟიუ, ტატიანა ციგანუ</i>	297
ლიბოვანები წარსულსა და მომავალს შორის <i>ანჟელა ზიამა, ანჟელა მუშენკო</i>	307
შერეული (კულტურათმშორისი) ქორწინება XX-XXI საუკუნეებში <i>ნატალია გოლოსოვა, ლუდმილა მალესი</i>	316
საზღვრისპირა ვაჭრობა და ეროვნებათმშორისი კონტაქტები <i>მხითარ გაბრიელიანი</i>	323
თანამედროვე შრომითი მიგრაცია და მისი გავლენა საზოგადოებაზე <i>პაველ ჩერბუშკა</i>	334
შრომითი მიგრაცია და ოჯახი <i>რუზანა ცატურიანი, არტაკ ხაჩატრიანი</i>	346
თანამედროვე ქალაქი – კულტურული გზაჯვარედინი და სივრცე კულტურათა დიალოგისთვის <i>მიქაელ მალხასიანი, აიკაზ ოჰანესიანი, ვერა სააკიანი</i>	355
ლექსიკონი	368
ინფორმაცია პროექტის მონაწილეთა შესახებ	372



კულტურული
მემკვიდრეობა



Въ воскресенье, 2 августа 1898 года,
въ театр-циркѣ В. И. Васильева-Витского, фотог-
графъ А. М. Милонъ, сличившій коллекцію сличенныхъ фотог-
средней Азии и Кавказа для предстоящей Всемирной выставки въ Пар-
бусть демонстрировать ТОЛЬКО ОДИНЪ РАЗЪ, усовершенствовавши

...театръ-циркъ...
фотографъ А. М. Мамонъ, снимающій всемірно
средней Азии и Кавказа для предстоящей Всемирной
будетъ демонстрировать ТОЛЬКО ОДИНЪ РАЗЪ, усовершенство
КИНЕМАТОГРАФЪ
Бр. ЛЮМИЭРЪ.
построенный аппараты I. Carpentier.
показавши: 1) Пожаръ нефтяного
Высочества Эмира Бухарского на
2) «Полуденная южная»
3) «Полуденная южная»
4) «Полуденная южная»



გარემომცველი სამყარო წარმოუდგენელია კულტურის, მისი ნებისმიერი გამოვლინების გარეშე. კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც წარსულში განსხვავებული იდეების საფუძველზე სხვადასხვა მასალაში მრავალმა ხალხმა განახორციელა, თანამედროვე კულტურის მასაზრდოებელია. მნიშვნელოვანია საკითხი, ვის ეკუთვნის კულტურული მემკვიდრეობა. შესაძლებელია თუ არა, რომ კულტურის ერთი ძეგლი მთელ ეპოქას ან ერთი ხალხის წარსულს ასახავდეს? რამდენად მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ არ არსებობს „საკუთარი“ და „სხვისი“ კულტურული მემკვიდრეობა, მისი შენარჩუნება კი არა მარტო შემქმნელების უშუალო მემკვიდრეების საქმეა, არამედ კულტურულად მრავალფეროვანი და განსხვავებული იდენტობის მქონე ფართო საზოგადოების. ამ და სხვა კითხვებზე პასუხს მოცემული ნაკვეთის მასალის შესწავლისას მიიღებთ.

- ▶ რატომ შეიძლება ერთი ხალხის კულტურული ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის ინტერესს წარმოადგენდეს?
- ▶ როგორ და რატომ იცვლება ქალაქის იერ-სახე?
- ▶ რა წვლილი შეიტანეს გერმანელმა კოლონისტებმა აზერბაიჯანის ეკონომიკურ და კულტურულ პალიტრაში?
- ▶ როგორ ამდიდრებს ეროვნული კულტურა მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას?
- ▶ როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურის ურთიერთქმედება საერთო კულტურულ მემკვიდრეობაში?
- ▶ რატომ გახდა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია კულტურული დიალოგის სიმბოლო?
- ▶ როგორ აისახება კულტურასა და საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები საკუთარი სახელის არჩევანში?
- ▶ რა როლს ასრულებს ძეგლები ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლაში?
- ▶ როგორ აისახა სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებაში კულტურათა დიალოგი?
- ▶ რა სახის იდენტობა შეიძლება ჰქონდეს ცალკეულ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს და როგორვლინდება ის ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში?

რაზე დუმს ქალწულის კოშკი

- რატომ შეიძლება ერთი ხალხის კულტურული ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის ინტერესს წარმოადგენდეს?

ბლოკი 1. ქალწულის კოშკი XIX-XX საუკუნეებში


◆ ისტორიული ცნობა

ქალწულის კოშკი (აზერბაიჯანულად Qız Qalası – ყიზყალასი), უძველესი ციხესიმაგრე „ძველი ქალაქის“ – იჩერი შეჰერის ზღვისპირა ნაწილთან, ბაქოს ერთ-ერთი სიმბოლოა. ამ ნაგებობის თავისებურებებს, მისი ფორმის უჩველო გადანაწევტას მსოფლიო არქიტექტურაში ანალოგი არ აქვს. აქ ჩანს სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა ხალხის გავლენა. კოშკი არაერთხელ არის რესტავრირებული. იცვლებოდა მისი დანიშნულებაც. ეს ნაგებობა თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია.



1. დააკვირდით წყაროებს 1-4. შეადარეთ, რამდენად შეიცვალა გარემო ქალწულის კოშკის ირგვლივ. რა განსხვავებას ხედავთ ამ გამოსახულებებში?
2. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგეთ წყაროები 1-4.

წყარო 1³



¹ ილუსტრაციები აღებულია აზერბაიჯანის სახელმწიფო ფოტოარქივიდან (№2728, №160742, №12370, №23579). ა. პ. ბოგოლიუბოვის სურათი (წყარო 3). ელექტრონული რესურსი – «Наш Баку. История Баку и бакинцев». — ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ourbaku.com/images/7/76/Port_img.jpg/.

წყარო 2



წყარო 3



წყარო 4



ბლოკი 2. ქალწულის კოშკის ისტორია

3. წაიკითხეთ წყაროები 5-8 და სქოლიო 5. წყაროებში 5-7 მოიძიეთ იმ ხალხის ხსენება, რომელთა კვალიც ქალწულის კოშკში იკითხება.
4. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოამზადეთ პატარა მოთხრობა ქალწულის კოშკის მშენებლობის ისტორიის შესახებ.

წყარო 5 ქალწულის კოშკი ბაქოში

ბაქოს ყველაზე დიდებული და ყველაზე იდუმალი ძეგლია ყიზყალასი – ქალწულის კოშკი, რომელიც აღმართულია იჩერი შეჰერის (შიდა ქალაქის) ციხე-სიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აზერბაიჯანის ხუროთმოძღვრების ამ უნიკალურ ნაგებობას აღმოსავლეთში ანალოგი არა აქვს. სახელწოდება ყიზყალასი – ქალწულის კოშკი დაკავშირებულია ოღუზი ტომების² სახელწოდებასთან.

XII საუკუნიდან შარვანშაჰთა³ სახელმწიფო ბაქოში დიდ თავდაცვით ნაგებობებს აშენებდა. ძველი ბაქოს ციხე-სიმაგრის გაღავანიც მაშინაა აშენებული. იმ დროს ყიზყალასი (ქალწულის კოშკი) ქალაქის თავდაცვით სისტემაში შედიოდა. იგი იცავდა ქალაქს როგორც ზღვის, ისე ხმელეთის მხრიდან – მტერს კოშკის სიმალიდან იგერიებდნენ. ქალწულის კოშკს თავს აფარებდნენ შირვანშაჰი ოჯახით და ფეოდალები საომარი მოქმედების დროს. ყიზყალასი (ქალწულის კოშკი) პირველად მოხსენიებულია 1403 წელს: ბაქოში დაბადებული აბდ არ-რაშიდ ალ-ბაქუვი წერდა ბაქოს შესახებ, რომ იქ არის ქვით მკვიდრად ნაშენი, ფრიად გამაგრებული ორი მყარი ციხე-სიმაგრე. ერთ-ერთი მათგანი, დიდი, დგას ზღვასთან, რომლის ტალღებიც ეხეთქება მის კედლებს. ეს ცნობა შეიძლება მივაკუთვნოთ ყიზყალასის (ქალწულის კოშკს).⁴

წყარო 6 კოშკის არქიტექტურა

ქალაქ ბაქოს არქაული კოშკისებრი ნაგებობა შეიძლება გაჩენილიყო, როგორც ორი უძველესი ხალხის – კასპებისა და მიდიელების, მომთაბარე ტომების არქიტექტურის სინთეზი. ძველ მიდიაში ძირითადი სამშენებლო მასალა იყო მზეზე გამომშრალი თიხის აგური (ალიზი). ალიზისაგან მაღალი, ღრუ კოშკური ნაგებობების ასაშენებლად სიმტკიცისათვის საჭირო იყო ძალიან სქელი კედლები, რომლებსაც, გარდა ამისა, აუცილებლად მასიური შვერილი ნაწილი უნდა ჰქონოდათ. ასეთი კედელი იმდენად შეერწყა ტაძრების რიტუალურ იერ-სახეს, რომ, როგორც ჩანს, შემდგომში მას მაშინაც აგებდნენ, როცა ეს სულაც არ იყო საჭირო, ქვით ნაშენი კოშკი კი ისედაც მყარად იდგებოდა.⁵

² ოღუზები – თურქული ტომები, რომლებიც მონაწილეობდნენ თანამედროვე თურქულენოვანი ხალხების ეთნოგენეზში.

³ შარვანშაჰი – შირვანის ისტორიული ოლქის (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილის) ფარგლებში შექმნილი და ისტორიულ წყაროებში შარვანშაჰთა სახელმწიფოდ ცნობილი სახელმწიფოს მმართველთა ტიტული.

⁴ Ашурбейли С. Б. История города Баку / С. Б. Ашурбейли. – Баку: Азернешр, 1992. С.148-154.

⁵ Фатуллаев-Фигаров Ш. С. Архитектурная энциклопедия Баку / Ш. С. Фатуллаев-Фигаров. – Баку-Анкара: Международная академия архитектуры стран Востока, 1998. С. 113.

წყარო 7 კოშკის რეკონსტრუქცია XIX საუკუნეში

1808 წელს რუსეთის ხელისუფლებმა გაარემონტეს ქალწულის კოშკის ჩამონგრეული ლავგარდნის ნაწილი. აგრეთვე ცნობილია, რომ XIX საუკუნეში განხორციელდა კოშკის ზედა ნაწილის რეკონსტრუქცია შუქურად მისი გადაკეთების მიზნით. ეგრეთ წოდებული ბაქოს შუქურა აინთო ქალწულის კოშკზე 1858 წლის 13 ივნისს. მანამდე კი კოშკზე აღმართავდნენ ციხე-სიმაგრის დროშას, რომლის ფლაგშტოკიც⁶ გათვალისწინებული იყო 1808 წლის აზომვითა და გეგმით⁷.

წყარო 8 ინფორმაცია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ქალწულის კოშკის შეტანის შესახებ

აზერბაიჯანი იუნესკოს წევრი 1992 წელს გახდა და მას შემდეგ თანამშრომლობა ამ ორგანიზაციასთან წლითი-წლობით ვითარდება. 2000 წელს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს ქალწულის კოშკი, შარვანშაჰთა სასახლე და გობუსტანის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაკრძალი⁸.

ბლოკი 3. ქალწულის კოშკის დანიშნულება

▼

5. ქალწულის კოშკის დანიშნულების რომელი ძირითადი ვერსიების განსაზღვრა შეიძლება წყაროებიდან 9-14? რას ემყარება ეს ვერსიები?
6. თქვენი აზრით, რომელი ვერსიაა ყველაზე სარწმუნო? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
7. წყაროებზე 9-11 დაყრდნობით და წყაროების 5-7 ინფორმაციის გამოყენებით, შეავსეთ ტაბულა „კულტურული გავლენა კოშკის ისტორიაში“:

კოშკის ისტორიასთან დაკავშირებული ხალხები	მათი გავლენა კოშკის იერ-სახესა და დანიშნულებაზე

8. რას მონშობს ქალწულის კოშკის წარმოშობისა და დანიშნულების, აგრეთვე, მის ისტორიაში სხვადასხვა ხალხის როლის შესახებ მრავალგვარი ვერსიის არსებობა?

⁶ ფლაგშტოკი (ჰოლანდიურიდან ვლაგგენსტოკ) – დროშის აღსამართავად განკუთვნილი ლითონის, ხის ან პლასტიკის ლატანი.

⁷ Тагиев Ф.А. История города Баку в первой половине XIX века (1806-1859). Баку _ ЭЛМ, 1999. С. 27-28.

⁸ ელექტრონული რესურსი Управление Государственного историко-архитектурного заповедника «Ичеришехер» при Кабинете Министров Азербайджанской Республики. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.icherisheher.gov.az/static/29/lang.ru/>.

წყარო 9 ქალწულის კოშკის ტექნიკური აღწერა

ყიზყალასი (ქალწულის კოშკი) აგებულია ქვით, მისი სიმაღლეა 28 მეტრი, კედლების სისქე საძირკველთან – 5 მეტრი, ზევით – 4 მეტრი, შიგნით დანაწევრებულია რვა იარუსად. მეორე სართული ზემო სართულებს ბოლომდე სქელ კედელში ჩაშენებული ხრახნი კიბით უკავშირდება. იარუსების განათება ხდება სამხრეთ მხრიდან განლაგებული ვიწრო ნაპრა-ლისებრი ფანჯრებიდან, სართულები გადახურულია ბრტყელი ქვის გუმბათებით. ცილინ-დრული ფორმის კოშკს აღმოსავლეთით ებჯინება შვერილი კედელი, რომელიც თითქმის ბოლომდე ადის და გეგმაში ცხრიანის ფორმას ქმნის. მესამე იარუსიდან კოშკის ზედაპირს ყოფს სარტყლისებრად განლაგებული ვიწრო ქვის რიგები. კოშკის ამგვარ არქიტექტურულ გააზრებას, მოცულობით პლასტიკას, ფორმის უჩვეულო გადანწყვეტას ანალოგი არა აქვს მსოფლიო არქიტექტურაში⁹.

წყარო 10 ვერსია 1

ლაგვარდანი (კოშკისა – რედ.) თავისი გაფორმებით ძველი პარტიის ბერძნულ-ელინ-ისტური არქიტექტურის ნაკვალევს მოგვაგონებს... ცილინდრული მოხაზულობითა და უც-ნაური შვერილით ყიზყალასი ციხე-სიმაგრის ტიპის ნაგებობას გავს. ამიტომ მისმა იერ-სახემ შეცდომაში შეიყვანა ბევრი ადამიანი და მას დაერქვა ყიზყალასი..., რაც ითარგმნება, როგორც ქალწულის ციხე-სიმაგრე. [...] ყიზყალასის შიდა და გარე კონსტრუქციების დე-ტალური შესწავლა გვარწმუნებს, რომ იგი არ წარმოადგენს არც თავდაცვით ნაგებობას, არც შუქურას და, მით უმეტეს, არც სასიგნალო კოშკს. ეს არის ზოროასტრული (ზოროას-ტრელები – ცეცხლთაყვანისმცემლები – რედ.) საკულტო ნაგებობა, რომელსაც ფეხლევის ენაზე¹⁰ ესადაგება ტერმინი „დაჰმა“ (კოშკი, რომლის თავზეც ტოვებდნენ ადამიანების გვა-მებს ძერების დასაგლეჯად)¹¹.

წყარო 11 ვერსია 2

ცნობილია, რომ ქალწულის კოშკის კედლის გარე მხარეს, ქვედა კარის თავზე, 14 მეტრის სიმაღლეზე არის $4 \times 0,6$ მ. ზომის ქვის ფილა ქუფის¹² ხელწერით შესრულებული წარწერით. წარწერის ფონი ქვისგანაა გამოთლილი, სიტყვები ორ სტრიქონად არის გან-ლაგებული. პირველმა ეს წარწერა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ ნ. ხანიკოვმა წაიკითხა: „მასუდ იბნ დაფუდის გუმბათი (კამარა)“. შუა საუკუნეების ძეგლების შესწავლისას მეცნიერ-ები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გუმბათისებრი სახურავის მქონე მაღალი ძეგლები სავარუ-დოდ ან აკლდამაა, ან ობსერვატორია. ქალწულის კოშკი აკლდამა არ უნდა იყოს, რადგან მის შიგნით არქეოლოგიური გათხრების დროს ნამარხების კვალი არ აღმოუჩენიათ. აკლ-დამის იდეას მთლიანად უარყოფს ისიც, რომ კოშკის მესამე სართულიდან იწყება ჭა, ხოლო მეშვიდე სართულიდან ჩამოდის აირსადენი. მაშასადამე, დავუბრუნდეთ ობსერვატორიის იდეას. იმას, რომ წარწერაში არის სიტყვა „გუმბათი“, მივყავართ დასკვნამდე, რომ ქალწუ-ლის კოშკი ობსერვატორია იყო. რაშიდ არ-დინი (XIII-XIV სს.) და ვასააფი (XIV ს.) მარალასა

⁹ Фатуллаев-Фигаров Ш. С. Архитектурная энциклопедия Баку/Ш. С. Фатуллаев-Фигаров. Баку-Анкара: Международная академия архитектуры стран Востока. 1998. С. 113.

¹⁰ ფეხლევის ენა – III-IV სს-ის ოფიციალური სპარსული ენის ვარიანტი.

¹¹ Набиев М.А. Тайна Бакинской Гыз-Галасы // ДАН Азербайджанской ССР. 1974. № 6. С.93.

¹² ქუფა – არაბული დამწერლობის ერთ-ერთი უძველესი კალიგრაფიული ფორმა, რომელიც შეიქმნა VIII საუ-კუნის დამლევს ერაყის ორი ქალაქის – ბასრისა და ელ-ქუფის დაარსების შემდეგ.

და თავრიზში არსებული ობსერვატორიების აღწერისას აღნიშნავენ, რომ მათ მაღალი გუმბათები ჰქონდათ. მარალის ობსერვატორიაში გათხრების დროს აღმოაჩინეს ასეთი გუმბათის რკალი.¹³

წყარო 12 ვერსია 3

როგორც ჩანს, ყიზყალასი (ქალწულის კოშკი) კოშკისებრი შუქურა უნდა იყოს. ამ ძეგლზე წმიდათაწმიდა ცეცხლი ანთია. ყიზყალასი იყო თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც შარვანშაჰთა თავდაცვითი ნაგებობების საერთო სისტემაში შედიოდა და შუქურას დანიშნულებას ასრულებდა, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში დღისით – კვამლის, ღამით კი ცეცხლის საშუალებით გადმოსცემდნენ სიგნალს მოახლოებული საშიშროების შესახებ.¹⁴

წყარო 13 ვერსია 4

ქალწულის კოშკის სამხრეთ-დასავლეთ კედელში ჩადგმულია ფილა, მოკლე ქუფური წარწერით, რომელიც პირველმა ნ. ხანიკოვმა წაიკითხა. მის არაბულ ტექსტში პირველი სიტყვა მოცემულია, როგორც „კუბა“, რაც ქართულად ნიშნავს გუმბათს, ხოლო გვიანდელ წარწერებში გვხვდება აგრეთვე „აკლდამის“ მნიშვნელობით. იგი ასე უნდა იკითხებოდეს: „მასუდ იბნ დაუდის კუბა“. **პალეოგრაფიული** ნიშნებით წარწერა XII საუკუნით თარიღდება, მაგრამ ეს თარიღი კოშკის აღდგენასთან არის დაკავშირებული. XII საუკუნეში კოშკი ქალაქ ბაქოს თავდაცვით სისტემაში შედიოდა. სავარაუდოა, რომ კოშკის სახელწოდება ყიზყალასი (ქალწულის კოშკი) „ყეზ ყალასის“, ანუ „სათვალთვალ კოშკის“ დამახინჯებული ფორმაა... კოშკი შუქურას როლსაც ასრულებდა. დღისით კოშკურაზე ანთებული ცეცხლის კვამლით, საღამოს კი – თვით ცეცხლით გადასცემდნენ სიგნალს ზღვისა და ხმელეთის მხრიდან მოახლოებული საშიშროების შესახებ დანარჩენ თავდაცვით ნაგებობებს, რომელთა რიცხვი აფშერონის ნახევარკუნძულზე ოცდაათს აღემატებოდა.¹⁵

წყარო 14 ვერსია 5

სასანიანთა დინასტიის მეფე არდაშირი (III ს.) კიდევ უფრო აძლიერებს მსახურებას ტაძრებში, ბრძანებს, რომ ჩაუქრობლად ენთოს ორმუზდის ცეცხლი საკურთხეველზე ბაჰავანში. ყიზყალასში (ქალწულის კოშკში) შვიდი კერა-საკურთხეველი იყო.¹⁶

¹³ Ахмедов Г. М. Новые суждения о Гыз-Галасы // Наука и жизнь. _ 1986. - №7. С. 20.

¹⁴ Искендеров А.А. Легенды о Гыз галасы, // «Каспий», 2010. 17 апреля. №066 (11264). С.9.

¹⁵ Неймат М. С. Эпиграфические памятники Азербайджана эпохи Низами, Баку _ «Элм» 1991. С. 22–23.

¹⁶ Хоренский М. История Армении / М.Хоренский. _ М.: Издательство: Тип. В. А. Гатцук. 1893. С.122–123.

ბლოკი 4. ლეგენდები ქალწულის კოშკზე



9. შეადარეთ ერთმანეთს წყაროები 15 და 17. რა აქვს საერთო ამ ლეგენდებს და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?
10. რით შეგიძლიათ ახსნათ ის, რომ სხვადასხვა ხალხს ერთმანეთის მსგავსი ლეგენდები აქვს? რა არის ამ ლეგენდებში მართალი და რა – მოგონილი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

წყარო 15 ლეგენდა ყიზყალასიზე (აზერბაიჯანი)

ლეგენდა ყიზყალასიზე (ქალწულის კოშკზე) მოგვითხრობს შაჰის ასულისა და მეზადურის სიყვარულის ამბავს. ყოველდღე მეზადური მიდიოდა ზღვის პირას აღმართულ კოშკთან, რათა გულისსნორი დაენახა. იგი უნავოდ თავისუფლად მისრილებდა ზღვის ზედაპირზე „სიყვარულის რწმენის იალქნებით“. გადიოდა დრო. მიჯნურების სიყვარული სულ უფრო მტკიცდებოდა და ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევის ძალას ჰგვრიდა, მაგრამ

ერთხელ, უკან დაბრუნებისას, მეზადურის რწმენა შეირყა, ვაჟი წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა. შაჰის ასულმა, რომელიც ფანჯრიდან უთვალთვალებდა გულისსნორს, ეს დაინახა და მის დასახმარებლად კოშკიდან გადახტა, მაგრამ თვითონაც დაიხრჩო, რადგან შიშმა მის გულში რწმენას სძლია. მას შემდეგ ხალხმა ამ კოშკს, რომელიც რწმენისა და სიყვარულის, სისპეტაკისა და გულადობის სიმბოლო გახდა, ყიზყალასი (ქალწულის კოშკი) შეარქვა.¹⁷

წყარო 16 ლეგენდა სუდაკის¹⁸ ქალწულის კოშკზე (უკრაინა)

როცა სუდაკს ბერძნები ფლობდნენ, კოშკში ცხოვრობდა მმართველის ასული, ამაყი მზეთუნახავი, რომლის ბადალი თავრიდში არ იყო. მეფის საუკეთესო მხედართმთავარი დიოფანტე ამაოდ ცდილობდა მის ცოლად შერთვას. არავინ იცოდა, რომ ქალწულს უკვე უყვარდა უბრალო სოფელი მწყემსი და მხოლოდ მასზე ოცნებით სულდგმულობდა, მწყემსს კი მიაჩნდა, რომ ღმერთებსა და ადამიანებს შორის არავინ იყო მასზე ბედნიერი. მაგრამ ერთხელ ვილაცამ მიჯნურები ერთად დაინახა და მეფეს მოახსენა. მმართველმა გადაწყვიტა ეშმაკობით დაეცილებინა ისინი, შემდეგ კი სასწრაფოდ გაეთხოვებინა ქალიშვილი. მან უბრძანა ყმანვილს მილეთში გამგზავრებულიყო. ერთი წლის შემდეგ, – უთხრა მან თავის ასულს, – გემი დაბრუნდება, და თუ შენი გულისსნორი არ გიღალატებს, ანძაზე თეთრ ნიშანს დაინახავ. მაშინ შენი ბედნიერების წინააღმდეგი აღარ ვიქნები. მაგრამ თუ გემზე ეს ნიშანი არ იქნება, იგი შენი ღირსი



არ ყოფილა და დიოფანტეს ცოლობაზე უნდა დათანხმდებოდა. მეზღვაურებს კი მმართველმა უბრძანა მოეკლათ მწყემსი, სანამ მილეთში ჩავიდოდნენ. გავიდა ერთი წელი. მეფის ასული სულ უფრო ღელავდა, გული ცუდს უგრძნობდა, სულ უფრო ხშირად იხედებოდა ზღვისკენ, ხომ არ მოსულა თეთრნიშნიანი გემიო. და აი, ერთ დღეს, შორს ზღვაში გამოჩნდა გემი, მაგრამ ანძაზე თეთრი ნიშანი არ იყო. მაშინ მმართველის ასული კოშკის თავზე ავიდა, სწრაფად გაძვრა ქონგურებს შორის და ქვევით გადაეშვა. მას შემდეგ კლდეზე მდგომ კოშკს ქალწულის კოშკი შეარქვეს.¹⁹

¹⁷ Искендеров А.А. Легенды о Гыз-Галасы // «Каспий». – 2010. 17 апреля. №066 (11264).

¹⁸ სუდაკი არის ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გაეროს 68/262 რეზოლუციის (2014 წლის 27 მარტი) თანახმად უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

¹⁹ Легенда о Девичьей Башне в Судакѣ. ელექტრონული რესურსი «Дикий Крым». ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://wild-crimea.com/legend2>.

წყარო 17 ლეგენდა ლეანდრის კოშკზე (სტამბული)

ვაჟი, სახელად ლეანდრი, ყოველ ღამე მიცურავდა საიდუმლო პაემანზე თავის გულისსწორთან – ქალღმერთ აფროდიტეს ქურუმ ქალ ჰერასთან, რომელმაც მისი სიყვარულით გაუთხოვრობის აღთქმა გატეხა. ლეანდრს შორი და საშიში გზა ჰქონდა გასავლელი: მას უხდებოდა არც მეტი, არც ნაკლები, ბოსფორის სრუტის გადაცურვა, თანაც ღამეში ორჯერ (იქით-აქეთ). მაგრამ ვერავითარი საფრთხე ვერ დააკავებდა მიჯნურს. ყოველ ღამე იგი კვლავ და კვლავ მიცურავდა იქით, სადაც მოჩანდა ჰერას მიერ ანთებული ჩირაღდნის შორეული ცეცხლი და სადაც გულისსწორი ელოდა. ერთხელ ცეცხლი ჩაქრა, ლეანდრმა სიბნელეში ველარ იპოვა გზა კუნძულისკენ და დაიხრჩო. დილით ტალღებმა მისი გვამი ნაპირზე, ამაო მოლოდინით დატანჯული ჰერას



ფერხთით გამოიტანა. სასონარკვეთილი ქალი, რომელმაც ყველაზე ძვირფასი ადამიანი დაკარგა, ვისი სიყვარულით აფროდიტეს რისხვასაც კი არ შეუშინდა, კოშკის თავზე ავიდა და ზღვაში გადაეშვა.²⁰

წყარო 18 ლეგენდა ყიზყალასიზე მერსინში (თურქეთი)



იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე. ერთხელ მან მკითხავს მიმართა, რათა თავისი საყვარელი ერთადერთი ასულის მომავალი გაეგო. მკითხავმა უთხრა, შენი ქალიშვილი მეთვრამეტე დაბადების დღეს ხელში შეგაკვდება, გველის ნაკბენით. მაშინ მეფემ ბრძანა მისი ასულისათვის ციხე-სიმაგრე აეშენებინათ. ასე უნდოდა გადაერჩინა შვილი ნაწინასწარმეტყველები უბედურებისგან. მეფის ასულის მეთვრამეტე დაბადების დღეს მამამ მას უცხო ხილით სავსე კალათა აჩუქა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ კალათში იმალებოდა გველი, რომელმაც მეფის ასულს უკბინა და იგი მამის ხელში გარდაიცვალა – ისე, როგორც მკითხავმა უწინასწარმეტყველა. ამიტომ კოშკს ქალწულის კოშკი დაარქვეს.²¹

▼ განმაზოგადებელი კითხვა

რატომ შეიძლება ერთი ხალხის კულტურული ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის ინტერესს წარმოადგენდეს?

²⁰ Достопримечательности Турции: Девичья Башня (башня Леандра) в Стамбуле. notes-travelers.ru. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://notes-travelers.ru/zametki/o-turcii/dostoprimechatelnosti-turcii-devichya-bashnya-bashnya-leandra-v-stambule.html>.

²¹ Виртуальный тур в Кызкулеси. ელექტრონული რესურსი Один день в Кызкулеси (GEÇMİŞTEN GÜNÜMÜZE KIZLKULESİ) აზერბაიჯანულ ენაზე. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.kizkulesi.com.tr/#>.

ქალაქი, როგორც მრავალფეროვნების სარკე. თბილისი და მისი მცხოვრებნი XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს

▶ როგორ და რატომ იცვლება ქალაქის იერ-სახე?



1. რა არის ქალაქი? შეარჩიეთ რაც შეიძლება მეტი სიტყვა, რომელიც იწვევს თქვენში ასოციაციას სიტყვასთან „ქალაქი“. რით განსხვავდება ქალაქები ერთმანეთისგან და რა აქვს მათ საერთო?

◆ ისტორიული ცნობა

თბილისი, თანამედროვე საქართველოს დედაქალაქი, V საუკუნეშია დაარსებული. მას ასე დაერქვა, რადგან ამ ადგილას დღესაც მრავალი თბილი გოგირდოვანი წყარო არსებობს. VI საუკუნეში თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქი გახდა და მას გალავანი შემოარტყეს. VII საუკუნის შუაწლებში საქართველო არაბებმა დაიპყრეს და ქალაქი თბილისის საამიროს ცენტრად იქცა. არაბების მიერ შემოტანილმა ისლამმა დიდი გავლენა მოახდინა თბილისის ყოფაცხოვრებასა და კულტურაზე. XI საუკუნეში, დავით IV აღმაშენებლის მეფობის დროს, თბილისი კვლავ საქართველოს გავლენის ქვეშ მოექცა და გაერთიანებული ქვეყნის დედაქალაქი გახდა.

XIV-XVIII საუკუნეებში თბილისის სხვადასხვა დამპყრობელი ესხმოდა თავს. XVIII საუკუნის თბილისი მკვეთრად განსხვავდებოდა XII-XIII საუკუნეების ქალაქისაგან. ათასწლეულზე მეტ ხანს ის მთელი კავკასიის სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრი იყო. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანლები, ბერძნები, ქურთები, სპარსელები, არაბები, თურქები, ჩერქეზები, ლეკები და სხვა ხალხების წარმომადგენლები. თბილისის დიდი აბრეშუმის გზის განშტოება კვეთდა.

XVIII საუკუნეში საქართველო ეძებდა მოკავშირეს თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში და იძულებული გახდა დამორჩილებოდა რუსეთს, სამხედრო დახმარების სანაცვლოდ. XIX საუკუნის პირველ ათწლეულში, როდესაც მზარდმა რუსეთის იმპერიამ საქართველოს ტერიტორიის ანექსია მოახდინა, თბილისი კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად და მეფისნაცვლის რეზიდენციად იქცა. იმპერიულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ერის ინტეგრაციას, რადგან მეფის მთავრობა მრავლად ასახლებდა საქართველოში გერმანელ, რუს და სხვა ეროვნების კოლონისტებს, რომელთაც მიწებს ურიგებდა და გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა თბილისზეც: გაიზარდა მისი ტერიტორია, გაჩნდა ე.წ. ევროპული უბნები, აშენდა სხვადასხვა საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობა. XIX საუკუნის შუა წლებში კოლონიური ხელისუფლება, ადგილობრივ დიდებულებთან ერთად, უფრო მოქნილ კულტურულ პოლიტიკას ატარებდა: აღდგა ქართული თეატრი, დაარსდა ოპერა, საჯარო ბიბლიოთეკა, კავკასიის მუზეუმი, დაიწყო ახალი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. რუსეთისა და საზღვარგარეთის კაპიტალის შეღწევამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხელი შეუწყო ქალაქის მოდერნიზაციას: გაჩნდა უცხოური სამრეწველო კომპანიები, ახალი საზოგადოებრივი ნაგებობები, შეიქმალა არქიტექტურული სტილი, აიგო ახალი შენობები, რომლებიც ქალაქს დღესაც ამშვენებს.

ბლოკი 1. ძველი თბილისი მოგზაურთა თვალით



2. გაეცანით წყაროებს 1-4. მიაქციეთ ყურადღება სურათების შექმნის თარიღს. ქალაქის როგორ იერ-სახეს ქმნის ეს წყაროები? ჩაინერეთ საკვანძო სიტყვები.

წყარო 1 თბილისი XVIII საუკუნის დასასრულს¹



წყარო 2 თბილისის ხედი აბანოთუბნიდან, XIX ს.²



¹ ავტორი უცნობია – იხ. ელექტრონული ჟურნალი Исторические карты Тбилиси. <http://www.livejournal.com/> – ხელმისაწვდომია მისამართზე <http://athanatoi.livejournal.com/52841.html>.

² მხატვარ სერგეევის გრაფიურის ფრაგმენტი. ელექტრონული ჟურნალი Исторические карты Тбилиси <http://www.livejournal.com/> – ხელმისაწვდომია მისამართზე <http://athanatoi.livejournal.com/52841.html>.

წყარო 3 თბილისი.
რუსი მხატვრის ნ. გ. ჩერნეცოვის
სურათი, 1839 წ.³



წყარო 4 თბილისი. 1837 წელი.
რუსი პოეტის
მ. ი. ლერმონტოვის სურათი



- ▼
3. ვინ აღწერა თბილისი (წყაროები 5-9)? რაზე მეტყველებს მათი ინტერესი ქალაქისადმი?
 4. რა ზეგავლენა შეიძლება მოეხდინა მოგზაურის წარმომავლობას მის შთაბეჭდილებაზე? რატომ?
 5. რა აერთიანებს მოგზაურთა შთაბეჭდილებებს? ქალაქის რა თავისებურებებია ხაზგასმული თბილისში სტუმრობის შესახებ ჩანაწერებში? შეურჩიეთ საკვანძო სიტყვები წყაროებს 5-9.
 6. რა სიახლეები დაინახეს წყაროების 6-9 ავტორებმა, წყაროებთან 1-5 შედარებით? რა აქვს საერთო და რა განასახვავებს ერთმანეთისგან თბილისის აღწერას ვიზუალურ და ნარატიულ წყაროებში?
 7. როგორ იცვლებოდა, სხვადასხვა ავტორის აღწერიდან გამომდინარე, თბილისისა და თბილისელების იერ-სახე? რომელი მოგზაური შეიძლება ყოფილიყო სურათების 1-4 თანაავტორი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

წყარო 5 გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი
1770-იანი წლების თბილისის შესახებ

თბილისი სპარსული და ევროპული ტიპის დედაქალაქი და ქართლის მეფეთა რეზიდენციაა. დღევანდელი ქალაქი წარმოადგენს ლამის ბლაგვ სამკუთხედს და თითქმის მთლიანად, მტკვართან ერთ-ერთ ადგილამდე, აგურის კედლით არის შემოფარგლული. სახლები ერთსართულიანია, აგურით, ქვის ფილებითა და ქვითკირით ნაშენები; მათი სიმაღლე დაახლოებით 15 ფუტს⁴ აღწევს, სახურავები ბრტყელია და თიხამოყრილი. ქალაქის მკვიდრნი, უმეტესწილად, თავიანთი ვენახებისა და ნათესების, განსაკუთრებით, ბამბის კულტურის ხარჯზე ცხოვრობენ. აგრეთვე ბევრია ვაჭარი ან, უფრო სწორად,

³ ელექტრონული ჟურნალი Тбилиси (Тифлиς) на полотнах XIX столетия – ელექტრონული რესურსი ხელ-მისაწვდომია მისამართზე – http://www.liveinternet.ru/users/anna_27/post183414594/.
<http://www.liveinternet.ru/tags/%D1%F2%E0%F0%FB%E9+%D2%E1%E8%EB%E8%F1%E8/>.

⁴ ფუტი – სიგრძის საზომი ერთეული საზომი ერთეულების ინგლისურ სისტემაში. 15 ფუტი დაახლოებით 4,6 მეტრია.

მეწერილმანე, რომლებისგანაც აქაურები გასავლიან ქსოვილებს, წვრილმანებს, სურსათს და სხვა მოსკატელის⁵ საქონელს ყიდულობენ. აქ ნახავთ სხვადასხვა ეროვნების დაბალებს, მჩითავეებს, ფეიქრებს, მჭედლებს.⁶

წყარო 6 რუსი მწერალი ალექსანდრ პუშკინი 1829 წლის თბილისის შესახებ

ქალაქი ხალხმრავალი მომეჩვენა. ვინრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მივბოდნენ გადასაკიდი კალათებით დატვირთული ვირები; კამეჩმებმული ურმები ხერგავდნენ გზას. არასწორი ფორმის მოედანზე სომხების, ქართველების, ჩერქეზების, სპარსელების ჭედვა იყო, მათ შორის კი, ახალგაზრდა რუსი მოხელეები ყარაბაღულ ულაყებს დააჭენებდნენ... თბილისი მდებარეობს მტკვრის ნაპირას, ხეობაში, რომელიც კლდოვანი მთებითაა გარშემორტყმული. ქალაქის უდიდესი ნაწილი აზიურ ყაიდაზეა გაშენებული: სახლები დაბალია, სახურავები – ბრტყელი. ჩრდილოეთ ნაწილში აღმართულია ევროპული არქიტექტურის სახლები, მათ მახლობლად თანდათან იქმნება სწორი ფორმის მოედნები.⁷

წყარო 7 ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰამი XIX საუკუნის 30-იანი წლების თბილისის შესახებ

ფრანგთა კოლონიის წყალობით, რომელიც უმეტესწილად პარიზელი მკერავი და მექუდე ქალებისგან შედგება, ქართველ ქალბატონებს საშუალება აქვთ მისდიონ მოდას სულ ორიოდ კვირის დაგვიანებით... მთავარი ქარვასლა⁸ თბილისში სომხის აშენებულია. ეს ქარვასლა საინტერესო სანახაობას წარმოადგენს. მის ჭიშკარში ყველა შედი-გამოდის აქლემებით, ცხენებით და ვირებით. ყველა აღმოსავლური ერის წარმომადგენლები: თურქები, სომხები, სპარსელები, არაბები, ინდოელები, ჩინელები, ყალმუხები, თურქმენები, თათრები, ჩერქეზები, ქართველები, ციმბირელები და კიდევ ღმერთმა უწყის ვინ! ამ ბაზრებთან თავს იყრის ქალაქის არისტოკრატიული ნაწილისგან სრულიად გამოყოფილი სავაჭრო ქუჩების ქსელი.⁹

წყარო 8 ფრანგი მწერალი ალექსანდერ დიუმა XIX საუკუნის 50-იანი წლების თბილისის შესახებ

მისმა ერთმა უბანმა ისე მოგვხიბლა, რომ მრავალჯერ ვენვიეთ – ეს აზიური უბანია. ტფლისში არის სარკიანი ვიტრინები, თეატრი-ვარიეტე,¹⁰ „კონკა“¹¹, ბატონები და ქალბატონები, ევროპულად ჩაცმულ-დახურულნი, მაგრამ აზიური უბანი სხვა არის. აქაურ ქუჩებს, კაცმა რომ თქვას, ქუჩებს ვერც დაარქმევ: შესახვევი, ჩიხი, კიბე. ესაა და ეს. კიბე აქ სახლს სახლთან აკავშირებს, – გვერდიდან, ზევიდან, ქვევიდან. დუქნებში სხვადასხვა ტომის ხალხი ვაჭრობს: და რა საოცარ ნივთებს ჰყიდიან. თეირანსა და კონსტანტინოპოლში ვაჭრობას სპარსელები და თურქები ეწევიან; აქ კი ყველა, ყველა, ვინც კავკასიაში ცხოვრობს: სპარსელი, ქურთი, სომეხი, არაბი, თურქმენი, პალესტინელიცა და ტიბეტელიც. აქ სიმშვიდეა, არავითარი ფუსფუსი. აღმოსავლური უმფოთველობა მომხიბვლელია.¹²

⁵ საღებავები, წებო, არასასურსათო ზეთი და სხვა ქიმიური ნივთიერებანი, როგორც ვაჭრობის საგანი.

⁶ Гильденштедт И. А. Путешествие по Кавказу в 1770-1773 гг./ И. А. Гильденштедт. Санкт-Петербург.: Петербургское востоковедение, 2002. С.106-107.

⁷ А. С. Пушкин. Путешествие в Арзрум. Собр. соч. в 10-ти томах. Т.5. М.: Художественная литература. – 1975. С.362-364.

⁸ რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში/ რ. უილბრაჰამი. თბილისი: მეცნიერება, 1990. გვ.16-17.

⁹ დიდი საზოგადოებრივი შენობა აღმოსავლეთის ქალაქებში, გზებსა და დაუსახლებელ ადგილებში, სადაც ღამეს ათევენ და ჩერდებიან მოგზაურები, როგორც წესი, სავაჭრო ქარავნები.

¹⁰ Дюма А. Кавказ/ А. Дюма. Тбилиси: Мерани, 1988. – С. 167-168.

¹¹ მსუბუქი, უპირატესად კომიკური ჟანრის თეატრი.

¹² ტრანსპორტის სახეობა, ტრამვაის წინამორბედი. რელსებზე შეყენებულ ვაგონს მიენეოდა ორი ცხენი, რომლებსაც მეეტლე მართავდა.

წყარო 9 ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი 1899 წლის თბილისის შესახებ

მისმა ერთმა უბანმა ისე მოგვხიბლა, რომ მრავალჯერ ვეწვიეთ – ეს აზიური უბანია. ტფლისში არის სარკიანი ვიტრინები, თეატრი-ვარიეტე,¹³ „კონკა“,¹⁴ ბატონები და ქალბატონები, ევროპულად ჩაცმულ-დახურულნი, მაგრამ აზიური უბანი სხვა არის. აქაურ ქუჩებს, კაცმა რომ თქვას, ქუჩებს ვერც დაარქმევ: შესახვევი, ჩიხი, კიბე. ესაა და ეს. კიბე აქ სახლს სახლთან აკავშირებს, – გვერდიდან, ზევიდან, ქვევიდან. დუქნებში სხვადასხვა ტომის ხალხი ვაჭრობს: და რა საოცარ ნივთებს ჰყიდიან. თეირანსა და კონსტანტინოპოლში ვაჭრობას სპარსელები და თურქები ეწევიან; აქ კი ყველა, ყველა, ვინც კავკასიაში ცხოვრობს: სპარსელი, ქურთი, სომეხი, არაბი, თურქმენი, პალესტინელიცა და ტიბეტელიც. აქ სიმშვიდეა, არავითარი ფუსფუსი. აღმოსავლური უმფოთველობა მომხიბვლელია.¹⁵



8. რა არის გამოსახული თანამედროვე ფოტოებზე (წყაროები 10-13)? ამ შენობებიდან, რომელი შეიძლება ენახათ მხატვრებს და მოგზაურებს, რომელთა შთაბეჭდილებებიც წარმოდგენილია წყაროებში 1-9?
9. თქვენი ვარაუდით, წყაროებში 5-9 აღწერილ ქალაქის რომელ უბანში შეიძლება ყოფილიყო განლაგებული ეს შენობები?



წყარო 10¹⁶ ძველი თბილისის ერთ-ერთი ქუჩა. ქუჩის ბოლოში მოჩანს მეჩეთი

წყარო 11 აბანოთუბანი – ძველი თბილისის გოგირდის აბანოების უბანი




¹³ მსუბუქი, უპირატესად, კომედიური ჟანრის თეატრი

¹⁴ ტრამვაის წინამორბედი ტრანსპორტის სახეობა, რელსებზე შემდგარ ვაგონში შებმული ორი ცხენით და მედროგით.

¹⁵ ჰამსუნი კ. ზღაპრულ ქვეყანაში / კ. ჰამსუნი. თბილისი: ინტელექტი, 2006. – გვ.144.

¹⁶ ფოტოების 10-13 ავტორია. ლორთქიფანიძე.



წყარო 12 ერთ-ერთი გოგირდის აბანო აბანოთუბანში. XVII ს.

წყარო 13 სახლები ძველი თბილისის უბანში – ავლაბარში, მთის ფერდობზე მდინარე მტკვართან



ბლოკი 2. როგორ იღებდა თანამედროვე იერს ქალაქი



10. წყაროების 14-18 საფუძველზე გააანალიზეთ, რა სიახლე გაჩნდა საქართველოსა და თბილისის ცხოვრებაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე და რასთან დაკავშირებით. როგორ შეცვალა ამან ქალაქის მკვიდრთა ცხოვრების წესი და ქალაქის იერ-სახე?
11. რას მოწმობს თბილისის რუკის (წყარო 15) ავტორობა? იპოვეთ რუკაზე ძველი და ახალი უბნები. რა ნიშნებით განსაზღვრეთ, რომელი რომელია?
12. რა აკავშირებს წყარო 18-ს წყაროებთან 14-17?

წყარო 14 თანამედროვე მკვლევრები თბილისის ეკონომიკური თავისებურებების შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევარში


XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალაქში ჩნდება პირველი კაპიტალისტური ტიპის საწარმოები. XX საუკუნის დამდეგს თბილისში უკვე 600-მდე ფაბრიკა-ქარხანა არსებობდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საფეიქრო, ფანერის, ქეჩის, ასანთისა და თამბაქოს ფაბრიკები, ტყავის, ლუდისა და ზეთსახდელი ქარხნები. ქალაქი ვაჭრობდა უპირატესად მანუფაქტურული საქონლით, ჩაით, რკინეულობით, ფაიფურისა და მინის ნაწარმით. მისი სავაჭრო ბრუნვა წელიწადში 40-50 მილიონ მანეთს აღწევდა. ამიერკავკასიის რკინიგზა აკავშირებდა თბილისსა და ბაქოს, ბათუმსა და ყარსს; გარდა ამისა, ფუნქციონირებდა რუსეთში მიმავალი რკინიგზა და „საურმე“ გზა – საქართველოს სამხედრო გზატკეცილი.¹⁷

¹⁷ Тбилиси. ელექტრონული პორტალი «Словари и энциклопедии на Академике» – ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – dic.nsf/enc_geo/4821/ Тбилиси.

წყარო 15 XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ცენტრის გერმანული რუკა

წყარო 16 გერმანელი კოლონისტები საქართველოში

გერმანელმა კოლონისტებმა, რომლებიც საქართველოში XIX საუკუნეში დასახლდნენ, დაიწყეს მუშაობა სხვადასხვა სფეროში. თბილისსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქალაქებში გერმანელი კოლონისტების მიერ შექმნილმა სანარმოებმა საფუძველი ჩაუყარა ლუდის შემდგომ წარმოებას... ამიერკავკასიაში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანული ფირმის „სიმენსი და ჰალსკე“-ს¹⁸ საქმიანობას. 1866-1867 წლებში თბილისში დასახლდნენ ვერნერ სიმენსის უმცროსი ძმები თავიანთი ოჯახებით... 1901 წელს კარლ სიმენსმა სპილენძის მდიდარი საბადოს¹⁹ დამუშავების უფლება მიიღო.



წყარო 17 თბილისის ძველი სასტუმროები

ევროპელებმა საფუძველი ჩაუყარეს სასტუმრო ბიზნესს თბილისში და დიდი ხნის მანძილზე ეს ბიზნესი, მნიშვნელოვანწილად, მათ ხელში იყო. XIX საუკუნეში სასტუმროს ღირსებად ითვლებოდა, და არა უსაფუძვლოდ, თუკი მას ევროპელი (უპირატესად ფრანგი) მართავდა. ევროპელებმა დიდი წვლილი შეიტანეს სასტუმრო ბიზნესის განვითარებაში და თბილისის ოტელების მსოფლიო დონეზე აყვანა შეძლეს.²⁰

წყარო 18 ქალთა მოდის შეცვლის შესახებ

ყველაზე სწრაფი ტემპით მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილის ქალის კოსტუმი იცვლებოდა. ასე, მასალების თანახმად, თბილისელმა ქალებმა, უწინა ეს ყოვლისა, ყურადღება მიაქციეს ევროპულ ფეხსაცმელს, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდნენ ტრადიციულთან შედარებით. ა. ჰაქსტჰაუზენი,²¹ რომელიც თბილისს XIX საუკუნის შუა წლებში

¹⁸ XIX საუკუნის შუა წლებში დაარსებული გერმანული კომპანია, რომელიც აწარმოებდა ელექტრო-ტექნიკურ მოწყობილობას, სარკინიგზო ტრანსპორტს და საყოფაცხოვრებო ტექნიკას. დღეს „სიმენსი“ ევროპაში უმსხვილესი საერთაშორისო კონცერნია, რომელიც აწარმოებს და ყიდის ელექტროტექნიკას, ელექტრონულ, ოპტიკურ და სამედიცინო მოწყობილობას და სხვ.

¹⁹ სონლულაშვილია. ბ. ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში: ლექციებისკურსი / ა. ბ. სონლულაშვილი, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახ. უნივერსიტეტი, 2005, გვ. 86, 89.

²⁰ ხოშტარია დ.ე. თბილისი. ძველი სასტუმროები / დ.ე.ხოშტარია, თბილისი: არტანუჯი, 2011.გვ. 96-97.

²¹ გერმანელი მოხელე, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებში ეწვია რუსეთის იმპერიას, მათ შორის, კავკასიას.

ენვია, წერდა: „ახლა ევროპული ფეხსაცმელი ხმარებაშია მაღალი წოდების წარმომადგენლებში უკლებლივ და ფრიად გავრცელებულია საშუალო ფენაში“.²² ევროპულმა ფეხსაცმელმა მთლიანად განდევნა ტრადიციული, თანაც მაღალ ფენებში თბილისელი ქალები შევროს, ლაიკის,²³ ატლასის ძალიან ძვირადღირებულ ფეხსაცმელს ატარებდნენ.

<...>ამასთან XIX საუკუნის მეორე ნახევრის პირველივე წლებში თბილისელმა ქართველმა და სომეხმა ქალებმა დაიწყეს ფრანგული და გერმანული კაბების ტარება. ამ კაბებს უხვად აწოდებდნენ მაღაზიებს ფხიანი ვაჭრები, რომლებმაც ალლო აუღეს ახალ კონიუნქტურას. XIX საუკუნის 80-იანი წლებისთვის ქალაქელები ძირითადად ევროპული ფასონების კაბებს ატარებდნენ. მათთან ერთად ხმარებაში შემოვიდა იმდროინდელი დასავლური მოდის ისეთი ატრიბუტი, როგორიცაა კორსეტი, რომელიც უაცილებელი იყო, მაგალითად, თბილისში 1880-იანი წლების დასასრულს გავრცელებულ „პრინცეს“ ფასონის კაბებში.²⁴



13. წყაროების 19-24 მონაცემების მეშვეობით, დაადგინეთ ახალი შენობების დასახელება. რა ფუნქციებს ასრულებდა ეს შენობები და რაზე მეტყველებს სწორედ ასეთი ნაგებობების გაჩენა?
14. ვინ არიან ამ ნაგებობათა ავტორები? რას მოწმობს ის, რომ საჯარო ნაგებობათა ასაშენებლად საზღვარგარეთელ არქიტექტორებს იწვევდნენ? თქვენი აზრით, რამდენად არის დაკავშირებული ასეთი არქიტექტურა ტრადიციულ ქართულ კულტურასთან?
15. რა აერთიანებს წყაროებს 14-24? შეურჩიეთ საკვანძო სიტყვები თბილისის აღწერას, რომელსა ამ ბლოკის წყაროები იძლევა. რამდენად სრულია ინფორმაცია ქალაქის შესახებ? შეადარეთ ერთმანეთს პირველი და მეორე ბლოკისთვის შერჩეული საკვანძო სიტყვები და გამოთქმები. არის თუ არა დამთხვევა? რასთან არის ეს დაკავშირებული?



წყარო 19²⁵ პალას ოტელი.

იტალიელი არქიტექტორი ჯ. ბერნარდაცი, აშენებულია ქართველი მეცენატის ი. ზუბალაშვილის შეკვეთით 1830-იან წლებში. 1840-1911 წლებში შენობაში განლაგებული იყო სასულიერო სემინარია. 1917 წელს გადაკეთებულ იქნა სასტუმროდ. ამჟამად – ხელოვნების მუზეუმი პუშკინის ქუჩაზე

²² იგულისხმება 1860-1880 წლების რეფორმები რუსეთის იმპერიაში.

²³ შევრო, ლაიკა – სპეციალურად გამოყვანილი ტყავის სახეობანი.

²⁴ გამოყენებულია მასალები: Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке. Москва, «Наука», 1990. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://costumer.narod.ru/text/kavkaz/tbilisi.htm>.


²⁵ ფოტოების 19-24 ავტორია ა. ლორთქიფანიძე.




ნყარო 20 სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს შენობა, აგებულია 1894 წელს. ავტორი – პოლონელი არქიტექტორი ა. შიმკევიჩი, ამჟამად – უმაღლესი სასამართლო ზუბალაშვილის ქუჩაზე.



ნყარო 21 სასახლე, რომელშიც ამჟამად განლაგებულია თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი. აშენებულია 1895 წელს გერმანელი არქიტექტორის პ. შტერნის პროექტით.



ნყარო 22 სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობა. აგებულია 1913-1916 წლებში. ავტორები – რუსი არქიტექტორი ა. კალგინი და პოლონელი მხატვარი გ. გრინევსკი. ჩუქურთმები შესრულებულია ქართველი ოსტატების ნეოფიტე, ვლადიმერ და ლავრენტი აგლაძეების მიერ. ამჟამად პარლამენტის ბიბლიოთეკა.



წყარო 23

მხატვართა საზოგადოების სახლი. აშენებულია 1898-1901 წლებში რუსი ინჟინრის და არქიტექტორის კ. ტატიშჩევისა და პოლონელი არქიტექტორის ა. შიმკევიჩის პროექტით. ამჟამად – რუსთაველის თეატრი რუსთაველის გამზრზე.

წყარო 24 **ოტელი მაჯესტიკი.** მფლობელი – სომეხი მენარმე მ. არამიანცი. მშენებლობა დაიწყო 1910 წელს რუსი არქიტექტორის ა. ოზეროვის პროექტით, დამთავრდა 1915 წელს სომეხი არქიტექტორის გ. ტერ-მელიქოვის პროექტით. სკულპტურული დეტალების შესრულებაში მონაწილეობდა ლავრენტი აგლაძე. ამჟამად – სასტუმრო „Tbilisi Marriott“ რუსთაველის გამზირზე.



შემაჯამებელი განხილვა

თქვენი აზრით, რას დაკარგავდა თბილისი, რომ ყოფილიყო „დახურული ქალაქი“, რომელშიც არავინ იცხოვრებდა ქართველების გარდა?
როგორ და რატომ იცვლება ქალაქის იერ-სახე?

გერმანელი ახალმოსახლეები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში

- რა წვლილი შეიტანეს გერმანელმა კოლონისტებმა
აზერბაიჯანის ეკონომიკურ
და კულტურულ პალიტრაში?



1. გაეცანით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების ახალ და ძველ დასახელებებს:

გოიგოლი – ჰელენენდორფი;
თაუზი – ტრაუბენფელდი;
ირმაშლი – ეიჰენფელდი;
ჩინარლი – გეორგეფელდი;
შამქირი – ანენფელდი

2. როგორ ფიქრობთ, რატომ გვხვდება თანამედროვე აზერბაიჯანის ისტორიულ რუკაზე გერმანულენოვანი დასახელებები?

ბლოკი 1. გერმანელების გადასახლება აზერბაიჯანში

◆ ისტორიული ცნობა

რუსეთის იმპერიაში გერმანელ კოლონისტთა გადასახლება ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის იმპერატორობის დროს დაიწყო. XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის რუსეთ-თურქეთის ომებისა და დიდი ტერიტორიების მიერთების შემდეგ გერმანელ გლეხებსა და ხელოსნებს ინვესტირება შეუძლებლობის გამო დასახლება აღუდგინდა. ამიერკავკასიის მიერთებისა და 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის წინაშე დაპყრობილ ტერიტორიებზე გავლენის გაძლიერების საკითხი დადგა.

ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ბევრი გერმანელი დათანხმდა გადმოსახლებაზე, განსაკუთრებით გერმანიის სამხრეთ-დასავლეთის ოლქებიდან, კერძოდ, ვიურტემბერგის სამეფოდან, გახდა იქაური მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება, ნაპოლეონის ომების ეპოქაში, ევროპაში მომხდარი პოლიტიკური რყევების შედეგად.¹ სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გერმანელი კოლონისტების გადასახლება პრაქტიკულად ას წელიწადს გაგრძელდა.

რუსეთის ხელისუფალთა დახმარების მიუხედავად სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე გადმოსახლებული გერმანელების მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. ადაპტაციის პროცესს ართულებდა უჩვეულო ჰავა, შეუგუებლობა ადგილობრივი ცხოვრების წესისადმი, სხვადასხვა დაავადების გავრცელება. მიუხედავად ამისა, გერმანელთა დასახლებები, რომელთაგან ყველაზე მსხვილი ჰელენენდორფი იყო, რამდე-

¹ ნაპოლეონის ომები – მიმდინარეობდა ევროპაში 1799-1815 წლებში.

ნიმე ათწლეულის განმავლობაში ძლიერ მეურნეობებად იქცა. თავიანთი კოლონიების შექმნისთანავე, კავკასიელი გერმანელები ეთნიკური და რელიგიური თვითმყოფადობის, ტრადიციული კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებას ცდილობდნენ.

კავკასიის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც კოლონისტებს, ასევე საერთაშორისო ბიზნესის, მეცნიერებისა და კულტურის გერმანული წარმოშობის წარმომადგენლებს. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ბევრი გერმანელი მეწარმე აბანდებდა კაპიტალს ნავთობის ბიზნესის, მანქანათმშენებლობის, სამთამადნო საქმისა და სპილენძის წარმოების განვითარებაში, აზერბაიჯანის დიდ ქალაქებში, უწინარეს ყოვლისა, ბაქოში ახალ სახლებსა და საზოგადოებრივ ნაგებობებს აშენებდა.

3. რუსეთის სახელმწიფოს რა ინტერესებზე მეტყველებს წყაროები 3 და 4? როგორ ფიქრობთ, რატომ აძლევდნენ შეღავათებს ახალმოსახლებებს (წყარო 4)?
4. წყაროების 1,2,5,6 და 7 ინფორმაციასა და ისტორიულ ცნობაზე დაყრდნობით, დაადგინეთ XIX საუკუნის დამდეგს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში გერმანელთა დასახლებების გაჩენის მიზეზები.
5. რა აკავშირებს ერთმანეთთან წყაროებს 3, 4, 7?

წყარო 1 გერმანელი ახალმოსახლების გზა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიისკენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში



წყარო 2 გერმანელთა დასახლებები სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს



წყარო 3 რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის 1804 წლის 20 თებერვლის მანიფესტიდან

რუსეთის მთავრობამ უნდა მიიზიდოს: „იმიგრანტები, რომლებიც შეიძლება სამაგალი-
 თონი იყვნენ მიწათმოქმედებასა და ხელოსნობაში, ... კარგი მიწათმოქმედები, ადამიანები,
 რომლებსაც გამოცდილება აქვთ ვენახების, თუთის ხეებისა და სხვა სასარგებლო მცენარეე-
 ბის გაშენების ან მეცხოველეობის, განსაკუთრებით, ცხვრის საუკეთესო ჯიშების გამოზ-
 რდის დარგში და, საერთოდ, ისეთი ადამიანები, რომლებსაც აქვთ ყოველმხრივი ცოდნა,
 რათა რაციონალურად წარმართონ სოფლის მეურნეობა...“.²

² История российских немцев. – ელექტრონული რესურსი – http://www.russlanddeutschesgeschichte.de/start_russisch.htm. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.russlanddeutschesgeschichte.de/russisch/geschichte/teil1/bedingungen/manifest.htm>.

წყარო 4 რუსეთის მთავრობის მითითებიდან კოლონისტების შეღავათების შესახებ

კოლონისტები ათი წლით თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან, სამხედრო და სამსახურებრივი მოვალეობისაგან. ამ ვადის ამონურვის შემდეგ მათ შემდგომი ათი წლის განმავლობაში უნდა ეხდათ მიწის გადასახადი;

რუსეთის საზღვრიდან დასახლების ადგილამდე მისასვლელად უსასყიდლოდ ეძლეოდათ მგზავრობის საზღაური;

ადგილზე მოსაწყობად (კარმიდამოს ასაშენებლად, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და ცხოველების შესაძენად) ეძლეოდათ სესხი;

ნებადართული ჰქონდათ ფაბრიკების, სახელოსნო საწარმოების მშენებლობა და ვაჭრობა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.³

წყარო 5 რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შესახებ

რეგიონში, აგრეთვე ჩრდილო აზერბაიჯანში რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო ასიმილაცია⁴ და ამ ქვეყნის გადაქცევა ვრცელი რუსეთის იმპერიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის იმპერია ჩრდილო აზერბაიჯანში ისევე, როგორც კავკასიაში, ახორციელებდა (სხვადასხვა ხალხის – რედ.) გადმოსახლების პოლიტიკას, რომელიც კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.⁵

წყარო 6 გერმანიიდან ემიგრაციის მიზეზები

ნაპოლეონის ომების შემდეგი გაპარტახება, უმინობა, ფასების ზრდა, გადასახადების გადიდება, გლეხებისა და ხელოსნების მიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მასების გალატაკება, რეკრუტებად⁶ წაყვანის საფრთხე საყოველთაო სამხედრო ბეგარის პირობებში, უკანასკნელი წლების უამინდობა და მოუსავლიანობა, შიმშილი (მაგალითად, 1816 წელს ჭამდნენ ნებოს, ლოკოკინებს, ხის ქერქს, ბალახს და ა.შ.) უბიძგებდნენ <...> ემიგრაციისკენ.⁷

წყარო 7 XIX საუკუნის დამდეგს კავკასიაში გერმანელთა გადმოსახლების შესახებ

კოლონისტების გადმოსახლების პროცესის ხანგრძლივობა იმით აიხსნება, რომ ისინი მოდიოდნენ კოლონებად, რომლებიც სიძნელების, ავადმყოფობის, სიკვდილიანობის, კლიმატური პირობების გამო, გზად ხშირად ფერხდებოდნენ. გერმანელ ახალმოსახლეთა

³ История российских немцев. – ელექტრონული რესურსი – http://www.russlanddeutschesgeschichte.de/start_russisch.htm. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.russlanddeutschesgeschichte.de/russisch/geschichte/teil1/bedingungen/manifest.htm>.

⁴ ასიმილაცია – ერთი ხალხის ძალდატანებითი შერწყმა მეორესთან, რასაც მოჰყვება ენის, კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების დაკარგვა.

⁵ Хаджар Вердиева. Немцы в Северном Азербайджане. Баку.: «ЭЛМ». 2009. С.13. წიგნის ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.ebooks.az/view/orXjt0kT.pdf>

⁶ რეკრუტი – სავალდებულო სამხედრო ბეგარის გამო სამხედრო სამსახურში მიღებული ახალბედა ჯარისკაცი.

⁷ Т. Н. Чернова-Дёке. Немецкие поселения на периферии Российской империи. Кавказ: взгляд сквозь столетия (1818-1917). М.: «МЧК-пресс», 2008. С.17. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://www.rusdeutsch.ru/biblio/files/2_1_biblio.pdf.

პირველი კოლონა, 40 ოჯახის შემადგენლობით <...>, გადმოსახლების ნებართვის მიღებისთანავე, 1816 წლის სექტემბერში დაადგა გზას დუნაის, გალიციის გავლით.<...>1818 წლის გაზაფხულზე მეფის მთავრობამ გერმანელ ახალმოსახლეთა უკანასკნელი კოლონები დაასახლა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ელიზავეტპოლის ოლქში, სადაც დაარსდა ორი გერმანული დასახლება – ჰელენენდორფი და ანენფელდი, რომლებსაც ასე ეწოდა დიდი თავადის ასულების,⁸ იმპერატორ ალექსანდრე I-ის დების – მაკლენბურგ-შვერინის პერცოგის ცოლის ელენეს და ნიდერლანდების დედოფლის ანას პატივსაცემად.⁹

ბლოკი 2. გერმანელ ახალმოსახლეთა ყოფა-ცხოვრება



6. რომელი დროის შესახებ წერს თავის ჩანაწერებში მოგზაური (წყარო 8)? თქვენი აზრით, რამდენად კანონზომიერია ის, რომ გადმოსახლებულნი ახალ ადგილზე განკერძოებულად ცხოვრობდნენ?
7. კოლონისტების ყოფა-ცხოვრების რა თავისებურებებს ასახავს წყაროები 8,9 10? როგორ შეესაბამება ერთმანეთს ამ წყაროების ინფორმაცია?

წყარო 8 მოგზაურის შთაბეჭდილებები

აზერბაიჯანში დასახლების თავდაპირველ პერიოდში კოლონისტები საკმაოდ განკერძოებულად ცხოვრობდნენ. ამას ადასტურებს თავის ჩანაწერებში მოგზაური მორენასიცი, რომელმაც 1830 წელს მთელი კავკასია, მათ შორის, აზერბაიჯანი მოიარა. იგი წერს: „გერმანელთა ორმა კოლონიამ (მხედველობაშია ჰელენენდორფი და ანენფელდი), რომლებიც უკვე ათი წელია ცხოვრობენ აზიელ ხალხს შორის, არაფერი გადაიღო მისგან, სასარგებლოც კი. ამ ორი კოლონიის წევრები ცხოვრობენ და, ჩანს, დიდხანს აპირებენ ცხოვრებას მტკვრის პირას ისე, თითქოს არასოდეს მოსცილებიან რაინის¹⁰ ნაპირებს. მათ იციან ის, რაც იცოდნენ სამშობლოდან წასვლამდე... მათ არაფერი ახალი არც შემოუღიათ და არც გადმოუღიათ“¹¹.

წყარო 9 გერმანელთა თემის ყოფა-ცხოვრება აზერბაიჯანში

<XIX საუკუნეში> გერმანელებს მრავალშვილიანი ოჯახები ჰყავდათ: 8-10 შვილი ოჯახში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. ტრადიციისამებრ, ოჯახის მიწა უმცროს ვაჟს რჩებოდა, უფროსებისთვის კი მისი შეძენა წინასწარ იყო საჭირო. გერმანელთა შრომისმოყვარეობამ, მიწის სიყვარულმა, ადგილობრივ მოსახლეობასთან კეთილმეზობლურმა ურთიერთობამ განაპირობა მათთვის ახალი მიწების გამოყოფა. მაგალითად, ჰელენენდორფიდან 25 კილომეტრის დაშორებით, მდინარე შამქირთან, ახალი კოლონია შეიქმნა.

გადიოდა დრო. გერმანელთა თემი იზრდებოდა. მათი პირველი კოლონია ჰელენენდორფი გადაიქცა ტიპიურ პატარა გერმანულ ქალაქად, სადაც იყო კირხე¹², კლუბი, სკოლა და აყვავებული პარკი და სკვერები. შეიქმნა პატარა ორკესტრი, რომლის დაკრულზეც

⁸ დიდი თავადის ასულები – რუსეთის იმპერიაში იმპერატორის დების ან ქალიშვილების ტიტული. ელენე პავლეს ასული, ანა პავლეს ასული – იმპერატორ ალექსანდრე I-ის დები, იმპერატორ პავლე I-ის ქალიშვილები.

⁹ Судба Зейналова. Немцы на Кавказе. Баку:Изд-во Mutercim, 2008.— С. 47–48.

¹⁰ რაინი – გერმანიის მთავარი მდინარე.

¹¹ Цит. по: Судба Зейналова. Там же. — С. 54.

¹² კირხე (გერმანულიდან Kirche – ეკლესია) – ლუთერანული ეკლესია.

ჰელენენდორფელები ცეკვავდნენ, მღეროდნენ, მართავდნენ პატარ-პატარა იუმორისტულ სპექტაკლებს.

XIX საუკუნის დამლევს ჰელენენდორფში ააშენეს პატარა ელექტროსადგური, გაიყვანეს ელექტრობა, შეიქმნა სატელეგრაფო კვანძი. ყველა კოლონიაში იყო სამედიცინო მომსახურება, გაიხსნა საფერშალო პუნქტიც. მეღვინეობის განვითარების კვალობაზე კოლონიებში იქმნებოდა საჭირო საწარმოები – სამჭედლო, სადურგლო, კასრების დამამზადებელი და სხვა საამქროები. ტექნიკურად აღჭურვილი მეურნეობები ეკუთვნოდა პროფესიულ მეღვინეს ქრისტოფორ ფორერს. გერმანელთა დასახლებების გაფართოების პროცესი გრძელდებოდა, იქმნებოდა ახალი კოლონიები.¹³

წყარო 10 გერმანელთა ოჯახი ჰელენენდორფში საუკუნის დამდეგს¹⁴



8. გერმანელთა დასახლებების ეკონომიკური ცხოვრებისა და მეურნეობის გაძლიერის რა თავისებურებებს ასახავს წყაროები 11, 12 და 14?
9. დაახასიათეთ სარეკლამო განცხადება (წყარო 13). რა დამატებით ინფორმაციას გვაძლევს ეს განცხადება აზერბაიჯანში გერმანელი კოლონისტების ეკონომიკური ცხოვრების შესახებ?
10. როგორ ფიქრობთ, გაამართლეს თუ არა გერმანელმა ახალმოსახლეებმა რუსეთის მთავრობის ეკონომიკური მოლოდინი? რა შეიძინეს გერმანელმა კოლონისტებმა აზერბაიჯანში დასახლების შედეგად? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

¹³ Сабир Алиев. О славных и трагических страницах жизни немцев-переселенцев в Азербайджане. Немецкие переселенцы в Азербайджане. Электронный журнал «Ваш партнер в Германии» – ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.partner-inform.de/> Рубрика: История. Известное о неизвестном. – <http://www.partner-inform.de/partner/detail/2012/11/235/5659>.

¹⁴ https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A4%D0%B0%D0%B9%D0%BB:Russisches_Imperium_Helenendorf_1910.jpg.

წყარო 11 სამეურნეო საქმიანობის თავისებურებები გერმანელთა კოლონიებში

გერმანელებს მოჰყავდათ ხორბალი, ქერი და ფეტვი; იყენებდნენ თესლბრუნვას, ე.ი. პერიოდულად ანაცვლებდნენ ერთმანეთს კულტურების ნათესებს; იყენებდნენ აგრეთვე ოთხმინდვრიან თესლბრუნვას. მიწის დასამუშავებლად ხმარობდნენ ადგილობრივ ტრადიციულ მძიმე გუთანს, რომელშიც 8-10 ცხენი იყო შებმული. ნათესების სარწყავად ისევე, როგორც კავკასიელი გლეხები, იყენებდნენ სარწყავი რუების სისტემას. ჰელენენდორფსა და ანენფელდში ადგილობრივმა ოსტატებმა კოლონისტებისთვის გათხარეს ქიარგიზები – სარწყავი წყლის შესაგროვებელი მიწისქვეშა საირიგაციო¹⁵ ნაგებობები. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, გერმანელებმა იქაური მოსახლეობისგან გადაიღეს ხორბლის ლეწვა სალენი დაფებით, სამკავად კი ადგილობრივ ნამგლებს ხმარობდნენ. თავდაპირველად, ვენახებს ადგილობრივი ტრადიციული ხერხით ამუშავებდნენ, რგავდნენ ყურძნის ადგილობრივ ჯიშებს. შემდეგ კოლონისტებმა დაიწყეს ყურძნის ახალი ჯიშების, მათ შორის, მუსკატის, რქანითელის, საფერავის, იზაბელას კულტივირება. მათ გააშენეს ხეხილის ბაღებიც, მოყავდათ კარტოფილი და ბოსტნეული, რომლებიც აზერბაიჯანელებს¹⁶ გააცნეს.

წყარო 12 რთველი ჰელენენდორფში. საუკუნის დამდეგი¹⁷



¹⁵ ირიგაცია (ლათინურიდან irrigatio – მორწყვა) – მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა.

¹⁶ Рауф Гусейн-заде. Немцы Азербайджана. ელექტრონული რესურსი: Координационный совет азербайджанской молодежи. Раздел Публикации. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.ksam.org/index.php?mtype=news-1&mid=413>.

¹⁷ http://commons.wikimedia.org/wiki/File:Grape_gathering_in_Helenendorf.png.



ქრისტოფორ ფორერი – გერმანელ კოლონისტთა ოჯახის წევრი. 1846 წ. გააშენა ჰელენენდორფის მიდამოებში საუკეთესო ჯიშის ვენახი. 1862 წელს შექმნა მეღვინეობის საწარმო, რომელსაც 1870 წლიდან, როცა მამასთან ერთად აქტიური მუშაობა დაიწყო მისმა შვილებმა – გოტლიბმა, ქრისტოფორ მეორემ, ფრიდრიხმა და ჰაინრიხმა, დაერქვა „ქრისტოფ ფორერი და შვილები“.

1868 წელს ფორერების სააქციო საზოგადოებამ გახსნა თავის რეგიონში პირველი ლუდის ქარხანა, ხოლო 1892 წელს – აზერბაიჯანში პირველი კონიაკის ქარხანა.

¹⁸ აღებულია ელექტრონული რესურსიდან «Наш Баку. История Баку и бакинцев». ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ourbaku.com/http://www.ourbaku.com/index.php5/%D0%A4%D0%B0%D0%B9%D0%BB:-Forer_stor.jpg.

წყარო 14 გერმანელ კოლონისტთა მიერ ფურგონების¹⁷ წარმოება

გერმანულ კოლონიებში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა ფურგონების წარმოება. კოლონისტები ამზადებდნენ ევროპული ტიპის (გადახურულ) ფურგონებს,¹⁹ რომლებსაც იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო ტვირთის, უმთავრესად, ღვინის კასრების გადასაზიდად. ფურგონების წარმოებამ ფართო მასშტაბი შეიძინა XIX საუკუნის 70-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში (1877 – 1878), როდესაც კოლონისტების მიერ დამზადებულ ფურგონებს სამხედრო მიზნებისთვის თითქმის მთლიან პარტიებად ყიდულობდა სამხედრო უწყება, მაქსიმალურ ფასად, <...> რის შედეგადაც, ბევრმა გერმანელმა კოლონისტმა სოლიდური კაპიტალის დაგროვება შეძლო. ფურგონების წარმოების გარდა, გერმანელთა კოლონიებში სხვა ხელობებიც ვითარდებოდა. სახელოსნოებთან ერთად, კოლონიებში არსებობდა სავაჭრო პუნქტებიც – სასურსათო დუქნები, აფთიაქები, აგრეთვე ტექნიკური საწარმოო ნაგებობანი – ელექტროსადგურები, ნისქვილები და სხვა.²⁰

ბლოკი 3. გერმანული მემკვიდრეობა თანამედროვე აზერბაიჯანში

11. გაეცანით მესამე ბლოკის წყაროებს. წარმოიდგინეთ, რომ დაგავალეს სახელმძღვანელოს გვერდის დაწერა აზერბაიჯანის გერმანელთა შესახებ. აარჩიეთ ბლოკის ერთი წყარო, რომელიც თქვენი თვალსაზრისით ყველაზე მკაფიოდ ახასიათებს გერმანელების წვლილს თანამედროვე აზერბაიჯანის კულტურულ მემკვიდრეობაში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.



წყარო 15 1850-იან წლებში აგებული კირხე ჰელენენდორფში. საუკუნის დამდეგის ფოტო²¹

წყარო 16 თეატრის განვითარება აზერბაიჯანში

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე მთელ აზერბაიჯანში ინტენსიურად ვითარდება თეატრი. როგორც წერდა ცნობილი პუბლიცისტი და მთარგმნელი ჰუსეინ მინასაზოვი, „მეჩეთი, აბანო და თეატრი – აი სამი ადგილი, სადაც მუსლიმებს შეუძლიათ თავი მოიყარონ, შეხვდნენ ერთმანეთს და იარსებონ საერთო ინტერესებით. პირველი ორი არსებობის ასობით წელს ითვლის მაშინ, როდესაც მესამე მხოლოდ უახლესი ხანის ქმნილებაა“. ეს მოწმობს, რომ მოკლე ვადაში

¹⁹ ფურგონი (ფრანგულიდან fourgon) – ცხენებზემზდი, ფანერით ან ქსოვილით გადახურული დიდი ოთხთვალა საზიდარი.

²⁰ Судба Зейналова. Немцы на Кавказе. Баку:Изд-во Mutercim, 2008. С.63

²¹ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://en.wikipedia.org/wiki/Goygol_%28city%29#/media/File:Kirche_in_Helenendorf.png.

თეატრმა მოსახლეობაში დიდი პოპულარობა მოიპოვა. განჯაში პირველი სპექტაკლი 1895 წელს დაიდგა. <...> აქ სპექტაკლები ძირითადად გერმანელი მენარმის, ფორერის სახსრებით აშენებულ კლუბში იმართებოდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში აშენდა თეატრი.²²

წყარო 17 ჰელენდორფის ქუჩა XX საუკუნის დამდეგს²³



წყარო 18 აზერბაიჯანში გერმანელთა დასახლებების არქიტექტურის თავისებურებები

ძირითადად, კოლონიები მშენებლობაში იმეორებდა მკაფიოდ დაგეგმარებულ შუაგერმანულ დასახლებებს: ერთმანეთის პარალელური ქუჩები ჭადრებითა და მსხლის ხეებით იყო მოვრეული; უპირატესობა ეძლეოდა მსხალს, რომელიც გერმანულ ჰერალდიკაში ნაყოფიერებისა და შრომისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების სიმბოლო იყო; ქუჩებს ჰქონდათ ქვის ფილებით მოფენილი ან მოასფალტებული ტროტუარები; კოლონიის ცენტრში, მთავარ მოედანზე, იდგა გოთურ სტილში აგებული კირზე კომპლურა საათით სამრეკლოზე; მოედანს გარს ერტყა საზოგადოებრივი შენობები – სოფლის გამგეობა, საავადმყოფო, დუქნები.

ქუჩების ორივე მხარეს ჩამწკრივებული დანომრილი, ე.წ. „ალემანური სტილის“²⁴ ერთ ან ორსართულიანი სახლები, საკარმიდამო ნაკვეთებით, ქუჩაში ფასადით გამოდიოდა. ყოველი სახლი „კომპლექსურ ნაგებობას“ წარმოადგენდა: ეზო ერთი სახურავის ქვეშ აერთიანებდა საცხოვრებელ და სამეურნეო შენობებს, ღვინის სარდაფებით და სხვენით, სადაც აშრობდნენ და ინახავდნენ ხილს; საცხოვრებელი ნაწილი შედგებოდა რამდენიმე ოთახისა და ორი აივნისგან – ერთი გადიოდა ქუჩაში, მეორე კი ეზოში. სახლები კრამიტით იყო გადახურული, კედლები უმეტესწილად ცისფრად შეღებილი. ეზოში ბალ-ბოსტანი იყო გაშენებული, ხოლო ქუჩაში სახლის წინ დარგული იყო ხეხილი და დეკორატიული ხეები.²⁵

²² П. Керимзаде. Из истории меценатства города Гянджи. – ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://static.bsu.az/w8/Xeberler%20Jurnali/Humanitar%202009%204/117-123.pdf>. გვ.120.

²³ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://commons.wikimedia.org/wiki/File:Street_in_Helenendorf.png.

²⁴ ნაწარმოებია გერმანიის ფრანგული სახელწოდებიდან Allemagne. აქ – გერმანული სტილი.

²⁵ Рауф Гусейн-заде. Немцы Азербайджана. ელექტრონული რესურსი: Координационный совет азербайджанской молодежи. Раздел Публикации.С.5. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.ksam.org/index.php?m-type=news1&mid=413>.

წყარო 19 გერმანელთა წვლილი აზერბაიჯანის მეცნიერებასა და კულტურაში

გერმანელებმა დიდი წვლილი შეიტანეს აზერბაიჯანის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მაგალითად, გერმანელმა არქეოლოგებმა XIX საუკუნეში დასაბამი დაუდეს ქვეყანაში არქეოლოგიურ გამოკვლევებსა და არქეოლოგიურ მეცნიერებას. მრავალი წელი შეაღია აზერბაიჯანის არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიას ი. გუმელმა, რომელმაც გამოაქვეყნა სტატიების სერია ამ თემაზე და შექმნა ფართოდ ცნობილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ხანლარში. დიდია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, „კავკასიისა და კასპიის ზღვის მამის“ ვ. აბიხის დამსახურება – XIX საუკუნეში მან დიდი როლი შეასრულა აზერბაიჯანში ნავთობგეოლოგიური მეცნიერების ჩასახვაში. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე.ი. ეიჰვალდი იკვლევდა ნავთობის ჭებს აფშერონის ნახევარკუნძულზე;²⁶ ფიზიკოს-ელექტროტექნიკოსი ე.ხ. ლენცი 1830-იან წლებში სწავლობდა კასპიის ზღვის დონის ცვალებადობის მიზეზებს.

თვალსაჩინოა გერმანელთა როლი კაპიტალისტური ბაქოს არქიტექტურული შედეგების შექმნაში. აზერბაიჯანში მომუშავე არქიტექტორებს შორის ყველაზე ცნობილი იყო ქალაქის არქიტექტორი, სამხედრო ინჟენერი ნ.ა. ფონ დერ ნონე (1832-1916). 1889-1916 წლებში ქალაქის თავის თანამდებობაზე იგი ხელმძღვანელობდა ბაქოს ისტორიული უბნების დაგეგმარებას და ბევრი შენობის არქიტექტურული გადამწყვეტის ავტორია.²⁷

წყარო 20 XIX საუკუნის დამლევს გერმანელი არქიტექტორის ნ. ა. ფონ დერ ნონეს მიერ ცნობილი ნავთობმრეწველის დებურის შეკვეთით აშენებული სახლი ბაქოში



²⁶ აფშერონი – ნახევარკუნძული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე, ცნობილია ნავთობის უმდიდრესი ბუდობებით.

²⁷ Азербайджанский конгресс. Еженедельная общественно-политическая газета. Выпуск № 29 (325) 23 августа 2013. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე. – <http://azcongress.info/stati-2013/186-vypusk-29-325-23-avgusta-2013-goda/9329-nemetskie-pereselentsy-v-azerbajdzhane>.

ნყარო **21** არქიტექტორ ა. ეიხლერის პროექტით
აშენებული კირხე ბაქოში. 1898 წ²⁸



შემაჯამებელი განხილვა

რა ინფორმაცია გაკლიათ იმისათვის, რომ უფრო სრულად უპასუხოთ თემის საკვანძო კითხვას?

წარმოიდგინეთ, რომ ინტერვიუ უნდა ჩამოართვათ გერმანელ ახალმოსახლეებს XIX საუკუნის დამლევს – XX საუკუნის დამდეგს აზერბაიჯანში მათი ცხოვრების შესახებ. ჩამოაყალიბეთ ორი-სამი კითხვა ამ ინტერვიუსთვის.

²⁸ ფოტოების 20 და 21 ავტორია გ. აბიდი.

კულტურათა დიალოგი და კულტურული მემკვიდრეობა

► როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურის
ურთიერთქმედება საერთო კულტურულ მემკვიდრეობაში?

ბლოკი 1. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა



1. განსაზღვრეთ იმ ობიექტების სახეობები, რომლებიც იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეაქვს (წყარო1).
2. რა არის განმსაზღვრელი ამა თუ იმ ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანისას?
3. როგორ გეხმობს გამოთქმა „განსაკუთრებული უნივერსალური ფასეულობა“?

წყარო 1 მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ იუნესკოს კონვენციიდან¹

დასახელებულ კონვენციაში „კულტურულ მემკვიდრეობას“ განეკუთვნება: ძეგლები – არქიტექტურის, მონუმენტური სკულპტურისა და მხატვრობის ნაწარმოებები, ცალკეული არქეოლოგიური ელემენტები ან კომპლექსები, წარწერები, გამოქვაბულები და ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებული, უნივერსალური ღირებულების მქონე, ცალკეული ჯგუფები; ანსამბლები – ცალკეული არქიტექტურული ნაგებობები ან კომპლექსები, რომლის ერთიანობას ან კავშირს გარემოსთან ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით, განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება აქვს; ღირსშესანიშნავი ადგილები – ადამიანის ხელით ან ადამიანისა და ბუნების მიერ ერთობლივად შექმნილი, ასევე, ზონები, არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობების ჩათვლით, რომლებსაც აქვს განუმეორებელი უნივერსალური ღირებულება, ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით.²



4. შეისწავლეთ წყაროები 2-7, რომლებშიც მოცემულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ან შეტანის კანდიდატი ობიექტები. თქვენი აზრით, რატომ შეიტანეს ეს ობიექტები ნუსხაში?

¹ იუნესკოს კონვენცია მიღებულია 1972 წელს, ხელმოწერილი და რატიფიცირებულია 150-ზე მეტი ქვეყნის მიერ.

² იუნესკოს ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/heritage.shtml.

წყარო 2 აზერბაიჯანი: გობუსტანის ექვსი ათასი კედლის ნახატის უნიკალური კოლექცია, რომელიც ოთხიათასწლოვან კედლის მხატვრობაზე მოწმობს.³



წყარო 3 სომხეთი: გეგარდის მონასტრის ძველი ეკლესიები და საფლავები, რომელთა ნანჩილი პირდაპირ კლდეშია გამოკვეთილი. შუა საუკუნეების არქიტექტურის შედეგია.⁴



³ ალექსანდრე ვილჰელმის ფოტო. იბეჭდება ავტორის ნებართვით. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <https://www.flickr.com/photos/theotocopuli/6934539708/sizes/o/>.

⁴ ოლეგ სიდორენკოს ფოტო. იბეჭდება ავტორის ნებართვით. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <https://www.flickr.com/photos/oksidor/8176194313>.

წყარო 4 საქართველო: ისტორიული ძეგლი მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში – სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი (XI ს-ის დასაწყისი), კავკასიის შუა საუკუნეების რელიგიური არქიტექტურის ღირსშესანიშნავი ნიმუში.⁵



წყარო 5 მოლდოვა: ისტორიულ-არქეოლოგიური კომპლექსი ძველი ორჰეი, სადაც გამოვლენილია სხვადასხვა ცივილიზაციის კვალი. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის კანდიდატი. ძველი ორჰეის ტერიტორიაზე მდებარეობს გეტურ-დაკური⁶ ციხე-სიმაგრე (ძვ.წ.VI-I სს), ოქროს ურდოს ნაქალაქარი (XIV ს-ის მეორე ნახევარი), კლდეში ნაკვეთი მართლმადიდებლური მონასტრები (XIV ს-დან) და მოლდავური ქალაქი ორჰეი (XV-XVII სს). ფოტოზე: თათრული აბანოები.⁷




⁵ კრისტიან კალდურის ფოტო. იბეჭდება ავტორის ნებართვით. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <https://www.flickr.com/photos/kaldur/2714160006>.


⁶ გეტები და დაკები – თრაკიული ტომები. გეტები ცხოვრობდნენ კარპატების სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბლობში, დაკები კი – ტრანსილვანიის ტერიტორიაზე.

⁷ ფოტო: Vaganych. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D1%82%D0%B0%D1%80%D1%8B%D0%B9_%D0%9E%D1%80%D1%85%D0%B5%D0%B9#media-viewer/File:Remains_of_the_tatar_bath.jpg.

წყარო 6 უკრაინა: სოფიას ტაძარი და მასთან დაკავშირებული სამონასტრო ნაგებობები, XI-XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრული ანსამბლი⁸



წყარო 7 უკრაინა: კიევ-პეჩორის ლავრა – კიევის რუსეთის ერთ-ერთი პირველი მონასტერი, დაარსებულია 1051 წელს⁹



⁸ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BE%D1%84%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%81%D0%BE%D0%B1%D0%BE%D1%80_\(%D0%9A%D0%B8%D0%B5%D0%B2\)#mediaviewer/File:Kij%C3%B3w_-_Sob%C3%B3r_M%C4%85dro%C5%9Bci_Bo%C5%BCej_01.jpg](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BE%D1%84%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D1%81%D0%BE%D0%B1%D0%BE%D1%80_(%D0%9A%D0%B8%D0%B5%D0%B2)#mediaviewer/File:Kij%C3%B3w_-_Sob%C3%B3r_M%C4%85dro%C5%9Bci_Bo%C5%BCej_01.jpg).

⁹ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9A%D0%B8%D0%B5%D0%B2%D0%BE-%D0%9F%D0%B5%D1%87%D0%B5%D1%80%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D0%BB%D0%B0%D0%B2%D1%80%D0%B0#mediaviewer/File:Lavra_panorama-kijev.jpg.

ბლოკი 2. კულტურათა დიალოგი უკრაინისა და შავი ზღვის რეგიონის კულტურულ მემკვიდრეობაში

▼ დავალება ჯგუფებისთვის

- 5.** თქვენ მონაწილეობას მიიღებთ მასალების შერჩევის კონკურსში გამოფენისთვის „კულტურათა დიალოგი და კულტურული მემკვიდრეობა“. შეისწავლეთ წყაროები 8-25 და მათთან დაკავშირებული კითხვები. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან შეარჩიეთ სამი ობიექტისგან შემდგარი კომპლექტი, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ასახავს სხვადასხვა კულტურის ურთიერთქმედებას. წყაროების ანალიზისას განსაზღვრეთ, კულტურული ურთიერთქმედების რა ასპექტებსა და ხარისხს წარმოაჩენს ესა თუ ის ობიექტი.

გამოფენისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ წყაროების 2-7 ობიექტები. შეძლებისდაგვარად მოიძიეთ ამ ობიექტებთან დაკავშირებული დამატებითი მასალებიც.

პროექტის პრეზენტაციისთვის გეძლევათ 5 წუთი.

საჯარო გამოსვლისას დაასაბუთეთ:

- თქვენი სტენდის სახელწოდება
- ობიექტების შერჩევის პრინციპები

წყარო 8 სომხური მითები

სომხური მითოლოგია სათავეს იღებს იმ ტომთა მითოლოგიიდან და რწმენიდან, რომლებიც სომხეთის მთიანეთში ცხოვრობდნენ და მონაწილეობდნენ სომეხი ხალხის ჩამოყალიბებაში. ურუმეელებს¹⁰ და ასურელებს შორის, IX საუკუნეში კი ურარტუსა და ასურეთს შორის სასტიკი დაპირისპირების მოტივი, გადამუშავებული სახით, მრავალ ძველ სომხურ მითს დაედო საფუძვლად. სომხური მითოლოგია ირანული კულტურის (სომხური პანთეონის¹¹ მრავალი ღვთაება ირანული წარმოშობისაა) და სემიტური¹² მითოლოგიური წარმოდგენების ძლიერ გავლენას განიცდიდა. ელინისტურ ეპოქაში (ძვ.წ. III-I სს) ძველი სომხური ღვთაებები გაიგივებული იყო ანტიკურ ღმერთებთან. სომხეთის მიერ ქრისტიანობის ოფიციალურად მიღების შემდეგ (301 წ.) ჩნდება ახალი სიუჟეტები, ხდება ძველი მითების ტრანსფორმაცია და ძველი სომხური ღმერთებისა და სულების ფუნქციები ბიბლიურმა პერსონაჟებმა იტვირთეს. გვიან შუა საუკუნეებში სომხურ მითოლოგიაზე ნაწილობრივი ზეგავლენა მუსლიმი მეზობლების მითოლოგიურმა შესხედულებებმაც მოახდინა.¹³



- 6.** როგორ აისახა კულტურათა ურთიერთქმედება სომხურ მითებში?
- 7.** რა მიუთითებს წყაროებში 9-14 კულტურათა ურთიერთქმედებაზე სომხური ტაძრისა და ეკლესიის შექმნისა და შენარჩუნების პროცესში?

¹⁰ ურუმეელები – სომეხი ხალხის წინაპრები.

¹¹ პანთეონი – აქ: ერთი რომელიმე რელიგიის ან მითოლოგიის ღმერთების ერთობლიობა.

¹² სემიტები ენით მონათესავე ხალხების ჯგუფი, რომლებიც ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ცხოვრობდნენ. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან: ძველი ბაბილონელები, ასურელები, ფინიკიელები, იუდეველები და ა.შ. აგრეთვე, თანამედროვე არაბები, სირიელები, ებრაელები, ეთიოპიელები.

¹³ ნიგნის „Энциклопедии мифологии“ მასალების მიხედვით. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://dic.academic.ru/dic.nsf/enc_myphology/1644/%D0%90%D0%A0%D0%9C%D0%AF%D0%9D%D0%A1%D0%9A%D0%90%D0%AF.



ნყარო 9
სომხური ეკლესია
ლვოვში¹⁴

ნყარო 10 ლვოვში სომხური ეკლესიის შესახებ

სომხური ეკლესია ლვოვის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ტაძარია (XIV ს.). ეკლესიის ეზოში მდებარეობს სომხური სასაფლაო ძველი საფლავის ქვებით (XVI-XVIII ს.) და ხის სამლოცველო „გოლგოთა“ (XVIII ს.). ლვოვში სომხური ეკლესიის ისტორია XIV საუკუნეში დაიწყო. გაჩნდა სომხური კვარტალი და „სომხური“ ქუჩა. XIV საუკუნის მეორე ნახევარში კი აშენდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. სომხები – დახელოვნებული ხელოსნები და ცნობილი ვაჭრები – მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქალაქის ცხოვრებაში. მათთვის ლვოვი ხელსაყრელი ქალაქი იყო, რადგან ორი ცივილიზაციისა და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ლვოვი რუსეთისა და ვლახეთის (რუმინეთი) სომხების ეპარქიის ცენტრად,¹⁵ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი კი – საკათედრო ტაძრად იქცა.¹⁶

¹⁴ ო. პედან-სლეპუხინას ფოტო.

¹⁵ ქალაქი, სადაც განთავსებულია ეპისკოპოსის რეზიდენცია, რელიგიური ცენტრი.

¹⁶ Маленков Роман. Вірменський спадок у Львові. Собор Успіння Богородиці. електронული რესურსი «Україна Інкогніта». ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://ukrainaincognita.com/khramy/virmenskyi-spadok-u-lvovi-sobor-uspinnya-bogorodyski>.

წყარო 11 წმ. ოდილონის დაკრძალვა, იან ჰენრიკ როზენის¹⁷ ფრესკა.
სომხური საკათედრო ტაძარი, ლვოვი



წყარო 12 ლვოვის სომხური ეკლესიის ფრესკა

1925 წელს ლვოვის სომეხთა არქიეპისკოპოსმა იოზეფ თეოდოროვიჩმა სომხური ტაძრის კაპიტალური რეკონსტრუქცია წამოიწყო და ტაძრის მოსახატად იან ჰენრიკ როზენი მიიწვია.

ტაძრის ინტერიერისა და ვიტრაჟების მოხატვისას, როზენმა სომხურ-ბიზანტიური ტრადიციები და თამანდროვე ხელოვნების დასავლეთევროპული მიმდინარეობები გააერთიანა. საინტერესოა, რომ ფრესკებზე წარწერები გაკეთებულია პოლონურ ენაზე. ფრესკაზე „წმ. ოდილონის დაკრძალვა“ (იხ. წყარო 8) განთავსებულია პოლონელი პოეტი ქალის კაზიმირა ილიაკოვიჩის ეს სტროფი: „ო, წმიდაო ოდილონ, გარდაცვლილ სულთა მეუფევე, შენს კუბოს მივყვებით მკვდრები“. მხატვარმა გარდაცვლილთა სულები გამოსახა თითქმის გამჭვირვალე სილუეტებად, რომლებსაც სანთლები უჭირავთ.

ამჟამად ტაძრის ფრესკების რესტავრაციას აწარმოებენ ვარშავის ხელოვნების აკადემიის მხატვრული ნაწარმოებების რესტავრატორი იოანა ჩერნიხოვსკაია და ლვოვის ეროვნული აკადემიის ხელოვნების ნაწარმოებების რესტავრაციის კათედრის დოცენტი იური ოსტროვსკი. სარესტავრაციო სამუშაოებს აფინანსებს პოლონეთის კულტურის სამინისტრო.¹⁸

¹⁷ იან ჰენრიკ როზენი – მხატვარი შეძლებული ებრაული ოჯახიდან, რომელმაც კათოლიკობა მიიღო.

¹⁸ Реставрацію Вірменської церкви планують закінчити до 2012 року. Реставрацію Армянської церкви планують окончити к 2012 року-ს მასალების მიხედვით. ელექტრონული რესურსი – Вголос. Новини Львова. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://vgolos.com.ua/zhyttya/news/679.html>.



წყარო 13 წმ. პარასკევას ეკლესია ლვოვში

წყარო 14 წმ. პარასკევას პარასკევის ეკლესია ლვოვში

ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე მდებარე წმ. პარასკევას პარასკევის ტაძარი განეკუთვნება თავდაცვითი ტიპის ტაძრებს, რასაც მოწმობს კედლებში დატანებული სათოფურები. 1977-1978 წლების არქეოლოგიური კვლევების თანახმად, თავდაპირველი, რომანული სტილის, ნაგებობა აღმართული იყო XIII საუკუნის ბოლოდან XIV საუკუნის პირველ ნახევრამდე, 1623 წლის ხანძრის შემდეგ კი გადაკეთდა. ქოროს პარაპეტზე¹⁹ დამაგრებული დაფა 1644 წლის 15 აგვისტოს აღდგენითი სამუშაოების დასრულების შესახებ იუწყება. დაფას ამშვენებს მოლდოვას გერბი და მოლდაველი ხელისუფლის – ვასილი

ლუპუს ინიციალები, რომელმაც, ალბათ, ტაძრის აღდგენის სამუშაოები დააფინანსა. ტაძრის არქიტექტურაში მოლდაველი სამშენებლო ტრადიციები შერწყმულია გოთურ და ბაროკოს ელემენტებთან. ინტერიერში თაღები და კედლები მორთულია XVIII საუკუნეში, ლუკა დოლინსკის²⁰ მიერ შესრულებული ფრესკებით. ასევე შემონახულია უნიკალური კანკელი XVII საუკუნის მოოქრული, ხეზე კვეთისა და დაზგური ფერწერის²¹ მეტად ძვირფასი ნიმუშებით.²²

8. მოძებნეთ რუკაზე (წყარო 15) საკულტო ნაგებობების განთავსების ადგილები.
9. მოძებნეთ წყაროში 16 ამ საკულტო ნაგებობების გამოსახულებები. რომელ რელიგიებსა და რომელი ხალხების კულტურას მიეკუთვნება ისინი?
10. რატომ არის თავმოყრილი სხვადასხვა თემის სალოცავები ქალაქის ერთ რაიონში?

¹⁹ ქორო – ზედა ღია გალერეა ან აივანი ეკლესიის შიგნით (ჩვეულებრივ, მეორე სართულის დონეზე). პარაპეტი – დაბალი კედელი, რომელიც შენობის გადახურვას, ტერასას, აივანს, სანაპიროს, ხიდს და სხვ. გამოყოფს.

²⁰ ლუკა დოლინსკი – უკრაინელი მხატვარი-მონუმენტალისტი, ხატმწერი, ვენის გამომსახველობითი ხელოვნების აკადემიის კურსდამთავრებული.

²¹ დაზგური ფერწერა – ფერწერის სახეობა, რომელიც, მონუმენტურისგან განსხვავებით, არ არის დაკავშირებული არქიტექტურასთან, დამოუკიდებელი ხასიათისაა და გარემოსგან განყენებულად აღიქმება. სიტყვასიტყვით: დაზგაზე (მოლბერტზე) შექმნილი ფერწერა.

²² Церква святої Параскеви П'ятниці -ის მასალების მიხედვით. ელექტრონული რესურსი – Мандрівка Україною. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://travelua.com.ua/lvivshhina/lviv-lvivshhina/vul-bogdana-xmelnickogo/cerkva-svyato%D1%97-paraskevi-pyatnici.html>.

წყარო 15 ქალაქ ევპატორიის ცენტრის რუკა (ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა²³ – უკრაინა)



წყარო 16 „მცირე იერუსალიმი“ ევპატორიაში

ევპატორიის ცენტრში ერთმანეთის მეზობლად დგას სხვადასხვა კონფესიის ეკლესიები, ამიტომ ქალაქის ამ ნაწილს „მცირე იერუსალიმს“²⁴ უწოდებენ.

ჯუმა-ჯამეს მეჩეთი (პარასკევის მეჩეთი)²⁵ 1552 წელს ააშენა გამოჩენილმა თურქმა ხუროთმოძღვარმა ხოჯა სინანმა²⁶ ყირიმის ხანის დევლეთ-გირეი I-ის დაკვეთით. ყირიმის ყველა ხანი თურქეთისგან ფირმანს – ყირიმის სახანოს მართვის უფლებას – საკათედრო მეჩეთში იღებდა, ამიტომ ტაძრის მეორე სახელწოდებაა ხან-ჯამი (სახანო მეჩეთი).



²³ გაეროს 68/262 რეზოლუციის (2014 წლის 27 მარტი). თანახმად უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

²⁴ იერუსალიმი სამი მსოფლიო რელიგიის ცენტრია – იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის.



²⁵ ფოტო A.Savin. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – [https://ru.wikipedia.org/wiki/%C4%E6%F3%EC%E0-%C4%E6%E0%EC%E8_\(%C5%E2%EF%E0%F2%EE%F0%E8%FF\)#mediaviewer/File:Eupatoria_04-14_img12_Juma_Jami_Mosque.jpg](https://ru.wikipedia.org/wiki/%C4%E6%F3%EC%E0-%C4%E6%E0%EC%E8_(%C5%E2%EF%E0%F2%EE%F0%E8%FF)#mediaviewer/File:Eupatoria_04-14_img12_Juma_Jami_Mosque.jpg).

²⁶ ხოჯა სინანი (1489-1588) – ოსმალეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტორი და ინჟინერი. სულთან სულეიმან I ბრწყინვალესა და მისი მემკვიდრეების მბრძანებლობის დროს იყო ოსმალეთის მთავარი არქიტექტორი და ინჟინერი. ხელმძღვანელობდა მეჩეთების, (მუსლიმური დანაყოფითი სკოლების (მეძეების) და აკვედუკების მშენებლობას, სულთნების საომარი ლაშქრობებისას კი სიმაგრეებისა და ხიდების მშენებლობას. მისი დაპროექტებულია სტამბოლში ცნობილი სულეიმანიეს მეჩეთი და ედირნეში სელიმიეს მეჩეთი.



სომხური ეკლესიის სურბ-ნიკოგაიოსის²⁷ მშენებლობა 1817 წელს სომხური თემის სახსრებით დაიწყო. ყირიმის ომის დროს ეკლესიაში იდგა ფრანგული გარნიზონი. ზოგიერთმა ჯარისკაცმა ამ კედლებში თავისი ყოფნის უკვდავყოფა გადაწყვიტა და ტაძრის კედლებზე საკუთარი სახელი ხიშტიტით ამოკანრა. ამ წარწერების ნახვა დღესაც შეიძლება. მკაფიოდ ჩანს როგორც თარიღი – 1855 წელი, ისე რამდენიმე სახელი – შარლი, რიშარი, ფილიპი.

სინაგოგა (ებრაული სამლოცველო სახლი) ეგია-კაპაი²⁸ ასევე ცნობილია, როგორც სახელოსნო, რადგან 1912 წელს იგი იმ ხელოსნების სახსრებით აშენდა, რომლებიც ახლომახლო კვარტალებში ცხოვრობდნენ. შენობას ბაზილიკის ფორმა აქვს.²⁹ პროექტის ავტორი იყო ქალაქის არქიტექტორი ა. გენრიხი. მთავარი, დასავლეთ კედლის ქვების წყობა – ვიწრო და ფართო რიგების მონაცვლეობა – იმეორებს იერუსალიმის ტაძრის ქვის წყობას. დღესდღეობით ტაძარი ეკუთვნის პროგრესული იუდაიზმის რელიგიურ თემს.



წმიდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია³⁰ არქიტექტორ ა. ო. ბერნარდაცის³¹ მიერ 1893-1899 წლებში ბიზანტიურ სტილშია აშენებული. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მის ადგილას პირველი ტაძარი ბერძნებმა ააშენეს წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის, მეზღვაურებისა და ვაჭრების მფარველის სახელზე.

²⁷ იაროსლავ კოჩერგინის ფოტო. იბეჭდება ავტორის ნებართვით. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <https://www.flickr.com/photos/kochergin/9418656504/>

²⁸ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.kalamit.info/uploads/images-news/2012/09/20-sinagoga-1.jpg>

²⁹ ბაზილიკა – წაგრძელებული, მარკუთხედის გეგმის მქონე შენობა, რომელიც შიგნიდან კოლონების ან ბოძების რიგებით რამდენიმე ნაწილად (ნავად) იყოფა. ყოველ მათგანს დამოუკიდებელი გადახურვა აქვს. შუა, მთავარი ნაწილი სიმაღლით ყოველთვის აღემატება გვერდითებს, ამდენად, მისი კედლების ზედა ნაწილი, სადაც სარკმლებია გაჭრილი, გვერდითი ნაწილების სახურავებს დაჰყურებს.

³⁰ ა. ველიჩკოს ფოტო. იბეჭდება ავტორის ნებართვით. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <https://www.flickr.com/photos/91428320@N04/13951754248>.

³¹ ალექსანდრე ბერნარდაცი (1831-1907) – შვეიცარიული წარმოშობის რუსი არქიტექტორი. როგორც ოდესის მთავარმა არქიტექტორმა ოდესასა და კიშინიოვში მრავალი ადმინისტრაციული ნაგებობა ააშენა.



წმიდა ილია წინასწარმეტყველის ეკლესია ევპატორიაში მცხოვრებმა ბერძნებმა, მრევლის სახსრებით, ბიზანტიურ სტილში 1911 წელს ააშენეს. რევოლუციის შემდეგ ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი რჩებოდა, რადგან მის მრევლს საბერძნეთის მოქალაქეები შეადგენდნენ. მაგრამ 1936 წელს იგი დახურეს, მოანგრირეს სამრეკლო და 50-იანი წლების დამლევს სპორტულ დარბაზად აქციეს. დღეისთვის სამრეკლოც და ტაძარიც სრულადაა აღდგენილი.



დიდი და პატარა კენასები – კარაიმების³² სამლოცველო სახლი. კენასების კომპლექსის მშენებლობა უფრო ძველი კენასას ადგილას 1803 წელს ძმები ბაბოვიჩების³³ პროექტით დაიწყო. ანსამბლის არქიტექტურული სახე XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ყალიბდებოდა, თუმცა შემდგომშიც არაერთხელ გადაკეთებულა, ჩვენამდე შეცვლილი, მაგრამ კვლავინდებურად დიდებული სახით მოაღწია. მცირე კენასა განკუთვნილი იყო ყოველდღიური ღვთისმსახურებისთვის, დიდი კი – სადღესასწაულოდ. ეზო თუჯის ჭიშკრიანი ორნამენტული ღობის შიგნით გარშემორტყმულია ვაზით, რომელიც, როგორც აქაური მკვიდრნი ამბობენ, 200 წლისაა. საბჭოთა პერიოდში კენასას შენობაში განთავსებული იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.



დერვიშების თეკე³⁴ – უპოვარი ბერების მუსლიმური მონასტერი აშენებულია XV-XVII საუკუნეებში. 300-წლიანი არსებობის შემდეგ, 1924 წელს დაიხურა და ბოლო დრომდე მასში შავი ზღვის ფლოტის სანყოფი იყო განთავსებული. თეკეს შენობა და მედრესე მთლიანობაშია შემორჩენილი მაშინ, როდესაც XVII საუკუნის მეჩეთისგანმხოლოდ კედლები და ნახევრად დანგრეული მინარეთია

³² კარაიმები – ყირიმის ადგილობრივი თურქულენოვანი მცხოვრებლები, რომელთაც მიიღეს კარაიმიზმი, იუდაიზმის ნაირსახეობა.

³³ ბაბოვიჩი ბაბაკაი სოლომონის ძე – ევპატორიელი ვაჭარი. 1834-1837 წლებში იყო ევპატორიის ქალაქის თავი. უფროსი ძმის – სიმა ბაბოვიჩის სიკვდილის შემდეგ ბაბაკაის ეკავა ხახამის (კარაიმების სასულიერო წინამძღვრის) პოსტი. ძმები ბაბოვიჩები ცნობილნი იყვნენ საქველმოქმედო საქმიანობით. ბაბაკაიმ საკუთარი სახსრებით გამოსცა კარაიმი მეცნიერისა და პოეტის ისააკ ბენ შელომოს ნაშრომები, ასევე „ექსეგრთედი“ – მთვარისა და მზის მოძრაობის მათემატიკურად გამოთვლის სახელმძღვანელო, დაწერილი 1365 წელს ებრაელი მათემატიკოსისა და ასტრონომის იმანუილ ბენ იაკოვ ბონფისის მიერ.

³⁴ ფოტო: Eugenmakh. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – https://commons.wikimedia.org/wiki/File:0338-Tekie_Dervish.jpg?uselang=ru.

შემორჩენილი აღმოსავლეთ კედელთან. 2000 წელს სამონასტრო კომპლექსი ისევ მორწმუნეებს დაუბრუნდათ, შემდეგ კი მედრესეს შენობაში ყირიმელ თათართა ეთნოგრაფიული მუზეუმი³⁵ გაიხსნა.



11. განსაზღვრეთ, რა იდეა აერთიანებს წყაროებს 17-20.
12. გაანალიზეთ წყაროები 17-20. რატომ დაიდგა კულტურის ცნობილ მოღვაწეთა ძეგლები მათი სამშობლოს ფარგლებს გარეთ?
13. დაათვალიერეთ გურამიშვილის საიუბილეოდ გამოშვებული მონეტის გამოსახულება და წარწერა (წყარო19). რისი სიმბოლოა ორი ეროვნული ორნამენტი – ქართული და უკრაინული?

წყარო 17 დავით გურამიშვილის მუზეუმი მირგოროდში (უკრაინა)

დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი მოგვითხრობს XVIII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, რომელმაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი 32 წელი მირგოროდში გაატარა, წერდა თავის თანადროულ საქართველოზე, უკრაინასა და, რა თქმა უნდა, მირგოროდზე. უკრაინის მიწაზე გურამიშვილმა დაწერა ცნობილი ნაწარმოებები, რომლებშიც შერწყმულია უკრაინული და ქართული პეიზაჟები, ერთმანეთს ენაცვლება უკრაინული და ქართული სიმღერების მოტივებზე შექმნილი ლექსები. უამრავი მისი ლექსი ითარგმნა რუსულ და უკრაინულ ენებზე.

გურამიშვილი 1792 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია მირგოროდის ამაღლების ეკლესიაში. მუზეუმში წარმოდგენილია პოეტის ნაწარმოებების სხვადასხვა გამოცემა და წიგნები მის შესახებ, წინა საუკუნეების ქართული და უკრაინული ხალხური ყოფის ნიმუშები, XVIII საუკუნის იარაღი, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ადგილობრივი ოსტატების ნაკეთობები, ქართული სუვენირები და სხვ.³⁶

წყარო 18 დავით გურამიშვილის ძეგლი მისი ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის წინ მირგოროდში.

ავტორები: ა. ნიმენკო, მ. ობეზიუკი, არქიტექტ. ვ. ჟიგულინი. დაიდგა 1969 წელს³⁷



³⁵ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – “Святыни Евпатории” (<http://berta.crimca.ua/svatyini.html>) და «Полуостров сокровищ» (<http://poluostrov-krym.com/>).

³⁶ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://galleryua.com/photo/dostoprimechatelnosti/1002131-Muzej-Guramishvili>.

³⁷ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – https://ru.wikipedia.org/wiki/%CC%E8%F0%E3%-EE%F0%EE%E4#mediaviewer/File:Guramishvili_Myrhorod.JPG.

წყარო 19 დავით გურამიშვილის დაბადებიდან 300 წლის იუბილესადმი მიძღვნილი უკრაინული საიუბილეო მონეტა. ავტორები: ვ. ტარანი, ა. ხარუკი, ს. ხარუკი, მოდელების – ვ. ატამანჩუკი.³⁸



წყარო 20 აზერბაიჯანელი პოეტის სამედ ვურლუნის ძეგლი მისი სახელობის ბიბლიოთეკის წინ კიევში.

ავტორები: აზერბაიჯანელი მოქანდაკე სეიფადინ ჩურბანოვი. დაიდგა 2006 წელს.

წყარო 21 სამედ ვურლუნის სახელობის ბიბლიოთეკა კიევში

1974 წელს გახსნილმა ბიბლიოთეკამ ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტის სამედ ვურლუნის სახელი უკვდავყო. პოეტის მრავალრიცხოვან მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ეხება უკრაინას, მის ხალხს, გმირებს, ლიტერატურასა და პოეზიას. მრავალი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა თანამშრომლობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოსთან უკრაინაში და უკრაინის აზერბაიჯანელთა კონგრესთან. სამედ ვურლუნის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის წინ გაიხსნა მისი ძეგლი. ბიბლიოთეკა აერთიანებს უკრაინაში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, რადგან მათ აქ შეუძლიათ წიგნები მშობლიურ ენაზე მოიძიონ, შეხვდნენ თანამემამულეებს და უკრაინული ლიტერატურის წარმომადგენლებს. ბიბლიოთეკის კოლექტივი აზერბაიჯანული ეროვნული დღესასწაულების მომზადებაშიც მონაწილეობს. ბიბლიოთეკის ფონდი შეიცავს 40 ათასამდე წიგნს უკრაინულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. მათ შორის განსაკუთრებით ფასეულია სამედ ვურლუნის ნაწარმოებები.³⁹

³⁸ ელექტრონული რესურსი. Top World Coins. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://cis-coins.com/coins-catalog/ukraine/5563-ukraine-2005-2-hryvnias-%23300-years-to-david-guramishvili%23-sunc-coin>.

³⁹ გალინა კისლაიას, სამედ ვურლუნის სახელობის ბიბლიოთეკის გამგის მასალების მიხედვით. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://ocls.kyivlibs.org.ua/vurgun/_ru-golovna_.

წყარო 22 სერგო ფარაჯანოვის ეპოქის დასაწყისი

1964 წელს გამოვიდა ფილმი „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“.⁴⁰ ეს უბრალოდ შედეგის კი არ იყო, არამედ ხელოვნებაში ახალი ეპოქის – სერგო ფარაჯანოვის ეპოქის დასაწყისი.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეძლო სომეხმა, რომლის ნამდვილი გვარია ფარაჯანი, ისე შეესხა ხოტბა გუცულების კულტურისთვის, როგორც ვერც ერთმა უკრაინელმა რეჟისორმა ვერ მოახერხა.⁴¹

წყარო 23 მასმედიაში გამოქვეყნებული წერილიდან, 2013 წლის ივნისი

ოდესის კინოფესტივალზე გაიმართა ფილმ „ფარაჯანოვის“ საერთო-უკრაინული პრემიერა. ფილმში ყველაზე დასამახსოვრებელი გახდა „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილების“ გადაღებასთან დაკავშირებული კადრები, სადაც რეჟისორი გადასაღებ მოედანზე მსახიობებთან მუშაობს და ფილმის პრემიერის შემდეგ ფეხზე წამოდგარი დარბაზი ფარაჯანოვს ოვაციას უმართავს.

თუმცა ამ ფილმის გამო⁴² რეჟისორი ნაციონალიზმში დაადანაშაულეს.

ფარაჯანოვი ეკრანიდან ამბობს: „მე რა უკრაინელი ნაციონალისტი ვარ? დისიდენტი არ ვარ, ხელოვანი ვარ. ჩემი სენი ფილმების სიყვარულია, მინდა სიყვარულით აღსავსე ფილმების შექმნა.“⁴³

14. გაცნობით წყარო 24-ს და ისტორიულ ცნობას. რატომ აქვს მას ისტორიული მნიშვნელობა??
15. ბაქოს ცხოვრების რომელ სიუჟეტებს იღებდა თავის ფილმებში მიშონი?
16. განსაზღვრეთ ის ცვლილებები, რომლებიც ბაქოს კულტურულ ცხოვრებაში მოხდა XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში.
17. განსაზღვრეთ ალექსანდრე მიშონის ადგილი ბაქოს მაშინდელ კულტურულ ცხოვრებაში.



წყარო 24 სარეკლამო განცხადება ბაქოს გაზეთში

„1898 წლის 2 აგვისტოს, კვირას, ვ. ი. ვასილიევ-ვიატსკის თეატრ-ცირკში ფოტოგრაფი ა. მ. მიშონი, რომელიც პარიზის მომავალი მსოფლიო გამოფენისთვის შუა აზიასა და კავკასიაში ცოცხალი ფოტოსურათების კოლექციას იღებს, მხოლოდ ერთხელ წარმოადგენს ძმები ლუმიერების გაუმ-

ჯობესებულ „კინემატოგრაფს“, რომელიც ინჟინერ ი. კარპენტიერის შექმნილია. სხვათაშორის, სურათებით ნაჩვენები იქნება: 1) „ხანძარი ბიბი-ეიბათის ნავთობის შადრევანზე“,

⁴⁰ ორი წლის განმავლობაში ფილმმა საერთაშორისო ფესტივალებზე 21 ქვეყანაში 30 პრიზი მიიღო.

⁴¹ სტატიიდან «Тени забытого гения». ელექტრონული რესურსი My Julia.ru. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.myjulia.ru/article/354836/>.

⁴² მხედველობაშია ფილმი „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“.

⁴³ Пензова С. От фильма «Параджанов» у зрителей шли мурашки по коже. Интернет-портал радио «Вести» – <http://vesti.ua/kultura/9780-v-filme-paradzhanov-pokazan-takim-kakim-ego-znali-blizkie-ljudi>.

2) „მისი უდიდებულესობა ბუხარის ემირის გაცილება გემზე “დიდი თავადი ალექსეი“, 3) „კავკასიური ფერხული“, 4) „გამოიჭირეს“ – იუმორისტული შემთხვევა ბაქოს საქალაქო ბაღში. დანვრილებით აფიშაში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე“.⁴⁴

◆ ისტორიული ცნობა

ალექსანდრე მიხეილის ძე მიშონი (1858-1921), ფოტოგრაფი, კინემატოგრაფისტი და ჟურნალისტი დაიბადა უკრაინაში. 1884-1908 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბაქოში, სადაც შექმნა ფოტოატელიე, დააარსა ბაქოს ფოტოგრაფიული წრე, იყო პარიზის ეროვნული აკადემიის წევრ-ფოტოგრაფი. 1898 წელს ალექსანდრე მიშონმა ადგილობრივ თემატიკაზე რამდენიმე დოკუმენტური სიუჟეტი გადაიღო და იმავე წლის 2 აგვისტოს მაყურებელს სპეციალურად ორგანიზებულ კინოსეანსზე უჩვენა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით (18.12.2000) ეს დღე მიჩნეულია ეროვნული კინემატოგრაფიის დაბადების დღედ და ყოველ წელს აღნიშნება, როგორც „ეროვნული კინოს დღე“.

▼ 18.საერთაშორისო კულტურათშორისი ურთიერთობის რომელი ასპექტი ჩანს სტრუვეს რკალში?

წყარო 25 სტრუვეს რკალი – იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტი

„სტრუვეს რკალი“⁴⁵ არის ტრიანგულაციური პუნქტების⁴⁶ ჯაჭვი, რომელიც გადაჭიმულია 2820 კილომეტრზე ათობით ევროპული ქვეყნის ტერიტორიაზე ნორვეგიული ჰამერფესტიდან შავ ზღვამდე. ეს საყრდენი წერტილები 1816-1855 წლებში შექმნა ასტრონომმა ფრიდრიხ გეორგ სტრუვემ (იგივე ვასილი იაკობის ძე სტრუვე), რომელმაც ამგვარად პირველად უტყუარად გაზომა დედამიწის მერიდიანის დიდი სეგმენტი და ზუსტად დაადგინა ჩვენი პლანეტის ზომა და ფორმა. ეს მოვლენა დედამიწის შესახებ მეცნიერების განვითარებისა და ტოპოგრაფიული რუკების შედგენის საქმეში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი გახდა. ეს იყო მეცნიერების დარგში სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებისა და მმართველი მონარქების ურთიერთანამშრომლობის განსაკუთრებული შემთხვევა. თავდაპირველად, „რკალი“ შედგებოდა 158 გეოდეზიური „სამკუთხედისგან“ (პოლიგონისგან) 265 ძირითადი ტრიანგულაციური პუნქტით. მსოფლიო მემკვიდრეობაში შევიდა 34 ასეთი პუნქტი დღემდე ყველაზე კარგ მდგომარეობაში შემორჩენილი), რომლებიც ადგილზე მარკირებულია სრულიად სხვადასხვა სახით: კლდეში კვეთილი ღრმულებით, რკინის ჯვრებით, ქვების პირამიდებით ან სპეციალურად დადგმული ობელისკებით.⁴⁷

▼ შემაჯამებელი განხილვა

როგორ არის წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურის ურთიერთქმედება საერთო კულტურულ მემკვიდრეობაში?

⁴⁴ გაზეთი «Каспий», 2 აგვისტო, 1898 წელი.

⁴⁵ ვ.ი. სტრუვე – გერმანული წარმოშობის რუსი ასტრონომი და გეოდეზისტი.

⁴⁶ ტრიანგულაცია (ლათ. triangulatio — სამკუთხედებით დაფარვა) – საყრდენი გეოდეზიური პუნქტების ქსელისა და თავად ქსელის შექმნის ერთ-ერთი მეთოდი გეოდეზიაში. ტრიანგულაციური ქსელები საინჟინრო-გეოდეზიურ სამუშაოებში გამოიყენება ტოპოგრაფიული გადაღებების საფუძვლად.

⁴⁷ ელექტრონული რესურსი UNESCO World heritage Centre _ <http://whc.unesco.org/>. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://whc.unesco.org/en/list/1187/gallery/>.

ეროვნული მემკვიდრეობის ადგილი მსოფლიო კულტურაში (სომეხი ხალხის მიღწევების მაგალითზე)

- ▶ როგორ ამდიდრებს ეროვნული კულტურა მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას?



1. იცნობთ თუ არა ფოტოზე აღბეჭდილ ადამიანს (წყარო 1)? ვინ არის, რა იცით მის შესახებ?

წყარო 1



ბლოკი 1. ეროვნული კულტურა და იდენტობა



2. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა შარლ აზნავურს სომეხი ვუნდოთ, თუკი ის სომეხი ემიგრანტების ოჯახში საფრანგეთში დაიბადა და მთელი ცხოვრება სომხეთიდან შორს გაატარა?
3. თავად შარლ აზნავურის აზრით (წყარო 2), რატომაა იგი ასომეხი? როგორ შეიძლება მისი სომხობის ახსნა, თუკი სომხეთი „მისი ქვეყანა არ არის“ და მან სომხური არ იცის? როგორ გესმით გამოთქმა: „სომეხი ფრანგებისთვის“?

¹ შარლ აზნავური, 2010წ. კრისტინა ჩეჩეტოს (Christina Checchetto) ფოტო. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://bit.ly/1DfAxXM>.



4. როგორ ფიქრობთ, შარლ აზნავურის შემოქმედება სომხეთის კუთვნილებაა თუ მსოფლიო კულტურის? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
5. რა როლს თამაშობს ეროვნული კულტურა ადამიანის მიერ საკუთარი განსაზღვრაში (წყაროები 3, 4)?
6. რა აერთიანებს წყაროებს 2, 3 და 4-ს?
7. მოიძიეთ სომეხი ხალხისა და მისი კულტურისთვის დამახასიათებელი ფოტოები და ნივთები, საკლასო ოთახში მოაწყვეთ გამოფენა. ახსენით, რატომ აარჩიეთ სწორედ ეს ფოტოები/ნივთები. შეარჩიეთ საკვანძო სიტყვები, რომლებიც ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებას დაახასიათებს.

წყარო 2 შარლ აზნავურთან ინტერვიუდან

რა არის, თქვენი აზრით, ბედნიერების ფორმულა?

— ის, რომ არასოდეს ვიყურებოდი სხვის ჯიბეში. და კიდევ აუცილებელია მყარი, შეკრული ოჯახი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, გქონდეს, მე ვიტყვოდი, სომხური ოჯახი. მართალია, ჩემი ცოლი შვედია, მაგრამ ოჯახი მაინც სომხური გვაქვს.

წარმოგიდგენიათ, რომ სომხეთში ცხოვრობდეთ?

— არა, ვერ შევძლებ სომხეთში ცხოვრებას. ეს ჩემი ქვეყანა არ არის. მე იქ არ მიცხოვრია, არ მისწავლია. ამის წარმოდგენა არ შემიძლია. თანაც ენა... მე ცუდად ვლაპარაკობ (რუსულად ამბობს) სომხურად.

მაგრამ თქვენ ხომ ამდენს აკეთებთ სომხეთისთვის. რატომ?

— არ ვიცი, შინაგანად არის რაღაც ისეთი... ალბათ, ჩემი ოჯახის გამო. მე თვითონ ხომ არსებითად ფრანგი ვარ. რა დარჩა ჩემში სომხური? ენა – სომხური არ ვიცი, ჩემი ხელოვნება – სომხური არ არის, განათლება – ფრანგული მაქვს. სამაგიეროდ, ოჯახი მაქვს სომხური. ჩვენ სომხებად დავიბადეთ და სიკვდილამდე სომხებად დავრჩებით.

რას ნიშნავს თქვენთვის იყოთ სომეხი? ასეთად უნდა დაიბადოთ?

— არა მხოლოდ დაბადება, ვფიქრობ, კიდევ რაღაც... რელიგიური აღმსარებლობა. დიახ, რწმენა, რელიგია. ძალიან მორწმუნე ადამიანი არ ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ ჩვენი რწმენის, ეკლესიის აუცილებლობასა და სარგებლობაში. ის ხომ უწინაც და ახლაც გვაერთიანებს და გადარჩენაში გვეხმარება.

დღეს აზნავური ერთგვარი საფრანგეთის სიმბოლოა, ფრანგებისთვის თავისიანი ხარო, თქვენ ფრანგი ხართ...

— დიახ. ფრანგი, მაგრამ სომეხიც, ფრანგებისთვის.²

წყარო 3 წყარო 3. მეცნიერი ეროვნული კულტურის შესახებ

ყოველი ეროვნების კულტურას საფუძვლად უდევს ამ ეროვნების მიერ ისტორიულად გამომუშავებული ცხოვრებისეული ორიენტირები, სამყაროს აღქმის ტიპი, რომელიც სიმბოლურად მისი თვითშეგნების დონეს ასახავს. კულტურა ეროვნული ერთიანობისთვის აუცილებელ სულიერ კავშირს უზრუნველყოფს, რითაც ხალხის ისტორიულ მეხსიერებას ააქტიურებს.³

² Шарль Азнавур. Армения – это не моя страна. ელექტრონული რესურსი: Армения и мир <http://armandmir.ru/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://armandmir.ru/?page_id=848.

³ Римма Мирумян. Армянское культурное наследие как механизм самозащиты нации в условиях глобализации. ელექტრონული რესურსი «Наша Среда»: <http://www.nashasreda.ru>; ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://nashasreda.ru/armyanskoe-kulturnoe-nasledie-kak-mexanizm-samozashhity-nacii-v-usloviyax-globalizacii/>.

წყარო 4 მკვლევარი ხალხის მიერ საკუთარი ისტორიისა და კულტურის ცოდნის აუცილებლობის შესახებ

სწორედ საკუთარი ხალხის ისტორიისა და კულტურის ცოდნა არის ის საძირკველი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ ეთნიკური, ეროვნული და საკუთარი, პიროვნული იდენტუფიკაცია.⁴

ბლოკი 2. სომხური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მაგალითები



8. განიხილეთ წყაროები 5-28, ფოტოები და ტექსტები დაახარისხეთ ცხრილში მოცემული კატეგორიების მიხედვით. ცხრილის უჯრედებში ჩაწერეთ წყაროების ნომრები კატეგორიების შესაბამისად. თუ საჭიროა, შექმენით დამატებითი კატეგორია.

წყარო 5 ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარი⁵



⁴ Гаюк И. Иллюстрированная энциклопедия армянской культуры в Украине. – Львов: Издательство Афиша, 2012. -Т. 1. - С.206.

⁵ გ. რ. ოგანიანის ფოტო, 2014 წ.

წყარო 6 სომხური ხალიჩები⁶

წყარო 7 დუდუკი –
სომხური მუსიკალური
ინსტრუმენტი⁷



წყარო 8 ოქროს თასი (ძვ. წ. II ათასწლეული)⁸



⁶ Armenian rugs at Vernissage market in Yerevan. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://commons.wikimedia.org/wiki/File:Armenian_rugs_at_Vernissage_Yerevan.jpg.

⁷ Duduk made of apricot wood purchased in Yerevan, Armenia 1999. ელექტრონული რესურსი <http://commons.wikimedia.org/wiki/File:Duduk.png>.

⁸ Золотая чаша. – ელექტრონული რესურსი https://upload.wikimedia.org/wikipedia/ru/8/8c/Golden_Bowl_Vanadzor_Armenia.jpg.



წყარო **9** ხაჩკარი – ქვის სტელა კვეთილი ჯვრის გამოსახულებით⁹

წყარო **10** სომხური ხელნაწერი, XIII-XIV საუკუნეები¹⁰



წყარო **11** სომხური ანბანისა და მისი შემქმნელისადმი მიძღვნილი ძეგლი¹¹



⁹ Золотаячаша. – ელექტრონული რესურსი www.budennovsk.org. ხელმისაწვდომია მისამართზე: www.budennovsk.org/?p=40426.

¹⁰ Армянская рукопись, Гладзор, XIII-XIV века. Историко-культурный музей-заповедник “Университет Гладзора”. ელექტრონული რესურსი <https://ru.wikipedia.org/wiki/> ; ხელმისაწვდომია მისამართზე: https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9A%D0%BD%D0%B8%D0%B3%D0%B0#/media/File:Gladzor_University,_13-14th_century,_village_Vernashen,_Vayots_Dzor,_Armenia,_10.jpg.

¹¹ ელექტრონული რესურსის ხელმისაწვდომია მისამართზე: http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/3/37/Armenian_alphabet_001.jpg.


წყარო 12 სომხური კერამიკა¹²



წყარო 13 ასისტავ ლოგინოსის შუბი¹³



წყარო 14 ძველი ხელნაწერების ინსტიტუტი მეტენადარანი, ქ. ერევანი¹⁴



¹² ელექტრონული რესურსის Msheci-www. msheci.wordpress.com. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://msheci.files.wordpress.com/2011/11/1-41.jpg>.

¹³ ელექტრონული რესურსი www.cyrillitsa.ru. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://cyrillitsa.ru/posts/950-10-faktov-o-longine-sotnike.html>.

¹⁴ ელექტრონული რესურსი <https://upload.wikimedia.org/wikipedia/ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/f/f0/2014_Erywa%C5%84%C2_Matenadaran_%2818%29.jpg.



წყარო 15 ტრადიციული
დღესასწაული „ვარდატონი“¹⁵

წყარო 16 ვარდან მამიკონიანის ძეგლი¹⁶



წყარო 17 ჯვრისწერა სომხურ
სამოციქულო ეკლესიაში¹⁷



¹⁵ ელექტრონული რესურსი orer.eu/ru/. – ხელმისაწვდომია მისამართზე: www.orer.eu/ru/აქსანოასკან-პარეასთინ-ჟეჟიჟიჟი/.

¹⁶ https://commons.wikimedia.org/wiki/File:Vartan_Mamikonyan_statue.jpg.

¹⁷ ელექტრონული რესურსი <http://miasin.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://miasin.ru/files/spiritlibrary/venchanic1.jpg>



წყარო 18 რუსეთის საფოსტო მარკა „100 წელი კომპოზიტორ ა. ი. ხაჩატურიანის დაბადებიდან“¹⁸

წყარო 19 ი. კ. აივაზოვსკი – „მეცხრე ტალღა“, 1850 წ.¹⁹



წყარო 20 სომხური სამოციქულო ეკლესიის ღირებულებების შესახებ

სომხური სამოციქულო ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიაა, რომლის დოგმატიკასა და რიტუალებს მნიშვნელოვანი თავისებურებები აქვს. ეს თავისებურებები განასხვავებს მას როგორც ბიზანტიური მართლმადიდებლობისგან, ისე რომის კათოლიკობისგან. 301 წელს დიდი სომხეთი²⁰ გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა. სომხური სამოციქულო ეკლესიის

¹⁸ ელექტრონული რესურსი Wikimedia Commons – <http://commons.wikimedia.org/wiki/File:StampRussia845.jpg>.

¹⁹ ელექტრონული რესურსი Wikimedia Commons. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://commons.wikimedia.org/wiki/File:Hovhannes_Aivazovsky_-_The_Ninth_Wave_-_Google_Art_Project.jpg.

²⁰ დიდი სომხეთი – ძველი სომხური სახელმწიფო სომხეთის მთიანეთის ტერიტორიაზე, რომელმაც 600 წელი იარსება: ჩვ. წ.-მდე 190 წლიდან ჩვ. წ.-ით 428 წლამდე. ქვეყანა მოიცავდა სახრეთ კავკასიის და მცირე აზიის ტერიტორიის ნაწილს.

საფუძველს შეადგენს რამდენიმე უმარტივესი მოთხოვნა ნებისმიერ ერთობაში (საზოგადოებაში) პიროვნების ქცევისადმი, უმარტივესი ზნეობრივი ნორმები, რომლებიც ქრისტიანული ფასეულობების სისტემისთვის საერთოა. მაგალითად, ასეთი ელემენტარული ფასეულობებია: შრომისმოყვარეობა, სიბრძნე, ოჯახი, სხვისი ადამიანური ღირსების პატივისცემა, სამშობლოს სიყვარული, ჯანმრთელობა, პატიოსნება, მოვალეობის გრძნობა, კანონმორჩილება, სხვისი აზრებისა და შეხედულებებისადმი შემწყნარებლობა, შეცდომების პატიების უნარი და სხვა ჭეშმარიტებანი.²¹

წყარო 21 სომხების სტუმართმოყვარეობის შესახებ

ტრადიციულ ყოფაში სომხებისთვის მნიშვნელოვანი იყო კავკასიაში ფართოდ გავრცელებული სტუმართმოყვარეობის ტრადიციის მკაცრი დაცვა. „სტუმარი ღვთისაა“, – ამბობდა ხალხი, ამიტომ ნებისმიერ მგზავრს, რომელიც კარზე დააკაკუნებდა, ყოველთვის ელოდა ჭერი და საჭმელი. განსაკუთრებული პატივით იღებდნენ შორი გზიდან მომავალ სტუმრებს. ეტიკეტის მიხედვით ასეთი სტუმარი ოჯახის ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო და მართლობა არ უნდა ეგრძნო.²²

წყარო 22 სომხური ოჯახის ისტორიული ტრადიციების შესახებ

ოჯახის უფროსისადმი მიღებული იყო ეტიკეტის გარკვეული ნორმები: მისი შემოსვლისთანავე ყველა ფეხზე დგებოდა, მის მითითებებს ფეხზე მდგომნი უსმენდნენ, მისი თანდასწრებით ხმამაღლა ლაპარაკი და მოწვევა არ შეიძლებოდა. ოჯახის უფროსი სუფრასთან პირველი ჯდებოდა, კერძასთან ცენტრალურ ადგილს იკავებდა და დასაძინებლად პირველი წებოდა... გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ოჯახის უფროსი ქალი – ოჯახის დიასახლისი, რომელიც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ჩვეულებრივ, ეს ოჯახის უფროსის ცოლი იყო, მაგრამ, თუ ის ქმარზე ადრე გარდაიცვლებოდა, მაშინ მისი უფლებები გადადიოდა ასაკით მომდევნო მამაკაცის – უფროსი ძმის ან შვილის ცოლზე.²³

წყარო 23 ისტორიკოსის მოსაზრება სომხების როლის შესახებ ხელოსნობის განვითარებაში

მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს სომხების როლს ხელოსნობის განვითარებაში, კერძოდ, ლითონის დამუშავებაში. ინგლისელი არქეოლოგი ჰ. ჩაილდი ამტკიცებს, რომ სომხების წინაპრებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს ლითონის დამუშავება... იგივე ითქმის ძვირფას ლითონზე. უკრაინის სამუზეუმო კოლექციებში ოქროსა და ვერცხლზე მომუშავე სომეხი იუველიერების ბევრი ნამუშევარი ინახება. განსაკუთრებით ფასეულია ძველებური საიუველირო ხელოვნების ჩვენამდე მოღწეული ნივთები, რომლებიც განსაკუთრებული სიასავსით ასახავს ხალხის ინდივიდუალობას, რადგან ყველაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის მრავალფეროვან წესებსა და ტრადიციებთან.²⁴

²¹ Павел Акопян. Армянская апостольская церковь сегодня: проблема сохранения традиционной системы христианских ценностей. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://nashasreda.ru/armyanskaya-apostolskaya-cerkov-segodnya-problema-soxraneniya-tradicionnoj-sistemy-xristianskix-cennostej/>.

²² Традиции армян: Семья. Исторический очерк. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე http://www.hayadat.ru/old/adat/view_armmir.php?id=7.

²³ იქვე.

²⁴ Гаюк И. Иллюстрированная энциклопедия Армянской культуры в Украине, _ Львов: Издательство Афиша, 2012. -Т. 1. - С.247.

წყარო 24 უკრაინაში სომეხი ხელოსნების შესახებ

სომეხები განთქმულნი იყვნენ ხელოსნობის ნაწარმის მაღალი ხარისხითა და მხატვრული ღირებულებით. ხელოსნობის მრავალ დარგში მათ ნამყვანი ადგილი ეკავათ. ჩალიციელი²⁵ სომეხების ძველი გვარის წარმომადგენელმა პაველ ნიკოროვიჩმა 1791 წელს გლინსკში (ლვოვის ოლქის ქ. ჟოვკვას მახლობლად) დააარსა ფაიფურის²⁶ ცნობილი ქარხანა, რომელიც გალიციაში კერამიკის წარმოების ცენტრად ითვლებოდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მაღალ დონეს მიაღწია სადურგლო საქემე ლვოვში: ლვოველი ოსტატების ავეჯი მთელ ავსტრიაში მოთხოვნით სარგებლობდა და წარმატებით უწევდა კონკურენციას ცნობილ ვენურ ნაწარმს.²⁷

წყარო 25 არამ ხაჩატურიანის ბიოგრაფიიდან

არამ ხაჩატურიანი უნიჭიერესი კომპოზიტორია, რომლის ნაწარმოებები XX საუკუნის მუსიკალური კლასიკის ნაწილად იქცა. მისი სახელი ფართოდაა ცნობილი; მის ნაწარმოებებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საუკეთესო თეატრალურ სცენებზე და საკონცერტო დარბაზებში მუსიკალური სამემსრულებლო ხელოვნების კორიფეები ასრულებენ. ხაჩატურიანის მუსიკა დღეს ისმის რადიოთი და ტელევიზიით, კინოში. იუნესკო ხაჩატურიანის სახელს XX საუკუნის ყველაზე ცნობილ კომპოზიტორთა შორის აყენებს, ჩვენი დროის ყველაზე პოპულარული ნაწარმოებების ჩამონათვალში კი შეაქვს მისი „ცეკვა ხანჯლებით“ ცნობილი ბალეტიდან „გაიანე“.

არამ ხაჩატურიანი დაიბადა 1903 წელს კოჯორში – ტიფლისის (დღეს თბილისი) გარეუბანში, სომეხი წიგნის მკაზმავის ოჯახში.

კომპოზიტორის 100 წლის იუბილესთან დაკავშირები 2003 წელი იუნესკომ ხაჩატურიანის წლად გამოაცხადა.²⁸

წყარო 26 აივაზოვსკის ბიოგრაფიიდან

ივანე კონსატინტინეს ძე აივაზოვსკი დაიბადა 1817 წლის 17 ივლისს ფეოდოსიაში, სომეხი მწერლის ოჯახში, რომელიც მოგვიანებით გაკოტრდა.

აივაზოვსკის შემოქმედებაში ზღვა ბუნების ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს, მისი გამოსახვისას მხატვარი მძლავრი სტიქიის მთელ ცხოველმყოფელ სილამაზეს გადმოსცემს. აივაზოვსკის სურათებიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გახდა 1850 წელს დახატული „მეცხრე ტალღა“.

მაგრამ აივაზოვსკიმ ისტორიაში თავისი კვალი დატოვა არა მარტო როგორც ნიჭიერმა ფერმწერმა, არამედ როგორც მეცენატმაც. თავისი ნაწარმოებების პუბლიკაციის წყალობით დაგროვებული კაპიტალით აივაზოვსკი გულუხვად ეწეოდა ქველმოქმედებას. მისი ფულით აშენდა არქეოლოგიური მუზეუმის შენობა ფეოდოსიაში, უამრავი რამ გაკეთდა ქალაქის კეთილმოწყობისთვის.²⁹

²⁵ გალიცია – აღმოსავლეთ ევროპის ისტორიული ოლქი, დაახლოებით შეესაბამება თანამედროვე უკრაინის ივანო-ფრანკოვსკის, ლვოვის ოლქებსა და ტერნოპოლის ოლქის დიდ ნაწილს.

²⁶ ფაიფური – წვრილფორიანი, მკვრივი (ჩვეულებრივ, თეთრი), თხელი კერამიკის მოჭიქული ნაწარმი.

²⁷ «Иллюстрированная энциклопедия Армянской культуры в Украине» – Ирина Гаюк. ელექტრონული რესურსი <http://aniv.ru>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://aniv.ru/archive/24/illjustririvannaja-entsiklopedija-armjanskoj-kultury-v-ukraine-irina-gajuk/>.

²⁸ Жизнь и творчество. Краткая биография. ელექტრონული რესურსი «Виртуальный музей Арама Хачатуряна»; ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.khachaturian.am/rus/biography.htm>.

²⁹ ელექტრონული რესურსი «Библиотекарь.Ру». ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.bibliotekar.ru/rusAyvaz/>.

წყარო 27 რუსული ჟურნალი აივაზოვსკის შესახებ

აივაზოვსკის ნახატები აღაფრთოვანებს პეტერბურგის საზოგადოებას და უაღრესად პატივსაცემი, ღირსშესანიშნავი მოვლენაა. იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ამბობდა, მისი ფანტაზია სულს ლევს და იგი თავის თავს იმეორებსო, მხატვრის პოეტური ფუნჯი მართლაც იმეორებდა, მაგრამ როგორ იმეორებდა! დიახ, იგი იმავე ტალღებს ხატავდა, მაგრამ რაოდენ მეტი აღმაფრენით!... აივაზოვსკიმ ფეხი შედგა გზაზე, რომელსაც ვეღარ გადაუხვევს. პეიზაჟისტიდან იგი ისტორიულ ფერმწერად იქცა. ამით კი დაამტკიცა, რომ მისი ნიჭი უფრო მონიფული გახდა და რომ იგი ის კაცი არ არის, რომელიც ერთსა და იმავეს იმეორებს...³⁰

წყარო 28 რუბენ მამულიანის ბიოგრაფიიდან

რუბენ ზახარის ძე მამულიანი (ინგლ. Mamouljan, 1897 წლის 8 ოქტომბერი, ტიფლისი – 1987 წლის 4 დეკემბერი, ლოს-ანჯელესი) – ამერიკელი კინოსა და თეატრის რეჟისორი. მისი სახელობის ვარსკვლავი გახსნილია ჰოლივუდის დიდების ხეივანში. დაიბადა **ტიფლისში**, სომხურ ოჯახში. ჰოლივუდში მუშაობდა 1920-იანი წლებიდან. მის ფილმებში ბრწყინავდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ: მარლენ დიტრიხი, გრეტა გარბო, მორის შვეალიე. 1935 წელს მან გადაიღო ერთ-ერთი პირველი კომერციულად წარმატებული ფერადი ფილმი „ბეკი შარპი“.³¹

**ბლოკი 3. სომხეთის ძეგლები და კულტურული ელემენტები
იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში**

9. რაში ხედავს მეცნიერი სომხური კულტურის განსაკუთრებულობას (წყარო 29)?
10. რატომ არის მნიშვნელოვანი კულტურული მრავალფეროვნების და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა (წყაროები 30-32)?
11. სომხეთის ძეგლებისა და კულტურული ელემენტების რომელი სახეობებია შეტანილი იუნესკოს სიაში და წარდგენილია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად (წყარო 33)?
12. რას ნიშნავს ეს ძეგლები სომხური კულტურისთვის? რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი მსოფლიო მემკვიდრეობისთვის?

წყარო 29 მეცნიერი სომხური ეროვნული კულტურის სპეციფიკის შესახებ

სომხურ ეროვნულ კულტურას თავიდანვე ახასიათებს ერთგვარი სინკრეტიზმი,³² კერძოდ, მასში გაერთიანებულია მსოფლიოს ორი კულტურული სამყაროს – დასავლეთის და

³⁰ Искусство Ивана Айвазовского //Отечественные записки. – 1864. – Т. 157. – С. 899. Цит. по: http://commons.wikimedia.org/wiki/File:Otechestvennye_zapiski.jpg?uselang=ru.

³¹ Рубен Мамулян. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://aboutarmenia.ru/notes-travelers.ru/aboutarmenia.ru/рубен-мамулян/>

³² სინკრეტიზმი – განსხვავებული ან ურთიერთსაპირისპირო შეხედულებების შეერთება ან კავშირი.

აღმოსავლეთის – სანაყისები. ეს იდეა XIX საუკუნის სომეხმა მოაზროვნეებმა ჩამოაყალიბეს და ერის კულტურული აღორძინების კონცეფციას დაუდეს საფუძვლად. მომდევნო, XX საუკუნეში ამ აზრს ხორცი შეასხა ბრიუსოვმა³³ თავის ნაშრომში, რომელშიც წერდა: „ორი ძალა, ორი ურთიერთდაპირისპირებული სანაყისის გადაკვეთა, გადახლართვა და ახალ მთლიანობაში შერწყმა წარმართავდა სომხეთის ცხოვრებას და ათასწლეულების განმავლობაში მისი ხალხის ხასიათს ქმნიდა: დასავლეთის სანაყისი და აღმოსავლეთის სანაყისი, ევროპის სული და აზიის სული. ორი სამყაროს საზღვარზე, მუდმივად ხალხების შეჯახების ასპარეზად ქცეულ, მოვლენების სვლით უდიდეს ისტორიულ ქარტეხილებში ჩათრეულ სომხეთს თავად ბედისწერამ არგუნა ყოფილიყო ორი განსხვავებული კულტურის მომრიგებელი“.³⁴

წყარო 30 მსოფლიო კულტურის დახასიათება

კულტურის სამყარო, რომელშიც კაცობრიობა არსებობს, რთული და მრავალგვარია, ამიტომ მსოფლიო კულტურა უნდა გვესმოდეს, როგორც ყველა ხალხის კულტურის თანასწორუფლებიანი თანაარსებობა. ეს თანაარსებობა ემყარება შემდეგ პრინციპებს: ეროვნული კულტურები ერთმანეთს ამდიდრებს; დაუშვებელია, რომ ცალკეულ კულტურას ჰქონდეს ლიდერობის პრეტენზია; ზოგადსაკაცობრიო კულტურა მის ცალკეულ სახესხვაობაზე უპირატესად არის აღიარებული, რადგან იგი ერთ მთლიანობაში აერთიანებს მათ და წინააღმდეგობებით აღსავსე მსოფლიოში ხელს უწყობს ურთიერთგაგებას.³⁵

წყარო 31 იუნესკოს საყოველთაო დეკლარაციიდან კულტურული მრავალფეროვნების შესახებ (2001 წ.)

მუხლი 1. კულტურული მრავალფეროვნება, როგორც კაცობრიობის საერთო მონაპოვარი კულტურის ფორმები დროსა და სივრცეში იცვლება. ეს კულტურული მრავალფეროვნება მჟღავნდება იმ თავისებურებათა განუმეორებლობასა და მრავალფეროვნებაში, რომელიც ახასიათებს კაცობრიობის შემადგენელ ჯგუფებსა და ერთობებს. კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც არის გაცვლის, ნოვატორობისა და შემოქმედებითობის წყარო, კაცობრიობისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ბიომრავალფეროვნება ცოცხალი ბუნებისთვის. ამიტომ კულტურული მრავალფეროვნება კაცობრიობის საერთო მონაპოვარია და აღიარებული და დაფიქსირებული უნდა იქნეს ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.³⁶

³³ ვალერი იაკობის ძე ბრიუსოვი – რუსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე.

³⁴ Римма Мирумян. Армянское культурное наследие как механизм самозащиты нации в условиях глобализации. «Наша Среда». ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე <http://nashasreda.ru/armyanskoe-kulturnoe-nasledie-kak-mexanizm-samozashchity-nacii-v-usloviyax-globalizacii/>

³⁵ История украинской культуры. Национальная культура - часть мировой культуры. ელექტრონული რესურსი <http://mobile.studbooks.net>. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://mobile.studbooks.net/56994/kulturologiya/natsionalnaya_kultura_sostavlyayuschaya_mirovoy_kultury

³⁶ Всеобщая декларация ЮНЕСКО о культурном разнообразии. Веб-сайт ЮНЕСКО. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://unesdoc.unesco.org/images/0012/001246/124687r.pdf#page=78&zoom=auto,-10,396>; გვ. 72-73.

წყარო 32 მსოფლიო კულტურისა და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის მიღების მიზნების შესახებ

მსოფლიო კულტურისა და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია მიიღეს იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე 1972 წელს. ის ეფუძნება აზრს, რომ დედამიწაზე არის ისეთი ადგილები, რომლებსაც აქვს „განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება“ და ამ სახით კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის ნაწილი უნდა გახდეს.³⁷

წყარო 33 სომხეთის ძეგლები და კულტურული ელემენტები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში³⁸

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სია:

- ◆ ახპატისა და სანაინის მონასტრები (1996, 2000 წწ.);
- ◆ ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარი და ეკლესიები და ზვარტნოცის არქეოლოგიური ძეგლი (2000 წ.);
- ◆ გეგარდის მონასტერი და მდინარე აზატის ზემო წელი (2000 წ.).

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ჩართვაზე წარდგენილი ობიექტების 4 ჯგუფი:

- ◆ გათხრები ქალაქ დვინში და ქალაქი დვინი;
- ◆ ერერუიკის ბაზილიკა;
- ◆ ტათევისა და ტათევი ანაპატის მონასტრები, მათი მიმდებარე მდინარე ვოროტანის კანიონის ტერიტორია;
- ◆ ნორავანქის მონასტერი და მდინარე ამაგუს ხეობა.

სომხეთის კულტურული ელემენტები, შეტანილი იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში:

- ◆ სომხური დუდუკის მუსიკა (2005 წ.);
- ◆ სომხური ხაჩკარები, მათი სიმბოლიკა და მათი შექმნის ოსტატობა (2010 წ.);
- ◆ სომხური ეპოსი „დავით სასუნცი“ (2012 წ.);
- ◆ ლავაში: ტრადიციული პურის დამზადება, მნიშვნელობა და კულტურული გამოვლინებები სომხეთში (2014 წ.).

იუნესკოს რეესტრში „მსოფლიო მემკვიდრეობა“ შეტანილია:

- ◆ ძველი ხელნაწერების ინსტიტუტი „მეტანადარანი“ (1997 წ.);
- ◆ სომეხი ასტრონომის ბენიამინ მარქარიანის ბიურაკანული სპექტრალური მიმოხილვა (2011 წ.);
- ◆ არამ ხაჩატურიანის ხელნაწერი ნოტები და კინომუსიკა (2014 წ.).

შემაჯამებელი განხილვა

როგორ ამდიდრებს ეროვნული კულტურა მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობას?

³⁷ საინფორმაციო შეტყობინება. იქვე, ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.unesco.org/bpi/pdf/memobpi27_worldheritage_ru.pdf.

³⁸ ადაპტირებულია, ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.unesco.org/eri/cp/factsheets/ARM_facts_figures.pdf.

ამიერკავკასიის სემინარია

▶ რატომ გახდა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია კულტურული დიალოგის სიმბოლო?

◆ ისტორიული ცნობა 1

XIX საუკუნის დამდეგს ამიერკავკასია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, რის შემდეგაც კავკასიის ხალხები მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის ქვეშ მოექცნენ. იმპერიის ძირითადი ამოცანა იყო რაც შეიძლება მალე ჩაერთო ეს ხალხები და ტერიტორიები რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. მრეწველობის განვითარებას და კაპიტალიზმის დამყარებას რუსეთის იპერიაში, კავკასიის მოდერნიზაციას, რომელიც დაკავშირებული იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ალექსანდრე II დროს ჩატარებული რეფორმების შემდეგ რეგიონის სამრეწველო ათვისებასთან, რუსეთის ბაზარზე გასვლას, მუშახელის მასობრივ მიგრაციას მოჰყვა მნიშვნელოვანი ძვრები კულტურის ყველა დარგში. ეკონომიკური განვითარების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად რუსეთის იმპერიაში განათლების რეფორმის ფარგლებში შემოიღეს მოსახლეობის ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი მასობრივი განათლება, ვითარდებოდა სწავლების ნაირგვარი ფორმები. ამიერკავკასიის ტერიტორიაზეც იხსნება ბევრი სასწავლო დასწესებულება, რომლებსაც უნდა აემაღლებინათ კავკასიის ხალხთა განათლების დონე და ამავე დროს ხელი შეეწყოთ რუსული ენისა და ქრისტიანობის გავრცელებისთვის მუსლიმ ხალხებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამასწავლებლო სემინარიებს, რომლებიც ამ სკოლებისთვის მასწავლებლებს ამზადებდნენ, რადგან კატასტროფულად მცირე იყო ისეთი პედაგოგების რიცხვი, რომლებიც განათლების სათანადო დონის უზრუნველყოფას შეძლებდნენ. 1876 წელს საქართველოში, ქალაქ გორში გაიხსნა პირველი სამასწავლებლო სემინარია, რომელიც სამხრეთ კავკასიის სკოლებისთვის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ამზადებდა. 1878 წელს ამ სემინარიის შემადგენლობაში გაიხსნა სომხური, ხოლო 1879 წელს – რუსული და აზერბაიჯანული (ან, როგორც მას მაშინ უწოდებდნენ, თათრული) განყოფილებები. არსებობის მანძილზე ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიამ აღზარდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის განათლების, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა მთელი პლეადა.

ბლოკი 1. ვინ და რას სწავლობდა სემინარიაში

1. განსაზღვრეთ წყაროების 1-3 მეშვეობით, ვის შეეძლო ესწავლა სამასწავლებლო სემინარიაში.
2. შეადარეთ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელთა სწავლების პირობები. რით განსხვავდებოდა ეს პირობები? რით შეიძლება ამის ახსნა?
3. ვინ დააფინანსა სემინარიის აზერბაიჯანული (თათრული) განყოფილების გახსნა? როგორ ფიქრობთ, რა მიზნით?

წყარო 1 გაზეთი „ეკინჩი“,¹ 1876 წელი

... ქალაქ გორში გაიხსნა სასწავლებელი, რომლის კურსდამავრებულებიც მასწავლებლები ხდებიან. ოცი კაცი (სომხები და ქართველები) მიიღებენ განათლებას ამ სასწავლებელში სახელმწიფოს ხარჯზე. ახლა გაზეთი „კავკაზი“ წერს, რომ მართლაც გაიხსნება ცალკე სასწავლებელი მუსლიმური სკოლების მასწავლებლებისათვის, მაგრამ დღეისათვის, თუ მუსლიმებიდან ვინმე მოინდომებს, მათ შვილებსაც შეუღლიათ ისწავლონ გორის სემინარიაში იმ პირობით, რომ თვითონ დაფარავენ სწავლის ხარჯებს. სემინარიაში შესასვლელად აუცილებელი კრიტერიუმებია სამაზრო სკოლის განთლება და ასაკი თექვსმეტიდან ცხრამეტ წლამდე. სწავლა სემინარიაში სამ წელიწადს გაგრძელდება.²

წყარო 2 კავკასიაში მეფისნაცვლის,³ დიდი თავადის მიხაილ ნიკოლაის ძე რომანოვის საპასუხო წერილიდან მირზა ფათალი ახუნდოვისა და მირზა ჰუსეინ გაიბზადესადმი

თქვენ ახალი სემინარია გინდათ. თქვენს პროექტში მოითხოვთ, რომ სკოლა გაიხსნას ან თბილისში, ან სხვა ქრისტიანულ ქალაქში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობაა. ეს ზოგიერთ პრობლემას ქმნის. საამისოდ საჭირო იქნება საცხოვრებელი ადგილები, სკოლის შენობა, სხვადასხვა ინვენტარი. ამიტომ ვფიქრობ, რომ თქვენც, როგორც ქართველები და სომხები, დღეისათვის დათანხმდებით სკოლის გახსნას ქალაქ გორში.⁴

წყარო 3 სემინარიის აღჭურვის შესახებ

მეფისნაცვლის მოადგილის ბრძანებულების თანახმად, შესაქმნელი სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილების განლაგებისა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფისთვის შეთავაზებული იყო, რომ ერობას⁵ გიმნაზიის ხელმძღვანელობისთვის 4 ათასი მანეთი გადაეცა. სახელმწიფო პალატამ, რომელიც მხარს უჭერს აზერბაიჯანელი ახალგაზრდობის განათლებას, მოიწონა ეს იდეა. სახელმწიფო პალატა ღირსების საქმედ მიიჩნევს მოგახსენოთ, რომ ერობის გადასახადებიდან გამოიყო თანხა თათრების (აზერბაიჯანელი თურქების⁶) მოსახლეობიდან სოფლის მასწავლებლების მომზადების მიზნით, მეფისნაცვლის ძირითადი გამგეობის განკარგულების თანახმად, 1879 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით შექმნილი სემინარიის სპეციალური თათრული განყოფილების განლაგებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვისთვის.⁷

¹ „ეკინჩი“ (აზერბაიჯანულად „მხენელ-მთესველი“) – პირველი აზერბაიჯანული გაზეთი, რომელიც ბაქოში გამოდიოდა 1875-1877 წლებში. ისტორიაში პირველი გაზეთი, რომელიც მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე იბეჭდებოდა და პირველი გაზეთი რუსეთის იმპერიაში, რომელიც თურქულ ენაზე გამოიცემოდა.

² Ученые записки (отдельное издание). Баку. Издательство АГУ, 1961, С. 10.

³ მეფისნაცვალს – თანამდებობის პირი, მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (ამ შემთხვევაში – კავკასიის მხარის) ხელმძღვანელი.

⁴ Карадаги (Хан Карадагский), Гасаналиага. И таким временам суждено было сбыться. Баку. Азербайджанская национальная академия наук, РИО, 2003. С. 280.

⁵ ერობა – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანო რუსეთის იმპერიაში.

⁶ აზერბაიჯანელი თურქები (თურქები) – აზერბაიჯანელები.

⁷ Шемистан Назирли. Поезд из Гори. Баку, 1998.



4. გაეცანით წყაროებს 4-7. რა სიძნელეებს აწყდებოდა აზერბაიჯანული განყოფილების ხელმძღვანელობა და რა პრობლემების გადაჭრა უხდებოდა?
5. როგორ ფიქრობთ, რა როლს ასრულებდა რუსული ენის შესწავლა სემინარისტებისთვის? რამდენად აუცილებელი იყო რუსულის ცოდნა მომავალი მასწავლებლებისთვის?

წყარო 4 როგორ გაიხსნა აზერბაიჯანული განყოფილება

გარკვეული სიძნელეების დაძლევის შემდეგ სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილება, როგორც იქნა, გაიხსნა და მის ინსპექტორად ალექსეი ოსიპის ძე ჩერნიავესკი⁸ დაინიშნა. სემინარიის დირექტორმა დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვმა⁹ იგი გამოიძახა და უიმედოდ უთხრა, განაცხადების შემომტანთა რიცხვი არასაკმარისია და საქმე ასე თუ წავიდა, განყოფილების არსებობა შეიძლება კითხვის ქვეშ აღმოჩნდესო. ალექსეი ოსიპის ძე კი იმედს არ კარგავდა და დაიწყო ბავშვების ძებნა განყოფილების გასახსნელად. იგი ჩადიოდა ერევანში, ნახჭევანში, განჯაში, შუშაში, შემახაში, ყუბასა და დარუბანდში,¹⁰ კარდაკარ დადიოდა და აგროვებდა ბავშვებს. იგი უხსნიდა მშობლებს, რომ სემინარიის მესვეურები ისწრაფვიან შუქი მოჰფინონ აზერბაიჯანელი ხალხის ბედს და რომ მათ (*მშობლებმა*) არ უნდა წაართვან თავიანთ შვილებს ამ შუქის ანთების შესაძლებლობა. მას უხდებოდა ასობით კილომეტრის გავლა ფაეტონით, ურმით, მატარებლით და ზოგჯერ ფეხითაც კი.¹¹

წყარო 5 ა. ო. ჩერნიავესკი დაწყებით სკოლაში სწავლების ენის შესახებ

ჩვენს დროში აღარავინ დაიწყებს კამათს საკითხზე, თუ რა ენაზე უნდა მიმდინარეობდეს სწავლება ელემენტარულ სკოლებში.¹² აქსიომაა, რომ სწავლება უნდა იწყებოდეს და მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე და, ვფიქრობ, ამას ყველა დაეთანხმება. და თუ ეს ასეა, მაშასადამე თათრებს, სომხებს, ქართველებს და ა.შ. სრული და ხელშეუვალი უფლება აქვთ ისწავლონ მშობლიურ ენაზე, ყოველ შემთხვევაში, პირველ წელს წერა-კითხვას ითვისებდნენ მშობლიურ ენაზე. მაგრამ რა ვქნათ, როცა ნახევარი ან ნაწილი მოსწავლეებისა სხვა ეროვნებისაა ან არიან ან სკოლაში სხვადასხვა ეროვნების ბავშვები – სომხები, თათრები, რუსები, ქართველები სწავლობენ?¹³

⁸ ალექსეი ოსიპის ძე ჩერნიავესკი – თვალსაჩინო რუსი და აზერბაიჯანელი პედაგოგი. 1879 წელს ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილების გახსნის დღიდან ა.ო. ჩერნიავესკი დაინიშნა მის ინსპექტორად. სახელმძღვანელოს „ვეტენ დილი“ („მშობლიური ენა“) გამოცემა, ისეთი აზერბაიჯანელი კადრების მომზადება, როგორიც არიან ფირიდუნ ბეკ ქოჩარლი, რაშიდ ბეკ ეფენდიევი, საფარლი ბეკ ველიბეკოვი, მაჰმუდ ბეკ მაჰმუდბეკოვი, სულეიმან სანი ახუნდოვი, ჯელილ მემედ-ყული ზადე, ნარიმან ნარიმანოვი და სხვ., ა.ო. ჩერნიავესკის დამსახურებაა.

⁹ დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვი – პედაგოგი და მწერალი. ასწავლიდა გეოგრაფიას და ისტორიას. რუსული ენის სწავლების მეთოდის შესახებ მრავალი ნაშრომის ავტორი. 1878 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად ქ. გორში.

¹⁰ ნახჭევანი, განჯა, შუშა, ყუბა და დარუბანდი – ამიერკავკასიის ქალაქები XIX საუკუნის დამლევს.

¹¹ Шемистан Назирли. Поезд из Гори. Баку, 1998.

¹² ელემენტარული სკოლები – აქ: დაწყებითი სკოლები.

¹³ Черняевский А.О. К вопросу о местных народных школах// Кавказ, 1882. № 308.

წყარო 6 დაწყებითი სკოლისთვის აზერბაიჯანული ენის სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ

კ. დ. უშინსკის¹⁴ დიდაქტიკურ პრინციპებზე დაყრდნობით ჩერნიავესკიმ შეადგინა სახელმძღვანელო „ვეტენ დილი“,¹⁵ რომელიც შინაარსით, მარტივი ენითა და მოსწავლეთა ასაკისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით შეესაბამებოდა უშინსკის სახელმძღვანელოს „როდნოე სლოვო“ („მშობლიური ენა“). ჩერნიავესკიმ მეთოდური სახელმძღვანელოც უშინსკის მიბაძვით შეადგინა.

ჩერნიავესკისთვის კიდევ ერთი ნიმუში იყო არანაკლებ ცნობილი რუსული სახელმძღვანელო – დიდი რუსი მწერლისა და პედაგოგის ლევ ნიკოლაის ძე ტოლსტოის „აზბუკა“ („ანბანი“). 1881 წელს მან (ტოლსტოიმ) ყველა გამომცემელს მიმართა ღია წერილით, რომელშიც ნება დართო ეთარგმნათ და გადაეხეჭდათ მისი ყველა ნაწარმოები, დამატებითი ნებართვის გარეშე. უკვე 1882 წელს გამოჩენილმა პედაგოგმა, მწერალმა და ეთნოგრაფმა რაშიდ ბეკ ეფენდიევმა (1863-1942), ჩერნიავესკის სტუდენტმა, თარგმნა ლ. ნ. ტოლსტოის ზოგიერთი მოთხრობა აზერბაიჯანულ ენაზე. ტოლსტოის „აზბუკის“ ფოლკლორულ მასალაზე დამყარებული საბავშვო მოთხრობები შევიდა სახელმძღვანელოში „ვეტენ დილი“.¹⁶

წყარო 7 დაწყებით სკოლაში მშობლიური ენის სწავლების შესახებ

სახელმძღვანელოში „მშობლიური ენა“ („ვეტენ დილი“) ალექსეი ოსიპის ძე ჩერნიავესკიმ ჩართო აზერბაიჯანული ანდაზები, გამოცანები, სიტყვა-თქმანი, ლექსების ნაწყვეტები. ჩერნიავესკის „მშობლიურ ენას“ აზერბაიჯანელებისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც კონსტანტინ უშინსკის „როდნოე სლოვო“ („მშობლიური ენა“) რუსული სკოლებისთვის. რადგან „მშობლიურ ენამდე“ აზერბაიჯანულ განყოფილებას სახელმძღვანელო არ ჰქონდა, ჩერნიავესკიმ თავისი სტუდენტების დახმარებით შეადგინა სასწავლო პროგრამა კვირების მიხედვით. გარდა ამისა, მან მოამზადა საკითხავი მასალა ბგერითი მეთოდით¹⁷ გაკვეთილების ჩასატარებლად. მოგვიანებით კავკასიის ოლქის ანგარიშში აღინიშნა, რომ ჩერნიავესკის მიერ ოსტატურად შედგენილი მასალა აზერბაიჯანულ კურსდამთავრებულთა პედაგოგიური მომზადების შესანიშნავი საფუძველი გახდა.¹⁸

¹⁴ კ. დ. უშინსკი – რუსი პედაგოგი, რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი. მან შექმნა სახელმძღვანელოები „როდნოე სლოვო“ და „დეტსკი მირ“ („ბავშვთა სამყარო“), რომლებმაც გადატრიალება მოახდინა საბავშვო პედაგოგიურ ლიტერატურაში. კ. დ. უშინსკის უწოდებენ ხალხური მასწავლებლების დიდ მასწავლებელს, რომელმაც შექმნა სკოლებისთვის მასწავლებელთა კადრების მომზადების სრული პროგრამა.

¹⁵ „ვეტენ დილი“ („მშობლიური ენა“) – სახელმძღვანელო, რომელიც ჩერნიავესკიმ საფარლი ბეკ ველიბეკოვის თანაავტორობით შეადგინა.

¹⁶ Регина Мамедова. Связующая нить времен. О первом учебнике азербайджанского языка для светских школ. / Наследие, №5(65), 2013. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – www.irs-az.com/new/pdf/201312/1386067950571889673.pdf. ელექტრონულ რესურსზე შესვლის თარიღი 15.10.2014.

¹⁷ სწავლების ბგერითი მეთოდი – ცოცხალი ენის ანალიზზე დამყარებული მეთოდი. უშინსკის რეკომენდაციის თანახმად, წერა-კითხვის სწავლება უნდა იწყებოდეს სიტყვებში არსებული ხმოვნების სმენითი გარჩევით. ჯერ გამოიყოფა ხმოვანი ბგერები, შემდეგ კი სიტყვებში აღინიშნება ასოებით. ამის შემდეგ სიტყვები იმარცვლებიდან მოსწავლეები გამოყოფენ ხმოვნებს და სწავლობდნენ თანხმოვნებს. ყოველი მარცვლის წარმოთქმით ბავშვი აღიქვამს მისი ბგერების შემადგენლობას და უფრო სწრაფად ითვისებს ენას.

¹⁸ Рзали Расмие. Самоотверженец просвещения. Азербайджанское отделение Горийской Семинарии-130: об Алексее Осиповиче Черняевском. Газета «Азербайджан», 11 июля 2009 года. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://jurnal.org/articles/2010/hist19.html>. ელექტრონულ რესურსზე შესვლის თარიღი 20.10.2014.



6. შეისწავლეთ წყაროები 8-10 და გამოარკვიეთ, როგორი იყო სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელთა შემადგენლობა. როგორ ფიქრობთ, რას აფასებდნენ მოსწავლეები ყველაზე მეტად თავიანთ მასწავლებლებში?



წყარო 8

ამიერკავკასიის
სამასწავლებლო სემინარიის
მასწავლებლებისა
და სემინარისტების

ჯგუფი. ქვედა მწკრივში – ქართველი და რუსი მასწავლებლები, ორ ზედა მწკრივში – აზერბაიჯანელი სემინარისტები და რამდენიმე აზერბაიჯანელი მასწავლებელი.

XX საუკუნის დამდეგი¹⁹

წყარო 9 სემინარიის კურსდამთავრებულის მამედ ჰანაფი თერეგულოვის მოგონებებიდან სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებლების შესახებ

დიდი როლი ჩვენს მუსიკალურ განვითარებაში შეასრულა სიმღერის გაკვეთილებმა, რომლებსაც მასწავლებელი სიმონ პავლეს ძე გოგლიჩიძე გვიტარებდა. ამ გაკვეთილებზე პირველად გავეცანით ნოტების სისტემას, გამებს, ტონებსა და ნახევარტონებს, ორ- და სამხმიან სიმღერას.

ჩვენი მასწავლებელი, მიხაილ ლეონტის ძე პეკერი, საკმაოდ კარგად უკრავდა ვიოლინოზე და მოკლე ხანში მიაღწია იმას, რომ ჩვენ როგორც სასულე, ისე სიმებიან ორკესტრში შეგვეძლო შეგვესრულებინა არა მარტო ცალკეული მარშები და ვალსები, არამედ მთელი პოპურებიც²⁰ ოპერებიდან „ფაუსტი“, „ტრაფიატა“, „თავადი იგორი“ და სხვა.²¹



7. წყაროებზე 10-11 დაყრდნობით განსაზღვრეთ, რა საგნებს სწავლობდნენ სემინარისტები.
8. თქვენი აზრით, რა საგნები აკლია ამ ჩამონათვალს? რით შეიძლება აიხსნას საგნების ასეთი ჩამონათვალი?
9. განსაზღვრეთ, რა მოვალეობები და რა პრივილეგიები ჰქონდა სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულს.

¹⁹ აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმი. დოკუმენტური წყაროების ფონდი.

²⁰ პოპური (ფრანგულიდან *populaire*, პირდაპირი მნიშვნელობით – სხვადასხვა ხორცისა და ბოსტნეულის კერძი) – მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შედგენილია სხვადასხვა პოპულარული ოპერის, ოპერეტის, ხალხური სიმღერისა და მისთ. ნაწყვეტებისაგან.

²¹ Терегулов А.Г. В Горийской учительской семинарии. //Известия АН Азербайджанской ССР, № 9, 1945. С.84–85.

წყარო 10 ლუკა პავლეს ძე რაზიკოვის²² სახელზე 1882 წელს გაცემული ატესტატი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შესახებ²³

ატესტატი №61

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის საბჭოს მიერ სამასწავლებლო სემინარიების შესახებ დებულების საფუძველზე მიეცა ეს ატესტატი სემინარიის აღსაზრდელ ლუკა პავლეს ძე რაზიკოვს, მღვდელს შვილს, მართლმადიდებელს, დაბადებიდან 20 წლის ასაკისას, მასზედ, რომ მან, გამოირჩეოდა რა ჩინებული ყოფაქცევით, საბოლოო გამოცდაზე წარმოაჩინა შემდეგი ცოდნა:

1. საღმრთო რწმუნებაში – ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)
2. პედაგოგიკაში – ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)
3. რუსულ ენაში – ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)
4. ქართულ ენაში – ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)
5. არითმეტიკაში – დამაკმაყოფილებელი (4)
6. გეომეტრია და მინიმუმზომელობაში – დამაკმაყოფილებელი (4)
7. ისტორიაში – ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)
8. გეოგრაფიაში – ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)
9. ბუნებისმეტყველებაში – ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)
10. სუფთა წერაში – დამაკმაყოფილებელი (4)
11. ხატვასა და ხაზვაში – დამაკმაყოფილებელი (4)
12. სწავლებაში პრაქტიკულ მეცადინეობაში – ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)

გარდა ამისა სწავლობდა სიმღერას, ტანვარჯიშს. ამის შედეგად მას ენიჭება დაწყებითი სახალხო სასწავლებლის მასწავლებლის ნოდება და აღნიშნულ თანამდებობაზე დადგომისას შეუძლია ისარგებლოს ამ თანამდებობისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.

1882 წლის 12 ივნისი, ქ. გორი.

პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე დ. სემიონოვი

პედაგოგიური საბჭოს წევრები:

საღმრთო რწმუნების მასწავლებელი დეკანოზი ტერ სტეპანოვი

ქართული ენის მასწავლებელი მ.კ. ყიფიანი

ბუნებისმეტყველების მასწავლებელი სოკოლოვი

გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებელი ნ. დმიტრიევი

არითმეტიკისა და გეომეტრიის მასწავლებელი ი.ვ. პიასეცკი

საბჭოს მდივანი რუსული ენის მასწავლებელი ნ. ნოვოსპასკი


ბ.ა.

საქმის მწარმოებელი გოლუბიატნიკოვი

²² ლუკა პავლეს ძე რაზიკოვი (რაზიკაშვილი) – გამოჩენილი ქართველი პოეტი ვაჟა ფშაველა (უფრო დაწვრილებით მის შესახებ იხ. ისტორიული ცნობა 2).

²³ მონაფეობისდროინდელი დოკუმენტები. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://tagiweb.com/mowafeobisdroindeli-dokumentebi> / ელექტრონულ რესურსზე შესვლის თარიღი 14.02.2015.

ნყარო 11 ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შესახებ
უზეირ ბეკ ჰაჯიბეკოვის²⁴ სახელზე 1904 წელს გაცემული მოწმობიდან²⁵



მოწმობა

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის საბჭოს მიერ სამასწავლებლო სემინარიების შესახებ დებულების საფუძველზე მიეცა ეს მოწმობა სემინარიის აღსაზრდელ უზეირ ბეკ აბდულა ჰაჯიბეკოვს, ბონის შვილს, მუსლიმს, დაბადებიდან 18 წლის ასაკისას, მასზედ, რომ მან, გამოირჩეოდა რა ჩინებული ყოფაცქცევით, წარმოაჩინა შემდეგი წარმატებები:

- | | |
|----------------------------------|-----------------------------|
| 1) საღმრთო რწმუნებაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (5) |
| 2) პედაგოგიკაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (5) |
| 3) რუსულ ენაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (5) |
| 4) ქართულ ენაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (5) |
| 5) არითმეტიკაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (4) |
| 6) გეომეტრია და მინისმზომელობაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (4) |
| 7) ისტორიაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (4) |
| 8) გეოგრაფიაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (4) |
| 9) ბუნებისმეტყველებაში | ფრიად დამაკმაყოფილებელი (5) |

²⁴ უზეირ ბეკ ჰაჯიბეკოვი – აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკათმცოდნე, პუბლიცისტი და დრამატურგი (იხ. ისტორიული ცნობა 2).

²⁵ Алла Байрамова. Документы Узейр бека в Санкт-Петербурге. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://musigi-dunya.az/new/read_magazine.asp?id=1407&page=1 ელექტრონულ რესურსზე შესვლის თარიღი 24.01.2015.

10) სუფთა წერაში

დამაკმაყოფილებელი (3)

11) ხატვასა და ხაზვაში

ფრიად დამაკმაყოფილებელი (5)

12) სწავლებაში პრაქტიკულ მეცადინეობაში

ფრიად დამაკმაყოფილებელი (4)

გარდა ამისა სწავლობდა

1) სიმღერას:

ა) საეკლესიოს

ბ) საეროს

2) მუსიკას

ა) სიმებიანს

ბ) სასულეს

3) სოფლის მეურნეობას:

ა) მეხალეობა-მეპოსტნეობას

ბ) მეფუტკრეობას

გ) მეაბრეშუმეობას

4) —სამკაზმო ხელობას

5) —ხელგარჯილობას—

6) ტანვარჯიშს

ამის შედეგად მას ენიჭება დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის წოდება და აღნიშნულ თანამდებობაზე დადგომისას შეუძლია ისარგებლოს ამ თანამდებობისათვის მინიჭებული ყველა უფლებით. კენჭისყრით სამხედრო მოვალეობის მოხდის შემთხვევაში განათლებით მიეკუთვნება მესამე თანრიგს და სამხედრო მოვალეობის შესახებ წესდების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეღავათის²⁶ უფლება აქვს.

აღნიშნული ჰაჯიბეკოვი, როგორც სახელმწიფო ხარჯზე ნასწავლი, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის შესახებ დებულების მე-6 მუხლის საფუძველზე ვალდებულია უფროსობის დანიშნულებისამებრ ექვსი წელი იმუშაოს სახალხო ან სხვა სასწავლებლების მასწავლებლის თანამდებობებზე.

1904 წლის 1 ივნისი, ქ. გორი.

ბლოკი 2. რელიგია სემინარისტთა ცხოვრებაში

10. შეისწავლეთ წყაროები 11-13. განსაზღვრეთ, რა მოსაზრებებია მოყვანილი ამ წყაროებში კავკასიაში სასწავლო დაწესებულებების როლის შესახებ და რით არის ეს მოსაზრებები დასაბუთებული.

წყარო 11 საბჭოთა სახელმძღვანელოდან „პედაგოგიკის ისტორია“

მუსლიმებით დასახლებულ ადგილებში ოდითგანვე არსებობდა კონფესიული სკოლები (მა-ქთაბები, მედრესეები და სხვ.), რომლებიც რელიგიური ფანატიზმისა და პანთურქიზმის²⁷ ბუდე იყო. მათ საპირისპიროდ მეფის მთავრობა ქმნიდა სპეციალურ სახელმწიფო სკოლებს რუსეთის

²⁶ სამხედრო ვალდებულების შესახებ 1874 წლის 1 იანვრის წესდების თანახმად სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეები სურვილისამებრ იღებდნენ სამხედრო მოვალეობის შესრულების გადავადებს 27 წლამდე. გარდა ამისა, სამხედრო მოვალეობის შესრულებისას მათ დადგენილი ჰქონდათ სამსახურის შემოკლებული ვადები. სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლები თავისუფლდებოდნენ ნამდვილი სამხედრო სამსახურისგან მშვიდობიან დროს და 15 წელიწადს ირიცხებოდნენ სათადარიგოებად იმ პირობით, თუ 6 წლის მანძილზე ყოველ წელს დაადასტურებდნენ, რომ სპეციალობით მუშაობენ.

²⁷ პანთურქიზმი (პანთურანიზმი) – საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აზერბაიჯანსა და თურქეთში, რომელიც მიზნად ისახავს ყველა თურქი ხალხის კულტურულ და პოლიტიკურ კონსოლიდაციას ერთი საერთო სახელმწიფოს ან კონფედერაციის შიგნით, ანუ ამ თურქულმა სახელმწიფომ უნდა მოიცვას მთელი თურქულენოვანი ხალხები მათი განსახლების სივრცეებთან ერთად – ბალკანეთიდან ყირიმამდე და აღმოსავლეთ ციმბირიდან დასავლეთ ჩინეთამდე.

მრავალრიცხოვანი ხალხებისათვის, სადაც მომზადებულ მასწავლებლებს, რომლებიც ფლობდნენ ახალ დიდაქტიკურ მეთოდებს, საერო საგნებს ასწავლიდნენ. ამ სკოლებში განათლების დონე უფრო მაღალი, ხოლო სწავლების საერთო ორგანიზაცია და მეთოდები უკეთესი იყო, ვიდრე მუსლიმურ სკოლებში, მაგრამ აქ პირველ რიგში ისახავდნენ კოლონიურ მიზნებს – მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებიდან მეფის ხელისუფლების ერთგული ადამიანების მომზადებას.²⁸

წყარო 12 რელიგიური მოღვაწე აბუ თურაბი²⁹ ისლამის როლზე მუსლიმთა ცხოვრებაში

სტატიაში „რა მეცნიერებანი სჭირდებათ მუსლიმებს“ აბუ თურაბი წერდა: „საერო მეცნიერებათა ცოდნით შეიძლება მიაღწიო მაღალი დონის განსწავლულობას, გახდეს ფილოსოფიის მასწავლებელი – არისტოტელე, მაგრამ ვერ გახდები ჭეშმარიტი მუსლიმი. ამისათვის საჭიროა თავი მიუძღვნა ყურანის, შარიათის³⁰ და, საერთოდ, ღვთისმეტყველების შესწავლას. მხოლოდ ღვთის მსახურებით, მოციქულთა მიერ დადგენილი მოძღვრების მოთხოვნების შესრულებით შეუძლია ადამიანს ზნეობრივად ამაღლდეს და მიიღოს მორალური დაკმაყოფილება და ჭეშმარიტი ხსნა უწმინდური სულის ცდუნებისაგან, დაუოკებელ ვნებათა დამთრგუნველი ძალისგან, საერო მეცნიერებანი კი ოდნავადაც არ უწყობს ხელს თვითნებობისგან, ზნეობრივი ბრწინებებისგან ადამიანის განთავისუფლებას, არ ამაღლებენ მას სულიერ-ზნეობრივი თვალსაზრისით.“³¹

წყარო 13 ფირუდინ-ბეკ ქოჩარლის³² პასუხი აბუ თურაბის სტატიაზე

ამგვარ ქადაგებას და ჭკუის სწავლებას მოჰყვება ჩვენი ძმების მუსლიმების ძალთა დასუსტება, აზროვნების, ნიჭის გაყინვა, არაფერში აღარ გამოვლინდება მათი სიმამაცე და გაბედულობა, ისინი შეურიგდებიან თავიანთ ბედს, დაეთანხმებიან ნებისმიერ ტანჯვა-წამებას, ნებისმიერ ჭირ-ვარამსა და სიძნელეებს, აიტანენ ცხოვრებისეულ გასაჭირსა და ვაებას³³...

- ▼
11. გაეცანით წყაროს 14. ვინ შეხვდა ერთმანეთს? როგორ ფიქრობთ, რის გამო გახდა შესაძლებელი კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შეხვედრა და რა სარგებლობა მოუტანა მის მონაწილეებს?

²⁸ Н.А.Константинов, Е.Н.Медынский, М.Ф.Шабаета, История педагогики. «Просвещение», Москва, 1982. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://gigabaza.ru/doc/71200.html>. ელექტრონულ რესურსზე შესვლის თარიღი 18.10.14.

²⁹ აბუ თურაბი, ახუნდ აბუ თურაბი – XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის აზერბაიჯანელი ღვთისმეტყველი მეცნიერი, პუბლიცისტი, განმანათლებელი.

³⁰ შარიათი – კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ მუსლიმთა მრწამსსა და ზნეობრივ ფასეულობებს. შარიათის დანაწესები დამონმებულია, უწინარეს ყოვლისა, ყურანსა და მოციქულ მუჰამედის სუნაში და არეგულირებს მუსლიმთა ყოფა-ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს.

³¹ С.А.Алиева. Вопросы нравственного воспитания в трудах педагогов-просветителей Азербайджана. «Маариф». 1988. С.89.

³² ფირუდინ-ბეკ ქოჩარლი (ფირუდუნ-ბეკ ახმედ-ბეკ ოღლი კოჩარლინსკი) – აზერბაიჯანელი ფილოლოგი, მწერალი და კრიტიკოსი. უფრო დანერგული მის შესახებ იხ. ისტორიული ცნობა 2.

³³ С.А.Алиева. Вопросы нравственного воспитания в трудах педагогов-просветителей Азербайджана. «Маариф». 1988. С.89.

წყარო 14 ალიბეკ კასიმოვისა და ლევ ტოლსტოის შეხვედრის შესახებ

გორის სემინარიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ალიბეკ კასიმოვი აზერბაიჯანში დაბრუნდა და მასწავლებლობა დაიწყო. იგი აზერბაიჯანში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული კაცი იყო, პირველმა თარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე მსოფლიო ლიტერატურის კლასიკა, მათ შორის ჯეკ ლონდონის ნაწარმოებები და ჯოვანიოლის რომანი „სპარტაკი“.

მოთხრობა „ჰაჯი-მურატის“ ნაკითხვისას, კასიმოვმა აღმოაჩინა, რომ ლევ ტოლსტოი ყოველთვის ზუსტად არ განმარტავს ისლამის ძირითად პრინციპებს. ალიბეკი თავყვანს სცემდა ტოლსტოის გენიას, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასი იყო. კასიმოვმა მისწერა გრაფს მოწინებელი და დელიკატური წერილი უზადო რუსულ ენაზე, რომელშიც დანვრილებით გააჩნია „ჰაჯი-მურატი“.

ტოლსტოის ისე აუჩუყა გული ამ წერილმა, რომ ალიბეკს უპასუხა და თავისთან იასნაია პოლიანაში – სასაუბროდ მიიპატიჟა. ეს იყო 1900 წელს. კასიმოვმა აიღო ყურანი, თარი³⁴, ნარდი³⁵ და ორი თვით გაემგზავრა სტუმრად დიდ რუს მწერალთან. ისინი დიდხანს საუბრობდნენ რელიგიაზე, ცხოვრებასა და ლიტერატურაზე და დამეგობრდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ალიბეკი ოცდასამი წლისა იყო, ტოლსტოი კი – სამოცდათორმეტის. შემდგომში კასიმოვი კიდევ ერთხელ ჩავიდა ტოლსტოისთან – 1907 წელს³⁶.



12. გაეცანით წყაროს 15. როგორ ფიქრობთ, რატომ უთხრეს უარი მუსლიმ მაგომაევს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

წყარო 15 თერგის ოლქის სახალხო სასწავლებელთა დირექტორის უარი მუსლიმ მაგომაევის³⁷ თხოვნაზე ქალაქ გროზნოში მისი გადაყვანის შესახებ

ეცნობოს მაგომაევს, რომ იქ, სადაც მართლმადიდებელი მოსწავლეები არიან, კანონით მხოლოდ მართლმადიდებელი მასწავლებელი შეიძლება დაინიშნოს, ამიტომ მისი თხოვნა ვერ იქნება დაკმაყოფილებული.³⁸

ბლოკი 3. სამასწავლებლო სემინარია და ეროვნული აღორძინება



13. გაეცანით წყაროებს 16-17. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამიერკავკასიის სემინარიამ ხელი შეუწყო კავკასიის ტერიტორიაზე განათლებისადმი ინტერესის ზრდას? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

³⁴ თარი – სიმეზიანი საკრავი.

³⁵ ნარდი – ძველი აღმოსავლური სამაგიდო თამაში.

³⁶ Журнал «Баку» (№14). С. 88. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://baku-media.ru/files/pdf/69/files/assets/basic-html/page90.htm>

³⁷ მუსლიმ მაგომაევი – აზერბაიჯანელი კომპოზიტორი და ღირსი, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დასახურებული მოღვაწე (1935), აზერბაიჯანული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. უფრო დანვრილებით მის შესახებ იხ. ისტორიული ცნობა 2.

³⁸ Касимов К. Муслим Магомаев. (Жизнь и творчество). Баку. 1948. С.117.

წყარო 16 განათლების განვითარების შესახებ აზერბაიჯანში

ყაზახის სემინარიის³⁹ საქმიანობამ უდიდესი ბიძგი მისცა აზერბაიჯანში განათლების განვითარებას. 1919 წლის დამდეგს ამ მიმართულებით განხორციელებულ დაჩქარებულ ღონისძიებათა შედეგად ბაქოში, განჯაში, ნუხში, სალიანში, შუშასა და ყაზახში გაიხსნა 23 სახელმწიფო საშუალო-საგანმანათლებლო დაწესებულება, 6 ვაჟთა და 4 ქალთა გიმნაზია, 5 რეალური სასწავლებელი, 3 სამასწავლებლო სემინარია, 3 საგანმანათლებლო დაწესებულება ქალებისთვის, 1 პოლიტექნიკური და 1 კომერციული სკოლა. ამ პერიოდში აზერბაიჯანში უკვე იგრძნობოდა გორის სემინარიის გავლენა. მალე აზერბაიჯანში დაიწყეს პედაგოგიური კურსების გახსნა. ორწლიანი კურსები მამაკაცებისათვის გაიხსნა განჯაში, ყაზახში, შუშასა და ნუხში, ქალებისთვის კი ბაქოში, ნუხასა და განჯაში. ამავე პიოდში იხსნებოდა საზოგადოებები, როლებიც განათლებისა და ეროვნული კულტურის პროპაგანდას ეწეოდნენ, აგრეთვე მთელი რიგი საქველმოქმედო კურსები.⁴⁰

წყარო 17 1867 – 1881 წლებში ამიერკავკასიის სემინარიის კურსდამთავრებულთა რაოდენობა⁴¹

1876	1877	1878	1879	1880	1881	სულ
6 კაცი	6 კაცი	7 კაცი	9 კაცი	9 კაცი	15 კაცი	52 კაცი

14. წაიკითხეთ ისტორიულ ცნობა 2. რა დარგებში მოღვაწეობით გაითქვეს სახელი მასში მოხსენიებულმა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულმა?

◆ ისტორიული წყარო 2**ამიერკავკასიის სემინარიის თვალსაჩინო კურსდამთავრებულები**

უზეირ ჰაჯიბეკოვი – აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკათმცოდნე, პუბლიცისტი და დრამატურგი. ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებული; აზერბაიჯანის თანამედროვე პროფესიული მუსიკალური ხელოვნების ფუძემდებელი, აზერბაიჯანის სსრ ჰიმნისა და აზერბაიჯანის ჰიმნის, მუსლიმურ სამყაროში პირველი ოპერის „ლეილი და მეჯნუნის“ ავტორი. უ. ჰაჯიბეკოვმა გარდატეხა მოახდინა აზერბაიჯანის მუსიკალურ კულტურაში. მან შეითვისა და გააგრძელა მსოფლიო და რუსული კლასიკის ტარდიციები, ორგანულად შეურწყა ეროვნული ხელოვნების თავისებურებებს და ამ საფუძველზე შექმნა აზერბაიჯანულ ხელოვნებაში ახალი ეროვნული მუსიკალური სტილი.

იაკობ გოგებაშვილი – ქართველი პედაგოგი, საბავშვო მწერალი და ჟურნალისტი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში. განსაკუთრებით დიდია ი. გოგებაშვილის, როგორც სახალხო სკოლებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოთა ავტორის დამსახურება. 1865 წელს გამოცა მისი სახელმძღვანელო „ქართული ენის ანბანი“, 1868 წელს – საკითხავი წიგნი „ბუნების კარი“, 1876 წელს – მშობლიური ენის სახელმძღვანელო „დედაენა“.

³⁹ ყაზახის სამასწავლებლო სემინარია – გორის სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილება, რომელიც გაიხსნა 1918 წელს აზერბაიჯანელი განმანათლებლის ფირუდინ-ბეკ ქოჩარლის ინიციატივით აზერბაიჯანის ქალაქ ყაზახში და 1959 წლამდე არსებობდა.

⁴⁰ Алиева Гюлара Алван кызы. Азербайджанское отделение Горькой семинарии учителей. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.jurnal.org/articles/2010/hist19.html>.

⁴¹ Ваге Саргсян. Армяне в горьком уезде и в приграничных районах. _Журнал Глобус, Ереван, 2013. С. 32. (На арм.яз.).

ვაჟა ფშაველა – ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილის ფსევდონიმი. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა წარმოდგენილია ოცდათექვსმეტი პოემით, ოთხასამდე ლექსით, პიესებით, მოთხრობებითა და სტატიებით.

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი – ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. შექმნა და 1883 წელს გამოსცა „პირველი ნაბიჯი რუსული ენის შესასწავლად დაწყებითი ქართული სკოლებისათვის“, შეადგინა რუსულ-ქართული ჯიბის ლექსიკონი, ქართული ხალხური ზღაპრების კრებული. აღნიაშვილმა ჩამოაყალიბა ქართველ მომღერალთა გუნდი „ქართული ქორო“, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ქართული ეროვნული სასიმღერო შემოქმედების აღორძინებას, პროპაგანდასა და შემდგომ განვითარებას.

მუსლიმ მაგომაევი (მუსლიმ მუჰამედის ძე მაგომაევი) – აზერბაიჯანელი კომპოზიტორი და დირიჟორი, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დასახურებული მოღვაწე (1935), აზერბაიჯანული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მომღერალ მუსლიმ მაგომაევის პაპა. აქტური კომპოზიტორული მოღვაწეობის გარდა მაგომაევი საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა – სათავეში ედგა განათლების სახალხო კომისარიატის აზერბაიჯანულ განყოფილებას, იყო მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1929 წელს გახდა აზერბაიჯანის რადიოცენტრის მუსიკალური ხელმძღვანელი.

ფირუდინ-ბეკ ქოჩარლი (ფირიდუნ-ბეკ ახმედ-ბეკ ოღლი კოჩარლინსკი) – აზერბაიჯანელი ფილოლოგი, მწერალი და კრიტიკოსი. დაამთავრა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, ხოლო 1895 წლიდან მუშაობდა იქ მასწავლებლად. 1917 – 1918 წლებში იყო ამიერკავკასიის მუსლიმთა დროებითი ეროვნული საბჭოს (მოგვიანებით – აზერბაიჯანის ეროვნული საბჭო) წევრი, რომელმაც აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შემდეგ მუშაობდა ქალაქ ყაზახში ახალშექმნილი სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის თანამდებობაზე. ქოჩარლი აზერბაიჯანელ მეცნიერებში ერთ-ერთი პიველთაგანი იყო, ვინც ლიტერატურული აზერბაიჯანული ენის ნორმებს შეიმუშავებდა. გარდა ამისა იგი თარგმნიდა რუსი (პუშკინის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, კოლცოვის) და ევროპელი ავტორების ნაწარმოებებს აზერბაიჯანულ ენაზე.

ჯელილ მემედ-ყული ზადე – აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, განმანათლებელი, სატირიკოსი მწერალი. 1906 წელს დაარსა სატირული ჟურნალი „მოლა ნასრედინი“,⁴² რომლის რედაქტორი იყო დაახლოებით 25 წლის მანძილზე. ეს ჟურნალი გახდა მისი უდიდესი შენატანი აზერბაიჯანულ კულტურაში, რითაც ხელი შეუწყო აზერბაიჯანის განათლებული ფენების შემდგომ განვითარებას. მემედ-ყული ზადე მრავალი ჟანრის ნაწარმოებების, მათ შორის, დრამების, ნარკვევების, მოთხრობებისა და ფელეტონების ავტორია.

ნარიმან ნარიმანოვი – მწერალი, აზერბაიჯანის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. 1894 წელს ბაქოში დააარსა მუსლიმურ სამყაროში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა. 1897 წელს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ეწვია 8619 მუსლიმი, 8636 რუსი, 4881 სომეხი და 3715 სხვა ერების წარმომადგენელი, სულ კი 25851 კაცი.

აკოფ კამარი – სომეხი რევოლუციონერი, ჟურნალისტი. 1909 წლიდან ხელმძღვანელობდა თითქმის ყველა კავკასიური ბოლშევიკური ჟურნალ-გაზეთის გამოცემას. 1915 - 1916 წლებში მუშაობდა მასწავლებლად. ზანგეზურში⁴³ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არჩეული იყო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ.

სარქის მუსაელიანი – სომეხი პედაგოგი, რევოლუციონერი. 1901 – 1905 წლებში მასწავლებლად მუშაობდა. 1917 წელს აქტიურად მონაწილეობდა თებერვლის რევოლუციაში და აირჩიეს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1920 წელს სომხეთში მაისის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

⁴² ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ შესახებ იხ. მოდულში „აზერბაიჯანელი ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს (ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პუბლიკაციების მიხედვით)“.

⁴³ ზანგეზური – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონის სამხრეთ სომხეთში.

ვაჰაგან მირაქიანი – სომეხი პოეტი, დრამატურგი. მასწავლებლობდა, ასწავლიდა სომხურ ენასა და ლიტერატურას. ყველაზე მეტად ავტორს სახელი მოუხვეჭა პოემამ „ლალვარი ვორს“ („ნადირობა ლალვარზე“), რომელიც თარგმნილია რუსულ და სპარსულ ენებზე და რვაჯერ გამოიცა. ამ ნაწარმოების მიხედვით დაწერილია პიესა, ოპერა, გადაღებულია მხატვრული ფილმი. ვ. მირაქიანი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი იყო.

15. შეისწავლეთ წყაროები 18-20. რას იხსენებენ ავტორები? რა ხსოვნის შენარჩუნება უნდათ ამგვარად?

წყარო 18 ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთარებულ საღის ვეკილოვის⁴⁴ მოგონებებიდან

დღესასწაულებზე მასწავლებლები და სემინარისტები სიხარულით კითხულობდნენ ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილ მოსალოც დეპეშებს და მათ შორის სემინარიის კურსდამთარებულის უზეირ ჰაჯიბეკოვის მოლოცვებს. იმ დროისათვის მას უკვე ფართოდ იცნობდნენ არა მარტო როგორც მუსიკოსს, არამედ როგორც ლიტერატორსა და სახალხო განათლების მოღვაწესაც. 1914 წელს კი უზეირი თავად ჩამოვიდა გორში. მახსოვს, როგორ შეგვხვდა ჩვენ, სემინარისტებს, და შთაგონებით გვესაუბრებოდა იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანია ხელოვნება ხალხისათვის და რა უზარამაზარ როლს უნდა ასრულებდეს სახალხო მასწავლებელი ხალხის ესთეტიკური გემოვნების განვითარების საქმეში, გვიამბო თავისი შემოქმედებითი გეგმების შესახებ. ჩვენ კი მის პატივსაცემად კონცერტი გავმართეთ; ბევრი ჩვენგანი სემინარიაში ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა, უკრავდა მოსწავლეთა სასულიერო ორკესტრში, რომელსაც მუსიკის მეორე მასწავლებელი ს.თ. ფიდელმანი ხელმძღვანელობდა. პირველი იყო ბეკერი, ის ბეკერი, რომელსაც მუსლიმ მაგომაევი წერილში მოსწერა: „ბედმა შორეულ სოფელში გადამაგდო, ერთადერთი სიამოვნებაა ხის ნაჭერი, რომელიც ხელში დამაკავებინეთ...“ ბეკერმა მას, თავის საყვარელ მოწაფეს, ვიოლინო აჩუქა. ამას ხშირად იხსენებდნენ, ხოლო წერილი, რომლიდანაც ციტატი მოვიყვანე, დღემდე სათუთად ინახება ყოფილი სემინარიის არქივში.⁴⁵

წყარო 19 ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთარებულ ალი თერეგულოვის⁴⁶ მოგონებებიდან

სიმღერა, ევროპულ საკრავებზე დაკვრა, ორკესტრებში მონაწილეობა და ზოგჯერ თბილისის ოპერაში წასვლა ჩვენთვის ევროპული მუსიკის, მისი თეორიისა და პრაქტიკის ათვისების საფუძველი, პირველი გამოცდილება იყო.⁴⁷

⁴⁴ ს.ბ. ვეკილოვი – ფილოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (აზერბაიჯანი).

⁴⁵ მოგონება გამოქვეყნებულია გაზეთ „ბაქოს“ 1965 წლის 20 დეკემბრის ნომერში. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://e-library.musigi-dunya.az/slovo_o_uzeyire_9.html.

⁴⁶ თერეგულოვი ალი ჰასან ოღლი (1883-1950) – პედაგოგი, აზერბაიჯანის საზოგადო მოღვაწე.

⁴⁷ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://www.millattashlar.ru/index.php/%D0%A2%D0%B5%D1%80%D0%B5%D0%B3%D1%83%D0%BB%D0%BE%D0%B2_%D0%A5%D0%B0%D0%BD%D0%B0%D1%84%D0%B8_%D0%93%D0%B0%D1%81%D0%B0%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%B8%D1%87.

წყარო 20 მუსლიმ მაგომაევის⁴⁸ მოგონებებიდან მისი პაპის, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულის მუსლიმ მაგომაევის⁴⁹ შესახებ

რა კაცი იყო პაპაჩემი? ახლობლების მონაცემებიდან ვიცი, რომ ძალიან ხელგაშლილი ადამიანი იყო, ყოველთვის მზად იყო დასახმარებლად. შემონახულია უზეირ ჰაჯიბეკოვის წერილი, რომელშიც იგი მადლობას უხდის თავის მეგობარ მუსლიმს დახმარებისათვის: „... შესაძლებლობა მომეცა მშვიდად მივხედო ჩემს საქმეს, რის შედეგადაც შევედი კონსერვატორიაში; ყოველივე ამას შენ უნდა გიმადლოდე, შენს გულწრფელ სურვილს დამხმარებოდი, ამ სურვილის შესრულებას ამსხვერპლე შენი სიმშვიდე და ჯანმრთელობა, ნეტავ, თუ შევძლებ ოდესმე სამაგიერო სიკეთით გადაგიხადო?..“ ეს წერილი გამოგზავნილია 1914 წელს პეტერბურგიდან, სადაც უზეირ ჰაჯიბეკოვი წავიდა კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად. პაპაჩემმა იცოდა მეგობრობა, შეძლო სულგრძელად მოქცევა. ჩვენში ბევრმა არ იცის, რომ „ქორ-ოლლის“ სიუჟეტზე ოპერის დაწერის იდეა მაგომაევისა და ჰაჯიბეკოვისა ერთდროულად მოუვიდათ. როცა პაპაჩემმა ეს გაიგო, დაწყებული პარტიტურა დახია და თქვა, უზეირი უკეთესად დაწერსო.⁵⁰



16. წყარო 21-ის მიხედვით, რა მიაჩნდა ვაჟა ფშაველას სამასწავლებლო სემინარიაში სწავლების ძირითად ამოცანად?
17. შეადარეთ ერთმანეთს წყარო 21 და ისტორიული ცნობა 2. როგორ ფიქრობთ, გაართვა თუ არა თავი „საგანმანათლებლო ამოცანის“ გადაჭრას ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიამ? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

წყარო 21 ვაჟა ფშაველა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველაზე უდიდესი ძალა, რომელიც პროგრესს მართავს, განათლებაა. მაგრამ განათლება დიდებულ შედეგს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფართოდ გამოიყენება და ადამიანთა ვიწრო სფეროთი არ შემოიფარგლება.

სოფლის მასწავლებელთა უდიდესი ამოცანა სწორედ ისაა, რომ განანათლებდეს ბნელ მასას, ამზადებდეს ბავშვებს უკეთესი ცხოვრებისათვის, განავითარებდეს მათ აზროვნებას, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად იგრძნონ თავი თავიანთ სფეროში, მიახვედრონ, რა არის სასარგებლო და რა – მავნე, როგორ დაძლიონ ის სიძნელეები, რომლებიც ასე უხვადაა მათს ცხოვრებაში, უნდა ჩაუნერგოს ახალგაზრდა თაობას საზოგადოებრივი გრძნობა, საზოგადოებრივი ზნეობა. ასე და ამგვარად, სამასწავლებლო სემინარიის ძალა იმაშია, რომ მისი საგანი და პრინციპია ხალხი და ხალხის განსაკუთრებული მსახურება.

მას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მისი კლასებიდან გამოდიან, შეიძლება, არც თუ ისე დიდი ცოდნით აღჭურვილი, მაგრამ ცოცხალი იდეებით, რეალური მრწამსით გამსჭვალული მასწავლებლები, საქმის, და არა სიტყვის, ადამიანები.⁵¹



შემაჯამებელი კითხვა

რა როლი შეასრულა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიამ კავკასიის ხალხთა კულტურულ განვითარებაში?

⁴⁸ მუსლიმ მაგომაევი (1942-2008) – საბჭოთა, აზერბაიჯანელი და რუსი ოპერისა და ესტრადის მომღერალი (ბარიტონი), კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

⁴⁹ აბდულ მუსლიმ მუჰამედ ოლლი მაგომაევი – აზერბაიჯანელი კომპოზიტორი და დირიჟორი, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დასახურებული მოღვაწე (1935), აზერბაიჯანული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მომღერალ მუსლიმ მაგომაევის პაპა.

⁵⁰ Муслим Магомаев. Живут во мне воспоминания. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://royallib.com/read/magomae_v_muslim/givut_vo_mne_vospominaniya.html#0.

⁵¹ Документы времен ученичества (на груз. языке). ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://tagiweb.com/mowafecobisdroideli-dokumentebi/>.

საკუთარი სახელები, როგორც საზოგადოების კულტურისა და ისტორიის შესწავლის წყარო

► როგორ აისახება კულტურასა და საზოგადოებაში
მომხდარი ცვლილებები საკუთარი სახელის არჩევანში?

◆ ისტორიული ცნობა

ყოველ ადამიანს თავისი სახელი აქვს. სწორედ სახელი ხდება ბავშვის ინდივიდუალობისა და სხვა ადამიანებთან პირველი კონტაქტების დროს თვითგამორკვევის საფუძველი. მაგრამ სახელი მხოლოდ სახელწოდება როდია, რომელიც ადამიანს მიანიჭეს სხვებისაგან მის განსასხვავებლად. სინამდვილეში ბავშვის საკუთარი სახელი ასახავს, თუ როგორია მშობლებისა და მათი ახლობლების ესთეტიკური, მსოფლმხედველური აღქმა, მათი იდენტობა, საზოგადოების სოციალური და კულტურული პრიორიტეტები. ყველა საზოგადოებაში არსებობდა წარმოდგენა, რომ სახელი გავლენას ახდენს ადამიანის სულსა და ბედზე. სახელის მნიშვნელობა ადამიანის იდენტობისთვის, იმისთვის, რომ იგი თავს გრძნობდეს საზოგადოების ნაწილად, განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა მაშინ, როდესაც ადამიანს სპეციალურად ართმევდნენ სახელს.

სახელი უშუალოდ არის დაკავშირებული წარმომავლობასთან, მისი არჩევანი ყოველი ეთნოსის კულტურული ტრადიციით განისაზღვრება. განასხვავებენ სხვადასხვა – სლავური, სკანდინავიური, თურქული, არაბული, რომანული, გერმანული და სხვა ენებიდან შემოსულ სახელებს. ყოველი სახელი რაღაცას ნიშნავს მაშინაც კი, თუ ჩვეულ სახელს დაკარგული აქვს კავშირი თავდაპირველ მნიშვნელობასთან. მაგალითად, ყოველდღიურ ურთიერთობაში იშვიათად თუ გვახსოვს, რომ სახელი ნიკოლოზი ნიშნავს „გამარჯვებულს“, მაქსიმი – „უდიდესს“, ოქსანა – „სტუმართმოყვარეს“, თამარი – „ინდის ხურმის პალმას“ და ა.შ. ზოგიერთი სახელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუ მათი მატარებლები რამით გამორჩეული არიან ოჯახურ ან საერთო ისტორიაში.

საკუთარი სახელები სტატიკური მოვლენა არ არის. გარკვეული ისტორიული მოვლენების გავლენით უპირატესობას სხვადასხვა საკუთარ სახელს ანიჭებენ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცა, უფრო პოპულარული გახდა ეროვნული სახელები. კულტურათმცოდნეობის და ეთნოლოგიის ურთიერთობის ტრანსფორმაციის გამო იცვლება საკუთარი სახელების სისტემა. ზოგჯერ ამ ცვლილებებს სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ხელისუფალნი არეგულირებენ.

სახელებსა და მათ წარმოშობას, მნიშვნელობას და როლს საზოგადოებაში სწავლობს სპეციალური მეცნიერება – ანთროპონიმია.



1. დაიყავით ჯგუფებად და შეავსეთ სამუშაო ფურცლები 2ა, 2ბ, 2გ, 2დ წინასწარ შესრულებული საშინაო დავალების თანახმად (შინ შევსებულ სამუშაო ფურცელში 1 შეტანილი ინფორმაციის გამოყენებით).

სამუშაო ფურცელი 1. სახელის მნიშვნელობა

სახელი	სახელის მნიშვნელობა	ვინ დაარქვა ეს სახელი?	რატომ დაარქვეს ეს სახელი?

სამუშაო ფურცელი 2. სახელის არჩევის მოტივები

სამუშაო ფურცელი 2-ა	სამუშაო ფურცელი 2-ბ	სამუშაო ფურცელი 2-გ	სამუშაო ფურცელი 2-დ
რელიგიური დანაწესები	ნათესავების ან ვინმე სხვის (ისტორიული გმირების, გამოჩენილი სპორტსმენების, ლიტერატურული პერსონაჟების, კინოვარსკვლავების, მნიშვნელოვანი მოვლენის და სხვ.) პატივსაცემად	მოდა და პოპულარობა	სხვა მოტივები

ბლოკი 1. რა ახდენს გავლენას ბავშვის სახელის არჩევანზე

▼
2. რით იყო გამოწვეული განსხვავება სახელის არჩევანში (წყარო 1)? სახელის რა როლს აქცევს ყურადღებას წყარო 2-ის ავტორი? რა არის საერთო და რა – განსხვავებული სახელის არჩევის ტრადიციებში (წყაროები 3-5)? 3. წყაროებზე 1-5 დაყრდნობით, განსაზღვრეთ მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენს სახელის არჩევანზე სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს. 4. შეადარეთ მიღებული ცოდნა მე-2 სამუშაო ფურცლების ინფორმაციას. შეავსეთ მე-2 სამუშაო ფურცლის ჩანაწერები ახალი ინფორმაციით. დაანაწილეთ ბლოკი 1-ის წყაროების ინფორმაცია მე-2 სამუშაო ფურცლის შესაბამის დანაყოფებში.

წყარო 1 თანამედროვე მკვლევარი XVIII-XIX საუკუნეებში დასავლეთ უკრაინაში სახელების არჩევანის შესახებ

ლვოვის უმდირეს არქივში შესწავლილი XVIII-XIX საუკუნეების მეტრიკები¹ უაღრესად წინააღმდეგობრივია. შევადაროთ ლვოვის უნიატური² ეკლესიების XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგის მეტრიკები: წმინდა იურის ტაძარში, რომელიც ჰაბსბურგებისა³ და შლიახტისადმი მლიქვნელ დასავლეთუკრაინულ მაღალ ფენებს ემსახურება, ყველაზე ხშირი სახელია მარიანა. იმ წლებში ასე დაარქვეს ახალშობილი გოგოების

¹ მეტრიკა (ლათინურიდან *matricula* ნუსხა, ამონაწერი) – დაბადების მონმობა, ამონაწერი საეკლესიო წიგნიდან ახალშობილთა შესახებ.

² უნიატები – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი შტოს მიმდევრები. უნიატური ეკლესია გაჩნდა 1596 წლის ბრესტის საეკლესიო უნიის შემდეგ, რომლის შედეგად უკრაინელი სამღვდელოების ნაწილი რომაულ-კათოლიკური ეკლესიის დაქვემდებარებაში გადავიდა. XVIII საუკუნის დამლევებიდან უნიატები ბერძენ-კათოლიკეების სახელწოდებას ატარებენ.

³ იმპერატორთა ოჯახი, რომელიც იმ დროს ავსტრიის იმპერიას მართავდა.

10 პროცენტს. ხოლო წმ. პარასკევას ეკლესიაში, რომლის მრევლს უმთავრესად ქალაქის დაბალი ფენები შეადგენდნენ, იმავე წლებში არც ერთი ახალშობილისათვის მარიანა არ დაურქმევიათ, პირიქით, პარასკევას სამწყსოში იმ დროს ყველაზე ხშირი იყო სახელი პელაგია (6%), იურის პრივილეგიებულ ტაძარში კი ამ სახელს უგულებლყოფდნენ – მხოლოდ ერთ გოგოს დაარქვეს ასე და ისიც ორმაგი სახელის – პელაგია-გელენა – შემადგენელი ნაწილის სახით. კოლორიტულია ასეთი ფაქტი: იურის ტაძარში იმ დროს დაბადებული გოგოების 13 პროცენტს დაარქვეს ორმაგი სახელები (ბინომინის) – მარიანა-ანა, მარია-მატილდა, ან სულაც სამმაგი სახელები (ტრინომინის) იულიანა-მარიანა-ანტონინა, მარია-სოფია-კაროლინა და სხვ.; მიძინების ეკლესიაში, რომლის მრევლსაც აგრეთვე საკმაოდ შეძლებული ფენა შეადგენდა, ორმაგი და სამმაგი სახელები დაერქვა ახალშობილი გოგოების 11 პროცენტს, ხოლო პარასკევას ეკლესიაში მხოლოდ 1,5 პროცენტს (სამმაგი – არც ერთს)!⁴

წყარო 2 ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი პ.ფლორენსკი სახელების პოპულარობის შესახებ

„არ არსებობს გვარი⁵ კატერინას გარეშე, – წერს შვილს ნეაპოლში 1804 წლის 28 ნოემბერს ი.ი. ბულგაკოვი (ცნობილი რუსი დიპლომატი). – მერედა რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი დედა, ჩვენი ღმერთი იყო კატერინა (ე.ი. იმპერატორი ეკატერინე II), ... და ყველა ბედნიერებად მიიჩნევდა მისი სახელის დარქმევას შვილებისათვის ისევე, როგორც ახლა ყველა თავის ვაჟებს ალექსანდრს⁶ არქმევს, ... მთელი ჩემი ცხოვრება იმდენად შეყვარებული ვარ სახელ კატერინაზე, რომ ქალს, რომელიც მას ატარებს, ყოველთვის ჩემი პატივისცემისა და მეგობრობის უფლება ჰქონდა“. <...> ისტორიიდან ბევრი ამგვარი მაგალითის მოყვანა შეიძლება, და ყველა მათგანი ზემოაღნიშნულ სქემას ესადაგება: სათაყვანო იმპერატორი ან რომელიმე სხვა გამოჩენილი პირი, რომელიც ყურადღებას იპყრობს როგორც მმართველი, ხელმძღვანელი, დიდი ტალანტი და ა.შ., ინვესტ გარშემო მყოფთა სურვილს მიბაძონ მათ, და რადგანაც თავიანთი სახელის გამოცვლა არ შეუძლიათ, ცდილობენ გაავრცელონ ასეთი პირის სახელი თავის ოჯახში, თავის მოდგმაში.

შვეტონიუსი⁷ წერს, რომ კლავდიუსთა პატრიციულ გვარში „სხვადასხვა სახელსა და ზედმეტსახელს ატარებდნენ, მაგრამ სახელი ლუციუსი გამორიცხული იყო საერთო თანხმობით, როცა ორ მის მატარებელს ბრალად დასდეს, ერთს – ძარცვა, მეორეს კი – მკვლელობა“⁸...

წყარო 3 თანამედროვე მკვლევარი XX საუკუნის მეორე ნახევარში სახელის არჩევანის ებრაული ტრადიციის შესახებ

არის გარკვეული მსგავსება აშქენაზ, სეფარდ და მიზრაზ⁹ ებრაელებს შორის: ყველა ჯგუფი, როგორც ჩანს, იყენებს ბიბლიურ სახელებს, როგორცაა აბრაამი (Abraham) და იაკობი (Jacob) (სხვადასხვა ფორმით), და ებრაულ სახელებს, როგორცაა სიმხა (Simcha)

⁴ В. А. Никонов. Этнография и ономастика (на примере Украины). სტატიის ელექტრონული ვარიანტი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://journal.iea.ras.ru/archive/1970s/1971/Nikonov_1971_5.pdf.

⁵ გვარი – ამ შემთხვევაში: ოჯახი სრული შემადგენლობით ყველა ნათესავის ჩათვლით.

⁶ ალექსანდრ I – რუსეთის იმპერატორი XIX საუკუნის დამდეგს, იმპერატორ ეკატერინე II-ის შვილიშვილი.

⁷ გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი (ჩ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარი) – ძველი რომის მწერალი, ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „თორმეტი კეისარი“.

⁸ П. Флоренский. Имена. კათოლიკური საინფორმაციო სამსახური <http://agnuz.info/> ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://agnuz.info/app/webroot/library/211/173/page01.htm#08>.

⁹ ებრაელი ხალხის ჯგუფების სახელები: აშქენაზები – ევროპელ ებრაელთა ცენტრალურ-ევროპული, გერმანული ჯგუფი, სეფარდები – ევროპელ ებრაელთა ესპანური ჯგუფი, მიზრაზები – ჩრდილოეთ აფრიკიდან, შუა და წინა აზიიდან წარმომავალ ებრაელთა ჯგუფი.

(როგორც კაცისთვის, ისე ქალისთვის). გარდა ამისა, რამდენიმე ჯგუფში ქალის სახელები ნაკლებადაა დაკავშირებული ბიბლიასთან და მეტად – ბუნებასთან და სილამაზესთან. <...>

ქართველ ებრაელთა შორის კვლავინდებურად დომინირებს ბავშვებისათვის გარდაცვლილი ნათესავების სახელების დარქმევა. სხვა მოდელებში <...> გავრცელებული იყო ბავშვებისთვის ცოცხალი ბებიებისა და პაპების, თორისა და ებრაული დღესასწაულების სახელების დარქმევა. საქართველოში ცოცხალი ნათესავის სახელი დაერქვა მეტ გოგოს, ვიდრე ბიჭს. ბიჭებს სახელები დაერქვათ პაპების, ხოლო გოგოებს – ბებიების, დედების, მეგობრების და, ერთ შემთხვევაში, პაპის პატივსაცემად.

აზერბაიჯანში მცხოვრები მთის ებრაელების თემში ბავშვების მნიშვნელოვან ნაწილს ნათესავების სახელები ერქვა. მამაკაცების შემთხვევაში ეს იყო როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან ნათესავი მამაკაცების სახელები (27%), ქალების შემთხვევაში – უმთავრესად როგორც მამის, ისე დედის მხრიდან ნათესავი ქალების სახელები (18%).¹⁰

წყარო 4 თანამედროვე მკვლევარი სომხური ტრადიციის შესახებ

შუა საუკუნეებში სომხებში ახალშობილისთვის სახელის დარქმევის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მღვდელს, ბეზიქალს,¹¹ მამაკაც ნათლიას, სტუმარს, ოჯახის უფროს წევრს, ბიძას დედის მხრიდან. ითვლებოდა, რომ სახელს მაგიური გავლენა აქვს და ამიტომ ბავშვისთვის სახელის დარქმევა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან არამიწიერ სამყაროსთან. მნიშვნელოვანწილად ეს წარმოდგენა XX საუკუნის დამდეგამდე არსებობდა. საბჭოთა პერიოდში საკუთარი სახელების არჩევის პროცესში აქტიურად ჩაერივნენ მამჩის¹² მუშაკები და ადგილობრივი პარტიული ხელისუფალნიც კი, რომლებიც სთავაზობდნენ მშობლებს შვილებისთვის დაერქმიათ კომუნისტური ყაიდის სახელები და მოიგონეს მონათვლის ღონისძიება, რომელიც ცნობილია, როგორც „წითელი ნათლობა“.¹³ დღეს მიღებულია, რომ შვილებს სახელებს ძირითადად მშობლები აძლევენ. ჩვეულებრივ პირველ ვაჟს სახელს არქმევს მამა, ხოლო დანარჩენ ვაჟებს და ქალებს – დედა.¹⁴

წყარო 5 მუსლიმური ტრადიციების შესახებ

ბავშვს სახელს დედ-მამა არქმევს. ხოლო თუ დედ-მამა ვერ შეთანხმდა ბავშვის სახელის თაობაზე, ამ შემთხვევაში, ბავშვისთვის სახელის დარქმევის უფლება მამას რჩება. ხოლო თუ მას (მამას) სურს გადასცეს ეს უფლება დედას, ამაში დასაზრახი არაფერია.

მშობლებს აგრეთვე ნებადართული აქვთ გადასცენ ბავშვისათვის სახელის დარქმევის უფლება კიდევ ვინმეს. ეს შეიძლება იყოს პაპა, ბებია ან რომელიმე სხვა ადამიანი.

¹⁰ Edwin D. Lawson. Jewish Onomastics. ელექტრონული რესურსი Jewish Language Research Website. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.jewish-languages.org/onomastics.html>

¹¹ ბეზიქალები – მეანი ქალები.

¹² მამჩი (შემოკლებული „მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩანერა“-დან) – საბჭოთა ხელისუფლების მიერ სპეციალურად შექმნილი ორგანოები, რომლებიც წერილობითი დოკუმენტებით ადასტურებდნენ მოქალაქეთა ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების სინამდვილეს.

¹³ რევოლუციამდელ პერიოდში (1917 წლამდე) ბევრ ქრისტიან ხალხს, რომლებიც მოგვიანებით შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში, წესად ჰქონდათ ახალშობილთა მონათვლა ეკლესიაში. 1920-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ სცადა წაერთმია ეს უფლება ეკლესიისათვის და მოიგონა მონათვლის საკუთარი ვარიანტი, რომელსაც „წითელ ნათლობას“ უწოდებდნენ (წითელი ფერი ბოლშევიკური რევოლუციის, საბჭოთა ხელისუფლების სიმბოლო და სსრ კავშირის დროშის ფერი იყო).

¹⁴ Маргарян Н. ავტორის ტექსტი.

მოციქული¹⁵ (ალაჰმა¹⁶ დალოცოს მისი სახელი!) სახელებს არქმევდა თავის თანამოღვაწეთა შვილებს ისე, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი.¹⁷

ბლოკი 2. საბჭოთა იდეოლოგია და სახელი

- ▼
- საიდან წარმოიშვა წყაროებში 6-8 მოხსენიებული სახელები? როდის გაჩნდა ეს სახელები? თქვენი აზრით, ვინ იყო ასეთი სახელების გაჩენის ინიციატორი?
 - რა მოტივებით არის შერჩეული ქალის სახელი (წყაროები 9, 10)? როგორ ესადაგება წყარო 9 ბლოკ 2-ის სხვა წყაროებს?
 - რით ხელმძღვანელობდნენ მშობლები, როცა შვილებს ახალ საბჭოთა სახელებს არქმევდნენ? როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ სახელებისა და მათი გამოყენებისადმი?

წყარო 6 თანამედროვე მკვლევარი საბჭოთა პერიოდის სომხური სახელების შესახებ

საბჭოთა პერიოდში სომხებში ფართოდ იყო გავრცელებული რუსული სახელები: ვოლოდია (ვლადიმირი), სლავა, იურა, ბორისი, სვეტლანა, ნადია (ნადეჟდა), ლარისა, ირინა და სხვ. სახელი ვოლოდია დაკავშირებული იყო სოციალისტური რევოლუციის ბელადის ვლადიმირ ლენინის სახელთან. შეხვდებოდათ აგრეთვე იდეოლოგიურად დატვირთულ სახელებს, რომლებსაც ხშირად აბრევიატურის (შემოკლების) სახე ჰქონდა: კიმი (коммунистический интернационал молодежи – ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი), ლენდროში (სომხურიდან „ლენინიან დროშა“ – ლენინური დროშა), ლეკდარი (სომხურიდან „ლსირ ერ-ითასარდ კომუნისტ დარცირ“ – დამიჯერე, ბიჭო, გახდი კომუნისტი), ვილენი (ვლადიმირ ილიჩ ლენინი), ლენველი (Ленин великий – ლენინი დიადია), მელსი (მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი), მარლენი (მარქსი, ლენინი) და სხვ.¹⁸

წყარო 7 ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი აზერბაიჯანში სახელების შესახებ

როგორც ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ნასიმის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ფახრედდინ ვეისელიმ გვითხრა, რესპუბლიკაში ებრძვიან მოქალაქეთა მისწრაფებას დაარქვან თავიანთ შვილებს მხატვრული ნაწარმოებებისა თუ სერიალების გმირების სახელები. „ჩვენ გამოვცემთ წიგნებს, რომლებიც ასახავს დროის თანამედროვე სულისკვეთებას. იქ ყველაზე თანამედროვე სახელებია“, დასძინა ვეისელიმ.

უჩვეულო სახელები აზერბაიჯანში ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში გაჩნდა. მართალია, მაშინ კომუნისტური თემატიკა ჭარბობდა. ჰოდა ცხოვრობენ რესპუბლიკაში ადამიანები, რომლებსაც ჰქვიათ სოვეტი („საბჭო“ რუსულად), სოვმინი (შემოკლებული „მინისტრთა საბჭო“ რუსულად), სტალინი და ტრაქტორიც კი. მართალია, ასეთი იშვიათი სახელებით ძირითადად ამაცობენ ხოლმე და მათ გამოცვლას არ აპირებენ...¹⁹

¹⁵ იგულისხმება მოციქული მუჰამადი.

¹⁶ ალაჰი – ისლამში ერთიანი ტრანსცენდენტული ღმერთის სახელი, შეიცავს ცნებას „ღმერთი, შემოქმედი და უფალი ყოველივე არსობისა“.

¹⁷ Как выбрать ребѣнку имя. ელექტრონული რესურსი Istina <http://www.mukmin.narod.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.mukmin.narod.ru/ji37.html>.

¹⁸ Маргарян Н.М. Этнографические полевые материалы. Ереван. 2011. /на арм. языке/.

¹⁹ Алиева А.В. Азербайджане появились новые правила изменения фамилии. ელექტრონული რესურსი Aze15 <http://www.aze.az/> ხელმისაწვდომია მისამართზე — http://aze.az/news_v_azerbaydzhanе_poyavilis_89188.html.

წყარო 8 საიდან მოდის სახელი ელმირა

არის რამდენიმე ვერსია იმისა, თუ საიდან წარმოიშვა სახელი ელმირა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, „ელმირა საბჭოთა რევოლუციური სახელია, რომელიც წარმოებულია სიტყვებისგან „Электрификация Мира“ (მსოფლიო ელექტრიფიკაცია)“.²⁰



წყარო 9 მოსკოვის ერთ-ერთ სასაფლაოზე.²¹

წყარო 10 მოგონებებიდან კოლეგების შესახებ

1982 წელს ცენტრალური უკრაინის ერთ-ერთი პატარა ქალაქის რკინიგზის საავადმყოფოში ვმუშაობდი. ბავშვთა განყოფილების კოლექტივი ძალიან საინტერესო იყო და მე, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, ვცდილობდი კარგი ურთიერთობა დამემყარებინა როგორც ექიმ კოლეგებთან, ისე მედღებთანაც, რადგან მეტწილად სწორედ მათზე დამოკიდებული ბავშვების წარმატებული მკურნალობა. მედღებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა გულკეთილი და ამავე დროს ძალიან მომთხოვნი ოქტიაბრინა ივანოვნა, დაახლოებით 50 წლისა. როცა გაცნობისას მისი სახელი შევიტყე, ძალიან გამიკვირდა. ალბათ, მან ეს იგრძნო, რადგან მითხრა: „ნუ გიკვირთ. ჩემი სახელი ძალიან მომწონს და მესმის, რატომ დამარქვა მამაჩემმა ასე. კაცმა რომ თქვას, ჩემი სახელი იშვიათი კია, მაგრამ ლამაზიცაა, არა? თორემ მამაჩემს ნაცნობები ჰყავდა, რომლებმაც ქალიშვილს პიატილეტკა (ხუთწლედ) დაარქვეს. წარმოგიდგენიათ? პიატილეტკა კარპოვნა! მეტისმეტად შეგნებულები იყვნენ.“²²

ბლოკი 3. სახელი და სახელმწიფო

8. რა გრძნობებს იწვევს თქვენში წყარო 11? დაეთანხმებოდით თუ არა ასეთ მიდგომას თქვენი სახელის არჩევისას? პასუხი დაასაბუთეთ.
9. რით შეგიძლიათ ახსნათ ესტონეთში სახელების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნათა მიზეზი (წყარო 12)?
10. რით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო მოხელეები, როცა უარს ამბობენ გარკვეული სახელების დარეგისტრირებაზე (წყაროები 11, 13)?
11. რა იგულისხმება იმაში, რომ „მმაჩის ორგანოების იურისტებმა უნდა გაანათლონ ისინი, ვინც შვილებს არა ეროვნულ, არამედ სასაქილო სახელებს არქმევს“ (წყარო 14)?

²⁰ Значение имени Эльмира. ელექტრონული რესურსი Как зовут.py <http://www.kakzovut.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.kakzovut.ru/names/elmira.html>.

²¹ ი. კუშნერიოვას ფოტო.

²² პ.ა. კოსტიუკის მოგონებებიდან, რომლებიც 2008 წელს ჩაიწერა ი.ა. კოსტიუკმა.

წყარო 11 მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობებიდან

47 წლის მხატვარმა ვიარჩელავ ვორონინმა თავის შვილს დაარქვა სახელი, რომელიც ასოებისა და ციფრებისაგან შედგება: БОЧрВФ 260602. რაც მოწინავე აზროვნების მქონე მშობლების ჩანაფიქრით (დედა სავსებით ეთანხმება მამას ამ საკითხში) უნდა გაიშიფროს შემდეგნაირად: БиологическийОбъектЧеловекродаВорониных-Фроловых,родился26июня2002года(ბიოლოგიურიობიექტი ადამიანი ვორონინ-ფროლოვების მოდგმიდან, დაბადებული 2002 წლის 26 ივნისს). გაკვირვებულ გარშემო მყოფთ ბედნიერი მამა პასუხობდა: „დროა თავისუფალი ადამიანები გავხდეთ და შვილს დავარქვათ ნამდვილი, ერთად-ერთი და განუმეორებელი სახელი. კაცმა რომ თქვას, პეტრე და ივანე სახელები კი არა, მეტსახელებია. ივანოვ პიოტრ სემიონოვიჩი კი არ არის სახელი: მარტო მას ხომ არ ჰქვია ასე ამქვეყნად. ერთ პნკარად ჩანერილი – ივანოვ პიოტრ სემიონოვიჩი, დაბადებული 25.07.1943, 43-ე მილიციის განყოფილება, პლიუს პასპორტის ნომერი – აი, სწორედ ეს საიდენტიფიკაციო სისტემაა ადამიანის სახელი“. ვიარჩელავს არც საკუთარი სახელი მოსწონს და აპირებს გამოიცვალოს და დაირქვას БОЧрВП 250856, ანუ „Биологический Объект Человек рода Ворониных-Пархоменко, родился 25 августа 1956 года“ (ბიოლოგიურიობიექტი ადამიანი ვორონინ-პარხომენკოების მოდგმიდან, დაბადებული 1956 წლის 25 აგვისტოს).

მამაჩის ბიუროში უარი თქვეს ესოდენ თანამედროვე სახელით ბავშვის რეგისტრაციაზე. მაგრამ დაუცხრომელმა მშობლებმა მამას სასამართლოში უჩივლეს და მტკიცედ აქვთ გად-ანყვეტილი შემოიღონ „საბანაკე სახელები“, ²³ როგორც უნდა ადამიანთა იდენტიფიკაციის მათ მიერ გამოგონილ სისტემას ჩერტანოვოს მამაჩის ბიუროს დირექტორმა ლიუდმილა სახაროვამ. ²⁴

წყარო 12 კანონიდან სახელების შესახებ (ესტონეთი, 2004 წ.)

მუხლი 7. მოთხოვნები სახელებისადმი

დაუშვებელია ისეთი სახელების დარქმევა, რომლებიც შეიცავს ციფრებს ან არავერბალურ ნიშნებს, აგრეთვე რომლებიც ცალკე ან გვართან ერთად არ შეესაბამება კარგ ადათ-ჩვევებს. ... საპატიო მიზეზის გარეშე არ შეიძლება დაერქვას:

- 1) უჩვეულო სახელი, რომელიც გამოსაყენებლად უვარგისია იმის გამო, რომ რთულია ან არ შეესაბამება ენის წერილობით ან ზეპირ წესებს, ან მის ზოგადენობრივ მნიშვნელობას;
- 2) სახელი, რომელიც არ შეესაბამება პირის სქესს;
- 3) სახელი ან სახელის შემოკლებული ფორმა, რომელიც იხმარება საყოველთაოდ ცნობილ საკუთარ სახელად, ან საყოველთაოდ ცნობილი ავტორის სახელი ან სამსახურებრივი სახელი.

ამ კანონის გაგებით, სამსახურებრივ სახელად მიიჩნევა სახელი, რომელსაც პირი იყენებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მაგრამ არ არის მისი ოფიციალური სახელი.

ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებიდან შეიძლება გაკეთდეს გამონაკლისი, თუ ბავშვს ან მის მშობლებს მათი მოქალაქეობის, ოჯახური ურთიერთობის, ეროვნების ან სხვა გარემოებათა გამო აქვთ პირადი კავშირი უცხოენოვან ონომასტიკურ ²⁵ ტრადიციასთან, ხოლო დასარქმევი სახელი მას შეესაბამება. ²⁶

²³ ნაციონალური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ყოველ ტუსაღს ართმევდნენ სახელს და ანიჭებდნენ ნომერს, რითაც კიდევ უფრო ამცირებდნენ და ფაქტობრივად გამოირიცხავდნენ საზოგადოებიდან.

²⁴ Прозоров Л.Р. Три заметки об именах. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.perunica.ru/2010/01/17/tri-zametki-ob-imenax.html>.

²⁵ ონომასტიკა (ბერძნულიდან ონომასტიკოს სახელწოდებასთან დაკავშირებული) – ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც საკუთარ სახელებს სწავლობს.

²⁶ Эстония: Закон об именах. ელექტრონული რესურსი <http://transcoalition.info/> ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://transcoalition.info/laws/estonia-names-law>.

წყარო 13 სომეხი ეთნოგრაფის ნ. მარგარიანის მასალებიდან

სომხეთში რაიონული მმჩის ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომლებმა მშობლებს არ დაარქმევინეს ბავშვისთვის კრიშნა.²⁷ არგუმენტად მოიყვანეს ის, რომ სომხური სახელების სიაში ეს სახელი არ არის და არც სომხური წარმომავლობისაა. მეორე შემთხვევაში მმჩის მუშაკებმა მშობლებს უარი უთხრეს იმაზე, რომ შვილისთვის დაერქმიათ პაპის სახელი – ილიჩი და განუცხადეს, ვლადიმირისა და ილიჩის (სსრ კავშირის ბელადის, ლენინის სახელისა და მამის სახელის) დრო დიდი ხანია გავიდა და ახლა ეროვნული გმირების დრო დადგა (მაგალითად, სერობი, გრაირი, გარეგინი და სხვ.).²⁸

წყარო 14 აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ტერმინოლოგიის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ინტერვიუდან

ახლა აზერბაიჯანში ახალშობილებს უფრო ხშირად არქმევენ ეროვნული და თურქული წარმოშობის სახელებს. ამას მოწმობს 2010-2012 წლების სტატისტიკა. ტერმინოლოგიის საკითხთა კომისიის დანიშვნის შემდეგ შეიქმნება განსაკუთრებული სახელების გამოყენების კონტროლის ცალკე კომისია. მმჩის ორგანოებს მიეცემათ სახელების წიგნები. მმჩის იურისტებმა უნდა გაანათლონ ისინი, ვინც შვილებს არა ეროვნულ, არამედ სასაცილო სახელებს არქმევს.²⁹

◆ საინფორმაციო ცნობა

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბევრ სახელმწიფოში მიღებულია კანონები სახელმწიფო ენის შესახებ, ენის შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების მიზნით, რაც ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ კანონებში ყურადღება ექცევა საკუთარი სახელების ასახვის წესსაც (მაგალითად, ლატვიის სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მუხლი 19).



12. რა არის სასამართლო საქმის აღძვრის მიზეზი (წყაროები 16,17)? როგორ ესადაგება წყარო 17-ში აღწერილი კონფლიქტის არსი წყაროების 12-13 ინფორმაციას?
13. წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა თქვენი პოზიცია დისკუსიაში „აქვს თუ არა სახელმწიფოს უფლება ჩაერიოს მშობლების მიერ შვილის სახელის შერჩევის პროცესში?“

²⁷ კრიშნა – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვთაება ინდუიზმში. უზენაესი ღვთაება მორწმუნეთა ცალკე რელიგიური ჯგუფისათვის, რომელიც გავრცელებულია ინდოეთის ფარგლებს გარეთ თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის ევროპაში და ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

²⁸ Маргарян Н.М. Этнографические полевые материалы. 2011 /на арм.языке/.

²⁹ Исабалаева И.В. Азербайджане детям чаще дают национальные имена. Электронный ресурс Trend <http://www.trend.az/> ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.trend.az/news/society/2158276.html>.

წყარო 15 ლატვიის რესპუბლიკის 1999 წლის 21 დეკემბრის კანონიდან „სახელმწიფო ენის შესახებ“

მუხლი 19.

(1) პირადი სახელები აისახება ლატვიური ენის ტრადიციების თანახმად და იწერება ლიტერატურული ენის მოქმედი ნორმების შესაბამისად ამ მუხლის მეორე ნაწილის დებულებათა დაცვით.

(2) პირის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში ლატვიური ენის მოქმედი ნორმების შესაბამისად ასახული სახელისა და გვარის გარდა დამატებით იწერება ამ პირის შთამომავლობითი გვარის ისტორიული ფორმა ან სხვა ენის საკუთარი სახელის ორიგინალური ფორმა ლათინური ალფაბეტის ტრანსლიტერაციით, თუ ამ პირს ან არასრულწლოვანი პირის მშობლებს ეს სურთ და შეუძლიათ დოკუმენტურად დაადასტურონ.³⁰

წყარო 16 მაგალითი ლატვიის სასამართლო პრაქტიკიდან

2013 წელს ქალაქ ლიეპაის რაიონულმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ განიხილა საქმე ბავშვის მამის სარჩელის გამო, რომელიც მოითხოვდა, რომ სასამართლოს დაევალებულიყვნა მამის ბიურო დაერეგისტრირებინა მისი ვაჟი სახელით და გვარით „Miron³¹ Antonov“, აგრეთვე გადაეხდევინებინა მამისათვის მის სასარგებლოდ კომპენსაცია 2700 ლატის ოდენობით.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება, რადგან დაეთანხმა მამის არგუმენტს, რომ ლატვიაში არალატვიური საკუთარი სახელები იწერება ლატვიური ენის ნორმების შესაბამისად. ამგვარად, ბავშვის დარეგისტრირება შესაძლებელი იქნებოდა სახელითა და გვარით „Miron Antonovs“,³² მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება კატეგორიულად არ აწყობთ მის მშობლებს. ადრე ცნობილი გახდა, რომ ბავშვის ოჯახს აშფოთებს ის ფაქტი, რომ სახელი მირონი „ს“ დაბოლოებით (Miron) უღერადობით გავს ლატვიურ სიტყვას „mironis“ („მიცვალებული“).³³

შემაჯამებელი განხილვა

როგორ აისახება კულტურასა და საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები საკუთარი სახელის არჩევანში?

³⁰ Законы Латвии на русском. ელექტრონული რესურსი <http://latvia.news-city.info/> ხელმისაწვდომია მისამართზე – Латвийская Республика. http://latvia.news-city.info/docs/sistemsf/dok_iercib.htm.

³¹ სახელი მირონი მოდის ბერძნული სიტყვიდან მყრონ – მირონი, კეთილსურნელოვანი ზეთი, მტირალი.

³² მოქმედი ნორმების თანახმად ლატვიურ ენაში მამაკაცის სახელები ბოლოვდება „ს“ ასოთი, მაგალითად, Pēteris (პეტერის), Jānis (იანის).

³³ Суд не позволил назвать ребенка именем «Miron». ელექტრონული რესურსი <http://rus.delfi.lv/news/daily/latvia/sud-ne-pozvolil-nazvat-rebenka-imenem-miron.d?i=43493757#ixzz3A4oFwnY8>.

ისტორია და კულტურა მეხსიერებასა და ძეგლებში

► რა როლს ასრულებს ძეგლები ხალხის
ისტორიისა და კულტურის შესწავლაში?



1. აღწერეთ, რასაც ხედავთ წყარო 1-ზე.
2. რა სიმბოლოებს ხედავთ ამ ძეგლში? რას ნიშნავს ეს სიმბოლოები?
3. რა ისტორიული მოვლენაა აღბეჭდილი მონუმენტში?
4. როგორ გვეხმარება სიმბოლოები ძეგლში ასახული ისტორიული კონტექსტისა და მოვლენის გააზრებაში?
5. ვინ არიან ძეგლზე გამოსახული ადამიანები?
6. რას მოგვითხრობს ძეგლი მის შემქმნელებზე?
7. რას და ვის უძღვნის ხალხი ძეგლებს?

წყარო 1 თალი – ეჩმიაძინის სამონასტრო კომპლექსის ეზოში
შესასვლელის წინ განთავსებული ძეგლის ნაწილი¹



¹ მეფე თრდატ III და კათალიკოსი გრიგორ განმანათლებელი. ეჩმიაძინი. კ. ბაირამიანის ფოტო, 2013 წ.

ბლოკი 1. ისტორიისა და კულტურის ძეგლები



8. ეთანხმებით თუ არა ძეგლის განსაზღვრებას წყაროში 2 ? რას დაამატებდით ნათქვამს?
9. შეიძლება თუ არა, სომხეთს ვუნოდოთ „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

წყარო 2 რა არის ძეგლი?

ძეგლი – ობიექტი, ქვეყნის, ხალხის, კაცობრიობის კულტურული მონაპოვრის შემადგენელი ნაწილი (არქეოლოგიის, ისტორიის, ხელოვნების და ა. შ. ძეგლები). ძეგლი არის ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც იქმნება ადამიანების ან ისტორიული მოვლენების უკვდავსაყოფად – სკულპტურული ჯგუფები, ქანდაკება, ბიუსტი, რელიეფიანი ან წარწერიანი დაფა, ტრიუმფალური თალი, კოლონა, ობელისკი და ა. შ. ძეგლის ყველაზე განვითარებული სახეობაა მემორიალური ნაგებობა. ძეგლი ხალხის, სახელმწიფოსა და მისი კულტურული მემკვიდრეობის, ეპოქის მონაპოვრის ნაწილია.²

◆ ისტორიული ცნობა

სომხეთი ყოველთვის მდებარეობდა გზაჯვარედინზე, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებდა. ყველა ეპოქამ, რომელმაც ამ ძველ მიწაზე გადაიარა, თავისი კვალი დატოვა, ამიტომ ისტორიისა და კულტურის ძეგლების რაოდენობით ეს ქვეყანა ძველი სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ადგილად შეიძლება მივიჩნიოთ. ტყუილად არ უნოდებენ სომხეთს „მუზეუმს ღია ცის ქვეშ“. აქ შეიძლება წააწყდეთ თითქმის ყველა ძველი ცივილიზაციის კვალს. ხელოვნებისა და არქიტექტურის ძეგლების სიმრავლე ქვეყანას წარსულის კულტურის საცავად და ექსპოზიციად აქცევს.

ბლოკი 2. ვის და რისთვის უდგამენ ძეგლებს



კითხვები და დავალებები ჯგუფური მუშაობისთვის

10. ვის ეძღვნება მე-2 ბლოკის ფოტოებზე აღბეჭდილი ძეგლები?
11. რატომ დაუდგეს ამ ადამიანებს ძეგლები, რა აერთიანებს მათ?
12. რა წვლილი შეიტანეს ამ ადამიანებმა ისტორიისა და კულტურაში? რა ფასეულობები შექმნეს?
13. ვის ეკუთვნის ეს ფასეულობები, ერთ ქვეყანას თუ მთელ მსოფლიოს? ახსენით თქვენი პასუხი.
14. განაზოგადეთ, ვის და რისთვის უდგამენ ძეგლებს? გააცანით თქვენი დასკვნები სხვა ჯგუფებს.

² Большой энциклопедический словарь. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://enc-dic.com/print/enc_big/Pamjatnik-43821.html.

ჯგუფი 1.



წყარო **3** ჰაიკის ძეგლი ერევანში³

წყარო **4** სომეხი ხალხის მამამთავარი

... სომეხი ხალხის მამამთავარი იყო ჰაიკი. გადმოცემის თანახმად ჰაიკი ტირან ბელს ებრძოდა, დაამარცხა იგი და ამის პატივსაცემად სომხებმა სამყაროს დასაბამიდანესეს: ძვ. წ. 2492 წლის 11 ავგვისტო... მამამთავარი ჰაიკის სახელის მიხედვით სომეხ ხალხს ეწოდება „ჰაი“, ქვეყანას კი – „ჰაიასტანი“.⁴



წყარო **5** ოვანეს თუმანიანის ძეგლი ერევანში

წყარო **6** ოვანეს თუმანიანი (1896-1923)

პოეტი, პროზაიკოსი და საზოგადო მოღვაწე. თუმანიანი აქტიურად მონაწილეობდა ახალი სომხური კულტურის შექმნაში. 1921 წელს მან თბილისში დააარსა „სომხური სახლი“, იმავე წელს გახდა სომხეთის დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე. თუმანიანის შემოქმედებითი პრინციპები ყველაზე სრულად მის პოემებსა და ბალადებში აისახა.⁵

³ წყაროების 3, 5, 9, 11, 13, 17, 19, 21, 27, 33, 39 და 41 ფოტოების ავტორია კ. ბაირამიანი, 2013-2014 წ.

⁴ Происхождение и формирование армянского народа. ელექტრონული რესურსი www.historyofarmenia.am ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.historyofarmenia.am/ru/Encyclopedia_of_armenian_history_hay_jox-ovrdi_tsagumn_u_kazmavorumy.

⁵ Туманян Ованес. ელექტრონული რესურსი: <http://www.armenianlanguage.am/ru/Encyclopedia> – ხელმისაწვდომია მისამართზე: – http://www.armenianlanguage.am/ru/Encyclopedia_tumanyan_hovhannes.



წყარო 7 არამ ხაჩატურიანის ძეგლი ერევანში⁶

წყარო 8 არამ ხაჩატურიანი (1903-1978)

კომპოზიტორი, დირიჟორი, სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. ხაჩატურიანმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მუსიკის განვითარებაზე, სომხურ ხალხურ მუსიკას მსოფლიო აღიარება მოუპოვა. ხაჩატურიანი არის პირველი სომხური ბალეტის ავტორი, სომხური კინომუსიკის შემქმნელი. ერევანში ფილარმონიის დიდ დარბაზს მისი სახელი უწოდეს. იუნესკომ მისი ნოტები და კინომუსიკა შეიტანა საერთაშორისო რეესტრში „მსოფლიო ხსოვნა“.⁷



წყარო 9 ვიქტორ ამბარცუმიანის ძეგლი ერევანში

წყარო 10 ვიქტორ ამბარცუმიანი (1908-1996)

გამოჩენილი ასტროფიზიკოსი. 1934 წელს ამბარცუმიანმა ჩამოაყალიბა და თავად ჩაუდგა სათავეში საბჭოთა კავშირში ასტროფიზიკის პირველ კათედრას. ამბარცუმიანის კვლევები ვარსკვლავური სისტემების სტატისტიკასა და დინამიკაში საფუძვლად დაედო ვარსკვლავური სისტემების თანამედროვე სტატისტიკურ მექანიკას. ამ კვლევებისთვის 1995 წელს მას რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ის იყო ბიურაკანის ობსერვატორიის შემქმნელი და დირექტორი.⁸

⁶ რიტა ვილაერტის ფოტო. იბეჭდება ავტორის ნებართვით. ელექტრონული რესურსი, ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.flickr.com/photos/rietje/2907515182/>.

⁷ იუნესკომ პროგრამაში „მსოფლიო მეხსიერება“ ჩართო არამ ხაჩატურიანი. ელექტრონული რესურსი <http://www.vestikavkaza.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.vestikavkaza.ru/news/YUNESKO-vklyuchilo-v-programmu-Pamyat-mira-Arama-KHachaturyana.html>

⁸ Академик Амбарцумян Виктор Амазаспович. Жизнь и творчество (1908-1996). ელექტრონული რესურსი <http://vambartsumian.org/> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://vambartsumian.org/index.php?cat=biogr&sec=0#01>

ჯგუფი 2.

წყარო 11 მესროპ მაშტოცის ძეგლი ერევანში



წყარო 12 მესროპ მაშტოცი (361/362- 440)

405 წელს მაშტოცმა შექმნა 36-ასოიანი სომხური ანბანი. მშობლიურის გარდა, ფლობდა ბერძნულ, სირიულ და სპარსულ ენებს. მაშტოცი ხალხს ზეპირად უთარგმნიდა ბიბლიას, კათოლიკოს სააკის დახმარებით, გახსნა სომხეთში პირველი სკოლები, დააარსა პირველი უმაღლესი სკოლა, შეიმუშავა სწავლების მეთოდოლოგია და დაწერა სომხური ენის პირველი სახელმძღვანელო.⁹



წყარო 13 დავიდ ანახტის ძეგლი ერევანში

წყარო 14 დავიდ ანახტი (დაუმარცხებელი) (დაახლ. 475 – VI ს-ის პირველი ნახევარი)

დავიდ ანახტი – სომეხი ფილოსოფოსი. ფილოსოფიურ დისკუსიებში გამარჯვებისთვის დაიმსახურა სამეზის დიდი ფილოსოფოსის და დაუმარცხებელი (ანახტი) ფილოსოფოსის სახელი. დავიდ ანახტის მიხედვით, ფილოსოფია სიბრძნის დედაა, ის სათავეს უდებს ყველა მეცნიერებასა და ხელოვნებას, რომელიც არა მარტო შემოქმედებას, არამედ ხელოსნობასაც აერთიანებს.¹⁰

⁹ Месроп Маштоц. ელექტრონული რესურსი – <http://ru.hayazg.info/> - ხელმისაწვდომია მისამართზე: http://ru.hayazg.info/Месроп_Маштоц.

¹⁰ Давид Анахт. ელექტრონული რესურსი – <http://dic.academic.ru/> -ხელმისაწვდომია მისამართზე: http://dic.academic.ru/dic.nsf/enc_philosophy/5940/ДАВИД_.



წყარო 15 ალექსანდრე სპენდიარიანის ძეგლი ერევანში

წყარო 16 ალექსანდრე სპენდიარიანი (1871-1928)

კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, სახალხო არტისტი, სომხური მუსიკის კლასიკოსი. როგორც კომპოზიტორი, სპენდიარიანი რეალისტური მუსიკის მიმდევარი იყო და პროგრამული მუსიკისკენ იხრებოდა. თავის ნაწარმოებებში შექმნა ბუნების პოეტური სახეები, ხალხის ცხოვრების ჟანრული სცენები.¹¹



წყარო 17 მარტიროს სარიანის ძეგლი ერევანში

წყარო 18 მარტიროს სარიანი (1880-1972)

ყველაზე დაფასებული მხატვარი სომხეთში, რომელმაც შექმნა ახალი და აქტუალური „სარიანისეული“ ხელოვნება, სომხეთის სახელმწიფო მუზეუმის დამაარსებელი და დირექტორი. სარიანმა შექმნა უახლესი პერიოდის სომხური ფერწერის ეროვნული სკოლა. სარიანის ნამუშევრები ინახება სომხეთის ეროვნულ გალერეაში და მის ფილიალებში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, საზღვარგარეთის უმრავლეს მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.¹²

¹¹ Спендиаров. ელექტრონული რესურსი <http://dic.academic.ru/> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://dic.academic.ru/dic.nsf/bse/170514/Спендиаров>.

¹² Певец Армении. ელექტრონული რესურსი <http://www.centre.smr.ru/> – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.centre.smr.ru/win/artists/saryan/biogr_saryan.htm.



ჯგუფი 3.

წყარო **19** მოსე ხორენაცის ძეგლი ერევანში

წყარო **20** მოსე ხორენაცი (დაახლოებით 410-490)

ისტორიკოსი, სომხური ისტორიოგრაფიის შემქმნელი. დაიბადა სოფელ ხორეაში, ამიტომ ეწოდება ხორენაცი. მესროპ მაშტოცთან და მის სხვა მოწაფეებთან ერთად სომხურად თარგმნა ბიბლია. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია „სომხეთის ისტორია“ – სომეხი ხალხის პირველი სისტემატიზირებული ისტორია, რომელშიც გამოყენებულია სომხური და უცხოური წყაროები (სირიული, ბერძნული და სხვ.). ამ ნაშრომმა უდიდესი გავლენა მოახდინა სომხურ ისტორიოგრაფიაზე, თარგმნილია მრავალ ენაზე.¹³

წყარო **21** გრიგორ ნარეკაცი ძეგლი ერევანში



წყარო **22** გრიგორ ნარეკაცი (951-1003)

სომეხი პოეტი, ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი. ადრეული სომხური ალორძინების წარმომადგენელი. მისმა ლირიკულ-მისტიკურმა პოემამ „ტრაგედიათა მატთანე“, რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომხური სალიტერატურო ენის განვითარებაში. პირველად დაიბეჭდა მარსელში 1673 წელს, მანამდე კი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა.¹⁴

¹³ Энциклопедия фонда «Хайазг» Мовсес Хоренаци. ელექტრონული რესურსი <http://ru.hayazg.info> – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://ru.hayazg.info/Мовсес_Хоренаци.

¹⁴ Энциклопедия фонда «Хайазг» Григор Нарекаци. ელექტრონული რესურსი <http://ru.hayazg.info> – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://ru.hayazg.info/Григор_Нарекаци.



წყარო 23 ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი ერევანში¹⁵

წყარო 24 ალექსანდრე გრიბოედოვი (1795-1829)

რუსი დიპლომატი, პოეტი, დრამატურგი, თავადი, ავტორი ცნობილი პიესისა „ვაი ჭკუისაგან“, რომელიც პირველად წარმოადგინეს ერევნის ციხესიმაგრის კედლებში 1927 წელს. გრიბოედოვი აქტიურად მონაწილეობდა 1828 წელს რუსეთსა და სპარსეთს შორის თურქმანჩაის ხელშეკრულების ხელმოწერაში. ამ ხელშეკრულებამ სომეხი ხალხის ბედში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გრიბოედოვი იყო რუსეთის ელჩი თეირანში. მისი უშუალო მონაწილეობით 40 ათასზე მეტი სომეხი ჩამოასახლეს აღმოსავლეთ სომხეთში.¹⁶



წყარო 25 მიქაელ ნალბანდიანის ძეგლი ერევანში¹⁷

წყარო 26 წყარო 26. მიქაელ ნალბანდიანი (1829-1866)

სომეხი მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, რომანების „ერთი სიტყვა, მეორეს საცოლე“ (1858), „მიცვალებულთა კითხვები“ (1859, დაუმთავრებელია), „დღიური“ (1857-1860) ავტორი. უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მისი თავისუფლებისთვის ბრძოლის პათოსით გამსჭვალული ლირიკა. ნალბანდიანმა თარგმნა ა. ს. პუშკინის, მ. ი. ლერმონტოვისა და გ. ჰაინეს ლექსები, იგი სომხეთის ჰიმნის ტექსტის ავტორია.¹⁸

¹⁵ გრიბოედოვის ძეგლი. ელექტრონული რესურსი <http://charkhchyan.wordpress.com> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://charkhchyan.wordpress.com/2013/11/27/գրիբոյեդովի-սարձանը/>.

¹⁶ Авторский текст К. Байрамяна и Л. Оганесян. იხ. ასევე ელექტრონული რესურსი <http://www.wisdoms.ru.-ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.wisdoms.ru /avt/b65.html>.

¹⁷ ფოტო Armineaghayan (Own work) [CC BY-SA 3.0 (<http://creativecommons.org/licenses/by-sa/3.0>)], via Wikimedia Commons. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://commons.wikimedia.org/wiki/File:Nalbandyan_M._%281%29.JPG.

¹⁸ Микаэл Налбандян. Адаптировано из электронного ресурса: <http://www.peoples.ru> – ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.peoples.ru/art/literature/story/nalbandian/>.



ჯგუფი 4.

წყარო **27** ტიგრან II დიდის ძეგლი ერევანში

წყარო **28** ტიგრან II დიდი (ძვ. წ. 140-55)

ყველაზე ცნობილი სომეხი მეფე, მეფობდა ძვ. წ. 95-55 წლებში. დააარსა დედაქალაქი ტიგრანაკერტი. ტიგრან დიდის მმართველობის პერიოდში სომხეთი წინა აზიის ძლიერი სახელმწიფო გახდა. ჩვენამდე მოაღწია ტიგრანის მეფობის დროს მოჭრილმა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მონეტებმა მეფის გამოსახულებითა და წარწერით „მეფეთ მეფე“.¹⁹



წყარო **29** ოვანეზ აივაზოვსკის ძეგლი ერევანში²⁰

წყარო **30** ოვანეზ აივაზოვსკი (1817-1900)

სომხური წარმოშობის მსოფლიოში ცნობილი მხატვარი მარიინისტი, კოლექციონერი. ძირითადად საზღვაო პეიზაჟებს წერდა. საერთო ჯამში, მის მიერ 6 ათასზე მეტი ნახატია შექმნილი. მხატვრის შემოქმედების რომანტიკული ხასიათი ყველაზე მკაფიოდ გამოჟღავნდა სურათში „მეცხრე ტალღა“. მისი დამსახურება აღიარებულია მთელ მსოფლიოში. იგი იყო ხუთი სამხატვრო აკადემიის წევრი.²¹

¹⁹ Тигран Великий. ელექტრონული რესურსი <http://www.globalarmenianheritage-adic.fr> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.globalarmenianheritage-adic.fr/0ru/5music/0tigran1.htm>.

²⁰ ოვანეზ (ივანე) აივაზოვსკის ძეგლი. ერევანი. კ. ბაირამიანის ფოტო, 2014 წ.

²¹ Иван Айвазовский. ელექტრონული რესურსი <http://ivan.evart.ru> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://ivan.evart.ru/bio>.



წყარო 31 წყარო 31. კომიტასის ძეგლი ერევანში²²

წყარო 32 კომიტასი (სოგომონ სოგომონიანი) (1869-1935)

კომპოზიტორი, მუსიკოსი, მომღერალი, დირიჟორი, პედაგოგი, სომხური საკომპოზიციო სკოლის დამაარსებელი. კომიტასმა დააფუძნა საერთაშორისო მუსიკალური ორგანიზაცია, რომლის წევრიც იყო და რომლის შეკრებებზე სომხური მუსიკის შესახებ მოხსენებებით გამოდიოდა.²³



წყარო 33 უილიამ საროიანის ძეგლი ერევანში

წყარო 34 უილიამ საროიანი (1908-1981)

„მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში დავიბადე და ინგლისურად ვწერ, თავს სომეხ მწერლად ვთვლი. გარემოც, რომლის შესახებაც ვწერ, ასევე სომხურია. სული, რომელიც წერას მაიძულებს, სომხურია. ესე იგი, მე სომეხი მწერალი ვარ“. ეს სიტყვები ეკუთვნის თავად მწერალს, რომელიც ასე ძლიერ უყვართ სომხეთში.²⁴

²² Комитас. ელექტრონული რესურსი <http://commons.wikimedia.org/-> ხელმისაწვდომია მისამართზე: http://commons.wikimedia.org/wiki/File:Statue_of_Komitas_Vardapet,_Yerevan,_Armenia.jpg.

²³ Комитас. ელექტრონული რესურსი <http://www.armeniaculture.am>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.armeniaculture.am/ru/Encyclopedia_komitas.

²⁴ О Вильяме Сарояне. ელექტრონული რესურსი <http://magazines.russ.ru>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://magazines.russ.ru/interpoezia/2011/1/ba13-pr.html>.

ჯგუფი 5.

წყარო 35 აკოფ მეგაპარტის ძეგლი ერევანში²⁵

წყარო 36 პირველმბეჭდავი აკოფ მეგაპარტი (XV-XVI სს)

ბიოგრაფიული ცნობები აკოფ მეგაპარტის შესახებ არ არის შემორჩენილი. სომეხმა პირველმბეჭდავმა აკოფ მეგაპარტმა (მეგაპარტი ნიშნავს „ცოდვილს“) 1512 წელს პირველად დაბეჭდა სომხური წიგნი „ურბატაგირკი“ („პარასკევის წიგნი“). მისი წყალობით, მსოფლიო ენებს შორის სომხური გახდა ერთ-ერთი პირველი, რომლებზეც წიგნები იბეჭდებოდა.²⁶

წყარო 37 ვაგრამ პაპაზიანის ძეგლი ერევანში²⁷

წყარო 38 ვაგრამ პაპაზიანი (1888-1968)

სომეხი მსახიობი. სცენაზე (სტამბოლში) 1907 წლიდან გამოდიოდა. 1922-1953 წლებში სომხურ და რუსულ თეატრალურ დასებთან ერთად გასტროლებზე იყო საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. 1954 წლიდან სუნდუკიანის სახელობის ერევნის თეატრში მოღვაწეობდა. მონაწილეობდა ძირითადად შექსპირის პიესებში (რომეო „რომეო და ჯულიეტაში“, 1908წ.; ჰამლეტი – „ჰამლეტში“, 1912წ.; ლირი – „მეფე ლირში“, 1914 წ.). სახელი გაითქვა, როგორც ოტელოს როლის შემსრულებელმა „ოტელოში“, 1932 წ.

თავის შემოქმედებაში აერთიანებდა XIX საუკუნის ევროპულ სამსახიობო ხელოვნებასა და ტრადიციულ სომხურ ტრაგიკულ თეატრს.²⁸

²⁵ აკოფ მეგაპარტის ძეგლი. ერევანი. კ. ბაირამიანის ფოტო, 2014 წ.

²⁶ Акоф Мегапарт. ელექტრონული რესურსი: <http://dic.academic.ru/> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/613872>.

²⁷ Фото Armineaghayan (Own work) [CC BY-SA 3.0 (<http://creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/>)], via Wikimedia Commons: ელექტრონული რესურსი, ხელმისაწვდომია მისამართზე: [http://commons.wikimedia.org/wiki/File:Վահրամ_Փափազյան_\(2\).JPG](http://commons.wikimedia.org/wiki/File:Վահրամ_Փափազյան_(2).JPG).

²⁸ ВаграмПапазян. ელექტრონული რესურსი: <http://dic.academic.ru/> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://dic.academic.ru/dic.nsf/enc1p/35654/ПАПАЗЯН>

წყარო 39 არნო ბაბაჯანიანის ძეგლი ერევანში

წყოო. მოგვიანებით კი შევიტყვე, რომ ეს ადამიანი არამ ხაჩატურიანი იყო“, – წერდა არნო ბაბაჯანიანი.²⁹

წყარო 40 არნო ბაბაჯანიანი (1921-1983)

სახელოვანი კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი, სსრკ-ს სახალხო არტისტი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საყვარელი მუსიკოსი. მისი სიმღერები აღიარებული იყო საუკეთესოდ საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებზე.

„ერთხელ ჩვენთან სტუმარი მოვიდა. მან გვთხოვა, გვემღერა, რომ გაეგო, ვის ჰქონდა სმენა. მეც ვიმღერე, რიტმში ტაშიც შემოვკარი. ამ ადამიანმა მომისმინა და მითხრა, რომ მუსიკის სწავლა უნდა დაი-

წყარო 41 ტიგრან პეტროსიანის ძეგლი ერევანში**წყარო 42** ტიგრან პეტროსიანი (1929-1984)

მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. 1963 წელს მიხეილ ბოტვინიკის დამარცხების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. პეტროსიანი ექვსი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა ტიტულს. ის სომეხი ხალხის კერპი და სიამაყე იყო. თავისი მეტსახელი „რკინის ტიგრანი“ მიიღო დაცვის ბრწყინვალე ხელოვნების გამო, მეორე სახელი კი „მოჭადრაკე ცაცია“ შეარქვეს თამაშის უცნაური მანერის გამო, რომელიც გამოცდილ მოჭადრაკეებსაც აზნევდა.³⁰

²⁹ Арно Бабаджанян. ელექტრონული რესურსი: <http://babadzanyan.narod.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://babadzanyan.narod.ru/bio.htm>.

³⁰ Тигран Петросян – чемпион мира по шахматам. ელექტრონული რესურსი: <http://www.gambiter.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.gambiter.ru/chess/item/306-tigran-petrosyan.html>.

ბლოკი 3. ისტორია და კულტურა მესხიერებასა და ძეგლებში



15. რატომ დააწესა იუნესკოსთან არსებულმა საერთაშორისო საბჭოს ასამბლეამ ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის სპეციალური დღე (წყარო 41)?
16. იცით თუ არა მაგალითები, როდესაც ისტორიული მოღვაწეების ან ისტორიული მოვლენებისადმი მიძღვნილი ძეგლები აუღიათ? რატომ მოხდა ეს?
17. რა უნდა ვუყოთ წარსული ეპოქების ძეგლებს, თუკი ამ მოვლენებისა და მოღვაწეებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, ნეგატიური გახდა?

წყარო 43 ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღე

1983 წელს იუნესკოსთან არსებულმა ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვის საკითხთა საერთაშორისო საბჭოს ასამბლეამ (იკომოსი) 18 აპრილი ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ გად-ანწყვეტილების მიზანი იყო საზოგადოების ყურადღება მიეპყროთ მსოფლიო კულ-ტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების საკითხებისადმი.³¹

წყარო 44 ლენინის მოედანი ერევანში. 1980 წ.³²



³¹ Международный день памятников и исторических мест. ელექტრონული რესურსი: <http://ru.wikipedia.org/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://ru.wikipedia.org/wiki/Международный_день_памятников_и_исторических_мест.

³² Площадь Ленина в Ереване. 1980 г. ელექტრონული რესურსი: <http://di-sok.livejournal.com>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://di-sok.livejournal.com/5839.html>.

წყარო 45 რესპუბლიკის მოედანი ერევანში 2014 წელს³³**წყარო 46** სომეხი საბჭოთა მეცნიერის შეხედულება ლენინზე 1970 წელს

დიდი ლენინის სახელი თავისუფლების სიმბოლოა ყველა ხალხისთვის. საზოგადოებრივი განვითარების შესახებ ლენინიზმის ყოვლისმომცველმა იდეებმა, რომელიც ხალხს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების გზას უჩვენებდა, კაცობრიობის განვითარების ისტორიაზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია ... უკვდავმა ლენინურმა იდეებმა სომეხ ხალხს არა მარტო თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა, არამედ საბოლოო ფიზიკური განადგურებისგანაც იხსნა. ეკონომიკურად ჩამორჩენილი, ნაცარტუტად ქცეული სომხეთი საბჭოთა ხელისუფლების დროს იქცა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად მაღალგანვითარებული მეცნიერებითა და კულტურით.³⁴

წყარო 47 დღევანდელი სომეხი მეცნიერის შეხედულება ლენინზე

ყოფილ საბჭოთა პოლიტპატიმარს, სომხეთის ეროვნული საკრებულოს წევრ აზატ არშაკიანს ლენინის სახე სხვაგვარად წარმოუდგენია. მისი აზრით, ლენინის რევოლუციის საფუძველი ის იყო, რომ მან დაუშვა თავისი პოლიტიკური ოპონენტების განადგურება. მან სომეხ ხალხს დიდი უბედურება მოუტანა. ეს კატასტროფა იყო. ლენინმა მოაწყო სისხლიანი რევოლუცია და ყველა წინააღმდეგობა სისხლში ჩაახშო. ლენინი მთლიანად სისხლშია ამოსვრილი.³⁵

³⁴ Площадь Республики. Ереван. Фотобанк Лори. <https://lori.ru/>.

³⁴ Агаян Ц.П. В.И. Ленин и освобождение армянского народа. Электронული რესურსი: <http://lraber.asj-oa.am>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://lraber.asj-oa.am/1622/1/19.pdf>.

³⁵ Ретроспективный взгляд: образ В. И. Ленина продолжает пробуждать воспоминания. Электронული რესურსი – <http://armenpress.am/arm/news>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://armenpress.am/arm/news/716071/>.



შემაჯამებელი განხილვა

უნდა შევინარჩუნოთ თუ არა წარსულის ძეგლები, თუკი დღეს იმ ადამიანებისა და მოვლენებისადმი, რომლებსაც ეს ძეგლები ეძღვნება, დამოკიდებულება შეიცვალა და უარყოფითი გახდა?

მოიფიქრეთ პასუხი კითხვაზე და დაიკავეთ ადგილი ერთ-ერთ წარწერასთან:

A	იმპერიული და საბჭოთა წარსულის ძეგლები უნდა დაინგრეს და შევეცადოთ, ეს წარსული დავივიწყოთ.
B	ძეგლები, რომელთა მიმართ დამოკიდებულება ნეგატიურისკენ შეიცვალა, უნდა გადავიტანოთ მუზეუმში ან პარკში, როგორც წარსულის გაკვეთილების მაგალითები, რომლებიც აღარ უნდა განმეორდეს.
C	ასეთი ძეგლები უნდა დავტოვოთ ადგილზე და გავუკეთოთ სპეციალური საინფორმაციო ფირფიტები.
D	მოიფიქრეთ საკუთარი ვარიანტი.

სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება ეპოქებისა და კულტურათა გზაჯვარედინზე

► როგორ აისახა სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებაში კულტურათა დიალოგი?

- ▼
1. დააკვირდით ფოტოს (წყარო 1). როგორ ფიქრობთ, რისი თქმა, რისი გამოხატვა უნდოდათ ფოტოზე აღბეჭდილ კაცს და ფოტოგრაფს? ასახსენილად მოიშველიეთ ისტორიული ცნობა. დაასათაურეთ ფოტო.

წყარო 1¹



◆ ისტორიული ცნობა

სერგო ფარაჯანოვი (ფარაჯანიანი), გამოჩენილი კინორეჟისორი, სცენარისტი, მხატვარი, დაიბადა თბილისში 1924 წელს. 1942-1945 წლებში სწავლობდა რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში, შემდეგ თბილისის კონსერვატორიის ვოკალურ განყოფილებაზე, ოპერის თეატრთან არსებულ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. 1945 წელს გადავიდა მოსკოვის კონსერვატორიაში, შემდეგ შევიდა სრულიად საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე.

1949 წლიდან მუშაობდა კიევის ა. პ. დოფენკოს სახელობის კინოსტუდიაში და იღებდა როგორც მხატვრულ, ისე დოკუმენტურ ფილმებს. 1960-იან წლებში ფარაჯანოვი

¹ ფოტო წიგნიდან «Сергей Параджанов: хроника диалога» [фотоальбом]/Юрий Мечитов; [предисл.: Э.Рязанов]. Тбилиси: GAMS-print, 2009. С.280.

აქტიურად მონაწილეობს უკრაინაში დისიდენტური მოძრაობის² მხარდაჭერაში. მან პირველმა მოაწერა ხელი ცნობილ „139-თა წერილს“ – სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის უკანონო პოლიტიკური დევნის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელებისადმი საპროტესტო მიმართვას. ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა მისი ფილმის „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილების“ პრემიერა 1965 წლის ოქტომბერში კინოთეატრ „უკრაინაში“, სადაც ფილმის ჩვენების წინ უკრაინელმა სამართალდამცავებმა საჯაროდ გამოაცხადეს პროტესტი უკრაინელი ინტელიგენციის დევნის წინააღმდეგ. 1966 წელს, როცა ფარაჯანოვს აუკრძალეს გაეგრძელებინა ფილმ „კიევის ფრესკების“ გადაღება დოფჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში, იგი იძულებული გახდა უკრაინიდან სომხეთში წასულიყო. 1968 წელს კინოსტუდია „არმენფილმში“ ფარაჯანოვმა გადაიღო ფილმი „საიათნოვა“, რომელშიც თვალსაჩინო ქართველი მსახიობებიც მონაწილეობენ. ფარაჯანოვი საჯაროდ და აქტიურად აკრიტიკებდა ხელისუფალთ, ილაშქრებდა ცენზურისა და შემოქმედების ყოველგვარი შეზღუდვის წინააღმდეგ. 1973 წელს კიევში იგი ყურით მოთრეული ბრალდებით დააპატიმრეს და ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საერთაშორისო პროტესტის კამპანიის შედეგად 1977 წლის დეკემბერში ფარაჯანოვი გაათავისუფლეს. მეორედ იგი დააპატიმრეს 1982 წელს თბილისში, მაგრამ უცხოელ კულტურის მოღვაწეთა აქტიური პროტესტებისა და ფარაჯანოვის განთავისუფლების კამპანიაში ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობის შედეგად ხელისუფალნი იძულებული განხდნენ, იგი რამდენიმე თვეში გაეთავისუფლებინათ. იმის გამო, რომ კიევსა და მოსკოვში ცხოვრება აეკრძალა, ფარაჯანოვი მშობლიურ თბილისში დაბრუნდა. მას შესაძლებლობა მიეცა ემუშავა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, სადაც ღირსშესანიშნავი ფილმები გადაიღო.

კინოს გადაღების გარდა სერგო ფარაჯანოვი თავისი მომავალი ფილმების სცენარებსაც წერდა და მხატვარიც იყო. შექმნა უამრავი ნახატი და კოლაჟი.

სერგო ფარაჯანოვი გარდაიცვალა 1990 წლის 21 ივლისს ერევანში, როცა ის-ის იყო დაიწყო მუშაობა ავტობიოგრაფიულ ფილმზე „აღსარება“. კინოს თვალსაჩინო მოღვაწე დაკრძალულია ერევანში, სომეხი ხალხის გენიოსთა პანთეონში.

ბლოკი 1. სერგო ფარაჯანოვი – საზღვრებს გარეშე შემოქმედება: კინო



2. განსაზღვრეთ სერგო ფარაჯანოვის ფილმების თემატიკა (წყარო 2). რომელი ხალხების ისტორია და კულტურაა ასახული მის ფილმებში?
3. თქვენი აზრით, რა აერთიანებს და რა განასხვავებს ფილმებს, რომლებზეც მოთხრობილია წყაროებში 3-10?
4. რით არის, უკრაინელი მკვლევარების აზრით, ღირსშესანიშნავი ფილმი „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ (წყაროები 4,5)?
5. კინოთმცოდნე ნეა ზორკინას აზრით, როგორ გამოიხატა სერგო ფარაჯანოვის ფილმებში „ეროვნული კულტურის ფარაჯანოვისეული უფაქიზესი გრძნობა“ (წყარო 9)?
6. როგორ გესმით ფარაჯანოვის აზრი ხელოვნების შესახებ (წყარო 10)?

² დისიდენტები – სხვაგვარად მოაზროვნენ. დისიდენტური მოძრაობა – საპროტესტო მოძრაობა საბჭოთა კავშირში, რომლის მონაწილენი გამოდიოდნენ ხელისუფლების ტოტალიტარული ხასიათის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებების დასაცავად.

წყარო 2 წყარო 2. სერგო ფარაჯანოვის ფილმოგრაფია³

მოლდავური ზღაპარი, 1951 – სადიპლომო ნამუშევარი.

ანდრიეში, 1954 – მხატვრული ფილმი მოლდავური ხალხური ზღაპრის მიხედვით.

კაპელა „დუმკა“, 1957 – დოკუმენტური ფილმი უკრაინის ეროვნული აკადემიური კაპელის – მუსიკალური კოლექტივის შესახებ, რომელიც საგუნდო ხალხურ და კლასიკურ ნაწარმოებებს ინსტრუმენტული თანხლების გარეშე ასრულებს, შეიქმნა 1920 წელს და დღემდე მუშაობს.

უკრაინული რაფსოდია, 1961 – მხატვრული ფილმი მეორე მსოფილო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი და ორგანიზაციის მიერ გადარჩენილი უკრაინელი ჯარისკაცის ანტონის ბედისა და სიყვარულის შესახებ.

მივინყებულ წინაპართა აჩრდილები, 1964 – მხატვრული ფილმი უკრაინელი მწერლის მ. კოციუბინსკის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, გუტული ქალ-ვაჟის, ორი მოქიშპე ოჯახის შვილების ივანკოსა და მარიჩკასტრაგიკული სიყვარულის შესახებ.

კიევის ფრესკები (დაუმთავრებელი), 1966 – გაყინული კადრების ახალი მანერით გადაღებული მხატვრული ფილმიდიდი სამამულო ომის შესახებ. აკრძალული იყო მუშაობის დამთავრებამდე.

აკოფ ჰოვნათიანი, 1967 – დოკუმენტური ფილმი XIX საუკუნეში სახელგანთქმული თბილისში დაბადებული სომეხი პორტრეტისტი მხატვრის შესახებ.

ბროწეულთაფერი (საიათნოვა), 1969 – მხატვრული ფილმი XVIII საუკუნის თბილისელსომეხ აშულზე (სახალხო მგოსანი და მომღერალი) საიათნოვაზე.

ამბავი სურამის ციხისა, 1984 – მხატვრული ფილმი, შექმნილი ქართული ლეგენდის მიხედვით, რომლის თანახმადაც სურამის ციხე მიუდგომელი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ იმ პირობით, თუ მის კედელში ცოცხლად დაატანდნენ მშვენიერ ვაჟს.

არაბესკები ფიროსმანის თემაზე, 1986 – დოკუმენტური ფილმი XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის გამოჩენილი ქართველი თვითნასწავლი მხატვრის შესახებ.

აშული ქერიბი (აშიკ-ქერიბი), 1988 – მხატვრული ფილმი მუსიკოსის თავგადასვლის შესახებ აზერბაიჯანული ხალხური ზღაპრის მოტივებზე მ. ლერმონტოვის მიერ დაწერილი ამავე სახელწოდების ზღაპრის მიხედვით.

წყარო 3 უკრაინელი კულტუროლოგი ვადიმ სკურატოვსკი ფილმ „ანდრიეშის“ შესახებ

მომხიბვლელი გალექსილი ზღაპარია. ...მწყემსი ბიჭუნა ანდრიეში, „ნათელის“ სიმბოლო, ეჯიბრება ყოფიერების საკითხთა გადაწყვეტაში ყოველივე ცოცხლის მოძულე დემონს – „შავ გრიგალს“. ბალეტი, პანტომიმა, ფრიად პირობითი „ნეს-ჩვეულებანი“, სრულიად პირობითი დრო და სივრცე ყოველ კადრში – აი ამ შეჯიბრების ძირითადი მომენტები და ხერხები. „ანდრიეში“ ... „მივინყებულ წინაპართა აჩრდილების“ საოცარი ბალკანურ-მოლდავური ჟანრობრივი წინამორბედია.⁴

³ აქ მოყვანილ სიაში სერგო ფარაჯანოვის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტური ფილმი არ არის ჩამოთვლილი.

⁴ Вадим Скуратовский. Тени забытых фильмов. Цит. по: «Экраний мир Сергея Параджанова». К.:2013. С. 39, 40.

წყარო 4 უკრაინელი კინომცოდნე ბ. ბრიუხოვეცკაია ფილმ „მივინწყებულ წინაპართა აჩრდილების“ შესახებ

... შესაძლოა, მომავალში არა მარტო ფოლკლორისტები, არამედ ყველა ისინიც, ვისთვისაც ძვირფასია ხალხური ხელოვნება, შეისწავლიან ფილმს და მისი დახმარებით მიიღებენ წარმოდგენას გუცულების⁵ წეს-ჩვეულებებსა და თვითმყოფად ხელოვნებაზე. ისიც ხომ თანდათან შორდება ჩვენს დროს, და მუზეუმების ექსპოზიციები ვერ შექმნის იმდენად სრულ შთაბეჭდილებას, როგორსაც ქმნის ფილმის გმირების ეკრანზე ასახული ცხოვრება. ფილმში არც ბუტაფორია⁶ და არც სამუზეუმო ექსპონატები არ გამოუყენებიათ. ფილმის შემქმნელებს ბედმა გაუღიმა – მათ კარპატების მცხოვრებლებში მოიძიეს და ფილმში გამოიყენეს უამარვი ძველებური ხატი, საეკლესიო ატრიბუტები, სხვადასხვა გუცულური ტანსაცმელი დასაყოფაცხოვრებო ნივთი – ჟილეტები, ქუდები, ქვედატანები, ქამრები, მძივები, ნაჯახები. მთელი ეს საგანძური მოიტანეს ფილმის გადაღებებზე ჩამოსულმა შორეული სოფლების მკვიდრებმა. სწორედ ამიტომ მაყურებელს ექმნება ნამდვილობის შეგრძნება, რომელსაც ვერავითარი, თუნდაც ძალიან ოსტატურად დამზადებული, ბუტაფორია ვერ გამოიწვევს.⁷

წყარო 5 უკრაინელი ლიტერატურათმცოდნე და დისიდენტი ივან ძიუბა ფილმ „მივინწყებულ წინაპართა აჩრდილების“ შესახებ

გუცული რომეო და ჯულიეტას – ივანკოსა და მარიჩკას თავისთავად პოეტური და თვითმყოფადი, გულში ჩამწვდომი ამბავი ფარაჯანოვისათვის ერთგვარი მეგზური გახდა ხალხური ლეგენდებისა და თქმულებების, ხალხური ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების, წეს-ჩვეულებების სამყაროში. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, მას აინტერესებდა არა უბრალოდ როგორც წარსული, არამედ როგორც დღევანდელობის, მისი სულიერი პრობლემებისა და საიდუმლოებების წყარო, როგორც ადამიანის ყოფიერების მარად აქტუალური პრობლემების წამოჭრის, ადამიანის სულის უდიდეს ფასეულობათა მოძებნის საშუალება.⁸

წყარო 6 სერგო ფარაჯანოვი ფილმ „კიევის ფრესკების“ შესახებ

დიდი ხანია ვოცნებობ დავდგა ფილმი კიევზე. ქალაქი არაერთხელ ყოფილა ეკრანზე – ისტორიული, პეიზაჟური, არქიტექტურული, სამრეწველო. მე კი მინდა კიევის სულში ჩავხედო.⁹

წყარო 7 ფრანგი კინოს თეორეტიკოსი ერიკ ბიულო სერგო ფარაჯანოვის ფილმ „საიათნოვას“ შესახებ

...ფილმ „საიათნოვას“ კადრების შექმნა რეჟისორს აშკარად სომხურმა მინიატურებმა შთააგონეს. მინიატურის ხელოვნებამ – სომხური კულტურის ერთ-ერთმა ცენტრალურმა მომენტმა – აპოგეას შუა საუკუნეებში მიაღწია. ფილმის ნათელი სურათები იგივე სწორხაზოვან და სქემატურ შავკონტურიან ნახატს იმეორებენ...

⁵ გუცულები – უკრაინელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, კარპატების მცხოვრებნი.

⁶ ბუტაფორია – თეატრალური წარმოდგენისთვის სპეციალურად დამზადებული ნამდვილს მიმსგავსებული საგნები (ქანდაკებები, ავეჯი, ჭურჭელი, სამკაულები, იარაღი და სხვ.).

⁷ Лариса Брюховецкая. «Тени забытых предков» – как художественный манифест. Цит. по: «Экранный мир Сергея Параджанова». № 31.

⁸ Иван Дзюба. День поиска. Цит. по: «Экранный мир Сергея Параджанова». С.16.

⁹ Цит. по: «Экранный мир Сергея Параджанова», С. 75.

...პოეტის [საიათნოვას] გაიგივება წმინდა გიორგისთან, ადამიანთა მფარველთან, სულ უფრო და უფრო გიტაცებს, რადგან ეს ჭეშმარიტად ეროვნული დამოკიდებულებაა პოეტი-სადმი... პოეტი, როგორც წმინდანი, სომეხი ხალხის ქომაგი, მფარველი ხდება. მაშინაც კი, როცა პოეტი კვდება, მისი უკვდავი სიმღერა სამუდამოდ რჩება ხალხის ხსოვნაში.¹⁰

წყარო 8 ინგლისელი რეჟისორი და კინოს ისტორიკოსი ჰერბერტ მარშალი ფილმ „ბროწეულთა ფერის“ შესახებ

ყველგან – ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში – გვეუბნებოდნენ, რომ ერთი ფილმი აუცილებლად უნდა გვენახა: „ბროწეულთა ფერი“.

... ერევანში, კინოსტუდია „არმენფილმი“ გადაღებული ფილმის რუსულენოვანი ვერსია ვნახეთ. დაწყებით ტიტრებში ახსნილი იყო, რომ ფილმი მოგვითხრობს სომეხ პოეტზე არუთიუნ საათიანზე, რომელიც ცნობილია, როგორც სიმღერის მეფე საიათნოვა. იგი 1712-1795 წლებში ცხოვრობდა და სახელი გაითქვა, როგორც აშულმა (*სახალხო მომღერალი*) და სასიყვარულო ლირიკის ავტორმა, რომელსაც ეროვნული სიმებიანი ინსტრუმენტის აკომპანემენტით ასრულებდა. თავდაპირველად ფეიქრად მუშაობდა, შემდეგ საქართველოს მეფის, ერეკლეს კარის პოეტი გახდა. 1768 წლიდან ცხოვრობდა მონასტერში, ხოლო 1795 წელს სპარსელმა დამპყრობლებმა მოკლეს. <რუსი პოეტი> ვალერი ბრიუსოვი წერდა მის შესახებ: „მომღერალი, რომელმაც მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა აშულთა პოეზია, იყო საიათნოვა; თავისი გენიის სიმძლავრით მან სახალხო მომღერლის ხელობა პოეტის მაღალ მონოდებად აქცია. ...საიათნოვამ პირველმა დაამტკიცა თავისი მაგალითით, თუ რა ძალა იმალება სახალხო მომღერლის ხმაში“.¹¹

წყარო 9 კინოთმცოდნე ნეა ზორკინა ფარაჯანოვის ფილმების შესახებ

„ამბავი სურამის ციხისა“ ფარაჯანოვმა გადაიღო („საიათნოვას“ გადაღებიდან – რედ.) თხუთმეტი საშინელი და უბედურებით აღსავსე წლის შემდეგ.¹² მაგრამ ამ გვიანდელ ფილმში ვერც დაღლილობის და ვერც მუდმივი ძიების პრინციპების დათმობის კვალსაც ვერ ნახავთ. სიუჟეტს საფუძვლად უდევს არქაული თქმულება მშვენიერ ყმანვილზე, რომელიც მშობლიური ქალაქის დაცვას შეეწირა. ეროვნული კულტურის, ესთეტიკის, სტილის უფაქიზესმა ფარაჯანოვისეულმა გრძნობამ თავი იჩინა რეჟისორულ გადაწყვეტაში, რომელიც თითქმის დაუჯერებლად ადეკვატურია ქართული ფერწერული და თეატრალური ტრადიციებისა. და თუ „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ ჭეშმარიტად უკრაინულ ფილმად გვევლინება, თუ „ბროწეულთა ფერში“ ხორცშესხმულია თვით სომხური რელიგიური სულისკვეთება და სილამაზე, ფილმში „ამბავი სურამის ციხისა“ კონცენტრირებულია ქართული სიძველის პოეზია, ეროვნული ფოლკლორის, სანახაობის, ფრესკის მკაცრი და ნატიფი ფაქტურა.¹³

¹⁰ Эрик Бюло. «Саят-Нова» Сергея Параджанова. Цит. по: «Экранный мир Сергея Параджанова». С.144, 152.

¹¹ Герберт Маршалл. Дело Серго Параджанова. Цитация Ниғниდან «Экранный мир Сергея Параджанова». С.157.

¹² ავტორს მხედველობაში აქვს დაპატიმრება, ბანაკში ყოფნა, გადაღებული ფილმების ჩვენებისა და შემოქმედებითი საქმიანობის აკრძალვა.

¹³ Зоркая Н.М. История Советского кино. Цит. по: «Экранный мир Сергея Параджанова». С.13.

წყარო 10 სერგო ფარაჯანოვი ფილმ „მივიწყებულ წინაპათა აჩრდილების“ შესახებ

რატომ გადავიღე ეს ფილმი. უბრალოდ გადავიღე. ხელოვნება ისეთი რამ არის, რაც ჩვენზე მაღლა დგას, ჩვენი გონების საზღვრებზე მაღლა ცი. მის გარეშე, როგორც ჰაერის გარეშე, ვერ ვიარსებებდით. ხელოვნება არსებობს ყველასათვის, ვისაც ის უყვარს. მე სომეხი ვარ, მაგრამ რატომაც არ უნდა გადამეღო უკრაინული ფილმი. ხელოვნება ერზე მაღალია, თუმცა ამავე დროს ეროვნული ხასიათი აქვს.¹⁴

ბლოკი 2. სერგო ფარაჯანოვი – ცხოვრებისა და შემოქმედების გეოგრაფია

7. იპოვეთ წყაროებში 11-17 შესაძლო მიზეზები, რომელთა გამოც სერგო ფარაჯანოვი იყენებდა თავის ფილმებში ეროვნულ სიუჟეტებს.
8. რომელი „სამი სამშობლო“ აქვს მხედველობაში სერგო ფარაჯანოვს წყაროში 13? როგორ არის დაკავშირებული მისი ეს გამონათქვამი მისი ფილმების სიუჟეტებთან?
9. რას გულისხმობს ქართველი მკვლევარი როცა წერს ფარაჯანოვის მიერ „შეურწყმელის შერწყმაზე“ (წყარო 15)?
10. როგორ გესმით გამოთქმა „ფარაჯანოვი ინტერნაციონალური მოვლენაა“ (წყარო 16)? რატომ არის, რომ ფარაჯანოვს „თავისიანად“ მიიჩნევენ ამდენი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი?
11. როგორ ფიქრობთ, რა მიზნით დაწერა ფარაჯანოვის კოლეგამ, სომეხმა რეჟისორმა ლ. გრიგორიანმა (წყარო 17) წიგნი თავისი მეგობრის შესახებ, რომელიც გამოიცა სერიაში „შესანიშნავი ადამიანების ცხოვრება“?

წყარო 11 სერგო ფარაჯანოვი თბილისის შესახებ

მე დავიბადე და გავიზარდე დიად ქალაქში, სადაც ასურელი და უკრაინელი, ქურთი¹⁵ და რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი, ქართველი და ბერძენი, თურქი და პოლონელი, ესპანელი და გერმანელი, ესტონელი და ებრაელი ერთ დიდ ოჯახად, ერთ დიდ სახლში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. ამ ქალაქს თავისი კოლორიტი, თავისი სურნელი, თავისი სიყვარული და თავისუფლება აქვს. ამ ქალაქში ერთ მოედანზე დგას რუსული, სომხური და ქართული ეკლესიები, ებრაული სინაგოგა და მუსლიმური მეჩეთი. <...> ეს სასწაულია, სასწაული, რომელიც მუდამ ჩემს გულშია.¹⁶

წყარო 12 ცნობილი საბჭოთა და რუსი რეჟისორი ელდარ რიაზანოვი სერგო ფარაჯანოვის შესახებ

ფარაჯანოვი დიდი კინორეჟისორია, რომელსაც წარმოუდგენლად ტრაგიკული ბედი ჰქონდა. დაბადებით თბილისელი, ეროვნებით სომეხი, განათლებით მოსკოველი, რადგან სრულიად საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სწავლობდა, მერე დიდ ხანს ცხოვრობდა კიევში. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში მას მხოლოდ კინემატოგრაფისტი

¹⁴ Цит. по: «Экранный мир Сергея Параджанова». С. 69.

¹⁵ ქურთები – თანამედროვე ირანის, ერაყის, თურქეთისა და სირიის მთიან რაიონებში (ქურთისტანი) და რეგიონის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მცხოვრები ირანულენოვანი ტომების საერთო დასახელება.

¹⁶ Параджанов С. Исповедь: Киносценарии. Письма / С. Параджанов. СПб.: Азбука, 2001. С. 196.

კოლეგები იცნობდნენ: მისი პოეტური, თავისებური, უჩვეულო ფილმები პატარა კინოთეატრებში გადიოდა ხოლმე. ამიტომ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ფარაჯანოვი ფართოდ იყო ცნობილი ვიწრო წრეებში“. მართალია, ამ „ვიწრო წრეებში“ მსოფლიო კინემატოგრაფის მთელი საუკეთესო ნაწილი შედიოდა. მისი ფილმებით აღტაცებული იყვნენ ფელინი, ვაიდა, ფორმანი და ტარკოვსკი.¹⁷

წყარო 13 სერგო ფარაჯანოვი: „მე სამი სამშობლო მაქვს...“

რა გითხრათ ჩემს ბიოგრაფიაზე? დარდი – აი მისი მარადიული ფორმა <...> ჩემთვის სომხეთი ეს არის ხელოვნება და ისტორია, ეს არის ჩემი მეგობრები, ჩვენი შემოქმედებითი დანაკარგები... აქ გამოვფინე ქართველი და სომეხი მხატვრების ჰარმონიულად შეხამებული ნამუშევრები და ჩემი ავტოპორტრეტი... ყველამ იცის, რომ სამი სამშობლო მაქვს: დავიბადე საქართველოში, ვმუშაობდი უკრაინაში და სიკვდილს ვაპირებ სომხეთში.¹⁸

წყარო 14 ქართველი კინოთმცოდნე კორა წერეთლის მოგონებებიდან

ფარაჯანოვი ჭეშმარიტი თბილისელია. თბილისი, ან ტიფლისი, როგორც უწოდებდა მშობლიურ ქალაქს ფარაჯანოვი ძველ ყაიდაზე, მისთვის განსაკუთრებული ადგილი იყო მთელ სამყაროში. იგი გაიზარდა საქართველოს დედაქალაქის იმ ერთ-ერთ მრავალეროვან უბანში, სადაც სამი კულტურის (ქართული, სომხური და თურქულის) და სამი რელიგიის (მართლმადიდებელი, სომხურ-გრეგორიანული და მუსლიმური) შეპირაპირებამ თავისებური ეთნიკური ფენომენი შექმნა... სცენარის ერთ-ერთი ხელნაწერის ფურცელზე ავტოპორტრეტის მსგავსი ჩანახატის თავზე ფანქრით წარწერილია: „არუთიუნი – მე ვარ, საიათნოვა – მე ვარ“.¹⁹

წყარო 15 ქართველი ხელოვნებათმცოდნე გ. დავითაშვილი სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების შესახებ

თავის ხელოვნებაში შეურწყმელის შერწყმით იგი თითქოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაერთიანებას ცდილობდა. სისხლითა და ხასიათით სომეხმა, რწმენით მართლმადიდებელმა, ენით რუსმა, ნათესაობით უკრაინელმა, თავისი ხელოვნების პლასტიკით ერთდროულად სპარსელმა, ჰოლანდიელმა, ფრანგმა, იაპონელმა და ინდოელმა ფარაჯანოვმა შეისისხლხორცა ყველაფერი, რაც ერთმანეთში აირია XIX საუკუნის თბილისში. <...> „ბრონეულთა ფერის“ გმირის, საიათნოვას მსგავსად, რომლის სიმღერები სამ ენაზე – სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზეა დანერილი, მან, რეჟისორმა ფარაჯანოვმა, შექმნა სამი ფილმი სამ ენაზე: ბრონეულის ფერი“ – სომხურზე, „ამბავი სურამის ციხისა“ – ქართულზე და „აშვიკ-კერიბი“ ლერმონტოვის ზღაპრის მიხედვით – აზერბაიჯანულზე. და ყველა ფილმში ფარაჯანოვი ამ ეროვნული კულტურების სრულფასოვან მატარებლად, მათს განუყოფელ ნაწილად გვევლინება.²⁰

¹⁷ Эльдар Рязанов. «Человек-праздник». Предисловие к книге «Сергей Параджанов: хроника диалога». Там же, суперобложка.

¹⁸ Интервью С.Параджанова армянскому TV на открытии выставки в Ереване 15 января 1988 г. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://burusi.wordpress.com/2010/04/21/sergei-parajanov-5/>.

¹⁹ Параджанов С. Дремлящий дворец./С. Параджанов. Санкт-Петербург.: «Азбука-классика», 2006. С.10,15

²⁰ Георгий Давиташвили. Шамхаливоин. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.nukri.org/index.php?name=News&file=article&sid=375>.

წყარო 16 კინოს ისტორიკოსი ნაუმ კლეიმანი სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების შესახებ

შეიძლება ითქვას, რომ ფარაჯანოვი ტრანსკავკასიელი რეჟისორია: მის ფილმებში აისახა ქართული, სომხური, აზერბაიჯანული მოტივებიც, ირანის გავლენაც და ძალიან საინტერესო თურქული გამოძახილიც, და ამავე დროს იგი უკრაინული კინოს შესანიშნავი ხელოვანაცაა. გარდა ამისა, ფარაჯანოვი მოსკოვის კინოსკოლის ნამოწაფარია. იგი, რა თქმა უნდა, ინტერნაციონალური მოვლენაა, როგორც ყველა დიდი შემოქმედი, და მისი ეს-მით დედამიწის ნებისმიერ წერტილში.²¹

წყარო 17 სომეხი რეჟისორი ლევონ გრიგორიანი სერგო ფარაჯანოვის ფილმების შესახებ

მისი ფილმი „მივინყებულ წინაპართა აჩრდილები“, რომელშიც გასაოცრადაა გადმოცემული სლავური ეთნოსის ხასიათის პოეტური იმპულსები და თავისებურებანი, უკრაინული კინოს ერთ-ერთი მწვერვალია. ფარაჯანოვი მიჩნეულია უკრაინული კინემატოგრაფიის კლასიკოსად და დოვჟენკოს სახელობის სტუდიაში მისი ძეგლია დადგმული. სომხეთში მას სომხური კინოს კლასიკოსად თვლიან. მისი ფილმი „ბროწეულთა ფერი“ სომხური კინემატოგრაფიის უმაღლესი მიღწევა გახდა. ერევანში გახსნილ ფარაჯანოვის მუზეუმს უამრავი მნახველი ყავს. საქართველოში მან გადაიღო ფილმი „ამბავი სურამის ციხისა“, რომელიც განსაცვიფრებლად ზუსტად გადმოსცემს ქართული ხასიათის თავისებურებებს, და ეს ფილმიც ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო მიღწევად მიიჩნევა. ფარაჯანოვის ძეგლი თბილისის ერთ-ერთ მოედანს ამშვენებს. და ბოლოს, ფენომენალურია ის, რომ ფარაჯანოვი, ქრისტიანულ კულტურულ ტრადიციებთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელოვანი, თავის უკანასკნელ ფილმში „ამიკ-კერიბი“ ღრმად ჩასწვდა მუსლიმური მენტალიტეტის არსს და შექმნა ფილმი, რომელიც ისლამური კულტურის თვალსაჩინო მოვლენად იქცა. და ამის საუკეთესო ძეგლი და დადასტურებაა ის, რომ ირანელი რეჟისორები, რომლებიც ბოლო დროს სულ უფრო მეტ ჯილდოს იღებენ საუკეთესო ფესტივალებზე, ფარაჯანოვს დიდ პატივს სცემენ და სულიერ გურუდ²² მოიხსენიებენ.

ბლოკი 3. სერგო ფარაჯანოვი – საზღვრებს გარეშე შემოქმედება: ხელოვნება კინოს მიღმა



12. რომელ პერიოდს განეკუთვნება სურათები (წყაროები 18 და 19)? ვინ არიან ამ ნაწარმოებების ავტორები და რით არიან ცნობილი?
13. ახსენით, რატომ ითვლება წყარო 20 კოლაჟად. როგორ ფიქრობთ, რატომ და რისთვის გამოიყენა მხატვარმა თავისი ვარიაციებისთვის ალბომების ხანის ცნობილი ტილოები? რისი თქმა უნდოდა სურათების სავარაუდო მნახველებისთვის XX საუკუნის დამლევს?

²¹ Наум Клейман. Комментарии. В книге «Экранный мир Сергея Параджанова». Сборник статей. Автор идеи и составитель Юрий Морозов. К.: 2013. С.177.

²² Григорян Л.Параджанов/ Л. Григорян. М.: Молодая гвардия, 2011. С. 1-2.

წყარო 18 პენტურიკო.
ბიჭის პორტრეტი. 1500 წ.



წყარო 19 რაფელ სანტი.
სიქსტის მადონა. XVI საუკუნის დამდეგი.



წყარო 20 ს. ფარაჯანოვი.
კოლაჟი „მონანიება“, ვარიაცია
პენტურიკიოსა და რაფაელის
თემაზე²³

◆ საინფორმაციო ცნობა

კოლაჟი (ფრანგულიდან collage – მიწებება) – ტექნიკური ხერხი სახვით ხელოვნებაში, რაიმე საფუძველზე ისეთი მასალების მიწებება, რომლებიც მისგან განსხვავდება ფერითა და ფაქტურით (მაგალითად, ქსოვილის საფუძველზე ფოტოების, ბილეთების, მავთულის, ხის, ლითონის და სხვ. ფრაგმენტების მიწებება, და პირიქით). კოლაჟი ეწოდება ამ ტექნიკის გამოყენებით შექმნილ ხელოვნების ნიმუშსაც.



²³ Выставка цвета граната: коллажи Сергея Параджанова – электронный ресурс «Интервью» <http://www.interviewrussia.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.interviewrussia.ru/art/vystavka-cveta-granta-kollazhi-sergeya-paradzhanova>

14. ახალი რა შეიტყეთ წყაროდან 22? როგორ გესმით აზრი იმის თაობაზე, რომ ყველაფერი, რასაც ფარაჯანოვის ხელი შეხებია, ხელოვნების ნაწარმოებად იქცევა ხოლმე?
15. როგორ შეესაბამება ერთმანეთს წყაროები 20, 21, 22, 23?
16. როგორ ფიქრობთ, რატომ აირჩია განათლებითა და პროფესიით რეჟისორმა ფარაჯანოვმა შემოქმედების ისეთი სახეობა, როგორიცაა კოლაჟი? რა იზიდავდა მას ხელოვნების ამ ჟანრში? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

წყარო 21 მსახიობ ალა დემიდოვას მოგონებებიდან

ყველაფერი, რასაც მისი ხელი შეხებია, ჩარჩოშია ჩასასმელი, რადგან ყველაფერი ეს ხელოვნების ნაწარმოებია. ნაირფერი ნაკუნები, აპლიკაციები, ნაქარგები, ქვები, ძველი ნოხები გაგიჟებით უყვარდა. ჰოლანდიაში ძველი ნივთების ბაზარში წავიდა და რაც იქ იყო, ყველაფერი მთლიანად იყიდა. როცა მოგზაურობიდან დაბრუნდა, სატვირთო ლიფტმა ყველა მისი ტომარა ვერ დაიტია. და აი მან ნავაჭრი გადმოყარა: ერთ გროვაში აღმოჩნდა ვერცხლის ბეჭდები და რალაც იაფფასიანი მინის თვლები – თქვენ რა გესმით, ჩვენ კეკელოებს ესენი საფირონები და ბრილიანტები ეგონებათო.²⁴

წყარო 22 ს. ფარაჯანოვი. ფრესკა „მოცეკვავე ქურთები“. 1979 წ.²⁵



წყარო 23 ს. ფარაჯანოვი. კოლაჟი საქართველოს სახელმწიფო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის აფიშის საფუძველზე²⁷



²⁴ А. Демидова. Тени Зазеркалья. Цитата из Нигиндан Цветграната: мир Параджанова в 23 главах. Электронный ресурс: <http://vozduh.afisha.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://vozduh.afisha.ru/cinema/cvet-granata-mir-paradzhanova-v-23-glavah/>

²⁵ ქურთები – თანამედროვე ირანის, ერაყის, თურქეთისა და სირიის მთიან რაიონებში (ქურთისტანი) და რეგიონის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მცხოვრები ირანულენოვანი ტომების საერთო დასახელება.

²⁶ ფოტო ნიგინდან «Сергей Параджанов: хроникадиалога», იქვე, გვ. 26.


²⁷ ფოტო ნიგინდან «Сергей Параджанов: хроникадиалога», იქვე, გვ. 81.

ამ ნაწარმოებს (წყარო 22) საინტერესო ბედი აქვს – ფარაჯანოვმა იგი თავის თბილისის სახლის აივნის კედელზე შექმნა და თანდათან ამატებდა ახალ ელემენტებს. ავტორი მას ფრესკას უწოდებდა. ფარაჯანოვის გარდაცვალების შემდეგ იგი თავყვანისმცემლებმა ნაწილ-ნაწილ სუვენირებად დაიტაცეს.



17. რით განსხვავდება სერგო ფარაჯანოვის ფოტოები (წყაროები 24-27) ჩვეულებრივი ავტოპორტრეტებისგან?
18. როგორ ფიქრობთ, რისი გამოხატვა უნდოდათ სერგო ფარაჯანოვს და ფოტოგრაფი იური მეჩითოვს? შეიძლება თუ არა წყაროებს 24-27 ხელოვნების ნაწარმოები ეწოდოს? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
19. რა აერთიანებს წყაროებს 20, 22,23 და წყაროებს 24-27?
20. როგორ შეეძლო მნახველს აღექვა ასეთი ხელოვნების ნაწარმოებები?
21. როგორ გესმით ბლოკის სათაურის სიტყვები „საზღვრებს გარეშე შემოქმედება“?

წყარო 24 პორტრეტი ფრინველით²⁸



წყარო 25²⁹



²⁸ Екатерина Носко. Сергей Параджанов. Мистификация бытия. ელექტრონული ჟურნალი Styleinsider-
http://www.styleinsider.com.ua/ხელმისაწვდომია_მისამართზე – <http://www.styleinsider.com.ua/wp-content/uploads/2015/03/pic5.jpg>

²⁹ ფოტო წიგნიდან «Сергей Параджанов: хроника диалога», იქვე, გვ. 62.



ბლოკი 4. სერგო ფარაჯანოვი – თავისუფლების ფასი

- ▼
- 22.** რა შეიძლება გავიგოთ ახალი სერგო ფარაჯანოვის პიროვნებაზე წყაროებიდან 28-31? ხაზი გაუსვით საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც თქვენი აზრით გამოხატავს თუ როგორ ესმოდა ფარაჯანოს თავისუფლება.

წყარო 28 პოლონელი კინოკრიტიკოსი და ჟურნალისტი იანუშ გაზდა კიევში ფარაჯანოვის ბინის შესახებ:

... დავბრუნდეთ ფარაჯანოვის ბინაში. ბინაში, რომელიც კიევში, ტარას შევჩენკოს ბულვარზე, გამარჯვების მოედნისა და ცირკის პირდაპირაა. ფარაჯანოვის ბინა მეტია, ვიდრე უბრალოდ გამოჩენილი პიროვნების სამყოფელი. მან მოახერხა შეექმნა საკუთარი, ცალკე სამყარო – იმდენად ჰერმეტიული,³² რომ თავისუფლება ეგრძნობინებინა პატრონისთვის და ამავე დროს იმდენად ღია, რომ სხვა ადამიანებიც მიეღო. თითქმის ყოველ დღე, საღამოობით, ფარაჯანოვის ბინაში აუარება ხალხი მიმოდიოდა. ისინი აქ მოდიოდნენ, თითქოს აქაურობის გარეშე ვერ იცოცხლებდნენ, ვერ ისუნთქებდნენ, ვერ იაზროვნებდნენ. გადააბიჯებდნენ თუ არა ზღურბლს, მაშინვე ხვდებოდნენ, რომ სულ სხვა სამყაროში შედიან, და რომ ყველა შემომსვლელს სწორედ ამ სხვა სამყაროში ყოფნის მოთხოვნილება აერთიანებს. ოაზისი ფაქიზი სულის მქონე, ნიჭიერი, მუდამ ძიებაში მყოფი მოუსვენარი

³⁰ Ю.Мечитов. Параджанов был королем бала. – Интервью. 12 февраля 2014. ელექტრონული რესურსი <http://www.interviewrussia.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.interviewrussia.ru/movie/yuriy-mechitov-paradzhanov-byi-korolem-bala-1/3>

³¹ ფოტო წიგნიდან «СергейПараджанов: хроникадиалога», იქვე, გვ. 14.

³² ჰერმეტიული – შეუღწევი, მჭიდროდ დახურული, დაგმანული.

ადამიანებისათვის. სავანე, სადაც ადგილი არა აქვს უტიფრობასა და ზიზილ-პიპილოებს,³³ ხოლო შემოსასვლელი ბილეთი, ნიჭის გარდა, გულკეთილობა, ურთიერთპატივისცემა და გულწრფელობა.³⁴

წყარო 29 ცნობილი საბჭოთა და რუსი რეჟისორი ელდარ რიაზანოვი სერგო ფარაჯანოვის შესახებ:

სერიოზა ყველასგან განსხვავებული კაცი იყო, თავისუფალი ყველა თავის გამოვლინებაში. ძალიან უყვარდა დასაჩუქრება და მუდამ ასაჩუქრებდა ირგვლივ მყოფთ. იგი კარგად გრძნობდა სილამაზეს, იყო ნამდვილი ხელოვანი, ჭეშმარიტი სილამაზის მონა, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი უაღრესად ექსტრავაგანტული პიროვნება. მასთან პირველი შეხვედრა კაცს ნააქცევდა. <...> იგი ყოველთვის ცდილობდა ყოველდღიურობა დღესასწაულად ექცია <...> თუ გარშემო მყოფებმა არ იცოდნენ, რომ ეს სახელგანთქმული რეჟისორია, ზოგიერთებს, თუ ყველას არა, იგი ქალაქის გიჟი ეგონათ. <...> მას არ შეეძლო, თავისუფალი არ ყოფილიყო, არასაოდეს უფიქრებოდა, რისი თქმა შეიძლება და რისი – არა. <...> შემდგომში ბელა ახმადულინა³⁵ დანერს ფარაჯანოვზე: „ის დამნაშავე იყო იმაში, რომ თავისუფალი იყო“. ³⁶

წყარო 30 კინოოპერტორი გარი კუნცევი ფარაჯანოვის პიროვნების შესახებ :

მაგრამ გასაკვირი სწორედ ის არის, რომ ყოველივე ეს ... ეხმარებოდა ფარაჯანოვს თავის ირგვლივ მოეწყო გასაოცარი, დამატყვევებელი, მომხიბლავი და გაუთავებელი კარნავალი, რომელშიც ყველას უშეცდომოდ ჰქონდა მიჩენილი თავისი ადგილი: მასახარას – მასხარისა, მეფეს – მეფისა. იგი მასხარების მეფე იყო, მაგრამ მეფის მასხარა არასდროს ყოფილა. მისთვის ნამდვილი სიმდიდრე თავისუფლება იყო... იგი თავისუფლების ღვიძლი შვილია. თავისუფლებამ შვა ფარაჯანოვი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსაც და ყოველგვარ სხვა პარტიულ ხელისუფლებს სინამდვილეში აცოფებდათ ფარაჯანოვის არაორდინარულობა, მისი განსხვავებულობა, მისი ურჩი აზროვნება და თავისუფალი სული, სურვილი და უნარი ეცხოვრა ისე, როგორც თავისუფალ ადამიანს ეკადრება. ისინი გრძნობდნენ, თუ რაოდენ ძლიერ სძულდა ნებისმიერი ძალადობა პიროვნების მიმართ, ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ გაეტეხათ მისი ქედუხრელობა და, როგორც სერგო ამბობდა, „გამოეპანლურებინათ“ ხელოვნებიდან, საზოგადოებიდან, ცხოვრებიდან.³⁷

წყარო 31 ქართველი კინორეჟისორისა და სცენარისტის ე. შენგელაიას მოგონებებიდან სერგო ფარაჯანოვის შესახებ:

იგი პოლიტიკური შეხედულებებისათვის არ დაუპატიმრებიათ. სერგო დააპატიმრეს იმიტომ, რომ თავისი ხელოვნებით არღვევდა მაშინდელი მთავრობის მიერ დადგენილ საზღვრებს. მისი ხელოვნება თვალში ეკალივით ესობოდათ. ეს იყო კინო, რომელიც ყველაფერს არღვევდა და სწორედ ამიტომ დააპატიმრეს. ... ციხიდან დაბრუნების შემდეგ კითხვაზე, ვინ

³³ აქ – მოსაჩვენებელი, ცრუ, ყალბი რამ.

³⁴ ციტატი ნიგნიდან «Экраний мир Сергея Параджанова». Сборник статей. Автор идеи и составитель Юрий Морозов. К.: 2013. С.70-71.

³⁵ ბელა ახმადულინა(1937-2010) – საბჭოთა და რუსი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი.

³⁶ ციტატა: Эльдар Рязанов. «Человек-праздник». Предисловие к книге «Сергей Параджанов: хроника диалога».

³⁷ Гарри Кунцев. Жил-был Параджанов. Документальная повесть // Дружба народов, № 9. С.201.

არის ფარაჯანოვი, კინორეჟისორი მისთვის ჩვეული იუმორით უბასუხებდა: „საქართველოში გაზრდილი სომეხი, რომელიც სასჯელს იხდიდა საბჭოთა ციხეში, როგორც უკრაინელი ნაციონალისტი“.³⁸




- 23.** რაშია გამოჩენილი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ბედის ტრაგიზმი (წყარო 32)? თქვენი აზრით, როგორ არის ეს დაკავშირებული წყაროებში 28-31 მოცემულ ინფორმაციასთან ფარაჯანოვის შესახებ?
- 24.** ფოტოები 33-34 სპეციალურად დადგმულია. ფოტო 34 იური მეჩითოვმა გადაიღო თბილისის ქუჩაში. თავად ფარაჯანოვმა მას „საუკუნის კადრი“ უწოდა. სხვაგვარად თუ ისევ ისე აღიქვამთ ფოტო 33-ს გაკვეთილის მასალების გაცნობის შემდეგ? როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებული იყო ამ ორი ფოტოს გვერდიგვერდ განლაგება? როგორ არის ეს ფოტოები დაკავშირებული წყაროებთან 28-32?

წყარო 32 სერგო ფარაჯანოვი თბილისში დაბრუნების შესახებ

... 30 წლის შემდეგ დავბრუნდი ქალაქში, რომელშიც 1924 წელს დავიბადე. დავბრუნდი ბებერი, რომელსაც თითქოს ორი ფრთა აქვს შებმული: ერთი მხრივ სახელმწიფოებრივობა, ტრიუმფი და აღიარება, მეორე მხრივ – მონის, პატიმრის, ზეკის³⁹ დამცირება. არც ოფიციალური ნოდებები მაქვს და არც ჯილდოები. მე არავინ ვარ. ვცხოვრობ საქართველოში, თბილისში, ჩემი მშობლების ძველ სახლში, როცა წვიმს, ქოლგით მიძინავს და ბედნიერი ვარ, რადგან ეს ტარკოვსკის ფილმებს ჰგავს...⁴⁰

წყარო 33 სერგო ფარაჯანოვი



³⁸ Тенгиз Верулава. «Улыбка Джоконды Серго Параджанова» Электронный ресурс/elektronnyy resurs <http://burusi.wordpress.com/cinema/sergei-parajanov/> - пер.с груз.автора

³⁹ ზეკი (რუსულიდან „заклученный“) – ქურდულ ჯარგონზე „პატიმარი“.

⁴⁰ В Грузии начались съемки фильма «Параджанов». Киевская правда. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://kpravda.com/v-gruzii-nachalis-semki-filma-paradzhanov>

წყარო **34** 1981 წლის 15 მაისს იური მეჩითოვის მიერ გადაღებული ფოტო.⁴¹
ფარაჯანოვმა მას „საუკუნის კადრი“ უწოდა.



შემაჯამებელი განხილვა

რის გამო გახდა სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი?

⁴¹ ფოტო წიგნიდან «Сергей Параджанов: хроника диалога», იქვე, გვ. 101.

იდენტობა მრავალკულტურული საზოგადოების პირობებში

► რა სახის იდენტობა შეიძლება ჰქონდეს ცალკეულ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს და როგორ ვლინდება ის ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში?

ბლოკი 1. ვინ არიან ეს ადამიანები?



1. დაათვალიერეთ წყაროები 1-8. რომ გვეკითხა ამ ადამიანებისათვის, ვინ ხართო, როგორ ფიქრობთ, რას გვიპასუხებდნენ? რა ნიშნით გამოვიჩინებთ ჩვენ (ან სხვა ადამიანები)?
2. ყურადღებით დააკვირდით წყაროებს 1-2. რომელი კულტურის მიკუთვნებულობაზე მიგვანიშნებენ მათზე აღბეჭდილი ადამიანები? რა გარეგნული ნიშნებით შეიძლება ამის მიხედნა?

წყარო 1¹



წყარო 2²



¹ ავტორის, ოლგა კოვალევსკაიას პირადი არქივიდან, 2007 წ.

² Man in traditional Azerbaijani costume. ელექტრონული რესურსი Wikimedia Commons. ხელმისაწვდომია მისამართზე – http://commons.wikimedia.org/wiki/File:Old_man_with_traditional_azerbaijani_costume.JPG



3. რა მიგვიტოთებს წყაროებზე 3-4 აღბეჭდილი ადამიანების პროფესიულ კუთვნილებაზე?

წყარო 3³



წყარო 4⁴



³ ელექტრონული არქივი <https://www.flickr.com/photos/58609798@N00/14377482084/>. Печатається з розрешення автора.

⁴ სუმელი მცხოვრებლები, 2010 წელი. ელექტრონული რესურსი <http://exttrs.sumy.ua>. სელმისანვდომია მისამართზე _ <http://exttrs.sumy.ua/konditer>.



4. რა შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, თუ რომელ სუბკულტურას მიეკუთვნება კონკრეტული ადამიანი?
5. რომელი სუბკულტურების წარმომადგენლები შეგიძლიათ იცნოთ წყაროებზე 5-6? რა იცით ამ სუბკულტურების შესახებ?
6. კიდევ რა სუბკულტურები იცით? რა ნიშნებით შეიძლება მათი წარმომადგენლების ცნობა?

წყარო 5⁵



წყარო 6⁶



⁵ ელექტრონული რესურსი Wikimedia Commons ხელმისაწვდომია მისამართზე – http://commons.wikimedia.org/wiki/File:BSA_riders_at_2007_Ace_Cafe_reunion.jpg.

⁶ ვ. დერევიანკოს ფოტო, 2010 წ.



7. რა განასხვავებს წყაროებზე 7-8 გამოსახულ ადამიანებს?
8. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ეს ადამიანები სხვადასხვა თაობას განეკუთვნებიან? თუ კი, რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან?

წყარო 7⁷



წყარო 8⁸



9. ახსენით, რა კრიტერიუმებით იყო გაერთიანებული ფოტოები 1-8 ბლოკში 1?
10. როგორ ფიქრობთ, რა ახდენს გავლენას ადამიანის თვითგამორკვევაზე და საზოგადოებაში კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობაზე?

⁷ ოლგა კოვალევსკაიას პირადი არქივიდან, 2007 წ.

⁸ Донецкий государственный университет управления, “Університет третього віку” електронული რესურსი <https://www.facebook.com> ხელმისაწვდომია მისამართზე – <https://www.facebook.com/dsum3a/photos/pb.943562825654251.-2207520000.1424012904./943669975643536/?type=1&theater>.

ბლოკი 2. მუშაობა ტერმინებზე



11. თემის სათაურში გამოყენებულია ტერმინი „იდენტობა“. პირველი ბლოკის დავალებების შესრულების შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენებით, შეეცადეთ ჩამოაყალიბოთ იდენტობის ცნების საკუთარი განსაზღვრება.
12. წაიკითხეთ მოცემული თემის გასაგებად აუცილებელი ძირითადი ცნებების ქვემოთ მოყვანილი განსაზღვრებანი. ემთხვევა თუ არა იდენტობის ცნების თქვენეული გაგება ამ ტერმინის ქვემოთ მოყვანილ განსაზღვრებას?
13. განანილდით წყვილებად და ერთმანეთთან იმსჯელეთ იმაზე, თუ რა დაემთხვა და რა – არა იდენტობის ცნების თქვენს მიერ ჩამოყალიბებულ და მეცნიერთა მიერ მოცემულ განმარტებებში.

◆ ძირითადი ცნებები:

იდენტობა – ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ რეალობასა და ინდივიდუალობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს ამა თუ იმ ტიპოლოგიურ კატეგორიებთან (როგორიცაა სოციალური სტატუსი, სქესი, ასაკი, ჯგუფი, კულტურა), ეხმარება ადამიანს განასახვავოს „თავისიანები“ და „სხვები“.

მრავალკულტურული საზოგადოება – საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა მოსახლეობის სხვადასხვა რასობრივი, ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური კუთვნილების ჯგუფების თანაცხოვრების პროცესში.

ბლოკი 3. იდენტობის ძირითადი ასპექტები მკვლევართა შეფასებებში



14. ჯგუფებში განიხილეთ შემოთავაზებული წყაროს ტექსტი, რომელიც წარმოადგენს მკვლევართა მიერ აღწერილ იდენტობის გარკვეულ ტიპს. იპოვეთ ტექსტში საკვანძო სიტყვები ან ფრაზები, რომლებიც თითოეულ მათგანს ახასიათებს.
15. განეული მუშაობის საფუძველზე მოკლედ დაახასიათეთ თქვენს მიერ განხილული იდენტობის სახეები.

წყარო 9 ტერიტორიული იდენტობა

ტერიტორიასთან თვითიდენტიფიკაცია იერარქიული ხასიათისაა – ადამიანი თავს გრძნობს ერთდროულად გარკვეული მაკრორეგიონის (ევროპელი), გარკვეული ქვეყნის (უკრაინის მოქალაქე), გარკვეული ეთნოსის (უკრაინელი), გარკვეული რეგიონის (გალიჩის რაიონის მცხოვრები), გარკვეული ქალაქის ან სოფლის (ლვოველი) წარმომადგენლად.⁹

⁹ Нагорна Л. Національна ідентичність в Україні. _ К.: ІПЕНД, 2002. С. 28.

წყარო 10 ეროვნული იდენტობა

ეროვნული იდენტობა ფასდაუდებელია ინდივიდებისთვის, რადგან უზრუნველყოფს მათში ღირსების შეგრძნებას სოციალური წარმოშობის, სქესის, მიღწევების, სტატუსისა და ასაკის მიუხედავად. ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა მისი უნარი დასძლიოს სოციალური განსხვავება დიდი ოჯახის ხელოვნური ტიპის – ერი-სადმი მიკუთვნებულობის საშუალებით. ეროვნული იდენტობა ხელს უწყობს ერის წარმომადგენელთა სიახლოვეს, სოლიდარობას და ერმანეთისადმი სიმპათიას.¹⁰

[...] ერის „მოქალაქეობრივი მოდელი“ გულისხმობს ადამიანების როგორც რეალურ, ისე მოჩვენებით კავშირს ერთმანეთთან, თანაც არა მარტო სოციალური და კულტურული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ამ ნიადაგზე ერისა და კოლექტიური ეროვნული იდენტობის ცნებები ძალიან ახლო და ურთიერთდაკავშირებული ხდება. ერი ხომ ფუნქციონირებს როგორც გარკვეული სოციალური, კულტურული და პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ეყრდნობა იდენტობას, რასაც მისი ყველა წევრი იზიარებს.¹¹

წყარო 11 რელიგიურ-კონფესიური¹² იდენტობა

რელიგიური იდენტობა რელიგიური ცნობიერების კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ კულტურაში მიჩნეული რელიგიური იდეების და ღირებულებების გაზიარებას, აგრეთვე კონკრეტული რელიგიის და რელიგიური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას. პირველ შემთხვევაში ეს გამოიხატება სიტყვებით: „მე მორწმუნე ვარ“, მეორე შემთხვევაში – „მე კათოლიკე ქრისტიანი ვარ“, „მე კათოლიკე ვარ“, „მე ბუდისტი ვარ“, „მე მუსლიმი ვარ“ და სხვა.¹³

წყარო 12 ქალაქური იდენტობა:

ინდივიდის გარშემო არსებულ რეალობასა და მის გამოცდილებაში იდენტობისთვის საჭირო კატეგორიების არსებობა აყალიბებს ქალაქურ ინდეტობას, როგორც სუბიექტურ მდგომარეობას – ქალაქთან კავშირის შეგრძნებას. [...] ქალაქში ყოფნის ხანგრძლივობა, მასთან დაკავშირებული გამოცდილების მრავალფეროვნება, ფართო და ინტენსიური სოციალური კავშირი მის მკვიდრებთან, კულტურული კომპეტენცია, მოთხოვნილებანი და ინტერესები, სხვადასხვა საინფორმაციო ნაკადში ჩართულობა და ა.შ. – ყოველივე ეს თავის როლს ასრულებს ქალაქური იდენტობის ჩამოყალიბებასა და არსებობაში.¹⁴

¹⁰ Гібернау М. Ідентичність націй. – К. Темпора, 2012. С. 222–223.

¹¹ Соціокультурні ідентичності та практики. За ред. А. Ручки. К.: ІС НАН України, 2002. С. 25.

¹² კონფესია (ლათინურიდან *confessio* – სარწმუნოება) – სარწმუნოების თავისებურება გარკვეული რელიგიური მოძღვრების ფარგლებში, აგრეთვე ამ სარწმუნოების მიმდევარ მორწმუნეთა გაერთიანება.

¹³ Папаяні І. В. Проблема концептуалізації релігійної ідентичності. електронული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე _ <http://dspace.nbuv.gov.ua/bitstream/handle/123456789/29612/14-Papayani.pdf?sequence=1>

¹⁴ Мусиєздов А. А. Соціологічна концепція городської ідентичності. Х. : ХНУ імені В. Каразіна, 2013. С. 317-319.

წყარო 13 გენდერული¹⁵ იდენტობა

გენდერული იდენტობა საკუთარი თავის მამრობითი ან მდედრობითი სქესისადმი მიკუთვნებულობის შეგნებაა. ეს ცნება გამოხატავს პიროვნების თვითშეგნების ასპექტს, რომელიც აღწერს ადამიანის მიერ საკუთარი თავის, როგორც სქესის წარმომადგენლის, როგორც მასკულინობის¹⁶/ფემინურობის¹⁷ წარმოდგენებთან დაკავშირებული კონკრეტული სქესისათვის სპეციფიკური მახასიათებლებისა და თვისებებების მატარებლის აღქმას. გენდერული იდენტიფიკაცია ბავშვის დაბადებიდან იწყებს ჩამოყალიბებას. ამით იწყება გენდერული სოციალიზაციის პროცესი, რომლის დროს ბავშვს მიზანმიმართულად ზრდიან ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს მოცემულ საზოგადოებაში მიღებულ წარმოდგენებს „კაცობისა“ და „ქალობის“ შესახებ. სწორედ საზოგადოებაში არსებული ეტალონების საფუძველზე ყალიბდება ბავშვის წარმოდგენა საკუთარი გენდერული იდენტობისა და როლის შესახებ, მისი საქციელი და თვითშეფასება.¹⁸

წყარო 14 ასაკობრივი იდენტობა

ასაკობრივი იდენტობა პიროვნების სოციალური იდენტობის კომპონენტია. იგი ასახავს ამა თუ იმ ასაკობრივი ჯგუფის კუთვნილებას, რომელსაც პიროვნება სუბიექტურად იზიარებს. ასაკობრივი იდენტობა ჩართულია პიროვნების სოციალური იდენტობის სტრუქტურაში გენდერულ, ეთნიკურ, ეროვნულ, რელიგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა კომპონენტებთან ერთად.¹⁹

წყარო 15 პროფესიული იდენტობა

პროფესიული იდენტობა ეს არის ობიექტური და სუბიექტური ერთიანობა პროფესიულ ჯგუფთან, საქმესთან, რომელიც განაპირობებს პიროვნების პროფესიული მახასიათებლების (ნორმების, როლისა და სტატუსის) მემკვიდრეობითობას.²⁰

¹⁵ გენდერი (ინგლისურიდან gender – სქესი) – სოციალური სქესი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის საქციელს საზოგადოებაში და იმას, თუ როგორ აღიქმება ეს საქციელი. ეს არის სქესობრივ-როლური საქციელი, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობას სხვა ადამიანებთან – მშობლებთან, მეგობრებთან, თანაკლასელებთან, კოლეგებთან, შემთხვევით გამვლელებთან და ა.შ. სიტყვა „გენდერი“ განსხვავდება სიტყვა „სქესისაგან“ (ინგლისური sex) იმით, რომ სქესი ნიშნავს ადამიანის ორგანიზმის მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თვისებებზეა ერთობლიობას, ინდივიდის გენეტიკურად დეტერმინირებული ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს მის როლს განაყოფიერების პროცესში.

¹⁶ მასკულინობა (ლათინურიდან masculinus, მამაკაცური) – ისეთი ხორციელი, ფსიქიკური და ქცევითი თვისებებების კომპლექსი, რომლებიც მამაკაცურად მიიჩნევა (ანუ რომლებიც გარეგნულად განასხვავებს კაცს ქალისგან ან მამალ ცხოველს დედალი ცხოველისგან).

¹⁷ ფემინურობა (ლათინურიდან femina – ქალი, დედალი ცხოველი) – იმ ფსიქოლოგიურ თვისებებზეა ერთობლიობა, რომლებსაც ტრადიციულად ქალს მიანერნენ: სირბილე, ემოციურობა, სინაზე, სიფაქიზე, გულწრფელობა, ერთგულება, რაც მამაკაცში ქალის დაცვის სურვილს იწვევს.

¹⁸ Микляева А. В., Румянцева П. В. Социальная идентичность личности: содержание, структура, механизмы формирования. Электронный реферат (Кафедра психологии человека РГПУ им. А. И. Герцена). ხელმისაწვდომია მისამართზე – http://humanpsy.ru/miklyaeva/soc_ident_02

¹⁹ Микляева А. В. Актуализация возрастной идентичности: ситуативный контекст. Электронный реферат (Кафедра психологии человека РГПУ им. А. И. Герцена). ხელმისაწვდომია მისამართზე – http://psihologia.biz/psihologiya-psihologiya-obschaya_693/miklyaeva-aktualizatsiya-vozrastnoy-16069.html

²⁰ Жукалина О. Становление профессиональной идентичности студентов-психологов. М.: 2008. Электронный реферат (Негосударственное образовательное учреждение «Институт практической психологии и психоанализа»). ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://tatyanaabaras.narod.ru/diplom/Zhukalina.htm>

წყარო 16 კულტურული იდენტობა

კულტურული იდენტობის ცნება უფრო ფართო ცნების – კოლექტიური იდენტობის ნაწილია, რომელიც ემყარება პრინციპს, რომ ინდივიდი ითვისებს კოლექტიური კულტურის არსებით ელემენტებს, ითავისებს მათ და აიგივებს მათთან საკუთარ თავს. ამგვარად ინდივიდს უჩნდება გაერთიანების წევრობის შეგრძნება (მსგავსების საფუძველზე). ამავე დროს ინდივიდი გამოიმუშავებს საკუთარ თავში სხვა გაერთიანებებისგან განსხვავებულობის (სხვაგვარობის) შეგრძნებას.²¹

ბლოკი 4. მინი-გამოკვლევა

16. წარმოიდგინეთ, რომ მკვლევრები ხართ. წაიკითხეთ წყარო 17-ის ინტერვიუების ფრაგმენტები A _ H, რომლებშიც მოცემულია გამოკითხვაში მონაწილე ადამიანების აზრი. მეორე ბლოკის წყაროებიდან შესწავლილი მკვლევართა აზრისა და იდენტობის თქვენს მიერ გამოვლენილი ამა თუ იმ სახეობის მახასიათებლების საფუძველზე შეეცადეთ განსაზღვროთ, რომელი იდენტობის დანახვა შეიძლება ყოველ ინტერვიუში ან რა სახეობებია ნახსენები მათში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი ინტერვიუდან აღებული ციტატებით.

წყარო 17 ინტერვიუს მასალები²²

«ა»

ინტერვიუერი: რა ეროვნებისა ხართ?

რესპონდენტი (33 წლის მამაკაცი): ბოშა.

ინტერვიუერი: რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ ბოშა ხართ? როგორ განსაზღვრავთ იმას, რომ ბოშა ხართ?

რესპონდენტი: არ ვიცი. ვფიქრობ, ღმერთმა განსაზღვრა, რომ უბრალოდ ბოშა ვარ და ამას ვერსად გავექცევი.

«ბ»

ინტერვიუერი: რა ეროვნებისა ხართ?

რესპონდენტი (33 წლის ქალი): ებრაელი, იუდეველი.

ინტერვიუერი: რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ ებრაელი, იუდეველი ხართ?

რესპონდენტი: ეს ცხოვრების წესია.

ინტერვიუერი: რაში გამოიხატება ეს ცხოვრების წესი?

რესპონდენტი: ყველაფერში – დღესასწაულების გადახდაში, კულტურაში, კვების კულტურაში და ასე შემდეგ. იუდაიზმი რომელიღაც კონფესია კი არ არის, ცხოვრების წესია. შენ არ შეგიძლია ან ებრაელი იყო, ან იუდეველი, ერთი მეორისაგან განუყოფელია.

ინტერვიუერი: და რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენელი ხართ?

რესპონდენტი: რთული კითხვაა, იმიტომ რომ არ ვიცი, რა გიპასუხოთ. ამ ჯგუფში ხომ განსხვავებული ადამიანები არიან – ზოგი განათლებულია, ზოგი კი ნაკლებად... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ჩემი კულტურაა, ჩემი ცხოვრებაა, მასში გავიზარდე და მასში ვცხოვრობ.

²¹ Гнатюк О.Прощання з імперією. Українські дискусії про ідентичність / О. Гнатюк. К.: Критика, 2004. С. 50–51.

²² ინტერვიუ აიღო ო.მიხევეამ დონეცკის ოლქში 2013 წელს და ლუგანსკში 2004 წელს.

«ბ»

ინტერვიუერი: რა ეროვნებისა ხართ?

რესპონდენტი (55 წლის ქალი): უკრაინელი.

ინტერვიუერი: რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ უკრაინელი ხართ?

რესპონდენტი: ვამაყობ იმით, რომ უკრაინელი ვარ. შვილებს ყოველთვის ვუყვები, რომ ჩემს ოჯახში ყველა უკრაინელია. მამაჩემიც უკრაინელია, დედაჩემიც, პაპებიც და პაპის პაპებიც – ყველა უკრაინელი იყო, მით უმეტეს, რომ კიევიდან იყვნენ გადმოსახლებული[...].

«დ»

ინტერვიუერი: რა ეროვნებისა ხართ?

რესპონდენტი: უკრაინელი.

ინტერვიუერი (29 წლის მამაკაცი): რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ უკრაინელი ხართ? როგორ განსაზღვრავთ იმას, რომ უკრაინელი ხართ?

რესპონდენტი: მართალია რომ გითხრათ, პირადად ჩემთვის ეს საცხოვრებელი ადგილია. ანუ თავს ნაციონალისტად არ ვთვლი. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ყველა პარამეტრის მიხედვით უკრაინელი ვარ, ეს მხოლოდ წმინდად გეოგრაფიული გაგებით შეიძლება ითქვას.

«ე»

ინტერვიუერი: რა ეროვნებისა ხართ?

რესპონდენტი: სკოლამდელ ასაკში განსაკუთრებით არ დავფიქრებულვარ, რა ეროვნების ვიყავი. პირველ რიგში, ეს მამის მხრიდანაა და, კიდევ, პაპაჩემი ცოცხალი რომ იყო, ყოველთვის მეუბნებოდა, ნუ გავინწყდება, რა ეროვნებისა ხარო. ოჯახში მე ყველაზე მეტად ვგავარ სომეხს, ამიტომ მეუბნებოდა, როცა რაიმე ნაბიჯის გადადგმას დააპირებ, გახსოვდეს შენი სომხური წარმომავლობაო.

«ვ»

ინტერვიუერი: როგორ უნდა მოახდინოს ქალმა რეალიზაცია – თავის ტრადიციულ როლში თუ მის ფარგლებს გარეთ – როგორც უბრალოდ პიროვნებამ?

რესპონდენტი: პირადად მე მიმაჩნია, რომ ქალსა და კაცს შორის იმ განსხვავების ჩამოყალიბებაში, რაც ესოდენ ადვილად შესამჩნევია გარეგნობაში, საქციელში, ფსიქოლოგიურ რეაქციებსა და თვითრეალიზაციის სფეროებში, ძირითად როლს აღზრდა ასრულებს. შეიძლება რადიკალურობაში ჩამომართვათ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველი ბავშვი უნდა გავზარდოთ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანად და არა ქალად თუ კაცად.

«ზ»

ინტერვიუერი: როგორ აირჩიეთ ქალისთვის ესოდენ უჩვეულო პროფესია – ტაქსის მძღოლი?

რესპონდენტი: ყველაფერი ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო. ბანალურად ჟღერს, მაგრამ ჩემი მეგობარი გოგონებისგან განსხვავებული ვიყავი, ბიჭებთან უფრო ვმეგობრობდი. მერე იყო მამაჩემის გარაჟი. მისი ინსტრუქციები. ვმუშაობდი ავტობუსის მძღოლად, შემდეგ სამარშრუტო ტაქსების დრო მოვიდა. ახლა კი ტაქსის მძღოლი ვარ ხალხის გადამყვან უმსხვილეს ფირმაში და ჩემი სამუშაო უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

«თ»

ინტერვიუერი: რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ მასწავლებელი ხართ. რა არის ამ პროფესიის არსი?

რესპონდენტი: ბავშვობაში ვოცნებობდი ექიმი გავმხდარიყავი. მერე გავიგე, რომ ომში დაღუპული პაპაჩემი, რომელიც არასდროს მინახავს, თურმე ოცნებობდა, რომ ჩვენს ოჯახში ვინმეს გაერგძელებინა დინასტია და მასწავლებელი გამხდარიყო. ჰოდა ისე მოხდა, რომ უმცროსი კლასების მასწავლებელი გავხდი. ვცდილობ თითოეულ ჩემს პატარას სული და გული ჩავაქსოვო. მინდა, რომ კეთილ, გულწრფელ ადამიანებად გაიზარდონ, უყვარდეთ თავიანთი ქვეყანა, ზრუნავდნენ მასზე, იცოდნენ მისი ისტორია და კულტურა. და კიდევ მინდა, რომ ჩემი აღსაზრდელებიდან რომელიმე მომავალში მასწავლებელი გახდეს.



- 17.** მესამე და მეოთხელოვანების წყაროებზე მუშაობისას მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენებით მოიყვანეთ მაგალითები, როცა ერთ-ერთი სახეობის (მაგალითად, რეგიონალური, პროფესიული, ასაკობრივი ან ეროვნული) იდენტობით გაერთიანებული ადამიანები სხვა მახასიათებლების მიხედვით ძალზე განსხვავებული არიან. და პირიქით, გაიხსენეთ ადამიანები, რომლებსაც შემთხვევით შეხვდით (მატარებელში, პარკში, სახელმწიფო დაწესებულებაში) და მოძებნეთ რაც შეიძლება მეტი სახეობის იდენტობა, რომელიც მათ აერთიანებს. იდენტობის რა სახეობანი გამოიყენეთ ამ დავალების შესრულებისას?



შემაჯამებელი განხილვა

როგორ ფიქრობთ, რატომ არის, რომ სრულიად განსხვავებული ადამიანები შეიძლება ცხოვრობდნენ ერთ საზოგადოებაში და საერთო ენას პოულობდნენ? თქვენი აზრით, რა შეიძლება მათ აერთიანებდეს და რა – პირიქით, განასხვავებდეს?



კულტურა
და პოლიტიკა



ამ ნაკვეთში ცნებები „პოლიტიკა“ და „კულტურა“ შემთხვევით არ გავაერთიანეთ. პოლიტიკა ადამიანის ცხოვრების ის სფეროა, რომელშიც უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი პრობლემები იყრის თავს და მათი გააზრება ხდება; ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ჯგუფები. ამიტომ ის გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის მთლიანად კულტურაზეც და კერძოდ – კულტურათმორის ურთიერთობებზე. სახელმწიფო გვევლინება მთავარი „დამკვეთისა“ და „სპონსორის“ როლში, როდესაც მატერიალურად უჭერს მხარს კულტურულ საქმიანობას; ნაახალისებს ან თრგუნავს შემოქმედების თავისუფლებას, კულტურის მსახურებს უწესებს აკრძალვას ან ამა თუ იმ შეღავათს. ამ ნაკვეთის მასალის შესწავლისას გაიგებთ, როგორი კავშირი არსებობდა პოლიტიკასა და კულტურას შორის წარსულში და რა ურთიერთკავშირია დღეს.

- ▶ რა ცვლილებები განიცადა შობისა და ახალი წლის დღესასწაულებმა XIX-XX საუკუნეების განმავლობაში და რატომ?
- ▶ როგორ ასახავს ქუჩებისა და მოედნების სახელწოდება ხელისუფლების დამოკიდებულებას წარსულისა და აწმყოსადმი?
- ▶ რა გავლენას ახდენს ქალის სახეზე საზოგადოებრივი ცვლილებები?
- ▶ როგორ აისახება საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები წარსულისა და ძეგლების მიმართ დამოკიდებულებაზე?
- ▶ რას და როგორ გვიამბობენ ძეგლები საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ?
- ▶ როგორ იყენებდნენ საბჭოთა კავშირში ხელოვნებას, პოეზიასა და მუსიკას „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდისთვის?
- ▶ როგორი ურთიერთობები ჰქონდათ სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ახალგაზრდებს?
- ▶ რას გვიამბობს წარსულის შესახებ 1 მაისის აღნიშვნის საბჭოური ტრადიციები?
- ▶ რა ქმნის ერთიან და მრავალფეროვან საზოგადოებას?
- ▶ რა არის ფასეულობა და რა გავლენას ახდენს იგი საზოგადოებაზე?

შობისა და ახალი წლის დღესასწაულების მძიმე ხვედრი XIX-XX საუკუნეებში

► რა ცვლილებები განიცადა შობისა და ახალი წლის დღესასწაულებმა XIX-XX საუკუნეების განმავლობაში და რატომ?

1. რა არის დღესასწაული?
2. რატომ გვიყვარს დღესასწაულები?
3. დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი დღესასწაულები. როგორია ისინი – ოჯახური, კოლექტიური, ოფიციალური?
4. რატომ გვიყვარს ახალი წელი და შობა?

◆ ისტორიული ცნობა

ისტორიკოსების აზრით, ჩვენი საახალწლო ტრადიციები, სულ ცოტა, 5 000 წელს ითვლის. ისინი სამინათმოქმედო კულტურის წარმოქმნას უკავშირდება. მრავალი ხალხ-ისტვის ახალი წელი 1 სექტემბერს ანდა შემოდგომის ან გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ პერიოდში იწყებოდა.

ახალი წლის ზამთარში აღნიშვნის ტრადიცია ძველ რომში, იულიუს კეისრის ინიციატივით, ძვ.წ. 45 წელს შემოიღეს. ახალშემოდგომულ კალენდარში, რომელსაც მისი დამაარსებლის პატივსაცემად იულიანური ეწოდა, ყოველი თვე რომელიმე ღმერთს ეძღვნებოდა და ახალი წელი პირველ იანვარს იწყებოდა. მიიჩნევენ, რომ სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა ახალი წლის სახალხო ზეიმით აღნიშვნისა და სახლის მორთვის ტრადიცია.

შუა საუკუნეების ევროპაში ახალი წლის ზეიმს წარმართებს უკავშირებდნენ, ამიტომ 567 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ მისი აღნიშვნა აკრძალა, მაგრამ გვიან შუა საუკუნეებში ეს ტრადიცია კვლავ დაბრუნდა.

ქრისტიანული სამყარო თორმეტ უდიდეს დღესასწაულს აღნიშნავს, თავისი მნიშვნელობით შობა მეორეა აღდგომის შემდეგ. შობის დღესასწაულზე ქრისტიანები იესო ქრისტეს ბეთლემში დაბადებას აღნიშნავენ. IV საუკუნიდან მოყოლებული შობას ყველა ქრისტიანი აღნიშნავს. შობაზე დასაჩუქრების ტრადიცია დაკავშირებულია ბიბლიურ თქმულებას შორეული ქვეყნებიდან წამოსული მოგვების შესახებ, რომლებმაც ახალშობილ ქრისტეს საჩუქრები მიართვეს.

ყველაზე ძველი დოკუმენტი ევროპაში, რომელშიც საშობაო ნაძვის ხეა ნახსენები, XVI საუკუნით თარიღდება. მარადმწვანე ნაძვი წმინდა ხედ და სიცოცხლის და სიბნელიდან აღდგომის სიმბოლოდ ითვლებოდა. XVII საუკუნეში ნაძვის ხე, როგორც შობის ატრიბუტი, უკვე გავრცელებული იყო გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებსა და ბალტიისპირეთის ზოგიერთ ქვეყანაში. მოგვიანებით, ნაძვის ხე კიდევ უფრო პოპულარული გახდა პროტესტანტულ ქვეყნებში, რაც დაკავშირებულია ლეგენდასთან იმის შესახებ, რომ საშობაო ნაძვის ხეზე სანთლების დანთება პირველმა თვით მარტინ ლუთერმა¹ მოიფიქრა.

რუსეთის იმპერიაში პირველ იანვარს ახალი წლის საზეიმოდ აღნიშვნა პეტრე I-მა 1699 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულებით დააწესა.

¹ მარტინ ლუთერი – ღვთისმეტყველი, ევროპაში რეფორმაციის ინიციატორი და ქრისტიანობის პროტესტანტული მიმდინარეობის ფუძემდებელი.

ბლოკი 1. შობა და ახალი წელი რუსეთში

5. ჩვენ იყო რუსეთში საშობაოდ საახალწლო ნაძვის ხის დადგმის ინიციატორი (წყარო 1)?
6. რა შინაარსისაა შობის დღესასწაული წყაროების 1-3 მიხედვით: საერო თუ საეკლესიო? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
7. მოსახლეობის რომელი სოციალური ფენები რთავდნენ ნაძვის ხეს შობაზე და ახალ წელს? რა ცვლილებები მოხდა შობისა და ახალი წლის დღესასწაულების აღნიშვნის ტრადიციებში XIX საუკუნის განმავლობაში?

წყარო 1 შობის დღესასწაულის ტრადიციების შესახებ

რუსეთში საშობაო ნაძვის ხის დადგმა XIX საუკუნის 20-იან წლებში პეტერბურგელმა გერმანელებმა დაამკვიდრეს. პირველად შობის დღესასწაულზე ნაძვის ხე იმპერატორის ოჯახში დაიდგა. ნიკოლოზ I-ის დროს ზამთრის სასახლეში იმპერატორის შვილებისა და ოჯახის სხვა ბავშვებისთვის ყოველ წელს იმართებოდა საახალწლო ზეიმი ნაძვის ხითა და საჩუქრებით. თანდათან ეს ჩვეულება პეტერბურგში მცხოვრებმა დიდებულებმა გადაიღეს. შემონახულია პუშკინისადმი ჟუკოვსკის მიერ მიწერილი ბარათი: „შაბათს გვექნება ნაძვის ხე“. რუსულ ოჯახებში საშობაო ნაძვის ხე იშვიათობა იყო, მაგრამ, როგორც მოდური სიახლე, პოპულარობას სწრაფად იხვეჭდა. 1840-იანი წლების ბოლოს ნაძვის ხეს უკვე პეტერბურგის ბაზრებში ყიდდნენ. „პეტერბურგში ყველა ნაძვის ხეზე შეიშალა. შობის საღამოობით პეტერბურგში ყველგან – უბრალო მოხელის ღარიბულ ოთახშიც და ბრწყინვალე სალონებშიც, ყველგან ანთია, ბრჭყვიალებს ელავს და ციმციმებს ნაძვის ხე“, – წერდა თანამედროვე.²



წყარო 2 სცენები იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ოჯახური ცხოვრებიდან. საშობაო ნაძვის ხე ანიჩკოვის სასახლეში³

² С. Борисова. Рождественская ёлка. Возвращение. ელექტრონული გაზეთი Родительский Комитет Украины/январь №1(1) – 2013. с.5. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://zlatoust.dp.ua/gazeta/1360332839/2013-01.Gazeta-RKU.pdf>.

³ მხატვარ ა. ჩერნიშოვის სურათი. 1840-1850 წწ. ელექტრონული რესურსი Русская живопись. Знаменитые русские художники и репродукции их картин. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://art19.info/chernyshev/picture/sceny-iz-semejnoj-zhizni-imperatora-nikolaya-i-rozhdestvenskaya-elka-v-anichkovom-dvorce.html>.

წყარო 3 სამეფო ნაძვის ხის აღწერა. მთავრის ასულ ოლგა ალექსანდრეს ასულ რომანოვას⁴ მოგონებებიდან

შობის წინაღღისთვის⁵ ყველაფერი მზად იყო. მაგრამ ბავშვებიც და სხვებიც უნდა დალოდებოდნენ, როდის დარეკავდა ზარს იმპერატორი. ზარის წკარუნზე ეტიკეტი, მანერები განზე გვრჩებოდა და საბანკეტო დარბაზის კარს ვაწყებდოდით. კარი ფართოდ იღებოდა და „ზღაპრულ სამეფოში აღმოვჩნდებოდით“. მთელ დარბაზში საშობაო ნაძვის ხეები იდგა, ფერადფერადი სანთლებით, მოოქრული ხილითა და სათამაშოებით მორთული. გასაკვირი არაფერია! ექვსი ხე ოჯახის წევრებისთვის იყო განკუთვნილი და გაცილებით მეტი – ნათესავებისა და სამეფო კარის მსახურებისთვის. ყოველ ნაძვის ხესთან იდგა პატარა მაგიდა, რომელზეც თეთრი სუფრა იყო გადაფარებული და საჩუქრები ეწყო. სამი დღის შემდეგ ნაძვის ხეები სასახლიდან უნდა გაეტანათ. ამას ბავშვები თვითონ აკეთებდნენ. საბანკეტო დარბაზში მსახურები თავიანთი ოჯახებით მოდიოდნენ, მეფის შვილები კი ადიოდნენ კიბეზე და ნაძვის ხეს სათამაშოებს მაკრატლით აჭრიდნენ. ყველაფერს, ულამაზეს, ტიტების ფორმის სასანთლებებს და უმშვენიერეს სათამაშოებს მსახურებს ურიგებდნენ. რა ბედნიერები იყვნენ! და ჩვენც რა ბედნიერები ვიყავით ამის შემყურენი!⁶

წყარო 4 თანამედროვე მკვლევარი რუსულ საზოგადოებაში ნაძვის ხის შესახებ

ნაძვის ხის მოწყობის ტრადიცია საოცარი სისწრაფით ვრცელდება, დედაქალაქიდან პროვინციულ ქალაქებში გადადის, შემდეგ – მემამულეების სახლებში, შეძლებული ოჯახებიდან – საშუალო ფენაში და ნაძვის ხეები ნელ-ნელა სულ უფრო მეტ ადამიანს იტაცებს. თანდათან მისი საზოგადოებრივი სტატუსიც ფართოვდება, წესად მკვიდრდება საბავშვო ზეიმების მოწყობა, რომელზეც ნათესავების, ნაცნობებისა და თანამშრომლების შვილებსაც პატიჟებენ. 1860-იან წლებში საშობაო ნაძვის ხეების ზეიმი სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებშიც ეწყობა. 10-15 წლის შემდეგ ნაძვის ხე სრულიად მკვიდრდება. მაგრამ მას არავითარი იდეოლოგიური დატვირთვა არ აქვს, ამიტომ რჩება უბრალოდ მოდურ სიახლედ, „გერმანულ გამოგონებად“, სიამოვნებად, რომელსაც უფროსები ბავშვებს ანიჭებენ.⁷

წყარო 5 ნაძვის ხისადმი რუსული საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში

თავდაპირველად, ნაძვის ხეს პრივილეგიებული ფენების სადღესასწაულო კულტურის ატრიბუტად მიიჩნევდნენ. მოგვიანებით, დღესასწაულის დემოკრატიზაციისა და მისი წოდებრივი საზღვრების გაფართოების კვალობაზე, მორთული ნაძვის ხე სულ უფრო ხშირად ამშვენებდა ბურჟუაზიული ოჯახების ბინებს. სულ უფრო მეტი წარმატებული მენარმე (ვაჭარი, ბანკირი) და შემოსავლიანი პროფესიების მქონე მოქალაქე (ექიმი, ადვოკატი,

⁴ ოლგა ალექსანდრეს ასული რომანოვა (1882-1960) – იმპერატორ ალექსანდრე III-ის ქალიშვილი.

⁵ წინაღღე (Сочельник) – შობის წინა დღის საღამო, უკრაინაში უწოდებენ «Святвечер». ტრადიციის მიხედვით წინაღღის ვახშმისთვის სპეციალურ, რიტუალურ კერძებს ამზადებენ.

⁶ Йен Воррес: Мемуары Великой Княгини Ольги Александровны, 1960. Глава 2. Классная комната и внешний мир. ელექტრონული რესურსი «Библиотека Якова Кротова»: <http://krotov.info/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.rodon.org/vi/pvk.htm>.

⁷ Душечкина Е. В. Дед Мороз: этапы большого пути. (к 160-летию литературного образа) _ Журнальный зал М.: НЛО. 2001. №47. ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://magazines.russ.ru/nlo/2001/47/dush.html>. ადაპტირებული ტექსტი.

სახელმწიფო მოხელე) ცდილობდა თავადების ცხოვრების წესისთვის მიეზიდა და ნაძვის ხის მორთულობის სიმდიდრითა და სილამაზით დიდგვაროვანი თანამედროვეებისთვის ეჯობნა. მდიდრულად მორთული ნაძვის ხე ინდივიდუალურ და ოჯახურ მატერიალურ კეთილდღეობაზე მიუთითებდა. ეს იყო სიმბოლო, რომელიც, ერთი მხრივ, ოჯახს აერთიანებდა და „სხვებისგან“ გამოყოფდა, მეორე მხრივ კი, მიუთითებდა მის საზოგადოებრივ პრესტიჟზე, მნიშვნელობასა და სიმდიდრეზე, წარმომავლობის მიუხედავად. ამავე დროს, სახლში მორთული ნაძვის ხე „ახალი“, ინტელექტუალური ელიტისადმი კუთვნილებას მოწმობდა.⁸



8. რა გრძნობებს აღძრავს თქვენში წყაროები 6,7,8?
9. როგორ რთავდნენ ხოლმე საახალწლო ნაძვის ხეს? რა სდევდა თან მორთულ ნაძვის ხეს?
10. რა სიმბოლური დატვირთვა აქვს მორთულ ნაძვის ხეს?
11. რა შეიტყვეთ ახალი წყაროებიდან 6,7,8?
12. რომელი პერსონაჟები უკავშირდება ახალ წელს რუსეთში? რა ხასიათს ანიჭებენ ახალი წლის დღესასწაულს წყარო 9-ში მოხსენიებული პერსონაჟები?

წყარო 6 ნაძვის ხის მორთულობის სიმბოლიკის შესახებ

თავდაპირველად რუსულ საშობაო ნაძვის ხეზე ჩამოკიდებული სათამაშოები რელიგიურ, სახარების სიუჟეტებს წარმოადგენდა, თავად ნაძვის ხე კი მთლიანად რელიგიური სიმბოლიკით იყო დატვირთული.

ნაძვის ხის კენწეროზე წამოსაცმელი სათამაშო ბეთლემის ვარსკვლავს გამოსახავდა. ნაძვის ხის სადგამის ჯვრის ფორმა კი ჯვარცმის, ქრისტეს ვნებების სიმბოლო იყო. ადამიანის გარეგნობის მქონე ფრთოსანი ანგელოზები, რომლებმაც ქრისტეს დაბადება ახარეს მსოფლიოს, ღვთიურ ნებასთან იყვნენ გაიგივებულნი.

გირლანდებთან (მძივები, ჯაჭვები, გვირგვინები) ერთად, რომლებიც სინმინდეს დატანჯვას განასახიერებდა, ნაძვის ხეზე იყო აღმები, როგორც რწმენისთვის ბრძოლის წმინდა სიმბოლო. სათამაშო ზარები აღნიშნავდა ჭეშმარიტების მლაღადებელ ღვთიურ ხმას და იმ ზარებს მოგვაგონებდა, თავიანთ ცხვრებს რომ აბამდნენ პალესტინელი მეცხვარეები, რომლებმაც ჩვილი იესოს დაბადება პირველებმა შეიტყვეს და მას თაყვანი სცეს. სამოთხის ხილს შორის ნაძვის ხეზე აუცილებლად იყო ვაშლები (ხსნისა და ცოდნის სიმბოლო) და ყურძენი, რომელიც ძველ აღთქმაში სიცოცხლის ხეს შეესაბამება. ჩიტი (ხარების მტრედი) ღვთიური გზავნილის, ბატკანი კი (ღვთის კრავი) – ქრისტეს სიმბოლო იყო. ქრისტიანული ტრადიციების უმნიშვნელოვანეს სიმბოლოებს წარმოადგენდა ნაძვის ხეზე განლაგებული სანთლები – ეკლესიის, ღვთის მადლისა და რწმენის ემბლემები, რომელთა ხანმოკლე არსებობა ადამიანის მორთოლვარე სულს განასახიერებდა. მათი პირველსახე კი იყო ვარსკვლავები და იმ კოცონების სინათლე, ბათლემელ მეცხვარეებს ნათელ ღამეში გზას რომ უნათებდა.⁹

⁸ Алла Сальникова. История ёлочной игрушки. М.: НЛО. 2011. С. 32-33.

⁹ Алла Сальникова. Там же, с. 49.

წყარო 7 თანამედროვე მკვლევარი საახალწლო ნაძვის ხის შესახებ

ნაძვის ხით აღფრთოვანებას ყველა არ იზიარებდა: იგი არ მიიღეს რუსული სიძველეების თაყვანისმცემლებმა, ტყის დამცველებმა და, რაც მთავარია, მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელმაც ნაძვის ხეში დასავლეთიდან შემოტანილი წეს-ჩვეულება დაინახა. ეკლესია ნაძვის ხის „გაქრისტიანებას“ ეწინააღმდეგებოდა. ის შიშობდა, რომ მისი გავრცელებით შობის დღესასწაული რელიგიურ მნიშვნელობას დაკარგავდა. ამიტომ რუსეთში ნაძვის ხე დაუკავშირდა არა იმდენად შობას, რამდენადაც ახალ წელს და ზამთარს (სეზონური სიმბოლო გახდა), სივრცობრივად კი – ზამთრის ტყეს, რაც მაშინვე აისახა ნაძვის ხის სათამაშოებში: გაჩნდა თოვლი, გირჩები, სოკოები, სხვადასხვა ცხოველი და ტყის სხვა ატრიბუტები.¹⁰

წყარო 8 1910 წლის საგაზეთო შეტყობინება

„შობის პირველ და მეორე დღეს ცარსკოე სელოში მათი უდიდებულესობების თანდასწრებით ნაძვის ხეები აანთეს მათი უდიდებულესობის (იგულისხმება რუსეთის იმპერატორი) პირადი დაცვის, სარკინიგზო ბატალიონის, სასახლის პოლიციისა და სასახლის სხვა მსახურებისთვის“, – იტყობინებოდა „საყოველთაო პატარა გაზეთი“ 1910 წლის 30 დეკემბერს. „ხეები უხვად იყო მორთული მძივებით, სათამაშოებითა და ტკბილეულით. იქვე, დიდ მაგიდაზე, ეწყო საჩუქრები – ვერცხლის სხვადასხვა ნივთი, კოვზები, საჩაიეები, საშაქრეები“. მეფემ დაბალი ჩინის ოფიცრებს ახალი წელი მიულოცა. შემდეგ ისინი ლატარიის დოლურასთან მიდიოდნენ, იღებდნენ ბილეთებს. მათზე ნომრები ეწერა, რომელთა მიხედვით მაგიდაზე საჩუქარს ეძებდნენ. საჩუქრებს მეფის ასულები არიგებდნენ.¹¹

წყარო 9 თოვლის ბაბუას ისტორია

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, თანამედროვე რუსული თოვლის პაპის წინაპარი იყო ხალხური ზღაპრების გმირი „მოროზკო“ ან „წითელხეცვირა ყინვა“ – ამინდის, ზამთრისა და ყინვის მბრძანებელი. თავიდან მას უწოდებდნენ „ტკაცუნა ბაბუა“ (Дед Трескун). ეს იყო გრძელწვერა პატარა მოხუცი, რომელსაც რუსული ზამთარივით მკაცრი და დაუნდობელი ხასიათი ჰქონდა. იმის თქმა, თუ სად ცხოვრობს რუსი თოვლის ბაბუა, ძნელია, რადგან ამის შესახებ უამრავი ლეგენდა არსებობს. ზოგიერთი მათგანის მიხედვით, თოვლის ბაბუა ჩრდილოეთ პოლუსიდანაა, სხვის მიხედვით – ლაპლანდიიდან.¹² ერთი რამ კი დანამდვილებით ცნობილია: თოვლის ბაბუა სადღაც უკიდურეს ჩრდილოეთში ცხოვრობს, სადაც მუდმივი ზამთარია.

¹⁰ Душечкина Е. В. Дед Мороз: этапы большого пути. (к 160-летию литературного образа) – Журнальный зал М.: НЛЮ. 2001. №47. ელექტრონული ვერსიის ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://magazines.russ.ru/nlo/2001/47/dush.html>. ადაპტირებული ტექსტი.

¹¹ С. Евгеньев. Царская ёлка. [Электронный ресурс] Без Формата http://lenoblast.bezformata.ru/ელექტრონული_ვერსია_ხელმისაწვდომია_მისამართზე:http://lenoblast.bezformata.ru/listnews/tcarskaya-elka/388973/.

¹² ლაპლანდია – ტერიტორია ფინეთისა და სკანდინავიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით.

რუსი თოვლის ბაბუა წარმომავლობით ევროპელი სანტა-კლაუსისგან ძირეულად განსხვავდება. თუ სანტა-კლაუსი რეალური ისტორიული პიროვნება იყო (წმინდა ნიკოლოზმირონელი¹³), რომელიც კეთილი საქმეებისთვის წმინდანად შერაცხეს, რუსი თოვლის ბაბუა უფრო წარმართული სულია, ხალხური ზღაპრებისა და თქმულებების პერსონაჟი. ... დღემდე თოვლის ბაბუა გრძელი ქურქითა და თექის ჩექმებით დადის, ხელში კი კვერთხი უჭირავს. იგი მოგზაურობს ფეხით ან სამცხენა მარხილით. მარხილს ფრენაც შეუძლია. თოვლის ბაბუას მუდმივი თანამგზავრია შვილიშვილი სნეგუროჩკა.¹⁴ თოვლის ბაბუა ბავშვებს ეთამაშება და ახალი წლის ღამეს ნაძვის ხის ქვეშ საჩუქრებს უტოვებს.¹⁵

ბლოკი 2. საბჭოთა ხელისუფლება და საახალწლო დღესასწაული ნაწილი 1. განდევნა

13. რა არის „კომნაშობევი“? რატომ ანაცვლებდა ხელისუფლება ძველ დღესასწაულებს ახლით? რას უწოდებდა „საშობაო ცრურწმენებს“ და „რელიგიურ ხარახურას“ (წყაროები 10-11)?

წყარო 10 საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შობა-ახალი წლის დღესასწაულში შეტანილი ცვლილებების შესახებ

1922 წელს გაიმართა კამპანია ქრისტიანობის დღესასწაულის „კომკავშირულ“¹⁶ შობად გარდაქმნისთვის (სხვანაირად „კომნაშობევი“¹⁷). ეს გაკეთდა „ძველი დღესასწაულების ახლით ჩანაცვლების“ იდეის შესაბამისად („მღვდლების შობის“ – ასე დაარქვეს უდიდეს მართლმადიდებლურ დღესასწაულს – საპინონედ). საბჭოთა იდეოლოგიების აზრით, ეს მოსახლეობას საბჭოთა აზროვნების წესის გათავისებაში უნდა დახმარებოდა. კომკავშირულ ორგანიზაციებს „კომნაშობევი“ უნდა აღენიშნა 25 დეკემბერს, დასვენების დღეს. ღონისძიების დროს საშობაო დღესასწაულების „ეკონომიკური საფუძვლის“ შესახებ მოხსენებებს კითხულობდნენ, დგამდნენ პოლიტიკურ სატირულ სპექტაკლებს, ანტისაეკლესიო მოტივებზე კომკავშირულ სიმღერებს ასრულებდნენ. დღესასწაულის მეორე დღეს აწყობდნენ

¹³ წმინდა ნიკოლოზ მირონელი – ქრისტიანი წმინდანი IV საუკუნეში. მირონის (ქალაქი მცირე აზიაში) ეპისკოპოსი. გადმოცემების მიხედვით, ბავშვებისა და უპოვართა მფარველი. მის სახელს უკავშირდება ერთმანეთისთვის საჩუქრების მირთმევის ტრადიცია. მართლმადიდებელი ქრისტიანობა მას იცნობს, როგორც წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედს.

¹⁴ სნეგუროჩკა – რევოლუციამდე „თოვლის გოგონა“ – მონაწილეობდა საბავშვო დილის ზეიმებში, როგორც ხალხური ზღაპრების, ოსტროვსკის პიესისა და რიმსკი-კორსაკოვის ოპერის ინსცენირების მთავარი პერსონაჟი. მხოლოდ 1935 წლის შემდეგ სნეგუროჩკა ხდება თოვლის პაპის თანაშემწე, პირველად ეს წყვილი ერთად გამოჩნდა 1937 წლის საზეიმო ნაძვის ხეზე მოსკოვის საბჭოების სახლში.

¹⁵ «История Деда Мороза» – Славянский мир. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://slavs.org.ua/ded-moroz>.

¹⁶ კომკავშირი (შემოკლ.) – ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი – შეიქმნა 1918 წელს, ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაცია კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ხელმძღვანელობით.

¹⁷ ნაშობევი – ქრისტიანების სადღესასწაულო დღეები შობიდან ნათლისღებამდე, ახალი წლის ჩათვლით.

საკარნავალო მსვლელობებს, რომლის მონაწილეები გამოწყობილნი იყვნენ ანტანტის, კოლჩაკის, დენიკინის, კულაკების, ნეპენების, წარმართი ღმერთებისა და საშობაო ბატისა და გოჭის კოსტიუმებშიც კი. კლუბებში, სკოლებსა და საბავშვო სახლებში ეწყობოდა საახალწლო ნაძვის ხის ზეიმები, ერომლებსაც და მათ „კომკავშირული ნაძვის ხე“ ერქვა. ახალი დღესასწაულების რიტუალების შექმნისას საბჭოთა იდეოლოგიები ტრადიციული ხალხური და საეკლესიო წეს-ჩვეულებების ელემენტებს იყენებდნენ.

მაგრამ ნაძვის ხისადმი კეთილი დამოკიდებულება დიდხანს არ გაგრძელებულა. ცვლილებები უკვე 1924 წლის ბოლოს იგრძნობოდა, როდესაც „კრასნაია გაზეტამ“ სიამოვნებით შეატყობინა მკითხველს: „წელს საშობაო ცრურწმენები თითქმის აღარ იგრძნობა. ბაზრებში აღარ ჩანს ნაძვის ხეები, შეუგნებელი ადამიანების რიცხვმაც იკლო. თანდათანობით გაქრა „კომკავშირული შობაც“.¹⁸



14. რატომ უწოდებენ წყარო 11-ში ნაძვის ხეს „მშვენიერს“, თოვლის ბაბუას კი – „კეთილს“?
15. რა აკვირვებს გაზეთ „პრავდის“ წერილის ავტორს (წყარო 17)? რა აქვს საერთო წყაროებს 10, 11, 12?
16. რა დამოკიდებულება არსებობდა შობისა და ახალი წლის დღესასწაულებისადმი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში? რა განსაზღვრავდა ამ დამოკიდებულებას (წყაროები 10-12)?

წყარო 11 ნაძვის ხისა და თოვლის ბაბუასადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლის შესახებ

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პირველი წლების განმავლობაში ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ნაძვის ხისა და თოვლის ბაბუასადმი საკმაოდ შემწყნარებლური იყო. მაგრამ 1927 წელს დაიწყო ანტირელიგიური კამპანია, რომლის ერთ-ერთი მიზანიც ძველი დღესასწაულების განადგურება და ახლის დამკვიდრება იყო. ნაძვის ხე და თოვლის ბაბუა „რელიგიურ გადმონაშთებად“ და „კაპიტალისტების ანტი-ალხური მოღვაწეობის“ ფორმად გამოაცხადეს. „რელიგიურ ხარახურად“ ქცეული შობა, ნაძვის ხე და თოვლის ბაბუა ერთ აზრობრივ მწკრივში აღმოჩნდნენ: „ბავშვებს ატყუებენ, რომ საჩუქრები თოვლის ბაბუამ მოუტანა, ბავშვების რელიგიურობა სწორედ ნაძვის ხით იწყება... გაბატონებული ექსპლუატატორული კლასები „მშვენიერ“ ნაძვის ხესა და „კეთილ“ თოვლის ბაბუას იმისთვისაც იყენებენ, რომ მშრომელები „კაპიტალის ამტან და მორჩილ მსახურებად აქციონ“, – ასე ამტკიცებდა 1927 წლის საშობაო დღეებისთვის მომზადებული ანტირელიგიური პროპაგანდის მასალები.¹⁹

¹⁸ Е. В. Душечкина / Из истории русской елки (1920-е–1930-е годы) / Журнал Живая старина. 2002, № 4, стр. 9. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://Annales.info/rus/small/elka.htm>.

¹⁹ Душечкина Е. В. Дед Мороз: этапы большого пути. (к 160-летию литературного образа) – Журнальный зал М.: НЛО. 2001. №47. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: – <http://magazines.russ.ru/nlo/2001/47/dush.html>.

წყარო 12 ნაწყვეტი კომუნისტ ე. გორდიენკოს წერილიდან გაზეთ „პრავდაში“,²⁰ 1928 წ.

მე, როგორც ურწმუნოს, რომელიც მოსწავლეებსა და მუშებში ანტირელიგიურ პროპაგანდას ვენევი, ძალიან მაკვირვებს, რატომ აცხადებს გაზეთი „პრავდა“, რომ „უნივერფოსტა“ მთელი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყიდველს ნაძვის ხის სათამაშოებს სთავაზობს. მოგიწოდებთ, მიეთითოს „უნივერფოსტას“, რომ ნაირ-ნაირი ზიზილ-პიპილოებისა და ნაძვის ხის სათამაშოების დაგზავნით იგი ძველ ყოფას უწყობს ხელს.²¹



17. რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს ახალი წლისა და შობის დღესასწაულებისადმი საბავშვო ჟურნალში „დრუგ დეტი“ („ბავშვების მეგობარი“) ²² გაგზავნილი წერილის ავტორი? რა სიტყვებით გამოხატავს ისთავის დამოკიდებულებას? როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ასეთი დამოკიდებულება? რა მიზნით დაიბეჭდა ასეთი წერილი საბავშვო ჟურნალში (წყარო 13)?
18. ვინ არის ფოტოზე (წყაროზე 14)? რა ასაკის არიან ბავშვები? როგორ ფიქრობთ, ეს ღონისძიება თავად ბავშვებმა მოაწყვეს? ვინ და რა მიზნით მოაწყო დემონსტრაცია ასეთი ღოზუნგებით? თქვენი აზრით, რა მიზანს ისახავდა ასეთი ფოტოს გადაღება?
19. რა მოწოდებას შეიცავს წყარო 15? რას სთავაზობენ ბავშვებს საახალწლო ნაძვის ხის სანაცვლოდ?
20. რა და ვინ არის გამოსახული ჟურნალის „ბეზბოჟნიკ უ სტანკა“ („ურწმუნო დაზგასთან“) ყდაზე (წყარო 16)? ვინ არის ნახატის მთავარი პერსონაჟი? როგორ შეესაბამება სურათის იდეა ჟურნალის სათაურს? რატომ აქვს ასეთი ყდა 1930 წლის ჟურნალს?
21. რა საერთო აქვს და რა განასხვავებს წყაროებს 13-14?
22. რით იხსნებოდა დღესასწაულისადმი საბჭოთა ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებულება (წყაროები 10-16)?

წყარო 13 ნაწყვეტი წერილიდან ჟურნალში „დრუგ დეტი“ („ბავშვების მეგობარი“), 1929წ.

გვიახლოვდება მთვრალი შობა, ისეთივე ძველი და უსარგებლო, როგორც ძველი, დაჩაჩანაკებული ცხოვრება. მის შემდეგ მოჩანჩალებს ძველი „ახალი წელი“ – ისიც უსარგებლო, მაგნე, რომელსაც მოჰყვება ლოთობა, სამუშაოს გაცდენა და ავადმყოფობა. ეს ძველი რელიგიური დღესასწაულები თითქმის ყველასთვის ნაძვის ხესა და ბავშვებს უკავშირდება. საახალწლო დღესასწაულებით ჩვენს ბავშვებს ვამახინჯებთ: ვუნერგავთ ძველი დღესასწაულების სიყვარულს, მტაცებლურ დამოკიდებულებას მწვანე ნარგავებისადმი, ვართმევთ ჯანმრთელ, სუფთა ჰაერს. მოუწყვეთ ზამთარში ბავშვებს ზეიმები, მაგრამ შობას ნუ დაამთხვევთ. საზოგადოება „დრუგ დეტი“-ს²² („ბავშვის მეგობარი“) ყოველმა წევრმა უნდა მიიღოს მონაწილეობა რელიგიური დღესასწაულებისა და „ნაძვის ხეების“ გაუქმებისთვის წარმართულ ფართო აგიტაციაში. ამ აგიტაციაში საბავშვო ორგანიზაციებიც უნდა იყოს ჩართული. მოაწყვეთ მსვლელობები პლაკატებით, ღოზუნგებით, რომლებიც მოითხოვენ

²⁰ მთავარი ოფიციალური გაზეთი საბჭოთა ხელისუფლების დროს.

²¹ Гордиенко Е. «Правда», № 300 (4132) стр. 5 от 23 декабря 1928 г.

²² ყოველთვიური ჟურნალი, რომელსაც ბავშვების კომუნისტურად აღზრდის დახმარების მიზნით, 1924 წელს შექმნილი მოყვარულთა საზოგადოება გამოსცემდა.

ნორჩი ხეების განადგურების აკრძალვას. ერთიანი ძალისხმევით უნდა მივალწიოთ, რომ ხუთწლედის დასასრულისათვის ს საბოლოოდ გაქრეს გერმანული ბურჟუაზიის მიერ შემოტანილი ბარბაროსული „ნაძვის ხის“ დღესასწაული. ეს დააჩქარებს როგორც რელიგიური დღესასწაულების, ასევე ზოგადად რელიგიის დამარცხებას.²³



წყარო 14
საბავშვო
სახლების
აღსაზრდელები
ანტირელიგიურ
დემონსტრაციაზე,
მოსკოვი, 1929 წ.²⁴

წარწერები პლაკატებზე:

მარცხენა პლაკატი: „მშობლებო, თავგზას ნუ გვიბნევთ, ნუ მოაწყობთ შობასა და „ნაძვის ხეებს“.
მარჯვენა პლაკატი: „აღზარდე ბავშვები პადაგოგის და არა ღმერთის დახმარებით“.

წყარო 15 ნახატი ჟურნალიდან „ბავშვების მეგობარი“, №12, 1929 წ.



წარწერა ნახატზე:

„ძირს ბურჟუაზიული ნაძვის ხე“

ტყუილად ნუ იხარჯებით საშობაო ნაძვებზე, ჩვენ გვირჩევნია თხილამურები და ციგურები.

²³ «Долой буржуазную елку!», ჟურნალი «Друг Детей», Ленинград № 3, 1929 г. С. 13.

²⁴ ფოტო – საბავშვო ბაღების აღსაზრდელები ანტირელიგიურ დემონსტრაციაზე. მოსკოვი, ბაუმანის რაიონი. 1929 წ. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://tankfront.livejournal.com/25807.html?title>.



ნყარო 16
ჟურნალის „ურნმუნო
დაზგასთან“ ყდა,
1930 წ.

1) ნარწერა ნაძვის
ხის ფირფიტაზე:
„აკრძალულია
შობისთვის ხის მოჭრა“.

2) ნარწერა
წითელ დროშაზე:
„სოციალისტური
მშენებლობა“.



23. რატომ იყო საშობაო ზეიმები გასაიდუმლოებული (წყარო17)? რა იყო „ყველაზე
საინტერესო“ მოგონებების მიხედვით (წყარო18)? რა დამოკიდებულება აქვს ამ
დღესასწაულისადმი მოგონებების ავტორს?
24. შეარჩიეთ სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ბლოკი 2-ის სათაურად გამოდგება.

წყარო 17 შობის საიდუმლოდ აღნიშვნის შესახებ

1929 წელს ხელისუფლებამ შობა კონტრრევოლუციურ დღესასწაულად მიიჩნია და აკრძალა. 24 დეკემბერი სამუშაო დღედ გამოცხადდა. სკოლებიდან და სასწავლებლებიდან ნაძვის ხეები საბოლოოდ გაქრა... ბავშვებისთვის კი „შობის სანინალმდეგო საღამოებს“ აწყობდნენ. ახლა საბჭოთა მოსამსახურეებს უფროსობა აიძულებდა შობის წინაღამეს ქუჩაში ევლოთ და მიეკვლიათ იმათთვის, ვინც აკრძალულ დღესასწაულს აღნიშნავდა. ურჩებსდირი უსიამოვნება ელოდა – შეიძლებოდა სამუშაოდან გაეგდოთ და ციხეშიც კი ამოეყოთ თავი. მაგრამ შობის წინაღამის სადღესასწაულო აღნიშვნის გადაჩვევა თითქმის შეუძლებელი

აღმოჩნდა.დასჯის შიშის მიუხედავად, ქალაქის მცხოვრებნი „ნაძვის ხეებს“ საიდუმლოდ აწყობდნენ: ჩუმად, მუსიკის გარეშე, ფარდებჩამოფარებული ფანჯრების მიღმა, ნაძვის ხე კი კარადაში ედგათ.²⁵

წყარო 18 თვითმხილველთა მოგონებებიდან 1930-იანი წლების დამდეგს შობის აღნიშვნის შესახებ

შობაზე ვდგამდით დიდ, ლამაზ ნაძვის ხეს. იმ წლებში ეს აკრძალული იყო, რადგან რელიგიური რიტუალის ნაწილად იყო მიჩნეული, მაგრამ ბიძაჩვენი სოფელში მიდიოდა და ნაძვი დიდი ციგით, პლედებში შეფუთული ჩამოჰქონდა. სამზარეულოში უკანა კარით ისე შემოიტანდა ხოლმე, რომ არავის დაენახა. სასადილო ოთახში ფანჯრებზე ფარდებს ვაფარებდით, რომ ქუჩიდან ნაძვის ხისთვის თვალი არავის მოეკრა. ყველაზე საინტერესო შემდეგ იწყებოდა: ოთახიდან ავეჯი გაჰქონდათ და ცენტრში ნაძვის ხეს დგამდნენ, რომელიც კენწეროთი ჩვენს მაღალ, ძერწილ ჭერს ებჯინებოდა. მერე რთავდნენ სათამაშოებით, რომლებიც ოჯახის წევრთას ხელით იყო დამზადებული. ყველაზე დაოსტატებული იყო ვერა აფანასის ასული (დეიდა ვერა), რომელმაც ეს ხელობა კურსებზე შეისწავლა. მთელი ოჯახი დიდი სასადილო მაგიდის ირგვლივ ვიკრიბებოდით და მუშაობა ჩაღებოდა. სათამაშოებს ვაკეთებდით მუყაოსგან, ბამბისგან, ფერადი ქაღალდისა და თხელი ოქროსფერი და ვერცხლისფერი ფურცლებისგან, რომლებსაც კაკლებს გარს ვაკრავდით.²⁶

ბლოკი 2. საბჭოთა ხელისუფლება და საახალწლო დღესასწაული. ნაწილი 2. დაბრუნება

25. რით ხსნის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნისას მორთული ნაძვის ხის აუცილებლობას (წყარო 19)? რას მიიჩნევს „არასწორად“ წერილის ავტორი? როგორ ფიქრობთ, რას სთავაზობს ავტორი, როგორც „კარგ, საბჭოთა ნაძვის ხეს“? რას მოწმობს ასეთი წერილის ქვეყნის მთავარ, ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნება?
26. რა ცვლილებები მოხდა დღესასწაულისადმი დამოკიდებულებაში 1930-იანი წლების მეორე ნახევარში? რა შენარჩუნდა რუსეთის იმპერიის დროინდელი დღესასწაულიდან და რა სიახლე გაჩნდა (წყაროები 20-21)?

წყარო 19 ნაწყვეტი გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სკკპ ცკ-ის²⁷ პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის პავლე პოსტიშევის წერილიდან „მოდით, ბავშვებს კარგი „საახალწლო ნაძვის ხე“ მოუწყოთ!“

1935 წლის 28 დეკემბერი

რევოლუციამდე ბურჟუაზია და ბურჟუაზიის მოხელეები თავიანთ შვილებს ყოველთვის უწყობდნენ საახალწლო ნაძვის ხეს. მუშის შვილების ფანჯრებიდან შურით შესცქეროდნენ ფერად-ფერადად განათებულ ნაძვის ხეს და მის გარშემო შეკრებილ მხიარულ მდიდარ

²⁵ А. Макаров / Под угрозой репрессий Рождество в городах отмечали, тщательно занавешивая окна и ставя елку в... шкафу/ელექტრონული პორტალი ჟურნალისა «Факты и комментарии» – <http://fakty.ua/> ხელმისაწვდომია მისამართზე: – <http://fakty.ua/156786-pod-ugrozoy-repressij-rozhdestvo-v-gorodah-otmechali-tcshatelno-zanaveshivaya-okna-i-stavya-elku-v-shkaf>.

²⁶ Земская Е. А. Михаил Булгаков и его родные: Семейный портрет. – М.: Языки славянской культуры, 2004. – 169 с.

²⁷ სკკპ ცკ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ბავშვებს. რატომ აკლებენ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ბავშვებს ასეთ არაჩვეულებრივ სიამოვნებას სკოლები, ბავშვთა სახლები, ბაგები, საბავშვო კლუბები, პიონერთა სასახლეები?

საჭიროა, ბოლო მოეღოს „ნადვის ხის“ ასეთ არასწორ დაგმობას, ნადვის ხე ხომ ბავშვებისთვის მშვენიერი გასართობია. **კომკავშირლებმა** და პიონერმუშაკებმა²⁸ საახალწლოდ ბავშვებისთვის ნადვის ხის კოლექტიურიზიმიები უნდა მოაწყონ. სკოლებში, ბავშვთა სახლებში, პიონერთა სასახლეებში, საბავშვო კლუბებში, საბავშვო კინოებსა და თეატრებში – ყველგან საბავშვო ნადვის ხეები უნდა იყოს! არ უნდა დარჩეს არც ერთი **კოლმეურნეობა**, რომლის ხელმძღვანელობა კომკავშირლებთან ერთად ახალი წლის წინ თავის ბავშვებს არ მოუწყობს ნადვის ხის ზეიმს.

დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას კომკავშირლები მიიღებენ და ამოძირკვავენ უაზრო შეხედულებას, რომ საბავშვო „ნადვის ხე“ ბურჟუაზიული ცრურწმენაა. მაშ მოდით, ბავშვებს ახალი წლის მხიარული შეხვედრა მოვუწყოთ, ყველა ქალაქსა და კოლმეურნეობაში კარგი საბჭოთა ნადვის ხის ზეიმი გავმართოთ.²⁹

წყარო 20 საბჭოთა წლებში დღესასწაულის როლის შესახებ

1935 წელს ნადვის ხე არა იმდენად აღადგინეს, რამდენადაც შექმნეს ახალი დღესასწაული, რომელმაც მარტივი და მკაფიო ფორმულირება მიიღო: „ საახალწლო ნადვის ხე არის ჩვენს ქვეყანაში მხიარული და ბედნიერი ბავშვობის დღესასწაული“. დაწესებულებებისა და საწარმოების თანამშრომლებისთვის საბავშვო ნადვის ხეების მოწყობა სავალდებულო გახდა. ახლა ნადვის ხე არა მარტო საბჭოთა ახალი წლის, არამედ ზოგადად საბჭოთა ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია. ზეიმის მოსაწყობად იქმნებოდა „სანადვისხეო კომისიები“, რომლებშიც ძირითადად პროფკავშირების³⁰ აქტივისტები შედიოდნენ: ისინი შეიმუშავებდნენ პროგრამას, მოჰქონდათ ნადვის ხე, უზრუნველყოფდნენ ზეიმზე თოვლის ბაბუას მოსვლას, ამზადებდნენ საჩუქრებს. დღესასწაულის დღეებში ჟურნალები და გაზეთები ნადვის ხის გამოსახულებით იყო აჭრელებული.

ნადვის ხის კავშირი შობასთან დავიწყებას მიეცა. საშობაო ნადვის ხე სახელმწიფო დღესასწაულის – ახალი წლის ატრიბუტად იქცა. საბჭოთა კავშირში იყო სამი მთავარი სახელმწიფო დღესასწაული: ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული, 1 მაისი და ახალი წელი. რვაქიმიანი ბეთლემის ვარსკვლავი „საშობაო ხის“ კენწეროში შეცვალა ხუთქიმიანმა, ისეთივემ, როგორიც კრემლის კოშკზეა. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და 1947 წლის 1 იანვარი ისევ დასვენების დღედ გამოცხადდა. კავშირების სახლში³¹ მორთულმა ნადვის ხემ კი ოფიციალური სტატუსი მიიღო – „ქვეყნის მთავარი ნადვის ხე“.³²

²⁸ აღმზრდელები, რომლებიც პიონერებთან მუშაობდნენ სკოლებსა და პიონერთა სასახლეებში.

²⁹ Постышев П.П. «Давайте организуем к Новому году детям хорошую елку!» წერილი გაზეთში „Правда“ 28.11.1935, გვ.11.

³⁰ პროფკავშირები – მშრომელების პროფესიული კავშირები საბჭოთა კავშირში.

³¹ კავშირების სახლი (Дом Союзов) – შენობა მოსკოვში, რომელშიც XIX საუკუნეში მეფისები და თავადაზნაურთა შეკრებები, მოგვიანებით კი – კონცერტები იმართებოდა. 1919 წელს შენობა პროფკავშირებს გადაეცა, რის გამოც ეს სახელი ეწოდა. 1936 წლიდან კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ბავშვებისთვის საახალწლო ნადვის ხისყოველწლიური ზეიმები ეწყობოდა.

³² Е. Душечкина. Три века русской ёлки. ელექტრონული პორტალი ჟურნალისა Наука и жизнь – <http://www.nkj.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.nkj.ru/archive/articles/12680/>.

წყარო 21 განათლების სახალხო კომისარიატის³³ ინსტრუქციიდან საახალწლო ნაძვის ხის მორთვის შესახებ, 1937 წ.

აუცილებელია, ნაძვის ხის კენწერო მოირთოს ხუთქიმიანი წითელი ან ვერცხლის ბრჭყვილა ვარსკვლავით. საჭიროა, შენარჩუნდეს თვალისთვის სასიამოვნო სათამაშოების მრავალფეროვნება და სიუხვე, თანაც უჩვეულო შეხამებაში: პარაშუტი და დათვი, პეპელა და ტკაცუნები და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაძვის ხის სადგამის მორთვისას. ამ ხის ზღაპრულობა და უჩვეულობა მთლიანად უნდა შენარჩუნდეს.³⁴

27. რის შესახებ წერს პოლონური გაზეთი (წყარო 22)? წყაროების 22-28, ასევე, 20-21 დახმარებით დაადასტურეთ ან უარყავით პოლონურ გაზეთში დაფიქსირებული პოზიცია.
28. რომელ ნაძვის ხეს დაერქვა საბჭოთა კავშირში „მთავარი“? რა ცვლილებები აღმოაჩინეთ ახალი წლის დღესასწაულის შინაარსისა და სიმბოლიკის მხრივ წყაროებში 25, 27 და 28?
29. თქვენი აზრით, რატომ უწოდებენ წყარო 26-ში ახალ წელს „პოლიტიკური მნიშვნელობის დღესასწაულს“? წყაროებში 24-28 მოძებნეთ დღესასწაულის ასეთი განსაზღვრების დადასტურება ან უარყოფა.

წყარო 22 ახალი წლის აღნიშვნა საბჭოთა კავშირში. 1939 წლის 4 იანვრის პოლონური გაზეთიდან „კურიერ ლოდსკი“ („ლოდის კურიერი“)

აკრძალვა (ახალი წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით) მხოლოდ უკანასკნელ წლებში მოიხსნა, როდესაც კომუნისტურმა პარტიამ მოინდომა მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ სტალინური პოლიტიკური ეკონომიკის მიზანი უკვე მიღწეულია, **სსრკ** კი აყვავებული ქვეყანაა. მეტიც, დაიწყო 1 იანვრის ღამეს „ახალი წლის კოლექტიური შეხვედრის“ ნახალისება. ამიტომ ყველა კომუნისტურ კლუბსა და სკოლაშიც კი ახალი წლის ღამეს ზეიმები იმართება. ამას კიდევ ერთი გასართობი ელემენტი დაემატა – სადღესასწაულო ნაძვის ხე. მაგრამ კომუნისტური ახალი წელი ევროპულისგან ძლიერ განსხვავდება. ქვეყნის ხელმძღვანელობა ცდილობდა, დღესასწაულისთვის კომუნისტური ხასიათი მიეცა, ამიტომ ყველა გასართობი ღონისძიების წინ საბჭოთა პოლიტიკის აქტუალურ თემებზე სააგიტაციო ლექციები ტარდება, გართობას კი მოწვეულები მხოლოდ ამ გამოსვლების დამთავრებისა და „ინტერნაციონალის“ (სტალინის პატივსაცემად) მოსმენის შემდეგ შეძლებენ.

დღესასწაულის დაბრუნების შემდეგ საბჭოთა კავშირში დაწესდა სპეციალური საახალწლო ცერემონია: როდესაც საათის ისარი თორმეტს უახლოვდება, კომუნისტი ორატორი სტალინისა და კომუნისტური პარტიის სადღეგრძელოს წარმოთქვამს, ასევე გამოთქვამს სურვილს, რომ დამდეგ ახალ წელს კომუნისტურმა რევოლუციამ მთელ დედამიწაზე ახალი ძალით იფეთქოს.³⁵

³³ განათლების სახალხო კომისარიატი – შეესაბამება დღევანდელ განათლების სამინისტროს.

³⁴ «Елка в детском саду и школе» – Пособие. М.: Учпедгиз. 1937 г. გვ. 9-10.

³⁵ «Советский Новый 1939-й год» («Kurjer Łódzki», Польша) 31/12/2012 / ИноСМИ.ru / ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: – <http://inosmi.ru/russia/20121231/203594718.html> ადაპტირებული ტექსტი.

ნყარო 23 „ქვეყნის მთავარი ნაძვი ხის“ შესახებ

როდესაც 1937 წლის ოქტომბერში სტალინს ჰკითხეს: „სადუნდა დავდგათ ქვეყნის მთავარი ნაძვის ხე?“ სტალინმა უპასუხა: „ჩვენთან ყველა ნაძვის ხე მთავარია“. ეს პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს და აღიქვეს, როგორც ბრძანება. „აგიტესკადრილიების“³⁶ პარაშუტისტებისგან სასწრაფოდ შეიქმნა თოვლის ბაბუების ბრიგადები, რათა საახალწლო საჩუქრები ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეებში მიეტანათ. ორგანიზატორების აზრით, ეს აქცია საბჭოთა ავიაციის შესაძლებლობებისა და პარაშუტისტ-მედესანტების ვაჟკაცობის ნათელ პროპაგანდას წარმოადგენდა. სხვა დასახლებულ პუნქტებში 1938 წლის დამდეგამდე გაემგზავრნენ საჩუქრებით დატვირთული აგიტმატარებლები, აგიტავტომობილები, აეროციგები, სამოქალაქო თვითმფრინავები, მოთხილამურეები და სპეცკურიერები ირმებშებული ციგებით. მაგრამ კავშირების სახლის ნაძვის ხე უბადლო იყო. საოცრებები პირველივე ნაბიჯებიდან იწყებოდა. დარბაზებში ბავშვები არ იწყებდნენ: ერთში არნახულ ცხოველებს ათვალიერებდნენ, რომლებიც ზოოპარკიდან მოიყვანეს; მეორეში ხალხური ზღაპრებისა და პოპულარული საბჭოთა საბავშვო წიგნების გმირებს ხვდებოდნენ; მესამეში მათ ყველანაირი ატრაქციონი ელოდათ. მაგრამ დღესასწაულის ცენტრი იყო ულამაზესი ნაძვის ხე, რომელზეც პროექტორების შუქზე ბრწყინავდა ათასობით სათამაშო მუშურ-გლეხური და კომუნისტური სიმბოლიკით. ომის დროსაც კი, ყველა სიძნელის მიუხედავად, საბავშვო საახალწლო ზეიმები მაინც ტარდებოდა. 1945 წელს კი საბჭოების სახლში საახალწლო ნაძვის ხის გრანდიოზული ზეიმი გერმანიაზე მოახლოებული გამარჯვების სიმბოლიოდ იქცა.³⁷

ნყარო 24 მთავარი ნაძვის ხე კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. 1941 წ.³⁸

◆ საინფორმაციო ცნობა

პირველი ოფიციალური ნაძვის ხე დაიდგა 1937 წელს მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. ამ წელს დამკვიდრდა ზოგიერთი საახალწლო ტრადიცია: ბეთლემის ოქროს ვარსკვლავის ნაცვლად ნაძვის ხეს აგვირგვინებს წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, კომუნიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების სიმბოლიო; კურანტების რეკვას ხვდებიან შამპანურით სავსე სასმისებით, ისევე როგორც 1937 წლის 1 იანვარს საზეიმო მიღებაზე კრემლში.



³⁶ სიტყვის პირველი ნაწილი – აგიტაცია.

³⁷ «Какая страна, такая елка». – ჟურნალი «Огонёк», № 51, 1997 г.

³⁸ ე. ევზერიხინის ფოტო, მოსკოვი, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზი, 1941 წ. ელექტრონული პორტალი http://www.christmasheaven.ru/articles.php?article_id=277. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.christmasheaven.ru/images/articles/Ded_Moroz_fotografija_Je.Evzerihina_Moskva_Kolonnij_zal_Doma_Sojuzov_1941_g.jpg.



ԵԿԱՐՈ **25**

საახალწლო ნაძვის ხის
ნიმუში ჟურნალიდან
„იგრუშკა“ („სათამაშო“),
№8, 1937 წ. ³⁹

წყარო 26 პოლიტიკური მნიშვნელობის დღესასწაული

უმადლეს დონეზე მტკიცდებოდა კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შექმნილი კომუნისტური საახალწლო ზეიმების სცენარები... მათში აუცილებლად უნდა გათამაშებულიყო კეთილი ძალების დაპირისპირება ბოროტებასთან, თოვლის პაპა და სნეგუროჟკა ურიცხვ მტერს ებრძოდნენ და ყველა მათი ხრიკისა და წინააღმდეგობის მიუხედავად წარმატებით ახერხებდნენ მისვლას ბავშვებთან, რომლებიც დღესასწაულს ელოდნენ. იდეა მარტივი და გასაგები იყო – მსოფლიო იმპერიალიზმი თავს არ ანებებდა მცდელობებს ევნო ახლგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსთვის, მაგრამ საბჭოთა ადამიანები, როგორც ყოველთვის, მასზე ძლიერნი აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. რა თქმა უნდა, ყოველი

³⁹ ადგილობრა Алла Сальникова. История елочной игрушки-დან. იქვე, გვ. 95.

დილის წარმოდგენა სტალინის გრანდიოზული განდიდებით მთავრდებოდა. საბჭოთა ბავშვების მთელი თაობა გაიზარდა ისე, რომ დარწმუნებული იყო: „საბჭოთა ბავშვების საუკეთესო მეგობარმა“ პირადად მიიღო მონაწილობა ახალი წლის დადგომაში. ყოველ შემთხვევაში, თოვლის პაპა და სნეგუროჩკა ფერხულისთვის დაახლოებით ასეთ სიმღერას სთავაზობდნენ: „წრეში ჩავდგეთ ნაძვის ირგვლივ და ვიმღეროთ ქვეყანასთან ერთად: იდიდე, იდიდე, ჩვენო დიადო სტალინო, იდიდე სტალინო, ძვირფასო!“⁴⁰

წყარო 27 ნაძვის ხის სათამაშოები საბჭოთა სიმბოლიკით



1935 წელს გამოუშვეს ნაძვის ხის სათამაშოები ლენინისა და სტალინის პორტრეტებით, მაგრამ მალევე უარი თქვეს მათ გამოშვებაზე, რადგან, ჯერ-ერთი, ბურთები იმსხვრეოდა, და მეორეც, ორაზროვნად ჟღერდა: „ჩამოკიდე ლენინი და სტალინი ნაძვის ხეზე“.

წყარო 28 საბჭოთა სათამაშოების შესახებ

1930-იან წლებში ნაძვის ხის სათამაშოების ოსტატები ხელისუფლებისა და „პირადად ამხანაგი სტალინის“ სურვილებს ზუსტად ხვდებოდნენ. იტყოდა ხალხების ბელადი, ჰოკეი კარგაო და მაშინვე იწყებოდა ნაძვის ხისთვის მინი ჰოკეისტების დამზადება; შეაქებდა კინო-კომედია „ცირკს“ და ნაძვის ხეებზე მყისვე გაჩნდებოდა მასხარები, აკრობატები და „პატარა ზანგებიც“ კი. ქრისტიანული სიმბოლიკა საბჭოურმა შეცვალა, გამოჩნდა წითელარმიელების ფიგურები ბუდიონოვკებში, მეზღვაურები, „მაშა-პიონერები“, საბჭოთა კავშირის ხალხების წარმომადგენლები ერვონულ ტანსაცმელში (ნაკრები „მეგობრობა“), წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავები, დირიჟაბლები, ალმები. 1930-იან წლებში მაღაზიების ვიტრინებში შეიძლებოდა გენახათ ადგილობრივი მინის ქარხნების ნაწარმი: ბურთები, ტანკები, პატარა ელექტრონათურების გირლანდები. გასაკვირია, მაგრამ ნაძვის ხის სათამაშოებზე მოთხოვნა ყველაზე მეტად დიდი სამამაულო ომის დროს გაიზარდა. ხალხი მათ სკოლებსა და ბავშვთა სახლების დილის ზეიმებისთვის აგროვებდა, მორთული ნაძვის ხეებით დაჭრილებს ახარებდა. ომის წლებში ყველაზე პოპულარული სათამაშოები პარაშუტისტების ფიგურები იყო. მათ ძალიან მარტივად აკეთებდნენ: ჩვეულებრივი ჯარისკაცის ფიგურაზე ძაფებით ქსოვილის ნაჭერს ამაგრებდნენ. იმპროვიზირებულ ნაძვის ხის სათამაშოებსაკეთებდნენ ჯარისკაცები ფრონტზე, პარტიზანები – მტრის ზურგში. საამისოდ ნასროლი ტყვიების მასრებსაც კი იყენებდნენ – საუკეთესო გირლანდები გამოდიოდა.⁴¹


⁴⁰ А. Владимиров / Новый год: трудная дорога к ёлке/ ელექტრონული ჟურნალი «Интеллектус». ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.patent.net.ua/intellectus/inteligibilisation/populus/1445/ua.html>.

⁴¹ А.Котельникова, А.Константинов, Д.Овчинников/ Ракеты, спутники и кукурузные початки. Зарисовки из истории елочной игрушки/ელექტრონული ჟურნალი АИФ – <http://www.perm.aif.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.perm.aif.ru/ny2014/tellings/1067355>.

წყარო **29** საბჭოთა საახალწლო ღია ბარათი. 1941 წ.



წყარო **30** საბჭოთა საახალწლო ღია ბარათი. 1943წ.⁴²



30. საახალწლო დღესასწაულის რომელი სიმბოლოებია გამოყენებული 1941 და 1943 წლების საბჭოთა საფოსტო ღია ბარათებზე (წყაროები 29-30)? როგორ უკავშირდება ერთმანეთს ომი და დღესასწაულის თემა წყაროებში 29-30?
31. რატომ აწყობდნენ ადამიანები, ომის მძიმე პირობების მიუხედავად, ახალი წლის დღესასწაულს (წყარო 31)? როგორ ემზადებოდნენ და აღნიშნავდნენ დღესასწაულს? რისი სიმბოლო იყო ეს დღესასწაული საბჭოთა ადამიანებისთვის? პასუხი დაასაბუთეთ მესამე ბლოკის წყაროებზე დაყრდნობით.

წყარო **31** მოგონებები მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე ახალი წლის აღნიშვნის შესახებ

როგორია იმიერპოლარეთი ზამთარში? ორმოც გრადუსზე მეტიყინვა, გაუვალი თოვლი. ახალგაზრდა მეზენიტეები ცხოვრობდნენ მიწურებში: დაბალი ჭერი, რკინის ლუმელი, ორსართულიანი ფიცრის ტახტი, შვიდი-შვიდი ადამიანი ერთ მიწურში.

ახალი წელი ომის დროსაც ახალი წელია. რა დღესასწაულია მორთული ნაძვის ხის, თოვლის პაპისა და სნეგუროჩკას გარეშე? მეზენიტეებმა ჭურვის მასრაში ჯუჯა არყის ხე

⁴² Фронтовой Новый год. ელექტრონული რესურსი «Историческая Правда» <http://www.istpravda.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.istpravda.ru/artifacts/1465/>

ჩაამაგრეს, მორთეს სადღესასწაულოდ დარიგებული კონსერვის ქილების ეტიკეტებით, კენწეროზე ფერადად შეფუთული კამფეტოდაამაგრეს. სადღესასწაულო სუფრაზე კი ეწყო კონსერვირებული ძეხვი, მოშუშული ხორცის ამერიკული კონსერვი, ნატეხი შაქარი და სპირტით სავსე მათარა.

ახალი წლის ზღაპრული პერსონაჟები – თოვლის პაპადა სნეგუროჩკა – თოვლისგან გამოძერწეს, მადლობა ღმერთს, თოვლი თავზე საყრელი იყო, წელამდე ნამქერი იდგა. საახალწლო სურვილებიც არ აკლდათ: სწრაფი გამარჯვება და, რაც მთავარია, ყველას ცოცხლად დარჩენა და ჯანმრთელად სახლში დაბრუნება.⁴³

ბლოკი 3. ახალი წლის აღნიშვნის საბჭოური ტრადიციები XX საუკუნის მეორე ნახევარში

32. როგორ გესმით ფრაზა: „ქვეყანა უნდა ილიმებოდეს“ (წყარო 32)?
33. რატომ ეწოდება დღესასწაულს „ზამთრის უსაყვარლესი დღე“? რა წინააღმდეგობები შეინიშნება ახალი წლის აღნიშვნის აღწერაში (წყარო 33)?
34. რა ცვლილებების დანახვა შეიძლება საზოგადოებაში საახალწლო სათამაშოების შეცვლის მაგალითზე (წყარო 34)? როგორ ესადაგება ერთმანეთს წყაროები 33, 34, 35, 36?

წყარო 32 დღესასწაულის მნიშვნელობა 1950-1960-იან წლებში

ნიკიტა ხრუშჩოვის⁴⁴ დროს გადაწყვიტეს, რომ უნდა შექმნილიყო საახალწლო დღესასწაულის ტრადიციები: თოვლის პაპა, მხიარული ბავშვები, კარნავალები. ყველა ღია ბარათზე მხოლოდ მოლიმარი ადამიანები იყვნენ გამოსახული. იდეოლოგიური მანქანა ასე მუშაობდა: ვილაცამ „ზემოთ“ ვილაცამ თქვა, გაიღიმეთო, ესე იგი ქვეყანა უნდა ილიმებოდეს, იგრძნოს, რომ სტალინის შემდეგ სხვა დრო დადგა. სწორედ ამისთვის ქმნიდნენ ტრადიციებს, ზეიმის საბაბებს.⁴⁵

წყარო 33 ჟურნალისტი საბჭოთა კავშირში ახალი წლის აღნიშვნის შესახებ

ორმოცდაათიან წლებში ქვეყანა ომის პერიოდის სირთულეებს ნელ-ნელა თავს აღწევდა, ახალ წელს განსაკუთრებული საბჭოური გაქანებით დღესასწაულობდნენ. ზამთრის ამ უსაყვარლეს დღეს ყველა ადამიანს უნდა დავიწყებოდა ყოფილი სირთულეები, რომლებსაც სინამდვილეში ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა. მშობლები ცდილობდნენ შვილებისათვის ეშოვნათ ბილეთები რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების საახალწლო ნაძვის ხეზე, რომელთაგანაც ყველაზე პრესტიჟული, რა თქმა უნდა, კრემლის საახალწლო ნაძვის ხე იყო. ყოველი ბავშვი უნდა წასულიყო ნაძვის ხეზე და ტრადიციული საჩუქარი მიეღო –

⁴³ Фронтальной Новый год – იქვე. ადაპტირებული ტექსტი.

⁴⁴ ნ. ს. ხრუშჩოვი – საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი 1954-1964 წლებში, რომლის დროსაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაცია მოხდა.

⁴⁵ ნაწყვეტი სტატიიდან Новый год в советской России: продолжение/ Петербург в позитиве 09/01 2014/ ელექტრონული პორტალი Город+. <http://www.gorod-plus.tv/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.gorod-plus.tv/blog/108.html>.

სხვადასხვა ტკბილეული. საბავშვო სახალწლო ნაძვის ხე და საჩუქრები უკვე დღესასწაულის რიტუალად იქცა. მაგრამ საბჭოთა პერიოდის და განსაკუთრებით კი სადღესასწაულო დღეების ყველაზე ნიშანდობლივი და მთავარი მოვლენა უდავოდ იყო უზარმაზარი რიგები, რადგან სადღესასწაულოდ მაღაზიებში აუცილებლად რაღაცას „გამოყრიდნენ“ ხოლმე (იგულისხმება ამ პერიოდისთვის უკვე დეფიციტური სასურსათო პროდუქტები და სამრეწველო ნაწარმი). საათობით რიგში დგომის შემდეგ კი რაიმეს ყიდვა უბრალოდ შენაძენი კი არა, ბედნიერება იყო! ⁴⁶

წყარო 34 ნაძვის ხის სათამაშოების ისტორიიდან

1940-იანი წლების ბოლოდან ნაძვის ხის კენწეროზე დასამაგრებლად კრემლის სპასკის კოშკის ფორმის სათამაშო გამოუშვეს. ასეთი სიმბოლოს მნიშვნელობა გასაგები იყო და განმარტებას არ საჭიროებდა. ამ პერიოდში ბევრი სათამაშო მზადდებოდა „სოფლის მეურნეობის თემაზე“: სტაფილო, პამიდორი, ხახვი, კიტრი, მუხუდოს პარკი, ხორბლის თავთავები, ლიმონი, ვაშლი, მსხალი და, რაღა თქმა უნდა, ხრუმჩოვის ეპოქის „მინდვრები-სდედოფალი“ – სიმინდი.

1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანების დასაწყისში ნაძვის ხის „პოლიტიკური“ სათამაშოები ერთგვარად შეავიწროვა „ყოფითმა“ სათამაშოებმა, რომლებიც სილამაზეზე და ესტეტიკაზე საბჭოური წარმოდგენების საფუძველზე იქმნებოდა. ნაძვის ხეებზე გაჩნდა სათამაშო ჩაიდნები, დოქები, ყავადნები, ლარნაკები, კალათები, მალვითარები, ჭალები და მაგიდის სანათები. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ წარსულს ჩაბარდა სათამაშოები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ძღვევამოსილების პროპაგანდას ემსახურებოდა. ამ პერიოდში სათამაშოების წარმოებაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემა კოსმოსის ათვისება გახდა. ⁴⁷

წყარო 35 ნაძვის ხის სათამაშოები 1960-1970-იან წლებში



წყარო 36 ნაძვის ხის სათამაშო-კოსმონავტი⁴⁸



⁴⁶ Е. Ласкина; ნაწყვეტი სტატიიდან Новый год: Из России в СССР. ელექტრონული პორტალი <http://www.casual-info.ru/index.php> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.casual-info.ru/moda/wardrobe/168/5012/>.

⁴⁷ Алла Сальникова. История ёлочной игрушки. М.: НЛЮ.-2011. С. 128-129.

⁴⁸ Традиции празднования. ელექტრონული პორტალი <http://www.christmasnostalgia.com/ArticleBusyBeeTrader%20USSR%20Ornaments.htm> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.christmasnostalgia.com/USSROrnaments8.JPG>.



35. რა არის ასახული წყარო 37-ის ფოტოზე? სად დგას მორთული ნაძვის ხე? თქვენი აზრით, ვინ და რისთვის დადგა ის? რა სიმბოლური აზრი აქვს ამ ფოტოს?
36. დღესასწაულის რა თავისებურებაზე მოგვითხრობს წყარო 38?
37. როგორ ფიქრობთ, საით მიემართებიანთოვლის პაპებიწყაროში 39? რაზე მეტყველებს ისეთი მოვლენის მასობრივი ხასიათი, როგორიცაა თოვლის პაპების „გამოძახება“? რა დამოკიდებულება ჰქონდა სახელმწიფოს ახალი წლის დღესასწაულისადმი წყაროების 39-40 მიხედვით?
38. როგორ დაუკავშირებთ ერთმანეთს წყაროებს 38-40?

წყარო 37 ახალი წლის შეხვედრამდე ბოლო სამუშაო დღის ფოტო. ქიმიური კომბინატის ელექტროსამშრომლის თანამშრომლები. 1970-იანი წლების დასაწყისი. უკრაინა



წყარო 38 ახალი წლის დღესასწაულისთვის მზადება 1960-1980-იან წლებში

საბჭოური ახალი წელი თავისი არსით ქალაქური დღესასწაული იყო. ეს გასაგებიცაა: სოფლის მცხოვრებისთვის 31 დეკემბერიცა და 1 იანვარიც ჩვეულებრივი ზამთრის დღეებია და სხვა დღეებისგან არაფრით განსხვავდება. ყოველდღიურ სავალდებულო სასოფლო სამუშაოების შესრულებაზე უარის თქმა შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, ამის მიზეზი ახალი წელი ვერაფრით ვერ გახდებოდა... ამიტომ ახალი წლის აღნიშვნის საბჭოურ ტრადიციაზე ლაპარაკი მხოლოდ 1960-იანი წლებიდან შეიძლება, როდესაც ქალაქის მოსახლეობამ სოფლისას გადააჭარბა. გარად ამისა სწორედ ამ დროს – ხრუშჩოვის „დათბობის“⁴⁹ პერიოდში – მოქალაქის უფლებას, ჰქონდეს პირადი ცხოვრება და პირადი დღესასწაულები,

⁴⁹ დათბობა – საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შედარებითი ლიბერალიზაციის პერიოდის სახელწოდება, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელმწიფოს სათავეში ყოფნის პერიოდს უკავშირდება.

არა მარტო აღიარებდნ, არამედ ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილადაც აქცევდნენ. ახალი წლის ტრადიციებს შეიძლება დავუკავშიროთ ცნობილი ფრაზა: „აი, საჩუქარი (დეფიციტური პროდუქტები, სუვენირები და ა. შ.), მაგრამ ეს საახალწლო საჩუქარია!“ საყოველთაო დეფიციტმა საჭიროა მოქალაქეები შეაჩვია, რომ საახალწლო საჩუქარი დღესასწაულის წინააღმდეგ კი არ უნდა ეყიდათ, არამედ მაშინ, როცა წაანყებოდნენ, და უმჯობესი იყო შესაბამისი დროის დადგომამდე მისი შენახვა. პროდუქტებს ან მაცივარში ინახავდნენ, ან აივანზე, ნივთებს – კარადაში ან საკუჭნაოში, ნაძვის ხეს ან ფანჯრიდან გარეთ გაკიდებულს, ან იმავე აივანზე. ოჯახის თითქმის ყველა წევრმა იცოდა, ვინ ვის რას აჩუქებდა, მაგრამ საჩუქრის მიღების სიხარულს ეს ვერაფერს აკლებდა, სასიხარულო იყო თავად ახალი წლის მიღება. ახალი წელი საბჭოთა კავშირში ყველაზე მასობრივი დღესასწაული იყო (თუ არ ჩავთვლით გამარჯვების დღეს, მაგრამ მისი აღნიშვნა მხოლოდ 1965 წელს დაიწყო). ეს უბრალოდ დღესასწაული არ ყოფილა, ეს იყო დღე, როდესაც შეგეძლო გაგესინჯა იშვიათი კერძები, საჩუქრად კი ახალი წლის ნივთი მიგეღო...⁵⁰

წყარო 39 თოვლის პაპები საყოფაცხოვრებო მომსახურების გაერთიანებიდან „ნეცკიე ზორი“, 1984 წ. ⁵¹



⁵⁰ КАК ПРАЗДНОВАЛИ НОВЫЙ ГОД В СССР / МТРК «МИР» – ელექტრონული პორტალი <http://ge.mirtv.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://ge.mirtv.ru/news/9576505>.

⁵¹ «СССР. Наша Родина» ელექტრონული რესურსი <http://savok.name> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://savok.name/60-novyy-god.html>

წყარო 40 როგორ იწვევდნენ თოვლის ბაბუას სახლში

საახალწლო ნაძვის ხეების ინსტიტუტის გარდა არსებობდა ისეთი მომსახურებაც, როგორიცაა თოვლის პაპის სახლში გამოძახება. ამ შემთხვევაში ყველა საორგანიზაციო საქმე მშობლებს აწევოდა მხრებზე – საჭირო იყო თოვლის ბაბუასა და სნეგუროჩკას ვიზიტის შეკვეთა, იმის გადაწყვეტა, თუ რა საჩუქარს მოუტანდა ბავშვს თოვლის პაპა, მომსახურების საფასურის გადახდა. საბჭოთა კავრში ამ ბაზარზე არჩევანი არ არსებობდა: ყველა თოვლის ბაბუასა იძახებდნენ ფირმიდან „ზარია“, რომელიც ამ მომსახურების გასაწევად საგანგებოდ იყო სახელმწიფოსგან უფლებამოსილი. ასეთ სეზონურ სამუშაოზე თეატრალური სასწავლებლების სტუდენტებს ქირაობდნენ.

სახლში მისული თოვლის ბაბუა და სნეგუროჩკა მასპინძელ ბავშვს მოკლე „დილის ზეიმს“ უმართავდნენ, ბავშვს აიძულებდნენ, ტაბურეტზე ამძვრალიყო და წინასწარ მომზადებული ლექსები ეთქვა, რის შემდეგაც საჩუქარს გადასცემდნენ. თოვლის ბაბუასთვის მთავარი საშიშროება ის კი არ იყო, რომ ბავშვი ამხელდა მას, როგორც ცრუ თოვლის ბაბუას, არამედ მშობლების სურვილი სტუმარს გამასპინძლებოდნენ.⁵²



39. რა საერთო აქვს წყაროებს 41, 42, 43 და 44? რა განასხვავებს წყაროებს 41, 42, 43 და 44 წყაროსგან³⁷?

წყარო 41 საახალწლო დილის ზეიმი საბავშვო ბაღში. 1958 წ. ჩერკასის ოლქი, უკრაინა⁵³



წყარო 42 ახალი წლის აღნიშვნა საბავშვო ბაღში. 1969 წ. თბილისი, საქართველო⁵⁴



⁵² А. Сидорчик / Сделано в СССР. Детский Новый год по-советски/ მასალა გამოქვეყნებული იყო 13 ჟურნალში АИФ ელექტრონული პორტალი <http://www.aif.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.aif.ru/ny2014/tellings/1025419>.

⁵³ გ. ვ. კონონსკაიას საოჯახო არქივიდან.

⁵⁴ ა. ჯამაგიძის საოჯახო არქივიდან.

წყარო 43 ლექსი თოვლის ბაბუასთვის. 1969 წ.
მოსკოვი, რუსეთი⁵⁵




წყარო 44 ოჯახი მორთულ ნაძვის ხესთან.
სოფელი ვინიცის ოლქში, უკრაინა⁵⁶



- ▼
40. ყურადღება მიაქციეთ ადრესატებს და მილოცვის ტექსტს წყაროში 45. რა არის გამოსახული ფოტოზე აღბეჭდილ ღია ბარათებზე? შემთხვევითია თუ არა ასეთი ბარათების არჩევა ოჯახური და მეგობრული მილოცვებისთვის? როგორ შეესაბამება ისინი ღია ბარათის მეორე მხარეზე დაწერილ ტექსტს? დღესასწაულის როგორ ხასიათს ასახავს ეს წყაროები?

⁵⁶ ი. ვ. კუშნერიოვას საოჯახო არქივიდან.

⁵⁷ პ. ა. კოსტიუკის საოჯახო არქივიდან.



მისამართი: ქ. თბილისი, საქართველო

მისალოცი ბარათის ტექსტი:

„მოგესალმებით ძვირფასო რობერტ! ასმათ! თქვენს მშობლებს: დედას, მამას, თქვენს შვილებს! გილოცავთ ყველას ახალ წელს. მთელ თქვენს ოჯახს სულით და გულით გისურვებთ კარგ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. ჩუტკერაშვილების ოჯახი“. (ღია ბარათი უსტკამენოგორსკიდან, ყაზახეთის სსრ)



მისამართი: ქ. თბილისი, საქართველო

მისალოცი ბარათის ტექსტი:

„თემურ, მთელი გულით გილოცავ შენ და მთელ შენ ოჯახს, ანზორსა და ნანის შესანიშნავ დღესასწაულს. დიდხანს იყავით ჯანმრთელები, ბედნიერები, იღბლიანები. ვსვამთ მშვენიერი საქართველოს სადღეგრძელოს. მარია“. (ღია ბარათი მაგადანიდან, რუსეთის სფსრ).

⁵⁷ ა. ჯამაგიძის საოჯახო არქივიდან.

⁵⁸ ე. ბუსხრიკიძის საოჯახო არქივიდან.



41. რა ნიშნებით შეიძლება ღია ბარათების შექმნის დროის განსაზღვრა წყაროებში 46-47? რა განსხვავებაა მათსა და წყაროების 29, 30, 45 ღია ბარათებს შორის?
42. საახალწლო დღესასწაულის რა ელემენტებია მოცემული წყაროებში 37-47? ახალი წლის დღესასწაულის როგორ ხასიათზე მეტყველებს ეს წყაროები: ოჯახური, ოფიციალური, საზოგადო, სახელმწიფოებრივი, პირადი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
43. რას მოგვითხრობს მესამე ბლოკის წყაროები საბჭოთა საზოგადოების შესახებ?

წყარო 46 საახალწლო
მისალოცი ღია ბარათი.
1982 წ.⁵⁹



წყარო 47
საახალწლო მისალოცი
ღია ბარათი⁶⁰



შემაჯამებელი დისკუსია

რა საზოგადოებრივი ცვლილებები მოხდა და როგორ აისახა ეს შობისა და ახალი წლის აღნიშვნაზე XIX-XX საუკუნეების განმავლობაში?

⁵⁹ საახალწლო მისალოცი ღია ბარათი. მხატვარი ა. ჟრებინი. სსრკავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო 1982 წ. ა. ჯამაგიძის პირადი კოლექციიდან.

⁶⁰ Керченский историко-культурный заповедник. – ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.kerch-museum.com/userfiles/images/foto/foundations/2012/November/23.1.2012/pict_6.jpg.

დროთა დიალოგი

ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებაში


▶ როგორ ასახავს ქუჩებისა და მოედნების სახელწოდება ხელისუფლების დამოკიდებულებას წარსულისა და აწმყოსადმი?

◆ ისტორიული ცნობა 1

ქალაქების ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებაში შეიძლება ცალკეული ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის ამოკითხვა. ეს სახელწოდებები და მათი ცვლილებები, რომლებიც ხშირად პოლიტიკურ კონიუნქტურას¹ ასახავს, წარმოდგენას გვიქმნის როგორც თანადროული ფასეულობებისადმი, გმირებისა და კულტურის მოღვაწეებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე, ასევე მოცემული ქვეყნის ისტორიული განვითარების მიმართულებაზე. შესაბამისად, არასტაბილური პოლიტიკური კონიუნქტურა დასახელებათა ხშირ შეცვლას იწვევს, რაც, როგორც წესი, არადემოკრატიულ ქვეყნებში გვხვდება ხოლმე. გარდა ამისა, ზოგჯერ ქუჩებისა და ქალაქების სახელწოდება სახელმწიფოს არა მარტო საშინაო პოლიტიკას, არამედ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციასაც ასახავს.

ბლოკი 1. ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებები

წყარო **1** მაიდან ნეზალეჟნოსტი (დამოუკიდებლობის მოედანი) – კიევის მთავარი მოედანი²



¹ კონიუნქტურა (ლათინურიდან conjuncture) – საზოგადოების პოლიტიკურ სფეროში კონკრეტულ მომენტში, პერიოდში შექმნილი მდგომარეობა, ვითარება.

² რომან სალიხოვის ფოტო. იბეჭდება ავტორის ნებართვით. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.flickr.com/photos/salikhov/13287522684>



1. ისტორიული ცნობა 1-ისა და წყაროების 1 და 2-ის საფუძველზე გამოიტანეთ დასკვნა, თუ რასთან არის დაკავშირებული ა კიევის მთავარი მოედნის სახელწოდების შეცვლა.

წყარო 2 კიევის მთავარი მოედნის სახელწოდება სხვადასხვა დროს

გადარქმევის თარიღი	სახელწოდება
1869	კრეშჩატიკის მოედანი
1876	დუმის მოედანი
1919	საბჭოთა მოედანი
1935	კალინინის მოედანი
1977	ოქტომბრის რევოლუციის მოედანი
1991	1991 – დამოუკიდებლობის მოედანი ან მაიდანი (უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების აღსანიშნავად). სახელწოდება „მაიდანი“ ხალხის მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ გამოიყენეს (1990 – რევოლუცია გრანიტზე; 2000-2001 – აქცია „უკრაინა კუჩმას გარეშე; 2004 – ე.წ. ნარინჯისფერი რევოლუციის მთავარი ადგილი; 2013-2014 – ევრომაიდანი და ღირსების რევოლუცია)




2. წყაროების 3-5 მიხედვით, შეავსეთ ცხრილი „ქალაქ თბილისის მთავარი მოედნისა და მიმდებარე ქუჩების სახელწოდება სხვადასხვა დროს“.

ცარიზმის ეპოქა	საბჭოთა პერიოდი	თანამედროვეობა
გოლოვინის გამზ.	რუსთაველის გამზ.	რუსთაველის გამზ.


და ა. შ.

3. ისტორიული ცნობა 2-ის საფუძველზე გაარკვიეთ, ვინ და რის გამო ითვლებოდა გმირად სხვადასხვა ეპოქაში. როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდებოდა ან ემთხვეოდა ერთმანეთს ხელისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ამ გმირებისადმი?
4. ისტორიული ცნობა 1 და 2-ისა და წყაროების 3-5-ის დახმარებით, დაასახელეთ ის ქუჩები, რომლებსაც სახელი გადაარქვეს. ახსენით, რატომ. რომელი ქუჩების სახელი არ იცვლებოდა? თქვენი აზრით, რატომ დარჩა ისინი ხელუხლებელი.
5. წყაროების 1-5-ისა და ისტორიული ცნობა 2-ის საფუძველზე განსაზღვრეთ, რომელი ისტორიული მოვლენები ახდენდა გავლენას თბილისისა და კიევის ქუჩების დასახელებაზე. რა არის საერთო მათ შორის?

წყარო 3 თბილისის მთავარი მოედნისა და მისი მიმდებარე ქუჩების გეგმა. 1907 წ.³



წყარო 4 თბილისის მთავარი მოედნისა და მისი მიმდებარე ქუჩების გეგმა. საბჭოთა პერიოდი



³ სოლოლაკი – თბილისის ძველი უბნის დასახელება. სომხის ბაზარი – სავაჭრო ქუჩა, ძირითადად, სომხებით დასახლებული.

წყარო 5 თბილისის მთავარი მოედნისა და მისი მიმდებარე ქუჩების გეგმა. 2014 წ.



◆ ისტორიული ცნობა 2.

ინფორმაცია მოღვაწეებზე, რომელთა სახელსაც ატარებდა თბილისის მთავარი მოედანი და მისი მიმდებარე ქუჩები სხვადასხვა დროს

ალექსეი ველიამინოვი, ევგენი გოლოვინი, მიხაილ ლორის-მელიქოვი, ივან პასკევიჩ-ერევანსკი – გენერლები, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეები, კავკასიის დასაპყრობად და ანტირუსულ ამბოხებათა ჩასახშობად სხვადასხვა სამხედრო ოპერაციის სარდლები და მონაწილეები.

ბორის განოვი – სამხედრო, კოლონიური ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მოხელე XIX საუკუნის საქართველოში.

ალექსანდრ პუშკინი – დიდი რუსი პოეტი.

ვლადიმერ ლენინი, სერგეი კიროვი – კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ცნობილი მოღვაწეები.

ვლადიმერ (ლადო) დუმბაძე⁴, ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი – ქართველი რევოლუციონერები, ბოლშევიკები. აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში.

შოთა რუსთაველი – XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი, ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

შალვა დადიანი – ქართველი მწერალი, დრამატურგი, რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე XX საუკუნის პირველ ნახევარში; საქართველოს სახალხო არტისტი, **სსრ კავშირის** უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი (გოგლა) ლეონიძე – ქართველი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე XX საუკუნის პირველ ნახევარში. საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

⁴ ლადო დუმბაძის სახელს ქუჩა ატარებდა 1936-1959 წწ.

გალაკტიონ ტაბიძე – ქართველი პოეტი XX საუკუნის პირველ ნახევარში.

კონსტანტინე (კოტე) აფხაზი – ქართველი საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც 1923 წელს, ანტისაბჭოთა ამბოხების ჩახშობის შემდეგ, ბოლშევიკებმა დახვრიტეს.



6. ვის პატივსაცემად დაერთქვა სახელები ქალაქის ობიექტებს წყაროების 6-7 მიხედვით?
7. როგორ ფიქრობთ, რატომ არქმევენ ქალაქის ობიექტებს თანამედროვე უცხოელი პოლიტიკოსების სახელს (ისტორიული ცნობა 3)?



წყარო **6** სკვერი
თბილისის ძველ უბანში⁵

წარწერა ქართულ და
აზერბაიჯანულ ენებზე:
ჰეიდარ ალიევის
სახელობის სკვერი.



წყარო **7** ახალი ქუჩა
თბილისში

წარწერა ქართულ და
ინგლისურ ენებზე:
ჯორჯ უ. ბუშის
სახელობის ქუჩა.⁶

⁵ წყაროები 6 და 7 – ნ.შოშიაშვილის ფოტოები.

⁶ ჯორჯ უ. ბუში – ამერიკის რესპუბლიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ს 43-ე პრეზიდენტი 2001-2009 წლებში.

◆ ისტორიული ცნობა 3.

თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ რაიონში – აბანოთუბანში მდებარე სკვერს 2004 წელს სახელი გადაერქვადა ენოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის სახელი, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ნიშნად. იმ დროს საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით თურქეთში უნდა გაეყვანათ. სკვერში აღმართულია ჰეიდარ ალიევის ძეგლი.

2005 წელს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას აშშ-ის პრეზიდენტ ჯ. ბუშის სახელი ეწოდა. ეს მოხდა საქართველოსთვის განეული ყოველმხრივი დახმარების გამო მადლიერების ნიშნად და ამერიკის პრეზიდენტის თბილისში ოფიციალური ვიზიტის აღსანიშნავად.

ბლოკი 2. ძეგლები ქუჩებსა და მოედნებზე



8. წყაროები 8-13-ზედა ისტორიული ცნობები 4-5-ზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, რამდენად ასახავს ახალი ძეგლების დადგმა ამა თუ იმ მთავრობის პოლიტიკურ მიმართულებასა და მენტალიტეტს.
9. წყაროები 8-13-ისა და ისტორიული ცნობები 4-5-ის მაგალითით ახსენით, რა პრინციპით იცვლება ძეგლები ქალაქების მთავარ მოედნებზე.

წყარო **8** ძეგლები ტაშკენტის ცენტრში: გენერალ-გუბერნატორი კ. ფ. კაუფმანი, 1913 წელი⁷




წყარო **9** ძეგლები ტაშკენტის ცენტრში: კარლ მარქსი, 1976 წელი⁸



⁷ ელექტრონული რესურსი – Русский Ташкент. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://novchronic.ru/print9453.htm>.

⁸ ელექტრონული რესურსი – ვიკიპედია. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://upload.wikimedia.org/wikipedia/ru/b/bb/Taskent_Central_Square_Karl_Marks_monument_1976.jpg.

ნყარო **10** ძეგლები ტაშკენტის ცენტრში: ემირ თემური (თემურლენგი), 2014 წელი⁹



◆ ისტორიული ცნობა 4.

ძეგლების ისტორია ემირ თემურის სახელობის სკვერში, ტაშკენტის ცენტრში

დადგმის თარიღი	ძეგლი
1913	თურქესტანის პირველ გენერალ-გუბერნატორ კ. პ. კაუფმანის ძეგლი
1919	ძეგლი რევოლუციის მებრძოლებს – მონუმენტი „განთავისუფლებული შრომა“ („ნამგალი და ურო“)
1927	ძეგლი ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავთან დაკავშირებით
1930	ვ. ი. ლენინის ბიუსტი მოწოდებით: „ხუთწლელი 4 წელიწადში!“
1940-იანების ბოლო	ი. ბ. სტალინის ძეგლი
1961	ობელისკი კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის აღსანიშნავად ზედ ამოტვიფრული ორენოვანი ტექსტით ამ პროგრამიდან (ხალხმა მას „რუსულ-უზბეკური“ ლექსიკონი შერქვა)
1968	კარლ მარქსის ძეგლი
1994	ემირ თემურის (თემურლენგის) ძეგლი ¹⁰


⁹ ვიკიპედია. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/2/29/Monument_to_Amir_Temur_15-08.JPG.

¹⁰ ემირ თემური (1336-1405) – თემურლენგის (ე. ი. „კოჭლი თემური“ ევროპაში მას ტამერლანს უწოდებდნენ) – ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამპყობელი კაცობრიობის ისტორიაში. გაანადგურა ოქროს ურდო. დამპყრობლურ ლაშქრობებს ეწეოდა ირანში, ამიერკავკასიაში, ინდოეთში, მცირე აზიაში და სხვ. შექმნა სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი სამარყანდი იყო.

წყარო 12 წმ. გიორგის ობელისკი თბილისის მთავარ მოედანზე დღეს¹²



წყარო 11 ვ. ლენინის ძეგლი თბილისის მთავარ მოედანზე საბჭოთა პერიოდში¹¹



¹¹ Фотография Freireke – ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.flickr.com/photos/40488494@N07/9712524397/>.

¹² ნ. შოშიაშვილის ფოტო.



წყარო 13 ა. სოლჟიკის ძეგლი
თბილისში¹³

◆ ისტორიული ცნობა 5

2004 წელს თბილისის ცენტრალურ პარკში გაიხსნა XX საუკუნის 80-90-იანი წლების საბჭოთა და რუსეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, სანკტ-პეტერბურგის პირველი მერის ანატოლი სოლჟიკის ძეგლი. 1989 წლის აპრილის მოვლენების დამდგენი კომისიის თანათავმჯდომარის თანამდებობაზე მან დაადასტურა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით თბილისის ცენტრში გამართული მიტინგის დარბევას, საბჭოთა ჯარმა მესანგრის ნიჩბები და მომწამვლელი ნივთიერებები გამოიყენა. მოგვიანებით სოლჟიკს თბილისისა და საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა.



განმაზოგადებელი კითხვა

რატომ შეიძლება ქუჩებისა და მოედნების დასახელება ისტორიულ წყაროდ იქცეს? მოამზადეთ ინფორმაცია კედლის გაზეთისთვის თქვენი ქუჩის/მთავარი მოედნის შესახებ.

¹³ ნ. შოშიაშვილის ფოტო.

როგორ გადაიქცა „დედაკაცი“ „ამხანაგად“... ქალის სახე პოსტრევოლუციურ პერიოდში

- ▶ რა გავლენას ახდენს ქალის სახეზე
საზოგადოებრივი ცვლილებები?



1. დააკვირდით გამოსახულებებს (წყაროები 1-2). რა თვისებებს განასახიერებენ ქალები ხელოვნების ამ ნაწარმოებებში?
2. ქალის რა როლის ხაზგასმას ცდილობდნენ მხატვრები? არის თუ არა ეს როლი ერთადერთი თანამედროვე ქალებისთვის? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

წყარო **1** წმინდა ანას
საკურთხეველი წმიდა
ნიკოლოზის ეკლესიაში,
ქ. კალკარი, გერმანია, XVI
საუკუნის პირველი ნახევარი
(ფრაგმენტი)¹



წყარო **2** პასტორალი, ფერადი ფაიფურის ჯგუფი.
XVIII საუკუნის შუა წლები²

¹ ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://commons.wikimedia.org/wiki/File:Kalkar_st_nikolai_020.JPG.

² ფოტო წიგნიდან «Большая иллюстрированная энциклопедия древностей». Изд-во «Артия», Прага. 1980. ფერადი ჩანართი XXXIX.

◆ ისტორიული ცნობა

XX საუკუნეში საზოგადოება რადიკალურად შეიცვალა. 1914-1918 წლებში მიმდინარე პირველმა მსოფლიო ომმა მოსახლეობის სტრუქტურა შეცვალა – დაიღუპა უამრავი მამაკაცი, შეიცვალა ქალის მდგომარეობა. ქალებმა ბევრი ახალი პროფესია აითვისეს და მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში განუზომლად გაიზარდა. მთელი XX საუკუნის განმავლობაში საზოგადოებაში ქალის გენდერული როლი იცვლებოდა, მაგრამ განსაკუთრებული ცვლილებები – ტრანსფორმაცია 1920-1930-იან წლებში მოხდა.

1917 წლის რევოლუციებმა (რუსეთში, გერმანიაში) მსოფლიო ძირფესვიანად შეცვალა. ბოლშევიკები, რომლებიც რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, მთავარ ამოცანად კომუნისტური სახელმწიფოს აშენებას და „ახალი ადამიანის“ აღზრდას ისახავდნენ. ეს „ახალი ადამიანი“ საერთო მიზანს უნდა დამორჩილებოდა, ეხელმძღვანელა არა თავისი, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებით, უარი უნდა ეთქვა ძველ, ტრადიციულ ფასეულობებზე და კომუნიზმის „ნათელი მომავლისაკენ“ მიმავალი გზის მტკიცე რწმენა ჰქონოდა. ასეთი ახალი საბჭოთა ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მეთოდი პროპაგანდა იყო. XX საუკუნის განმავლობაში სწორედ იგი აყალიბებდა ახალ ფასეულობებსა და ახალ მსოფლმხედველობას სხვადასხვა ხერხის, მათ შორის, მონუმენტური ხელოვნების, კინემატოგრაფიის, თეატრის და ა.შ. მეშვეობით.

ბლოკი 1. მონუმენტური პროპაგანდა



1. წყარო 3-ზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, როგორ წარმოედგინათ ბოლშევიკებს „მომავლის ხელოვნება“.
2. რას ნიშნავს წყაროში 3 ცნება „მონუმენტური პროპაგანდა“?
3. როგორ ფიქრობთ, რა მოვლენა იგულისხმება წყარო 4-ის ცნებაში „დიადი გადატრიალება“?
4. რა მთავარ მიზანს ისახავდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 14 აპრილის დეკრეტი?
5. რა ძეგლებს უნდა შეეცვალა „მეფეებისა და მათი მსახურების“ ძეგლები? რატომ?
6. რა იყო საბჭოთა ხელმძღვანელებისთვის უპირველესი მიზანი ძეგლების აგებისას? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
7. რას ნიშნავს გამოთქმა „მარადიული მარმარილო და ბრინჯაო“?

წყარო 3 ვ. ი. ლენინი³ მომავალში ხელოვნების შესახებ

უკვე დიდი ხანია მიტრიალებდა თავში ეს იდეა. კამპანელა⁴ თავის „მზის ქალაქში“ ამბობს, რომ მისი ფანტასტიკური სოციალისტური ქალაქის კედლები მოხატულია ფრესკებით, რომლებიც ახალგაზრდობისათვის ბუნებისმეტყველების, ისტორიის

³ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (1870-1924) – საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი.

⁴ ტომაზო კამპანელა (1568-1639) – იტალიელი ფილოსოფოსი და მწერალი, ავტორი წიგნისა „მზის ქალაქი“, რომელშიც აღწერს, როგორ უნდა იყოს მოწყობილი მომავალი იდეალური საზოგადოება.

თვალსაჩინო გაკვეთილია, უღვიძებს მას მოქალაქეობრივ გრძნობას – ერთი სიტყვით, მონაწილეობს ახალ თაობათა აღზრდა-განათლების საქმეში. ვფიქრობ, რომ ეს სულაც არ არის გულუბრყვილობა, და გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ შეგვიძლია ახლავე ავითვისოთ და განვახორციელოთ... იმას, რაზეც ვფიქრობ, **მონუმენტურ** პროპაგანდას ვუწოდებდი. ახლა მარმარილოსა და გრანიტზე, ოქროს ასოებზე, ისეთ ბრინჯაოს ძეგლებზე, რომლებიც კულტურის სოციალისტურ სტილს შეესაბამება, არ ვოცნებობ. ეს ცოტა არ იყოს, ნაადრევია; მაგრამ მონუმენტური **პროპაგანდის** მეორე, უფრო მტკიცე, უფრო მონიჭული, უფრო ეფექტური ტალღის აზვირთება, ვფიქრობ, ახლავე შეგვიძლია.⁵

წყარო 4 რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს⁶ 1918 წლის 14 აპრილის დეკრეტიდან

დიდი გადატრიალების აღსანიშნავად, რომელმაც გარდაქმნა რუსეთი, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

- მეფეებისა და მათი მსახურების პატივსაცემად აგებული ძეგლები, რომლებიც ინტერესს არ წარმოადგენენ არც ისტორიული, არც მხატვრული თვალსაზრისით, უნდა მოიხსნას მოედნებიდან და ქუჩებიდან და ნაწილობრივ გადატანილ იქნას საწყობებში, ნაწილობრივ კი გამოყენებულ იქნას პრაქტიკული საჭიროებებისათვის...

- სახალხო კომისართა საბჭო გამოთქვამს სურვილს, რომ პირველი მაისის დღესასწაულისათვის უკვე მოხსნილი იყოს ზოგიერთი ყველაზე უშნო კერპი და მასების სამსჯავროზე იქნას გამოტანილი ახალი ძეგლების პირველი მოდელები...⁷.

წყარო 5 ნაწყვეტი ა. ვ. ლუნაჩარსკის⁸ სტატიიდან, გაზეთი „პლამია“, 1918 წ.

ჩვენ დავიწყებთ დედაქალაქის ბალებსა და მოხერხებულ ადგილებში რუსეთისა და მსოფლიოს დიდი პიროვნებებისმცირე ზომის ძეგლების დადგმას, განსაკუთრებით იმ ადამიანებისა, რომლებსაც დამსახურება აქვთრევოლუციის წინაშე. ამის მიზანი უფრო ფართო პროპაგანდა, ვიდრე მათი უკვდავყოფა იქნება. ჩვენ არ გამოვეკიდებით ამ ძეგლების გარეგნულ ბრწყინვალეობას ან ძვირფას მასალას, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი ხარისხი და გამომსახველობა.

დიდი იმედი გვაქვს, რომ უფრო მშვიდობიან დროს ბევრი ამ ძეგლთაგანი მარადიულ მარმარილოდ და ბრინჯაოდ გადაიქცევა.⁹

⁵ ციტირებულია წიგნიდან: Луначарский А. В. Воспоминания и впечатления. 1968. ელექტრონული გამოცემა. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://ruslit.traumlibrary.net/book/lunacharskiy-vpech-i-vosp/lunacharskiy-vpech-i-vosp.pdf>. 403-404.

⁶ სახალხო კომისართა საბჭო – პირველი საბჭოთა მთავრობის სახელწოდება 1918-1946 წლებში. შესაბამისი დეკრეტები მიღებულ იქნა უკრაინაში 1919 წ., აზერბაიჯანში 1920 წ., საქართველოსა და სომხეთში 1921 წ.

⁷ Известия ВЦИК. ელექტრონული რესურსი «Консультант Плюс»: Правовые ресурсы/некоммерческие интернет-версии ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc;base=ESU;n=3394>

⁸ ა.ვ. ლუნაჩარსკი (1875-1933) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, განათლების სახალხო კომისარი – მინისტრი 1918-1929 წლებში.

⁹ ციტირებულია ელექტრონული წიგნის მიხედვით: Два памятника Карлу Марксу. – ქანდაკების შესახებ წიგნების ელექტრონული ბიბლიოთეკა. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://sculpture.artyx.ru/books/item/f00/s00/z0000010/st002.shtml>.

ბლოკი 2. „დედაკაცი თუ ამხანაგი“?



10. ვინ არის წყარო 6-ის ავტორი? რა მიაჩნია ა. კოლონტაის „კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს გარდატეხად“? ავტორის აზრით, გახდა თუ არა საბჭოთა ქალი დამოუკიდებელი? ეთანხმებით თუ არა ავტორის თვალსაზრისს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
11. წყაროებზე 6-8 დაყრდნობით განსაზღვრეთ, ქალის როგორი ახალი ტიპი გაჩნდა რევოლუციის შემდგომ წლებში. რა წინააღმდეგობას აწყდებოდნენ ქალები ახალ საზოგადოებაში?
12. თქვენი აზრით, მიხაილ ბულგაკოვის მოთხრობის „ძაღლის გული“ ნაწყვეტში (წყარო 9) რომელი საკვანძო სიტყვები ხსნის ქალის სოციალურად მისაღები სახის ცვლილებას? რატომ გადაწყვიტა პროფესორმა პრეობრაჟენსკიმ იმის გარკვევა, თუ ვინ იყვნენ მოსულები მასთან ოჯახში – ქალები თუ კაცები? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
13. რატომ იყო გავრცელებული აზრი, რომ ქალისთვის „ხუმრობა, კეკლუცობა და მოლხენა დანაშაულის ტოლფასია“ (წყარო 10)? ვინ იზიარებდა ამ აზრს, ქალები თუ კაცები? ყველა მათგანი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
14. რამდენად არის გამართლებული ისტორიულ წყაროდ მხატვრული ნაწარმოებების ნაწყვეტების გამოყენება (ნაწყვეტები 9-10)? რატომ?
15. ნაწყვეტების 6-10 ნაკითხვის შემდეგ მოკლედ აღწერეთ ქალის ახალი სოციალური როლი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. რა თვისებები ახასიათებს ახალ საბჭოთა ქალს?

წყარო 6 საბჭოთა რევოლუციონერი ქალი ა. კოლონტაი¹⁰ საბჭოთა მუშა და გლეხი ქალების შესახებ. 1921 წ.

საბჭოთა რუსეთში საყოველთაო შრომით ვალდებულებაზე გადასვლამ ქალის მდგომარეობაში უდიდესი გარდატეხა მოახდინა. ... სქესის განურჩევლად შრომით ფრონტზე საყოველთაო განწევამშეცვალა ცხოვრებისა და სქესთა ურთიერთობის ჩვეული სურათი. ქალი აღარ არის დამოკიდებული არც კაპიტალისტ მეპატრონეზე და არც მარჩენალ ქმარზე. გამორჩნდა ერთი პატრონი, რომელსაც ერთნაირად, მთელი მშრომელი კლასის საკეთილდღეოდ უნდა დაემორჩილოს ყველა მუშა – ქალი იქნება თუ კაცი. ეს პატრონი საბჭოთა შრომითი რესპუბლიკაა.¹¹

წყარო 7 თანამდეროვე მკვლევარი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ წარმოქმნილი ქალის ახალი ტიპის შესახებ

1917 წლის რევოლუციური ქარიშხალი „ქალის საკითხსაც“ შეეხო – ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ ისტორიულ მოვლენებში, ხოლო ბევრი მათგანი საზოგადოებრივი ცხოვრების წინა პლანზე გამოსული ლიდერიც იყო. ხშირ შემთხვევაში ამ მგზნებარე რევოლუციონერ ქალებს უხდებოდათ ტრადიციებით განპირობებული წინააღმდეგობის გადალახვა. ეს იყო წინააღმდეგობა პირად ცხოვრებას (სიყვარული, ოჯახი, შვილები, ქალის ხვედრთან

¹⁰ ალექსანდრა კოლონტაი (1872-1952) – საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მსოფლიოში პირველი ელჩი ქალი, სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიასა და შვედეთში, 1920-1930-იან წლებში ხელმძღვანელობდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილებას, რომლის ამოცანა იყო ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლა, ქალთა განათლების დონის ამაღლება, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება. „ქალთა საკითხზე“ მარვალრიცხოვანი სტატიებისა და გამოსვლების ავტორი.

¹¹ А. Коллонтай. Избранные статьи и речи. М., Политиздат, 1972. – с.337.

ტრადიციულად დაკავშირებული საყოფაცხოვრებო საზრუნავი) და ახალ საზოგადოებრივ საქმიანობას შორის. გარშემო მყოფი ხშირად თვლიდნენ, რომ ქალებს მხოლოდ პირველის უნარი შესწევდათ, არ ცნობდნენ მათ პრეტენზიებს მეორეზე და ქედმაღლურად ახსენებდნენ, „დედაკაციები ხართ“. მნიშვნელოვანწილად ამ მიზეზით თავად ქალებს ურჩევნოდათ ახალი მიმართვა – „ამხანაგო“, რითაც ხაზს უსვამდნენ თავიანთ უფლებასყოფილიყვნენ თანანორუფლებიანნი, ახალი მდგომარეობა ჰქონოდათ საზოგადოებაში. ასეთი მდგომარეობა მართლაც ახალი იყო: ახლა ქალები ისე, როგორც არასდროს, აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩამოყალიბდა ახალი ქალის განსაკუთრებული ტიპი – აქტივისტი, პასუხისმგებელი მუშაკი.¹²

წყარო 8 ამერიკელი მკვლევარი ქალი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საბჭოთა ქალის სახის შესახებ

თავდაპირველად, საბჭოთა გმირი ქალი გაჩნდა პერიოდული გამოცემების ფურცლებზე, როგორც სამხედრო მედდა, კომისარი,¹³ ზოგჯერ მებრძოლიც კი. ეს იყო თავმდაბალი, მტკიცე, ერთგული, გულადი, გაბედული, შრომისმოყვარე, ენერგიული ახალგაზრდა ქალი. იგი არ ფიქრობდა პირად კეთილდღეობაზე. თუ საჭირო იყო ფრონტზე წასვლა, მას შეეძლო, თუმცა კი სინანულით, დაეტოვებინა შვილები; შეეძლო შერიგებოდა სიძნელეებს, წარბშეუხრელად ჩაბმულიყო ბრძოლაში, ხოლო თუ ტყვედ ჩავარდებოდა – არ უშინდებოდა წამებას და სიკვდილსაც კი, რადგან სწამდა, რომ მისი მსხვერპლი უკეთესი ცხოვრების მშენებლობაში შეტანილი წვლილი იქნებოდა.¹⁴

წყარო 9 მ. ბულგაკოვის მოთხრობიდან „ძალის გული“

მოთხრობის მოქმედება ხდება მოსკოვში, ზამთარში, 1920-იან წლებში. პროფესორმა ფილიპ ფილიპოვიჩ პრეობრაჟენსკიმ აღმოაჩინა ადამიანის ორგანიზმის გაახალგაზრდავების ხერხი ადამიანისთვის ცხოველთა შინაგანი ორგანოების გადანერგვის გზით. პროფესორი ცხოვრობს მოსკოვის ცენტრში, შვიდოთახიან ბინაში. ადგილობრივი საბინაო კომიტეტების ძალებით საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა „შემჭიდროვების“ – დიდ ბინებში ახალი მდგმურების ჩასახლების – პოლიტიკას. ქვემოთ მოყვანილ სცენაში რევოლუციური საბინაო კომიტეტის წარმომადგენლები მივიდნენ პროფესორთან მოთხოვნით გაათავისუფლოს ორი, მათი აზრით, მისთვის ზედმეტი ოთახი.

შემოსულნი ნოხს ტკეპნიდნენ.

— პროფესორო, თქვენთან აი რა საქმეზე მოვედით... _ წამოიწყო ერთმა მათგანმა, თავზე ხშირი გრუზა თმა მეოთხედი არშინის სიმაღლეზე ბულულივით რომ ედგა.

— თქვენ, ბატონებო, ასეთ ამინდში კალოშების გარეშე სიარული არას გარგებთ, – დამრიგებლური ხმით გაანწყვეტინა ფილიპ ფილიპოვიჩმა, – ჯერ ერთი, გაცივდებით, მეორე კიდეც ის, რომ ნოხები დამისვარეთ, მე კი სულ სპარსული ნოხები მაქვს.

¹² Бородин А., Бородин Д. Баба или товарищ? Идеал новой советской женщины в 20-х _ 30-х годах. // Женские и гендерные исследования в Тверском государственном университете. Тверь, 2000. С.45-51. Адапт. текст.

¹³ კომისარი (ფრანგულიდან commissaire – რწმუნებული) – სახელმწიფო სპეციალური რწმუნებული, წარმომადგენელი, როგორც წესი, სამხედრო ქვედანაყოფში.

¹⁴ Clements B. E. The Birth of the New Soviet Woman. ციტირებულია ნიგნის მიხედვით: Бородин А., Бородин Д. Баба или товарищ? Идеал новой советской женщины в 20-х _ 30-х годах. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.a-z.ru/women_cd1/html/borodini.htm.

გრუზათმნიანი დადუმდა და ოთხივენი ფილიპ ფილიპოვიჩის გაოცებულნი შეაშტერდნენ. დუმილმა რამდენიმე წამს გასტანა. სიჩუმეს მხოლოდ ფილიპ ფილიპოვიჩის თითების კაკუნი არღვევდა, მაგიდაზე მდგარ ხის მოხატულ ლანგარზე რომ გაისმოდა.

– ჯერ ერთი, ჩვენ ბატონები არა ვართ, – ბოლოს ხმა ამოიღო ოთხთაგან ყველაზე ნორჩმა, ატმისლოყებამ.

– ჯერ ერთი, – მასაც გააწყვეტინა ფილიპ ფილიპოვიჩმა, – თქვენ კაცი ხართ თუ ქალი?

ოთხივენი კვლავ დადუმდნენ და პირდაღებულები გაშეშდნენ. ამჯერად გონს მოეგო პირველი, გრუზათმნიანი.

– რა განსხვავებაა, ამხანაგო? – ჰკითხმა მან ფილიპ ფილიპოვიჩის მედიდურად.

– ქალი ვარ, – გამოტყდა ტყავის ქურთუკიანი ატმისლოყება ყმანვილი და ძალიან განითლდა. მასთან ერთად რატომღაც წამოჭარხლდა ერთ-ერთი მომსვლელი, ფაფახიანი ქერა კაცი.

– თუ ასეა, თქვენ შეგიძლიათ კეპი გეხუროთ, ხოლო თქვენ, მონყალეო ხელმწიფე, გათხოვთ ქუდი მოიხადოთ, – შთამბეჭდავად თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა.¹⁵

წყარო 10 ვ. კეტლინსკაიას რომანიდან „ვაჟკაცობა“ 1920-1930-იანი წლების საბჭოთა ახალგაზრდობის შესახებ

რომანში ბევრი საინტერესო ქალის სახეა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ტონია ვასიაევა სახე. კომკავშირელი ქალიშვილი ჩამოვიდა შორეულ აღმოსავლეთში ახალი ქალაქის მშენებლობაზე. მუშაობის დროს იგი ძალ-ღონეს არ იშურებს, მაგრამ ვერაფრით ვერ პოულობს საერთო ენას სხვა ახალგაზრდებთან, სამუშაოს შემდეგ არ მონაწილეობს მათ შეკრებებში კოცონთან, თავს უბედურად გრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ თავისი მრწამსის შესაბამისად ცხოვრობს.

თუ ნატრობდა იგი (ტონია ვასიაევა) სიყვარულს? დღემდე მას ამაზე არ უფიქრია ან თითქმის არ უფიქრია. იგი ცდილობდა განედევნა სიყვარული, როგორც სისუსტე. მას სძულდა წარსული, სძულდა მეშინაობა, რომელიც ბოლომდე დაუძლეველი წარსულის სუნად ყარდა, სძულდა თანამშრომელი გოგოების ქარაფშუტობა, კეკლუცობა და კოხტაობა და ბიჭების თავშეუკავებლობა. იგი ფიქრობდა, რომ სანამ არ დამთავრებულია ბრძოლა (თანაც ბრძოლა მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებამდე), ხუმრობა, კეკლუცობა და მოლხენა დანაშაულის ტოლფასია. გათხოვება ღალატია. აბა, რანაირი მეზობელი შეიძლება იყო, თუ გბოჭავს ოჯახი, შვილები, სიყვარული!

იგი მკაცრად სჯიდა საკუთარ თავს და ცდილობდა აღმოეფხვრა სულიდან ყოველგვარი მისწრაფება სინაზის, მოფერებისა და სიმყუდროვისადმი, მას ეშინოდა, რომ მოღბება, დაკარგავს სიძულვილის გრძნობას, თავის შეუპოვრობას, თავის ძალას.¹⁶

¹⁵ მ. ბულგაკოვი. ძაღლის გული. საბედისწერო კვერცხები. გამომცემლობა „თეთრი გიორგი“, თბილისი, 2012. გვ. 21-22.

¹⁶ Вера Кетлинская. Мужество. ელექტრონული ბიბლიოთეკა ModernLib.ru. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://modernlib.ru/books/ketlinskaya_vera/muzhestvo/read/ გვ. 30.


ბლოკი 3. დროის სახეები

- ▼
16. დააკვირდით ქანდაკებებსა და ძეგლებს (წყაროები 11-22). შეარჩიეთ ფოტოები, რომლებიც შეიძლება გამოდგეს პირველი და მეორე ბლოკების ილუსტრაციებად. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.
 17. რამდენად ასახავს ეს ქანდაკებები „ქალურ საწყისს“? შეადარეთ ამ ქანდაკებებში გამოკვეთილი სახეები წყაროების 1-2 ქალის სახეებს.
 18. რა ეპოქას გამოხატავს თქვენს მიერ შერჩეული ქანდაკებები და ძეგლები? მოიფიქრეთ სახელწოდება ფოტოალბომისათვის, რომელიც შეიძლება შეიქმნას შერჩეული გამოსახულებების საფუძველზე. მოეთათბირეთ თანაკლასელებს.

წყარო 11 ვ. მუხინას ქანდაკება „მუშა და კოლმეურნე ქალი“. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, ქ. მოსკოვი. 1937 წ.¹⁷



წყარო 12 მ. მანიზერის ქანდაკება „სტუდენტი გოგონა წიგნით“ მეტროს სადგურზე „პლოშჩად რევოლუციი“, ქ. მოსკოვი, 1930-იანი წლები¹⁸



¹⁷ Фото 11, 13 – Фотобанк <http://lori.ru/5678563>.

¹⁸ 12, 17, 20 – Фото Юлии Кушнеревой.

ნყარო **13** მეტროს მშენებელი ქალიშვილის ფიგურა მეტრომშენის კლუბის შესასვლელის თაღზე, ქ. კიევი, 1950-იანი წლები.



ნყარო **14** კოლმეურნის ოჯახი. ავტორი თამარ აბაკელია, 1939 წ.¹⁹



ნყარო **15** დედა და შვილები. ქ. თბილისი²⁰



ნყარო **16** ფილმის „ორი კურდღლის მადევარი“ პერსონაჟების ძეგლი. ავტორი ვ. სკულსკი, ქ. კიევი, 1999 წ.²¹



¹⁹ TENGIZ VERULAVA/ BURUSI [Электронный блог]. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://burusi.wordpress.com/2009/11/21/tamar-abakelia-3/>.

²⁰ Фото А. Лордкипанидзе.

²¹ [Электронная энциклопедия]. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/>.

წყარო **17** პანო „სტახანოველები სოფლის მეურნეობაში“. მეტროს სადგური „ელექტროზავოდსკაია“, ქ. მოსკოვი.



წყარო **18** ქართული ცეკვის ანსამბლის დამაარსებლები ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი. ავტორი ზურაბ წერეთელი, 2011 წ.²²



²² [Электронный блог]. – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.liveinternet.ru/users/mirabilisflowers/post20_823602/.

წყარო 19 მუშა და გლეხი ქალი.

ვ. ზნობას ქანდაკება უკრაინის უმაღლესი რადის შენობის გვერდით შესასვლელთან, 1985 წ. ი. ვოლკოვის ფოტო²³



წყარო 20 მუშა და კოლმეურნე ქალი.

სკულპტურული ჯგუფი პავილიონ „უკრაინის“ თავზე. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, ქ. მოსკოვი, 1930-იანი წლები



წყარო 21 სტუდენტების ძეგლი უნივერსიტეტ „კროკოტან“.

ავტორი ვ. შჩური, ქ. კიევი, 2000-იანი წლები²⁴



დასკვნითი განხილვა

როგორ ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობას ქალის სახე ხელოვნებაში ?
რასთან არის დაკავშირებული ამ სახის ცვლილებები?

²³ Фото И. Волкова.

²⁴ Фото Н. Вербовской.

სტალინის ხსოვნა და ძეგლები

► როგორ აისახება საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები წარსულისა და ძეგლების მიმართ დამოკიდებულებაზე?

◆ ისტორიული ცნობა

ი. ბ. სტალინი (ი. ჯუღაშვილი) XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ისტორიული პიროვნებაა. მის სახელს უკავშირდება საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოების ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ფურცლები – მასობრივი რეპრესიები. სტალინი ისტორიაში შევიდა, როგორც საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის შემქმნელი, რომელსაც „სტალინიზმი“ ეწოდა. თუმცა, XX საუკუნის მეორე ნახევარში ისევე, როგორც დღეს, სტალინის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შეფასება არაერთგვაროვანია. ანტიჰუმანური და უზნეო პოლიტიკური რეჟიმის დამყარების ბრალდებებთან ერთად, სტალინის ეფექტურ სახელმწიფო მენეჯერად მიიჩნევენ.

XX საუკუნის 30-50-იან წლებში პროპაგანდის მასობრივი საშუალებებით ი. ბ. სტალინის პიროვნების განდიდება კულტურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში, სახელმწიფო დოკუმენტებში, კანონებში, მისი სახელის გარშემო ნახევრად ღვთაებრივის შარავანდედის შექმნამ უზარმაზარი მასშტაბი მიიღო. სტალინი საბჭოთა ლიტერატურის, ფერწერისა და ქანდაკების, მონუმენტური ხელოვნების ჩათვლით, ერთ-ერთი ცენტრალური სახე გახდა. დიდი ზომის სტალინის ძეგლებს, როგორც წესი, დგამდნენ ქალაქების, დაბების, სოფლების ცენტრში, ცენტრალურ მოედნებზე, ქუჩებზე, რომლებიც ხშირად სტალინის სახელს ატარებდა, ადმინისტრაციულ შენობებთან. უფრო პატარა ზომის ძეგლებს დგამდნენ პარკებში, სკვერებში, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ტერიტორიაზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ძეგლებს დგამდნენ რკინიგზის სადგურები იყო. ქალაქებსა და სოფლებს, ქუჩებსა და მოედნებს „ბელადის“ სახელს არქმევდნენ: სტალინგრადი (ვოლგოგრადი), სტალინაბადი (დუშანბე), სტალინირი (ცხინვალი) და ა. შ.

1937 წელს სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა. 1952 წელს გორის ცენტრში, იქ, სადაც ადრე ეკლესია იდგა, სტალინის მონუმენტი აღმართეს. მონუმენტის სიმაღლე კვარცხლბეკიანად 16 მოკავშირე რესპუბლიკის აღსანიშნავად 16 მეტრს შეადგენდა.¹

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს კომპარტიის ლიდერების ბელადისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. 1956 წელს სკკპ-ს XX ყრილობაზე კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა² დახურული მოხსენება წაიკითხა. იგი ეხებოდა სტალინის პიროვნების კულტს და საზოგადოების ლიბერალიზაციისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ დესტალინიზაციის პროცესს, გულაგებიდან³ უამრავი ადამიანის განთავისუფლებასა და პოლიტიკური რეჟიმის შერბილებას

¹ რუსეთ-ფინეთის ომის შემდეგ ფინეთის ოკუპირებულ ტერიტორიასა და კარელიის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1940 წელს შეიქმნა მე-16 მოკავშირე რესპუბლიკა სსრკ-ს შემადგენლობაში შემადგენლობაში – კარელია-ფინეთის სსრ. 1956 წელს დაუბრუნდა ავტონომიის სტატუსი და გარდაიქმნა კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკად რსფსრ-ს შემადგენლობაში.

² ნ. ს. ხრუშჩოვი (1894-1971) – საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სკკპ ცკ-ს პირველი მდივანი 1953-1964 წლებში, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1958-1964 წლებში.

³ გულაგი (ГУЛАГ) – ბანაკების მთავარი სამმართველო, რომელიც 1930-1956 წლებში რეპრესიული ორგანოების შემადგენლობაში შედიოდა; მის ფუნქციაში შედიოდა პატიმართა ბანაკებში განთავსების და მათი იძულებითი შრომის ორგანიზება.

ზოგიერთი მოულოდნელი შედეგიც მოჰყვა. კერძოდ, ნ.ს. ხრუშჩოვს მიაჩნდა, რომ სტალინისა და ბერიას⁴ წყალობით, ქართველები საბჭოთა კავშირში პრივილეგიებულ მდგომარეობაში იყვნენ. სტალინის პიროვნების კულტის გაუქმების ოფიციალურმა კამპანიამ საბჭოთა კავშირში აქტიური ანტიქართული განწყობა გამოიწვია. საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებზე თავდასხმებმა სისტემური ხასიათი მიიღო. ნ. ს. ხრუშჩოვის ბრალდება სტალინის მიერ საკუთარი პიროვნების კულტის შექმნის შესახებ საქართველოში ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფად აღიქვას.

1956 წლის მარტში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში „ბელადის“ გარდაცვალებიდან მესამე წლისთავთან დაკავშირებით დაიწყო მიტინგები და მანიფესტაციები, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა. 9 მარტს ხელისუფლებამ დემონსტრანტები დახვრიტა. დალუპულების ზუსტი რაოდენობა დღემდე უცნობია (150-დან 1000 კაცამდე). იმავე დღეს გაანადგურეს სტალინის ძეგლი თბილისის პარკში, მტკვრის სანაპიროს ახლოს, სადაც მომიტინგეები იკრიბებოდნენ (ძეგლი ტანკით ჩამოაგდეს). 50-იან და 60-იანი წლების პირველ ნახევარში სტალინის ძეგლები საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში აიღეს. 1960-1970-იან წლებში ანტისტალინური გამოსვლები შეწყდა, თუმცა „ბელადის“ სახელის რეაბილიტაცია არ მომხდარა. 1980-იანი წლების ბოლოს, გარდაქმნისა და საჯაროობის პერიოდში, საზოგადოებაში კვლავ დაიწყო ი. სტალინის მოღვაწეობის გააფთრებული კრიტიკა.

1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ „სტალინიზმი“ გაიგივებული იქნა საბჭოთა წარსულთან, რომლის დროსაც „ხალხის ბელადის“ პოლიტიკამ ისევე შეინარა უამრავი ქართველი, როგორც საბჭოთა კავშირის დანარჩენი ხალხები.

ბლოკი 1. საყვარელი ბელადი



1. რას ეწოდა „ძვირფასი საჩუქარი“ (წყარო 1)? რა სძენდა „ამ საჩუქარს“ ღირებულებას?
2. რა შთაბეჭდილებას ახდენს ძეგლი თქვენზე (წყარო 1-ა)?
3. რაზე ლაპარაკობენ ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელი და მუზეუმის დირექტორი (წყაროები 2, 3)? ამ გამოსვლებში რა არის ფაქტი და რა ინტერპრეტაცია?
4. როგორ ფიქრობთ, რა უხაროდათ მონუმენტის მომპირკეთებელთა ბრიგადირსა და VIII კლასელ მოსწავლეს (წყაროები 4,5) ? მოძებნეთ წყაროში შესაბამისი ფრაზები.
5. როგორ ფიქრობთ, რამდენად გულწრფელები იყვნენ გამომსვლელები გრძნობების გამოხატვისას (წყარო 2, 3, 4, 5)? ვის დამოკიდებულებას გამოხატავდა მათი სიტყვები?
6. იყო თუ არა მნიშვნელოვანი მოვლენა გორში ძეგლის გახსნა? რატომ?
7. ვისი ინიციატივა იყო სტალინის მონუმენტის აღმართვა – სახელმწიფოსი თუ მოქალაქეების? პასუხი დაასაბუთეთ.

⁴ ლავრენტი ბერია – საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სტალინური რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი.

წყარო 1 ინფორმაცია ი. ბ. სტალინის მუზეუმიდან

1952 წლის 2 ნოემბერს გორში, ქალაქის ცენტრში გაიხსნა ი. ბ. სტალინის გრანდიოზული მონუმენტი. ძეგლის უკან მდგარი ადმინისტრაციული შენობა ჯერ კიდევ ხარაჩოებში იყო ჩასმული და მისი მთავარი ფასადი ფართო წითელი ქსოვილით დაფარეს. მარჯვნივ და მარცხნივ დაკიდეს ი. ბ. სტალინისა და ვ. ი. ლენინის პორტრეტები, ცენტრში დაამაგრეს ხუთქიმიანი ვარსკვლავი საბჭოთა კავშირის გერბით, ხოლო გარშემო – 16 მოკავშირე რესპუბლიკის დროშები.

გორის მოსახლეობამ ეს ფაქტი დიდი ზეიმით აღნიშნა. ზეიმს ესწრებოდნენ თანამდებობის პირები მოსკოვიდან და თბილისიდან, ასევე მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, შრომის გმირები, უბრალო მოქალაქეები.

საზეიმო მიტინგი გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა დ. რომელაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის დირექტორი, ცნობილი პოეტები გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი და სხვები, რომლებმაც სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს. ცნობილი რუსი მწერალი ვიქტორ გოლცევი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის სახელით მიესალმა მშრომელებს, რომლებმაც ამ დღეებში ძვირფასი საჩუქარი მიიღეს.⁵



წყარო 1ა

ი. სტალინის ძეგლი
ქ. გორის მთავარ მოედანზე⁶

წყარო 2 ნანყვეტი ქ. გორში ი. სტალინის მონუმენტის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან: კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი დ. რომელაშვილი

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბელადის მშობლიური ქალაქის მშრომელები, შეიარაღებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის⁷ ისტორიული გად-ანყვეტილებებით, აღფრთოვანებულნი დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით, უდიდესი ენ-თუზიზმით განაგრძობენ შრომას კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგი სტალინის მითითებათა განუხრელად შესრულებისათვის.

⁵ ი. ბ. სტალინის სახ. სახელმწიფო მუზეუმის ბიულეტენი. №1 (5)/გორი, 2012 – გვ. 54.

⁶ ჟაკ დიუპაკიეს ფოტო. – აღებულია ელექტრონული ჟურნალიდან Записки скучного человека. Путешествия Жака Дюпакье по Советскому Союзу. 1964. Гори-Тбилиси. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://humus.livejournal.com/3294341.html>.

⁷ ეს იყო პირველი ყრილობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 13 წლის შემდეგ, 1952 წელს, ჩატარდა.

კომუნისტური შრომის საუკეთესო მაგალითი გვიჩვენა ლენინის ქალაქის⁸ მონუმენტური სკულპტურის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც სამი თვის განმავლობაში მაღალხარისხოვნად ჩამოასხა ამხანაგ სტალინის ფიგურა.⁹

წყარო 3 ნანყვეტი ქ. გორში ი. სტალინის მონუმენტის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან: ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის დირექტორი ა. სავანელი

ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები უსაზღვროდ ბედნიერები არიან, რომ ცხოვრობენ და შრომობენ იმ ქალაქში, სადაც ჩვენი უძლეველი ეპოქის მაცოცხლებელი მზე ამოვიდა. ჩვენ, ბელადის მშობლიური ქალაქის მცხოვრებლები, ამ სასიხარულო დღეს მივესალმებით დიდ სტალინს და მის მონუმენტთან ვდებთ ფიცს, რომ კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის საქმეში კიდევ უფრო დავირაზმებით დიდი ბელადის ირგვლივ.

გაუმარჯოს ხალხის საყვარელ ბელადს, მშრომელი ხალხის მამას და მასწავლებელს! გაუმარჯოს ჩვენს მზეს – დიდ სტალინს!¹⁰

წყარო 4 ნანყვეტი ქ. გორში ი. სტალინის მონუმენტის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან: მომპირკეთებლების ბრიგადის ბრიგადირი რ. პუგაჩოვი

ამხ. სტალინს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიჰყავს კომუნიზმისაკენ, მშრომელი მასები შეჰყურებენ, როგორც ბედნიერებისა და სიცოცხლის, სიხარულისა და მშვიდობის მარადიულ სიმბოლოს. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ბელადის მონუმენტის მშენებლობა დაავალეს იმ ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. ბრიგადა თავიდანვე ენერგიულად შეუდგა მუშაობას.

ახლა, როცა ჩვენ, მშენებლები, საკუთარი თვალით ვხედავთ ჩვენს ნამოღვაწარს, დიდ სიხარულს განვიცდით. გვინდა მთელი გულითა და სულით დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვუსურვოთ ამხანაგ სტალინს მშრომელთა საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საბედნიეროდ.¹¹

წყარო 5 ნანყვეტი ქ. გორში ი. სტალინის მონუმენტის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან: გორის ქალთა საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ნანული ხახუტაშვილი

ჩვენ თვალწინაა აღმართული მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობის საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის სტალინის მონუმენტი, რის გამოც დიდ სიხარულს განვიცდით გორელი მოსწავლე-ახალგაზრდები, რადგანაც ღრმად გვწამს, რომ სტალინი – ეს ჩვენი ბედნიერი დღევანდლობის და კიდევ უფრო უკეთესი მომავლის მარადიული სიმბოლოა.¹²

⁸ იგულისხმება ლენინგრადი, დღეს სანკტ პეტერბურგი.

⁹ გაზეთი „სტალინელი“ – საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტისა და გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო. 1952 წ. 4 ნოემბერი, №219, გვ. 1.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

ბლოკი 2. 1956 წელს



8. ისტორიული ცნობისა და ბლოკის მასალის გამოყენებით, განსაზღვრეთ 1956 წელს თბილისში მომხდარი მოვლენების არსი და მიზეზები.
9. რაში ადანაშაულებს თავის მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვი სტალინს (წყარო 6)? რამდენად დასაბუთებულია ბრალდება?
10. რა განწყობაზე მიუთითებს თავის დღიურში საბჭოთა პოეტი ტვარდოვსკი (წყარო 7)? როგორ გესმით ავტორის სიტყვები „დანაშაულის გრძნობაც, შიშიც და ფარული ტკივილიც“? რა თემას გულისხმობს პოეტი, როდესაც ამბობს: მას „გვერდს ვერ აუვლი“? ვისთვის არის ეს თემა ტაბუ და რატომ?

წყარო 6 ნაწყვეტი ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლიდან XX ყრილობაზე

სტალინისთვის უცხო იყო ლენინის თვისებები – ადამიანების ნაბიჯ-ნაბიჯ და მოთმინებით აღზრდა, ხალხის დარწმუნების უნარი არა იძულებით, არამედ მთელი კოლექტივის მიერ იდეური ზემოქმედების გზით. სტალინი უგულვებელყოფდა დარწმუნებისა და აღზრდის მეთოდს, იდეური ბრძოლიდან გადადიოდა ადმინისტრაციულ დათრგუნვაზე, მასობრივ რეპრესიებზე, ტერორზე. იგი სულ უფრო ფართოდ და დაჟინებით მოქმედებდა დამსჯელი ორგანოების მეშვეობით, ამასთანავე, ხშირად არღვევდა ზნეობის ნორმებს და საბჭოთა კანონებს. ათასობით უდანაშაულო საბჭოთა ადამიანი ემსხვერპლა მის თავნებობასა და უკანონობას. და ყველაფერი ეს კეთდებოდა „ქართველი ხალხის დიადი შვილის“, როგორც მას ქართველები უწოდებდნენ, სტალინის „გენიალური“ ხელმძღვანელობით.¹³

წყარო 7 საბჭოთა პოეტი საქართველოს განწყობის შესახებ სკკპ-ს XX ყრილობის შემდეგ: ა. ტ. ტვარდოვსკი, ივლისი, 1962წ.

მთავარი შთაბეჭდილება – ერთგვარი სევდის ბურუსი, გამოუთქმელი, მიმალული რაღაც, რაზეც არც სიტყვა თქმულა და არც ლექსი შექმნილა. სტალინური ხანა უზარმაზარი კომპენსაცია იყო ქართველი პატრიოტების (თუ ნაციონალისტების?) ეროვნული თავმოყვარეობისთვის დიდი ხნის წინ განვლილ დიდებაზე ისტორიული სევდის გამო. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ის მათ ისევე, როგორ სხვებს, თუ მეტად არა, ჩაგრავდა და არც სურდა, რომ ქართველად ჩაეთვაღათ.

სტალინის შემდეგ ხალხებს შორის პირველობის დაკარგვის, შემდეგ კი დანაშაულის, შიშის და ფარული ტკივილის გრძნობამ დაისადგურა. და სრული დუმილი. როგორც მეჩვენა, არავინ შეეცადა, ამ თემას შეხებოდა, მაგრამ გვერდს ხომ ვერ აუვლი... მიაჩნიათ, რომ ეს თემა მათთვის ტაბუირებულია. პოეზიას კი არ გამოსდის თავის მოკატუნება, რომ არაფერი ყოფილა და არაფერი მომხდარა. რაღა დროს ეს თემაა, როდესაც ნაციონალიზმში ბრალი რომ არ დასდონ, მაღაზიებში ხორცის არარსებობაზეც კი აღარ ლაპარაკობენ...¹⁴

¹³ Газета «Правда». 1956 год, 15 февраля, № 46, с. 1-3.

¹⁴ Л. М. Млечин. Министры иностранных дел. Внешняя политика России. От Ленина и Троцкого до Путина, и Медведева. М., 2011. ელექტრონული ვერსია. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://sci-book.com/vneshnyaya-politika/vosstanie-1956-goda-58771.html>.



11. რა გრძნობებს იწვევს თქვენში თვითმხილველების მოგონებები (წყარო 8)?
12. ყველაზე მეტად რა აოცებს ქართველ პუბლიცისტს 1956 წლის თბილისის მოვლენებში (წყარო 9)?
13. რა მოთხოვნები ჰქონდათ მარტის პროტესტის მონაწილეებს თბილისში (წყარო 10)? როგორ შეიძლებოდა აღქმულიყო ეს მოთხოვნები საქართველოს გარეთ? რატომ?
14. რისთვის იხდის პოეტი ბოდიშს (წყარო 11)?
15. როგორ შეესაბამება ერთმანეთს წყაროები 6, 7, 8, 9, 10 და 11?

წყარო 8 თანამედროვე მოგონებები თბილისის მოვლენების შესახებ

1956 წლის თებერვალში ხრუშჩოვმა ღიად დაადანაშაულა სტალინი მასობრივ რეპრესიებსა და ხალხების გადასახლებაში. ერთი თვეც არ გასულა, რომ თბილისის ცენტრში სტალინის ოცდაათმეტრიან მონუმენტთან უკმაყოფილო ხალხმა იწყო შეკრება.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე. 9 მარტს ქალაქში ყველა ფაბრიკამ და ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა, დაიხურა სკოლები და ინსტიტუტები. ყველა მიტინგზე მიდიოდა სტალინის სახელის დასაცავად. მათ შორის იყვნენ ლეილა მათიაშვილი და მისი ძმა ჯემალი. მას ცოტა ხნით ადრე 16 წელი შეუსრულდა და, როგორც ახლა თავად იხსენებს, თითქმის არავის ესმოდა, რა ხდებოდა და რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ყველაფერს. 9 მარტის ღამეს მიტინგზე ახალგაზრდების 20-კაციანი ჯგუფი შეიქმნა. მათ უნდა დაეკავებინათ მთავარი ტელეგრაფის შენობა და მსოფიოსთვის შეეტყობინებინათ ქართველი ხალხის გადაწყვეტილების შესახებ საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ. სწორედ მაშინ დაიწყო სროლა.

„თითქოს ქალაქის პაკეტები სკდებოდა, ისეთი ხმა იყო. მეზობლებთან ერთად ფანჯრებიდან დავინწყეთ ყურება. ჯარისკაცებმა ფარდის უკან დაგვინახეს და ჩვენს ფანჯრებს ტყვიები დაუშინეს. მახსოვს, რომ დილას ქუჩაში უკვე ტანკები დადიოდა. მამაჩემი ჩემს ძმას საავადმყოფოებში ეძებდა. მისი სხეულის ნარჩენები მიხეილის საავადმყოფოს მორგში აღმოაჩინა. მამამ მხოლოდ ფეხსაცმლის ლანჩით იცნო თავისი შვილი“, – იხსენებს მათიაშვილი. თბილისში კომენდანტის საათი დაანესეს. დახვრეტილების ახლობლებს პანაშვიდისა და დაკრძალვის უფლება არ მისცეს. ლეილა იხსენებს, რომ ერთი კვირის შემდეგ, დილის 8 საათზე მათთან მივიდა სასწრაფო დახმარების მაქანა, რომელშიც მისი ცხრამეტი წლის ძმის ცხედარი ესვენა კუბოში. დედა და მამა მანქანაში ჩასვეს და სასაფლაოზე წაიყვანეს.¹⁵


წყარო 9 ქართველი პუბლიცისტი 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შესახებ

1956 წლის 9 მარტს თბილისში, სტალინის ერთგული მოსწავლისა და თანამებრძოლის ნ. ს. ხრუშჩოვის მმართველობისას, გაფრთხილების გარეშე, დაუნანებლად დაუშინეს ტყვიები (თანაც სასკდომი!) ასობით მოზარდსა და ახალგაზრდას. ისინი შეიკრიბნენ იმ ადამიანის – სტალინის სახელის დასაცავად, რომლის შესახებ ბავშვობიდან უნერგავდნენ, რომ ის იყო საბჭოთა ხალხის მოსიყვარულე მამა, გენიალური ბელადი და მასწავლებელი, საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარი... ისტორიამ ზუსტად იცის, რამდენი

¹⁵ В Грузии вспоминают события 9 марта 1956 года. – ელექტრონული გაზეთი «Эхо Кавказа»: 09.03.2010 -<http://www.ekhokavkaza.com/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.ekhokavkaza.com/content/article/1978843.html>.

ადამიანი დაიღუპა 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში,¹⁶ მაგრამ მხოლოდ დაახლოებითაა ცნობილი, რამდენი დაიღუპა ნახევარი საუკუნის შემდეგ – 1956 წლის 9 მარტს თბილისში. უამრავი ცხედარი მტკვრის მღვრიე წყალს გაჰყვა კასპიის ზღვაში.¹⁷

წყარო 10 სსრკ-ს სუკის საიდუმლო მასალებიდან



საქართველოს მომდინგეთა მოთხოვნებიდან:

1. აღდგეს სტალინური პრემია;
2. აღდგეს კონსტიტუციის ნამდვილი სახელი – სტალინური კონსტიტუცია;
3. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში სრულად შევიდეს სტალია ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ;
4. 9 მაისს ენოდოს სტალინური გამარჯვების დღე...

1. სტალინის სახელი ენოდოს:
 - ა) ამიერკავკასიის რკინიგზას;
 - ბ) ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას;
 - გ) სამტრედიას – ქ. ჯუღაშვილი;
 - დ) უნივერსიტეტის ქუჩას – სტალინის გამზირი;
 - ე) ქუთაისის ავტოქარხანას;
 - ვ) სოხუმის მთას დაუბრუნდეს სტალინის სახელი;
 - ზ) დინამოს სტადიონს ენოდოს სტალინის სახელი;
 - თ) ქ. თბილისის პიონერთა სასახლეს;
2. ქალაქის ცენტრში მოეწყოს მოედანი სტალინის მონუმენტური ძეგლით.¹⁸

წყარო 11 ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის ლექსი მიძღვნილი თბილისის 9 მარტის მოვლენებისადმი

„სამშობლოვ შეეცდი და მაპატიე...
მტკვართან აპრილი არ მოვა წლეულს,
ნაპირებს კვებავს სისხლის ტბორები,
და საქართველოს დაჩეხილ სხეულს
ჭრილობებს ვბან და ვეამბორები“.

¹⁶ იგულისხმება ე. წ. „სისხლიანი კვირა“ – 1905 წლის 9 იანვარი, რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი.

¹⁷ Буачидзе К. Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву и другие послания с картинками в черно-белом цвете /К. Буачидзе. Тбилиси.: Ганатлеба, 1989. – с. 61.

¹⁸ К 55-летию мятежа сталинцев в Грузии. – ელექტრონული რესურსი Amnesia. Лучшее из прошлого. Рубрика Сталиниана -<http://www.pavelbers.com/Staliniana%2019.htm>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://news.nswap.info/wp-content/uploads/2011/03/stgr1.jpg>.

ბლოკი 3. უძრობისა და გარდაქმნის ეპოქებში¹⁹

16. რა არის ავტორის მოსაზრების მთავარი იდეა (წყარო 12)?
17. რაში გამოიხატება სტალინის პიროვნების წინააღმდეგობრივი ხასიათი (წყარო 13)? სტალინის პიროვნების დახასიათებაში რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რატომ?
18. რა აერთიანებს წყაროებს 12-14? რა ცვლილებებს ატყობთ სტალინისადმი დამოკიდებულებაში დღეს?
19. ისტორიულ ცნობასა და საბჭოთა ხანის ისტორიაში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, კომენტარი გაუკეთეთ წიგნის სახელწოდებას, გამოცემის თარიღს (წყარო 15).
20. რას ეხება ნაწყვეტი კრებულის სტატიიდან (წყარო 16)? თქვენი აზრით, რატომ ჩართეს ეს ინფორმაცია კრებულში „სტალინის კულტის გააზრება“ (წყარო 15)?
21. როგორ შეესაბამება ერთმანეთს წყაროები 15 და 12, 13, 14?
22. როგორ შეიძლება ასახულიყო სტალინისადმი დამოკიდებულების ცვლილება ამ ისტორიული მოღვაწის ძეგლებისადმი დამოკიდებულებაზე? პასუხი დაასაბუთეთ.

წყარო 12 ცნობილი საბჭოთა მწერლის კ. სიმონოვის მოსაზრებები სტალინზე 1965 წელს

ლიტერატორმა ხელი არ უნდა მოკიდოს ომის ისტორიის წერას, თუ არ გაითვალისწინა ომის შესახებ მძიმე სიმართლის ნაწილი, რაც ეხება სტალინის ხელმძღვანელ როლს ომში. ჩვენი ვალია, ობიექტურად, დოკუმენტებსა და ცოცხალი მოწმეების მონათხრობზე დაყრდნობით, გავაანალიზოთ ამ როლის ყველა პლუსები და მინუსები, ამ არცთუ მასშტაბური პიროვნების არც კარგი და არც ცუდი მხარეები გავაზვიადოთ და/ან დავამცროთ. ვფიქრობ, სწორი არ არის თანამედროვე პუბლიკაციებში სტალინის გვარის მოცილება იმ დოკუმენტებიდან, რომელთაც იგი ხელს აწერდა, როგორც უმაღლესი მხედართმთავარი. ან ზოგჯერ, როდესაც პირადად მასზეა ლაპარაკი, მისი გვარი შეიცვალოს სიტყვით „შტაბი“: „შტაბმა“ გადაწყვიტა, „შტაბიდან“ დარეკეს. ნათელია, რომ როდესაც ამას აკეთებენ, სუბიექტურად ამას მიიჩნევენ პიროვნების კულტთან ბრძოლად.²⁰

წყარო 13 საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის ა. ა. გრომიკოს მოსაზრება²¹

სტალინის პიროვნება იწვევს და კიდევ ათწლეულების, თუ საუკუნეების არა, განმავლობაში გამოიწვევს განსხვავებულ მოსაზრებებს, მათ შორის, ურთიერთსაწინააღმდეგოსაც. ეს მასშტაბური ადამიანი, რა თქმა უნდა, მოვლენაა ისტორიაში.

სტალინის სახელით თავს წირავდნენ წითელარმიელები და პარტიზანები, რომ სამშობლო დაეცვათ ფაშისტებისგან. ერთი მხრივ – ძლიერი ინტელექტის, რკინისებური ნების

¹⁹ უძრობის ხანა – ე. წ. განვითარებული სოციალიზმის პერიოდი ლ. ი. ბრეჟნევისა და მისი მემკვიდრეების (1964-1987 წლის იანვარი) მმართველობისას. გარდაქმნა (პერესტროიკა) – მ. გორბაჩოვის მიერ 1987-1991 წლებში ინიცირებული ახალი საბჭოთა იდეოლოგიისა და რეფორმების ზოგადი სახელი.

²⁰ Симонов К. М. Глазами человека моего поколения. Размышления о И. В. Сталине/К. М. Симонов. Москва: Изд. Агентства печати Новости, 1988 – с. 305-306.


²¹ ა. ა. გრომიკო – სახელმწიფო მოღვაწე, 1957-1985 წლებში სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი, 1986-1988 წლებში სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მქონე რევოლუციონერი, ხელმძღვანელი, რომელიც უდრეკი სიმტკიცით ახერხებდა სახ-
იფათო და ძლიერი მტრის დამარცხებას, ომის წლებში ამჟღავნებდა მოკავშირეებთან
ურთიერთგაგების მიღწევის უნარს, ომის შემდეგ კი ქვეყნას ღირსეული ადგილი დაუმ-
კვიდრა მსოფლიოში. მეორე მხრივ – ეს იყო სასტიკი, ცბიერი ადამიანი, რომელიც არ
ითვლიდა იმ მსხვერპლის რაოდენობას, რომელსაც დასახული მიზნის მისაღწევად წირა-
ვდა, წარმოუდგენელი თვითნებობის შემოქმედი, რომელმაც უამრავი საბჭოთა ადამიანის
სიცოცხლე იმსხვერპლა – ასეთი იყო პიროვნების კულტის შედეგი. ქვეყანა და ხალხი,
რა თქმა უნდა, არასდროს აპატიებს მას უკანონობასა და კომუნისტების თუ უპარტიოე-
ბის, სრულიად უდანაშაულო პატრიოტების, სოციალიზმის საქმისადმი ერთგული ხალხის
განადგურებას.²²

წყარო 14 მოგონებებიდან „უძრაობის“ ეპოქის შესახებ

ლ. ბრეჟნევის მმართველობის დასაწყისიდან (1964 წ.) პიროვნების კულტმა აქტუალობა
დაკარგა. ხელისუფლება საზოგადოებაში ამ წინააღმდეგობრივ და რეზონანსულ საკითხზე
ვნებათაღელვას ერიდებოდა. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, სტალინის სახელს
არ ახსენებდნენ. მაგალითად, 1965 წლის მაისში ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავთან
დაკავშირებით ლ. ბრეჟნევის მიერ წაკითხულ მოხსენებაში ფრაზა „საბჭოთა ხალხის დიდი
ბელადი, ორგანიზატორი და მხედართმთავარი“ ეხებოდა არა სტალინს, არამედ კომუ-
ნისტურ პარტიას. სტალინის სახელი შეიტანეს დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, მაგრამ
მის შესახებ სტატია იყო ნეიტრალური და არც განდიდებდა მას და არც აკრიტიკებდა.
1979 წელს სტალინის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა ტელევიზია,
პრესა და რადიო მოკლე ინფორმაციით შემოიფარგლა, არანაირი საზეიმო ღონისძიება არ
გამართულა.²³

წყარო 15 მოსკოვში 1989 წელს გამოცემული კრებულის ყდა (წიგნის სათაური „სტალინის კულტის გააზრება“)



²² А.А.Громыко. Памятное. Новые горизонты. Книга 1. М.: 2015 – წიგნის ელექტრონული ვერსია. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.litmir.co/br/?b=254413>.

²³ ნაწყვეტი ოთარ ჯანელიძესთან (60 წლის) ინტერვიუდან, ჩანერილია ლელა კაკაშვილის მიერ თბილისში 2014 წლის 26 მარტს.

წყარო 16 სტატიების კრებულიდან „სტალინის კულტის გააზრება“ მეორე მსოფლიო ომის შესახებ

სტალინი და მისი ექო მოლოტოვი²⁴ ლაპარაკისას და სადღეგრძელოებში ლამის ღიად განადიდებდნენ ჰიტლერულ გერმანიას, იტალიას და ჩვენს მეგობრობას მათთან. პასუხად რიბენტროპი²⁵ აცხადებდა, რომ გერმანიის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიას ერთი საერთო (!) აქვს – დასავლეთის კაპიტალისტური დემოკრატიების ოპოზიცია (!). ფაშისტური დიპლომატია ეთანხმებოდა სტალინის ბრძნულ გადაწყვეტილებას, როცა ებრაელი ლიტვინოვი²⁶ მოხსნა და მის ადგილას არიელი მოლოტოვი დანიშნა... აი, რას ამბობდა ჰიტლერის ერთ-ერთი მაღალი რანგის დიპლომატი ფონ ბ.: „დაესხა რა თავს 1939 წლის 30 ნოემბერს ფინეთს, მან (სტალინმა) მძიმე მდგომარეობაში ჩაგვყენა, რადგან ფინეთთან გერმანელებს ძველი მეგობრობა გვაკავშირებდა! მაგრამ ჩვენ ფინელები გავწირეთ, რადგან სწორედ სტალინთან კავშირი მატებდა ფიურერს²⁷ ძალასა და თავდაჯერებულობას! და, რა თქმა უნდა, ჩვენ მისი მადლიერები ვართ ტონობით პურის, ნავთობის, ქრომისა და მარგანეცის გამო“.²⁸

ბლოკი 4. სტალინის ძეგლი: დარჩეს თუ არა?



23. წყაროების 17-18 გამოყენებით იმსჯელეთ, რატომ აიღეს გორში ლენინის და არა სტალინის ძეგლი. განსაზღვრეთ სახელმწიფოს პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით.
24. როგორ შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება „ბელადისა“ და მისი ძეგლისადმი? წყაროების 19, 20, 21, 22 გამოყენებით, განსაზღვრეთ „ბელადის“ ძეგლისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილების შესაძლო მიზეზები. აქვს თუ არა მნიშვნელობა ასაკს, წარსულისადმი, კერძოდ, სტალინის პიროვნებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისას? პასუხი დაასაბუთეთ.

წყარო 17 ქ. გორის მცხოვრების მოგონებებიდან

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მოსკოვიდან ჩამოვიდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისია, რომელსაც რესპუბლიკაში პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა უნდა შეესწავლა. საკითხის განხილვის დროს, სხვა მომენტებთან ერთად, ყურადღება მიექცა იმას, რომ წარმოება-დანესებულებებში მრავლად იყო იოსებ სტალინის ფოტოსურათები.. თათბირის შემდეგ, სალამოს საათებში, ჩამოიხსნა რკინიგზის ვაგზლის წინ გამოფენილი პორტრეტი, ხოლო სარკინიგზო სალაროს მიმდებარე მოედნიდან თაბაშირის დიდი ზომის ძეგლის გატანისას სამუშაოს შემსრულებლებს იგი დაემსხვრათ,

²⁴ ვ. მ. მოლოტოვი – სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი 1939-1949, 1953-1956 წლებში.

²⁵ იოახიმ ფონ რიბენტროპი – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1928-1945 წლებში.

²⁶ მ. მ. ლიტვინოვი – სსრკ-ს საგარეო საქმეთა ნარკომი (მინისტრი) 1930-1939 წლებში.

²⁷ გერმანულად ნიშნავს „ბელადს“, „ლიდერს“. გერმანიაში 1934-1945 წლებში სახელმწიფოს მეთაურისა და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ლიდერის – ჰიტლერის ოფიციალური ტიტული.

²⁸ Капустин М. К феноменологии власти. Психологические модели авторитаризма: Грозный _ Сталин _ Гитлер./ Осмыслить Культ Сталина. М.: Прогресс, 1989 – с. 387-388.

რასაც რამდენიმე მოქალაქე შეესწრო. ცენტრალური მოედნის მიმდებარე ბინებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა დაინახეს, როგორ იკრიბებოდნენ საგანგებო თათბირზე მაშინდელი თანამდებობის პირები და რომელიღაცამ, ალბათ, იფიქრა, რომ აპირებდნენ იოსებ სტალინის მონუმენტის აღებას. ჭორი სწრაფად მოედო ქალაქს და სულ მცირე ხნის შემდეგ ცენტრალურ მოედანზე მოქალაქეთა შეკრება დაიწყო. დაახლოებით ერთ საათში ცენტრალური მოედანი მომიტინგეებით აივსო. მიტინგები 3-4 დღე გაგრძელდა. სხვათა შორის, არავითარი ექსცესი მაშინ არ მომხდარა. მოქალაქეები, მათი განცხადებით, არ დაიშლებოდნენ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ, რომ ძეგლს აღების საშიშროება არ ემუქრებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ მიტინგები შეწყდა, ი. სტალინის ძეგლი თავის ადგილას დარჩა. ერთადერთი, რაც ამ მიტინგებს მოჰყვა, იყო ქალაქის პარტიული ხელმძღვანელის დავით ჩუბინიშვილის ჩამოცილება პარტიული საქმიანობიდან და მისი ჯერ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში გადაყვანა, რამდენიმე თვის შემდეგ კი, საერთოდ ჩამოცილება მაღალი პარტულ-სამეურნეო საქმიანობიდან.²⁹

წყარო 18 მოგონებებიდან ლენინის ძეგლის შესახებ

ახლა მახსენდება, რომ 1991 წლის გაზაფხული იყო. ხალხში ხმა დაირხა, სტალინის ძეგლი უნდა აიღონო. მოსახლეობამ უარყოფითად აღიქვა ეს ამბავი და შეკრება დაიწყო გორის მთავარ მოედანზე, ი. ბ. სტალინის მონუმენტის გარშემო. მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელმა ს. კავსაძემ. თბილისიდან დემონტაჟისთვის საჭირო ტექნიკაც უკვე ჩამოტანილი იყო. იგი გამოვიდა ხალხის წინაშე და ეს ტექნიკა ლენინის ძეგლის აღებისთვის გამოიყენა. აი, ასე, სტალინის ძეგლის მაგივრად ლენინის ძეგლის დემონტაჟი მოხდა.³⁰

წყარო 19 „გორის კედელი“, 2009 წ.³¹

უკვე მეორე დღეა, გორის ცენტრალურ მოედანზე ბერლინის კედლის მსგავსი³² კედელია აგებული, რომელზეც ომის (რუსეთ-საქართველოს 2008 წლის – რედ.) ამსახველი ფოტოები გამოფენილი. კედელი ორ ნაწილად არის გაყოფილი და შუაში სტალინის ძეგლია მოქცეული. გამოფენის ორგანიზატორების აზრით, ეს შემთხვევითი არ არის, რადგან სტალინის მონუმენტიც ბერლინის კედლის ნაწილია.

ორად გაყოფილ კედელში, სტალინის მონუმენტის წინ, გორელი და თბილისელი ახალგაზრდები ჩადგნენ და ტრანსპარანტები გაშალეს. ოცამდე ახალგაზრდამ ძეგლის ცენტრალური მოედნიდან მუზეუმის ტერიტორიაზე გადატანა მოითხოვა. სტუდენტებმა გაავრცელეს ხელისუფლებისადმი მიმართვა, სადაც აღნიშნულია, რომ შარშან, აგვისტოს დღეებში,³³ გორს სტალინის პოლიტიკური მემკვიდრეები ბომბავდნენ, ამიტომ, მათი აზრით, სტალინის

²⁹ ნაწყვეტი მალხაზ გოჩაშვილთან (59 წლის) ინტერვიუდან, ჩანერილია ლელა კაკაშვილის მიერ თბილისში 2013 წლის 21 ივნისს.

³⁰ ნაწყვეტი პენსიონერ ჯემალ ნუცუბიძესთან ინტერვიუდან, ჩანერილია ლელა კაკაშვილის მიერ თბილისში 2013 წლის 10 აგვისტოს.

³¹ კედელი, ბერლინის კედლის მსგავსი, 2009 წელს აშენდა გორში სტალინის მონუმენტის წინ. მასზე გამოფენილია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი ფოტოები.

³² ბერლინის კედელი – საინჟინრო ნაგებობა ბერლინში, რომელი სახელმწიფო საზღვრის როლს ასრულებდა გდრ-სა და დასავლეთ ბერლინს შორის 1961-1989 წლებში. იქცა ცივი ომის სიმბოლოდ.

³³ აქ: რუსეთ-საქართველოს ომი 2008 წლის აგვისტოში.

მონუმენტი არ იმსახურებს ქალაქის ცენტრში დგომას და მისი ადგილი მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზეა. თუმცა, საზოგადოების მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ საბჭოთა ბელადის მონუმენტი გორის ცენტრალურ მოედანზე უნდა დარჩეს, რადგან ის „ქართველი იყო და მსოფლიოში ძლევამოსილი იმპერია შექმნა“. კომუნისტების ლიდერის აზრით, მისი ბედი მხოლოდ გორელებმა უნდა გადაწყვიტონ. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მონუმენტის კვარცხლბეკზე წითელი საღებავით გააკეთა წარწერა „ჩამოკვარცხლბეკდი, სოსელო!“ (ასე ეძახდნენ მოფერებით ბავშვობაში – რედ.) თუმცა, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ახალგაზრდები მალევე დაიშალნენ, სექტემბრისთვის კი – თუ ძეგლის გადატანა მანამდე არ მოხერხდა – ახალი ფართომასშტაბიანი აქციების მოწყობით დაიშუქრნენ.³⁴

წყარო 20 სტუდენტის მოსაზრება

იმ ადამიანის ძეგლი, რომელმაც კარგი კი არა, ძალიან ბევრი ცუდი გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის, არ უნდა იდგას ქალაქის ცენტრში. ეს უბრალოდ სამარცხვინოა, ჩვენს პრესტიჟს ლახავს. ჩვენ ომი წავაგეთ პუტინთან, რომელიც სტალინის იდეური შვილი, მისი საქმეების გამგრძელებელია. სტალინის ძეგლი გორში იგივეა, რაც ჰიტლერის ძეგლი იერუსალიმში. ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა სტალინის მიერ განხორციელებული რეპრესიების მსხვერპლი.³⁵

წყარო 21 პენსიონერის მოსაზრება

ხრუშჩოვის მიერ სტალინის „პიროვნების კულტის“ გამოაშკარავებაზე ლაპარაკისას ჩერჩილმა თქვა: „ხრუშჩოვმა ომი წამოიწყო მიცვალებულთან და წააგო“. იგივე ომი წააგეს მათ, ვინც დღეს ცილს სწამებს სტალინს.³⁶

წყარო 22 არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლების ინსტიტუტის“ აქტივისტის თეა თუთბერიძის მოსაზრება

სამწუხარო იყო, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ასე სასწრაფო წესით რეცხავდნენ და ხეხავდნენ საღებავის კვალს სტალინის ძეგლზე მაშინ, როცა უცნობმა პირებმა ღამით შეამკეს. საინტერესოა, ვინ დაავალა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ეს? სტალინის ძეგლი არა მარტო საღებავის შესხმას, არამედ უფრო მეტსაც იმსახურებს. სირცხვილია, პირველ რიგში, გორელებისთვის, რომ სტალინის ძეგლი დღეს გორში ცენტრალურ მოედანზე დგას!³⁷

³⁴ გოგა აფციაური. „ჩამოდი კვარცხლბეკიდან, სოსელო!“ გორელი სტუდენტები სტალინის წინააღმდეგ. ელექტრონული რესურსი <http://www.radiotavisupleba.ge> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1795545.html>.

³⁵ ნაწყვეტი ინტერვიუდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ნათია ტლაშაძესთან (21 წლის), ჩანერილია ლელა კაკაშვილის მიერ თბილისში 2013 წლის 10 აგვისტოს.

³⁶ ნაწყვეტი ინტერვიუდან პენსიონერ რობინზონ რინოშვილთან (70 წლის), ჩანერილია ლელა კაკაშვილის მიერ თბილისში 2013 წლის 27 სექტემბერს.

³⁷ გორში სტალინის ძეგლი დავას იწვევს, – რადიო „ამერიკის ხმის“ ახალი ამბები. ელექტრონული რესურსი <http://www.amerikiskhma.com>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.amerikiskhma.com/content/a-54-2009-12-01-voa13-93116549/524528.html>.



25. როგორ ფიქრობთ, რატომ აიღეს ძეგლი ღამით (წყაროები 23,24)?
26. ვინ, მოსახლეობის რომელი ჯგუფებია დაინტერესებული გორში სტალინის ძეგლის დაბრუნებით (წყაროები 25, 27, 28)? რა გრძნობები შეიძლება გამოიწვიოს ამ ადამიანებში წყარო 27-მა? რა ემოციას იწვევს ეს ფოტო თქვენში?
27. როგორ გესმით ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოსაზრება „პრიმიტიული, ადგილობრივ-პატრიოტული სიმპათიის“ შესახებ (წყარო 29)? რით ხსნის ავტორი ქართველებში სტალინის პოპულარობას?
28. როგორ შეესაბამება ერთმანეთს წყაროებში 29 და 30 გამოთქმული მოსაზრებები?



წყარო 23 სტალინის ძეგლის დემონტაჟი ქ. გორში, 25.06.2010³⁸

წყარო 24 მასმედიის ინფორმაციიდან

გორელმა სტალინისტებმა და კომუნისტებმა მხოლოდ დილით შეიტყვეს, რომ წუხელ საბჭოთა დიქტატორის მონუმენტის დემონტაჟი მოხდა. მოხუცებულები ცრემლებს ვერ იკავებდნენ და აცხადებდნენ, რომ ის, რაც ხრუშჩოვმა 1956 წელს ვერ შეძლო, სააკაშვილმა წუხელ შეასრულა. ღამის ორ საათზე სტალინის მონუმენტის დემონტაჟს გორელების ნაწილი აპლოდისმენტებით შეხვდა, მათი აზრით, ძეგლი უფრო ადრეც უნდა აეღოთ ცენტრალური მოედნიდან. •1 წლის წინათ ახალგაზრდების ნაწილმა დაიწყო აქცია მონუმენტის მუზეუმში გადატანის მოთხოვნით, დღეს ეს ახალგაზრდები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. გორელების დიდი ნაწილი ღამის საათებში ძეგლის დემონტაჟის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდა. მათი აზრით, ჯერ გადანაცვტილება უნდა ყოფილიყო მიღებული, წინასწარ მომზადებულიყო სათანადო ადგილი და შემდეგ განხორციელებულიყო დემონტაჟი.³⁹

³⁸ Библиотека изображений РИА Новости <http://visualrian.ru/ru>.

³⁹ ნესტან ცეცხლაძე. სტალინის ძეგლის ადგილსამყოფელი უცნობია. – ელექტრონული რესურსი <http://www.netgazeti.ge/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.netgazeti.ge/GE/14/News/1791/>.

წყარო 25 საქართველოს მასშტაბის ინფორმაციიდან, 21 დეკემბერი, 2010 წ.

გორში ეძებენ იოსებ სტალინის ძეგლს, რომელიც წელს ივლისში დემონტაჟის შემდეგ დაიკარგა. დღეს ხალხთა ბელადს 131 წელი შეუსრულდებოდა. კომუნისტებისთვის ღირსსახსოვარ დღეს გორელმა პენსიონერებმა მიტინგის მოწყობა გადაწყვიტეს... რამდენიმე ათეული ადამიანი გორის მთავარ მოედანზე შეიკრიბა. კომუნისტებმა და უბრალოდ სტალინის თაყვანისმცემლებმა საპროტესტო აქცია გამართეს ბელადის ძეგლის თავის ადგილზე დაბრუნების მოთხოვნით.

ხელში ყველას პლაკატები და ბელადის პორტრეტები ეჭირა. შეკრებილების თქმით, ვერავინ ეუბნება მათ, სად არის სტალინის ძეგლი. „სტალინის დაბადების დღე წმინდა დღეა, ყოველ წელს ვზეიმობთ. სტალინი უბრალო ხალხის გადამრჩენელი იყო. ახლა იმდენი უბედურება ხდება, იმიტომ რომ ის აღარ არის“, – განაცხადა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ნუგზარ ავალიანმა.

იოსებ სტალინის ძეგლი მოხსნეს 2010 წლის 25 ივნისს. მაშინ გორის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მის ადგილას 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა და სტალინის რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალი აღიმართებოდა. თუმცა მონუმენტი ნახევარი წლის შემდეგაც არ დაუდგამთ.⁴⁰

წყარო 26 სტალინის ძეგლი ინდუსტრიული ზონის მიტოვებულ ტერიტორიაზე, გორიდან 7კმ-ს დაშორებით⁴¹

⁴⁰ В Грузии потеряли памятник Иосифу Сталину. ელექტრონული რესურსი <http://mir24.tv/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://mir24.tv/news/society/8291>.

⁴¹ Война памятников по-грузински. – ელექტრონული რესურსი <http://www.stena.ge/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.stena.ge/blog/vojna-pamyatnikov-po-gruzinski-80-zhitelej-za-pamyatniki-stalinu>.

წყარო 27 რუსული პროკომუნისტური მასმედიის ინფორმაციიდან

2013 წლის 4 ივლისს მოენყო მიტინგი მოთხოვნით, კვლავ დაიდგას სტალინის მონუმენტი მშრომელების დიდი ბელადის მშობლიური ქალაქის მთავარ მოედანზე. აქციას შეუერთდნენ რეგიონის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის წარმომადგენლები. მიტინგი მოაწყვეს ერთიანმა კომუნისტურმა პარტიამ და საინიციატივო კომიტეტმა, რომელშიც გაერთიანდნენ გორის ავტორიტეტული მცხოვრებლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები: „ეგოროვი და ქანთარია“, „ახალი მემარცხენეები – საქართველო სახალხო-პატრიოტული მოძრაობა“, „საქართველოს მშვიდობის კომიტეტი“.

ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა მოითხოვს, აღდგეს სტალინის მონუმენტი, როგორც სამართლიანობის, ხალხების მეგობრობის, რუსეთ-საქართველოს მეგობრობის, მშვიდობისა და სტაბილურობის სიმბოლო. გორის ტელეარხის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გორისა და გორის რაიონის მოსახლეობის 80% მხარს უჭერს ამ იდეას. ასეთივე შედეგი იქნება მთელი საქართველოს გამოკითხვის შემთხვევაში.⁴²

წყარო 28 მასმედიის ინფორმაციიდან, 10.09.2013 წ.

საქართველოში ქ. თელავის მუნიციპალიტეტმა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალთან სტალინის ძეგლის დემონტაჟის გადაწყვეტილება მიიღო. ძეგლი სექტემბრის დასაწყისში, ქალაქის ხელისუფლების სანქციის გარეშე, ვეტერანებმა აღმართეს. მეორე დღეს უცნობებმა მონუმენტს ნარინჯისფერი საღებავი შეასხეს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა კი განაცხადა, რომ ძეგლის აღდგენა უკანონოდ მოხდა.

თელავის ინციდენტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საქართველოს საზოგადოებისთვის იოსებ სტალინი ჯერაც წინააღმდეგობრივ ფიგურად რჩება.⁴³

წყარო 29 საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის თვალსაზრისი

ცოტა ხნის წინ საქართველოში პირველად ჩატარდა სოციალური გამოკითხვა სტალინთან დაკავშირებით. ოფიციალური შედეგი იანვარში გამოცხადდება. მე ამ მონაცემებმა შემადრწუნა. აღმოჩნდა, რომ სტალინი ჩვენთან მეტი სიმპათიით სარგებლობს, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში და მეტიც – ვიდრე რუსეთშიც კი.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, სტალინისადმი სიმპათიით განწყობილები არიან ადამიანები როგორ უმაღლესი განათლებით, ისე საშუალო განათლებით, მათი რაოდენობა თითქმის თანაბარია. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხს არ ესმის, ვინ იყო სტალინი და ეს სიმპათია ადგილობრივ-პატრიოტულ დონეზეა აღმოცენებული.

⁴² Митинг в городе Гори «Восстановить монумент Сталину» – ელექტრონული რესურსი Красное ТВ <http://www.krasnoetv.ru/frontPage>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.krasnoetv.ru/node/18980>.

⁴³ Георгий Кобаладзе. Памятник Сталину как символ веры. – Радио Свобода <http://www.svoboda.org/>. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.svoboda.org/content/article/25101369.html>.

იყო ერთი ქართველი, რომელსაც უზარმაზარი ძალაუფლება ჰქონდა, და ისინი ამით ამაყოფნენ. როდესაც გვერდიგვერდ უკიდიათ ღვთისმშობლის, შიშველი გოგონების და სტალინის სურათები, ეს ფაქტი მრავლისმეტყველია.

ადამიანების გონებაში სტალინი საერთოდ ჩამოშორდა კომუნისტურ იდეოლოგიას და „ჩვენი ბიჭი“ გახდა: საქართველოში ის აღარ უკავშირდება არც სსრკ-ს და არც კომუნიზმს. ის ადამიანებიც კი, ვისაც საბჭოთა ხელისუფლება არ უყვარდა, სტალინისადმი სიმპათიას გრძნობდნენ ამ პრინციპით: რუსეთი ჩვენზე ძალადობდა, სტალინი კი მათზე. რა თქმა უნდა ეს ისტორიის ძალიან პრიმიტიული გაგებაა.

მაგრამ, გესიამოვნებას ეს თუ არა, სტალინი ყველაზე ცნობილი ქართველია. საქართველოზე უცხოელების პირველი ასოციაცია არის არა შოთა რუსთაველი, არა ფიროსმანი, არამედ სტალინი. თანდათან ეს იდენტობის ნაწილად იქცა.

რა უცნაურიც უნდა იყოს, საქართველოში კომუნიზმის დასასრულიც სტალინის კულტს უკავშირდება. როდესაც 1956 წლის მარტში ხელისუფლებამ თბილისში სტალინის დამცველი ანტისამთავრობო დემონსტრაცია დახვრიტა, ამით მან კომუნიზმი დაასამარა.⁴⁴

წყარო 30 ქართველი პოლიტოლოგის მოსაზრება

ქვეყნის, რომელიც უკვე ითვლებოდა არა მარტო საჭოთა, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცედან გამოსულად და რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ რეგიონში რეფორმატორია და მოწინავე საზოგადოება ჰყავს, მოსახლეობის 45% თაყვანს სცემდა სტალინს? აღსანიშნავია, რომ ამ კვლევის შედეგებმა საქართველოში ეჭვი გამოიწვია, მაგრამ ღელვის მიზეზი მაინც რჩება. რატომაც ასე პოპულარული საქართველოში სტალინი, ძნელი ასახსნელი იქნება მსოფლიო თანამეგობრობისთვის, რომლისთვისაც სტალინი დიქტატორი და ტოტალიტარული მმართველობის სიმბოლო იყო. შესაბამისად, სტალინის ძეგლის აღდგენით საქართველოს პატარა ქალაქი გორი კვლავ მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში მოხვდება. ეს ძეგლი არა მარტო ახალი ხელისუფლების იმიჯს შელახავს, არამედ უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს სახელზე მსოფლიოში.

როგორც არ უნდა იყოს, თუ რუსებისთვის სტალინი მეორე მსოფლიო ომის გმირი და „მაგარი ხელის“ სიმბოლო იყო, ქართველებისთვის კი – ქართველი ერის დიადი შვილი, დანარჩენი მსოფლიოსთვის ის ტირანი იყო.⁴⁵

შემაჯამებელი მსჯელობა

რა კავშირი არსებობს სტალინის ძეგლისა და მისი პიროვნებისადმი დამოკიდებულებასა და წარსულის ხსოვნას შორის?

⁴⁴ Лаша Бакрадзе. У нас намного больше симпатий к Сталину чем в России. – Интервью директора Государственного музея грузинской литературы имени Георгия Леонидзе электронному portalу <http://www.openspace.ru>. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.openspace.ru/article/744>.

⁴⁵ Бека Чедия. Возрождение сталинизма в Грузии: политическая конъюнктура или воля нации? – აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული პორტალი <http://eastbook.eu/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://eastbook.eu/ru/2013/08/topic-ru/politics-ru/vozrozhdenie-stalinizma-v-gruzii-politicheskaya-konjunktura-ili-volia-nacii/>.

მრავლისმეტყველი დუმილი: ძეგლი კულტურათა გზაჯვარედინზე

► რას და როგორ გვიამბობენ ძეგლები
საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ?



1. როგორ ფიქრობთ, რისი სიმბოლოა წყარო 1-ში გამოსახული ქანდაკება?
 - ა) რატომ არის, რომ ქანდაკების სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვანირია?
 - ბ) რა შესტებია გამოყენებული ქანდაკების კომპოზიციაში?
 - გ) რატომ არ აქვს ქანდაკებას თავი?
2. რა გრძნობებს იწვევს თქვენში ეს სკულპტურა? რატომ?
3. როგორ ფიქრობთ, რა აზრი უნდოდა გადმოეცა ავტორს მნახველისთვის?

წყარო 1 ქანდაკება „ასწლეულის ნაბიჯი“. ქ. ლაიფციგი, გერმანია.¹



¹ ო.ო.კოვალევსკაიას ფოტო, 2013 წ.

ბლოკი 1. ძეგლი და დრო




4. დააკვირდით ძეგლების ფოტოებს (წყაროები 2 და 3). რა ეპოქას წარმოგვიდგენს ეს ძეგლები?
5. შეადარეთ ერთმანეთს ეს ძეგლები. რა აქვს მათ საერთო?
6. როგორ ფიქრობთ, რა ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა ამ ძეგლებს მაშინდელი ეპოქის მნახველებისთვის?
7. რას გვეუბნება ისინი დღეს?

წყარო **2** დონბასის განმათავისუფლებელთა ძეგლი. დონეცკი, 1984 წ.²



წყარო **3** მონუმენტი „დედა-სამშობლო“. ქ. ჩერკასი, 1958 წ.³



8. რას ეძღვნება წყაროები 4 და 5?
9. რით განსხვავდება ეს ძეგლები წყაროებისგან 2 და 3?
10. რა იდეებს გადმოგვცემს წყაროები 4 და 5?

² ო.კ. მიხეევას ფოტო, 2014 წ.

³ Мемориал славы в г. Черкасы, Украина. — ელექტრონული რესურსი Wikimedia commons. — ხელმისაწვდომია მისამართზე: https://upload.wikimedia.org/wikipedia/uk/4/45/%D0%9C%D0%B5%D0%BC%D0%BE%D1%80%D1%96%D0%B%D0%BB_%D0%A1%D0%BB%D0%B0%D0%B2%D0%B8_%D1%83_%D0%A7%D0%B5%D1%80%D0%BA%D0%B0%D1%81%D0%B0%D1%85_%284%29.jpg.



11. როგორ ფიქრობთ, რატომ დადგეს ეს ძეგლები მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ?
12. არის თუ არა თქვენს რეგიონში საბჭოთა წარსულის მოვლენებისადმი მიძღვნილი ძეგლები, რომლებიც დადგეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ?

წყარო 4 ⁴ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ოდესა, 2004 წ.



წყარო 5 ძეგლი. ოდესა, 2004 წ. ძეგლი. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლი. დონეცკი, 2005 წ.



13. რით განსხვავდება წყაროები 6 და 7 წყაროებისგან 2 და 5?
14. აქვთ თუ არა მათ საერთო ნიშნები? თუ კი, რა ნიშნებია ეს?
15. რა ღირებულებებს გადმოგვცემს ეს ძეგლები?
16. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს ასეთი ძეგლების საჭიროებას?

⁴ ო.კ. მიხევეას ფოტო (წყაროები 4 და 5).

წყარო **6** ბრიტანული როკ-ჯგუფის „ბიტლზ“-ის ძეგლი. დონეცკი, უკრაინა, 2006 წ. ო.კ. მიხეევას ფოტო.



წყარო **7** ძეგლი ბეზიას. კემეროვო, რუსეთი, 2008 წ.⁵

▼ ბლოკი 1-ის შემაჯამებელი კითხვა

17. როგორ აისახა ძეგლებში საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები?

⁵ Александр Пестич. Кемерово. ელექტრონული რესურსი <http://lex-under.livejournal.com> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://lex-under.livejournal.com/11874.html>.

ბლოკი 2. ძეგლი და დიდი ცვლილებების დრო

- ▼
18. რა აქვთ საერთო წყაროებში 6 და 9 წარმოდგენილ მონუმენტებს? რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?
 19. რით არის განპირობებული ეს განსხვავება?
 20. რა იდეებს და ღირებულებებს ასახავს ეს ძეგლები? განსხვავდება თუ ემთხვევა ერთმანეთს ეს იდეები და ღირებულებები? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

წყარო **9** ძეგლი „დედა სომხეთი“.
ერევანი, სომხეთი, 1967 წ. ⁶

წყარო **8** ი. სტალინის ძეგლი.
ერევანი, სომხეთი, 1950 წ. ⁷



- ▼
21. დააკვირდით ფოტოს (წყარო 10). როგორ შეიცვალა ძეგლი?
 22. რატომ არის უჩვეულო ეს ცვლილება?
 23. როგორ ფიქრობთ, რით ხელმძღვანელობდნენ მცხოვრებლები, როდესაც ერთ მემორიალურ ძეგლში ორი სიმბოლო გააერთიანეს?
 24. წაიკითხეთ წყარო 11. როგორ შეიცვალა იდეა და ღირებულებები, რომლებსაც ძეგლი ასახავს? რას გულისხმობს ისტორიკოსი, როდესაც წერს ძეგლების „გაშინაურებაზე“?

⁶ ელექტრონული რესურსი Блог Владимира Кезлинга. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://kezling.ru/travels/caucasian-autumn-11/>.

⁷ ფოტო ყოველწლიური გამოცემიდან «Советская архитектура»-II. 1953 წელი. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://synthart.livejournal.com/262821.html>.



წყარო **10**⁸ გერმანელ-ფაშისტი დამპყრობლებისაგან ლვოვის ოლქის განთავისუფლებისადმი მიძღვნილი მემორიალური ძეგლი. 1970-იანი წლები.⁹

წყარო **11** თანამედროვე უკრაინელი მკვლევრის აზრი

ამ ცენტრის (ქ. სლავსკოეს) მცირერიცხოვან ძეგლებს შორის საბჭოთა მეომრებისადმი მიძღვნილი უბრალო რუხი ფერის მონუმენტი ყურადღებას იზიდავს მასში უკვე 1990-იან წლებში ჩამონტაჟებული ღვთისმშობლის ქანდაკებით, რომელიც თითქოს დასტირის დალუპულებს. საბჭოთა ჯარისკაცების ძეგლების ამგვარ სტიქიურ (არაცენტრალიზებულ) „მოდერნიზაციას“, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „გათავისებას“, „გამინაურებას“, დასავლეთ უკრაინაში მხოლოდ სლავსკოეში როდი შეხვდებით.

უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება ომის ჰუმანიზაციას, ყურადღების გადატანას კერძო ისტორიაზე, „უბრალო ადამიანების“ გმირობასა და ტანჯვაზე და ამავე დროს საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელების შეცდომებისა და სისასტიკის აქცენტირებას.¹⁰

25. რა მოუვიდა ძეგლებს (წყაროები 12-14)?

26. ვინ არიან ეს ადამიანები, რომელთა ძეგლებიც დაანგრის?

27. რა ისტორიულ მოვლენებთან იყო დაკავშირებული ამ ძეგლების დანგრევა?

28. როგორ ფიქრობთ, რატომ ანგრევენ ადამიანები ძეგლებს?

29. მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად ძეგლების დანგრევა? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

⁸ ო.კ.მიხეევას ფოტო, 2008 წ.

⁹ ღვთისმშობლის ქანდაკება მემორიალური ნიშნის კვარცხლბეკთან დადგეს 1990-იანი წლების დამლევს სლავსკოეს მცხოვრებთა ინიციატივით, რომლებმაც ამისათვის ფული შეაგროვეს. ღვთისმშობლის ქანდაკებებს ტრადიციულად დგამენ დასავლეთ უკრაინის გზებზე და დასახლებულ პუნქტებში.

¹⁰ Портнов А. «Родина-мать» vs Степан Бандера: экскурсия по избранным памятникам Второй мировой войны // Отечественные записки. 2008. № 5 (44). С. 33–46.

წყარო **12** ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლის დანგრევა.¹¹ მოსკოვი, რუსეთი, 1991 წლის აგვისტო. რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის“ ფოტო.



წყარო **13** ვ. ი. ლენინის¹² ძეგლის დანგრევა. კიევი, უკრაინა, 2013 წლის 9 დეკემბერი. რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის“ ფოტო.



¹¹ ფელიქს ძერჟინსკი – სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შემქმნელი (1917 წ.). ეს კომისია, რომელსაც შემდგომში ერქვა ჯერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, შემდეგ კი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (რუსულად КГБ), საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური რეპრესიების სიმბოლო გახდა.

¹² ვ.ი. ლენინი – საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი.

▼ ბლოკი 2-ის შემაჯამებელი კითხვები

30. რა გავლენას ახდენს ძეგლების ბედზე ცვლილებები საზოგადოებაში? ბლოკი 2-ის წყაროებზე დაყრდნობით დაასახელეთ ამ ცვლილებების სამი ტიპი.
31. რა ვითარებაში შეიძლება საზოგადოებამ გადაწყვიტოს, რომ ძეგლი მოძველდა და საჭიროა მისი შეცვლა, მისი როლისა და მნიშვნელობის ხელახლა გააზრება?
32. როგორ ფიქრობთ, რომელი ძეგლები ძველდება და კარგავს თავის ისტორიულ აქტუალობას, და რომელი – არა?
33. რამ შეიძლება უბიძგოს ადამიანებს ძეგლებთან „საომრად“?
34. თქვენი აზრით, ისტორიულად მოძველებული ძეგლებისადმი დამოკიდებულების კიდევ რა „რეცეპტები“ არსებობს? რომელი მათგანი მიგაჩნიათ დასაშვებად და რომელი – დაუშვებლად? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ბლოკი 3. ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი



35. დააკვირდით ძეგლს (წყარო 14) და წაიკითხეთ საინფორმაციო ცნობა. როგორ ფიქრობთ, რისი თემა უნდოდა მოქანდაკეს?
36. თქვენი აზრით, რისი სიმბოლოა ეს მონაკბეჩი ვაშლი?

წყარო 14 ქანდაკება „ვაშლი“. პერმი, რუსეთი, 2010 წ.¹³

◆ საინფორმაციო ცნობა

ქანდაკება „ვაშლი“ დადგმულია ქალაქ პერმში და შესრულებულია უკრაინელი მოქანდაკის ჟანა კადიროვას მიერ. მწვანე კაფელის თხელი კანიდან მოჩანს ქალაქ პერმის დანგრეული სახლების აგურები. ყველაზე „უფროსი“ აგური 120 წლისაა.



¹³ ჟ. კადიროვას ფოტო.



37. როგორ იცავენ თქვენს დასახლებულ პუნქტში ისტორიულ ძეგლებს? როგორ მიესადაგება მათი დაცვა ქალაქის განვითარების, მისი უფრო თანამედროვედ გადაქცევის სურვილს?

წყარო **15** ძეგლი ახალ ძეგლს. შარგოროდი, უკრაინა, 2009 წ.¹⁴



შემაჯამებელი განხილვა

ძეგლების როლისა და ბედის რა ცვლილებების შესახებ შეიტყვეთ წყაროებიდან 1-14? თქვენი აზრით, რას უნდა გამოსახავდეს ძეგლი, რომ დიდხანს იდგეს? როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, თანამედროვე ძეგლი? როგორ უნდა გამოიყურებოდეს და რა ღირებულებებს ასახავდეს?

¹⁴ უ. კადიროვას ფოტო.

გამოსახულება, სიტყვა და ბგერა საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდაში

- ▶ როგორ იყენებდნენ საბჭოთა კავშირში ხელოვნებას, პოეზიასა და მუსიკას „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდისთვის?



1. გრძნობის რომელი ორგანოებით აღვიქვამთ ინფორმაციას?
2. იმსჯელეთ აღქმის ერთ-ერთი საშუალების თავისებურებაზე და მოიყვანეთ არგუმენტები მისი ეფექტიანობის სასარგებლოდ.

ბლოკი 1. ცნება „ხალხთა მეგობრობა“ საბჭოთა იდეოლოგიაში



3. გაეცანით ისტორიულ ცნობასა და წყაროებს 1-3 და გამოთქვით თქვენი მოსაზრება. რატომ იყო „ხალხთა მეგობრობა“ საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ცნება.
4. როგორ ხსნიან რუსი ხალხის როლს „საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახში“ (წყარო 3)?

◆ ისტორიული ცნობა

საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის საფუძვლად გამოცხადებული იყო „ხალხთა მეგობრობა“ და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი (მსოფლიოს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის იდეოლოგია, რომელიც ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დგას).

„ხალხთა მეგობრობა“ არის ცნება, რომელსაც საბჭოთა კავშირის მრავალეროვნული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების იდეოლოგიურ დასაბუთებად იყენებდა. 1922 წლის 30 დეკემბრის დეკლარაციაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“ ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების ინტერნაციონალური კლასობრივი ბუნება საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს ერთ სოციალისტურ ოჯახად გაერთიანებისკენ უბიძგებს. საბჭოთა რესპუბლიკების ხალხების ნება არის მყარი გარანტია იმისა, რომ კავშირი არის თანასწორუფლებიანი ხალხების ნებაყოფლობითი გაერთიანება“.¹

¹ Декларация и договор об образовании СССР. 30 декабря 1922 г. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.rusarchives.ru/statehood/09-02-deklaraciya-obrazovanie-sssr-1922.shtml>.

„ხალხთა მეგობრობის“ იდეის მნიშვნელობაზე მეტყველებს საბჭოთა რესპუბლიკების საზოგადოებრივ სივრცეში ამ ცნების გავრცელება. მაგალითად, უკრაინაში, კიევში დგას ძეგლი „ხალხთა მეგობრობის თალი“, არსებობს ბულვარი და მეტროს სადგური „ხალხთა მეგობრობა“, ქალაქ ჩერკასკში – ხალხთა მეგობრობის სახელობის კულტურის სასახლე, მოსკოვში – ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. 1972 წელს საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით დაწესდა სპეციალური ხალხთა მეგობრობის ორდენი.

წყარო 1 ნაწყვეტი საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციიდან

მუხლი 70.

სსრკ განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივ ერთობას, ყველა ერსა და ხალხს კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით რაზმავს.²

წყარო 2 ამონარიდი მეცნიერული კომუნიზმის ლექსიკონიდან³

სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, ეროვნული და რასობრივი მტრობის შეუწყნარებლობა არის სოციალისტური თანაცხოვრების უმნიშვნელოვანესი ზნეობრივი ნორმა. სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, „სსრ კავშირის ყოველი მოქალაქის ვალია, პატივი სცეს სხვა მოქალაქეების ეროვნულ ღირსებას, განამტკიცოს საბჭოთა მრავალეროვნული სახელმწიფოს ერებისა და ხალხების მეგობრობა“.⁴

წყარო 3 საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე რუსი ხალხის როლის შესახებ

საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახს სათავეში უდგას დიდი რუსი ხალხი, რომელმაც ყველა საბჭოთა ხალხის აღიარება დაიმსახურა.

რუსმა ხალხმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაში, სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დიდი სამამულო ომის დროს. რუსი ხალხი სწორედ ის ძალაა, რომელიც ადუღაბებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობას.⁵

² Конституция (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик. 1977. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.hist.msu.ru/ER/Text/cnst1977.htm>.

³ მეცნიერული კომუნიზმი – ტერმინი, როლის გამოყენებაც საბჭოთა კავშირში დაიწყო XX საუკუნის 60-იან წლებში, ერთ-ერთი მარქსიზმ-ლენინიზმის სამი კარიდან, აუცილებელი საგანი სსრ კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებელში.

⁴ Научный коммунизм: Словарь (1983) / Дружба народов. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://tapemark.narod.ru/kommunizm/037.html>.

⁵ Подгорный Н. Советская Украина в братской семье народов СССР. Коммунист, 1954, N.8, ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.intelros.ru/pdf/svobodnay_misl/2014_03/12.pdf.

ბლოკი 2. „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდის საბჭოური გამოცდილება

5. ყურადღებით შეისწავლეთ ყველა წყარო. უპასუხეთ კითხვებს და პასუხები ქალაქის დიდ ფურცლებზე ჩამოწერეთ. პრეზენტაციისას, ეს ფურცლები საყრდენ კონსპექტად გამოიყენეთ.
6. რა სიმბოლოები და სახეები გამოიყენებოდა სსრ კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის პროპაგანდის მიზნით?
7. აუდოტორიაზე ზემოქმედების რა ხერხებს მიმართავდნენ?

ჯგუფი 1. პლაკატი

8. საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის რომელი პერიოდებია ასახული წყაროებში 4-7?
9. ყურადღება მიაქციეთ პლაკატების სახელწოდებებს. რას ეძღვნება ისინი?
10. აღწერეთ პლაკატზე გამოსახული ადამიანები. რა აცვიათ? რას აკეთებენ? შეგვიძლია თუ არა მივხვდეთ, ვინ არიან ისინი? რის მიხედვით?
11. რა არის გამოსახული პლაკატის ცენტრში? როგორ ფიქრობთ, რა დატვირთვა აქვს ობიექტების ასეთ განლაგებას პლაკატის კომპოზიციაში?
12. თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს ერთი და იგივე ნიშნებისა და სიმბოლოების გამეორება?
13. აღწერეთ პლაკატის ფერთა გამა. როგორ ფიქრობთ, რატომ შეარჩიეს ავტორებმა სწორედ ეს ფერები? პასუხი დაასაბუთეთ.
14. რა განწყობა და დამოკიდებულება უნდა შეუქმნას მნახველს ამ პლაკატმა „ხალხთა მეგობრობის“ იდეის მიმართ?
15. როგორ ფიქრობთ, სად და რა სიხშირით გამოიფინებოდა ასეთი პლაკატები? რამდენად ხშირად შეეძლოთ ადამიანებს მათი ნახვა?



წყარო 4 პლაკატი.
გაუმარჯოს სტალინურ
კონსტიტუციას!
მხატვარი ვ. ლივანოვი,
1937 წ.⁶

⁶ Да здравствует сталинская конституция, худ. В. Ливанов, 1937 г. ელექტრონული რესურსი <http://via-midgard.info>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://via-midgard.info/uploads/posts/2013-08/1375833788_9-photo.jpg.

ნყარო 5 პლაკატი. თაობიდან
თაობაში გაამყარეთ საბჭოთა კავშირის
ხალხთა მეგობრობა!
მხატვარი ვ. ა. კონოვალოვი, 1948 წ.⁷



ნყარო 6 პლაკატი. გაუმარჯოს
მძლეთა მძლე ლენინიზმის დროშას!
მხატვარი მ. ა. ნესტეროვა
(ნესტეროვა-ბერეზინა), 1957 წ.⁸



ნყარო 7 პლაკატი. მოსავლის დღესასწაული მოაბიჯებს ქვეყანაში!
დიდება შრომას! მკის გმირი. მხატვ. ე. ს. არწრუნიანი, 1978 წ.⁹



⁷ Из поколения в поколение крепите дружбу народов СССР, худ. В.А. Коновалов, 1948 г. ელექტრონული რესურსი <http://sovposters.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://sovposters.ru/view/865/>.

⁸ Да здравствует всепообеждающее знамя ленинизма! СССР. Худ. М. А. Нестерова (Нестерова-Березина), 1957 г. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://rexstar.ru.-xelmisawvdomia> misamarTze: <http://rexstar.ru/content/id35443>.

⁹ Праздник урожая шагает по стране! Слава труду! Герой жатвы, худ. Арцрунян Э.С., 1978 г. // Плакат в рабочем строю. Альбом. – М.: Плакат, 1982. – С. 106.

ჯგუფი 2. ღია ბარათები



16. რას ეძღვნება ღია ბარათები (წყროები 8-11)? რა არის მათზე გამოსახული?
17. რა არის გამოსახული ღია ბარათის ცენტრში? როგორ ფიქრობთ, რა იდეას ემასახურება ობიექტების განლაგება ღია ბარათის კომპოზიციაში?
18. თქვენი აზრით, რა როლს ასრულებდა ერთი და იგივე ნიშნებისა და სიმბოლოების გამეორება?
19. აღწერეთ ღია ბარათების ფერთა გამა. თქვენი აზრით, ჰქონდა თუ არა მნიშვნელობა ფერთა შერჩევას? პასუხი დაასაბუთეთ.
20. რა განწყობა და დამოკიდებულება უნდა შეუქმნას ამ ღია ბარათებმა მნახველს?
21. როგორ ფიქრობთ, რა დანიშნულება ჰქონდა ასეთ ღია ბარათებს? ესმოდათ თუ არა იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ღია ბარათებს ყიდულობდნენ და აგზავნიდნენ, მათში ჩადებული იდეა?

წყარო 8 ღია ბარათი „დიდება ოქტომბერს, რომელმაც საბჭოთა ერები ერთ ძმურ ოჯახად შეკრა!“¹⁰




წყარო 9 ღია ბარათი „გილოცავთ დიადი ოქტომბრის დღესასწაულს!“



წყარო 10 ღია ბარათი „დიდება ოქტომბერს!“



წყარო 11 ღია ბარათი „დიდება დიად ოქტომბერს!“



¹⁰ ღია ბარათები 8-11 მ. ი. ლევიცკაიას პირადი არქივიდან.

ჯგუფი 3. საფოსტო მარკები

22. რა თემებს ეძღვნება საფოსტო მარკები (წყაროები 12-13 და 15)? რა არის მათზე გამოსახული?
23. რა მიზნით გამოუშვეს დიდი რაოდენობით მარკები (წყარო 15), რომლებზეც გამოსახულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული ტანსაცმელი, ხალხური მუსიკალური საკრავები და ა. შ.?
24. რა სიმბოლოები გამოიყენა ავტორმა ს. მ. კარპოვას ნახატის მიხედვით შექმნილი მარკების სერიაში „ხალხთა მეგობრობა“ (წყარო 14)? რა არის ამ მარკის მთავარი იდეა?
25. როგორ ფიქრობთ, რამდენად უფრო ხშირად იყენებდა ხალხი საფოსტო მარკებს საბჭოთა კავშირში დღევანდელთან შედარებით? პასუხი დაასაბუთეთ.
26. რა უნდა ეგრძნო ადამიანს, როცა მიიღებდა წერილს ასეთი მარკით? რა იდეების გავრცელებასა და გამყარებას უწყობდა ხელს ასეთი მარკები?

წყარო 12 საფოსტო მარკა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავი“¹¹



წყარო 13 საფოსტო მარკა „ხალხთა მეგობრობის ორდენი“



წყარო 14 საფოსტო მარკა „საბჭოთა კავშირი ხალხთა მეგობრობა“



¹¹ მარკები 12-15 ვ. ი. მელნიკოვის პირადი აქრივიდან.

წყარო 15 საფოსტო მარკების სერია „ხალხური კოსტიუმები“



ჯგუფი 4. ასანთის კოლოფების ეტიკეტები

27. რა თემებს ეძღვნება ეტიკეტები (წყაროები 16-21)? რა არის მათზე გამოსახული?
28. თქვენი აზრით, რა მიზნით გამოიყენებოდა ასანთის წარმოებაში ეტიკეტები სსრ კავშირის ხალხთა ორნამენტების, ხალხური კოსტიუმების, სპორტის ეროვნული სახეობების გამოსახულებით?
29. რა მიზნით აკრავდნენ ასანთის კოლოფებს ეტიკეტებს ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ („ხალხთა მეგობრობა“) ყდის გამოსახულებებით (წყარო 16)?

წყარო 16 ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან ჟურნალი „დრუჟბა ნაროდოვ“ („ხალხთა მეგობრობა“¹²)¹³



წყარო 17 ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „ხალხური ორნამენტი“¹⁴



¹² „დრუჟბა ნაროდოვ“ („ხალხთა მეგობრობა“) – საბჭოთა ლიტერატურული ჟურნალი დაარსდა 1939 წელს მოკავშირე რესპუბლიკების მწერლების ნაწარმოებების პოპულარიზაციისთვის რუსულ ენაზე.

¹³ ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „დრუჟბა ნაროდოვ“. ჟურნალი“. ვ. ი. მელნიკის პირადი არქივიდან.

¹⁴ ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „ხალხური ორნამენტი“. ელექტრონული რესურსი Собрания своєю картинку: <http://www.kartinki.ru/>. _ ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.kartinki.ru/categories/commercials/spichechnye_etiketki_seriya_narodnyj_ornament1/.



30. როგორ ფიქრობთ, დღევანდელთან შედარებით, რამდენად უფრო ხშირად იყენებდნენ სსრ კავშირის მცხოვრებნი ასანთს და აკვირდებოდნენ თუ არა მათ ეტიკეტებს? პასუხი დაასაბუთეთ.
31. რა როლი შეიძლება შეესრულებინა ასანთის ასეთ კოლოფებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში?

წყარო 18 ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტის სახეობანი“¹⁵



წყარო 19 ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკალური ინსტრუმენტები“¹⁶



წყარო 20 ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა კოსტიუმები“¹⁷



წყარო 21 ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები“¹⁸



¹⁵ ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტის სახეობანი“. ელექტრონული რესურსი СССР наша Родина: <http://savok.name/>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://savok.name/759-spich_sport.html.

¹⁶ ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკალური ინსტრუმენტები“. ვ. ი. მელნიკის პირადი არქივიდან.

¹⁷ ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა კოსტიუმები“. ვ. ი. მელნიკის პირადი არქივიდან.

¹⁸ ასანთის კოლოფის ეტიკეტები სერიიდან „საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები“. ვ. ი. მელნიკის პირადი არქივიდან.

ჯგუფი 5. ნაწყვეტები საბჭოთა რესპუბლიკების ჰიმნების ტექსტებიდან



32. რა არის ქვეყნის ჰიმნი? სად და როდის სრულდება ჰიმნი?
33. რომელი რესპუბლიკების ჰიმნებია მოცემული წყაროებში 22-27?
34. რომელი საერთო სახეები (საკუთარი სახელი, სიტყვა, თემა) გვხვდება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ჰიმნებში? რით ახსნით ამას?
35. როგორ ფიქრობთ, რა შედეგს მოულოდნენ ავტორები, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის ეროვნულ ჰიმნებში ხაზს უსვამდნენ სწორედ ამ სახეებს?
36. რა აერთიანებს და განასხვავებს ამ ტექსტებს?
37. რა შთაბეჭდილება უნდა შეექმნა ამ ჰიმნებს საბჭოთა კავშირზე, როგორც რესპუბლიკების ერთობაზე?

წყარო 22 აზერბაიჯანის სსრ-ის სახელმწიფო ჰიმნი, 1944-1991¹⁹ (პნკარედი)¹⁹

მამაც რუს ხალხთან ერთად მაღლა ვწევთ მეგობრობის დროშას,
ხალხის ერთობა – ეს წმინდათა წმინდაა,
მოდმე ხალხების ერთობამ ჩვენ მოგვცა ძალა,
იდიდე, კავშირო, ჩვენო დიადო საბჭოთა ქვეყანავ,
ლენინი და პარტია მიგვიძღვის წინ,
დილას გვინათებს კომუნიზმის მზე,
გამარჯვებულები მივაბიჯებთ მომავლისკენ,
იცოცხლე, იცოცხლე, აზერბაიჯანო, დიდ საბჭოთა ოჯახში!

წყარო 23 სომხეთის სსრ-ის სახელმწიფო ჰიმნი, 1944-1991²⁰ (პნკარედი)²⁰

ოქტომბერმა მოგვცა მაცოცხლებელი ძალა,
სომეხი ხალხი განადგურებისგან გვიხსნა.
ლენინთან ერთად ახალ დროებაში ვცხოვრობთ,
გვინათებს დილა განახლებისა.
რუსეთმა დახმარების ხელი გამოგვიწოდა,
ხალხმა შექმნა მძლავრი სახელმწიფო.
ჩვენი პარტია ძლიერი და საიმედოა,
ის მიგვიძღვის კომუნიზმისკენ!

¹⁹ Государственный гимн Азербайджанской ССР в 1944–1991 гг. (перевод) // Музыкальная энциклопедия. – М.: Изд-во Советская энциклопедия, 1974. – Т. 2. – С. 21.

²⁰ Государственный гимн Армянской ССР в 1944–1991 гг. (перевод) // Музыкальная энциклопедия. – М.: Изд-во Советская энциклопедия, 1974. – Т. 2. – С. 21.

წყარო 24 საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ჰიმნი, 1944-1991 წწ.²¹

დიდი ოქტომბრის დროშის სხივებმა
შენ გაგინათა მთები ჭაღარა,
თავისუფლებამ და შემართებამ
გადაგაქცია მზიურ ბაღნარად.
მოდმე ერების ოჯახში
ამაღლდი, გაიხარეო,
მეგობრობით და გმირობით
გამარჯვებულ მხარეო.

**წყარო 25 მოლდავეთის სსრ-ის სახელმწიფო ჰიმნი, 1945-1991 წწ
(პნკარედი)²²**

აყვავებული საბჭოთა მოლდავეთი,
მოდმე რესპუბლიკების გვერდიგვერდ,
დიდ რუსეთთან ერთად მიაბიჯებს
კავშირის უღრუბლო მომავლისკენ.
ძმობის სიმღერა ადიდებს ქვეყანას,
ბრძნულად რომ მართავს პარტია.
ლენინის საქმე – დიადი საქმე –
ხალხს უკავშირებს ერთმანეთს.

**წყარო 26 უკრაინის სსრ-ის სახელმწიფო ჰიმნი 1949-1992 წწ,
ცვლილებებით (პნკარედი)²³**

იცოცხლე, მშვენიერო და ძლიერო უკრაინავ,
საბჭოთა კავშირში ბედს მიაგენი,
ტოლებში ტოლო, თავისუფლებში თავისუფალო,
თავისუფლების მზის ქვეშ ყვავილად ხარობ.
დიდება საბჭოთა კავშირს, დიდება!
დიდება სამშობლოს მარად და მარად!
იცოცხლე უკრაინავ – საბჭოთა ქვეყანავ,
ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში!
ხალხის ბედისთვის ბრძოლაში
რუსეთი იყო ძმა და მეგობარი,
ლენინმა დაგვრახმა
ოქტომბრის დროშის ქვეშ ნათელი მომავლის გზაზე!

²¹ Государственный гимн Грузинской ССР в 1944–1991 гг. (перевод) // Музыкальная энциклопедия. – М.: Изд-во Советская энциклопедия, 1974. – Т. 2. – С. 22. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი. ელექტრონული რესურსი, მოძიებულია მისამართზე: <https://ka.wikipedia.org/wiki/>.

²² Государственный гимн Молдавской ССР в 1944–1991 гг. (перевод) // Музыкальная энциклопедия. – М.: Изд-во Советская энциклопедия, 1974. – Т. 2. – С. 23.

²³ Гімн Української РСР // Українська радянська енциклопедія. – К.: УРЕ, 1979. – Т. 3. – С. 40–41.

ნყარო 27 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჰიმნი 1977-1991 წწ. რედაქციით (პნკარედი)²⁴

დიდმა რუსეთმა სამარადისოდ შეადუღაბა თავისუფალი
რესპუბლიკების ურყევი კავშირი.
გაუმარჯოს ხალხების ნებით შექმნილ
დიად, ძლიერ საბჭოთა კავშირს!

მისამღერი:

იდიდე, ჩვენი სამშობლოვ თავისუფლო,
ხალხთა მეგობრობის მტკიცე საყრდენო!
კომუნიზმის გამარჯვებისკენ მიგვიძღვის
ლენინის პარტია – ხალხის ძალა!

ქართველებში გვინათებდა მზე თავისუფლების,
დიდმა ლენინმა გზა გაგვინათა:
მართალ საქმისთვის ხალხი დარაზმა,
შრომა და გმირობა ჩვენ შთაგვაგონა!

მისამღერი:

კომუნიზმის უკვდავი იდეების გამარჯვებაში
ვხედავთ ჩვენი სამშობლოს მომავალს
და სახელოვანი მამულის წითელი დროშის
მარად ერთგულნი ვიქნებით!

ჯგუფი 6. ნაწყვეტები საბჭოთა სიმღერებიდან და ლექსებიდან

38. რა თემაზეა შექმნილი სიმღერები და ლექსი (წყაროები 28-31)?
39. საბჭოთა კავშირის რა ფასეულობები აისახა სიმღერების ტექსტებსა და ლექსში?
40. ეს და აზრობრივად მათი მსგავსი სიმღერები საბჭოთა მიტინგებისა და დემონსტრაციების განუყოფელი ნაწილი იყო, ისმოდა რადიო- და ტელეეთერიდან. როგორ ფიქრობთ, რა ემოციები და განწყობა უნდა აღეძრა ამ სიმღერებსა და ლექსებს მსმენელში?
41. რა გავლენა შეიძლება მოეხდინა ამას საბჭოთა ადამიანებზე?

ნყარო 28 პარტია – ჩვენი მესაყუა

(მუსიკა: ვანო მურადელის, ტექსტი – სერგეი მიხალკოვის) (პნკარედი)²⁵

მშობლიური მზის ქვეშ ვძლიერდებით წლიდან წლამდე.
ლენინის საქმის ვართ ერთგულნი.
საბჭოთა ხალხებს გმირობისკენ მოგვინოდებს
ქვეყნისკომუნისტური პარტია!

²⁴ Гимн Союза Советских Социалистических республик Песни. ელექტრონული რესურსი Советская музыка: <http://sovmusic.ru> – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://sovmusic.ru/text.php?fname=ussr2>.

²⁵ Партия – наш рулевой. Песни. ელექტრონული რესურსი Советская музыка: <http://sovmusic.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://sovmusic.ru/text.php?from_sam=1&fname=s15963.

პარტიამ შეკრა ქვეყნის ხალხები
ძმურ შრომით კავშირში.
პარტია ჩვენი ძალა და იმედია,
პარტია ჩვენი მესაჭეა!

წყარო 29 ჩემი მისამართია საბჭოთა კავშირი

(მუსიკა: დ. ტუხმანოვის, ტექსტი: ვ. ხარიტონოვის) (პნკარედი)²⁶

გული ზრუნავს, გული ლელავს,
ტვირთი იფუთება ფოსტაში.
ჩემი მისამართია არა სახლი ან ქუჩა,
ჩემი მისამართია საბჭოთა კავშირი.

წყარო 30 ჩემო სამშობლოვ

(მუსიკა დ. ტუხმანოვის, ტექსტი რ. როჟდესტვენსკის) (პნკარედი)²⁷

მე, შენ, ის, ისინი,
ერთად – მთელი ქვეყანა,
ერთად – ძმური ოჯახი,
სიტყვაში „ჩვენ“ ასი ათასი „მეა“:
დიდთვალა და ანცი
შავი, ჟღალი, ჩალისფერი,
სევდიანი, მხიარული
ქალაქად და სოფლად!

წყარო 31 უკრაინელი პოეტის მ. რილსკის ლექსი

(თარგმანი)²⁸

ხალხთა მეგობრობა არა მხოლოდ სიტყვებია,
ხალხთა მეგობრობა ცოცხალი სიმართლეა,
მოლივლივე ჯეჯილი და ბედნიერი ბავშვები,
გაზაფხულის წყალუხვობა ადამიანს ძალას ჰმატებს.
ხალხების მეგობრობა – საძმო სუფრები,
ყოველი მხრიდან ნადიმზე მოსულა
საერთო ნების მშრომელი ხალხი,

²⁶ Мой адрес – Советский Союз./Взвейтесь кострами...Сборник пионерских песен. – К.: Вид-во «Молодь», 1980. – С. 38.

²⁷ Родина моя. სიმღერის ტექსტი. ელექტრონული რესურსი <http://www.pojelanie.ru-xelmisawvdomia misamarTze: http://www.pojelanie.ru/zastol/pesni/po/14.php>.

²⁸ М.Рильський. Дружба народів. Літературно-художній та громадсько-політичний збірник «Київ – 79». – Київ.- «Радянський письменник», 1979.- С.30.

სიმართლისთვის მებრძოლი, შუქმოფენილი.
ხალხთა მეგობრობა ლენინის მოწოდებაა,
საუკუნეთა უკუნზე მზე ჩაუქრობელი,
მაცოცხლებელი მოვერცხილი წვიმა.
შუალამის რეკვა კრემლის კოშკიდან.
1951 წ.

▼ საერთო განსახილველი კითხვები

42. მოცემული მასალის მიხედვით ჩამოთვალეთ, რა სახეები და სიმბოლოები გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის პროპაგანდისთვის?
43. რა სახეები, სიმბოლოები და ნიშნები მეორდება და რატომ?
44. რა სიმბოლო აერთიანებდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს?
45. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენდა ადამიანთა ცნობიერებაზე საყოფაცხოვრებო ნივთებზე გამოსახული პროპაგანდისტული ნახატები და წარწერები?

▼ შემაჯამებელი განხილვა

თქვენი აზრით, რატომ გამოიყენებოდა პროპაგანდის იარაღად ვიზუალური და ლიტერატურული სახეები, პოეტური რითმა და მუსიკა?

რაში გამოიხატებოდა მათი განსაკუთრებული გავლენა ადამიანთა ცნობიერებაზე?

რა როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ პროპაგანდაში მუსიკა, ხელოვნება და ლიტერატურა?

საბჭოთა ახალგაზრდობის კულტურათმორისი ურთიერთობები

▶ როგორი ურთიერთობები ჰქონდათ
სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ახალგაზრდებს?

◆ ისტორიული ცნობა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა რეჟიმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის აღზრდასა და ე. წ. ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, რომლის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად უნდა ქცეულიყო ინტერნაციონალიზმი. ამ ამოცანის გადაჭრას ხელმძღვანელობდნენ სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკური ორგანოები. „რკინის ფარდის“¹ არსებობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირმა პროპაგანდისტული მიზნით გადანყვიტა, ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მსოფლიო ფესტივალი 1957 წლის ზაფხულში მოსკოვში ჩაეტარებინა.

1959 წლიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირში იქმნება სტუდენტთა სამშენებლო რაზმები, რომლებიც ზაფხულის არდადეგების დროს სრულიად საკავშირო მშენებლობებზე მუშაობდნენ. მხოლოდ 1961-დან 1991 წლამდე სამშენებლო ბრიგადების მუშაობაში დაახლოებით 13 მილიონმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. მათი ხელით ასიათასობით ობიექტი აშენდა.


ბლოკი 1. ახალგაზრდების ურთიერთობა ქვეყნის შიგნით

ა. სამშენებლო რაზმები

1. წყაროები 1-6-ის მიხედვით განსაზღვრეთ, ვინ და როგორ ხვდებოდა სამშენებლო რაზმების შემადგენლობაში.
2. წყარო 1-ის რუკაზე მოძებნეთ მარშრუტები, სად და რისთვის აგზავნიდნენ სამშენებლო რაზმების წევრ სტუდენტებს. იპოვეთ ადგილები, საიდან და სად მიემგზავრებოდნენ სამშენებლო რაზმები.
3. როგორ ფიქრობთ, რატომ იყვნენ ახალგაზრდები მზად, სახლიდან შორს გამგზავრებულიყვნენ და მძიმე სამუშაო შეესრულებინათ?
4. წყაროები 3-4-ზე დაყრდნობით მოიფიქრეთ, რამდენად გამართლებული იყო სტუდენტურ მშენებლობებზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები.
5. რა მიზნებს ისახავდა და რა ამოცანების გადაწყვეტას გეგმავდა სახელმწიფო, როდესაც ხელს უწყობდა სამშენებლო რაზმების საქმიანობას?

¹ რკინის ფარდა – ქვეყნის იზოლაცია, კონტაქტების შეწყვეტა სხვა ქვეყნებთან, განპირობებული იდეოლოგიური და აპოლიტიკური ბარიერებით; სიმბოლო თვითიზოლაციის სპოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა აწარმოებდა, ქვეყნის მოსახლეობისთვის დასავლეთის გავლენა რომ აერიდებინა.

ნეარო 1 სსრ კავშირის რუკა 1950-1970-იან წლებში



წყარო 2 ივან სალიის, 1960-იანი წლებში სამშენებლო რაზმების მოძრაობის მონაწილის მოგონებებიდან

კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პირველ კურსელები, როგორც წესი, სამშენებლო რაზმებში არ მიჰყავდათ; თანაც მუშაობის სურვილს გამოთქვამდნენ არა კიეველები, არამედ სოფლის მკვიდრნი. ვერ გავიხსენე შემთხვევა, რომ კიეველები დურგლებად, მიწისმთხრელებად და მებეტონელებად წასულიყვნენ სამუშაოდ, თუმცა შესაძლოა, ასეთი შემთხვევები იყო კიდევ....

1967 წელს სამშენებლო რაზმში მოსახვედრად დიდი კონკურსი იყო, რადგან ახალგაზრდობას იზიდავდა საინტერესო მოგზაურობები პრინციპით: რაც უფრო შორია და ძნელი, მით უფრო ბევრი მსურველია. პირველი კურსის დახურვის შემდეგ ავტორიტეტული უფროსკურსელების რეკომენდაციით სამშენებლო რაზმში მაინც ჩავირიცხე, რადგან სამიანები არ მყავდა, თანაც საზოგადოებრივ დავალებსაც არასდროს გავუზრდოდი.

იმ წლებში ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ დამატებითი შემოსავალიც მიეღოთ და თან რომანტიკაც ეგრძნოთ, უზარმაზარი ქვეყანა გაცნოთ და ორგანიზებულად ემოგზაურათ... ამიტომ ყოველ წელს მივემგზავრებოდი ახალ ადგილას, ახალ ყამირზე... ვფიქრობდი, რომ ასეთი რაზმები უკრაინაშიც იყო საჭირო, მაგრამ ჩვენ შორი მოგზაურობები გვიტაცებდა. შინ კი სექტემბერში სტუდენტებს მაინც აგზავნიდნენ კოლმეურნეობაში კარტოფილის, ჭარხლის, სტაფილოსა და კომბოსტოს მოსავლის ასაღებად და გადასარჩევად, და თუ ბედი გაგილიმებდა – ვაშლის ბაღებში, მოსავლის შესაფუთად...²

წყარო 3 ბორის ნოვიკოვის, 1970-იან წლებში სამშენებლო რაზმების მოძრაობის მონაწილის მოგონებებიდან

ერთხელ ფაკულტეტის განცხადებების დაფაზე თვალი მოვკარი განცხადებას: „გრძელდება ჩანერა სტუდენტურ სამშენებლო რაზმში, რომელიც ტიუმენის ოლქში მიემგზავრება“. მოკლედ, ჩამრიცხეს ამ რაზმში და 1971 წლის ივნისის ბოლოს ჩვენ, 150-ზე მეტი სტუდენტი, დანიშნულების ადგილისკენ გავემგზავრეთ. კიევიდან ტიუმენამდე მატარებლით რამდენიმე დღე-ღამე ვიარეთა, ტიუმენიდან სურგუთამდე АН-2-ით ვიმგზავრეთ, სურგუთიდან ნეფტი-უგანსკამდე – МИ-6-ით, ნეფტიუგანსკიდან იუჟნი ბალიკამდე – МИ-8-ით...³

ჩვენს სამშენებლო რაზმს მომავალი ნავთობგადამამუშავებელი სადგურის მუშებისთვის საცხოვრებელი უნდა აეშენებინა. მშენებლობაზე ჩასატანი იყო ყველა მასალა, ლურსმნების ჩათვლით (მიუხედავად იმისა, რომ МИ-8-ით ჩატანისას მათ ოქროს ფასი ედებოდა). მაგრამ ხის მასალას ვერტმფრენით ხომ ვერ მიიტან... შრომის ორგანიზება არ არსებობდა – არც სამუშაო ფრონტი, არც სამუშაო განწყობა, კოლოებს ვერ ავუდიოდით, ხელმძღვანელობა ობიექტზე არც კი ჩნდებოდა... გვექონდა მხოლოდ სუფთა ჰაერი, გამომშრალი კარტოფილი, რძის ფხვნილი, მშრალი კანონი⁴ და ხელბურთის მოედანი ვერტმფრენის დასაჯდომ ადგილზე. რომანტიკა თავზესაყრელი გვექონდა, გასამრჯელო კი – არანაირი. მაგრამ: ახალგაზრდობა, შთაბეჭდილებები, ახალი ნაცნობობა, გიტარა...⁵

² Зв'язні семестри студентських будівельних загонів України: документально-художня диалогія / За ред. В. В. Пассака. – Фастів: Поліфаст. – 2008. – С. 218.

³ Ми8 – вертмфрени, რომელიც გამოიყენება самопалаєм და სამხედრო авіаціяში.

⁴ მშრალი კანონი – აკრძალვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობასა და მოხმარებაზე.

⁵ Зв'язні семестри студентських будівельних загонів України: документально-художня диалогія / За ред. В. В. Пассака. – Фастів: Поліфаст. – 2008. – С. 218.

წყარო 4 ყაზახი ახალგაზრდები, სტუდენტთა ინტერნაციონალური სამშენებლო რაზმი-85. გაგარინი, სმოლენსკის ოლქი, რუსეთი. 01.07.1985



წყარო 5 ოლგა გონჩაროვას, 1970-იანი წლების სამშენებლო რაზმების მოძრაობის მონაწილის მოგონებებიდან

... კრივოი-როგის სამთო ინსტიტუტში სწავლისას სამი წლის განმავლობაში ზაფხულს სამშენებლო რაზმებში ვატარებდი. აქედან ორჯერ – ტიუმენის ოლქში. სტუდენტებით სავსე მატარებელი დნეპროპეტროვსკის ოლქიდან ჩრდილოეთით მიემართებოდა საცხოვრებელი ნაგებობების ასაშენებლად. სტუდენტები მგზავრობის საფასურს არ იხდიდნენ, გამომუშავებული თანხიდან ექვითებოდათ მხოლოდ კვების და სტუდენტური სამშენებლო რაზმების (სსრ) ფორმის საფასური, ამიტომ გასამრჯელო სტუდენტებისთვის საკმაოდ გვარიანი იყო...⁶

წყარო 6 ვასილი კრემენის, 1960-იანი წლების სამშენებლო რაზმების მოძრაობის მონაწილის მოგონებებიდან

... მესამედ სამშენებლო რაზმში 1969 წელს ვიყავი, კომსომოლსკის რაიონში. ვაშენებდით მეფრინველეობის ფაბრიკას. ეს ზაფხული ჩემთვის განსაკუთრებული იყო, რადგან ცოლი შევირთე. როდესაც პირველად ვიყავი ყამირზე, მომავალი მეუღლე გავიცანი, ახლა კი დავექორწინდი. ქორწილში დაპატიჟებული იყო მთელი რაზმი, ორდღიანი შვებულება ავიღე. ქორწილი თოლუზაქში (ავტ. – ყაზახეთი), ჩემი მეუღლის დედასთან გადავიხადეთ.⁷

⁶ ჩაინერა ა. კობოროგმა. მაისი, 2014წ.

⁷ Зв'язні семестри студентських будівельних загонів України: документально-художня диалогія / За ред. В. В. Пассака. – Фастів: Поліфаст. – 2008. – С. 223.

ბ. საბჭოთა არმია

6. წყაროები 7-8-ის მიხედვით განსაზღვრეთ, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს საბჭოთა არმია მრავალეროვნულად. პასუხი დაასაბუთეთ.
7. როგორ ფიქრობთ, რა ურთიერთობა ჰქონდათ ფოტოზე აღბეჭდილ ახალგაზრდებს (წყარო 7)?
8. მოძებნეთ რუკაზე (წყარო 1) წყარო 8-ში მითითებული ადგილები: სად ხდებოდა განწვევა და სად გზავნიდნენ ახალწვეულებს? შეიძლება თუ არა რაიმე კანონზომიერების აღმოჩენა ვადიანი სამსახურის ადგილების განაწილებაში? ი, თუ დიახ, რით აიხსნება ეს და იყო თუ არა აუცილებელი?
9. წყაროები 8-9-ზე დაყრდნობით იმსჯელეთ, როგორი ურთიერთდამოკიდებულება ყალიბდებოდა სხვადასხვა ეროვნების ახალწვეულებს შორის. რით ახსნით ამას?
10. წყარო 10-ში მოძებნეთ ჯარში (და მთლიანად ქვეყანაში) არაერთგვაროვანი ეროვნებათშორისი ურთიერთობის მტკიცებულებები. რატომ ერეოდნენ პოლიტიკური ორგანოები ჯარისკაცების „პირად“ კონფლიქტებში?

წყარო 7 საბჭოთა არმიის რიგითები. ლენინგრადის ოლქი, დაბა პესოჩნოე. 1984 წ.⁸



წყარო 8 მაიზერ ბობოხიძის მოგონებებიდან ფლოტში სამსახურის შესახებ

1985–1988 წლებში ვმსახურობდი ჩრდილოეთის ფლოტში ქალაქ სევეროდვინსკში. ჩვენს განწვევაში თორმეტი ვიყავით. ყველანი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან და ქალაქიდან: ესტონეთის ქალაქ სილამიამიდან; მოსკოვის ოლქიდან, ქალაქებიდან: გორკი, ვორონეჟი, ამურსკი, მოსკოვი, ლენინგრადი; უკრაინიდან – ლვოვიდან, ყირიმიდან, დნეპროპეტროვსკიდან; ასევე, ყირგიზეთის რესპუბლიკიდან, აზერბაიჯანიდან, მე კი – საქართველოდან, სოხუმიდან. ვცხოვრობდით მეგობრულად და ყველაფერს ვინანილებდით. ყველანი ჯარისკაცები ვიყავით და საკუთარ ეროვნებაზე არასდროს ვლაპარაკობდით,

⁸ ნ. მარქარიანის კოლექციიდან.

მხოლოდ მაშინ, როდესაც სამშობლოდან ამანათს მივიღებდით. ეს ნამდვილი დღესასწაული იყო! არა მარტო იმას ვუნანილებდით ერთმანეთს, რასაც სახლიდან გვიგზავნიდნენ, წერილებსაც ერთად ვკითხულობდით, ერთმანეთის სიხარულსა და აპრობლემებს ვიზიარებდით, ერთმანეთს რჩევებს ვაძლევდით. სამი წლის განმავლობაში ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. ყველა დღესასწაულს აღვნიშნავდით. ხშირად ვაწყობდით ხალხური შემოქმედების საღამოებს. დემობილიზაციის შემდეგაც თბილ ურთიერთობას ვინარჩუნებდით, მაგრამ ცნობილ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით დიდი ხნით დავკარგეთ ერთმანეთი. ახლა კი სოციალური ქსელების წყალობით, გულითადი ურთიერთობა აღვადგინეთ.⁹

ნაწარმ 9 1979-1980 წლებში მონღოლეთში განლაგებული საბჭოთა ჯარის ნაწილის ჯარისკაცის მოგონებებიდან

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სამი უზბეკი ჯარისკაცი, რომლებიც პოლკის სამზარეულოში მუშაობდნენ, სასადილოდ ან ყაზარმაში მოკლე გზით – დაცული პოსტის გავლით ბრუნდებოდნენ. არაფერი მოხდებოდა, პოსტზე რომ მათი ნაცნობი ძველი განწევის ჯარისკაცები ყოფილიყვნენ, მაგრამ იმ ღამით საგუშაგოზე პირველად იდგა ახალწვეული იაკუტი. წესდებით გათვალისწინებულ შეძახილზე – „სდექ! ვინ მოდის?“, პასუხად გაიგონა გინება და ცემის მუქარა. იაკუტმა, „ბუნებისშვილმა“, რომელსაც მკაცრად ასწავლეს საგუშაგო სამსახურის წესდება, ავტომატის ჯერი ჰაერში გამაფრთხილებლად გაისროლა. მაგრამ უზბეკები ამან არ შეაჩერა და, საკუთარ დაუსჯელობაში დარწმუნებულები, მეომრის განიარაღებას შეეცადნენ. ტყვიების შემდეგმა ჯერმა ადგილზე მოკლა ერთი მათგანი, დანარჩენი ორი კი დაიჭრა. მომხდარის გასარკვევად „დამნაშავე“ მაშინვე ჰაუბტვახტში ჩასვეს. მეორე საღამოს მოკლულის „თვისტომებმა“, რომლებიც პოლკის პირადი შემადგენლობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ, გადაწყვიტეს, გასწორებოდნენ ათეულ იაკუტს და მათთან ერთად ბურიატებსაც, რომლებიც იქვე მსახურობდნენ. მაგრამ ამ დროს მოხდა ის, რასაც არც უზბეკები და არც მათთან მიკედლებული აზარბაიჯანელები არ ელოდნენ: იაკუტებს გამოესარჩლნენ კემეროველი ბიჭები, მათ კი ყველა ციმბირელი რუსი მიემხრო. სასტიკი შეტაკება მთელი ღამე გრძელდებოდა. გათავსდებული შუა აზიელი „ძმების“ დასაშოშმინებლად იყენებდნენ ყველაფერს, ქამრის ბალთებს, ტაბურეტებს. კიდევ ერთი მათგანი სასიკვდილოდ გათელეს ფეხქვეშ. პისტოლეტებით შეიარაღებული ოფიცრები იარაღის ოთახებიდან ავტომატების დატაცების მცდელობას იგერიებდნენ.¹⁰

ნაწარმ 10 ა. შულმანის მოგონებებიდან ეროვნებათშორისი ურთიერთობების შესახებ არმიაში

არმიაში აცნობიერებდნენ, რომ ეროვნებათშორისი კონფლიქტები ისეთ მრავალეროვან არმიაში, როგორიც საბჭოთა იყო, სადაც რუსები მხოლოდ 50%-ს შეადგენდნენ, ნიშნავდა მის დაუყოვნებელ დაშლასა და ყველას ერთმანეთთან დაპირისპირებას. ამიტომ პოლიტიკური ორგანოები ეროვნებათშორისი და „პირად“ კონფლიქტებს ჩანასახშივე მონდომებით „ახშობდნენ“. პროფესიულ სფეროში ცდილობდნენ არ წარმოეჩინათ საკუთარი ეროვნული უპირატესობა და იგი ყაზარმის ჭიშკრის მიღმა დაეტოვებინათ. ჩვენ გვლრზდიდნენ სამხედრო პირობებში, საერთო გვექონდა შეგნება, რომ ღმერთმა ნუ ქნას და ყველას „ერთ სანგარში მოგველის სიკვდილი“.¹¹

⁹ ჩაინერა მ. მიქელაძემ. ივლისი, 2013წ.

¹⁰ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://sovserv.ru/vbb/archive/index.php/t-46627.htm>

¹¹ Шулман А. Еврейский альбом – ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://shaon.livejournal.com/55594.html>.

ბლოკი 2. ურთიერთობა უცხოელებთან

ბ. ფესტივალი და არაფორმალური ურთიერთობა უცხოელებთან

11. წყაროებზე 11-12 დაკვირვებისას, რა შთაბეჭდილება გექმნებათ ფესტივალზე? თქვენი აზრით, ვინ არიან ამ ფოტოების ავტორები და რა მიზანს ისახავდნენ მათი გადაღებისას?
12. წყაროების 13-16 დახმარებით ახსენით, რა განაპირობებდა საბჭოთა ახალგაზრდების უცხოელებთან ურთიერთობით დაინტერესებას.
13. წყაროების 13-16 გაცნობის შემდეგ დაუბრუნდით წყაროებს 11 და 12. თქვენი აზრით, როგორ გახდნენ ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანები მოვლენების მონაწილეები? თქვენი აზრით, როგორ წარიმართა მათი შემდგომი ურთიერთობა?

წყარო 11 ფესტივალის ქრონიკა¹²

ნორვეგიელი ბიჭები და საბჭოთა გოგონები – ახალგაზრდობისა და სტუდენტების 1957 წლის მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილეები – მოსკოვში, ა. მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გამართულ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაე ერთმანეთს ავტოგრაფებს აძლევენ.



¹² Источники 11–12. ელექტრონული რესურსი – Библиотека изображений РИА Новости: <http://visualrian.ru/ru>.

ნყარო 12 ფესტივალის ქრონიკა



კოლონიური ქვეყნების ახალგაზრდობისადმი სოლიდარობის საღამო ოსტანკინოს პარკში. ახლგაზრდობისა და სტუდენტების VI მსოფლიო ფესტივალი მოსკოვში. 1957 წელი

ნყარო 13 ჟურნალისტ სერგეი მურატოვის მოგონებებიდან

ჯერ კიდევ გუშინ უცხოელის გაცნობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა სრულიად გაუთვალისწინებელი და საშინელი შედეგები, აქ კი ათასობით უცხოელი ჩამოვიდა...¹³

ნყარო 14 ალექსეი კოზლოვის, საბჭოთა ჯაზმენის, მოგონებებიდან

ფესტივალის ატმოსფერო, მიუხედავად მისი მკაცრი რეგლამენტირებულობისა, მსუბუქი და ბუნებრივი აღმოჩნდა. სუფევდა ხალასი ენთუზიაზმი, ყველაფერი გამსჭვალული იყო ლოზუნგით: „მშვიდობა და მეგობრობა“, ყველგანდინამიკებიდან ისმოდა მუსიკა და ფესტივალისათვის სპეციალურად მომზადებული სიმღერები, როგორიცაა „ყველანი ვემხრობით მშვიდობას, ფიცს დებდნენ ხალხები...“ ან თუნდაც „თუკი დედამინის ბიჭები...“. მთელი მოსკოვი მორთული იყო ემბლემებით, პლაკატებით, ლოზუნგებით, პაბლო პიკასოს მშვიდობის მტრედის გამოსახულებებით, გირლანდებით, ილუმინაციით. ფესტივალის ფარგლებში იმართებოდა უამრავი სხვადასხვა ხასიათის დაგეგმილი ღონისძიება, თუმცა ბევრი იყო არაორგანიზებული და კონტროლს დაუქვემდებარებელი ურთიერთობა პირდაპირ მოსკოვის ცენტრის ქუჩებში, იმ სასტუმროების ირგვლივ, სადაც უცხოელები ცხოვრობდნენ. ფესტივალის დღის წესრიგის თანახმად დღისით და საღამოს დელეგაციები შეხვედრებისა და გამოსვლების ადგილას იმყოფებოდნენ, გვიან საღამოსა და ღამით კი თავისუფალი ურთიერთობა იწყებოდა. რა თქმა უნდა, ხელისუფლება კონტაქტების კონტროლს ცდილობდა, მაგრამ ყველაფერს ვეღარ სწვდებოდა. ფესტივალმა მოსკოველებში ურთიერთობის მასობრივი სურვილი გააღვიძა, თანაც არამარტო უცხოელებთან, არამედ ერთმანეთთანაც.¹⁴

¹³ ციტატა დოკუმენტურ იფილმიდან «Любовь и голуби. Фестиваль 1957». რეჟისორი ნატალია კადიროვა. ООО «ACC-APT». ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ex.ua/search?original_id=1987.

¹⁴ Козлов А. Козел на Саксе. – ელექტრონული რესურსი – «Электронная библиотека». ხელმისაწვდომია მისამართზე: http://modernlib.ru/books/kozlov_aleksey/koz_el_na_sakse/read/.

წყარო 15 მოგონებები გოგონებზე, რომლებიც დაისაჯნენ უცხოელებთან ურთიერთობის გამო

ემა დიაბი (ბოიკო), მოსკოველი:

1957 წლის ზაფხულის ღამე იყო. უკვე დაძინებას ვაპირებდი, როცა კარზე დარეკეს. ჩემი დაქალი ალა იყო. ნამტირალევი ჩანდა. თავზე, რატომღაც, თავშალი მოეხვიადა. როცა ჩამოიხსნა, საშინელი სანახავი იყო: საპარსი მანქანით გაეკრიჭათ, წინ საერთოდ აღარაფერი დარჩენოდა. მას გრძელი, მუქი თმა ჰქონდა.

ანატოლი სილინი, მასობრივი ღონისძიებების რეჟისორი:

გოგონები მთელი საბჭოთა კავშირიდან უცხოელებთან ურთიერთობისთვის ჩამოვიდნენ. ღამით მათ სათითაოდ დასდევდნენ და აკავებდნენ, უცხოელებს კი უბოდიშებდნენ.¹⁵

წყარო 16 ფესტივალის მონაწილე ირინა სლეპეცის მოგონებებიდან

1957 წელს 22 წელი შემისრულდა. ლვოვის უნივერსიტეტში ჩეხურ ენას ვსწავლობდი. როდესაც უნივერსიტეტის სპეციალური კომისია ახალგაზრდობისა და სტუდენტების მოსკოვის VI საერთაშორისო ფესტივალისთვის თარჯიმნებს არჩევდა, მე საუკეთესო რეკომენდაციები მივიღე. გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოულოდნელად უნივერსიტეტში გამომიძახეს. სალამო ხანი იყო. კიბეზე მელოდებოდა უცნობი კაცი, დაახლოებით 35 წლის. მან სახელით მომმართა და შემომთავაზა, ცალკე კაბინეტში გვე-საუბრა. გაოცებული დავრჩი, რადგან დაიწყო მოყოლა ჩემზე და ჩემი ოჯახის შესახებ, იმ ადგილზე, სადაც დავიბადე, ჩემი სახლისკენ გზა დაწვრილებით აღმინერა. მითხრა, რომ ფესტივალზე ისიც იქნებოდა და ვალდებული ვიყავი, ყოველდღე მომეყოლა მისთვის ყველაფერი, რაც კი დღის განმავლობაში მოხდებოდა ჩემს ჯგუფში. სიტყვა ჩამომართვა, რომ ჩვენს საუბარზე არავის ვეცოდო.

მოსკოვში, ფესტივალის განმავლობაში, ეს ადამიანი ყოველ საღამოს ჩვეულებრივი სტუმარივით იმ სასტუმროს ვესტიბიულში იჯდა, სადაც ჩემი ჯგუფი ცხოვრობდა. ჯგუფს ჩემი „შეხვედრები“ არ უნდა დაენახა. საბედნიეროდ, არანაირი გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მომხდარა.

ფესტივალის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მოსკოვში ჩავედი. თარჯიმანთა ჯგუფს ყველა საფესტივალო ობიექტზე დაატარებდნენ, მომავალი ფესტივალისთვის ამზადებდნენ. და აი, მე ქალაქ პლზენის ახალგაზრდა ჩეხი მუშების დიდი ჯგუფის თარჯიმანი ვარ. ასეთ ჯგუფებს „პოლიტიკურს“ უწოდებდნენ, განსხვავებით „შემოქმედებითი“ კოლექტივებისგან, რომლებიც ხელოვნების სხვადასხვა დარგს წარმოადგენდნენ. პოლიტიკურ ჯგუფებში უბრალო ახალგაზრდები შედიოდნენ, რომლებიც თავიანთ სამშობლოში ან კარგად სწავლობდნენ, ან კარგად მუშაობდნენ. ფესტივალი მართლაც შთამბეჭდავი მოვლენა იყო. ჩემი თანატოლები 131 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მოსკოვში. ფესტივალის ლოზუნგი – „მშვიდობისა და თავისუფლებისთვის“ – რეალური იყო. დღეები დატვირთული იყო დასამახსოვრებელი მოვლენებით: შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებთან, მოსკოვის მუშებთან და სტუდენტებთან, კონცერტები, ექსკურსიები. ყოველ დღით ავტობუსში ბევრს ვმღეროდი. ჩემს ახალ მეგობრებს უკრაინული სიმღერები ვასწავლე, ისინი კი ჩეხურ სიმღერებს მასწავლიდნენ. ფესტივალის შემდეგ მიმონერა მქონდა ჩემს ახალ მეგობრებთან. განსაკუთრებით ხშირად ვწერდით ერთმანეთს მე და რუჟენკა ვერბოვა.¹⁶

¹⁵ ციტატა დოკუმენტური ფილმიდან «Любовь и голуби. Фестиваль 1957». რეჟისორი ნატალია კადიროვა, ООО «ACC-APT», 2007. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ex.ua/search?original_id=1987.

¹⁶ ჩაინერა ო. პედან-სლეპუხინამ. ივლისი, 2013 წ.

ა. სტუდენტური ტურიზმი

14. წყაროების 17-18 მიხედვით განსაზღვრეთ, ვინ და სად მოგზაურობდა. წყარო 1-ზე მოძებნეთ ეს ადგილები და თვალი გაადევნეთ მოგზაურობის მანძილებს.
15. წყაროების 17-18 მიხედვით განსაზღვრეთ, ვინ გამოდიოდა მოგზაურობის მოთავედ. თქვენი აზრით, რატომ იღებდა სახელმწიფო საკუთარ თავზე ასეთ ხარჯებს?
16. რა იქცევს თქვენს ყურადღებას წყარო 19-ში?

წყარო 17 ოლგა სლეპუხინას მოგონებებიდან ბალტიისპირეთში მოგზაურობის შესახებ

დავიბადე ლვოვში, უკრაინაში. მამაჩემი სამხედრო თარჯიმანი იყო და ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ახალ ადგილას აგზავნიდნენ სამუშაოდ. ასე აღმოვჩნდი სკოლის დამთავრებამდე შორეულ აღმოსავლეთში, სახალინზე, სადაც ჩავირიცხე პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1981 წლის ზაფხულში პროფკომმა მომცა საგზური ბალტიისპირეთში – ტალინსა და რიგაში სამოგზაუროდ. ჯგუფში იყვნენ სტუდენტები და პედაგოგები თითქმის მთელი კავშირიდან, შეხვედრის ადგილი კი იყო ტალინი, ესტონეთის დედაქალაქი. საგზური იყო იაფი, სტუდენტური. ვცხოვრობდით სკოლის საკლასო ოთახებში, თითოში 15 სული. პროგრამა ძალიან დატვირთული გვქონდა, შესანიშნავი ექსკურსიები, კონცერტები. მაგრამ ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ურთიერთობა. ესტონეთში ბევრი რამ ჩემთვის სიახლე იყო. ესტონურად არც ერთი სიტყვა არ ვიცოდი, მაგრამ ჟესტების ენა შესანიშნავი რამაა! სალამოობით სკოლაში, სადაც ვცხოვრობდით, აწყობდნენ ცეკვებს – დისკოთეკას. ადგილობრივი გოგონები და ბიჭებიც მოდიოდნენ ხოლმე. ამ მოგზაურობის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში მქონდა მიწერ-მოწერა ჩემს ახალ დაქალებთან.¹⁷

წყარო 18 ოლგა რომბროს მოგონებებიდან ბულგარეთში მოგზაურობის შესახებ

მე კარგად ვსწავლობდი მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში და მეოთხე კურსის შემდეგ, 1984 წელს, როგორც ფრიადოსანს შემომთავაზეს ექსკურსია ბულგარეთში. გავემგზავრეთ დაახლოებით 14 ადამიანი. გზისა და ცხოვრების საფასურს გვიხდიდა ინსტიტუტი, ჯიბის ფული კი ჩვენი იყო. ვიმოგზაურეთ სოფიაში, პლოვდივში, ვარნაში, გაბროვოში და შიპკაზე. გამგზავრების წინ ინსტიტუტის კომკავშირის ბიურომ ინსტრუქტაჟი ჩავგიტარა. ლამის გამოცდა ჩავაბარეთ თემაზე „ყველაფერი ბულგარეთის შესახებ“ (ხელმძღვანელები, ქვეყნის გეოგრაფია, ისტორია, ტრადიციები, ქცევის წესები, ურთიერთობის თავისებურებები, რომელი სიტყვების წარმოთქმა არაა სასურველი, რადგან მონათესავე ენებია, თუმცა სიტყვებს შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს).

ადგილობრივებთან ურთიერთობაზე არავითარი აკრძალვა არ გვქონია. მეტიც, ჩვენზე მზრუნველობას იჩენდნენ სტუდენტები ბულგარეთის ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლიდან. ძალიან ემხიარულობდით. ზაფხული იყო, მაგრამ ქალაქი ჯერ არ დაცარიელებულიყო. ყოველ სალამოს ვიკრიბებოდით. ბულგარელებს გიტარა მოჰქონდათ, ვმღეროდით, ანეკდოტებს ვყვებოდით, ცეკვებსაც კი ვაწყობდით. მხიარულად ვიყავით, ოღონდესაა, რომ ცოტა გვეძინა. ერთხელ ერთ ბიჭთან ვიყავით სტუმრად, დედამისმა დაგვპატიჟა. საჭმლის მომზადებაში ვეხმარებოდით – ჩვენ ხომ ამდენი ვიყავით. დედა ბულგარულ სამზარეულოს გვაცნობდა. მის დასახმარებლად მეზობლებმა თავიანთი სამზარეულოები დაგვითმეს.¹⁸

¹⁷ ჩაინერა ო. პედან-სლეპუხინამ. ივლისი, 2013 წ.

¹⁸ ჩაინერა ი. კუმნერიოვამ. მაისი, 2014 წ.

წყარო 19 იგორ პედანის, სამხედრო სასწავლებლის სტუდენტის, მოგონებებიდან

80-იანი წლების დასაწყისში ნოვოსიბირსკის უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ სამეთაურო სასწავლებელში ვსწავლობდი. ჩემი მშობლები სახალინზე ცხოვრობდნენ. მამა სამხედრო იყო. არდადეგებზე მშობლების მოსანახულებლად წავედი. მატარებლით რამდენიმე დღე ვიმგზავრე. ჩემი ვაგონით მგზავრობდნენ შვედები – ორი ბიჭი და გოგონა. ეს გოგო ერთი მათგანის და იყო, მეორისა კი – საცოლე. ისინი ექსკურსიით ვლადივოსტოკში მიემგზავრებოდნენ. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. მიხაროდა, რომ შესაძლებლობა მქონდა, ჩემი ინგლისური ჩვეულებრივი, ყოველდღიური საუბრისას „შემემონებინა“. მხიარულად ვსაუბრობდით მუსიკაზე, ოჯახებზე, სხვადასხვა თემაზე, გავცვალეთ სუვენირები. მშობლები-სგან ისევ ნოვოსიბირსკში დავბრუნდი. შევადგი თუ არა ფეხი სასწავლებელში, გამომიძახეს „საგანგებო განყოფილებაში“¹⁹, სადაც გამომკითხეს შვედ ნაცნობებთან ჩემი საუბრის შინაარსი. მამაჩემის ნაწილში კი მეთაურის სახელზე მივიდა შეკითხვა, როგორი ოჯახი გვექონდა და რაიმე საეჭვოში ხომ არ ვიყავით შემჩნეულები. ნაწილის მეთაურმა საუკეთესო რეკომენდაციები მოგვცა და ეს სრული სიმართლე იყო. ამ დაკითხვებმა და ეჭვებმა მატარებლით მგზავრობაზე ყველანაირი სასიამოვნო მოგონება გამიფუჭა. მივხვდი, რა საზიანო იყო ურთიერთობა უცხოელებთან, განსაკუთრებით კაპიტალისტური ქვეყნებიდან. ხომ აღმოჩნდა ვილაც, ვინც დამასმინა.²⁰


დ. მიმონერა

17. რისკენ მოუწოდებს წყარო 20? როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ისახავდა სახელმწიფო ამ პლაკატის შექმნით?
18. როგორ ფიქრობთ, მიმონერის გარდა, კიდევ როგორ შეეძლოთ შორ მანძილზე ურთიერთობა ახალგაზრდებს საბჭოთა ჯავშირში და მის ფარგლებს გარეთ?
19. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს მეგობარს უგზავნით ფოტოს. რას მიანერდით? რა მოგეჩვენათ უცნაურად მინანერში წყარო 21-ის ფოტოზე? რით ახსნიდით ამას?
20. განსაზღვრეთ, რა თემები განიხილება წყარო 22-ში. თქვენი აზრით, რატომ არ ახსენებს ცამეტი წლის გოგონა თავის წერილში თავისი ასაკისთვის მნიშვნელოვან თემებს. რამ გაგაკვირვათ ამ წერილში, რა არის მასში უცნაური, რაც მას თანამედროვე წერილების შინაარსისგან განასხვავებს?
21. გაარკვიეთ, რა მსგავსება და რა განსხვავებაა წყაროები 22-23-ში აღწერილ სიტუაციებს შორის. როგორ ფიქრობთ, ჰგავს თუ არა გერმანელი გოგონების წერილები (წყარო 23) შინაარსი ჩინელი გოგონას წერილს? რატომ?
22. რამ უბიძგა გოგონებს მიმონერისკენ, რა მიზანი ჰქონდა ამ ურთიერთობას?
23. რა სიძნელეები წამოიჭრებოდა მიმონერის დროს? როგორ შეიძლებოდა მათი გადალახვა?

¹⁹ საგანგებო განყოფილება – სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (კგბ) სამხედრო კონტრდაზვერვის ქვეგანყოფილება, რომლის მიზანი იყო ანტისაბჭოთა აგიტაციასა და საქმიანობაში ეჭმიტალი ორგანიზაციებისა და ჯგუფების გამოვლენა.

²⁰ ჩაინერა ო. პედან-სლეპუხინამ. ივლისი, 2013 წ.

ნყარო 20 საბჭოთა პლაკატი „მეგობრები ყველგან მყავს“ (1958 წ.)²¹



ნყარო 21 ფოტო, რომელიც საბჭოთა გოგონამ მიმოწერით დამეგობრებული ჩინელი გოგონასგან მიიღო.²²



მინაწერი ფოტოზე: „გაუმარჯოს ჩინელი და საბჭოთა ხალხების ურყევ მეგობრობას“. 1960.7.1.

²¹ ნახატი – ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://visfox-poster.blogspot.com/2011/12/blog-post_12.html.

²² ი. ბარაბაშის კერძო კოლექციიდან.

წყარო 22 ჩინელი გოგონას წერილი

გამარჯობა, ძვირფასო ირა! გილოცავ საბჭოთა კავშირის შექმნის ოცდამესამე წლისთავს! ირა, კიდევ ერთხელ ვნახე ფილმი „განსაკუთრებული შემთხვევა“. ეს ძალიან კარგი ფილმია. ხშირად ვკითხულობ „საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეგობრობას“! ძალიან მიხარია შენი წერილის და საჩუქრების მიღება. გიგზავნი ორ ყელსახვევს. მომწერე, მიიღე თუ არა დაბადების დღისთვის. დღესასწაულზე დემონსტრაციაში ვმონაწილეობდით. საღამოს ჩვენს სკოლაში ღონისძიება გაიმართა. როგორ აღნიშნეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული თქვენს ქვეყანაში? 4 დეკემბერი არის პიონერიის შექმნის დღე, ახლა აქტიურად ვემზადებით ამ დღისთვის და სიხარულით ველოდებით.

შენი ჩინელი მეგობარი, რომელიც მოუთმენლად ელის შენს პასუხს. მაღლობელი ვიქენები, თუკი შენს ფოტოს მაჩუქებ. ნახვამდის! მალე მომწერე პასუხი!²³

შენიშვნა: წერილის ავტორი ჩინელი გოგონა 13 წლისაა.



王居平作：爭取和平與友誼，反對使用原子武器！（宣傳圖）

Здравствуй моя милая Ира!
Поздравляю Вас с 43 годовщиной
Советского Союза!

Ира, я тоже посмотрела кино-
фильм "Удивительное происшествие".
Это кино очень хорошее. Я часто
читаю "Дружба Советов и Китая".
Я очень рада получить твоё письмо
и подарок. Выслала тебе два галстука,
получила и ты. Во время дня

рождения. Я дам тебе галстук
на память.
Во время праздника мы принимали
участие в демонстрации. Вечером
в нашей школе был вечер, там
мы проводили праздник. Великой
Октябрьской революцией в своей
школе 4 декабря день создания
пионеров всегда мы активно
готовились к этому, ждём радос-
тного дня.

твой китайский друг,
который с нетерпением
ждет от тебя ответа.
Я была бы очень благодарна,
если ты мне отправишь
свою фотокарточку.

До свидания!
Скорее пиши ответ!

წყარო 23 იულია ლაპშინას, ქალაქ კრივოი-როგის, უსსრ, საშუალო სკოლის ყოფილი მოსწავლის მოგონებებიდან

ერთხელ ჩვენი კლასის დამრიგებელმა კლასში დიდი კოლოფით მოიტანა ჩვენი უცხოელი თანატოლების წერილები. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ძალიან პოპულარული იყო უცხოელ ბავშვებთან მიმოწერა. ამჯერად წერილებს გვწერდნენ ბავშვები გდრ-დან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). თავიანთ კოლექტიურ წერილში გვწერდნენ, რომ

²³ ი. ბარაბაშის კერძო კოლექციიდან.

უნდოდან საბჭოთა ბავშვებთან მეგობრობა, მეტის გაგება ჩვენი ცხოვრებისა და გატაცებების შესახებ. მე „მერგო“ დრეზდენელი გოგონა, სახელად მონიკა. დღემდე მახსოვს მისი სახელი და სახე პატარა ფოტოსურათზე, რომელიც გამომიგზავნა. მაშინ ჩვენთან ფოტოსურათის ასეთ ქაღალდზე არ ბეჭდავდნენ. მახსოვს, რომ ერთმანეთთან მიმოწერა გვქონდა, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რის შესახებ ვწერდი 10-11 წლის ასაკში. მე ინგლისურად ვწერდი, ის კი გერმანულად მპასუხობდა. ჩემი ძმა სკოლაში გერმანულ ენას სწავლობდა და მის წერილებს მითარგმნიდა, წერილები კი ძალიან გრძელი იყო! არ მახსენდება ყველა დეტალი, რომლებსაც ის წერილებში აღწერდა, მაგრამ მახსოვს ჩემი გრძნობები გერმანიიდან კონვერტის მიღებისას, ყოველთვის მოუთმენლად ველოდი! წერილის გარდა, ყოველთვის მიგზავნიდა რაღაც საჩუქარს – პატარა კალენდრებს, ღია ბარათებს, დასაკრავ სურათებსა და საღებავი რეზინის თხელ ფირფიტებსაც კი. მეც ვცდილობდი, მისთვის რაიმე „საბჭოთა“ მეჩუქებინა.²⁴

- ▼
- 24.** საბჭოთა კავშირში მიმოწერის რა პრობლემებზეა ლაპარაკი წყარო 24-ში? რასთან არის დაკავშირებული ეს პრობლემები?
- 25.** შეადარეთ ერთმანეთს წყაროები 20 და 25. რით შეიძლება არსებული შეუსაბამობის ახსნა? რატომ ეწეოდა სახელმწიფო ურთიერთობის პროპაგანდას?

წყარო 24 წერილების შემოწმება საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირში წერილების შემოწმება ქვეყნის მოსახლეობის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე პოლიტიკური კონტროლის ფორმა იყო. თუკი შეუძლებელი იყო წერილის ისე გახსნა, რომ კვალი არ დარჩენილიყო, მის ასლს ამზადებდნენ, წერილს კი ანადგურებდნენ. მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა.

საერთაშორისო მიმოწერის შემთხვევაში შერჩევითობის პრინციპი არ მოქმედებდა. უკლებლივ ყველა პირი, რომელსაც მიმოწერა ჰქონდა საზღვარგარეთთან, აღრიცხვაზე იყო აყვანილი. ყოველ მათგანზე გახსნილი იყო სპეციალური სამეთვალყურეო საქმე. ცალკე საქმეები იყო გახსნილი იმ პირებზე, რომლებსაც მიმოწერა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების (სოციალისტური ბანაკი) კორესპონდენტებთან ჰქონდათ, ცალკე კი იმათზე, ვისაც მიმოწერა კაპიტალისტური ქვეყნების მოქალაქეებთან ჰქონდათ.

ეჭვი რომ არ გამოეწვიათ, ყველა წერილის კონფისკაციას არ ახდენდნენ, თუმცა აღრიცხვაზე ყველა აჰყავდათ. იმ კორესპონდენტის მიმართ, რომელსაც საბჭოთა მოქალაქე გზავნიდა, მოთხოვნათა ვრცელი ჩამონათვალი არსებობდა. სწორედ ცენზორი წყვეტდა, გაეშვა თუ არა წერილი, მას ჰქონდა მოქმედების ფართო ასპარეზი, თუმცა უდიდესი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა. ამიტომ ცენზორები ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ პრინციპით: „სჯობს თავი დაიზღვიო, ვიდრე გამოგეპაროს“. ამიტომ ზოგჯერ ერთი შეხედვით უწყინარი წერილების კონფისკაციაც კი ხდებოდა. ამოიღებდნენ იმ წერილებს, რომლებიც სრულიად ჩვეულებრივ ფოტოებს შეიცავდა, თანაც ამ უკანასკნელს განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობდნენ. ჩაცმულობის, გარეგნობისა და სახის გამომეტყველების მიხედვითაც კი შეიძლებოდა წარმოდგენის შექმნა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები.²⁵

²⁴ ჩაიწერა. კოზოროგმა. ივნისი, 2013 წ.

²⁵ Смыкалин А. С. Перлюстрация корреспонденции и почтовая военная цензура в России и СССР. – ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://isfic.info/perl/m_ils09.htm.

წყარო 25 ირინა სლეპეცის მოგონებებიდან

ფესტივალის²⁶ შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში მიმოწერა მქონდა ჩემს ახალ მეგობრებთან. განსაკუთრებით ხშირად ვწერდით ერთმანეთს მე და რუჟენკა ვერბოვა.²⁷ ერთი წლის შემდეგ გავთხოვდი. 1961 წელს კი ინდონეზიის კრიზისი მოხდა.²⁸ საერთაშორისო მდგომარეობა დაიძაბა. შემდეგ იყო კარიბის კრიზისი.²⁹

ჩემი ქმარი, ინგლისური ენის მასწავლებელი, როგორც მისი თანატოლი მამაკაცების უმრავლესობა, რომლებიც უცხო ენებს ფლობდნენ, სამხედრო თარჯიმნად გაინვიეს ჯარში. ჩვენ ლვოვიდან მისი სამსახურის ადგილას გადავედით. ახლა კონვერტზე მისამართის ნაცვლად მითითებული იყო დასახლებული პუნქტი და სამხედრო ნაწილის ნომერი. იმ დროს საზღვარგარეთ მეგობრების ან ნათესავების ყოლას არ მიესალმებოდნენ. ამის შესახებ ნებისმიერი ანკეტა შეიცავდა კითხვებს. სამხედრო ნაწილში, სადაც ჩემი ქმარი მსახურობდა, იყო სუკის წარმომადგენელი – მას უწოდებდნენ „ოსობისტს“ ანუ „პირს საგანგებო განყოფილებიდან“. ყველა წერილი, რომელსაც ჩვენს სამხედრო ქალაქში იღებდნენ, მის ხელში გაივლიდა. იმის შიშით, რომ ქმარს უსიამოვნებები შეხვდებოდა, ჩემს მეგობრებს აღარ ვწერდი...³⁰

შემაჯამებელი განხილვა

შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა საბჭოთა ახალგაზრდობში ინტერნაციონალიზმის ჩამოყალიბებას? თქვენი აზრით, ეს ინტერნაციონალიზმი რეალური იყო თუ ფორმალური? დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი.

²⁶ იგულისხმება 1957 წლის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI საერთაშორისო ფესტივალი.

²⁷ იხ. წყარო 16.

²⁸ ინდონეზიის კრიზისი – სამხედრო დაპირისპირება ინდონეზიასა და ნიდერლანდებს შორის (1960-1962წწ.) ახალი გვინეის დასავლეთ ნაწილისგამო, რომლის დროსაც საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა ინდონეზიას, დასავლეთის ქვეყნები კი – ნიდერლანდებს.

²⁹ კარიბის (კუბის, სარაკეტო) კრიზისი – დაპირისპირება სსრკ-სა და აშშ-ს შორის 1962 წლის ოქტომბერში. გამოწვეული იყო კუბაზე სსრკ-ს სამხედრო ნაწილების, ტექნიკისა და შეიარაღების, ატომური იარაღის ჩათვლით, განლაგებით.

³⁰ ჩაინერა ო. პედან-სლეპუხინამ, 2013 წლის ივლისი.

1 მაისი: გუშინ და დღეს

- რას გვიამბობს წარსულის შესახებ 1 მაისის აღნიშვნის საბჭოური ტრადიციები?

1. რა არის აღბეჭდილი წყაროზე 1? რატომ მონაწილეობს ამდენი ადამიანი დემონსტრაციაში? რომელ ქვეყანაში ხდება ეს მოვლენა? რატომ არის გამოყენებული ასე ჭარბად წითელი ფერი? რა გრძნობებს აღძრავს თქვენში ეს ფოტო? რატომ?

წყარო 1¹



¹ საპირველმაისო დემონსტრაცია მოსკოვში, წითელ მოედანზე, 1984 წ. Библиотека изображений РИА «Новости» <http://visualrian.ru/ru> ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://visualrian.ru/site/gallery/index/id/145384/>.

◆ ისტორიული ცნობა 1

დემონსტრაცია (ლათ demonstratio – ჩვენება, დამტკიცება) – მასობრივი მსვლელობა რაიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობილების გამოსახატავად.

წითელი ფერი საბჭოთა კულტურაში არის რევოლუციის, კომუნიზმისა და წითელი მომავლის რწმენის ფერი. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ 1924 წლის კონსტიტუციამ დააკანონა სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა: წითელი ქსოვილის ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახულია ოქროს ნამგალი და ურო, მის თავზე კი – წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ეს სიმბოლიკა 1991 წლამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე რჩებოდა.

ბლოკი 1. დღესასწაული და საბჭოთა სახელმწიფო

- როგორ ხსნის დღესასწაულის არსს წყარო 2? რამდენად შეესაბამება წყარო 2-ის განმარტება ისტორიულ ცნობას?

◆ ისტორიული ცნობა

მრავალ ქვეყანაში 1 მაისი აღინიშნება, როგორც საერთაშორისო დღესასწაული – შრომის დღე. სსრ კავშირში 1 მაისი ოფიციალური დღესასწაული იყო და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის² დღე ეწოდებოდა. დღესასწაული დაწესდა 1886 წლის 1 მაისის აღსანიშნავად, როდესაც ამერიკელმა მუშებმა ქალაქ ჩიკაგოში გაფიცვა მოაწყვეს და 10-14-საათიანის ნაცვლად 8-საათიანი სამუშაო დღე მოითხოვეს. თითქმის 40 ათასი მუშის გაფიცვა და დემონსტრაცია პოლიციასთან სისხლიანი შეტაკებით დასრულდა. 1889 წლის ივლისში პარიზში II ინტერნაციონალის კონგრესმა – კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო გაერთიანებამ – მიიღო გადაწყვეტილება ჩიკაგოელი მუშების პატივსაცემად ყოველწლიურად 1 მაისს გამართულიყო დემონსტრაციები. 1890 წელს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე პირველად აღინიშნა ავსტრიაუნგრეთში, ბელგიაში, გერმანიაში, დანიაში, ესპანეთში, იტალიაში, აშშ-ში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, შვეციაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. ამ დღეს ეწყობოდა გაფიცვები და პროფკავშირების გამოსვლები, რომლებიც პოლიციასთან შეტაკებებითა და დაპატიმრებებით მთავრდებოდა.

ბოლშევიკებმა 1917 წლის რევოლუციაში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მუშათა და გლეხთა ხელისუფლებად გამოაცხადეს. ამიტომ 1 მაისი, მათი წარმოდგენით, მთელ მსოფლიოში რევოლუციის, შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლისა და კაპიტალიზმის დაგმობის სიმბოლოდ იქცა. თავდაპირველად, ამ დღეს ეწოდებოდა ინტერნაციონალის დღე, მოგვიანებით კი – მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. 1930-იანი წლების დასაწყისში 1 მაისის დღესასწაულში მონაწილეობას იღებდნენ ფიზკულტურელები და სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები, რითაც ხელისუფლება საბჭოთა ავიაციის ძლევამოსილებას წარმოაჩენდა.

მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოს ტოტალიტარულმა ხასიათმა ადამიანებს თავისუფალი დემონსტრაციებისა და შეკრებების გამართვის შესაძლებლობა წაართვა. თანდათანობით საბჭოთა კავშირში 1 მაისის დღემ თავისი პირვანდელი, მშრომელთა უფლებებისათვის ბრძოლის მნიშვნელობა დაკარგა და იქცა იდეოლოგიურ სახელმწიფო დღესასწაულად, რომლის აღნიშვნაც ყველასთვის სავალდებულო იყო.

² სოლიდარობა (ლათ. Solidus – მყარი) – ინტერესების ერთობა, ერთსულოვნება, შეხედულებებისა თუ ქმედებებისადმი თანაგრძნობა.

3. რა არის წყარო 2-ში წარმოდგენილი, როგორც ფაქტი? რა მოსაზრებებია მოყვანილი ტექსტში?
4. რა არის საპირველმაისო მონოდებანი? რა ღირებულებების პროპაგანდას ეწევა საპირველმაისო მონოდებები(წყარო3)? რამდენად აქტუალურია ეს ღირებულებები დღეს?



წყარო 2 კაცობრიობის გაზაფხული. ჟურნალ „რაბოტნიცას“ №4-ის მონინავე სტატიიდან,³ 1958 წელი.

უხსოვარი დროიდან ადამიანები სიხარულით ეგებებოდნენ მაისს, გაზაფხულის მზის სხივების სითბოს, ჩიტების ჟღერტულს, პირველ ყლორტებს, პირველ ყვავილებს. გაზაფხულს ყოველთვის ახლავს განახლების გრძნობა, ის ადამიანის სულში ნათელ ოცნებებსა და იმედებს ბადებს.

საუკუნეების მანძილზე ასე იყო. მაგრამ 1890 წლიდან გაზაფხულის დღესასწაულმა სრულიად ახალი, საბრძოლო შინაარსი შეიძინა. სხვადასხვა ქვეყნის მუშებმა მთელ

მსოფლიოს განუცხადეს, რომ ადამიანები არა მარტო გაზაფხულსა და ბუნებას უნდა შეჰხაროდნენ, არამედ კაცობრიობის გაზაფხულისთვისაც უნდა იბრძოდნენ.

ხალხს ამ გაზაფხულს მოუტანს მუშათა კლასი, ყველაზე რევოლუციური კლასი, რომელიც მონოდებულია კაპიტალიზმის ბორკილებისგან გაათავისუფლოს და თავისუფლებისა და სოციალიზმის საფუძველზე განაახლოს მსოფლიო.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელები ყოველ წელს 1 მაისს ზეიმობენ, როგორც ლენინი ამბობდა, „...შეგნებული ცხოვრებისთვის გამოღვიძებას, დღესასწაულობენ ყოველგვარი ძალადობისა და ადამიანის ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანებას...“⁴ ამ დღეს ისინი წარმოადგენენ ძმურ სოლიდარობას და მყარ ერთობას უკეთესი მომავლის – სოციალიზმისთვის ბრძოლაში.⁵

◆ საინფორმაციო ცნობა 2

სკკპ ცენტრალური კომიტეტის⁶ მონოდებები (1943 წლამდე – ცკ სკპ (ბ)-ს) ლოზუნგები) 1918-დან 1989 წლამდე ქვეყნდებოდა. ეს იყო ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ცხადდებოდა. 1- მაისისა და 7 ნოემბრისთვის მონოდებების ტექსტი ქვეყნდებოდა ყველა გაზეთში, გადაიცემოდა რადიოთი და ტელევიზიით. რედაქციებში ამზადდებდნენ სპეციალურ მასალებს, რომლებიც მონოდებების ამა თუ იმ პუნქტს განმარტავდა. მონოდებებში, რომელთა რაოდენობა ზოგჯერ ორმოცდაათს აღემატებოდა და რომლებიც შეფასებითი და

³ მონინავე სტატია – სტატია, რომელიც განთავსებული იყო გაზეთის ან ჟურნალის პირველ გვერდზე და ეძღვნებოდა, რედაქციის აზრით ყველაზე მნიშვნელოვან თემას. საბჭოთა ეპოქაში პროპაგანდის საშუალებად გამოიყენებოდა.

⁴ ვ. ი. ლენინი – კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი.

⁵ ჟურნალის «Работница» ელექტრონული არქივი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://publ.lib.ru/ARCHIVES/R/%27%27Rabotnica%27%27/_%27%27Rabotnica%27%27.html

⁶ სკკპ ცენტრალური კომიტეტი – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, კოლექტიური ორგანო, რომელიც ქვეყნის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა.

წამახალისებელი გამონათქვამებისაგან შედგებოდა, საბჭოთა ხელმძღვანელობის ოფიციალური მიზნები და საბჭოთა საზოგადოების ფასეულობები იყო ასახული. საპირველმაისო დემონსტრაციების დროს ისინი რეპროდუქტორებითა და რადიო-ტელევიზიით ცხადდებოდა. დემონსტრაციის დროს ტრიბუნაზე საბჭოთა ხელმძღვანელები იდგნენ, დემონსტრაციის მონაწილეებს კი ტრიბუნის წინ უნდა ჩაეველოთ და მოწოდებების საპასუხოოდ „ვაჰა!“ უნდა ეყვირათ.

წყარო 3 ოფიციალური დოკუმენტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები 1 მაისისთვის 1960 და 1969 წლებში

- გაუმარჯოს 1 მაისს – მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!
- გაუმარჯოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურდვევ კავშირს – საბჭოთა წყობილების მყარ და ურყევ საძირკველს!
- ძირს ომი! მშვიდობა კაცობრიობას!
- საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განუხრელად აამაღლეთ შრომის ნაყოფიერება
- კომუნიზმის გამარჯვების ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი პირობა! იბრძოლეთ ყოველი სამუშაო წუთის სრულად გამოყენებისთვის!
- დიდება და პატივი საბჭოთა ქალს – მხურვალე პატრიოტს, დაუღალავ მშრომელს, მზრუნველ დედას!
- კომკავშირეებო, საბჭოთა ახალგაზრდობავ! ისწავლეთ კომუნისტურად ცხოვრება და შრომა! ჩამოიყალიბეთ მაღალი მორალური თვისებები! იყავით კომუნიზმის შეგნებული და დაუღალავი მშენებლები!
- პიონერებო და მოსწავლეებო! ბევრითად და შეუპოვრად დაეუფლეთ ცოდნასა და შრომით უნარებს! მზად იყავით, გახდეთ ლენინის⁷ დიადი საქმისთვის აქტიური მებრძოლები!



5. როგორ ფიქრობთ, ვის გულისხმობს მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი გამოთქმაში „პროგრესული კაცობრიობა“?
6. როგორ ფიქრობთ, რა „ოცნებებსა და იმედებს“ გამოხატავს მშრომელი ხალხი საპირველმაისო მოწოდებებში (წყაროები 3-4)? რამდენად გულწრფელია ავტორის გამოსვლა (წყარო 4)? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
7. რა აქვს საერთო წყაროებს 2-ს, 3-ს და 4-ს?
8. როგორი განწყობა აქვს ხალხს (წყაროები 5-6)? რას გამოხატავენ ადამიანები (წყაროები 5- 8)?
9. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს დღესასწაული ბავშვებისთვის (წყარო 8)? ესმით თუ არა ბავშვებს დღესასწაულის არსი ისე, როგორც იგი განმარტებულია (წყაროები 2-4)?
10. როგორ გეხმობს პირველი ბლოკის სახელწოდება?

⁷ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები 1960 წლის 1 მაისისთვის. გაზეთი «Магнитогорский металл». ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://magmetall.ru/pdf/1969-04-24_01.pdf ; М.Н. Прякин. Приоритеты общества и официальная пропаганда. – Виртуальный кабинет. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://rudn.monplezir.ru/priority.htm>

წყარო 4 მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. ი. ბოდიულას გამოსვლიდან⁸ 1 მაისისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, 1970 წ.

ძვირფასო მეგობრებო! ყოველწლიურად საბჭოთა ხალხი და სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, პროგრესული კაცობრიობა – ყველა, ვისთვისაც ძვირფასია დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის იდეალები, 1 მაისს რევოლუციური ძალების საბრძოლო დათვალიერებას აწყობს.

ამ დღეს მშრომელი ადამიანები თავიანთ ოცნებებსა და იმედებს მძლავრი მანიფესტაციებით, ყუმაშის⁹ დროშებითა და საპირველმართო მონოდებებით გამოხატავენ. მათში აისახება მშრომელების დაუოკებელი სწრაფვა კაპიტალიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ და დედამიწაზე სამართლიანი საზოგადოების შექმნისთვის საბრძოლველად.

1 მაისი არის მშრომელების ერთიანობის ტრადიციული დღესასწაული, დიადი პრინციპისადმი – პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი მისი ერთგულების სიმბოლო. ეს არის დღე, როდესაც განსაკუთრებითმძლავრად იგრძნობა ყველა პატიოსანი და მოწინავე ძალის ერთსულოვნება სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისთვის ბრძოლაში!¹⁰



წყარო 5 საპირველმართო დემონსტრაცია არხანგელსკის ოლქის ქ. კოტლასში. 1970-იანი წლები¹¹

წყარო 6 საპირველმართო დემონსტრაცია ქ. უნგენში, მოლდოვა. 1985 წ.¹²



⁸ ცენტრალური კომიტეტი – სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო. ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში არსებობდა იქაური კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

⁹ ყუმაში – ნიღელი ფერის ქსოვილი.

¹⁰ «Советская Молдавия» („საბჭოთა მოლდავეთი“) – მოლდავეთის სსრ რესპუბლიკური გაზეთი, №102, 1970 წლის 2 მაისი.

¹¹ Фотобанк Люри

¹² ფოტო ვ. ბალანის საოჯახო ალბომიდან.

წყარო **7** საპირველმაისო დღესასწაული გამარჯვების მოედანზე. ქ. კიშინიოვი. 1980წ.¹³



წყარო **8** პიონერები 1 მაისის დემონსტრაციაზე. ქ. კიშინიოვი. 1982წ.¹⁴



¹³ Кишинэу. Кишинев. Kishinev. Фотоальбом, Составление Сергея Лебедева и Григория Кориненко. Фотосъёмка Григория Кориненко, Владимира Синицкого, Владимира Туляну. – Издательство «Тимрул». Кишинев. 1982г. стр. 45.

¹⁴ Кишинэу. Кишинёв. Kishinev. ფოტოალბომი. იქვე.

ბლოკი 2. დღესასწაული და მეხსიერება



11. რას ჰყვებიან 1 მაისის აღნიშვნაზე თვითმხილველები საბჭოთა კავშირის ყოფილი რესლუბლიკებიდან (წყაროები9-13)? ჩაინერეთ საკვანძო სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები.
12. როგორი განწყობა ჭარბობს მოგონებებში? კონკრეტულად რასთან არის დაკავშირებული ეს განწყობა? ავტორების აზრით, რა ხდიდა 1 მაისს საზეიმო და დასამახსოვრებელ დღედ?
13. რა დროს იხსენებენ თვითმხილველები? რა საერთო აქვს ამ მოგონებებს? რა განასხვავებს მათ? რა უფრო მეტია მოგონებებში: ბავშვური შთაბეჭდილებები თუ ზრდასრული ადამიანის შეფასებები? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.
14. რომელი წყარო უფრო შეეფერება ფოტოებს 1,5, 6,7,8? დაანწყილეთ ან დააჯგუფეთ წყაროები (ფოტო და ტექსტი). დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.
15. რა შეიტყვეთ ახალი 1 მაისის აღნიშვნის შესახებ პირველი ბლოკის წყაროებიდან?

წყარო 9 თვითმხილველთა მოგონებებიდან. მოლდოვა

80-იან წლებში 1 მაისი კალენდარში ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე იყო: ყვავილები, დროშები, პლაკატები ლოზუნგებით: „დიდება 1 მაისს!“ „დიდება საბჭოთა კავშირს!“ „დიდება კომუნისტურ პარტიას!“ „ლენინი – ეპოქის სინდისი და დიდებაა!“, შეძახილები „ვაშააა!“ და ფანფარები. მოსწავლეებიდემონსტრაციაზე გამოვდიოდით და, ასაკის მიხედვით, ხან ვარსკვლავს ვატარებდით, ხან წითელ ყელსახვევს, ხანაც კომკავშირულ ნიშანს. ჯერ სკოლის ეზოში ვიკრიბებოდით, მერე მასწავლებლებთან ერთად სასოფლო საბჭოსთან მივდიოდით, სადაც სატვირთო მანქანის სამბმურზე იმპროვიზირებული სცენა იყო მოწყობილი. აქ სოფლის პირველი პირები გამოდიოდნენ. ისინი ხოტბას ასხამდნენ საბჭოთა მოქალაქეების ბედნიერ ცხოვრებას და მწველავებისა და ტრაქტორისტების შრომით წარმატებებს. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ სასოფლო საბჭოს თანამშრომლები, მასწავლებლები, ბრიგადირები და წარმოების მოწინავეები.

დემონსტრაციის შემდეგ, რომელიც მხოლოდ სამ საათს გრძელდებოდა, მოსწავლეები მიდიოდნენ მშობლების დასახმარებლად მინდვრად, სადაც ისინი დილიდანვე მუშაობდნენ.¹⁵

წყარო 10 თვითმხილველთა მოგონებებიდან, 1970-1980-იანი წლები. უკრაინა

მოუთმენლად ველოდი 1 მაისის დღესასწაულს. ზეიმისთვის წინდანინ ვემზადებოდით. მშობლები ჩემთვის ყიდულობდნენ უამრავ ბუშტს, რომლებიც აუცილებლად სხვადასხვა ფორმისა და ფერის უნდა ყოფილიყო, თუ ნახატებიც ექნებოდა, მით უკეთესი. აუცილებელი იყო წითელი ალმები (წარწერას მნიშვნელობა არ ჰქონდა), რომლებსაც ბუშტებს შევაბამდი ხოლმე. ზოგჯერ ეს იყო ქალაქის ყვავილები: ყაყაჩოები ან მიხაკები. საპირველმაისოდ დედა ყოველთვის რაიმე ახალს ყიდულობდა – ფეხსაცმელს, კაბას – რომ საზეიმოდ გამოწყობილიყო.

¹⁵ ფრაგმენტი კრიულიანის რაიონის სოფელ ხირტოფულ მიკის მკვიდრის, 55 წლის სერაფიმა ბონდარის ინტერვიუდან საბჭოთა მოლდავეთში 1 მაისის აღნიშვნის შესახებ, რომელიც ჩაინერა ვერა ბალანმა.

დილა დემონსტრაციით იწყებოდა. დედა და მამა აუცილებლად თავთავიანთი საწარმოების კოლექტივების კოლონებშიგამოდიოდნენ, ამიტომ მე ხან მამასთან ერთად მივდიოდი, ხან – დედასთან, რაც ძალიან არ მომწონდა. მაგრამ ვიცოდი, რომ ეს დამთავრდებოდა, როცა დიდ ტრიბუნამდე მივალწევდით. მეც მოთმინებით ველოდებოდი ამ მომენტს.

ნამდვილი დღესასწაული ჩემთვის დემონსტრაციის შემდეგ იწყებოდა, როცა მთელი ოჯახიპარკშიმივდიოდით. იქ ატრაქციონებზე ვერთობოდით, ბაბუაწვერას ვკრეფდით, ნაყინს ვჭამდით, ჩემთვის ყოველთვის ყიდულობდნენ კამფეტს, რომლის ჭრაჭუნა ქალაღდი დღესაც მახსოვს. საღამოს კი სტუმრად მივდიოდით ბებია-ბაბუასთან, სხვა ნათესავებიც იკრიბებოდნენ. დიდი სუფრა იშლებოდა და საღამო გულითად ურთიერთობაში გადიოდა. ეს ნამდვილი ოჯახური დღესასწაული იყო!¹⁶

წყარო 11 თვითმხილველთა მოგონებებიდან, 1960-1970-იანი წლები. სომხეთი

„ეს იყო ძველ დროს, რომელიც წავიდა და, ალბათ, აღარასოდეს დაბრუნდება. 1 მაისი მართლაც დღესასწაული იყო, წელიწადის ლამაზი დღე, როდესაც პატივს მიაგებდნენ სომეხ მშრომელებს. ეს იყო პატივისცემის, მხიარულებისა და სიამაყის დღე. დასაანანია, რომ დღეს ამ დღესასწაულს აღარ აღნიშნავენ“, – თქვა 69 წლის კარინე ნიკოგოსიანმა, რომელიც საბჭოთა დროს მასწავლებლად მუშაობდა.

1 მაისზე ლაპარაკისას ნოსტალგია მოეძალა პენსიონერ ლევონ ბარხუდარიანსაც, რომელიც თავის დროზე ინჟინრად მუშაობდა. მან ღიმილით გაიხსენა, რომ მშრომელთა დღეს დიდხანს ელოდებოდნენ და ემზადებოდნენ, ყიდულობდნენ ახალ ტანსაცმელს, სუფრას შლიდნენ, მონაწილეობდნენ დემონსტრაციაში,ზოგჯერ ქალაქგარეთ მაისობაზეც¹⁷ მიდიოდნენ.

მედეა სონა სარიბეკიანმა კი ხუმრობით აღნიშნა, რომ ამ დღეს სამსახურიდან „იძულებით-ნებაყოფლობით“ გზავნიდნენ დემონსტრაციაზე. უფრო ხშირად კი – იძულებით, თუმცა მას ის დრო მოენატრა და მოხარული იქნებოდა, თუნდაც იძულებით მიეღო მონაწილეობა ასეთ დღესასწაულში, რომელიც უკვე აღარ აღინიშნება. „ეს ეროვნული დღესასწაული იყო, რომელსაც ხალხი ზეიმობდა“, – თქვა მან.¹⁸

წყარო 12 ინტერნეტ-ფორუმის „1 მაისის დღესასწაული საბჭოთა ბაქოში“ მასალებიდან

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა დემონსტრაციებზე სიარული – გარშემო თითქოს ყველა ისეთი ბედნიერი იყო!!!! მაშინვე ძალიან ხალისიანი ვხდებოდი. კიდეც ის მომწონდა, რომ არავინ მიშლიდა ხმამაღლა ღრიალს, მაგალითად,„ვაშააა!!!“ მამას კი თურმე ძალიან უყვარდა ჩემი თან წაყვანა, რომ რაიმე ტრანსპარანტის თრევა არ დაევალებინათ! თუ ბავშვთან ერთად იყავი, არ გტვირთავდნენ...

უბრალოდ, დღესასწაული გვიხაროდა, თუმცა აშკარაა, რომ ყველა დღესასწაულის თარიღი, იქნება ეს 1 მაისი თუ აღდგომა, ყურით მოთრეულია. ლოზუნგები, დროშები,

¹⁶ უკრაინის ქალაქ კრივოი როგის მკვიდრის ალექსანდრა ტროფიმენკოს (დაბ. 1976წ.) ინტერვიუდან, რომელიც ჩაწერილია სპეციალურად პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგები“.

¹⁷ რუსეთში 1917 წლამდე რევოლუციურად განწყობილი მუშების არაღელვალური შეკრება, რომელიც 1 მაისს ქალაქგარეთ ეწყობოდა და რომელსაც ხშირად პოლიცია დევნიდა. შემდგომში ქალაქგარეთ საგაზაფხულო გასართობ გაცეირებად იქცა.

¹⁸ Воспоминания ереванцев: 1 мая был праздником воздания должного трудящимся. – ელექტრონული რესურსი <http://news.am/rus/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://news.am/rus/news/57680.html>. ნახვის თარიღი 15 აპრილი, 2014 წ.

ტარნაპარანტები – ყველაფერი ეს როგორც ბრაზილიური კარნავალის, ისე ოლსტერის¹⁹ კათოლიკურ ნაწილში პროტესტანტების მსვლელობის აუცილებელი ატრიბუტიკაა... ამ სადღესასწაულო გაფორმების გარეშე საზეიმო განწყობა სრულყოფილი ვერ იქნება. მაგრამ, თუ უძრაობის ეპოქის²⁰ დღესასწაულებს დღევანდელს შევადარებთ, „ხელშეუხებელი“ მხოლოდ ახალი წელი დარჩა.²¹

წყარო 13 თვითმხილველთა მოგონებებიდან 1950-იანი წლების დამდეგის შესახებ. საქართველო

ბაქოშიც და თბილისშიც მაისის წინა დღეები წელს (1952 წ.) გრილი გამოდგა, ამიტომ ჩვენს საზეიმო ჩაცმულობაზე სამხედრობითიცოდნენ: „ტანსაცმლის ფორმა – ზამთრის“.

დემონსტრანტების კოლონა წელს, გაჩერებიდან გაჩერებამდე მიიწევდა წინ სტალინის მოედნისკენ, რომ სამთავრობო ტრიბუნის წინ ჩქარი ნაბიჯით, მხნედ ჩაგვევლო („იარეთ, იარეთ, ნუ შეყოვნდებით!“), ანთებული მზერით შეგვეხედა ტრიბუნის ცენტრალური ნაწილისთვის და ენერგიულად გვექნია ხელები. მძლავრი რეპროდუქტორებიდან გაისმოდა: „მიღწევები... განვითარება... სწრაფვა... გადაჭარბება...“ ჩვენ კი ერთხმად უნდა გვეპასუხა: „ვაშაა!“

სტალინის სახელობის მოედანზე დემონსტრაცია დაიწყო, რეპროდუქტორებიდან გამომხვევებული მარშების მელოდიები ისმოდა. მზემ, ეტყობა, „მშრომელების სურვილები გაითვალისწინა“ და ზაფხულის სიძლიერით დააცხუნა. პალტოების გახდა მოგვინია, მაგრამ ხელში დაკავებულიც ძალიან გვანუხებდა. ჩვენი კოლონა ფართო ქუჩის შუაში, ტრამვაის ლიანდაგებზე იდგა, მზისგან დამალვა მხოლოდ ტრანსპარანტების²² ჩრდილში შეიძლებოდა, მაგრამ ისინი, ბუნებრივია, ყველასთვის სამყოფი არ იყო.²³

წყარო 14 თვითმხილველთა მოგონებებიდან 1960-1970-იანი წლების შესახებ. რუსეთი²⁴

1 მაისს გრანდიოზული დემონსტრაციები ტარდებოდა. აქ ჩვენი პატარა ქალაქის ყველა მცხოვრებს ნახავდით. მშრომელები თავიანთ საწარმოებში იკრიბებოდნენ, მკერდზე ყველას ლენინისპროფილიანი ალმები ჰქონდათ მიმაგრებული. მოჰქონდათ ბუშტები, ჯოხზე წამოცმული ბელადებისა და პარტიული ლიდერების პორტრეტები, ქალაქის მტრედეები, წითელ ქსოვილზე თეთრი საღებავით დაწერილი ლოზუნგები, რომლებსაც ქარი აფრიალებდა და ზოგჯერ ხლართავდა კიდეც.

დღესასწაულებამდე ერთი კვირით ადრე ყველა ნათესავისთვის ღია ბარათები უნდა გაგვეგზავნა 1 მაისის, გამარჯვების დღის, დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღის მილოცვებით. რა თქმა უნდა, მათგანაც ვიღებდით ღია ბარათებს. თუნდაც ერთ ქალაქში ცხოვრობდეთ, რა გიშლით ხელს, დაწეროთ და გააგზავნოთ მილოცვა? ეს ხომ კიდეც უფრო საზეიმო განწყობას ქმნის. დემონსტრაციების დღეს ყველანი ხალისიან და საზეიმო ხასიათზე

¹⁹ ოლსტერი – ირლანდიის ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია, გაყოფილი 1921 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ. ჩრდილოეთ ოლსტერი გაერთიანებული სამეფოს – დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში შედის. XX საუკუნის განმავლობაში ჩრდილოეთ ირლანდიის (ოლსტერი) ტერიტორიაზე ეთნოპოლიტიკური და კონფესიათმორისი კონფლიქტი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის არ შეწყვეტილა.

²⁰ უძრაობის ეპოქა – საბჭოთა კავშირის ისტორიის მონაკვეთის სახელწოდება 1960-დან 1980-იანი წლების პირველ ნახევრამდე.

²¹ Парапет. Сообщество истории Баку и бакинцев. ელექტრონული რესურსი. – [http://www.baku.ru/ fragmenti forumidan](http://www.baku.ru/fragmenti/forumidan) Праздник Первомай на главной площади. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.baku.ru/firmpst-view.php?firmpst_id=8038040&id=8054490&v=1#8054490. გვ. 1-2.

²² ტრანსპარანტი (ფრანგულიდან transparent) – ჩარჩოზე გადაჭიმული ქსოვილი ან ქალაქი გამოსახულებებითა და ლოზუნგებით.

²³ Эдуард Караш, Первомай в Тбилиси. – ელექტრონული ბიბლიოთეკა <http://royallib.com/> ხელმისაწვდომია მისამართზე: http://royallib.ru/book/eduard_karash/pervomay_v_tbilisi.html C.5.

²⁴ Музей СССР. XX век. Петро. Воспоминания. Ностальгия. ელექტრონული რესურსი <http://20th.su>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://20th.su/2013/05/01/parad-prazdnik-trudyashhixsya/>.

ვიყავით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვისვენებდით. სიხარული და მხიარულება პირდაპირ ჰაერში იყო გაფრქვეული.

გაზაფხულის დემონსტრაციები ლურჯ ცაზე ფერად-ფერადი ბუშტებით, უამრავი წითელი დროშითა და მოდურ კაფეში ნაყინით დამამახსოვრდა. ნაყინი რკინის ბრჭყვიალა ლარნაკებში წარმოდგენილად გემრიელი იყო. მშობლები საზეიმოდ იყვნენ ჩაცმული. დედა პიჯაკზე ოქროს ვარდს იბნევდა და ნამდვილი „დიორის“ სურნელს აფრქვევდა (ეს ფლაკონი დედას აჩუქეს, ფრანგულ სუნამოს მაღაზიაში ვერ იყიდდი), მამა კი ჰალსტუხსაც კი იკეთებდა. უფრო სწორად, მას არ უყვარდა ჰალსტუხი, მე კი ძალიან მინდოდა, რომ კეთებოდა. დედას შევეუწნებოდი ხოლმე, დედა კი მამას კისერზე ამ საძულველ „მახრჩობელას“ ახვევდა. დემონსტრაციის დამთავრებისთანავე „მახრჩობელა“ ჯიბეში აღმოჩნდებოდა ხოლმე. მაგრამ მანამდე ყველაფერი ბრწყინვალედ იყო: „დიორი“, გულსაბნევი, ჰალსტუხი, ბუშტები. ყველა ბედნიერია! მაისის დღესასწაულის შემდეგ აგარაკზე მივდიოდით და კარტოფილს ვეთესდით.²⁵

ბლოკი 3. 1 მაისის გამოსახულებები

16. რომელ დღესასწაულებს ეძღვნება სხვადასხვა წლის ღია ბარათები (წყაროები 15-27)? რა განწყობას ქმნის ეს ბარათები და რა ხერხებით?
17. რა სიმბოლოებსა და გამოსახულებებს იყენებს მხატვარი? შეადგინეთ ამ საფოსტო ღია ბარათებზე გამოყენებული საერთო გამოსახულებებისა და სიმბოლოების სია.
18. რა კავშირი აქვს ამ გამოსახულებებსა და სიმბოლოებს მოგონებებში აღწერილ განწყობასთან (წყაროები 9-14) და 1 მაისის დღესასწაულის სახელმწიფო სტატუსთან?
19. რომელი ღია ბარათი ასახავს ყველაზე სრულყოფილად თქვენ მიერ წარმოდგენილ საპირველმისო დღესასწაულს?

წყარო 15 1954 წ.²⁶



წყარო 16 1954 წ.



²⁵ Музей СССР. XX век. Ретро. Воспоминания. Ностальгия. <http://20th.su/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://20th.su/2013/05/01/parad-prazdnik-trudyashhixsya/>

²⁶ ბარათები აღებულია ელექტრონული რესურსიდან «Первомайские открытки. Мир, труд, май!» ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://radimich-ru.livejournal.com/51480.html?thread=18200>

ნომერი 17 1954 წ.



ნომერი 18 1950-1969 წწ.



ნომერი 19 1957 წ.



ნომერი 20 1958 წ.



ნყარო 21 1969 წ.



ნყარო 22 1979 წ.



ნყარო 23 1973 წ.



ნყარო 24 1957 წ.



ბლოკი 4. 1 მაისი და თანამედროვეობა



20. რას ეხება მასმედიის ინფორმაცია (წყარო 25)? როგორ შეესაბამება ერთმანეთს სტატიის სათაური და მისი შინაარსი?
21. რა მოეწონა ავტორს 1 მაისის დღესასწაულის აღნიშვნაში (წყარო 26)? რა აქვს საერთო მოლდოვაში 2010 და 2012 წლებში 1 მაისის აღნიშვნას (წყაროები 25-26)?
22. ვისი თვალსაზრისია გადმოცემული წყარო 27-ში? რა საერთო აქვს მოლდოვას პროფკავშირების ეროვნული კონფედერაციის თავმჯდომარის გამოსვლასა (წყარო 26) და პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გამოსვლას (წყარო 27)? როგორ ფიქრობთ, ამის მოსმენას ელოდნენ 1 მაისის დემონსტრაციის მონაწილეები (წყარო 25)? რატომ?
23. ვისი თვალსაზრისია გადმოცემული წყაროებში 28-29? იზიარებთ თუ არა მას? პასუხი დაასაბუთეთ.
24. შეიცვალა თუ არა 1 მაისისადმი დამოკიდებულება XXI საუკუნეში? რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

წყარო 25 მასმედიის ინფორმაცია „1 მაისი კაპიტალის წინააღმდეგ მშრომელთა ერთობლივი ბრძოლის დღე!“, 2010 წლის 4 მაისი

1 მაისს „სახალხო წინააღმდეგობის“²⁷ აქტივისტები, კომინიოვის ტროლეიბუსების პარკის (RTEC) მუშაკები და სს „მოლდკარდონის“ მუშები ერთად გამოვიდნენ მოედანზე. ისინი აპროტესტებდნენ ხელფასების დაგვიანებას და მოითხოვდნენ რენაციონალიზაციას.²⁸ პარკის მუშაკები №3 ტროლეიბუსების პარკის ცენტრალურ შესასვლელთან შეიკრიბნენ და მოედანზე უკვე დილის 7 საათზე იყვნენ. იმ დღეს მათ გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი პროტესტს უცხადებენ პარკის კორუმპირებულ და არაკომპეტენტურ ხელმძღვანელობას მისი გენერალური დირექტორის სახით; ასევე, ითხოვენ ხელფასის გაზრდას, რადგან ტარიფის გაორმაგების შემდეგ ის სულ უფრო მცირდება. მძღოლებს ხშირად საკუთარი ხელით და სახსრებით უწევთ გაფუჭებული ტროლეიბუსების შეკეთება, რადგან ეუბნებიან, თუ ხაზზე არ გახვალ, ხელფასს ვერ მიიღებო.²⁹

წყარო 26 თვითმხილველის ნაამბობი. 2012 წლის 1 მაისი.

დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ ასე ნორმალურად ჩატარებულ ღონისძიებაზე. მოლდოვას პროფკავშირების ეროვნულმა კონფედერაციამ 1 მაისს – მშრომელთა მსოფლიო სოლიდარობის დღეს – კომინიოვის ცენტრში, დიდი ეროვნული კრების მოედანზე მიტინგი მოაწყო.

დასაწყისში მშვენიერი კონცერტი გაიმართა. ხალხი ყოველი მხრიდან გვიერთდებოდა. ირგვლივ, როგორც არასდროს, სიმშვიდე იყო, არ შეიმჩნეოდა გაბოროტება, არავინ პოლიტიკანობდა. პირველად ვნახე, რომ არსად იყიდებოდა ლუდი. – ადრე იქაურობა სავსე იყო კიოსკებით, სადაც ლუდს ყიდდნენ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სპირტიანი სასმელების გაყიდვის კრძალვა მოქმედებდა.

²⁷ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „სახალხო წინააღმდეგობა“ – მემარცხენე მიმართულების პარტია მოლდოვას რესპუბლიკაში. შეიქმნა 2003 წელს.

²⁸ რენაციონალიზაცია – საწარმოს დაბრუნება სახელმწიფოს კუთვნილებაში.

²⁹ პარტია „სახალხო წინააღმდეგობის“ საინფორმაციო რესურსი <http://rezistentia.info/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://rezistentia.info/work/63-1-maya-na-ploshhadi-velikogo-nacionalnogo-sobraniya-v-kishineve.htm>

მოლდოვას პროფკავშირების ეროვნული კონფედერაციის თავმჯდომარემ ოლეგ ბუდ-ზამ შეკრებილების წინაშე, რომელთა რაოდენობა 6 ათასს აღწევდა, გამოსვლისას განაცხადა, რომ პროფკავშირები არ ივინყებს თავის მოთხოვნებს და აპირებს მიაღწიოს შრომის პირობების ძირეულ გაუმჯობესებას, ყველა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების უპირობო დაცვას, ასევე ხელფასებისა და პენსიების გაზრდას.³⁰

წყარო 27 მასმედიის ინფორმაციიდან. მოლდოვაში პირველი მაისი მოაზიჟებს

მოლდოვას პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა იური ლიანკემ 1 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მშრომელებს გაუგზავნა მისალისი, რომელშიც ნათქვამია: „მთელი მსოფლიოს მშრომელები ყოველწლიურად აღნიშნავენ 1 მაისს, როგორც შრომის საერთაშორისო დღეს. ამ დღესასწაულს მოლდოვაშიც აღნიშნავენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მშრომელები, გამოხატავენ სოლიდარობასა და ურთიერთთანადგომას, ამკვიდრებენ დემოკრატიულ ფასეულობებს, მათ შორის, შრომის უფლებასა და სოციალურ სამართლიანობას. მოლდაველი ხალხი ცნობილია თავისი შრომისმოყვარეობით, ყველა სფეროში მუშაობენ პროფესიისა და საკუთარი საქმის ერთგული ადამიანები. შრომის დღესასწაული მშრომელებისადმი პატივისცემის კიდევ ერთხელ გამოხატვის კარგი შესაძლებლობაა“.³¹

წყარო 28 უკრაინელი მოსწავლის მოსაზრება

ჩემთვის 1 მაისი არასდროს ყოფილა „განსაკუთრებული“ დღე. დემონსტრაციებზე არ დავდიოდი, საზეიმოდ მოსული არასოდესმიგრძნია. ვფიქრობ, ამ დღესასწაულს უკვე დიდი ხანია აღარ შეაქვს ხალხის, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თაობის ახალგაზრდების, ცხოვრებაში განსაკუთრებული ატმოსფერო და აზრი. ერთადერთი ასოციაციასააორდლიანი დასვენება, რომლის გატარება ოჯახში და მეგობრებთან ერთად შეიძლება. ძირითადად, ეს არის პიკნიკები, მწვადები და ოჯახურ გარემოში დასვენება.³²

წყარო 29 მოლდაველი მოსწავლის მოსაზრება

შრომის დღე დასვენების დღეა. მას შემდეგ, რაც მიტინგები და დემონსტრაციები აღარ იმართება, ამ დღეს შინ ან ქალაქარეთ ვატარებთ, ან შეიძლება კინოს ვუყუროთ, კარგი წიგნი წავიკითხოთ, წავიდეთ თეატრში, კონცერტზე. პირადად მე მიყვარს ეს დღე, რადგან სკოლაში არ მივდივარ. ჩვეულებრივ, ამ დღეს დასთან ერთად ვსეირნობ და ბევრს ვკითხულობ.³³

შემაჯამებელი დისკუსია

რას მოგვითხრობს წარსულზე 1 მაისის აღნიშვნის საბჭოური ტრადიცია?

³⁰ ალექსანდრა ევრემოვა – ავტორი საიტისა <http://dupelbiz.com>. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://dupelbiz.com/%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8/v-kishi-neve-1-maya-2012-goda>

³¹ Первoмай шагaет по Молдове. Информaциoннo-анaлитический портал AVA.MD <http://ava.md/> –ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://ava.md/news/020331-pervomai-shagaet-po-moldove.html>

³² უკრაინის ქ. დნეპროდერჟინსკის მკვიდრის, 16 წლის ალექსანდრა კოზოროგის ინტერვიუდან, რომელიც ჩანერილია სპეციალურად ამ პროექტისთვის. 2013წ.

³³ მოლდოვას ქ. იალოვენის მკვიდრის, 16 წლის აუგუსტინა ბადიკის ინტერვიუდან, რომელიც ჩანერილია სპეციალურად ამ პროექტისთვის. 2013 წ.

ერთიანობა და მრავალფეროვნება

► რა ქმნის ერთიან და მრავალფეროვან საზოგადოებას?

ბლოკი 1. ეთნოსი და ერი



1. რას ხედავთ ფოტოზე (წყარო 1)? რა მიზეზით შეიძლება ამდენ ადამიანს ერთად მოეყარა თავი? როგორ ფიქრობთ, ვინ არიან ეს ადამიანები? რა აერთიანებს ამ ხალხს?
2. ვინ არის აღბეჭდილი ფოტოზე (წყარო 2)? რა აერთიანებს ამ ხალხს?
3. რატომ აწარმოებენ და ყიდულობენ ნაწარმს სახელმწიფო და ისტორიული სიმბოლიკით (წყარო 3)? რის გამოხატვაა სურთ ადამიანებს, როდესაც ასეთ ტანსაცმელს იცვამენ?

წყარო 1 მოლოდოვას დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991 წ.¹



წყარო 2 გამოსვლა დიდი ეროვნული კრების მოედანზე, კიშინიოვი, მოლოდოვა²



¹ Национальное Собрание, Молдова, 1991. Провозглашение государственной независимости. Михай Потырнике. ელექტრონული რესურსი <http://www.trm.md> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.trm.md/en/marea-adunare-nationala/marea-adunare-nationala-din-27-august-1991/> ვებ-გვერდის მონახულების თარიღი 29.04.2014.

² «Мы молдаване» – ელექტრონული რესურსი <http://www.moldovenii.md/ru/>, ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.moldovenii.md/resources/files/images/news/news6/200810_1-280.jpg

წყარო 3 მაისური მოლდოვური სიმბოლიკით.³

4. გაეცანით საინფორმაციო ცნობაში მოცემულ განსაზღვრებებს. ყოველ განსაზღვრებაში მოძებნეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.
5. ამ ცნებათაგან, რომლის გამოყენება შეიძლება წყაროებზე 1 და 2 აღბეჭდილი ადამიანების დასახასიათებლად? პასუხი დაასაბუთეთ.

◆ საინფორმაციო ცნობა

ეთნოსი (ბერძნ. *ethnos* – ხალხი) – ადამიანების მყარი ერთობა, რომელიც ერთ ხალხს განეკუთვნება, ცხოვრობს გარკვეულ ტერიტორიაზე და მას აერთიანებს საერთო წარმომავლობა, ენა, ყოფა, კულტურა და ფსიქოლოგიური თავისებურებები. ეთნოსი, როგორ წესი, საერთო ტერიტორიისა და ეკონომიკის საფუძველზე ყალიბდება, მაგრამ ისტორიული განვითარების პროცესში ზოგიერთი მათგანი კარგავს ტერიტორიას და სახლდება სხვა ქვეყნებში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად.

ერი – პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ხალხი, რომელიც თავის შიგნით მრავალ ეთნოსს მოიცავს. ეთნოსი შეიძლება პოლიტიკურ ერადა გადაიქცეს, თუკი გარკვეულ ტერიტორიაზე ყველა ადამიანს საერთო პოლიტიკური ინტერესებით გააერთიანებს.

სამოქალაქო საზოგადოება – საერთო კაილდეობისათვის გაერთიანებულ მოქალაქეთა საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს მაღალი დონის თვითორგანიზაცია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე; აგრეთვე ეს არის მოქალაქეთა არასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებარებელი ისეთი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთა წევრების ინტერესებიც ხორციელდება სახელმწიფოს საქმიანობის სფეროს მიღმა და, შესაძლოა, სახელმწიფოს წინააღმდეგაც, როცა საქმე ეხება მოქალაქეების თავისუფლებისა და საკუთრების შენარჩუნებასა და უსაფრთხოებას.⁴

6. რა საერთო აქვს წყაროებს 4,5,6,7, 8 და რით განსხვავდება ისინი? რისთვის სჭირდება ადამიანს პასპორტი? რას განსაზღვრავს პასპორტი?
7. დამოკიდებულია თუ არა გარკვეული სახელმწიფოს პასპორტის ქონა ამა თუ იმ ადამიანის ეთნიკურ წარმომავლობაზე? მოიყვანეთ მაგალითები. რაზე მეტყველებს ეს?
8. კიდევ რა სიმბოლოები განსაზღვრავს ადამიანის ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი კუთვნილებას? რაზე მეტყველებს ეს სიმბოლოები?

³ სერჟიუ მუსტიაცეს ფოტო.

⁴ ადაპტირებული ტექსტი «Політологія» – К.: «ВЦ Академія». 2001, с.181, 184,126.

ნყარო 4 მოლდოვას მოქალაქის
პასპორტის ყდა



ნყარო 5 უკრაინის
მოქალაქის
პასპორტის ყდა




ნყარო 6 სომხეთის
მოქალაქის
პასპორტის ყდა



ნყარო 7 საქართველოს
მოქალაქის
პასპორტის ყდა



ნყარო 8 აზერბაიჯანის
მოქალაქის
პასპორტის ყდა



ბლოკი 2. სახელმწიფო და პოლიკულტურული საზოგადოება



9. რა არის კონსტიტუცია? რაზე მეტყველებს ნაწყვეტები ხუთი ქვეყნის კონსტიტუციებიდან (ნყაროები 9, 10, 11, 12, 13)?
10. როგორ გესმით ყოველი ქვეყნის მთავარი კანონის მოყვანილ მუხლებში გამოყენებული ცნებები: „თვითმყოფადობა“, „ხალხის ერთიანობა“, ეროვნული უმცირესობები“, „კონსოლიდაცია“?
11. რა დატვირთვა აქვს მოცემულ დოკუმენტებში ცნებებს: „ხალხი“ და „ერი“ – ეთნიკური თუ პოლიტიკური? პასუხი დაასაბუთეთ.
12. რით შეიძლება აიხსნას თანამედროვე ქვეყნების ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება?



13. თქვენი აზრით, თანამედროვე სახელმწიფოების კონსტიტუციებში რატომ არის გამაზვიანებელი ყურადღება მოქალაქეთა კულტურულ თვითმყოფადობასა და უფლებაზე? ქვეყნისა და ხალხის კულტურული მრავალფეროვნება სახელმწიფოს სახფრთხეს უქმნის, თუ განვითარების შესაძლებლობას აძლევს? პასუხი დაასაბუთეთ.

წყარო 9 ნაწყვეტი მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუციიდან⁵

მუხლი 10. ხალხის ერთიანობა და თვითმყოფადობის უფლება

- სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს მოლდოვის რესპუბლიკის ხალხის ერთიანობა. მოლდოვის რესპუბლიკა ყველა მისი მოქალაქის საერთო და განუყოფელი სამშობლოა.
- სახელმწიფო აღიარებს და იცავს ყველა მოქალაქის უფლებას შეინარჩუნოს, განავითაროს და გამოხატოს ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობა.

წყარო 10 ნაწყვეტი სომხეთის კონსტიტუციიდან⁶

მუხლი 41. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისი ეროვნული და ეთნიკური თვითმყოფადობა შეინარჩუნოს.

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი ტრადიციები, რელიგია, ენა და კულტურა.

წყარო 11 ნაწყვეტი უკრაინის კონსტიტუციიდან⁷

მუხლი 11. სახელმწიფო ხელს უწყობს უკრაინელი ერის კონსოლიდაციას და განვითარებას, მისი ისტორიული ცნობიერების, ტრადიციების და კულტურის, აგრეთვე უკრაინის ყველა მკვიდრი ხალხისა და ეროვნული უმცირესობის ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობას.

წყარო 12 ნაწყვეტი აზერბაიჯანის კონსტიტუციიდან⁸

მუხლი 5. ხალხის ერთიანობა

II. აზერბაიჯანის ხალხის ერთიანობა აზერბაიჯანის სახელმწიფოს საფუძველია. აზერბაიჯანის რესპუბლიკა მისი ყველა მოქალაქის საერთო და განუყოფელი სამშობლოა.

მუხლი 21.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკა უზრუნველყოფს სხვა ენების, რომლებზეც ლაპარაკობს მოსახლეობა, თავისუფალ გამოყენებასა და განვითარებას.

⁵ Конституция Республики Молдова, принята 29 июля 1994 года. ელექტრონული რესურსი <http://lex.justice.md> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=311496&lang=2>

⁶ Конституция принята референдумом 5 июля 1995 г. Конституционные изменения внесены референдумом 27 ноября 2005 г. ელექტრონული რესურსი <http://www.parliament.am>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.parliament.am/parliament.php?id=constitution&lang=rus>.

⁷ Конституция Украины принята 28 июня 1996 года. ელექტრონული რესურსი <http://iportal.rada.gov.ua> ხელმისაწვდომია მისამართზე <http://iportal.rada.gov.ua/uploads/documents/27396.pdf>

⁸ Конституция Азербайджана от 12 ноября 1995 года. ელექტრონული რესურსი <http://ru.president.az>. <http://ru.president.az/azerbaijan/constitution>.

წყარო 13 ნაწყვეტი საქართველოს კონსტიტუციიდან⁹

მუხლი 34.

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაქართველო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.



14. როგორ განსაზღვრავს ერის ცნებას თანამედროვე მკვლევარი ბ. ანდერსონი (წყარო 14)? რა შეიტყვეთ ახალი მისი წიგნის ნაწყვეტიდან?
15. რას გულისხმობს სიტყვა „მრავალფეროვნება“ წყაროებში 15 და 16? რატომ მატულობს, თანამედროვე სოციოლოგების აზრით, საკუთარი კულტურული იდენტობის მოთხოვნილება გლობალიზაციის ეპოქის საზოგადოებაში? რას ნიშნავს გამოთქმა „კულტურული ნაციონალიზმი“ (წყარო 15)?
16. როგორ ფიქრობთ, რატომ დაანესა გაერომ კულტურული მრავალფეროვნებისა და განვითარების დღე (წყარო 18)? გაეროს თანამშრომლების აზრით, რა უნდა ისწავლოს „კეთილი ნების ყველა ადამიანმა“? რა ამდიდრებს და აერთიანებს პლანეტის ყველა ხალხს? როგორ გესმით ეს?
17. დაასრულეთ წინადადება: თანამედროვე საზოგადოება მრავალფეროვანია არა მარტო ენის, რელიგიის, ეთნიკური კულტურის თვალსაზრისით...
18. როგორ ფიქრობთ, რატომ დაადგინა გაერომ კულტურული მრავალფეროვნებისა და განვითარების დღე (წყარო 17). გაეროს თანამშრომელთა აზრით, რა უნდა ისწავლოს „კეთილი ნების ყველა ადამიანმა“? რა ამდიდრებს და აერთიანებს დედამიწის ყველა ადამიანს? როგორ გესმით ეს?

წყარო 14 ინგლისელი მკვლევარი ბ. ანდერსონი ერის შესახებ

... გთავაზობთ ერის შემდეგ განსაზღვრებას: ეს არის წარმოსახვითი პოლიტიკური ერთობა, და ეს ერთობა წარმოგვესახება, როგორც გარდაუვლად შეზღუდული, მაგრამ ამავე დროს სუვერენული.

ის წარმოსახვითია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მცირე ერის წევრებიც კი არ იცნობენ თანამოქმედების უმრავლესობას, არა აქვთ მათთან ურთიერთობა ან საერთოდ არაფერი იციან მათ შესახებ, თითოეული მათგანის გონებაში წარმოსახულია თანამოქმედებთან ერთიანობის განცდა.

ერი შეზღუდულად გვესახება, რადგან ყველაზე დიდ ერსაც კი, მილიარდიანიც რომ იყოს, აქვს მართალია ცვალებადი, მაგრამ კიდური საზღვარი, რომლის გარეთ სხვა ერები ცხოვრობენ. არც ერთი ერი არ აიგივებს თავს მთელ კაცობრიობასთან.

ერი სუვერენულად გვესახება, რადგან ეს განსაზღვრება შეიქმნა ეპოქაში, როდესაც განმანათლებლობა და რევოლუცია ანგრევდა ღვთის მიერ განსაზღვრული იერარქიული დინასტიური სახელმწიფოს¹⁰ ლეგიტიმურობას.¹¹

⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს. ელექტრონული რესურსი www.parliament.ge ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>.

¹⁰ ლეგიტიმურობა (ლათინურიდან *legitimus* – კანონიერი) – კანონიერება, უფლებამოსილება.

¹¹ იერარქიული დინასტიური სახელმწიფო – იგულისხმება ტრადიციული მონარქიები, სადაც მეფე ერთი დინასტიის წარმომადგენელი იყო და მისი ძალაუფლება მთელ საზოგადოებაზე მაღლა იდგა.

დაბოლოს, ის წარმოგვესახება, როგორც ერთობა, რადგან, მიუხედავად ფაქტობრივი უთანასწორობისა და ექსპლუატაციისა, რომელიც ნებისმიერ ერში შეიძლება არსებობდეს, ერი ყოველთვის განიხილება, როგორც ღრმა, ჰორიზონტალური თანამეგობრობა. საბოლოო ანგარიშით, სწორედ ეს ძმობა უბიძგებს უკანასკნელი ორი ასეული წლის მანძილზე მრავალ მილიონ ადამიანს, ნებაყოფლობით შეაკლას თავი წარმოსახვის ესოდენ შეზღუდულ ნაყოფს.¹²

წყარო 15 თანამედროვე მკვლევრები „კულტურული ნაციონალიზმის“ შესახებ

რაც უფრო ხშირად ვახსენებთ ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას, რაც უფრო ვავითარებთ ცხოვრების გლობალიზაციურ¹³ სტილს, მით უფრო ვუახლოვდებით იმას, რასაც „კულტურული ნაციონალიზმი“ ჰქვია. რაც უფრო მეტად ვახდენთ გლობალიზაციას და ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულები ვხდებით, მით უფრო ადამიანურად ვმოქმედებთ, ხაზს ვუსვამთ საკუთარ განცალკევებულობას, ვინარჩუნებთ ენას, ჩვენს ფესვებს და მშობლიურ კულტურას. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შემდეგ გერმანელები თავს უფრო გერმანელებად გრძნობენ, ფრანგები კი – უფრო ფრანგებად.

ნაციონალიზმის უარყოფითი მხარეები აშკარაა: ეთნიკური წმენდა და სამოქალაქო ომის საშინელებები ბალკანეთის ყოფილ იუგოსლავიაში, ომი ახლო აღმოსავლეთში, ხშირად რელიგიურად შეფერილი, აჯანყებები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რასისტი ფანატიკოსები უამრავ ქვეყანაში.

მაგრამ აღსანიშნავია კულტურული ნაციონალიზმის დადებითი გავლენაც, განსაკუთრებით განათლებაზე. რაც უფრო ვითარდება ტექნოლოგიები, მით მეტია ადამიანთა ლტოლვა შეინარჩუნონ **კულტურული მემკვიდრეობა** მუსიკაში, ცეკვებში, ენაში, ხელოვნებასა თუ ისტორიაში.¹⁴

წყარო 16 ფუტუროლოგი ე. ტოფლერი თანამედროვე საზოგადოების შესახებ

შემთხვევითი არ არის, რომ ვხედავთ პარალელურ მოძრაობას მრავალფეროვნებისკენ ეკონომიკაში, ხელოვნებაში, განათლებაში, მასობრივ კულტურასა და თვით სოციალურ მოწყობაში. ყველა ეს მოძრაობა ერთად ქმნის წარმოუდგენლად დიდი ისტორიული პროცესის ნაწილს. სუპერინდუსტრიული რევოლუცია¹⁵ შეიძლება განვიხილოთ, როგორც კაცობრიობის წინსვლა შემდგომი, უფრო მაღალი ხარისხის დიფერენციაციისკენ.¹⁶

¹² Андерсон Бенедикт. Воображаемые общества. Введение. – წიგნის ელექტრონული ვერსია ბიბლიოთეკაში <http://www.gumer.info> ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Sociolog/anders/01.php

¹³ გლობალიზაცია (ლათ. globus – ბურთი, სფერო) – მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის და უნიფიკაციის პროცესი, რომელიც თან ახლავს კაპიტალიზმის განვითარებასა და, ნედლეულის, კაპიტალის, მუშა-ხელისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრის შექმნას. გლობალიზაციის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე.

¹⁴ Гордон Драйден. Джанетт Вос. Революция в навчанні. Львів. 2005. с.75. – ადაპტირებული ტექსტი.

¹⁵ სუპერინდუსტრიალიზაცია – ამ ტერმინით აღნიშნავენ XIX-XX საუკუნეების ინდუსტრიალიზაციიდან გადასვლას ახალი, ინფორმაციული ტიპის ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.

¹⁶ Тоффлер Э. Шок будущего. – М.: 2003. – С. 326.

წყარო 17 მასმედიის ინფორმაციიდან

21 მაისს გაეროში აღნიშნავენ დიალოგისა და განვითარების სასიკეთოდ კულტურული მრავალფეროვნების მსოფლიო დღეს, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ 2002 წელს დააწესა. ამ დღის ფარგლებში იუნესკომ და გაეროს ცივილიზაციების ალიანსმა წამოიწიეს კამპანია ლოზუნგით „გააკეთე ერთი საქმე“. ინიციატივის ავტორები კეთილი ნების ყველა ადამიანს სთავაზობენ არა მარტო გააცნობიერონ კულტურული მრავალფეროვნების ფასეულობები და ისწავლონ თანამშრომლობა სხვა კულტურების წარმომადგენლებთან, არამედ თავიანთი წვლილიც შეიტანონ ამ იდეების მსოფლიოში გავრცელების საქმეში.

იუნესკოს გენერალური დირექტორის ირინა ბოკოვას თქმით, წამოწყების მიზანია უზრუნველყონ ფართო აღიარება მრავალფეროვნებისა, რომელიც გვამდიდრებს, და ადამიანის უფლებებისა, რომლებიც გვაერთიანებს.¹⁷

შემაჯამებელი განხილვა

რა ქმნის ერთიან და მრავალფეროვან საზოგადოებას?

¹⁷ В ООН отмечают Всемирный день культурного разнообразия во имя диалога и развития. – Отдел новостей и СМИ. Радио ООН. – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.unmultimedia.org/radio/russian/archives/192984/index.html#.VbiCz_ntlHz.

ძირითადი ფასეულობანი და ცვლილებები საზოგადოებაში

► რა არის ფასეულობა და რა გავლენას ახდენს იგი საზოგადოებაზე?

ბლოკი 1. რა არის ფასეულობები და როგორ გვეხმის ამ ცნების მნიშვნელობა

1. შეარჩიეთ ჩამონათვალიდან 10 ცნება, რომლებიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობებს ასახავს. დაასაბუთეთ და თანაკლასელებთან ერთად განიხილეთ თქვენი არჩევანი.

2. ადვილია თუ არა არჩევანის გაკეთება და რატომ?

◆ სიტყვის თავისუფლება	◆ კრიტიკული აზროვნება	◆ სოლიდარობა
◆ სიმდიდრე	◆ ხელოვნება	◆ თანასწორობა
◆ უსაფრთხოება	◆ აღიარება	◆ პატიოსნება
◆ ადამიანის უფლებები	◆ სიყვარული	◆ წესიერება
◆ არჩევანის უფლება	◆ ქველმოქმედება	◆ პროფესიონალიზმი
◆ მეგობრობა	◆ სამართლის უზენაესობა	◆ სინდისის თავისუფლება
◆ თავისუფლება	◆ შრომის ბაზარი	◆ ბუნება
◆ კანონი და წესრიგი	◆ ჯანმრთელობა	◆ კულტურული მემკვიდრეობა
◆ ძლიერი სახელმწიფო	◆ გადაადგილების თავისუფლება	◆ დემოკრატია
◆ კომპრომისი	◆ წარმატება	◆ თანამშრომლობა

3. ვისი თვალსაზრისია გადმოცემული წყაროებში 1-4? რა არის საერთო და განსხვავებულიათანამედროვეთა მოსაზრებებში იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში (წყაროები 1-4)?

4. კითხვა 1-ისა და წყაროების 1-4 განხილვის შედეგად, ჩამოაყალიბეთ ცნება „ფასეულობების“ თქვენური გაგება.

წყარო 1 თანამედროვე ისტორიკოსის მოსაზრება

ფასეულობები არის ყველაზე ფუნდამენტური იდეები/რწმენა/შეხედულებები, რომლებიც ადამიანის ქცევას უდევს საფუძვლად. მათ მიხედვით აღვიქვამთ სამყაროს და ვპასუხობთ მის გამოწვევებს. ფასეულობის ცნების უკეთ გასაგებად უნდა დავადგინოთ, რა არ წარმოადგენს ფასეულობას. ის არ არის ინტერესები. ეს უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია მატერიალურ კათილდეობასა და კომფორტთან (ფული, მიწა, თანამდებობა). ინტერესების ერთმანეთთან მორიგება კომპრომისების მეშვეობით შეიძლება. ინტერესებისგან განსხვავებით, ფასეულობებს არ აქვს მატერიალური ღირებულება, ამიტომ ვაჭრობას არ ექვემდებარება. ადამიანები შეიძლება ადვილად შეთანხმდნენ ინტერესების თაობაზე, მაგრამ მზად არიან ცოცხლად დაჭაონ ერთმანეთი, როცა საქმე ფასეულობებს ეხება.

ფასეულობების განსაზღვრა ყველაზე ადვილად შეიძლება, თუ პატიოსნად უპასუხებთ კითხვას: რას შევალევდი ჩემს დროს, ჯანმრთელობას და, თუ საჭირო გახდა, სიცოცხლესაც კი?¹

წყარო 2 თანამედროვის მოსაზრება. მისი უწმინდესობა რომის პაპის იოანე პავლე II-ის მიმართვიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 50-ე ასამბლეისადმი 1995 წლის 5 ოქტომბერს

ახალი ათასწლეულის ზღურბლზე თვალნათლივ ვხედავთ, თუ, როგორ გლობალურად დაჩქარდა თავისუფლების ძიების პროცესი, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა. ეს ფენომენი მსოფლიოს რომელიმე ერთი კუთხით არ შემოიფარგლება და ცალკეული კულტურის მახასიათებელი არ არის. თავისუფლებისადმი ეს საყოველთაო სწრაფვა, ჭეშმარიტად, ჩვენი დროის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია. თავისუფლება არის ადამიანის ღირსებისა და სიდიადის საზომი. თავისუფლების განცდა, რომელსაც ცალკეული პიროვნება და ხალხი ეძიებს, შესანიშნავი გამოწვევაა ადამიანის სულიერი ზრდისა და ერის ზნეობრივი ძალისთვის. მთავარი საკითხი, რომელსაც ყველამ უნდა მივაქციოთ ყურადღება, არის თავისუფლების პასუხისმგებლური გამოყენება როგორც პიროვნულ, ისე სოციალურ სფეროში. მაშასადამე, უნდა დაფიქრდეთ თავისუფლების ზნეობრივ სტრუქტურაზე, რომელიც თავისუფლების კულტურის შინაგან არქიტექტურას წარმოადგენს. თავისუფლება მხოლოდ ტირანიისა და შევიწროების არარსებობა როდია, და არც იმას ნიშნავს, რომ ნებადართულია ყველაფრის კეთება, რასაც მოვისურვებთ. თავისუფლებას აქვს შინაგანი „ლოგიკა“, რომელიც მას გამოარჩევს და აკეთილშობილებს: თავისუფლება მიჩენილი აქვს ჭეშმარიტებას, რაც ხორციელდება ადამიანის მიერ ჭეშმარიტების ძიებით და ადამიანის ჭეშმარიტებაში ცხოვრებით. ჭეშმარიტებისგან განცალკევებული თავისუფლება პიროვნების ცხოვრებაში ზედმეტ თავნებობად, ხოლო პოლიტიკურ ცხოვრებაში – „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ კაპრიზად და ქედმაღლობად იქცევა. ადამიანის შესახებ სიმართლის ხსენება, რომელსაც ვერაფრით ვერ ვუწოდებთ თავისუფლების შეზღუდვას ან მისთვის საფრთხის შემქმნელს – ზნეობრივ კანონად. საყოველთაოდ ცნობილი სიმართლე, რომელიც ყველა ადამიანის გულშია, – აი, ეს არის თავისუფლების მომავლის ჭეშმარიტი გარანტი.²

წყარო 3 თანამედროვე მკვლევრის მოსაზრება ღირსებაზე ცხოვრებასა და მეცნიერებაში

ღირსებას განსაკუთრებით მძაფრად ვაცნობიერებთ, როდესაც მას ვკარგავთ: დამოკიდებულ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდებით და იძულებულები ვართ, ვიმოქმედოთ სხვისი კარნახით, გამოვთქვათ სხვისი აზრები, სხვისი თვალთ შევხედოთ ცხოვრებას, დავიცვათ სხვისი წესები, ავიტანოთ შეურაცხყოფა და პირად ცხოვრებაში ჩარევა. მაშინ ძალიან მკაფიოდ ვგრძნობთ, რომ ყოველ ადამიანს აქვს სუვერენული სფერო, რომელიც მოიცავს მხოლოდ პირადად მის მიერ გადასაწყვეტ საკითხებს და მხოლოდ მისი განუყოფელი უფლების ნაწილია. ეს მისი ღირსების სფეროა. როგორც ჩანს, ამ სფეროში შედის ყველაფერი, რაც კი ადამიანს საკუთარი აზრის, დამოკიდებულებისა და გადაწყვეტილებების ჩამოსაყალიბებლად სჭირდება. ღირსების სფეროს მუდმივი შემადგენელი ნაწილებია

¹ Ярослав Грицак. 26-й процент або як подолати історію. – К.: 2014, გვ. 52-53. (უკრაინულიდან თარგმნა რედაქტორმა)

² Обращение Его Святейшества Папы Иоанна Павла II к 50-ой Ассамблее Организации Объединенных Наций електронული რესურსი / www.krotov.info _ Библиотека Якова Кротова, 2005. _ ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.krotov.info/acts/20/voityla/oon.html>.

privacy, ე. წ. პრივატულობა, რომელიც ადამიანის უაღრესად პირადულ სფეროს წარმოადგენს, ასევე მისი ეროვნული და რელიგიური თვითშეგნება.

პირადი ღირსების უფლება ადამიანის ყველაზე ფუნდამენტური და განუყოფელი უფლებაა. იმ გარემოებებშიც კი, რომლებშიც ვიღაცას უფლება აქვს განაგოს მისი ცხოვრება, როგორ ეს ომის დროს ხდება, ან სიცოცხლე მოუსწრაფონ, მაგალითად, სასამართლოს გადანაცვებით, არავის აქვს უფლება, ხელყოს მისი ღირსება: უფლება შეინარჩუნოს თავისი მეობა და დამოუკიდებლობა.

ღირსების სფერო ხელშეუხებელია და მისი საზღვრები არ უნდა დაირღვეს. ღირსების სფეროში შეჭრაში ვგულისხმობთ ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც ადამიანს აიძულებს იქონიოს გარკვეული აზრი, დამოკიდებულება, გადანაცვით ან მოქმედება, რომელიც ღირსების რომელიმე ამ გამოვლინებისას მას თავისუფლებას ართმევს. ნათელია, რომ აქ საქმე ეხება აზრის თავზე მოხვევას, ადამიანის პოზიციაზე ზეწოლას, ულტიმატუმების წამოყენებას, მოსაზრების, დამოკიდებულებისა და თანაგრძნობის გამოძალვასაც.³

წყარო 4 თანამედროვე ეკონომისტის მოსაზრება ევროპულ ფასეულობათა შესახებ

ევროპული ფასეულობები ემყარება ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ განსაზღვრებას. პირველია პასუხისმგებლური თავისუფლება. ევროპელისთვის თავისუფლება ნუგბარი არ არის. თავისუფლება მათი არსებობის პირობაა, თავისუფლების გარეშე მათ თვითრეალიზება არ შეუძლიათ. თავისუფლება არის არჩევანის შესაძლებლობა ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, და ისინი მას იზღუდავენ, რომ სხვას არ ავნონ. როდესაც ადამიანები ნებაყოფლობით იზღუდავენ თავს, ამას ეწოდება პასუხისმგებლური თავისუფლება. შემდეგ უკვე მოქმედებს სახელმწიფო, რომელიც სჯის მათ, ვისაც არ სურს ნებით შეიზღუდოს თავი.. მაგრამ კანონი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ეთანხმება მას. თუ კანონი უმრავლესობის სამართლიანობის განცდას არ შეესაბამება, ის უბრალოდ არ იმოქმედებს.

მეორეა პასუხისმგებლური თანამშრომლობა. ეს ნიშნავს, რომ თქვენ მზად ხართ თანამშრომლობისთვის, აქტიური ხართ, მზად ხართ კომპრომისებისთვის. კომპრომისი თქვენთვის არ ნიშნავს დამარცხებას, და როდესაც რაიმე შეთანხმებას აღწევთ, მას პასუხისმგებლობით ეკიდებით.

პასუხისმგებლური თავისუფლებისა და პასუხისმგებლური თანამშრომლობის ერთიანობა ქმნის იმას, რასაც სოციალურ კაპიტალს ვუწოდებთ. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არის ნდობა. საკუთარი ინსტიტუტების,⁴ უცნობი ადამიანების ნდობა. საზოგადოებაში, რომელშიც ნდობა არსებობს, ყველაფერი უფრო იაფი ჯდება, რადგან უნდობლობას მოჰყვება ინსტრუმენტების მთელი წყება, რომელებიც ძალიან ძვირია. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება, რომელიც ამ კაპიტალს ფლობს, უფრო მდიდარია, ვიდრე საზოგადოება, რომელსაც ის არ გააჩნია.⁵

³ Г.И. Абелев. О достоинстве в жизни и науке. -Очерки научной жизни. Глава III. М.: 2006. – ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://garriabelev.narod.ru/abelev.pdf>, გვ. 247.

⁴ იგულისხმება სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციები და ის წესები, რომლებიც სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებას განსაზღვრავს.

⁵ Александр Пасхавер. С нашими ценностями мы не можем быть богатой страной. – ელექტრონული რესურსი <http://platfor.ma/magazine/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://reinvent.platfor.ma/aleksandr-pashaverr/>.

ბლოკი 2. საზოგადოება და ფასეულობები

5. რას მოგვითხრობენ მოსწავლე და სტუდენტი თავიანთ მოგონებებში (წყაროები 5, 6)? რა დრო გავიდა მოგონებებში აღწერილი მოვლენებიდან იმ მომენტამდე, როდესაც ეს მოგონებები ჩაინერეს?
6. პირადი შთაბეჭდილებების გარდა, კიდევ რა იგრძნობა საბჭოთა მოსწავლისა და სტუდენტის მოგონებებში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
7. წყაროები 5 და 7 მოსწავლეების მოგონებებს ეძღვნება. რით განსხვავდება ერთმანეთისგან მონათხრობი პიონერისა და სკაუტის ბავშვობის შესახებ? რა აქვს საერთო ამ ტექსტებს?
8. როგორ განსაზღვრავთ იმ ფასეულობებს, რომელთა შესახებ ლაპარაკია მასმედიის ინფორმაციაში (წყაროები 7, 8, 9)? ჩამოწერეთ ცნებები, რომლებიც თქვენთვის ამ ფასეულობებს განსაზღვრავს. შეადარეთ თქვენი მუშაობის შედეგები თანაკლასელებისას.

წყარო 5 საბჭოთა პერიოდის მოსწავლის მოგონებები

1975 წლის აგვისტო იდგა, სწავლაში წარმატებისთვის დამაჯილდოვეს არტეკის⁶ საგზურით – რაზმი „ლაზურნაია“, საერთაშორისო ნაკადი. ჩვენი რაზმის პიონერებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას წარმოადგენდნენ, პატრიოტიზმის გრძნობა და საკუთარი ქვეყნით სიამაყე აერთიანებდა ნეპალელი, შრი ლანკელი, ბირმელი, იემენელი ბავშვების წინაშე. სამუდამოდ დამამახსოვრდა ექსკურსია კოსმონავტიკის მუზეუმში და გამოცდა ცენტრიფუგაზე, შეხვედრები დიქტორ ლევიტანთან,⁷ კოსმონავტებთან ვ. ტერეშკოვასა და ნ. ტიტოვთან, მარშალ ჟუკოვთან.⁸ ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ყველაფერში პირველები უნდა ვყოფილიყავით, შეჯიბრებითობის განცდა და დისციპლინა, საუკეთესო შედეგებისკენ სწრაფვა ყოველთვის გამოგვარჩევდა სხვებისგან. ცნობისმოყვარეობითა და უდიდესი ინტერესით ვისმენდით უზოელი თანატოლების მონათხრობს მათ ქვეყნებში ცხოვრების შესახებ, გვიკვირდა მათი ცეკვები, ნეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ნეპალელი გოგონას ნაჩუქარი ფერადი ქვები ჩემთვის ნამდვილი განძი და უდიდესი ფასეულობა იყო. დიდი ხნის განმავლობაში მქონდა მიმოწერა ვლადივოსტოკელ ბიჭთან და თბილისელ და ერევნელ გოგონებთან.⁹

⁶ „არტეკი“ – საერთაშორისო საბავშვო ცენტრი ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე, მდ. არტეკთან; ყველაზე ცნობილი პიონერული ბანაკი საბჭოთა კავშირში. შეიქმნა 1925 წელს. „არტეკის“ საგზურით ყველაზე აქტიურ პიონერებს აჯილდოებდნენ.

⁷ ი. ბ. ლევიტანი – საკავშირო რადიოს ცნობილი დიქტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. მისი ხამა ცნობილი იყო მთელ ქვეყანაში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროიდან..

⁸ გ. კ. ჟუკოვი – საბჭოთა მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი, დიდი სამამულო ომის წლებში (1941-1945) მრავალი ოპერაციის ხელმძღვანელი, 1995-1997 წლებში იყო სსაბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი.

⁹ სვეტლანა დანილიუკის მოგონებებიდან პერიოდზე, როდესაც იგი, ფელემტის №1 სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე, დააჯილდოვეს საგზურით ბანაკ „არტეკში“. ს. დანილიუკი დღესდღეობით მოლდოვას ქალაქ ფელემტის საბავშვო შემოქმედების სახლის მასწავლებელია. ინტერვიუ ჩაინერალ. გურსკაიამ. 03.03.2014წ.

წყარო 6 საბჭოთა პერიოდის სტუდენტის მოგონებებიდან

1982 წელს კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სამშენებლო რაზმის წევრი ვიყავი. ყაზახეთის ქალაქ არკალიკში სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის სახლებს ვაშენებდით. მთავარი მიზანი ფულის შოვნა იყო, უკვე შემდეგ კი ქვეყნის ნახვა, სხვა ხალხის ცხოვრებისა და კულტურის გაცნობა. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენდამი ძალიან კარგად იყო განწყობილი, გაგვაოცა მრავალფეროვანმა და ლამაზმა ბუნებამ, ძირითადად ცხვრის ხორცისგან დამზადებულმა გემრიელმა კერძებმა. ნამდვილი ცხოვრების სკოლა გავიარეთ, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების მდიდარი გამოცდილება მივიღეთ. 1984 წელს მონაწილეობა მივიღე ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე „საკონდიტრო ნაწარმი არატრადიციული ინგრედიენტებისგან“, სადაც მოხსენებით გამოვედი. ასეთმა თემამ შესაძლებლობა მომცა, მეტი შემეცყო უკრაინის, სომხეთის, რუსეთის, ლიტვის, ლატვიის, საქართველოს, ესტონეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გადამამუშავებელი მრეწველობის შესახებ. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით, ზოგიერთები ერთმანეთთან სტუმრადაც ჩადიოდნენ ხოლმე. მიმაჩნია, რომ ერთაშორისი ურთიერთობის ამ გამოცდილებამ გამამდიდრა, დახმარება გამინია ყოველდღიურ და შრომით“ საქმიანობაში.¹⁰

წყარო 7 მასმედიის ინფორმაცია მოლდოვაში სკაუტების მოძრაობის შესახებ, 2014 წ.

ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ბუზღუნებს: „რა არის ეს სკაუტობა... ჩვენც ყველანიპიონერები ვიყავით“. მაგრამ ერთი პრინციპული განსხვავება გვრჩება მხედველობიდან. აღმოჩნდა, რომ სკაუტებში აღზრდა უფრო ფეფქტიანია, ვიდრე პიონერებში. „სკაუტობა“ არის არა მორჩილი ბრბოს, არამედ მკვეთრად გამოხატული პიროვნებების აღზრდის სისტემა. სინამდვილეში სკაუტობა არის აღზრდის სისტემა, რომელიც ბავშვებს და მოზარდებს შესაძლებლობას აძლევს, რომ უფროსების დახმარებით რომანტიკისა და თავგადასავლების თამაშის, ურთიერთობის მეშვეობით მოემზადონ მომავალი ცხოვრებისთვის, განავითარონ ინდივიდუალური მონაცემები, მიეჩვიონ პასუხისმგებლობას, ისწავლონ სამშობლოს სიყვარული და შეეცადონ მსოფლიოს უკეთესობისკენ გარდაქმნას. ბავშვების აღზრდისას სკაუტები სამი ძირითადი პრინციპით ხელმძღვანელობენ: პირველი – სკაუტი პირობას დებს, იყოს მაღალზნეობრივი ადამიანი. მეორე – მას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მარტო საკუთარი თავისთვის კი არ ცხოვრობს, არამედ სხვებისთვისაც, მშობლებისთვის, შვილებისთვის, გარემო სამყაროსთვის. მესამე – უნდა იყოს საკუთარი თავისადმი ყურადღებიანი. თუ ყოველი ადამიანი შეეცდება, უკეთესი გახდეს, მსოფლიოც უკეთესი გახდება, გარდაიქმნება. სკაუტების მოძრაობა არის თამაში მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამბობენ, ადამიანი, რომელსაც ბავშვობის ნატამალი მაინც შერჩენია, ბედნიერიაო. სკაუტები, რომელთა მთავარი სიტყვაა „სიკეთე“, სწორედ ასეთები არიან, ბიჭები ჭეშმარიტად მამაკაცურ ჩვევებს იძენენ. მათი ყურადღების ცენტრშია ბუნება და მშობლიური მხარის ისტორია, კეთილი საქმეები, მეგობრობა და ურთიერთდახმარება.¹¹

¹⁰ კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტის, დღეს ქალაქ გლოდენში ვაჭრობის მუშაკის პაველ გურსკის მოგონებებიდან. ინტერვიუ ჩაინერა ლ. გურსკაიამ. 04.04.2014წ.

¹¹ ქალაქ ბელცის (მოლდოვას რესპუბლიკა) საზოგადოებრივი ორგანიზაციის «Navigatorul-Nord»-ს ხელმძღვანელის ა. ცურკანის ინტერვიუდან. ელექტრონული რესურსი – <http://gzt.md/article/ხელმძღვანელის-ა-ცურკანის-ინტერვიუდან> – <http://gzt.md/article/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%86%D1%8B/3753/>

წყარო 8 მასმედიის ინფორმაცია. „მოლდესკიე ვედომოსტი“, 2012 წ.

მევიოლინე ალექსანდრა კონუნოვამ (ახლა კონუნოვა-დიუმორტიე), წარმოშობით მოლდოვადან, ახლახან პირველი პრემია მიიღო იოზეფ იოახიმის სახელობის მევიოლინეთა პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე გერმანულ ქალაქ ჰანოვერში.

გამარჯვებამ ჩვენს თანამემამულეს მოუტანა 50 ათასი ევრო და იტალიელი ოსტატის ჯოვანი გუადანინის მიერ 1765 წელს დამზადებული ვიოლინო. კონკურსის პირობების თანახმად, ალექსანდრა ამ ვიოლინოზე დაუკრავს სამი წლის განმავლობაში, 2015 წლამდე, როდესაც შემდეგი კონკურსი გაიმართება. ალექსანდრა ოცნებობს მოლდოვაში მოაწყოს კამერული მუსიკის ფესტივალი სულ პატარებისთვის, რომლებიც ახლა იწყებენ დაკვრას, გამარჯვებულები კი ევროპელ პროფესიონალებს გააცნოს.

კონკურსში რთულ გამარჯვებაზე, პირად ცხოვრებასა და მომავალზე ნიჭიერი მევიოლინე ჩვენი გაზეთისათვის ჩანერილ ინტერვიუში საუბრობს.

<...> რომელი კონკურსი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?

– იმდენ კონკურსში ვმონაწილეობდი, რომ დათვლაც კი მიჭირს. დამამახსოვრდა ტიბორ ვარგას კონკურსი შვეიცარიაში, სადაც ჩემი მომავალი ქმარი გავიცანი, შარშანდელი ჯორჯ ენესკუს

კონკურსი ნ ბუქარესტში და, რა თქმა უნდა, იოზეფ იოჰიმის კონკურსი ჰანოვერში, რომელიც დიდხანს მემახსოვრება, რადგან ვუკრავდი ქალაქში, რომელიც ჩემთვის უკვე მშობლიური გახდა: მანამდე ორი წლის განმავლობაში ჰანოვერში ვცხოვრობდი და ამიტომ მხარდამჭერთა შესანიშნავი გუნდი მყავდა. კონკურსი მიმდინარეობდა დარბაზში, რომელშიც ადრე ხშირად გამოვდიოდი. კონკურსი ძალიან რთული და ხანგრძლივი იყო – უნდა მესწავლა 11 ნაწარმოები და ხუთივე ტური გამეწყო. მთელი პროგრამა, პაუზების გარეშე, დაახლოებით 180 წუთს გაგრძელდა. ეს რთულია, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ვცდილობდი, ყველა ნაწარმოები საუკეთესოდ შემესრულებინა.¹²

წყარო 9 მასმედიის ინფორმაცია, 31.08.2012 წ.

დღეს ბელციში ეროვნული ენის დღესასწაულს აღნიშნავენ. ქალაქში დაგეგმილია მრავალრიცხოვანი კულტურული ღონისძიება.

დილიდან „მოლდტელეკომის“ ხეივანში ყვავილებით შეამკეს კლასიკოსების ბიუსტები. აქ რამდენიმე ასეული ბელცელი¹³ შეიკრიბა, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ქალაქის მშრომელები და სხვა. სკვერში ტრადიციისამებრ ხალხური ოსტატების ნაწარმის გამოფენა მოეწყო. საკონცერტო პროგრამა ვ. ალექსანდრის სახელობის ეროვნულ თეატრთან დაიწყო. დილის პროგრამის მთავარი ნომერი გახდა ცეკვის ეროვნული აკადემიური ანსამბლის „ჟოკის“ გამოსვლა. ახლა ქალაქის კულტურის სახლებში მუნიციპალური შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები მიმდინარეობს. დღესასწაულს დაასრულებს კონცერტი ცენტრალურ მოედანზე, რომელიც 18.00 საათზე დაიწყება.¹⁴

¹² Дашевский О. Александра Конунова покорила Ганновер // Молдавские Ведомости, 6 ноября 2012 е.. ელექტრონული რესურსი: <http://www.vedomosti.md/> ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.vedomosti.md/news/Aleksandra_Konunova_Pokorila_Gannover/index.html

¹³ ბელცელი — ქ. ბელცის მცოვრები.

¹⁴ Марина Морозова. Сегодня в Бельцах отмечают день национального языка. – Бельцкая независимая газета ელექტრონული რესურსი: <http://esp.md/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://esp.md/2012/08/31/segodnya-v-belcax-otmechayut-prazdnik-nacionalnogo-yazyka/>

ბლოკი 3. ევროპული ფასეულობანი და ქვეყნის განვითარება

◆ ისტორიული ცნობა

ევროპის კავშირი ევროპის იმ ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელთა ხალხებმა და პოლიტიკურმა ლიდერებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გააცნობიერეს დაპირისპირების, მტრობისა და ომის საშიშროება. ევროპის კავშირი კონტინენტზე ორმოცდაათწლიანი ინტეგრაციული პროცესის შედეგად შეიქმნა. გაერთიანებული ევროპის მშენებლობა დაიწყო 1951 წელს, როდესაც პარიზში ბელგიამ, გერმანიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ნახშირისა და რკინის ევროპული გაერთიანების შესახებ. 1957 წელს შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება. შემდეგ ათწლეულებში ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა სულ უფრო მტკიცდებოდა.

1993 წელს ძალაში შევიდა მასტრიხტის შეთანხმება, რის საფუძველზეც გაუქმდა ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისთვის ხელშემშლელი ყველა წინააღმდეგობა ევროპის კავშირის საზღვრებში. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებმა მიიღეს ევროპის მოქალაქეობა, დამკვიდრდა ერთიანი ვალუტა – ევრო. ღია ეკონომიკა, მუშახელის რაციონალური გამოყენება და წარმოების გონივრული ორგანიზაცია ხელს უწყობს ევროკავშირის ისეთი მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევას, როგორიცაა მშვიდობის შენარჩუნება და მოქალაქეების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტია, ტერორიზმთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა, ქსენოფობიისა და რასიზმის აღკვეთა, საერთო კეთილდღეობის შენარჩუნება და მისი დონის ამაღლება.

ევროპის კავშირის ხელშეკრულების მუხლი 2: კავშირი ეფუძნება ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლებრივი სახელმწიფო და ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების, დაცვა.¹⁵

დღესდღეობით გაფართოებული ევროკავშირი შედგება 28 ქვეყნიდან 500 მილიონზე მეტი მოსახლეობით.



9. ისტორიული ცნობისა და წყაროების 10-11 საფუძველზე განსაზღვრეთ მოლდოვას ევროინტეგრაციისკენ სწრაფვის მიზეზები. ვისი მოსაზრებებია წარმოდგენილი წყაროებში 10 და 11? ვის თვალთახედვას გადმოსცემენ პოლიტიკოსები?
10. მოლდოვა გეოგრაფიულად უდავოდ ევროპის ნაწილია. როგორ გესმით პოლიტიკოსის მოწოდება: „მოლდოვა ევროპას ეკუთვნის! მოლდოვა, ევროპისკენ!“?
11. რატომ სთავაზობს გაერო მოლდოვას თანამშრომლობის სწორედ ასეთ მიმართულებებს? როგორ დაახლოებს ეს დახმარება მოლდოვას ევროინტეგრაციასთან? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

¹⁵ Европейский Договор. გვ. 2 – ელექტრონული რესურსი EUR-Lex <http://eur-lex.europa.eu/homepage.html> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=URISERV:l33500> (ინგლისურიდან თარგმნა რედაქტორმა).

ნყარო 10 მასმედიის ინფორმაციიდან, 2007 წ.

კაგულის ბ. პ. ხაშდეუს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ინტერ-აქტიული ცენტრი „პრო-ევროპა“. ეს დაწესებულება, რომელიც პირველია მოლდოვაში, ინფორმაციას მიაწვდის ფართო საზოგადოებრიობას ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობისა და შესაძლებლობების შესახებ. საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი, მთავრობის წევრები, კომინიოვში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, პედაგოგები და სტუდენტები. როგორც პროექტის დირექტორმა სილვია სტრელჩუკმა აღნიშნა, ცენტრის მიზანია საზოგადოების ყურადღება მიაპყროს ევროინტეგრაციის პრობლემებს და მოქალაქეები ჩართოს სამოქმედო გეგმის „მოლდოვას რესპუბლიკა – ევროპის კავშირი“ განხორციელებაში.

პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ მოლდოვას რესპუბლიკის ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია, ახალშექმნილი დაწესებულების წყალობით კი პროცესი ქვეყნის მთელ ტერიტორიას მოიცავს. ცენტრი მოსახლეობას დაეხმარება გააცნობიეროს, თუ რა შესაძლებლობებსა და სარგებელს მოუტანს ევროპული ინტეგრაცია.

ევროპის პირველი საინფორმაციო ცენტრის გახსნა განამტკიცებს მოლდოვას ხელისუფლების ძალისხმევას ევროინტეგრაციის მისაღწევად. ეს ცენტრი და მომავალში გახსნილი სხვა ცენტრები ჩვენს მოქალაქეებს დაეხმარება გააცნობიერონ, თუ რა შესაძლებლობებსა და სარგებელს მოუტანს ინტეგრაცია ევროპის კავშირში, განაცხადა ვლადიმირ ვორონინმა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ევროინტეგრაციის მიზნის მისაღწევად აუცილებელია ამ პროცესში მთელი ქვეყანა იყოს ჩართული, რომ ევროპული ფასეულობები, პრინციპები და სტანდარტები ყოველი ცენტრალური თუ ადგილობრივი, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულების და, რა თქმა უნდა, მოლდოვას ყოველი მოქალაქის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდეს.¹⁶

ნყარო 11 პოლიტიკოსის მოსაზრება: პრეზიდენტ ნიკოლაე ტიმოფტის გამოსვლიდან. 03.11. 2013 წ.

დღეს მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიკოლაე ტიმოფტი სიტყვით გამოვიდა მიტინგზე, რომელიც კომინიოვის დიდი ეროვნული კრების მოედანზე მოლდოვას ევროპული კურსის მხარდასაჭერად მოეწყო.

„ძვირფასო თანამოქალაქეებო, ამ ღონისძიებაზე მოვედი, როგორც რიგითი მოქალაქე. როდესაც საქმე ეხება ქვეყნის და ხალხის ბედს, მნიშვნელოვანია არა თანამდებობა, არამედ შინაგანი სურვილი საკუთარი წვლილი შეიტანო კეთილშობილურ საქმეში. მე მოვედი, რათა ყველასთან ერთად მხარი დავუჭირო ეროვნულ იდეას – მოლდოვას ევროპულ ინტეგრაციას. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში დიდი ეროვნული კრების მოედანზე ქვეყნისთვის გარდამტეხ მომენტებში ვიკრიბებოდით. აქ გამოვხატეთ ჩვენი სურვილი ვყოფილიყავით თავისუფლები და საკუთარი მომავალი თავად გვეშენებინა. აქ გადავწყვიტეთ, რომ დამწერლობა ლათინურ ანბანზე გადასულიყო.

¹⁶ Для нас важно создать Европу и европейские ценности у нас дома _ «Независимая Молдова». ელექტრონული რესურსი: <http://www.nm.md/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.nm.md/article/dlya-nas-vazhno-sozdat-evropu-i-evropeyskie-cennosti-u-nas-doma>

დღეს კვლავ შევიკრიბეთ, რათა დავადასტუროთ საზეიმო ფიცი, რომელიც დავდეთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ წლებში: მოლდოვას რესპუბლიკა ჭეშმარიტად ევროპული ქვეყანა გახდება.

ევროპული ინტეგრაცია ეკონომიკის აღდგენის, ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების, საკუთარი პოლიტიკური მიმართულების მქონე საზოგადოების შენების შანსია. საქმე ეხება ჩვენს პირად და კოლექტიურ უსაფრთხოებას, ადამიანებისა და საქონლის თავისუფალ გადაადგილებას და ქვეყნის მოდერნიზაციას.

უნდა დავიწყოთ საკუთარი თავით, სახლითა და ქუჩით. შევიტანოთ ჩვენს სახლებში ევროპული ფასეულობები, რომლებიც ჩვენთვის უცხო არ არის, მაგრამ დავივიწყეთ ან უყურადღებოდ დავტოვეთ. დავძლიოთ ჩვენი წინასვლის შემაფერხებელი სწეულებანი – კორუფცია ყველა დონეზე, უნესრიგობა და სხვა მანკიერებანი, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება. არ დავუშვათ ჩვენი მომავლისთვის მომაკვდინებელი უკანონობა.

საერთაშორისო თანამეგობრობა და ყველა ჩვენგანი დაინტერესებული ვართ, რომ მოლდოვა აყვავებული, სტაბილური და დემოკრატიული ქვეყანა გახდეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ძალგვიძს ამ მისიის შესრულება – ჩვენთვისაც და მომავალი თაობებისთვისაც.

მოლდოვა ევროპას ეკუთვნის! მოლდოვა, ევროპისკენ!¹⁷

წყარო 12 მოლდოვასა და გაეროს თანამშრომლობის შესახებ

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა და ადამიანის უფლებების დაცვა, ინკლუზიური¹⁸ განათლების დანერგვა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარისხის ამაღლება, ბუნების დაცვის პროგრამების განხორციელება, საგანგებო სიტუაციის რისკების მართვა – ასეთია 2013-2017 წლების პერიოდისათვის გაეროსა და მოლდოვას თანამშრომლობის მთავარი მიმართულებები. შესაბამისი შეთანხმება ხელმოწერილია კიშინიოვში.

ამ პარტნიორობის ფარგლებში მსოფლიო ორგანიზაცია (გაერო – რედ.) მოლდოვას გამოუყოფს 218 მილიონ დოლარს, რომელიც რესპუბლიკის ევროინტეგრაციის პროგრამის ყველაზე საჭირობოროტო ამოცანების გადწყვეტას მოხმარდება.¹⁹

12. რა აერთიანებს წყაროებს 13 და 14? რას დაუმატებდით დავალება 8-ის მიხედვით შედგენილ ჩამონათვალს?

13. როგორ გესმით ფოტო 15-ის აზრი? თქვენი აზრით, რატომ გადაიღო ავტორმა ეს ფოტო და რატომ განათავსა სოციალურ ქსელში?

¹⁷ მოლდოვას პრეზიდენტის ოფიციალური გვერდი -<http://presedinte.md/rus> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://presedinte.md/rus/comunicate-de-presa/nicolae-timofte-sa-aducem-valorile-europene-la-noi-acasa>

¹⁸ ინკლუზიური (ლათინურიდან *includo* – შევიცავ, ჩავერთავ) – შემცველი, ჩამრთველი. ამ შემთხვევაში მითითებულია ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებზე, რომლებშიც სწავლის საშუალება უნდა ჰქონდეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

¹⁹ ООН поможет развивать Молдове европейские ценности. – Отдел новостей и СМИ Радио ООН. 24/12/2012. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.unmultimedia.org/radio/russian/archives/128431/>



14. როგორ გესმით ძეგლის იდეა (წყარო 16)? თქვენი აზრით, გულისხმობს თუ არა ეს ძეგლი მხოლოდ ამერიკულ საზოგადოებას? რატომ?
15. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია და რაზე მეტყველებს რიგითი მოქალაქეების ინტერესი ევროპული ფასეულობებისადმი?

წყარო 13 მასმედიის ინფორმაცია, 2014 წ.

მკითხველის შეკითხვა: დღეს ბევრს ლაპარაკობენ ევროპულ ფასეულობებზე... გთხოვთ, ამიხსნათ, რას გულისხმობს „ევროპული ფასეულობები“ და, თუ შეიძლება, შეადარეთ ისინი ქრისტიანულ ფასეულობებს (ლ. რეპიაშკოვა, კიშინიოვი).

უპასუხებს მოლდოვას რესპუბლიკის ყოფილი წარმომადგენელი ევროსაბჭოსა და გაეროში აღექსეი ტულბურე:

ევროპული ფასეულობებია ადამიანის უფლებები და მათი დაცვა საქმით და არა სიტყვით. დამოუკიდებელი მართლმსაჯულებაც იქიდანაა. სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატიული ინსტიტუტები, მათ შორის პარლამენტი და თავისუფალი პრესა, ფუნდამენტური თავისუფლებები სიტყვისა და შეკრების თავისუფლების ჩათვლით, – ყოველივე ეს ევროპული ფასეულობებია.

გარდა ამისა, ამ ცნებაში შედის პოლიტიკური დიალოგი, მათ შორის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, უმცირესობათა უფლებების დაცვა და მათი აზრის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას, თავისუფალი არჩევნები და ხელისუფლების დაყოფა, ტოლერანტობა, კანონმორჩილება და მრავალი სხვა.

ევროპის მხოლოდ ერთ რამესთან დაკავშირება, როგორც ეს მოლდოვაში ბევრს ჩვევია, ვეღურობაა.

ქრისტიანული ფასეულობებიც კარგადაა ცნობილი: არ მოკლა, არ მოიპარო, არ იმრუშო და ა. შ. ბევრი ევროპელი თავისი ქცევით ამტკიცებს, რომ ქრისტიანული ფასეულობები სავსებით ეთავსება ევროპულს. მთავარია, არ დაივიწყო ისინი, როცა რამის გაკეთებას აპირებ...²⁰

წყარო 14 თანამედროვე მოსაზრება Facebook-დან

დასავლური ტიპის ცივილიზაციის ფასეულობათა სისტემაში მნიშვნელოვანია სამუშაოს კვალიფიციური, ხარისხიანი და დროული შესრულება, რა სამუშაოც არ უნდა იყოს ეს – აერობუსის მართვა თუ ყოველდღიურად ნაგვის გატანა. თუ შენს სამუშაოს კარგად ასრულებ, საზოგადოება გაფასებს და კარგი ანაზღაურება გაქვს. ამიტომ იქ ადამიანებს შეუძლიათ 30 წლის განმავლობაში ოფიციალტად იმუშაონ და ბედნიერები იყვნენ.²¹

²⁰ Аргументы и факты в Молдове. ელექტრონული რესურსი: <http://aif.md/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://aif.md/chto-vxodit-v-ponyatie-evropejskie-cennosti/>

²¹ იაროსლავ ბონდარი. 2015 წლის 14 მარტის ჩანაწერი. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.facebook.com/bondar.yaroslav?fref=ufi> იბეჭდება ავტორის ნებართვით.

წყარო 15 „განსხვავება და ერთობა“.²²

ფოტო ფოტოჰოსტინგიდან Flickr.com²³



წყარო 16 „დემოკრატიის ფაზლი“. ძეგლი ბერლინგტონში, ვერმონტის შტატი, აშშ.
მოქანდაკე უ. ფ. შერიკი. 1990წ.²⁴




შემაჯამებელი განხილვა

რა არის ფასეულობა და რა გავლენას ახდენს იგი საზოგადოებაზე?

²² ფოტოFreireke. <https://www.flickr.com/photos/freireke/3644112373>იბეჭდება ავტორის ნებართვით.

²³ Flickr – ციფრული ფოტოებისა და ვიდეოს შენახვისა და მომხმარებლის მიერ შემდგომი გამოყენებისთვის განკუთვნილი ფოტოჰოსტინგი, ვებ 2.0-ის ერთ-ერთი პირველი მომსახურება, ბლოგერებს შორის ყველაზე პოპულარული გვერდი ფოტოების განსათავსებლად.

²⁴ ფოტო Adam Fagen. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.flickr.com/photos/afagen/8376740776/> იბეჭდება ავტორის ნებართვით.



ნაკვეთი III

ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება



ტერმინ „ყოველდღიურ ცხოვრებას“ ხშირად ვიყენებთ ხოლმე, მაგრამ მისი ზუსტი განსაზღვრა საკმაოდ ძნელია. ეს ცნება თავის თავში უამრავ გამოვლინებას მოიცავს: ყოფას, ცხოვრების წესს, სამუშაოს და დასვენებას, ოჯახურ ცხოვრებას, ტრადიციებსა და რელიგიურ რიტუალებს და ა. შ., ანუ ყველაფერ იმას, რასაც ჩვენ ადამიანების რეალურ ცხოვრებას ვუწოდებთ, რომელიც ყოველდღე მეორდება, მაგრამ დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის. ყოველდღიური ცხოვრების შესწავლა გვეხმარება რიგითი ადამიანის ცხოვრებას გავეცნოთ და საზოგადოებას „შიგნიდან“ შევხედოთ. სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხების ყოველდღიური ცხოვრების შედარებისას ვხვდებით, რომ ჩვენ შორის ძალიან ბევრი მსგავსებაა, ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს, უკეთ გავუგოთ ერთმანეთს; მაგრამ, ამავე დროს, ბევრი რამ განგვასხვავებს, რაც ჩვენში ახალი ცოდნის შეძენის, მოგზაურობისა და ურთიერთობის ინტერესს აღძრავს. ამ ნაკვეთის მასალის შესწავლით პასუხს გასცემთ შემდეგ კითხვებს:

- ▶ რა ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში XIX-XX საუკუნეებში?
- ▶ რა გავლენა მოახდინა ბაქოს ნავთობმა ქალაქის ცხოვრებაზე?
- ▶ რა სიახლე გაჩნდა აზერბაიჯანში ქალისადმი დამოკიდებულებაში XX საუკუნის დამდეგს?
- ▶ როგორ აისახება წარსულის საყოფაცხოვრებო ელემენტებში სხვადასხვა ხალხის კულტურა?
- ▶ ვინ არიან ლიპოვანები, რამდენად ინარჩუნებენ ისინი თავიანთ კულტურას და რატომ?
- ▶ როგორ და რატომ იცვლებოდა შერეული ქორწინება XX-XXI საუკუნეებში?
- ▶ რამდენად უწყობს ხელს საზღვრისპირა ვაჭრობა ვითარების სტაბილიზაციას რეგიონში?
- ▶ რა გავლენას ახდენს თანამედროვე შრომითი მიგრაცია მოლდოვურ საზოგადოებაზე?
- ▶ რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია ოჯახზე?
- ▶ რა შესაძლებლობებს ქმნის თანამედროვე ქალაქი კულტურათა დიალოგისთვის?


ტრადიციული ყოფა-ცხოვრების სიახლეები

► რა ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში XIX – XX საუკუნეებში?

ბლოკი 1. ცვლილებები სამხრეთ კავკასიის ხალხთა ტანსაცმელში

1. რა კატეგორიებად შეგიძლიათ დაყოთ ადამიანები მათი ტანსაცმლის მიხედვით (წყარო 1)? იპოვეთ ახალი დეტალები, რომლებიც გაჩნდა ხალიჩებით მოვაჭრე მუსლიმთა ტრადიციულ ტანსაცმელში.
2. როგორ ფიქრობთ, წყაროების 2-4 გაცნობის შემდეგ, რა ცვლილებები მოხდებოდა იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებმაც ტრადიციული ტანსაცმელი ევროპულით შეცვალეს?
3. წყარო 4-ის ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ როგორ ფიქრობთ, ტანსაცმლის გარდა, კიდევ რით შეიძლებოდა ყოფილიყო განსხვავებული ერთმანეთისგან ქალაქ თბილისის „ორი სამყარო“?
4. წყაროებზე 1-6 დაყრდნობით განსაზღვრეთ, რაში გამოიხატებოდა სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა ხალხთა ტანსაცმლის ურთიერთგავლენა. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ ურთიერთგავლენის მიზეზი?
5. წყაროებზე 1-5 დაყრდნობით განსაზღვრეთ, რეგიონის მოსახლეობის რომელმა ფენებმა აითვისეს პირველებმა ევროპული მოდა და ახსენით, რატომ?

წყარო 1 ხალიჩებით მოვაჭრე მუსლიმები. ელისავეტპოლი, XX საუკუნის დამდეგი¹



¹ Записки скучного человека – Кавказ и Закавказье в работах Дмитрия Ивановича Ермакова. Часть 1. <http://humus.livejournal.com/2604783.html>

წყარო 2 ევროპული მოდა კავკასიაში

1832 წელს სულ ოთხმა თუ ხუთმა ქართულმა ოჯახმა ჩააცვა მოდური ფრანგული ტანსაცმელი და ევროპულის მაგვარი აღზრდა-განათლება მისცა თავის ქალიშვილებს... ფეხსაცმლის გამოცვლას მოჰყვა კადრილის² და რუსული ენის სწავლა...³

წყარო 3 1902 წელს ერევანში გახსნილი რუსულ-მუსლიმური ქალთა სკოლა⁴



წყარო 4 აზერბაიჯანელი მოსახლეობის ტანსაცმელი

მყავს ნაცნობი **თათარი**, ინტელიგენტი, უმაღლესი განათლების მქონე კაცი. მისი ცოლიც განათლებული ქალია, ინსტიტუტი ოქროს მედლით დაამთავრა. მათი ქალიშვილი თბილისის ინსტიტუტშია მიბარებული სასწავლებლად და აღსაზრდელად. ცოლ-ქმარი სოფელში, თავის ადგილ-მამულში ცხოვრობს. ზოგჯერ ბაქოში ან თბილისში ჩადიან ხოლმე „გამოსაცოცხლებლად“. ერთხელ შევხვდი თბილისში. ქალი ევროპულად იყო ჩაცმული და გართობას არ იკლებდა, მაშინ როცა თავის სოფელში ჩაკეტილად ცხოვრობს, როგორც ჰარემში. იქ თათრულად იცვამს და უცხოებთან სახეს მალავს.⁵

² კადრილი – ფრანგული ცეკვა, რომელიც XIX საუკუნის დამლევამდე პოპულარული იყო ევროპასა და რუსეთში. კადრილს წყვილ-წყვილად ცეკვავენ.

³ Ольшевский М. Я. Воспоминания о Кавказе и Грузии / Русский вестник, 1869. Т. 79. №1-2.

⁴ ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://commons.wikimedia.org/wiki/File:Rus_moslem_school_in_Erevan.jpg?uselang=ru

⁵ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Выпуск 20. Тифлис. 1894. С. 146.

წყარო 5 ტრადიციული და ევროპული: ქალაქ თბილისის „ორი სამყარო“

ახალ ქალაქში თავსაკრავსა და ლეჩაქს იშვიათად თუ შეხვდებით, ჩადრი კი მთლიანად და სავსებით განდევნილია; ჩოხები და ცხვრის ტყავის წვეტიანი ქუდეებიც იშვიათია... მაღალი დონის ქართველმა და სომეხმა თავადაზნაურობამ ... ევროპული ტანსაცმელი და ცხოვრების წესი გაითავისა. ამ მხრივ სულ სხვაა ძველი თბილისი: თეთრი ლეჩაქები, თეთრი კოლენკორის⁶ თავსაფარები – ჩადრები... გვხვდება ჩოხები და სპარსულის მსგავსი ცხვრის ტყავის ქუდეები, მაგრამ არა იმდენად მაღალი.⁷

წყარო 6 სამხრეთი კავკასიის ხალხებისაგან ტანსაცმლის ნასესხობა

დუხოპორებმა⁸ მაინც გაითავისეს ზოგიერთი რამ მათ ირგვლივ მცხოვრები კავასიელი ხალხების ტანსაცმლიდან. ისინი ხშირად საზაფხულო ქურთუკის – ბეშმეტის (უცილობლად ლურჯი ფერისა, იცვამდნენ პერანგზე) – ნაცვლად კავკასიურ ხიფთანს⁹ ატარებდნენ.⁹

ბლოკი 2. ახალი სურსათი – ახალი კერძები

6. იპოვეთ ისტორიულ ცნობასა და წყაროებში 7-10 სამხრეთ კავკასიისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები.
7. ისტორიული ცნობისა და წყაროების 7-10 თანახმად, მოსახლეობის რომელმა ფენებმა დაიწყეს ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენება? როგორ ფიქრობთ, რატომ?
8. ისტორიული ცნობისა და წყაროების 6-9 შინაარსიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, რა კერძები გაჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ახალმოსახლეების რაციონში? თქვენი აზრით, რა ადგილი ეკავა ახალ კერძებს ადგილობრივი მოსახლეობის მენიუში?

◆ ისტორიული ცნობა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც სამხრეთ კავკასიაში ბევრი რუსი ახალ-მოსახლე ჩავიდა და კულტურების ურთიერთგავლენა უფრო შესამჩნევი გახდა, სამხრეთი კავკასიის ხალხებმა რუსებისგან შეითვისეს შრომის ახალი იარაღი, მიწათმოქმედების უფრო სრულყოფილი ხერხები და ტექნიკა, მათთვის ახალი კულტურების (კარტოფილის, კომბოსტოს, სტაფილოს, მზესუმზირისა და ა.შ.) მოყვანა. შესაბამისად, გაიზარდა სათესი ფართობი, შრომის ნაყოფიერება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

მეფის მთავრობის მოწვევით XIX საუკუნის 40-იან წლებში კავკასიის შავი-ზღვისპირეთში მეჩაიე ჩინელები გადმოსახლდნენ.

⁶ კოლენკორი (ფრანგულიდან calencar) – ბამბის ქსოვილი.

⁷ Ольшневский М. Я. Кавказ с 1841 по 1866 г. / Военный сборник, 1894. Т. 82. С.87.

⁸ ხიფთანი – მამაკაცის გრძელკალთიანი ტანსაცმელი, ჩოხა.

⁹ Вермишев Х. А. Земледелие у государственных крестьян Закавказского края / 1888. С.220-221.

წყარო 7 მოგზაურის მონათხრობი

ადგილობრივ მასწავლებლებს აქ კარტოფილი მოჰყავთ და სვანებმაც მათგან ეს კეთილი წამოწყება შეითვისეს.

ბეჩოში რუსი ჯარისკაცები ბოსტნებს აშენებენ. სვანეთში ბოსტნეული – კიტრი, ხახვი, კომბოსტო, კარტოფილი უცხო რამაა. კომბოსტოსა და კარტოფილის კულტურები ჯარისკაცებმა დაამკვიდრეს. აქ ჯარისკაცების ამჟამად გაუქმებული ნაწილი იდგა. სწორედ მათგან ისწავლეს სვანებმა ამ ბოსტნეულის თესვა და მისგან კერძების დამზადება.¹⁰

წყარო 8 ცვლილებები მებოსტნეობაში

თუმცა კარტოფილი სხვა პურეულს შორის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს – 2,12%, მაგრამ მოსავლის აღების პროცენტით თუ ვიმსჯელებთ – 12,42%, ადგილობრივი მოსახლეობის მეტ ყურადღებას იმსახურებს. მას უწინარეს ყოვლისა რუსი ახალმოსახლეები თესვენ, მათგან გადაიღეს სომხებმა, ნაკლებად – თათრებმა.¹¹

მსხვილ მებოსტნეობას უპირატესად თათრები მისდევენ, სომხებს კი პატარ-პატარა ბოსტნები აქვთ თავიანთ ბაღებში და მხოლოდ იშვიათად იღებენ იჯარით მიწას სარდარის ბაღში. ერთნიც და მეორენიც ერთობ ბეჯითად მისდევენ მებოსტნეობას, რადგან მწვანილი (პიტნა, ქინძი, ტარხუნა, რეჰანი) და ბოსტნეული აქ, როგორც საერთოდ ყველგან სამხრეთში, მოსახლეობის საჭმლის ფრიად მნიშვნელოვან და აუცილებელ ნაწილს შეადგენს. აქაურები საჭმელად უამრავი სახის მინდვრის ბაღებს ხმარობს, რომელთა გამოყენება ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცნობია რუსი ადამიანისთვის.¹²

წყარო 9 მეჩაიეთა ჯგუფი. ჩაის პლანტაცია ბათუმის მიდამოებში¹³



¹⁰ Ткешелашвили И.С. Сванетия: поездка по Сванетии в 1900 и 1903 годах и краткий этнографический очерк/ Типография И. Н. Кушнерева и К°, 1905. С.13.

¹¹ Сборник материалов, для описания местностей и племен Кавказа. Выпуск 25. Тифлис 898 год. С.115.

¹² А. Д. Ерицов. Экономический быт государственных крестьян Казахского уезда/т.2, Выпуск 3. 1886. С.152.

¹³ დ. პროკუდინ-გორსკის ფოტო. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/a/a3/Group_of_workers_harvesting_tea_Chakva_Prokudin-Gorsky.jpg

წყარო 10 მაკარონი, როგორც პრესტიჟული ევროპული პროდუქტი

სადილის ყველა მონაწილეს მიართმევდნენ დიდ შოთს და ერთ ბოთლ ღვინოს. სადილი ბოზბაშით ან ჩიხირთმით იწყებოდა. ყველაზე პატივსაცემი სტუმრებისათვის სადილის ბოლოს შემოჰქონდათ მაკარონი, როგორც რაღაც იშვიათობა. საღამოს სვამდნენ შაქრიან ჩაის.¹⁴

ბლოკი 3. როგორ შეიცვალა სახლები

9. წყაროების 11-16 მიხედვით განსაზღვრეთ, როგორ იცვლებოდა ევროპის კულტურის გავლენით სამხრეთი კავკასიის მკვიდრი ხალხების სახლები.

10. რა სიახლეები შედიოდა რეგიონის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაში?

წყარო 11 მკვიდრი ხალხების სახლების ახალი ელემენტები

მცხეთის ისევე, როგორც სხვა ქალაქების სახლებში, უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი პროგრესი შეიმჩნევა. მათ მონყობაში ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ხნის წინ დაწყებული პროგრესი იმაში მდგომარეობს, რომ ნახვრეტი კამარისებრი სახურავის შუაში ახლა აღარ გამოიყენება სახლის შუაგულში დანთებული კოცონის კვამლის გამოსაყვანად. არის მხოლოდ ფანჯარა სინათლისა და ჰაერისათვის, რომელშიც ჩადგმულია რაფა და მინა. ცეცხლის დასანთებად იყენებენ სწორმილიან ფართო ბუხრებს, ხოლო ზამთარში გასათბობად ბოლო ათწლეულებში იხმარება პატარა რკინის ღუმელები. ბოლო დროს მცხეთის სახლებში მომხდარ ცვლილებებს უნდა მივაკუთვნოთ საერთოევროპული ხასიათის მინაშენებიც ზოგიერთი სახლის წინ.¹⁵

წყარო 12 ბუხრები ტრადიციულ კერას ცვლიან

კახეთში ბუხრებს ჯერ კიდევ 1830-იან წლებში იყენებდნენ, მაგრამ ყოველდღიურად ოჯახი მარტო კერას ხმარობდა. იგივე ხდებოდა 1889-იან წლებშიც, როდესაც ბუხრის გარდა აწყობდნენ ღია კერასაც, რისთვისაც ხის იატაკზე მინას ყრიდნენ. იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში XIX საუკუნის დამლევს გლეხის კარმიდამოში ჩვეულებრივ ორი სახლი იდგა: ერთი დიდი ხნის აშენებული და ტრადიციული ტიპის – უფანჯრო, ორკარიანი და ღია კერით, მეორე კი ახალი ტიპისა – ბუხრით, ფანჯრებით და ა.შ. მაგრამ ოჯახი ძველ სახლში ცხოვრობდა, ხოლო ახალი უმთავრესად სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი.

¹⁴ Зиссерман А. Л. Двадцать пять лет за Кавказом (1842-1867)/ Типография А.С.Суворина, 1879. С.226.

¹⁵ Пантюхов И.И. О пещерных и позднейших жилищах на Кавказе/ Типография М.Д. Ротинианца. 1896, С. 84-85.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის ყოფა-ცხოვრებაში ნელ-ნელა მკვიდრდებოდა ევროპული „მაღალი“ მაგიდა, რომელიც იმერული სახლის პრესტიჟულ ელემენტად ითვლებოდა. ყველაზე პატივსაცემი სტუმრები, უფროსობისა და მიხედვით, სწორედ ამ მაგიდასთან სხდებოდნენ.¹⁶

წყარო 13 რუსული ლუმელი¹⁷



წყარო 14 რუსული ტიპის საცხოვრებელის გავრცელება

1880-იან წლებში ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივ სომხებში გავრცელდა რუსი დუხობორების უფრო იაფი და ადვილად ასაშენებელი საცხოვრებელი სახლები. ზოგიერთ სოფელში ადგილობრივი ტიპის სახლებში რუსულ ლუმელებს დგამდნენ.¹⁸

¹⁶ Волкова Н.Г., Джавахишвили Г.Н. Бытовая культура Грузии XIX-XX веков: традиции и инновации. Академия Наук СССР/ Издательство «Наука». Институт этнографии имени Н.Н.Миклухо-Маклая. 1982. С.211.

¹⁷ ხალხური ხის ხუროთმოძღვრების მუზეუმი „ვიტოსლავლიცი“, ნოვგოროდი. ჯეკი ბრიტონის ფოტო. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.flickr.com/photos/25270435@N03/7988482335/in/photolist-/>.

¹⁸ Вермишев Х. А. Земледелие у государственных крестьян Закавказского края / 1888. С. 40.

წყარო 15 ქართული სახლის ინტერიერი¹⁹



წყარო 16 სასტუმრო „ნოვი სვეტ“ („ახალი მსოფლიო“) დაბა პეტროპავლოვსკში (ამჟამად მულანი, აზერბაიჯანი). ს. მ. პროკუდინ-გორსკის ფოტო, 1915 წ.²⁰



¹⁹ თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი. რიტა ვილაერტის ფოტო.

²⁰ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკა. ელექტრონული რესურსი <http://www.loc.gov>. ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.loc.gov/pictures/collection/prok/item/prk2000001180/>.

ბლოკი 4. XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და რეგიონის ხალხთა საყოფაცხოვრებო კულტურა

11. წყაროების 17-20 გამოყენებით დაადგინეთ, რა ცვლილებები შეიტანა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა სამხრეთი კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დამდეგს?
12. რა გავლენის მოხდენა შეეძლო ამ ცვლილებებს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე?
13. წყაროების 17-20 საფუძველზე გამოიტანეთ დასკვნა, თუ რა გავლენა შეეძლო მოეხდინა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს კულტურათმშობრის ურთიერთობებზე.

წყარო 17 1885 წლის გაზეთ „კასპის“ სტატიიდან ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ

სოფლები გაკვირვებით შესცქეროდნენ არნახულ მანაქანას, რომლისთვისაც ძნელი ელისავეტპოლიდან ჩამოიტანეს. ¼ საათში მოასწრეს 100 ძნის გაღწევა. საერთოდ საღეწი მანქანა მხოლოდ აოცებდა გლეხებს, როგორც რაღაც ფოკუსი. შემდეგ დაიწყო სანიავე-ბელების გამოცდა, რომლებითაც ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა და, საბოლოოდ, გადავიდნენ ყურძნის სანურ მანქანებზე. ეს მანქანები ფრიად დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ, რითაც ვენახების მოიჯარე სომხების აღფრთოვანება დაიმსახურეს... ლენვის ადგილობრივი ხერხის მწარმოებლობამ და დაქუცმაცებული ჩალის საჭიროებამ აიძულა რუსი ახალმო-სახლეები უარი ეთქვათ ტრადიციულ საცხეველზე და აზერბაიჯანელი გლეხებისაგან გადაეღოთ საღეწი დაფა – „კამი“²¹...

წყარო 18 ამიერკავკასიის რკინიგზის მგზავრთა ნაკადი 1892 წელს²²

გადაყვანილი ფასიანი მგზავრების რიცხვი	1222743 კაცი
ერთი ფასიანი მგზავრის საშუალო გარბენი	87 კმ
ყველა ფასიანი მგზავრის გადაყვანის ამონაგები	1323163 მან.

წყარო 19 ინსტრუქცია საფოსტო-სატელეგრაფო უწყებაში ქალების სამსახურის შესახებ

საფოსტო-სატელეგრაფო უწყებაში შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ 18-დან 30 წლამდე (ჩათვლით) ასაკის ქალიშვილები და ქვრივები. საჭიროა განათლების ცენზი საშუალო სასწავლებლის ან ეპარქიის სასწავლებლის კურსის მოცულობით. სამსახურში მიღებულ ქალიშვილებსა და ქვრივებს ნებადართული აქვთ დარჩნენ სამსახურში გათხოვების შემდეგაც, ოღონდ თუ გაყვებიან იმავე საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებაში მომსახურე მოხელეს. ქალებს უნდა ეცვათ მუქი ფერის, დახურული, სასურველია, ერთნაირი ფასონის უბრალო კაბები.²³

²¹ ციტირებულია წიგნიდან: Гасан-бек Зардаби. Избранные статьи и письма. Баку, 1962. С.73.

²² მასალები იხ.: Ф.А. Брокгауз И.А. Ефрон. Энциклопедический словарь.

²³ ელექტრონული რესურსი Наш Баку. История Баку и бакинцев. ხელმისაწვდომია მისამართზე: [http://www.ourbaku.com/index.php5/Почта_Телеграф_Телефон_\(Баку\)](http://www.ourbaku.com/index.php5/Почта_Телеграф_Телефон_(Баку)).

წყარო 20 კინემატოგრაფი ბაქოში

ფილმების დემონსტრაციის ერთ-ერთ პირველ მოხსენიებად შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი ინფორმაცია: 1889 წლის ნოემბერში ბაქოში ჩამოვიდა ცნობილი ფიზიკოს-მექანიკოსი კ.ო. კრაუზე, რომელიც აპირებს სულ მოკლე ხანში გააცნოს ბაქოელებს თავისი მხატვრულად შესრულებული ბუნდოვანი სურათები, მათ შორის, 1888 წლის 17 ოქტომბერს იმპერატორის მატარებლის მარცხი და პარიზისა და თბილისის გამოფენების ხედები.

უკვე 1896 წელს ბაქოს მცხოვრებნი იწყებენ ახალი ტექნიკური მიღწევით – კინემატოგრაფით ფართოდ სარგებლობას. პირველ ხანებში ფილმებს აჩვენებდნენ ბაქოში იმ დროს არსებულ კლუბებსა და თეატრებში, შემდეგ კი სპეციალური კინოთეატრები და კინოდარბაზებიც გაჩნდა.²⁴



განმაზოგადებელი კითხვა

რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან სამხრეთი კავკასიის ხალხების ორი – ტრადიციული და თანამედროვე – „სამყარო“?

²⁴ Колтунов С. П. Бакинские кинотеатры. Кинематограф в Баку. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – http://www.ourbaku.com/index.php5/Бакинские_кинотеатры._Кинематограф_в_Баку

ბაქოს ნავთობი და კულტურა

► რა გავლენა მოახდინა
ბაქოს ნავთობმა ქალაქის ცხოვრებაზე?




1. როგორ ფიქრობთ, რა კავშირი შეიძლება არსებობდეს ნავთობსა და ყოფით კულტურას შორის?

ბლოკი 1. მრავალეროვანი ბაქოს გაჩენა



2. წყარო 1-ის მიხედვით, თვალი გაადევნეთ ბაქოს მოსახლეობის ზრდის დინამიკას. როდის დაიწყო ქალაქ ბაქოს სწრაფი ზრდა?
3. ისტორიულ ცნობასა და წყარო 2-ზე დაყრდნობით, განსაზღვრეთ ამ მოვლენის მიზეზები.

წყარო 1 ბაქოს მოსახლეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს (ათასი კაცი).¹



¹ გამოყენებული მასალები: Йорг Баберовски. Цивилизаторская миссия и национализм в Закавказье: 1828-1914 гг. // Новая имперская история постсоветского пространства /Под ред. И. Герасимова, – Казань: New Imperial History, 2004. С. 322.

◆ ისტორიული ცნობა

ნავთობის მდიდარი საბადოები თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ოდითგანვე იყო ცნობილი. შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობს დიდი რაოდენობით მოიპოვებდნენ. იმ დროს მას სახლების გასანათებლად და კანის დაავადებათა სამკურნალოდ იყენებდნენ.

წყარო 2 ნავთობსარეწების განვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში

1853 წელს ნავთის სანათის გამოგონების შემდეგ მოთხოვნა ნავთობზე ძალიან გაიზარდა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთის სამრეწველო სანარმოებმა დაიწყეს ნავთობის გამოყენება სამრეწველო მასშტაბით. ამის შედეგად გაიზარდა მოთხოვნა ნავთობპროდუქტებზე და თვით ნავთობის მოპოვება.

ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნის ზრდამ ხელი შეუწყო ბაქოში ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ჩასახვას. თავდაპირველად დაიწყო ნავთის წარმოება. 1859 წელს ბაქოში რუსმა მენარმეებმა კოკარევმა და გუბონინმა მსხვილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ააშენეს.

ნავთის ქარხნის ამუშავებამ აქტიური საქმიანობისკენ უბიძგა სხვა უცხოელ მრეწველებსაც. 1879 წელს დაარსებულმა „ძმები ნობელების ნავთობწარმოების ამხანაგობამ“, რომელიც აწარმოებდა ნავთობის მოპოვებასა და გადამამუშავებას ბაქოში, შექმნა საკუთარი სატრანსპორტო და გასასაღებელი ქსელი, რომელშიც შედიოდა ნავთობსადენები, ტანკერები, ვაგონ-ცისტერნები და ნავთობის ბაზები ნავმისადგომებითა და რკინიგზის შტოებით.


XIX საუკუნის დამლევს ნავთობის მოპოვების დარგში მუშაობის საშუალება მიეცათ უცხოელებს და, კერძოდ, როტშილდსა და როკფელერს. 1886 წელს როტშილდებმა დაარსეს „ბათუმის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“. ბათუმში აშენდა ნავთობსაცავები და ნავთობის გასაღების წერტილები.²



4. წყაროებზე 1 და 3-ზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, რა ცვლილებები მოხდა ბაქოს მოსახლეობის შემადგენლობაში XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს.
5. თქვენი აზრით, წყაროები 2 და 4-დან გამომდინარე, რით იყო განპირობებული ცვლილებები ბაქოს მოსახლეობის შემადგენლობაში?
6. წყაროების 2, 4, 5 და 8-ს გამოყენებით შეეცადეთ განსაზღვროთ, ვინ იგულისხმება მე-3 წყაროს სექტორში „სხვები“.
7. მეორე ბლოკის ისტორიული ცნობისა და წყარო 5-ის დახმარებით ახსენით, რატომ იყო დასახლებული ბაქოს გარკვეული უბნები მასში მითითებული ეთნიკური ჯგუფებით.

² Махмудлу Я.М.Специальный выпуск журнала «Абитуриент»// История. Баку 2010. С. 340-341.

წყარო 3 ბაქოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე³



წყარო 4 „ძმები ნობელების ამხანაგობის“ მთავარი მმართველის გუსტავ ტიორნუდის მოგონებებიდან

ბაქო, როგორც ვაჭრობის ცენტრი, მრავალ სხვადასხვა ერს იზიდავს... ყველა თავის ყაიდაზე ცხოვრობს და, როგორც ჩანს, ამაყობს კიდევაც თავისი ერით, მადლს სწირავს უფალს, რომ ნება მისცა გაჩენილიყო იმ ხალხში, რომელსაც ეკუთვნის, იქნება ეს სომეხი, სპარსელი, თათარი,⁴ ქართველი, ჩერქეზი, ჩაჩანი, ლეკი, ოსი, ... თურქმენი, არაბი, ზანგი, ... თურქი, ბერძენი, რუსი, იტალიელი, ფრანგი, რუმინელი, ყველა ჯურის გერმანელი, ებრაელი, ინგლისელი, ამერიკელი შვეიცარიელი, დანიელი, შვედელი თუ ფინელი. საკმაოდ ჭრელი შემადგენლობაა, მაგრამ ჩვენ ერთობ მეგობრულად და შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ. იმ წლებში რუსეთში იშვიათად თუ ნახავდით მხარეს, სადაც ასეთი კეთილმოსურნეობის სული სუფევდა.⁵

წყარო 5 ეთნიკური ჯგუფების დასახლებები ქალაქში

მუსლიმები ცხოვრობდნენ ისტორიულ ცენტრში, ხანის ციხე-სიმაგრის ირგვლივ, და ქალაქის დასავლეთ ნაწილში, რუსები – ინდუსტრიულ სარტყელში, სომხები – ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში. ქალაქის ახალი ცენტრის მშენებლობასთან ერთად შერეული მოსახლეობა ჩნდება.⁶

³ Йорг Баберовски. Цивилизаторская миссия и национализм в Закавказье: 1828-1914 гг. // Новая имперская история постсоветского пространства / Под ред. И. Герасимова. – Казань: New Imperial History, 2004. – С. 322; Современный Азербайджан. // Новый Восток. 1926. № 4. С. 174.

⁴ ასე უწოდებდნენ იმ დროს ქალაქის თურქულ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობას.

⁵ Осбринк Б. Империя Нобелей / Б.Осбринк, Москва, 2003. С.79.

⁶ Йорг Баберовски. Цивилизаторская миссия и национализм в Закавказье: 1828-1914 гг. // Новая имперская история постсоветского пространства / Под ред. И. Герасимова, – Казань: New Imperial History, 2004. – С. 322.


ბლოკი 2. ცვლილებები ბაქოს იერ-სახესა და ყოფაცხოვრებაში

8. მეორე ბლოკის ისტორიული ცნობის დახმარებით, იპოვეთ წყარო 6-ში სამრეწველო რაიონი. რატომ ითვლებოდა ახალი რაიონების აშენება წინ გადადგმულ ნაბიჯად?
9. წყარო 10-ის საფუძველზე, აღწერეთ ბაქოს მოსახლეობის მდიდარი ნაწილის ცხოვრება.

◆ ისტორიული ცნობა

ქალაქი ბაქო წარმოიქმნა ბაქოს პლატოს სამხრეთ ფერდობზე, ნახევარუდაბნოს ზონაში. აქ მშრალი და ცხელი ჰავის გარდა მხოლოდ აფშერონის ნახევარკუნძულისათვის დამახასიათებელი ქარიც ქრის. XV საუკუნის არაბი გეოგრაფი აბდ არ-რაშიდ ალ-ბაქუვი წერს ქალაქში წყლის უემარისობისა და მისი მიდამოების მიწების სიმწირის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აქ ხალხი ბრინჯაოს ხანიდან ცხოვრობდა, ბაქო პატარა ქალაქი იყო – მისი მოსახლეობა XVII საუკუნეში 5-7 ათას კაცს არ აღემატებოდა, ხოლო XIX საუკუნის შუა წლებისათვის 7,4 ათას კაცს შეადგენდა. მაგრამ სულ რამდენიმე წელიწადში, მას შემდეგ, რაც ნავთობიანი ნაკვეთების გაყიდვა დაიწყო, ბაქოს ირგვლივ უხვად აღიმართა ფაბრიკების მიწები და ქალაქმა იწყო სწრაფი განვითარება, მის მიდამოებში მდებარე სოფლების თანდათან შთანთქმის ხარჯზე. 1876 წელს გაჩნდა ახალი სამრეწველო უბანი – შავი ქალაქი, რომლისთვისაც სპეციალურად იყო შემუშავებული და დამტკიცებული განაშენიანების გეგმა. მალე სწრაფად მზრად ქალაქს შეემატა კიდევ ერთი სამრეწველო უბანი – თეთრი ქალაქი. ქალაქის ახალი უბნების დაგეგმარება მისი ფეოდალური ნაწილის ლაბირინთებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯი იყო – წინა აღმოსავლეთის იმდროინდელ ქალაქებში ვერაფერს მსგავსს ვერ ნახავდით.

წყარო 6
ბაქოს გეგმა.
1890-იანი
წლების
დასაწყისი⁷




წყარო 7 ახალი არქიტექტურა

მრავალრიცხოვანი დიდი შენობები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რომლებიც მდიდარ ნავთობმრეწველებსა და ვაჭრებს ეკუთვნოდა, მათთვის არა მარტო შემოსავლის წყაროს, არამედ ერთგვარ რეკლამასაც წამოადგენდა. დაბალსართულიან, შეუხედავ ნაგებობათა

⁷ 1890 წლების დასაწყისი ბაქო – ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://j0nka.livejournal.com/>

შორის მკვეთრად გამოირჩეოდა ხარისხიანად ნაშენი, ხშირად თვალში საცემად პრეტენზიული საცხოვრებელი სახლები და ბანკების შენობები. მათ არქიტექტურაში უცნაურად იყო არეული ყველანაირი მხატვრული სტილი, რაც ქალაქის ცენტრს ეკლექტიკურ იერ-სახეს უქმნიდა. არქიტექტორები ცდილობდნენ დაეკმაყოფილებინათ შემკვეთთა ყველა სურვილი, რომლებიც ისწრაფვოდნენ მათი კუთვნილი შენობების სიდიდითა და უცნაური მორთულობით ხაზი გაესვათ თავიანთი სიმდიდრისა და ადგილისათვის საზოგადოებაში, ამიტომ პროექტირებისა და მშენებლობის დროს ნაირ-ნაირ (ევროპულ – რედ.) სტილს ბაძავდნენ...⁸.

წყარო 8 თბილისის ვაგზალი და კონკა. ბაქო, XX საუკუნის დამდეგი⁹



წყარო 9 ვილა პეტროლეა. XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგის ღია ბარათი

წყარო 10 მდიდარი ნავთობმრეწველების ცხოვრება ბაქოში

...ამ უბანში¹⁰ ძმები ნობელების კომპანიის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათ შორის ფინეთიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან და გერმანიიდან მონვეული პერსონალის) მოზიდვის მიზნით აქ აშენდა დაბა,¹¹ რომელშიც საუკეთესო საცხოვრებელი პირობები

⁸ Л. Бретаницкий. Баку. Ленинград-Москва, 1970. С. 41.

⁹ ელექტრონული რესურსი История железных дорог. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://elmaral.livejournal.com/8820.html> http://ic.pics.livejournal.com/elmaral/31583488/19875/19875_original.jpg

¹⁰ გარეუბანი ბაქოს აღმოსავლეთით, სამრეწველო უბანი.

¹¹ ანუ დაბა Villa Petroléa.

იყო შექმნილი. ახალი დაბა მდებარეობდა შავი ქალაქის აღმოსავლეთ საზღვარზე სოფელ ყიშლის მახლობლად. აქ იყო სახლები მოსამსახურეებისათვის, სკოლები, თეატრი, საავადმყოფოები და ძმები ნობელების 1884 წელს აშენებული საგვარეულო რეზიდენცია ბაქოში. ... პეტერბურგიდან გამოიწერეს ქანდაკებები ბალისათვის, ფერწერული ნაწარმოებები, წიგნები ბიბლიოთეკისათვის. ოთახებს ამშვენებდა აზერბაიჯანელი და სპარსელი ოსტატების მიერ დამზადებული ძვირფასი ხალიჩები.¹²

... „ვილა პეტროლუას“ ბინადარნი ხშირად აწყობდნენ პარკში სეირნობასა და მეჯლისებს, რომლებზეც პატიჟებდნენ მრავალრიცხოვან სტუმრებს ქალაქიდან. უკრავდა მუსიკა, ენთო ხეებზე დაკიდებული ფერად-ფერადი ფარნები, ეწყობდა ფეიერვერკი და სტუმრებს საუცხოო კერძებით უმასპინძლებოდნენ. ... იხსენებდნენ მხიარულ საშობაო ნაძვის ხესაც, რომელსაც ტრადიციულად აწყობდნენ „ვილაზე“.¹³

ამ შენობებმა ხელი შეუწყო აზერბაიჯანში თანამედროვე არქიტექტურულ-სამშენებლო კულტურის გავრცელებას, რომლის მეგზურები იყვნენ მათი ავტორები, უმეტესწილად პეტერბურგისა და მოსკოვის არქიტექტურული სკოლების აღზრდილები.¹⁴



10. იპოვეთ წყაროში 11 ფრაზები, რომლებიც ახასიათებს შავ ქალაქში ცხოვრების პირობებს.
11. როგორ ფიქრობთ, რატომ განიხილებოდა ქალაქის ნავთობმრეწველთა ყრილობაზე „ბაქოს ნავთობის სარეწებზე მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების“ ღონისძიებანი (წყარო 11) და რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ საკითხის განხილვას?
12. წყაროების 8 და 12 მიხედვით, დაასახელეთ ტრანსპორტის ახალი სახეობანი, რომლებიც ქალაქში გაჩნდა.
13. წყაროებზე 10 და 11 დაყრდნობით შეადარეთ ნავთობის სარეწების მუშებისა და მფლობელების ცხოვრება.
14. გამოყავით წყაროებიდან 6-10 და 12-13 დასავლური ცივილიზაციის ელემენტები, რომლებიც ბაქოში XX საუკუნის დამდეგისათვის გაჩნდა. თქვენი აზრით, როგორ შეცვალეს მათ ქალაქელების ყოფა-ცხოვრება?

წყარო 11 მუშების ყოფაცხოვრება შავ ქალაქში

მ. გორკი ასე იხსენებს ბაქოს ნავთობის სარეწებს: „შავბნელი ჯოჯოხეთის გენიალურად შექმნილი სურათი... კოშკურების ქაოსში მიწას ეტმასნებოდა მუშების მონითალო და რუხი გაუთლელი ქვებით სახელდახელოდ ნაშენი გრძელი დაბალი ყაზარმები, რომლებიც ძალიან გავდა ისტორიამდელი ადამიანების საცხოვრებელს... საშინელი სანახავი იყვნენ ნახევრად შიშველი ბავშვები, ფეხით რომ ზელდნენ ზეთოვან ლორწოს გუბურებში, ორ-ორი, სამ-სამი ერთმანეთთან მიყუჟულები ისხდნენ ყაზარმების კარებში, ბრტყელ სახურავებზე თამაშობდნენ რკინის ნატეხებით და ნაფოტებით. ისევე, როგორც ყველაფერი ირგვლივ, ბავშვებიც ნავთობში იყვნენ გასვრილი, მათ გათხუპნილ სახეებს ყველგან ვაწყდებოდი და მაგონდებოდა საშინელი ზღაპარი კაციჭამია ძმების ტყვე ბავშვების შესახებ...“ იმდროინდელ

¹² Мир-Бабаев М.Ф. Краткая история Азербайджанской нефти. Баку, Азернешр-2007.

¹³ Игорь Абросимов. Частная жизнь бакинской семьи на фоне событий далекого прошлого. ელექტრონული რესურსი: <http://www.bakupages.com>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.bakupages.com/blg-list.php?id=51646&usp_id=0&cmm_id=276.

¹⁴ Л. Бретаницкий. Баку. Ленинград-Москва, 1970. С. 43.

ანგარიშებში ხშირად აღინიშნებოდა, რომ ნავთობმრეწველთა მიერ აშენებულ ყაზარმებში თითოეულ ადამიანზე მოდის ჰაერის ერთ კუბურ საჟენზე ნაკლები (9,7 კუბური მეტრი – რედ.), რომ „გასაკვირია, როგორ შეუძლია იქ ცხოვრება ადამიანს“, რომ ნავთობსარეწი რაიონის ნიადაგი „შეუდარებლად უფრო გაბინძურებულია, ვიდრე სასაფლაოებისა“ და ა.შ.

1899 წელს ქალაქის ნავთობმრეწველთა ყრილობაზე განიხილეს „ბაქოს ნავთობის სარეწებზე მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების“ ღონისძიებანი. მოხსენებას საფუძვლად დაედო იმ სათავსოთა საექიმო-სანიტარიული შემოწმების მასალები, რომლებშიც მთელი ბალახან-საბუნჩინის რაიონის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ცხოვრობდა. აღმოჩნდა, რომ არც ერთი სათავსო არ იყო ისეთი, რომელსაც შეიძლებოდა რქმეოდა „დამაკმაყოფილებელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“, სათავსების უდიდესი უმრავლესობა კი „ყველაზე შემწყნარებელ კრიტიკასაც ვერ უძლებს!“.¹⁵

წყარო 12 ახალი ტრანსპორტი ბაქოში

ქალაქის მთავარ საზოგადოებრივ ტრანსპორტად კვლავ საცხენოსნო-სარკინიგზო გზა რჩება... მოძრაობენ ფაეტონები და საფორანე ცხენები. ბაქოში მცხოვრებმა ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე იოსიფ დე ვიტმა მიიღო კონცესია ბაქოსა და ბალახან-საბუნჩინის სარეწს შორის საავტომობილო მიმოსვლის მოსაგვარებლად. ახლა მალაკანთა ბაღიდან და პეტრეს მოედნიდან ივლის 12 კაცის გადასაყვანად გამიზნული ომნიბუსები.¹⁶

წყარო 12ა მალაზია მუშა-მოსამსახურეებისათვის შავ ქალაქში. XX საუკუნის დამდეგი¹⁷



¹⁵ Л. Бретаницкий. Баку. Ленинград-Москва, 1970. С. 40.

¹⁶ Т. Гумбатовал, Баку в начале XX века. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.proza.ru/2012/09/21/550>

¹⁷ Национальный Музей истории Азербайджана. Книга-альбом. Гаджи-Зейналабдин Тагиев. Баку. 2010. С.53.

ბლოკი 3. ბაქოს კულტურული ცხოვრება



15. რა წვლილი შეიტანეს „ძმები ნობელების ამხანაგობის“ მოსამსახურებმა აზერბაიჯანის კულტურის განვითარებაში (წყარო 13)?
16. რას ხმარდებოდა მეცენატების მიერ გაღებული თანხები (წყაროები 14-19)?
17. წყაროების 14-20 საფუძველზე ჩამოთვალეთ, რომელი რეგიონების კულტურულ ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა ბაქოელ ნავთობმომპოვებელთა საქმიანობამ.

წყარო 13 თანამედროვე ავტორი ვილა პეტროლეაში გამართული კულტურული ღონისძიებების შესახებ

1897 წლის 15 თებერვალს ვილაზე გაიმართა სახალხო კითხვა მუსიკალური განყოფილებით. სამ თვეზე მეტი ხნის წინათ ქალბატონმა ლამპემ გამოაცხადა, რომ იქმნება ხალხური გუნდი. განცხადებას გამოეხმაურა 60-ზე მეტი კაცი – ამხანაგობის მოსამსახურეები და მუშები. მათი უმრავლესობა არ იცნობდა არც მუსიკას, არც ნოტებს, მაგრამ თანდაყოლილი ნიჭის, საქმისადმი ყურადღებისა და აკურატულობის წყალობით შედეგი ბრწყინვალე აღმოჩნდა. სამოყვარულო კონცერტმა დამსწრეთ სიამოვნება მიანიჭა. მოწონება დაიმსახურა კითხვამ ცოცხალი სურათების თანხლებით.

1893 წლის 31 ოქტომბერს ვილა პეტროლეს კლუბში გაიმართა პირველი კითხვა, რომელმაც მისი არსებობის მთელი ხნის მანძილზე გაამართლა თავისი სახელწოდება – „სახალხო“. მსურველები ორთქლური ბარკასით „ბაქო“უფასოდ მიჰყავ-მოჰყავდათ პეტრეს სანაპიროდან ვილა პეტროლეს აგარაკამდე და უკან. თავი მოიყარა 400-მდე ქარხნის მუშამ. დაწყების წინ დეკანოზმა იუნიცკიმ პარაკლისი გადიხადა, შემდეგ კი მოყვარულებმა წაიკითხეს გოგოლის „სოროჩინცის ბაზრობა“. ამ საქმის ენთუზიასტი იყო „ძმები ნობელების ამხანაგობის“ მოსამსახურის ი.ფ. ლამპეს ცოლი ა. ა. ლამპე. შემდეგ კითხვაზე, რომელიც 14 ნოემბერს გაიმართა, უკვე აღარ დაიშვებოდნენ 10 წლამდე ასაკის ბავშვები და ქალები ჩვილი ბავშვებით.¹⁸

20 თებერვალს ძმები ნობელების ამხანაგობის შავი ქალაქის სკოლის მზრუნველმა ა.ა. ლამპემ მოაწყო პირველი უფასო სახალხო სპექტაკლი, რომელშიც როლებს ასრულებდნენ წარმოებების ხელოსნები და მუშა-მოსამსახურენი. ამ გონივრულ და სასარგებლო გასართობს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხისათვის, რომელმაც „სამიკიტონებისა და გარყვნილების ბუდეების გარდა არაფერი იცის“. ძმები ნობელების ამხანაგობის მოსამსახურეთა კრებების დარბაზმა, რომელიც 400-500 კაცისთვისაა გათვალისწინებული, ამჟერად 800 დაიტია.¹⁹

წყარო 14 მეცენატობის განვითარება: ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი

მილიონებს, რომლებიც ჰ.ზ. ტაგიევს ბაქოს ნავთობმა მოუტანა, იგი ამპარტავან და უგულო ადამიანად არ გადაუქცევია. პირიქით, ნავთობის ბიზნესისაგან მიღებული შემოსავლის უდიდესი ნაწილი მან ბაქოს პროგრესსა და საყვარელი ხალხის განათლებას მოახმარა.

¹⁸ Т. Гумбагова 2. Villa Petrolea – памятник добрым делам семьи Нобель. – ელექტრონული რესურსი <http://www.proza.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.proza.ru/2012/04/24/758>.

¹⁹ Т. Гумбагова1, Баку в начале XX века. ელექტრონული რესურსი <http://www.proza.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.proza.ru/2012/09/21/550>

ფასდაუდებელია ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევის წვლილი მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობასა და პროგრესში. თეატრის, ბანკის, ბირჟის მშენებლობა, რკინიგზის, სახანძრო დაცვის სამსახურის, განთქმული „ტაგიევის პასაჟის“, ნისქვილის გახსნა, კონკის შემოღება, შოლარის წყალსადენის გაყვანა, მეჩეთების აგება არა მარტო ბაქოში, არამედ აგრეთვე პეტერბურგში, დაღესტანში, ირანში, ქალთა გიმნაზიის შექმნა, ჟურნალ-გაზეთებისა და ინტელიგენციის ნაშრომების გამოცემა, ხელმოკლე სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლების დაფინანსება, მსახიობთა სპონსორობა – ყველა ეს კეთილშობილური საქმე ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევის ნამოქმედარია.²⁰

წყარო 15 ახალი სასწავლებლის შესახებ

1896 წელს ტაგიევმა ჩაიფიქრა აზერბაიჯანში პირველი ქალთა სასწავლებლის გახსნა. იმავე წელს მან მიიღო ქალაქის მიწის ნაკვეთი, რომელზეც არქიტექტორმა ი.ვ. გოსლავსკიმ ააგო სკოლის შენობა (ამჟამად – აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდი). ტაგიევს უდიდესი ძალისხმევა და საოცარი სიმტკიცე დასჭირდა ამ სკოლის გახსნის გზაზე სიძნელეთა გადასალახავად.

როგორც იქნა, 1901 წელს გაიხსნა ქალთა რუსულ-მუსლიმური სკოლა, რომელიც მთლიანად ტაგიევის კმაყოფაზე იყო. აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის განათლების დარგში 1880 წლის აგვისტოში იგი დაამტკიცეს ბაქოს მარიამის ქალთა გიმნაზიის საპატიო მზრუნველად, 1897 წლის აპრილში – დაბალი ტექნიკური სასწავლებლის საპატიო მზრუნველად, ხოლო 1901 წლის აპრილში – იმპერატორის მეუღლის ალექსანდრა ფიოდოროვნას სახელობის ქალთა რუსულ-მუსლიმური სკოლის საპატიო მზრუნველად.²¹

წყარო 16 ზუბალოვების საქველმოქმედო მოღვაწეობა

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალოვი საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა, სანამ 1872 წელს არ შეიძინა მიწის ნაკვეთი ბიბი-ეიბათზე (ბაქო), სადაც სულ მალე მძლავრი ნავთობიანი ძარღვი აღმოაჩინეს. 1889 წლიდან კ. ი. ზუბალოვის ფირმამ დაიწყო იქ ნავთობის მოპოვება და ზუბალოვების ოჯახის სიმდიდრეც სწრაფად იზრდებოდა.

ზუბალოვების ყველა თაობა ღრმად მორწმუნე კათოლიკეებს ეკუთვნოდა.

მთელი ცხოვრების მანძილზე ზუბალოვები აშენებდნენ, არემონტებდნენ, აღადგენდნენ და აღჭურვავდნენ ეკლესიებს, ეხმარებოდნენ მონასტრებს, მედავითნეებსა და ბერ-მონაზვნებს რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ.

1870 წელს ზუბალოვების ოჯახის ხელშეწყობით თბილისში აშენდა წმინდა მოციქულების პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია. მშენებლობა მიმდინარეობდა კ. ზუბალაშვილის დაუცხრომელი მეურვეობის ქვეშ.²²

ლურდში (საფრანგეთი) 1897 წელს ზუბალოვების სახსრებით აშენდა „გლოვის სამლოცველო“, სოლიდური ორსართულიანი შენობა ორი სვეტით ცენტრალური შესასვლელის ორივე მხარეს. მეორე სართულს ამშვენებს ექვსი ვიტრაჟიანი ფანჯარა. სამლოცველოს

²⁰ Алиева Ругия. Памяти великого мецената // Зеркало. 2010. 29 января. С.7.

²¹ Ибрагимов М. Дж. Предпринимательская деятельность Г. З. Тагиева. – Баку, Азернешр, 1990. С. 58-59.

²² კონსტანტინე ზუბალაშვილი (1828-1901) – იგივე ზუბალოვი, ძმების ლევან, სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალოვების მამა.

აგვირგვინებს მაღალი გუმბათი ჯვრით, რომელზეც ჯვარცმის რელიეფური გამოსახულებაა დამაგრებული.²³

წყარო 17 შამსი ასადულაევისა და ალა იუსიფ დადაშევის საქველმოქმედო მოღვაწეობა

შამსი ასადულაევი XX საუკუნის დამდეგს აზერბაიჯანის ერთ-ერთი მენავთობე მაგნატი იყო, რომელსაც ყოველთვის ნობელებთან ერთად იხსენიებდნენ. მან ნავთობის მფლობელთა შორის პირველმა გამოიყენა ორთქლის ძრავიანი გემი რუსეთში ნავთობის გადასაზიდად; ბაქოში არსებული უძრავი ქონების გარდა ააგო დიდებული შენობა პეტერ-ბურგში ნევის ნაპირას, ზამთრის სასახლის მახლობლად; მოსკოვში თავის ცოლს მარიამს უყიდა დიდებული კარ-მიდამო აუზითა და ორანჟერეით. ამასთან ერთად, იგი ფართოდ ეწეოდა ქველმოქმედებასაც. ერთ-ერთი კარმიდამო აჩუქა მუსლიმთა კულტურულ ცენტრს (თათრების სახლი).

ალა იუსიფ დადაშევი აზერბაიჯანელი მილიონერი და ქველმოქმედი. სანაოსნო ვაჭრობით მიღებული შემოსავლის ძირითადი თანხა ხმარდებოდა ხალხის განათლებას (გორის სამასწავლებლო სემინარია და ქალთა სკოლა). დადაშევმა უზარმაზარი თანხა დაახარჯა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანას, ბაქოს საკრებულოს მშენებლობას. დააფინანსა მ. გორკის, დ.ი. მენდელეევის, ნავთობგეოლოგიის სპეციალისტის ი.მ. გუბკინის ჩამოსვლა ბაქოში. აქტიურად მონაწილეობდა აზერბაიჯანის მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენაში, აღადგინა მეჩეთი ბიბიჰეიბეთი, აჩუქა ორმოცნათურიანი ჭაღი და ძვირფასი ხალიჩები მოსკოვში ბუხარის ამირას მიერ აშენებულ მეჩეთს.¹⁴

წყარო 18 ბაქოელი ქალის მოგონებებიდან დედამისისა და დეიდამისის შესახებ

... ერთხელ ხადიჯა²⁵ წააწყდა განცხადებას იმის შესახებ, რომ ნავთობმრეწველი, მილიონერი და მეცენატი ზ. ტაგიევი იწვევს სამუშაოდ თავის ქალთა სკოლაში განათლებულ მუსლიმ ქალებს. განათლებისა და ჰუმანიზმის პრინციპებზე გაზრდილი ხადიჯა იღებს მტკიცე გადაწყვეტილებას და ჩადის ბაქოში, სადაც ტაგიევის სკოლის მასწავლებელი ხდება. ამიერიდან მთელი მისი ცხოვრება პედაგოგიკასთან იქნება დაკავშირებული.

მისი უფროსი და ზეინაბ ხანუმ აბდურახმანოვაც ზეინალაბდინ ტაგიევის მიწვევით ბრუნდება ბაქოში, მაგრამ უკვე როგორც დიპლომირებული ექიმი-გინეკოლოგი. იგი მკურნალობს ტაგიევის ფაბრიკების უბრალო მუშა-ქალებს, მაგრამ მალე მისი სახელი ფართოდ გახდება ცნობილი სამეცნიერო და სამედიცინო წრეებში, ხოლო მედიცინას იგი მთელ თავის ძალ-ღონესა და ექიმის უდიდეს ნიჭს მოახმარს.²⁶

²³ Зубаловы – семья нефтепромышленников, меценаты, коллекционеры. ელექტრონული რესურსი – Наш Баку – <http://www.ourbaku.com/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.ourbaku.com/index.php5/>

²⁴ ელექტრონული რესურსი Культурная и общественная жизнь Азербайджана, Меценатство, азербайджанские меценаты. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://az-love.com/viewtopic.php?id=1532>; აგრეთვე: Open.az Наши миллионеры-благотворители. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://open.az/novosti/kultura/131665-nashi-millionery-blagotvoriteli.html>

²⁵ ხადიჯა აგაევა თავის დასთან, ზეინაბ ტაბიევასთან (ქალიშვილობაში ორივენი – აბდურაჰმანოვები) ერთად სწავლობდა პეტერბურგში, სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში. ისინი იყვნენ ლამის ერთადერთი მუსლიმი მოსწავლეები ამ სასწავლებლის მთელი ისტორიის მანძილზე.

²⁶ ელექტრონული რესურსიდან Очерк Хуршид ханум Агаевой о ее матери и тете. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.ourbaku.com/index.php5/>

წყარო 19 ჰ. ტაგიევი და ბაქოს კულტურული ცხოვრება

ქალაქის კულტურული ცხოვრება საკმაოდ აქტიური იყო, თუმცა ნელს (1900 წ. – რედ.) ყველაზე საინტერესო იყო თეატრალური სეზონი. ტაგიევის თეატრში, რომელიც აშენდა მისი პირადი სახსრებით, იანვარში წარმატებით ჩაიარა კოლორატურული სოპრანოს იზაბელა ზვიხერის საოპერო სპექტაკლებმა.²⁷

წყარო 20 „ძმები ნობელების ნავთობწარმოების ამხანაგობა“ და ნობელის პრემიები

1901 წლის შემდეგ, როდესაც სტოკჰოლმსა და ოსლოში პირველად გაიმართა ნობელის პრემიების გადაცემა, ნობელის გვარი საყოველთაოდ ცნობილი გახდა და, თუმცა, ალფრედ ნობელმა თავისი სიმდიდრე, უწინარეს ყოვლისა, დინამიტის გამოგონებით მოიპოვა, მთელი იმ კაპიტალის დაახლოებით 17 პროცენტი, რომლიდანაც ნობელის პრემიებს იხდიან, შეიტანა მისი უფროსი ძმების მიერ, ალფრედის მონაწილეობით, შექმნილმა „ძმები ნობელების ნავთობწარმოების ამხანაგობამ“. მართალია, ამხანაგობის მთავარი კანტორა პეტერბურგში მდებარეობდა, მაგრამ მისი ნამდვილი ცენტრი ბაქოში იყო.²⁸

შემაჯამებელი განხილვა

იმსჯელეთ, რა კავშირია ნავთობსა და კულტურას შორის?

²⁷ Т. Гумбатова1, Баку в начале XX века. ელექტრონული რესურსი <http://www.proza.ru>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.proza.ru/2012/09/21/550>

²⁸ ელექტრონული რესურსი Под яркою звездой есть город золотой... ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://lilitochka.ru/viewtopic.php?id=478&p=5>


აზერბაიჯანელი ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს (ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პუბლიკაციების მიხედვით)

- რა სიახლე გაჩნდა აზერბაიჯანში ქალისადმი დამოკიდებულებაში XX საუკუნის დამდეგს?

ბლოკი 1. ჟურნალი „მოლა ნასრედინი“¹

- ▼
1. რა არის კარიკატურა? როგორ ფიქრობთ, კარიკატურისტების მიერ ასახული ვითარება ტიპიურია თუ ერთგვერადი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
 2. როგორ ფიქრობთ, რას მონიშნავს წყარო 1? რისი თქმა უნდოდა ავტორს? რა ინფორმაციას გვაძლევს ეს კარიკატურა ქალის მდგომარეობის შესახებ?

წყარო 1 კარიკატურა ჟურნალიდან „მოლა ნასრედინი“²



ეს რა არის?



უი, მგონი ადამიანები ყოფილან...

- ▼
3. ისტორიული ცნობისა და წყარო 2-3-ის დახმარებით ახსენით, რა მიზანს ემსახურებოდა ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ გამოცემა.
 4. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდნენ ავტორები სიტყვაში „გამოღვიძება“ (წყარო 3) და რატომ მიაჩნდათ, რომ მხოლოდ მოლა ნასრედინს შეეძლო დახმარება გაეწია ამ საქმეში?
 5. თქვენი აზრით, როგორ შეიძლებოდა გამოვლენილიყო აზერბაიჯანელი ქალისთვის „გამოღვიძება“?

¹ მოლა ნასრედინი (ან ხოჯა ნასრედინი) – მუსლიმური აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის, აგრეთვე ბალკანეთის ზოგიერთი ხალხის ფოლკლორული პესონაჟი, მოკლე იუმორისტული და სატირული მინიატურებისა და ანეგდოტების გმირი. მოლა ნასრედინი ღარიბი ბრძენია, რომელიც ენამოსწრებულობითა და საზრიანობით გამოირჩევა და ყოველთვის პოულობს გამოსავალს გამოუვალი მდგომარეობიდან. ანეგდოტები ნასრედინზე აზერბაიჯანში ყველაზე მეტად უყვართ. სასაცილო სიტუაციებსა და საქციელს, ენამოსწრებულ და გამეორდავ პასუხებს ყოველთვის მოლას მიაწერენ ხოლმე.

² Журнал «Молла Насреддин». 26 декабря 1906 года. №38. С. 6. Тифлис.


◆ ისტორიული ცნობა

„მოლა ნასრედინი“ აზერბაიჯანული ყოველკვირეული ილუსტრირებული სატირული ჟურნალი, დააარსა ცნობილმა აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა, განმანათლებელმა და სატირიკოსმა მწერალმა ჯელილ მემედ-ყული ზადემ (ფსევდონიმი – მოლა ნასრედინი). „მოლა ნასრედინის“ პირველი ნომერი გამოქვეყნდა 1906 წლის 7 აპრილს თბილისში. ჟურნალი აზერბაიჯანულ ენაზე გამოიცემოდა და მთელ მუსლიმურ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთში ერთადერთი სატირული ჟურნალი იყო.

ჟურნალი აღწერდა კავკასიაში XX საუკუნეში არსებულ საყოფაცხოვრებო და ეკონომიკურ ვითარებას და დასცინოდა ჩამორჩენილობასა და ბნელეთის მოციქულობას. რელიგიური მოღვაწეები გამოსცემდნენ ფურცლებს, რომლებშიც შეაჩვენებდნენ ჯ. მემედ-ყული ზადეს და მის სიკვდილს მოითხოვდნენ. ჟურნალის რედაქცია თბილისში არაერთხელ გაუჩხრეკია პოლიციას. „მოლა ნასრედინი“ რუსულმა ცენზურამ აკრძალა 1917 წელს და 1921 წლამდე გამოიცემოდა ირანში, ხოლო 1922-1931 წლებში – ბაქოში. ამ ჟურნალს აზერბაიჯანული კარიკატურის გაჩენის ისტორიას უკავშირებენ.

წყარო 2 კავკასიის თურქულენოვანი ხალხებისთვის თბილისის მნიშვნელობის შესახებ (ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ ერთ-ერთი ავტორის მოგონებებიდან)

„მოლა ნასრედინი“ შეიქმნა თბილისში 1906 წელს. თბილისი კავკასიის ცენტრი და კავკასიის მთავრობის დედაქალაქია. ეს ქალაქი შეიძლება კავკასიის თურქულენოვანი ხალხების ცენტრადაც ითვლებოდეს. და ეს მართლაც ასეა³...



წყარო 3 ნახატზე ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პირველი ნომრის პირველ გვერდზე სიმბოლურად იყო ასახული აღმოსავლური საზოგადოება, რომელიც იღვიძებს ბრძენი მოლა ნასრედინის წყალობით⁴

წყარო 4 თანამედროვე მკვლევარი ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ შესახებ

თვალი აუხილოს ახალ სამყაროზე მძინარე აღმოსავლეთს, განსაკუთრებით, მუსლიმებს, მოუწოდოს მათ იგრძნონ მსოფლიოს მაჯისცემა – აი აღმოსავლეთის ამ პირველი სატირული ჟურნალის ძირითადი იდეა. სწორედ ამიტომ ჟურნალმა შესძახა მთელ აღმოსავლეთს: „ეჰეი, ჩემო ძმებო მუსლიმებო!“ და მოუწოდა დესპოტიზმისა და დათრგუნვის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ამ

³ Мамедкулизаде Дж. (Молла Насреддин). Драматургия и проза. Б.: АГУ, 1958. С. 725.

⁴ Журнал «Молла Насреддин», 7 апреля 1906 года, Тифлис.

ჟურნალის გავლენით საქართველოს, დაღესტნის, თათრეთისა და შუა აზიის ხალხებმაც დაიწყეს ნაირ-ნაირი სატირული ჟურნალის გამოშვება...


მაშ, ვინ იყვნენ მისი ლიტერატურული გმირები? ისინი, ვინც ხალხის სისხლს სვამს, ვინც აიძულებს მას განკიცხულის უბედურებით აღსავსე ცხოვრებით იცხოვროს, ვინც ახშობს ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ, ვისაც ხალხი უმეცრობის ტყვეობაში ყავს მოქცეული, ვინც მეცნიერების, განათლების, პროგრესის, ახალი სამყაროს აღმოჩენის წინააღმდეგია. ჟურნალი, რომელიც ხალხის სულზე მეტყველებს, გულითადი ზრუნვით აშუქებს მის სადარდებელს, და არა მარტო აშუქებს, არამედ ამ სადარდებლის გაქარწყლების გზებსაც ეძებს, სულ მალე ხალხში ძალიან პოპულარული გახდა.⁵

ბლოკი 2. მუსლიმი ქალების უფლებები XX საუკუნის დამდეგს

6. რა შენობებს ხედავთ წყარო 5-ში? რა განსხვავებაა ამ შენობებს შორის და რა აქვს მათ საერთო? როგორ ფიქრობთ, რა აქვს საერთო წყაროებს 5, 6 და 7?
7. წყაროების 6-7 საუძველზე ახსენით, ვისი და რატომ შურთ დებს მე-5 წყაროს კარიკატურაზე.
8. წყაროების 5-8 საუძველზე ჩამოთვალეთ, რა უფლებებს იყო მოკლებული მუსლიმი ქალი.

წყარო 5⁶ წარწერები ნახატზე:

მარცხნივ – პატიმართა სახლი, მარჯვნივ – მუსლიმი ქალების სახლი.
„დაიკო, რა ბედნიერი არიან, რომ ფანჯრიანი სახლი აქვთ...“




⁵ Казымова Ф. Р. Журнал «Молла Насреддин» и восточная печать / Филологические науки в России и за рубежом: материалы междунар. науч. конф., февраль 2012 г.). СПб.: Реноме. 2012. С.21.

⁶ Журнал «Молла Насреддин». 9 августа 1909 года. № 10. С.5. Тифлис.

წყარო 6⁷

წარწერა ნახატზე:

— დედიკო,
ფანჯარა გააღე,
ჰაერი არ
მყოფნის და ვერ
ვმეცადინებო.
— მამამ ამიკრძალა,
შვილო.



წყარო 7⁸

წარწერა ნახატზე:

„დედა, კამფეტის ფული მომეცი,
თორემ მამას ვეტყვი, რომ
ქუჩაში იხედებოდი!“

⁷ Журнал «Молла Насреддин». 28 марта 1913 года. № 10, с. 4. Тифлис.

⁸ Журнал «Молла Насреддин». 30 октября 1911. № 38, с.5. Тифлис.

წყარო 8 მემედ-ყული ზადეს ერთ-ერთი პერსონაჟი მუსლიმის ცოლის უფლებების შესახებ

...დანამდვილებით რომ მცოდნოდა, რომ ცოლს ვუყვარვარ, მაშინ სულ სხვა საქმეა, აღარაფრის შიში აღარ მექნებოდა და ნებას დავრთავდი, ვისთანაც უნდა ელაპარაკა. მაგრამ რაკი არ ვუყვარვარ, ოთახიდან ფეხის გადგმის ნებასაც კი ვერ დავრთავ.

...როცა თოთხმეტი წლის ასაკში მისი ნების საწინააღმდეგოდ ცოლად გამომაცოლეს, ორმოცდა ცხრა წლისა ვიყავი, ჩემი ცოლი იმიტომ გახდა, რომ ღარიბი იყო. თვითონაც ვიცოდი, რომ მე კი არ ვეყვარებოდი, არამედ ჩემი ფული. მაგრამ ეს არაფერია, ალაჰმა დალოცოს მუსლიმური სამყარო: ის ხომ ჩემს გარდა ვერავის დაინახავს და, რა თქმა უნდა, ვერ შეიყვარებს!⁹

9. რა დამოკიდებულება აქვთ წყაროების 9 და 10 პერსონაჟებს თავიანთი ცოლებისადმი?
10. რით არიან დაკავებული მამაკაცები წყაროებში 9-10? ქალები?
11. რად მიაჩნია თავისი ცოლი წყარო 10-ის პერსონაჟს?



წყარო 9¹⁰

წარწერები ნახატზე:

ოჯახი სპარსეთში.

ცოლი: ახუნდო,¹¹ მისწერე რა ჩემ ქმარს, ცოტაოდენი ფული გამოგვიგზავნოს ან თავისთან წაგვიყვანოს!“



ქმარი – თბილისში.

გამყიდველი: აი, მეშედი,¹² წერილია შენიანებისგან, ნახე ერთი, რას გწერენ. მეშედი ნარდს თამაშობს.

⁹ Журнал «Молла Насреддин». 11 апреля 1914 года. Тифлис // Цит. по: Мамедкулизаде Дж. Рассказы. Фельетоны. Повести. Пьесы. Б.: Азернешр, 1989. С.207

¹⁰ Журнал «Молла Насреддин». 11 января 1914 года. № 1, с. 5. Тифлис.


¹¹ ახუნდო – სჯულის მცოდნე, მეცნიერი. არსებობდა მუსლიმი მეცნიერების ორი თანრიგი: უმაღლესი – ახუნდები, უდაბლესი – მოლები.

¹² მეშედი – წოდება, რომელსაც იღებდნენ შიიტები (ისლამის ერთ-ერთი შტოს მიმდევრები) შიიტებისთვის წმინდა ირანის ქალაქ მეშჰედში მომლოცველობის შემდეგ. მეშჰედში ბევრი საკულტო ნაგებობაა და ამიტომ ეს ქალაქი ცნობილია, როგორც შიიტების მომლოცველობის ადგილი.

წყარო 10¹³

წარწერა ნახატზე:

- შეხედე, ქებლე გეიდარ, ხედავ იმ ქალს, ყველაზე წინ რომ მიდის?
- ჩემი ცოლია, შაითანის ნაშიერი, დილიდან საღამომდე მუშაობს და არ იღლება!



ბლოკი 3. ქალის მდგომარეობის სიახლეები

12. როგორ აცვია მუსლიმის ცოლს თავის სახლში განჯაში და როგორ – ელისავეტპოლში (წყარო 11)? როგორ ფიქრობთ, რატომ? რატომ არ მიჰყავს ქმარს ცოლი საპასუხო ვიზიტად გუბერნატორთან? ხვდება თუ არა მუსლიმის ცოლი სტუმრებს ისევე, როგორც მისი ქმარი?
13. პარიზში მამაკაცი ცოლის გვერდიგვერდ დადის (წყარო 12). ახსენით, რატომ იქცევა სხვანაირად თავის კარ-მიდამოში?
14. თქვენი აზრით, როგორი სანახავი იქნებოდა პარიზში წყარო 11-ში აღწერილი ცოლ-ქმარი?
15. შეადარეთ ქალების მდგომარეობა წყაროებში 11 და 12 მათ მდგომარეობას წყაროებში 5-8. ახსენით, რა განსხვავებაა მათ შორის და რა არის საერთო.
16. წყაროების 11-13-ის საფუძველზე ჩამოთვალეთ, რა ცვლილებები მოხდა ქალის მდგომარეობაში. რა სოციალურ ფენებს შეეხო ეს ცვლილებები?
17. როგორ ფიქრობთ, საზოგადოებრივი ცხოვრების რა შემდგომ ცვლილებებს შეეძლო ქალისადმი დამოკიდებულების შეცვლა?

¹³ Журнал «Молла Насреддин». 6 июня 1910 года. № 22. С. 8. Тифлис.



წყარო 11¹⁴

წარწერები ნახატზე:

განჯაში. გუბერნატორი და მისი ცოლი სტუმრად მუსლიმთან. ქმარი აპირებს საპასუხო ვიზიტად წასვლას.

ცოლი: მე რატომ არ მიგყავარ, ჩვენთან ხომ ცოლით იყო?...
ქმარი: გაჩუმდი, ქალო, თან რომ წაგიყვანო, შეიძლება მუსლიმებმა დაგეძრახონ.




წყარო 12 მუსლიმი ინტელიგენტი ცოლითურთ.¹⁵

წარწერა მარცხნივ:

თავიანთ
კარმიდამოში
კავკასიაში.

წარწერა მარჯვნივ:

პარიზში.



¹⁴ Журнал «Молла Насреддин». 31 января 1910 года. № 5. С. 5. Тифлис.

¹⁵ Журнал «Молла Насреддин». 25 января 1909 года. № 4. С. 11. Тифлис.

წყარო 13 მემედ-ყული ზადეს მოთხრობიდან „ფატიმა დეიდა“

– როგორ ბედავს ქალი ეზოდან გასვლას? ახლა კი ისეთ ურცხვ მუსლიმსაც ნახავთ, ცოლთან ერთად რომ მიდის სტუმრად ნათესავებთან... ქალი ოთახში უნდა შეაგდო და კარი კლიტით ჩაკეტო... როგორ შეიძლება იმდენად ენდობოდე ქალს, რომ ქუჩაში გამოუშვა?! ქალი ჩაკეტილი უნდა გყავდეს, გასაღები კი ჯიბეში გედოს...¹⁶




18. ყურადღება მიაქციეთ მამაკაცის ტანსაცმელს (წყარო 14) და შეადარეთ მამაკაცების ჩაცმულობას წყარო 12-ში (მარცხენა ფიგურა) და წყარო 10-ში.
19. როგორ ფიქრობთ, რისი ეშინოდათ მუსლიმ ქალებს, ვისი შვილებიც რუსებს თხოულობდნენ (წყარო 14)? და რა ადარდებდათ რუს დედებს?
20. რატომ მიჰყვებოდნენ ცოლად რუსი ქალები განათლებულ მუსლიმებს?
21. თქვენი აზრით, რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა მუსლიმი ქალების მდგომარეობაზე იმას, რომ მათი ქმრების ნაცნობ-მეგობრებში რომელიმეს რუსი ცოლი ჰყავდა?

წყარო 14¹⁷

წარწერები ნახატზე:

მუსლიმ დედებს ეშინიათ, რომ მათი შვილები ცოლად რუსს მოიყვანენ.

რუს დედებს ადარდებთ, რომ განათლებულ მუსლიმზე გათხოვების შემდეგ მათ ქალიშვილებს ჩადრის ტარება უხდებათ.



22. წაიკითხეთ წყარო 15. ჩამოთვალეთ, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან აღმოსავლეთსა და დასავლეთში ქალების შესახებ დაწერილი ტექსტები. რა არის განსხვავების მიზეზი?

¹⁶ Мамедкулизаде Дж. Рассказы. Фельетоны. Повести. Пьесы. Б.: Азернешр, 1989. С.55.

¹⁷ Журнал «Молла Насреддин». 4 августа 1908 года. № 31. С. 8. Тифлис.


წყარო 15 ჯალილ მემედ-ყული ზადე ქალთა ემანსიპაციის შესახებ

...დასავლეთში ქალთა ემანსიპაციაზე წერენ ცნობილი ევროპელი და ამერიკელი ფილოსოფოსები, რომელთა წიგნებიც რამდენიმე ენაზეა ნათარგმნი, ჩვენი ვაი მწერლები კი, რომლებიც აღმოჩენებს აკეთებენ ქალთა საკითხში, მედუქნეები და მქადაგებლები არიან, რომელთა სახელიც წესიერად მათ საკუთარ ქუჩაზეც კი არ იციან... ევროპელი ფილოსოფოსები ქალის საკითხის განხილვისას მრავალი ეროვნების ქალებზე წერდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანზე შეურაცხმყოფელი სიტყვა არ დასცდენიათ, ჩვენი ფილოსოფოსების ნაწლები კი თავიდან ბოლომდე დასავლელი ქალების მიმართ უპატივცემლო, დამამცირებელი გამოხდომებისაგან შედგება... როცა კითხულობ ევროპელ მეცნიერთა თხზულებებს ქალთა საკითხზე, ხედავ, რომ ეს გაიძვერები მსოფლიოს ყველა კუთხის შესახებ გიყვებიან; ხოლო ჩვენი ფილოსოფოსების ნაწერებს რომ კითხულობ, გექმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ბაქოსა და თბილისის ბნელ ქუჩებში მოსიერნე რამდენიმე მთვრალი ქალის გარდა სხვა ქალი არ უნახავთ. და არც უნახავთ!¹⁸

ბლოკი 4. ქალების განათლება

23. მიუთიეთ, წყარო 16-ის ავტორის აზრით, ვინ და რა უხერგავს გზას კულტურასა და მეცნიერებას. ახსენით, რატომ?
24. რა არის კულტურის სიმბოლო წყარო 16-ის ავტორის აზრით? ახსენით, რატომ?

წყარო 16¹⁹



წარწერები ნახატზე: „კულტურა“, „ქალთა სკოლა“ და „მდაბიოები“.

წარწერა: ბავშვებო, წამოდით, თოკზე მოსიარულე ვნახოთ! (ჭოკის ერთი მხარე გზას უხერგავს გოგოებს, მეორე – მდაბიოებს, რათა კულტურას არ ეზიარონ). თოკზე მოსიარულე მოლაა.

¹⁸ Журнал «Молла Насреддин», 13 апреля 1908 года. Тифлис Чит. по: Мамедкулизаде Дж. Рассказы. Фельетоны. Повести. Пьесы. Б.: Азернешр, 1989. С. 194-195.

¹⁹ Журнал «Молла Насреддин». 31 декабря 1911 года. № 47. С. 4. Тифлис



25. თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა გაეგო ქალს გაზეთებისა და წიგნების წაკითხვისას (წყარო 17)?
26. ქალთა მდგომარეობაში მომხდარი რა ცვლილებების დანახვა შეიძლება წყაროებში 16 და 17?
27. რატომ უნდა გამოენვია ამ ცვლილებებს უფრო მეტი ცვლილებები? როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებები იქნებოდა ეს?

წყარო 17²⁰

წარწერა ნახატზე:

როგორ ბედავ ქალებისთვის
გაზეთების მიყიდვას! გაე-
თრიე აქედან!



შემაჯამებელი კითხვა

როგორი იყო ქალის მდგომარეობა აღმოსავლურ საზოგადოებაში XX საუკუნის დამდეგს და რა ცვლილებები ხდებოდა მასში?

²⁰ Журнал «Молла Насреддин». 7 апреля 1911 года. № 13. С. 5. Тифлис.

კულტურათა მრავალფეროვნება მშობლიური მხარის ისტორიაში

- როგორ აისახება წარსულის საყოფაცხოვრებო
ელემენტებში სხვადასხვა ხალხის კულტურა?



1. რა არის მუზეუმი? რომელ მუზეუმებში ყოფილხართ? რით განსხვავდება მუზეუმები ერთმანეთისაგან?
2. რა არის მშობლიური მხარის ისტორია? რა არის მისი შესწავლის საგანი?

◆ საინფორმაციო ცნობა 1

ეთნოგრაფია (ბერძნულიდან *ethnos* ἔθνος – ხალხი და *graphō* γράφω – ვწერ) – ისტორიული მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ხალხებს და მათი ტრადიციული მატერიალური, სულიერი და სოციალური კულტურის თავისებურებებს.

◆ საინფორმაციო ცნობა 2

ბოროგანი (Borogani) – სოფელი, მოლდოვას რესპუბლიკის სამხრეთში, ლეოვას რაიონის კომუნის ადმინისტრაციული ცენტრი. დოკუმენტებში სოფ. ბოროგანი პირველად მოხსენიებულია 1765 წელს. 2004 წლის აღწერის მონაცემებით, სოფ. ბოროგანში 4528 კაცი ცხოვრობდა. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა: მოლდაველები – 98,65%, უკრაინელები – 0,15%, რუსები – 0,44% გაგაუზები – 0,44%, ბულგარელები – 0,13%, სხვა ეროვნებები – 0,18%.

სოფლის კულტურის სახლში გახსნილია ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, სადაც გამოფენილია სოფლის მცხოვრებლების, ადგილობრივი სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შეგროვებული 980 ექსპონატი. ყოველწლიურად მუზეუმში 1600-მდე ექსკურსანტი მოდის. ამავე შენობაში მოწყობილია მოლდავური სახლის ინტერიერი, სადაც ეროვნული საყოფაცხოვრებო საგნების მდიდარი კოლექცია ინახება. სახლის გაფორმება სოფლის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს ასახავს.

ბლოკი 1. მოლდავური ეროვნული ტანსაცმელი



3. იპოვეთ წყაროებში 2-5 მოლდავური ეროვნული ტანსაცმლის ელემენტები, რომლებიც გამოსახულია წყაროში 1.
4. განსაზღვრეთ მოლდავური ეროვნული ტანსაცმლის თავისებურებანი წყაროებიდან 1-5.
5. იპოვეთ მოლდავური ეროვნული ტანსაცმლის აღწერაში (წყაროები 1-5) ელემენტები, რომლებიც თქვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნულ ტანსაცმელსაც აქვს.

წყარო 1 მოლდავური ეროვნული ტანსაცმელი მოლდოვას სხვადასხვა რაიონიდან¹

ა.



ბ.



წყარო 2 სოფ. ბოროგანის მკვიდრის ეფროსინია ბუზილეს მონათხრობი

ჩვენი სოფელი ძალიან ძველია. ამბობენ, დიდი ხანია, ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნიდან არსებობსო. ჩვენთან არის სოფლის მუზეუმი, სადაც მოგროვილია სხვადასხვა ნივთი – ტანსაცმელი, ჭურჭელი, ინსტრუმენტები, ხალიჩები. ძალიან საინტერესო ტანსაცმელი გვაქვს მოლდაველებს.

ქალები ატარებდნენ გამოყოლებულსახელოიან პერანგს, რომელსაც მკერდზე, საყელსა და კალთაზე ნაქარგი ან ყაისნალით ნაქსოვი მაქმანის მდიდრული ორნამენტი ამშვენებდა. პერანგის ზედა ნაწილს ჩვენში „სტანს“ ეძახიან.

პერანგზე იცვამდნენ სწორ შინაქსოვ ქვედატანს, რომელიც დღესასწაულებისთვის განსხვავებული იყო – შედგებოდა ორი განცალკევებული კალთისაგან, რომ პერანგის კალთის ორნამენტი გამოჩენილიყო. თავზე ქალებს მოსხმული ჰქონდათ გრძელი, თხელი ტილოს მანდილი.

მამაკაცები ატარებდნენ წინ სწორად გაჭრილ პერანგს, ბენვის ჟილეტს, ვიწრო თეთრ შარვალსა და ცხვრის ტყავის ქუდს.²

წყარო 3 მოლდავური ტრადიციული ფეხსაცმელი

კაცის ფეხსაცმელს – ქალამანს (მოლდავურად – opincile) ამზადებდნენ ხელით, ღორის ან ხბოს შინ გამოყვანილი ტყავისაგან. ამ სახეობის ფეხსაცმელი მეზობელ ხალხებშიც გვხვდება. ქალამანს ასე ამზადებდნენ: ფეხისგულზე ოდნავ დიდ ტყავის ნაჭერს ხვრეტდნენ კიდეებზე და უყრიდნენ თასმას, რომელსაც იკრავდნენ ფეხის კოჭების ირგვლივ ისე, რომ ფეხსაცმლის ფორმა მიეღო. ჩრდილოეთ მოლდოვაში ქალამნების ნაოჭები ვიწრო ცხვირს, ხოლო ცენტრალურ მოლდოვაში – მრგვალ ცხვირს ქმნიდა. ქალამანს შალის წინდაზე ან

¹ ფოტოს ავტორია ტატიანა ციგანუ.

² ინტერვიუ 1955 წელს დაბადებულ ეფროსინია ბუზილესთან, ჩანერილი ავტორის ე. ოდაჟიუს მიერ სოფ. ბოროგანიში (04.07.2013). ადაპტირებული ტექსტი.

თეთრ ფეხსახვევებზე იცვამდნენ. ქალამანი ღარიბების ფეხსაცმელი იყო. სადღესასწაულოდ შავი ტყავის ჩექმას ან მაღალყელიან ფეხსაცმელს ყიდულობდნენ.³

წყარო 4 მოლდავური ეროვნული ტანსაცმლის თავისებურებანი

მოლდავური ტანსაცმლის განმასხვავებელი ნიშნებია წელში გამოყვანილობა, ქამარი, თეთრი ქსოვილის გამოყენება და პირსახოცისებრი თავსაფარი. გაუთხოვარი ქალების ტანსაცმელი გამორიცხავდა თავსაფრის ტარებას, ხოლო დღესასწაულებზე ატარებდნენ მძივებს, საყურეებსა და ბეჭდებს. აღსანიშნავია, რომ ტანსაცმელში ნებადართული იყო მხოლოდ ორი-სამი ფერის შეხამება, ნაქარგი კი უმრავლეს შემთხვევაში შავი ფერისა იყო.

ცალკე ყურადღების ღირსია ქვედატანი, რომელსაც სუფთა შალისგან ან ბამბის შალგამოდებული ქსოვილისგან კერავდნენ. ქვედატანის ყველაზე პოპულარული მოდელი იყო „catrină“ – თეძოებზე შემოსახვევი და წელზე ქამრით დამაგრებული მთლიანი შეუკერავი ქსოვილი. ამასთან მთავარი იყო, რომ ერთი კალთა მეორეზე ყოფილიყო გადასული. გრილ ამინდში ქალები ატარებდნენ ორნამენტით მდიდრულად განწყობილ ჟილეტებს.⁴

წყარო 5 მოლდავური ტანსაცმლის დეკორი

მოლდავური ტანსაცმლის დეკორის საფუძველია ნატურალური ფერების (თეთრი, ჩალისფერი, ნაცრისფერი, შავი, ყავისფერი, ყვითელი) ჰარმონიული შეხამება. გამოიყენება ქარგვის შემდეგი სახეობანი: ერთი, ორი, სამი ფერის ჩვეულებრივი ჯვრით, ნაცურით დათვლადი ძაფებით (broderie plină ან butuc), გეომეტრიული, როცა ნახატი იყოფა ერთნაირი ზომის ვიწრო ზოლებად, და ნატურალისტური ხასიათისა. ყოველი ქალი ცდილობდა თავისი ტანსაცმელი ორიგინალური და განუმეორებელი ყოფილიყო და ამიტომ სათუთად იცავდა ძველებურ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ორნამენტის გადმოხატვა, გამეორება არ შეიძლება, იგი უნდა გამოიგონო ან „თვალთ მოიპარო“. ამ დაუნერევი კანონის წყალობით, მოლდავურ ხალხურ ხელოვნებაში ვერ შეხვდებით ორ ერთნაირ ეროვნულ ბლუზას, ორ ერთნაირ კოსტიუმს, ორ ერთნაირ ხალიჩას. მოდელების სხვისგან გადმოღება სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომ მიმსგავსების, დამახსოვრების გზით სრულყოფდნენ ძველ ელემენტებს და ქმნიდნენ ახლებს, რაც ხელს უწყობდა ახალი მოტივებისა და მხატვრული კომპოზიციების შექმნას.⁵



6. რომელი ხალხების ტანსაცმლის ელემენტები გამოიყენება მოლდავურ ხალხურ ტანსაცმელში (წყაროები 6, 7,8)?
7. რამ შეუწყო ხელი მოლდავურ ენაში უცხოური სახელწოდებების, ხოლო მოლდავურ ტანსაცმელში სხვა ერების ტანსაცმლის ელემენტების შეღწევას? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

³ „Мы – молдаване“ ელექტრონული რესურსი <http://www.moldovenii.md/ru/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.moldovenii.md/ru/section/201>.

⁴ „Молдавский народный костюм“ ელექტრონული რესურსი <http://womanadvice.ru> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://womanadvice.ru/moldavskiy-narodnyy-kostyum#ixzz3J9FgW4ky>.

⁵ „Мы – молдаване“ ელექტრონული რესურსი <http://www.moldovenii.md/ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.moldovenii.md/ru/section/199>.

◆ საინფორმაციო ცნობა 3

მოლდავური ტანსაცმლის ელემენტების სახელწოდებებში გამოიყენება ბევრი სიტყვა სხვა ერების ენიდან. მაგალითად, სიტყვა „ბოანდე“, რომელიც იხმარება ქალისა და კაცის უსახლებო ბენვის ტანსაცმლის აღსანიშნავად, ბულგარული ენიდანაა შემოსული. ქალის თავსაფრის სახელწოდება „გერმე“ შემოვიდა გაგაუზების ენიდან, მათი ენიდანვე შემოვიდა ზედა ტანსაცმლის სახელწოდება „ბურნუსიც“. კაცის შარვლის ფრანგული დასახელება „გალიფე“ მოლდავურ ენაში გაჩნდა XIX საუკუნის დამლევს რუსული ან გერმანული ენიდან სესხების შედეგად.

წყარო 6 ბენვის ჟილეტი „ბოანდე“
სოფ. ბოროგანის მუზეუმიდან



წყარო 7 ქალის ბლუზა
სახელოებსა და მკერდზე ნაქარგი
უკრაინული ორნამენტით სოფ.
ბოროგანის მუზეუმიდან⁶



წყარო 8 ქალის თავსაფარი „გერმე“ სოფ. ბოროგანის მუზეუმიდან



⁶ სოფ. ბოროგანის კოლექციის №423 და 314 ექსპონატები. ფოტოების ავტორი პ. ჩერბუშკა.

ბლოკი 2. ხალიჩები და მოლდავეური კულტურა



8. რა როლს არსულებს ხალიჩა ტრადიციულ მოლდავეურ სახლში (წყაროები 9-11)? ავტორების აზრით, რა უსვამს ხაზს ხალიჩის ფასეულობას მოლდავეური ოჯახისთვის?

წყარო 9 რუსი პუბლიცისტი და გამომცემელი ი. აქსაკოვი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოლდავეური სახლის შესახებ

რა ღარიბიც არ უნდა იყოს მოლდაველი, მისი სახლი მორთულია ხალიჩებით და ხელით ოსტატურად ნაქსოვი და ნაქარგი სხვადასხვა ქსოვილით.⁷

წყარო 10 რუსულ-უკრაინული წარმომავლობის მწერალი და ეთნოგრაფი ა. აფანასიევ-ჩუჟბინსკი XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოლდაველთა ყოფა-ცხოვრების შესახებ

კედლებთან ჩამწკრივებულ ხის გრძელ სკამებს უცილობლად ხალიჩები აფარია..., ხალიჩები კიდეა კედლებზე, ლოგინის თავზე, რომელზეც გორად აწყვია ბალიშები ნაქარგ ბალიშისპირებში... ღუმლის ყველა შვერილზე პატარ-პატარა ხალიჩებია დაგდებული... აღ-არაფერს ვამბობ (შეძლებული) გლეხის სახლზე, სადაც თვითონ არ ცხოვრობს და მხოლოდ სტუმრებს იღებს. იქ იმდენი ხალიჩებია, რომ სხვა არაფერი ჩანს.⁸

წყარო 11 მოლდაველი გლეხების დამოკიდებულება ხალიჩებისადმი XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს

...ეს ხალიჩები ძალიან ფასობდა ბესარაბიაში.⁹ მინათმფლობელის კეთილდღეობას იმის მიხედვით აფასებდნენ, თუ რამდენი და რა ზომის ხალიჩები ჰქონდა. ასეთი ხალიჩის ყიდვა ძნელი იყო, ვინაიდან გლეხები მათ ინახავდნენ ქალიშვილების გასამზიოვებლად და მხოლოდ გვალვიან ნლებში ყიდდნენ ყველაფერს, რასაც რაიმე ფასი ჰქონდა.¹⁰



9. რა ადასტურებს ხალიჩის, როგორც მოლდავეური ხალხური კულტურის ელემენტის მნიშვნელობას სოფელ ბოროგანში მცხოვრები ქალის მონათხრობში (წყარო 13)?
10. რით გამოირჩევა მოლდავეური ხალიჩა, როგორც ხალხური ხელოვნების საგანი (წყაროები 12-16)? მოლდავეური ხალიჩის შემკულობის რა ელემენტები გხვდებათ თქვენი მხარის საყოფაცხოვრებო ნივთებსა და ხალხური კულტურის საგნებში?
11. როგორ ესადაგება (ადასტურებს, ეწინააღმდეგება თუ ავსებს) ერთმანეთს ბლოკის წყაროები?

⁷ E. A. Postolachi, N. M. Kalaşnikova. Covorul moldovenesc = Молдавский ковёр = Le tapis moldave. Chişinău: Timpul, 1985. C. 40.

⁸ Афанасьев-Чужбинский А.С. Поездка в Южную Россию. Ч.2. Очерки Днестра. СПб.1863, С. 47.

⁹ ბესარაბია – ისტორიული ოლქი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შავ ზღვასა და მდ. დუნაის, პრუტისა და დნესტრის შორის, მოლდოვას სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

¹⁰ მასალები აღებულია E. A. Postolachi, N. M. Kalaşnikova. Covorul moldovenesc = Молдавский ковёр = Le tapis moldave. Chişinău: Timpul, 1985. C. 40. წიგნიდან: E. A. Postolachi, N. M. Kalaşnikova. Covorul moldovenesc = Молдавский ковёр = Le tapis moldave. Chişinău: Timpul, 1985. C. 40.



წყარო 12 მოლდავური ხალიჩების ორნამენტების შესახებ

მოლდავური ხალიჩების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა ორნამენტული მოტივების მრავალფეროვნება. თითოეული მათგანი ასახავს გარე სამყაროს, მის სიმდიდრეს. ყველაზე გავრცელებული ორნამენტული მოტივებია ხეების, ყვავილების, თაიგულების, ხილის გამოსახულება, აგრეთვე გეომეტრიული ორნამენტი – კვადრატები, სამკუთხედები და ა.შ. გარდა ამისა, ხშირად გვხვდება ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებაც.¹¹

წყარო 13 სოფელ ბოროგანის მკვიდრის მარია დიაკონუს მონახრობი

ჩვენ ოჯახში ორნამენტიანი ქსოვა თაობიდან თაობას გადაეცემა. ქსოვა ბებიამ და დედამ მასწავლეს. ყოველ სახლში იყო საქსოვი დაზგა. ვქსოვდით სელის, კანაფისა და შალის ნაკეთობებს. ჩვენ სახლს უმთავრესად ხალიჩები და პირსახოცები ამშვენებდა. ჩვენი ხალიჩებისთვის დამახასიათებელია ორნამენტის მცენარეული მოტივები – ხეების, ბუჩქების, ყვავილიანი ლარნაკების, თაიგულების, ტოტების გამოსახულება...

ნართს მცენარეული საღებავით შინ ვღებავდით. ძირითადად, შვიდი—რვა მშვიდი ფერის შეხამებას ვიყენებდით, იმისდა მიხედვით, თუ რა ორნამენტს ავირჩევდით. ჩვენ ოჯახში ინახება 1906 წელს ბებიჩემის მერ მოქსოვილი ხალიჩა, რომლის ორნამენტიც ემყარება მთავარი ელემენტის – თაიგულის მონაცვლეობას. როცა ქალაქ კომრატის ხალიჩების ფაბრიკაში ვმუშაობდი, გადავწყვიტე მოლდავურ ხალიჩაზე გადმომეტანა ისეთი ელემენტები, როგორიცაა ზოლები და უჯრედები.¹²

წყარო 14 1906 წელს მოქსოვილი მოლდავური ხალიჩა „თაიგული“ სოფ. ბოროგანის მუზეუმიდან. ფრაგმენტი**წყარო 15 ხალიჩა სოფ. ბოროგანის მუზეუმიდან. ფრაგმენტი¹³**

¹¹ Постолаки Е.А. Молдавское народное ткачество XIX – нач. XX вв., Кишинёв, 1987. С. 43.

¹² ინტერვიუ 1957 წელს დაბადებულ მარია დიაკონუსთან, ჩანერილი ე. ოდაჭიუს მიერ სოფ. ბოროგანში (02.07.2013) პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგები“.

¹³ სოფ. ბოროგანის მუზეუმის ექსპონატების ფოტოები პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგები“ გადაღებულია პ. ჩერბუშკას მიერ.

წყარო 16 მოლდავური ხალიჩების ორნამენტის თავისებურებანი

ხალიჩის ორნამენტულ კომპოზიციას განსაზღვრავდა მისი ზომა და დანიშნულება, მოტივების ხასიათი, ფერთა გამა, ცენტრალური ორნამენტი და არშია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხი იყო ხალიჩის მთელ სიგრძეზე მცენარეული ან გეომეტრიული მოტივების მონაცვლეობა. ბევრი ხალიჩის ცენტრალურ ორნამენტზე ერთი-ორი ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად განლაგებული მოტივი მეორდებოდა. ხალიჩის იმ ნაწილებში, რომლებიც ძირითადი ორნამენტით არ იყო შევსებული, შეიძლებოდა ყოფილიყო მცირე ზომის მოტივები – ნიშნები (დამზადების წელი, მფლობელის ან მქსოველის ინიციალები, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვ.). ხალიჩის დეკორატიულ გადანწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არშიას, რომელიც ცენტრალური ორნამენტისაგან განსხვავდებოდა როგორც ფერით, ასევე ორნამენტით. ჩვეულებრივ, მოლდავურ ხალიჩებს ორ, სამ ან ოთხმხრივ არშიას აყოლებდნენ.

ხალიჩის ორნამენტულ მოტივებსა და კომპოზიციებს ოდითგანვე სახელებს არქმევდნენ. XIX საუკუნეში ყველაზე გავრცელებული იყო ხალიჩების ისეთი სახელები, როგორიცაა „ცისარტყელა“, „პურის კვერი“, „კაკლის ფოთოლი“, „ლარნაკი“, „თაიგული“, „ობობა“, „მამლაყინები“. ხალიჩის ქსოვისას მოლდაველი ოსტატი ქალები, ერთი შეხედვით, უკვე ცნობილი კომპოზიციის ან ორნამენტული მოტივი ყოველთვის ახლებურ გადანწყვეტას პოულობდნენ. ამიტომ მათი ყოველი ნახელავი უნიკალური და განუმეორებელია.¹⁴

ბლოკი 3. მოლდავური სახლი და საყოფაცხოვრებო ნივთები

- ▼
12. რომელი ხალხების სახლებს გავს მოლდავური სახლი?
 13. რა არის კასა მარე? როგორ აღწერს წყარო 18 კასა-მარეს მნიშვნელობას მოლდაველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში?
 14. იპოვეთ წყარო 19-ში კასა მარეს ელემენტები, რომლებიც აღწერილია წყარო 1-სა და საინფორმაციო ცნობაში 4.

წყარო 17 ტრადიციული სახლი

მოლდავური სახლი ვითარდებოდა მეზობელი ხალხების – რუსების, უკრაინელების, პოლონელების სახლების პარალელურად, ამიტომ მათთან ბევრი საერთო აქვს. <...> მსგავსება ჩანს მოლდაველებისა და მეზობელი ეთნოსების, განსაკუთრებით, დასავლეთ და სამხერეთ-დასავლეთ ოლქებში მცხოვრები უკრაინელების სახლების დაგეგმარებაშიც. დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე სახლების ასაგებად ოდითგანვე იყენებდნენ ადგილობრივ საშენ მასალას – თიხას, ხეს, ქვას, სახურავისთვის კი – ლელქაშს, ჩალას, ყავარს.¹⁵

¹⁴ Материалы Российского этнографического музея <http://www.ethnomuseum.ru/> ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე- <http://www.ethnomuseum.ru/moldavskoe-tkachestvo-i-kovrodelie>.

¹⁵ Молдавская хата. Особенности строительства. Экологический проект «Толока-инфо» <http://toloka.info/> ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://toloka.info/ecohouse/275-moldavhata.html>.

◆ საინფორმაციო ცნობა 4

კასა მარე (Casa mare – „დიდი სახლი“) – ერთ-ერთი სამი ძირითადი სათავსოდან მოლდაველების საცხოვრებელ სახლში, საძინებელ ოთახთან და წინკართან ერთად. კასა მარე ასრულებდა სასტუმრო ოთახის როლს, სადაც იღებდნენ სტუმრებს, იკრიბებოდა მთელი ოჯახი, იხდიდნენ ქორწილებს. კედლებზე ეკიდა ხატები, ხოლო XIX საუკუნის დამლევიდან – ფოტოებიც.

წყარო 18 სადარბაზო ოთახი მოლდავეთა სახლში

მოლდავეთა სახლის სადარბაზო ოთახი „კასა მარე“ ყოველთვის ისე იყო განწყობილი, თითქოს დიდი დღესასწაულისათვის მოემზადებიათ. აქ ყველაზე მნიშვნელოვან ოჯახურ მოვლენებს აღნიშნავდნენ. ზოგჯერ მას იყენებდნენ, როგორც სამუშაო ადგილს, სადაც ესოდნენ ხალიჩებს, ინახავდნენ ტანსაცმელს ან ინტერიერის მოსაწყობ საგნებს. „კასა მარეში“ შეკრებილი იყო ყველაფერი საუკეთესო, რაც კი სახლში ჰქონდათ: კედლებზე და იატაკზე – შინ მოქსოვილი ხალიჩები და ფარდაები, ტრადიციული მოლდავეთა პირსახოცებით მორთულ საპატიო ადგილას – ხატი, მაგიდაზე და გრძელი ხის სკამების ქვეშ – თიხის ჭურჭელი, ხშირად სასუსნავით (თხილი, კამფეტი, ხილის ჩირი და სხვ.) სავსე. მოხატულ ან მოჩუქურთმებულ ზანდუკზე ალაგებდნენ დედის მიერ საყვარელი ქალიშვილისთვის მომზადებულ მზითვებს. მზითვები შედგებოდა ძირითადად ქალის ხელით ნაკეთი ნივთებისაგან, რომელთაგან მნიშვნელოვან ნაწილს ტექსტილი შეადგენდა.¹⁶

წყარო 19 კასა მარე. სოფ. ბოროგანის მუზეუმი



¹⁶ Материалы Российского этнографического музея. ელექტრონული რესურსი <http://www.ethnomuseum.ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.ethnomuseum.ru/moldavskiy-dom-i-ego-ubranstvo>.

- ▼
15. რას მონიშნავს ის, რომ სოფელ ბოროგანის მუზეუმში გამოფენილია ფქვილის დამზადებანთან დაკავშირებული საგნები (წყაროები 21, 23, 25)? რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ეს ექსპონატები?
 16. რით შეიძლება აიხსნას ფქვილის საფქვავე სხვადასხვა ტიპის საშუალებების გამოყენება (წყაროები 20, 22, 24)?
 17. რა კულტურული გაცვლა ხდებოდა მოლდავურ სოფლებში მეზობლებს შორის? რამდენად გავრცელებული იყო ასეთი გაცვლა? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.



წყარო 20 კიუე (სანაყი)
სოფ. ბოროგანის მუზეუმის
კოლექციიდან

წყარო 21 სოფ. ბოროგანის მკვიდრის
რაია გრიგორიუს მონათხრობიდან¹⁷

ჩვენს სოფელში, ისევე, როგორც საერთოდ სოფლად, ძირითადად, მინათმოქმედებას მისდევდნენ. ყოველი გლეხი თვითონ ამზადებდა შრომის იარაღს თავისი მეურნეობისათვის. სამარცვლე კულტურების დასაფქვავად ოსტატები ხისგან ქრიდნენ ერთ მეტრამდე სიმაღლის სანაყს, რომელსაც კიუე ეწოდება.

გარკვეული დამუშავების შემდეგ შრომის იარაღი იღებდა ცილინდრულ ან ლარნაკისებრ ფორმას. შემდეგ მას გამოთლიდნენ 60 სანტიმეტრამდე სიღრმისა და 40 სანტიმეტრამდე დიამეტრის თასისებრ ფოსოს, სადაც მარცვალს ყრიდნენ. ხელის სანაყის „კიუეს“ სამუშაო ნაწილი იყო მაგარი ჯიშის ხის ფილთაქვა, რომლითაც მარცვალს ნაყავდნენ და ბზესა და ფხას ერთმანეთისგან ყოფდნენ. ეს ხელის საფქვავეები თითქმის ყველა სახლში ჰქონდათ, მაგრამ სახმარად ძნელი იყო.

¹⁷ ინტერვიუ 1954 წელს დაბადებულ რაია გრიგორიუსთან, ჩანერილი ე. ოდაჭიუს მიერ სოფ. ბოროგანში (12.07.2013) პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგები“.

წყარო 22 ხელის საფქვავე
– „რიშნიცა“ სოფ. ბოროგანის
მუზეუმის კოლექციიდან



წყარო 23 სოფ. ბოროგანის მკვიდრის
ვასილი კარპის მონათხრობიდან¹⁸

უფრო შეძლებულ გლეხებს ჰქონდათ ხელის საფქვავე – „რიშნიცა“, რომელიც შედგებოდა ფეხიანი ხის დაზგისა და ერთმანეთზე დადებული ორი წრისებრი ქვისაგან. შუაში იყო ნახვრეტი, სადაც მარცვალს ყრიდნენ. დაზგის კიდეზე განლაგებული სახელურის მეშვეობით ქვებს ატრიალებდნენ ღერძის ირგვლივ და ასე ფქვავდნენ მარცვალს ფქვილის ან ბურღულის მისაღებად.

დაფქული ფქვილის ან ბურღულის გადმოსაყრელად დგამდნენ სპეციალურ მოწყობილობას – ხის ღარს. XIX საუკუნის შუა წლებში სოფელში ააშენეს ქარის ნისქეილი, სადაც გლეხებს მარცვალი დასაფქვავად მიჰქონდათ.

წყარო 24 სოფ. ბოროგანის მკვიდრის
იონა სანდუს მონათხრობიდან¹⁹

XX საუკუნის დამდეგს სოფელ ბოროგანის მცხოვრებლებმა დაიწყეს შრომის ზოგიერთი იარაღის შეძენა ბულგარელები-საგან, რომლებიც 9 კილომეტრის მოშორებით მდებარე დაბა იარგარის მოსახლეობის 15 პროცენტს შეადგენდნენ. ლითონის ხელის საფქვავე უფრო პრაქტიკული იყო, მას შედარებით ნაკლები რაოდენობის მარცვლის დასაფქვავად ხმარობდნენ.

წყარო 25 ლითონის ხელის საფქვავე
(ბულგარული) სოფ. ბოროგანის
მუზეუმის კოლექციიდან²⁰



შემაჯამებელი განხილვა

როგორ აისახება წარსულის ყოფა-ცხოვრების ელემენტებში სხვადასხვა ხალხის კულტურა?

¹⁸ ინტერვიუ 1952 წელს დაბადებულ ვასილი კარპთან, ჩანერილი ე. ოდაჟიუს მიერ სოფ. ბოროგანიში (22.07.2013) პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგები“.

¹⁹ ინტერვიუ 1950 წელს დაბადებულ იონა სანდუსთან, ჩანერილი ე. ოდაჟიუს მიერ სოფ. ბოროგანიში (02.07.2013) პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგები“.

²⁰ 21-ე, 22-ე, 25-ე ფოტოები პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგი“ გადაღებულია პ. ჩერბუშკას მიერ.

ლიპოვანები წარსულსა და მომავალს შორის

- ▶ ვინ არიან ლიპოვანები, რამდენად ინარჩუნებენ ისინი თავიანთ კულტურას და რატომ?



1. როგორ ფიქრობთ, რა სცენა არის ასახული ვ. ი. სურიკოვის ნახატზე „თავადის ქალი მოროზოვა“?
2. თქვენი აზრით, სად მიემგზავრება ქალი, საკუთარი ნებით აკეთებს ამას თუ არა?
3. რას შეიძლება აღნიშნავდეს მარხილზე მჯდომი ქალის მარჯვენა ხელის ჟესტი?
4. რა დამოკიდებულება აქვთ ამ ქალის მიმართ გარშემომყოფებს?
5. საკმარის ინფორმაციას განვდით თუ არა ნახატი, რათა დასმულ კითხვებს უპასუხოთ?

წყარო 1 ვ. ი. სურიკოვის ნახატი „თავადის ქალი მოროზოვა“¹



6. ისტორიული ცნობის წაკითხვის შემდეგ უფრო გასაგები გახდა თუ არა თქვენთვის ნახატზე ასახული მოვლენების არსი? რას დაუმატებთ დასმულ კითხვებზე მანამდე გაცემულ პასუხებს?
7. ვინ არიან ლიპოვანები? როდის და რატომ აღმოჩნდნენ ისინი თანამედროვე მოლდოვას, რუმინეთისა და სამხრეთ-დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე?

¹ ელექტრონული რესურსი. название. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c4/Vasily_Surikov_-_Google_Art_Project.jpg.

◆ ისტორიული ცნობა

XVII საუკუნის შუა წლებში მოსკოვის სამეფოში საეკლესიო რეფორმა ჩატარდა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ნიკონმა ღვთისმსახურებისა და საეკლესიო წიგნების ერთგვაროვნების შესანარჩუნებლად ახალი წესები შემოიღო. ორი თითოთ პირჯვარის გადანერის ნაცვლად დაწესდა სამი თითოთ გადანერა, ლიტანიის დროს ეკლესიისთვის უნდა შემოეცლოთ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, საეკლესიო წიგნებში შეიცვალა ზოგიერთი სიტყვის დამწერლობა. რეფორმას წინააღმდეგობა გაუწიეს ძველი წესების მიმდევრებმა. ამ მოვლენას ეწოდა „საეკლესიო განხეთქილება“. ადამიანებს, რომლებმაც ახალი წესების მიღებაზე უარი თქვეს და ოფიციალურ ეკლესიას განუდგნენ, დაერქვათ „სტაროვერები“. ხელისუფლებამ, რომელიც მხარს უჭერდა საეკლესიო რეფორმას, ამ ხალხის დევნა დაიწყო. განხეთქილებამ მოსახლეობის ფართო ფენები მოიცვა, მათ შორის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებიც იყვნენ. კერძოდ, თავადის ქალი ფეოდოსია პროკოფის ასული მოროზოვა სტაროვერების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული წინამძღოლი გახდა, რის გამოც ის დააპატიმრეს და ციხეში გარდაიცვალა კიდევ.

სტაროვერები თავს იცავდნენ და ქვეყნის განაპირა რეგიონებსა და მის ფარგლებს გარეთ სახლდებოდნენ. XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში, ნიკონის რეფორმის შემდეგ, ისინი მდინარეების პრუტის, დნესტრისა და დუნაის შორის დასახლდნენ. ბესარაბიის სტაროვერებს დაერქვათ „ლიპოვანები“. მათი უმრავლესობა რუსეთის იმპერიის სამხრეთისა და ცენტრალური გუბერნიებიდან იყო. დასახლებების ისტორია იწყება 1720-იანი წლებიდან. დღესდღეობით ლიპოვანების უმეტესობა ცხოვრობს რუმინეთში, მოლდოვაში (სოფლებში კუნიჩა, პოკროვკა, ახალი გრუბნა და სხვ.), უკრაინის ოდესის ოლქში (ძირითადად, ქალაქ ვილკოვოში და მის შემოგარენში), ასევე ნაწილობრივ ბულგარეთში.

ასწლეულების მანძილზე ლიპოვანების ცხოვრება სულიერი და კულტურული თვალსაზრისით საკმაოდ ჩაკეტილი იყო, მაგრამ ეკონომიკურად – გახსნილი. მიუხედავად ომების, საზღვრების ცვლილების, ანტირელიგიური აგრესიის, მეზობლების მხრიდან ენობრივი და კულტურული ექსპანსიისა, მათი სამყარო თითქმის არ შეცვლილა. ის დღესაც ცოცხლობს და თაობების ცვლის, ტექნიკური სიახლეებისა და გლობალიზაციის პროცესების წნეხის მიუხედავად ალორძინებასაც კი განიცდის.

ბლოკი 1. ლიპოვანების მეურნეობა

8. საიდან გადასახლდნენ სტაროვერები ბესარაბიის ტერიტორიაზე (იხ. ისტორიული ცნობა)? ივარაუდეთ, რა საქმიანობას ეწეოდნენ ლიპოვანები ისტორიულ სამშობლოში?
9. როგორ შეიცვალა ა მათი საქმიანობა ახალ საცხოვრებელ ადგილას (წყარო 1ა)? თ, რამდენად შეცვალა ახალმა გარემომ მათი საქმიანობის ხასიათი?
10. შეადარეთ ერთმანეთს XIX საუკუნის (წყარო 1ა) და დღევანდელი (წყაროები 2 და 3) ლიპოვანების მეურნეობა. ავტორების აზრით, რა არის ლიპოვანების ეკონომიკური წარმატების მიზეზი?

წყარო 1ა მკვლევრები ლიპოვანების მეურნეობის შესახებ XIX საუკუნეში

ჯერ კიდევ 1815 წელს სამთავრობო მოხელეების მიერ კუნიჩაში ჩატარებული რევიზიის შედეგებიდან ჩანს, რომ აქ იყო ნათესების მნიშვნელოვანი ფართობი „მრეწველობისთვის“,² ასევე უამრავი საქონელი. 1890 წელს კუნიჩაში ჩასული ეკლესიის ცნობილი ისტორიკოსი ს. დ. მარგარიტოვი აღნიშნავდა, რომ „კუნიჩას სტაროვერები საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობენ. თითოეულ სულზე მოდის მიწის 4 დესეტინა,³ ცოტ-ცოტა ვაჭრობითაც არიან დაკავებული“. სტაროვერების უნარი, მიწათმოქმედება და მეზღვრობა წარმატებით შეერწყათ ხელოსნობისთვის და ვაჭრობისთვის, არაერთხელ აღუნიშნავთ გასული საუკუნის მოგზაურებს და ეს დღესაც გრძელდება. კუნიჩა დღესაც მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებლებისთვის მდიდარი მოვაჭრე სოფლის სახელს ინარჩუნებს.⁴

წყარო 2 ნაწყვეტი თანამედროვე გაზეთის სტატიიდან

კუნიჩას „ოქროსას“ რამდენიმე მიზეზით უწოდებენ. პირველი – ადამიანების გამო, რომლებიც მშრომელები არიან და ოქროს ხელები აქვთ. კუნიჩელები ოდითგან კარგი მეზღვრეები და მეზღვრეები იყვნენ, მოჰყავდათ მარცვლეული, კენკრა, დღვებდნენ კარაქს, ვაჭრობდნენ მშვენიერი მურაბებით, ჩირით, წნავდნენ ცოცხებს, წერდნენ ხატებს ძველი კანონებით. და რაც მთავარია, გულმხურვალედ ლოცულობდნენ და თაყვანს სცემდნენ „ძველ მართლმადიდებლობას“.⁵

წყარო 3 სოფელ პოკროვკის „ეკონომიკური სასწაული“

რაში მდგომარეობს და როგორ აიხსნება პოკროვკის ეკონომიკური სასწაული? ადგილობრივების თქმით, შემოსავლის უპირველესი წყარო მეზღვრობა, ვაშლის ბაღებია. ერთ ჰექტარზე შესაძლებელია 20 ტონამდე მოსავლის მიღება. სოფელში მიაჩნიათ, რომ მომავალში საკონსერვო ქარხანა უნდა აშენდეს. სოფლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჟოლოს, ქლიავსა და ბალჩეულ კულტურებს. აქაურების შეფასებით, 2008 წლის ზაფხულში სოფელელებმა 500 ტონაზე მეტი ჟოლო მიჰყიდეს გადამამუშავებლებს, რომლებიც კენკრის შესაძენად პირდაპირ სოფელში ჩადიან. ერთ ოჯახს სეზონზე ნახევარიდან ტონა-ნახევრამდე ჟოლოს შეგროვება შეუძლია. დღეისთვის მსხვილი მეზღვრეებისთვის გასაღების ძირითადი ბაზარი რუსეთია. პოკროვკის ეკონომიკური წარმატების მთავარ მიზეზად მიიჩნევენ იმას, რომ სტაროვერებს დღე-ღამეში ოცი საათი მუშაობა შეუძლიათ, ყველა საკითხისადმი სერიოზული დამოკიდებულება აქვთ. მძიმე ფიზიკური სამუშაოსგან მხოლოდ იანვარში არიან თავისუფლები. ბალს მუდმივი მოვლა სჭირდება. ადამიანები იმაზე მეტს მუშაობენ, ვიდრე საბჭოთა პერიოდში და თითქმის არ ისვენებენ. მათი მიზანია არა დაგროვება და გამდიდრება, არამედ ბავშვებისთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა. „ჩვენი ხალხი ძალიან შრომისმოყვარეა. მინაზე მუშაობას ყველგან გაურბიან, ჩვენთან კი ექვსი „სოტკა“⁶ ყველას ეცოტავება. ერთმა ჰექტარი იყიდა, მეორემ – ორი, მესამემ კი – სულაც ათი. დღეს უქვე ოცდაათ ჰექტარამდე მიწას უვლიან, მეზობელი სოფლისგანაც კი იღებენ მიწებს“.⁷

² ისეთი ნათესები, რომელიც სამრეწველო გადამამუშავებისთვის ნედლეულს იძლევა, მაგ., მზესუმზირა და სხვ.

³ 1 დესეტინა – ფართობის ერთეული, დაახლოებით 1 ჰექტრის ტოლი.

⁴ Смилянская Е.Б., Денисов Н.Г. Старообрядчество Бессарабии: книжность и певческая культура. М.: Индрик, 2007. ციტატა, ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.starover.religare.ru/article7829.html>.

⁵ А. Романов «Старообрядцы – ветвь православия, прошедшая закалку огнём и мечом». ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://press.try.md/item.php?id=64488>.

⁶ „სოტკა“ – ფართობის ერთეული, ტოლია 0, 01 ჰექტრის.

⁷ «Традиционная культура» – № 1(3), 2009.

ბლოკი 2. ლიპოვანების ყოფა



11. როგორ იცვლებოდა ლიპოვანების სახლები (წყარო 4)?
12. რა ეტაპების გამოყოფა შეიძლება ლიპოვანების საცხოვრებლის ცვლილებაში (წყარო 4)? რა მიზეზები განაპირობებს ცვლილებებს ყოველ ეტაპზე?

წყარო 4 სტაროვერების საცხოვრებლის მშენებლობის შესახებ

სოფელ კუნიჩაში 200 წლის წინ მუხის ძელებისგან ძეღურ სახლებს აშენებდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში სამშენებლო მასალა შემოაკლდათ. სხვა გეოგრაფიულ გარემოში მოხვედრილები იძულებული გახდნენ, უფრო ხელმისაწვდომი მასალა გამოეყენებინათ. იმის გამო, რომ ახალი მასალისგან მშენებლობის ტექნიკა მათთვის უცნობი იყო, სტაროვერებმა ის მეზობელი მოსახლეობისგან გადაიღეს.

სტაროვერების თითქმის ყველა სოფელში ხის სახლებიდან მშენებლობის კარკასულ კონსტრუქციებზე გადავიდნენ. ამ სახლების კარკასს ქმნიდა განივი ლარტყებით შეკრული ვერტიკალური ბოძები, ლარტყებს შორის კი წნავდნენ ლელქაშს, ლერწსა და ფიჩხს. ამის შემდეგ კონსტრუქციას ჩალიანი თიხით შელესავდნენ. კარკასული ტექნოლოგია შეცვალა ჩალანარევი თიხით ნაგებმა (ხალხი მას ჩამურულს ეძახდა⁸), შემდეგ კი ალიზურმა⁹ ნაგებობებმა. მშენებლობის ასეთი ტექნოლოგია გავრცელებული იყო მეზობელ მოსახლეობაში: მოლდოველებში, უკრაინელებში, ბულგარელებში და ა. შ.

დღეს სტაროვერების სახლები თანემედროვე ქალაქური ტიპის სახლებისგან არაფრით განსხვავდება. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ქალაქურ, ევროპულ კულტურაზე გადასვლას აჩქარებს, არის შრომითი მიგრაცია. სტაროვერების სოფლებიდან ახალგაზრდები საშოვარზე ევროპის ქვეყნებში მიემგზავრებიან, დაბრუნების შემდეგ კი სახლს ევროპულ ყაიდაზე აშენებენ. მეტიც, ახალგაზრდებს სცხვენიათ თავიანთი მშობლების, რომლებიც ხშირად ტრადიციულ საცხოვრებელს ამჯობინებენ.¹⁰



13. რას მოგვითხრობს წყაროები 5-7? როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში ლიპოვანების აბანოები?
14. როგორ გრძელდება დღეს ლიპოვანების აბანოების ტრადიცია (წყარო 5-7)?
15. რა საერთო და განსხვავებული პროცესები მიმდინარეობდა ლიპოვანების აბანოებისა და საცხოვრებლების მშენებლობის კულტურაში (წყაროები 4 და 8)?
16. რა როლს თამაშობს ლიპოვანების კულტურის შენარჩუნებაში ტრადიციული ყოფა?

⁸ ჩამური – ჩალანარევი თიხა.

⁹ სამანი – გამოუმწვარი აგური ჩალა ნარევი თიხისგან.

¹⁰ По материалам: Душакова Н. Традиционное старообрядческое жилище Пруто-днестровского междуречья и левобережного Поднестровья (XIX–нач. XXI в.). – Кишинев, 2012. С. 78-85. ადაპტირებული ტექსტი.

წყარო 5 სტაროვერების აბანოების ტრადიცია

სტაროვერებით დასახლებული სოფლების უმეტესობაში დღემდე ორთქლის აბანოებში (ე. წ. შავად) ბანაობენ.¹¹ უხუცესები ამბობენ, რომ ასეთ აბანოში ძალიან ცხელა და ის ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან იქ „ყველა მიკრობი იწვება“. ადრე აბანო ტილების მოცილებაში ეხმარებოდათ, მკურნალობდნენ რევმატიზმს, გაციებას. მაგრამ ახალგაზრდები ქალაქურ კულტურას ამჯობინებენ: ორთქლის აბანოებს თანამედროვე საშუალებად აკეთებენ, თუმცა ამ შემთხვევაში უფროსი თაობის წინააღმდეგობას აწყდებიან. და მაინც, ორთქლის აბანოებში ბანაობა სტაროვერების კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი ტრადიციაა.¹²

წყარო 6 თვითმხილველის ჩანაწერებიდან, 2010 წ.

კუნიჩაში შემოგვთავაზეს ტრადიციული აბანოს, ე. წ. „კოპანკების“, მშენებლობის პროცესი ეჩვენებინათ. თავიდან თხრიან ადამიანის სიმაღლის კვადრატულ საძირკველს, რომელსაც ქვებით ავსებენ და ზედ ცეცხლს ანთებენ, რომელიც არანაკლებ ერთი დღე-ღამის განმავლობაში ანთია. ცეცხლი რომ ჩაქვრება, ქვებს ახალმოცევილ ბალახს აყრიან, ყველაფერს ბრეზენტს აფარებენ. აქ რამდენიმე დღის განმავლობაში შეიძლება ორთქლის აბანოს მიღება. დღეს ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ცოტას თუ შეუძლია ასეთი აბანოს მოწყობა. ორთქლის აბანოს მისაღებად სემიონ ვასილის ძე პრიდაროჟნისთან მივედით. რა თქმა უნდა, შავად. ეს „შავი“ აბანო ჩვენთვის ცნობილი „თეთრი“ აბანოსგან იმით განსხვავდება, რომ თბება შიგნიდანაც და დამატებითი ორთქლითაც.¹³

წყარო 7 აბანო „კოპანკას“ მშენებლობა¹⁴



¹¹ შავი აბანო (баня по-черному, курная баня) – აბანო, რომელიც საკვამურის გარეშე ცხელდება, კვამლი გარეთ არ გადის და ნაგებობაში რჩება.

¹² Душакова Н. Традиционное старообрядческое жилище Пруто-днестровского междуречья и левобережного Поднестровья (XIX–нач. XXI в.). – Кишинев, 2012. С. 75.

¹³ Денис Топал. Кунича зимой. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://denistopal.livejournal.com/4373.html>.

¹⁴ დენის ტოპალას ფოტო. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://denistopal.livejournal.com/4373.html>.

წყარო 8 ნაწყვეტი კვლევის მასალებიდან

რა თქმა უნდა, ყველაზე მორწმუნე და კონსერვატორი სტაროვერები ყოველგვარი სი-ახლის დამკვიდრებას ეწინააღმდეგებიან, იქნება ეს პლასტმასის ფანჯრები, ტელევიზორი თუ კომპიუტერი. თუმცა ამ აკრძალვებს მკაცრად ისინიც კი აღარ იცავენ. უკვე ვახსენეთ ტელევიზორის აკრძალვა (სტაროვერები მას „ეშმაკისეულად“ მიიჩნევენ და „ეშმაკის ფანჯარას“ უწოდებენ), რომელიც სტაროვერების ყოფაში თანდათან უკვე მკვიდრდება.

შეხედულებების ასეთი ტრანსფორმაცია საჭირო ხდება, რომ თანამედროვე ცვლილებებს მოერგონ. სტაროვერები ყოველდღიურ ცხოვრებაში სიახლეებს იყენებენ. ამიტომ მათ ტრადიციულად გაფორმებულ სახლებში ხშირად ყველაზე თანამედროვე ტექნიკა დგას ხოლმე.¹⁵

ბლოკი 3. ლიპოვანების გარეგნობა

17. როგორ შეიცვალა ლიპოვანების გარეგნობა ბესარაბიაში დასახლების შემდეგ?
18. განსაზღვრეთ, რუსული ნაციონალური ჩაცმულობის რომელ ელემენტებს ინარჩუნებდნენ ლიპოვანები XX საუკუნის შუა წლებამდე (წყაროები 9-10)? როგორ ფიქრობთ, რატომ შემორჩა ეს არქაული ელემენტები?
19. შეისწავლეთ ფოტო (წყაროები 11-12). რა შენარჩუნდა და რა შეიცვალა ტრადიციულ ჩაცმულობაში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე?

წყარო 9 ლიპოვანების ტრადიციული ჩაცმულობის შესახებ

ვულკოველი¹⁶ ლიპოვანების ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ბევრი რუსული ტარდიციის კვალი ეტყობა: კოსოვოროტკა, არმიაკი მამაკაცებისთვის, ქალებისთვის კი – სარაფანი. ძველი ფოტოები მოწმობს, რომ ლიპოვანების უმრავლესობას აქ დასახლებისას ქალამნები ეცვა, მაგრამ ახლა ქალამანი აღარ აქვთ. ამ ადგილებში გავრცელებული იყო „პაპური-ანკები“ – ჭილის გრძელი ფოთლებისგან დაწნული ფეხსაცმელი, რომელიც რუსულ ქალამანს ძალიან წააგავდა, ამიტომ სტაროვერებს ის თავიდანვე მოეწონათ. ამავე მასალისგან ამზადებდნენ სახლის ფეხსაცმელს გასაყიდადაც. რუსებს ასევე მოეწონათ ცხვრის ტყაპუჭები – „კეპტარები“. ბავშვები, ქალები და მოხუცები სიამოვნებით ატარებდნენ ყველანაირ ჩუნებს. მოლდოველებმა და უკრაინელებმა რუსებისგან ჭრელ-ჭრელი თექისგან დამზადებული და ნაქსოვი ფეხსაცმელი გადაიღეს.¹⁷

¹⁵ Душакова Н. Традиционное старообрядческое жилище Пруто-днестровского междуречья и левобережного Поднестровья (XIX – нач. XXI в.). – Кишинев, 2012. С. 141.

¹⁶ ვილკოვო – ქალაქი ოდესის ოლქში, უკრაინა.

¹⁷ Агафонова Т.А. Традиционная одежда липован Подунавья. – ელექტრონული რესურსი <http://starover.kiev.ua>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://starover.kiev.ua/history.php?article=5>.

წყარო 10 მამა ვასილი კოროლიოვის მოხსენებიდან არქივისკოპოს ირინარხისადმი
ბესარაბიაში სამუშაო მოგზაურობის შესახებ, 1944 წ.

ბელაი კრინიცას შემდეგ ვენზე სტაროვერების მრევლს სოფელ პოკროვკაში დნესტრზე... პოკროვკა მხოლოდ სტაროვერებითაა დასახლებული. დგას 153 სახლი, აქვთ ეკლესია, მღვდელი მამა გრიგორი პეტრეს ძე კოლიხანინია, 55 წლის ადგილობრივი მკვიდრი. მთელი დასახლება რუსეთიდან გამოსულები არიან, რომლებიც ძველ დროში რელიგიური შეხედულებების გამო დევნას გამოექცნენ. ყველა სტაროვერულ წეს-ჩვეულებას ინარჩუნებს.

ყველა მამაკაცს გაქონილი მოკლე ხიფთანები აცვია, თმა შეკრეჭილი აქვს და ფეხშიშველი დადის. ქალებს განსაკუთრებული ქამარშემოვლებული ტანსაცმელი აქვთ ეკლესიაში სასიარულოდ და ისინიც ფეხშიშველები არიან. შესაძლებელია, ეს მხოლოდ ზაფხულში ხდება.¹⁸



წყარო 11 სამლოცველო სახლის
ქალები, ქ. ედინცი, 1989 წელი¹⁹

წყარო 12 კუნჩილები
ღვთისმსახურების
შემდეგ, 2009 წელი²⁰



¹⁸ Цит. за: Крестный ход в землях Бессарабии. Старообрядческое село Покровка (РПСЦ). – Самарское староверие. ელექტრონული რესურსი <http://samstar.ucoz.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://samstar.ucoz.ru/publ/49-1-0-362>.

¹⁹ ფოტო წიგნიდან Смилянкой Е.Б., Денисова Н.Г. «Старообрядчество Бессарабии: книжность и певческая культура».

²⁰ დენის ტოპალას ფოტო. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://denistopal.livejournal.com/4229.html>.

ბლოკი 4. ჩაკეტილი სამყარო?



20. რისი წყალობით შეინარჩუნეს ლიპოვანებმა თავიანთი ტრადიციული კულტურა (წყაროები 13-14)?
21. რა ნიშნები ახასიათებს ლიპოვანების ცხოვრებას დღეს (ისტორიული ცნობა, წყაროები, 8, 13, 15, 16)?
22. რა დამოკიდებულება აქვთ ახალგაზრდებს ტრადიციებისა და რიტუალებისადმი?
23. რა მიზეზით „ქრება ტრადიციული თავისებურებები“ ჩვენს დროში (წყაროები 4 და 14)?
24. რით არის ფასეული ლიპოვანების ტრადიციული კულტურა? როგორ შეიძლება იმოქმედოს თანამედროვე ღია საზოგადოებამ სტაროვერების კულტურაზე?

წყარო 13 ისტორიკოსის შეხედულება

საქმე ის არის, რომ დღევანდლამდე ლიპოვანები ძალიან უფროთხოდნენ სხვა სარწმუნოებისა და ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობას და ჩაკეტილ ერთობად ცხოვრობდნენ. XX საუკუნის 50-60-იან წლებამდე მათ „უცხოთვის“ შეიძლება ჰქონოდა წყაღე, კი არ მიენოდებინათ, ხოლო თუ მიაწვდიდნენ, შემდეგ ჰქონდათ მაშინვე აგდებდნენ. ქორწინება „არასტაროვერული“ სოფლების წარმომადგენლებთან არასასურველი იყო. რა თქმა უნდა, დღეს ბევრი რამ შეიცვალა: ეროვნებათშორისი და კონფესიათშორისი ქორწინებები ჩვეულებრივი გახდა, ბევრი ახალგაზრდა საცხოვრებლად ქალაქში გადადის, საზღვრისპირა სოფლებს ტურისტები ავსებენ...

გამოეთხოვნენ რა დროს, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, სტაროვერები ახალ სამყაროში ცხოვრებას უნდა მორგებოდნენ. ისინი ყოველთვის ძნელად უახლოვდებოდნენ „უცხოებს“, ცხოვრების ჩაკეტილმა წესმა კი, რომელსაც რელიგიური შეხედულებები განაპირობებდა, მათ განდგომილ ცხოვრებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

როდესაც სტაროვერები განსხვავებულ ეთნიკურ გარემოცვაში მოხვდებოდნენ ხოლმე, თავდაცვის ინსტინქტი მოქმედებდა: გადარჩენისთვის საჭირო იყო, არ დაეკარგათ საკუთარი რწმენა და ენა, ყველაფერი დანარჩენი კი უცხო და მავნებელი იყო. დღეს ახალგაზრდაც და მოხუცი ლიპოვანიც ერთნაირად ლაპარაკობს საკუთარი ხალხის გამორჩეულობასა და უნიკალურობაზე: „ლიპოვანები სუფთა რუსები არიან“, „ლიპოვანები ღვთიური ხალხია და სხვას არ ჰგავს“. მითოლოგიური ცნობიერების ასეთი კატეგორიები, როგორებიცაა „სუფთა ხალხი“, „სუფთა რწმენა“, ერთ-ერთი მექანიზმი იყო კიდევ, რომელიც მათ ერთობას განაპირობებდა. თორემ ამ სოფლებისა და პატარა ქალაქების მცხოვრებლები ამა თუ იმ ეკლესიასა და კონფესიას შორის განსხვავებასაც კი ვერ აგისწიან.²¹

წყარო 14 მკვლევრის მოსაზრება

სწორი არ იქნება, თუ სტაროვერების კულტურის ზოგიერთი ტრადიციული მახასიათებლის შენარჩუნებას მხოლოდ კონფესიურ ფაქტორს მივანერთ. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმან, თუ რა პირობებში ჩამოყალიბდა სტაროვერების ერთობები: დევნისა და შევიწროების ფონზე ერთობის შიგნით კავშირები კიდევ უფრო მყარდება,

²¹ Андреева Ю. Хроники одного путешествия, или в гостях у липован. ელექტრონული რესურსი <http://starover.kiev.ua>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://starover.kiev.ua/history.php?article=4>.

მძაფრდება „საკუთარის“ და „სხვისის“ აღქმა და ურთიერთდაპირისპირება. ამიტომ ყველაფერი „საკუთარის“, მათ შორის, ტრადიციული კულტურის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ახლა, როდესაც სტაროვერების მიმართ დამოკიდებულება შეცვლილია და ისინი აღარ გრძნობენ თავს დევნილებად, სტაროვერების ზოგიერთ ერთობაში ტრადიციული მახასიათებლები თანდათან ქრება.²²

წყარო 15 ნაწყვეტი ინტერვიუდან ათანასე ივანეს ძე შჩერბაკოვთან, სოფელ პოკროვკის საეკლესიო საბჭოს წევრთან

ასეა დაწესებული. ჩემს ძმას კიშინიოვის სატელევიზიო ცენტრში ელექტრიკოსად უნდოდა მოწყობა. მაგრამ არ გაუშვი. ის კი არა და, პასპორტიც წავართვი, რომ არ წასულიყო. მეორე ძმასაც, არმიაში სამსახურის შემდეგ, წასვლა მოუნდა. დედა ტიროდა, მამა ტიროდა, მე კი, როგორც უფროსი, ვცდილობდი, გადამეთქმევინებინა: „როგორ უნდა იცხოვრო სადღაც? დედა რომ მოკვდეს, გამომშვიდობებასაც ვერ შეძლებ“.²³

წყარო 16 ჟურნალის სტატიიდან

ლიპოვანებმა გაუძლეს ცივილიზაციის „ავადმყოფობებს“, რწმენა შეინარჩუნეს. ახლა ვილკოვოში ორი სტაროვერული ტაძარი მოქმედებს. ღვთისმსახურება და წესები ზუსტად ისეთივეა, როგორ ჩვენი – „შჩეპოტნიკების“;²⁴ ყველაფერი – დღესასწაულები, ლოცვები, ხატები, მხოლოდ პირჯვარს იწერენ ორი თითით. ადგილობრივმა მოძღვარმა მითხრა: „ჩვენთვის ეს „წვრილმანი“ არ არის, ეს პრინციპია! ჩვენი უფლებისთვის, რომ პირჯვარი ორი თითით გვეწერა, სიკვდილზე მივდიოდით, ცეცხლში ვიწვოდით“. ყველაზე აქტიურ მრევლს მოხუცები შეადგენენ, ახალგაზრდები კი ეკლესიაში მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე დადიან. ახალი დროება თავისას შერება. ყმანვილებს წვერის მოშვება არ უნდათ, გოგონებს კი – გრძელი კაბის ჩაცმა. როგორც საყვედურით თქვა ადგილობრივმა კოლორიტმა – კომარ ბაბუამ, იმასაც კი ბედავენ, რომ მშობლების დალოცვის გარეშე „შჩეპოტნიკებს მიჰყვებიან ცოლად“.²⁵

შემაჯამებელი განხილვა

რამდენად და რატომ არის შენარჩუნებული ლიპოვანების რწმენა და კულტურა დღეს და რა მომავალი აქვს მათ?

²² Душак ова Н. Традиционное старообрядческое жилище Пруто-Днестровского междуречья и левобережного Поднестровья (XIX–нач. XXI в.). – Кишинев, 2012. С. 32-33.

²³ Расков Д. Экономическое чудос.Покровка: к вопросу об адаптации кринку старообрядцев Бессарабии // Традиционная культура. 2009. № 1. С. 111-119

²⁴ შჩეპოტნიკი – სტაროვერებისთვის მართლმადიდებლების სალანძღავის სიტყვა, რომლებიც პირჯვარს სამი თითით («щепотью») იწერდნენ.

²⁵ Бурлаку С. Путешествие в южную Бессарабию// Земля и Недвижимость Сибири – 2010.- № 6. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.vipstd.ru/journal/content/view/532/172/>.

შერეული ქორწინება XX-XXI საუკუნეებში

- ▶ როგორ და რატომ იცვლებოდა შერეული ქორწინება XX-XXI საუკუნეებში?



1. რა არის გამოსახული წყაროებში 1-2? შეადარეთ ერთმანეთს სურათები. რა არის მათში საერთო და რა განსხვავებული?

წყარო **1** ვასილი პუკირიოვი.
უთანასწორო ქორწინება, 1862¹



წყარო **2** იური პიმენოვი.
ქორწილი ხვალინდელ ქუჩაზე. 1962²




2. დააკვირდით წყარო 3-ის დიაგრამას. რა ცვლილებებს ასახავს იგი? თქვენი აზრით, რა არის ამ ცვლილებების მიზეზი?

¹ ელექტრონული რესურსი [https://ru.wikipedia.org/wiki/Неравный_брак_\(картина\)](https://ru.wikipedia.org/wiki/Неравный_брак_(картина)). რესურსზე შესვლის თარიღი 15.11.2014.

² ელექტრონული რესურსი <http://artmmuseum.ru/muzejnye-novosti-yurij-ivanovich-pimenov>. რესურსზე შესვლის თარიღი 15.11.2014.

წყარო 3 უკრაინაში ერთაშორის ქორწინებათა რაოდენობა დაქორწინებულთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით XX საუკუნის დასაწყისსა და ბოლოს³



ბლოკი 1. ტრადიციული ოჯახი. შერეული ქორწინების შესაძლებლობები და დაბრკოლებები რუსეთის იმპერიაში

3. ვინ იძლეოდა ქორწინების ნებართვას რუსეთის იმპერიაში (წყარო 4)?
4. რა პირობით იყო შესაძლებელი ახალმოქცეული ქრისტიანებისა და არაქრისტიანების ქორწინება? რომელ რელიგიას იცავდა, უწინარეს ყოვლისა, კანონმდებლობა ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობაში და რატომ?
5. რა აზრის იყვნენ სოფლად სხვა ეროვნების წარმადგენლებთან ქორწინებაზე? რა შემთხვევაში მიიჩნევდნენ ასეთ ქორწინებას გამართლებულად (წყარო 5)?
6. რა კრიტერიუმებით ირჩევდნენ მეუღლეს სოფლად (წყარო 6)?
7. ითვალისწინებდნენ თუ არა მეუღლის არჩევის დროს საკუთარ ინტერესებს, გრძნობას, მოსაზრებას და შესაძლებელი იყო თუ არა ყოველივე ამას გადაეწონა პოტენციური პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება ციტატებით.
8. დაადგინეთ, რომელ წყაროში, რომელი სახის შერეული ქორწინება არის მოხსენიებული (ერთაშორისი, კონფესიათშორისი (რელიგიათშორისი), ნოდებათშორისი⁴ და სხვ.)?
9. რა გარემოებები უწყობდა და რა გარემოებები უშლიდა ხელს შერეულ ქორწინებას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში?

წყარო 4 „რუსეთის იმპერიის სამოქალაქო უფლებების კანონთა კრებულიდან“, XX საუკუნის დასაწყისი

თავი 1. მართლმადიდებელი სარწმუნოების პირთა ქორწინების შესახებ:

1. მართლმადიდებელი სარწმუნოების ყველა პირს საზოგადოებაში მისი მდგომარეობის მიუხედავად შეუძლია დაქორწინდეს მთავრობის განსაკუთრებული ნებართვისა და

³ 1897-1900 წლების სტატისტიკური მონაცემებით. აღებულია წიგნიდან: Чорний С. Національний склад населення України в XX сторіччі. К.: НВП Картографія, 2001. გვ. 48-49 და 1989 წლის აღწერის მონაცემებით. აღებულია წიგნიდან: Розподіл населення за національністю та рідною мовою (0,1). Таблиця 19A050501_021. Банк даних / Державна служба статистики.

⁴ ნოდება – სოციალური ჯგუფი, რომლის წევრებიც განსხვავდებოდნენ თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობით. ნოდება, როგორც წესი, მემკვიდრეობით გადაიცემოდა.

თავიანთი წოდებიდან და საზოგადოებრივი ჯგუფიდან გამოსვლის გარეშე. იმავე პირობებით დაშვებულია მართლმადიდებელი უცხოელის დაქორწინება ამავე სარწმუნოების რუსეთის ქვეშევრდომზე. [...]

6. აკრძალულია დაქორწინება მშობლების, მეურვეებისა და მზრუნველების ნებართვის გარეშე.⁵

9. როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სამსახურში მყოფ პირებს ეკრძალებათ დაქორწინება მათი უფროსების წერილობით დადასტურებული ნებართვის გარეშე.

თავი 3. არაქრისტიანთა ერთმანეთთან და ქრისტიანებთან დაქორწინების შესახებ:

80. თუ მუსლიმის ცოლი ან ერთ-ერთი ცოლი⁶ ან სხვა არაქრისტიანი პირის ცოლი მოინათლება, მისი ქორწინება შეიძლება ძალაში დარჩეს მართლმადიდებელი ეკლესიის წესით ჯვრისწერით დამტკიცების გარეშე, მაგრამ იმ პირობით, რომ თავის სარწმუნოებაში დარჩენილი ქმარი იკისრებს ვალდებულებას, რომ: 1) ამის შემდეგ შობილ შვილებს მონათლავს მართლმადიდებლურად; 2) დატოვებს სხვა ცოლებს, თუ ჰყავს და მონათლულ ცოლთან იცხოვრებს ერთცოლიანობაში ცოლის სიცოცხლის ბოლომდე ან სანამ მათი ქორწინება გაგრძელდება.

81. თუ იუდეველი მეუღლეებიდან ერთ-ერთი მართლმადიდებელი გახდება, მეორე კი იუდეველად დარჩება, მაგრამ მოინდომებს მოქცეულთან ცხოვრებას, დატოვებულ იქნან მეუღლეებად განქორწინების გარეშე, თუ დადებენ ხელწერილს: პირველი, მასზედ, რომ იგი მთელის ძალისხმევით ცდილობდა დაეყოლია მეორე მართლმადიდებელი სარწმუნოების მისაღებად, ხოლო მეორე – მასზედ, რომ ამ ქორწინებაში შობილ შვილებს არც დაყვავებით, არც დაშინებით, არც რაიმე სხვა ხერხით არ მიაღებინებს იუდეველობას, და რომ მართლმადიდებელ სარწმუნოებაში მოქცეულ მეუღლეს არ უსაყვედურებს და არ მიაყენებს მორალურ ზიანს.⁷

წყარო 5 წარმოდგენები ერთაშორისი ქორწინების შესახებ XX საუკუნის დამდეგის ტრადიციულ საზოგადოებაში

ბულგარელი ივან ილიას ძე მილევი (დაბ.1896 წ.), ზაპოროჟიეს სოფელ პრესლავის მკვიდრი: „ადრეც ძალიან ვმეგობრობდით მეზობელ სოფლებში მცხოვრებ უკრაინელებთან, ვხვდებოდით ბაზრობების დროს, დავდიოდით ერთმანეთთან სტუმრად დიდ დღესასწაულებზე, მაგრამ არ ვქორწინდებოდით. მაშინ ეს არ იყო მიღებული“.

ბერძენი ფედორა ალექსეის ასული ნიკოლიცა (დაბ. 1898 წ.), დონეცკის ოლქის სოფელ სტილას მკვიდრი: „წინათ მიღებული იყო შენივე ეროვნების და შენივე სოფელ კაცზე გათხოვება. ხოლო თუ ვინმე არაბერძენს გაყვებოდა, ეს, ჩვეულებრივ, ასაკგადასული საპატარძლო იყო, რომლისთვისაც, როგორც მაშინ ამბობდნენ, სულ ერთი იყო, ვის გაყვებოდა, თუნდაც სხვა სჯულისას, ოღონდაც შინაბერად არ დარჩენილიყო“.⁸

⁵ მეურვეები და მზრუნველები – ობლად დარჩენილი არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და იურიდიული თანხლებისათვის სპეციალურად დანიშნული ადამიანები.

⁶ ისლამი უშვებს მრავალცოლიანობას, თუმცა ზღუდავს მას ზოგიერთი პირობით.

⁷ ადაპტირებულია წიგნიდან Свод законов гражданских (св. зак. т. 10 ч. 1, изд. 1900 г. по Прод. 1906 и 1908 гг.). – С предметным указателем и с позднейшими узаконениями по день выхода в свет / Сост. А. Л. Саатчиан. – Издание неофициальное. Санкт-Петербург: Издание Юридического книжного магазина И. И. Зубкова под фирмою «Законоведение», 1911. იგივე სახელწოდების ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://civil-law.narod.ru/wist/szg/szg111.html>. ელექტრონულ რესურსზე შესვლის თარიღი 20.01.2014.

⁸ Пономарев А. Межнациональные браки в УССР и процесс интернационализации/А.Пономарев. К.: Наукова думка, 1983. С. 69.

წყარო 6 ფრაგმენტები გლეხების მოგონებებიდან კოლექტივიზაციამდე

– მდიდარი და ღარიბი თუ ქორწინდებოდნენ?

მიხაილ პავლეს ძე მასლო: „მეტ-ნაკლებად ქონებრივი ცენზის, თავისი დონის მიხედვით ირჩევდნენ. მაშინ სიყვარულით კი არა, ზოჯერ ძალითაც აქორწინებდნენ. მამის ურჩობა შეუძლებელი იყო. თუ საკუთარი ნებით არ ქორწინდებოდნენ, დროთა განმავლობაში ეჩვეოდნენ და ცხოვრობდნენ, უყვარდათ თუ არ უყვარდათ ერთმანეთი.“

უსტინ ეფიმიძის ძე ოსადჩა: „ცდილობდნენ მდიდარი შეერთოთ, რომ მიწა შეეძინათ. საპატარძლო მახინჯიც რომ ყოფილიყო, მაინც ირთავდნენ, მიწა თუ ჰქონდა.“

პრასკოვია ფედოტის ასული სმოლა: „ქორწინდებოდნენ, თუ ერთმანეთი მოსწონდათ; მერე რა, რომ საპატარძლო ღარიბია – ოღონდაც მოგწონდეს. სხვადასხვაგვარად ხდებოდა, მდიდრებსაც და ღარიბებსაც თხოულობდნენ“.

პრასკოვია ნიკოლაის ასული ბესკოროვანაია: „მდიდრებს ჩვენი ღარიბი ქალიშვილები არ აინტერესებდათ. ღარიბები საშუალო გლეხებს თუ მიყვებოდნენ“.⁹

ბლოკი 2. ერთაშორისი ქორწინება საბჭოთა კავშირის დროს და დღეს

10. როგორი იყო საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური დამოკიდებულება შერეული ოჯახებისადმი და რატომ ეთმობოდა მათ ესოდენ დიდი ყურადღება (წყარო 7)?
11. რისი წყალობით შეეძლოთ ერთმანეთთან შეხვედრა სხვადასხვა ქალაქის, მოკავშირე რესპუბლიკის, დამოუკიდებელი ქვეყნის მკვიდრებს?
12. როგორ ირჩევდნენ ერთაშორის ოჯახებში საცხოვრებელ ადგილს, საურთიერთო ენას, ტრადიციებს, სარწმუნოებას, შვილების სახელებს – ერთობლივი გადანაცვებილების, კომპრომისის შედეგად თუ ერთ-ერთი მეუღლის სურვილისამებრ?
13. რა იყო საერთო ერთაშორის ოჯახებში (წყაროები 8-11) და რატომ?
14. რით განსხვავდება ივანასა და არჩილის ოჯახი (წყარო 12) წყაროებში 8-11 აღწერილი ოჯახებისაგან? რა აქვთ საერთო ამ ოჯახებს და რატომ?

წყარო 7 საბჭოთა კავშირში ერთაშორისი ქორწინების შესახებ

ომის შემდეგ წლებში შერეული ოჯახები მასობრივ მოვლენად იქცა. 1959 წლის აღწერის მონაცემებით, ასეთი ოჯახები ჩვენი ქვეყნის ოჯახების 10 პროცენტს, 1970 წელს – 13,5 პროცენტს, ხოლო 1979 წელს – დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენდა. შერეული ოჯახების წილის გაზრდის მიზეზი ერთაშორისი ქორწინებათა რაოდენობის ზრდა გახდა. დღეს ერთაშორისი ურთიერთობა სოციალისტური ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია, ხოლო შერეული ოჯახები, შეიძლება ითქვას, ასეთი ურთიერთობის ყველაზე მჭიდრო ფორმაა. პარტიის XXVII ყრილობაზე მიღებულ სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „პარტია, ჩვენი სახელმწიფო დაინტერესებული არის იმაში, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი იყოს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების გამაერთიანებელი მეგობრობისა და ძმობის გრძნობები, ერთაშორისი ურთიერთობის მაღალი კულტურა, შეუწყნარებლობა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული ეგოიზმის გამოვლინებებისადმი, წეს-ჩვეულებებისადმი, რომლებიც ხელს უშლის ცხოვრების კომუნისტურ განახლებას“.¹⁰

⁹ Нолл В. Трансформація громадянського суспільства. Усна історія селянської культури 1920-1930 років / В. Нолл. – К. : Родовід, 1999. – С.109-110.

¹⁰ Сусоколов А.А. Межнациональные браки в СССР. М.: Мысль. 1987. С. 10.

წყარო 8 უკრაინულ-მოლდავური ოჯახის ისტორიიდან

მამაჩემი, ნიკოლაი ზახარის ძე შტუჩენკო, (1930-1976) ეროვნებით უკრაინელია, ხოლო დედაჩემი, ტამარა ილიას ასული ბაბარუ (1937-1999) – მოლდაველი. ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი გაიცნეს მოსკოვში მივლინების დროს და 1960-იანი წლების დასაწყისში დაქორწინდნენ. როგორც ასეთი, ქორწილი არ ჰქონიათ, ფორმალურად ხელი მოაწერეს მამის ბიუროში. რადგანაც ოჯახი მოლდავეთში, ქალაქ კიშინიოვში ცხოვრობდა, შინ მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდნენ. როცა შვილები ეყოლათ, სახელის შერჩევის პრობლემა არ ჰქონიათ – იური და ალიონა დაარქვეს. მაშინ არ იყო მიღებული ეროვნულ ენაზე ლაპარაკი. ყველა საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა. მამაჩემი ზოგჯერ გადადიოდა უკრაინულ ენაზე, როცა უკრაინაში მის ნათესავებთან მივდიოდი. თავად უკრაინულ ტრადიციებს არ იცავდა, რადგანაც ყველაფერი ასე თუ ისე ერთნაირი – საბჭოთა იყო. იყო თუ არა კონფლიქტები ეროვნულ ნიადაგზე? არა. ამგვარი რამ არასდროს ყოფილა.¹¹

წყარო 9 აზერბაიჯანულ-რუსული ოჯახის ისტორიიდან

სამირ ჰასანის ძე ჰუსეინოვი (დაბ. 1973 წ.), აზერბაიჯანელი: ჩემი ცოლი, გალინა ვიაჩესლავის ასული ჰუსეინოვა (დაბ. 1973 წ.) რუსია. ერთმანეთი გავიცანი მოსკოვში, კონფერენციაზე, ხოლო 2003 წელს დავქორწინდით. ქორწილი, როგორც ასეთი, არ გვქონია. ფორმალურად ხელი მოვანერეთ მამის ბიუროში. ჩვენი სამოქალაქო ქორწინების დადასტურება საეკლესიო ქორწინებით შეუძლებელი იყო, რადგანაც მე მუსლიმი ვარ, ის კი მართლმადიდებელი. არასდროს დამიძალბებია, რომ სარწმუნოება შეეცვალა, მაგრამ ეს თუ ოდესმე მოხდება, გამიხარდება. თუ ეს შეიძლება ტრადიციად ჩაითვალოს, დაქორწინებისას ქალს აუცილებლად უნდა შეეცვალა გვარი, რადგან ეს პირველი ნიშანია იმისა, რომ გათხოვდა. აუცილებელია აგრეთვე, რომ ნიშნობის ბეჭედს ატარებდეს, რაც ჩემთვის უკვე ისე პრინციპული აღარაა. ტრადიციებიდან ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბიჭების წინადაცვეთა. როცა დრო დადგება, აუცილებლად გავუკეთებ ამას ჩემ შვილს. დღეს ჩემი შვილი ჯერ პატარაა, რუსულად ველაპარაკებით, აი, სკოლაში წავა და დავინყებ მასთან აზერბაიჯანულად ლაპარაკს. იყო თუ არა კონფლიქტები ეროვნულ ნიადაგზე? არა. კონფლიქტი შეიძლება ცოლ-ქმარს მოუვიდეს, მაგრამ რუსს და აზერბაიჯანელს – არა. ასე რომ იყოს, ცოლად შერთვა რაღა საჭირო იქნებოდა?¹²

წყარო 10 ქართულ-რუსული ოჯახის ისტორიიდან

ჩემი ქმარი ახვლედიანი გიორგი დევის ძე (დაბ. 1966 წ.) ეროვნებით ქართველია, მე, მისი ცოლი ზაპარი ტატიანა ალბერტის ასული (დაბ. 1977 წ.) რუსი ვარ. ერთმანეთი დონეცკში გავიცანი. დავქორწინდით 1999 წელს. ქორწილი არ გვქონია. ფორმალურად ხელი მოვანერეთ მამის ბიუროში. საერთოდ არ მესმის ეს კაბები, თოჯინები, ყვავილები [...] გია (ქმარი) რუსეთში სწავლობდა, შემდეგ საბჭოთა ჯარში მსახურობდა, ამიტომ ოჯახში

¹¹ ი.ნ. შტუჩენკოს ნაამბობიდან, რომელიც კიევში 2012 წლის დეკემბერში პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურების დიალოგი“ ჩაინერა ოლგა კოვალევსკაიამ.

¹² ს.ჰ. ჰუსეინოვის ნაამბობიდან, რომელიც კიევში 2012 წლის დეკემბერში პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურების დიალოგი“ ჩაინერა ოლგა კოვალევსკაიამ.

ყოველთვის რუსულად ვლაპარაკობდით. მაგრამ ქმარს სულ უკვირდა, რომ უკრაინაში არ ლაპარაკობენ ან თითქმის არ ლაპარაკობენ უკრაინულად [...]. ჩვენ ბიჭს ქმრის დაჟინებული სურვილით ქართული სახელი დავარქვით – ლუკა. თავიდან არ მომეწონა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ასე ჯობს კიდევ. გოგოს სახელს უკვე ისე ვარჩევდით, რომ მისი ძმის სახელს ეხმიანებოდეს – ალიკა ჰქვია.

ორივენი დავიბადეთ და განათლება მივიღეთ საბჭოთა პერიოდში, ყოველთვის რუსულად ვლაპარაკობდით, ამიტომ ეროვნული აღზრდის პრინციპები არა გვაქვს.¹³

წყარო 11 რუსულ-სომხური ოჯახის ისტორიიდან

ჩემი ქმარი, ალექსანდრ ვიქტორის ძე კორნეევი (დაბ. 1968 წ.) რუსია, მე, მისი ცოლი ტატიანა სერგეის ასული ხალაპიანი (კორნეევა), დაბ. 1978 წელს, სომეხი ვარ. ერთმანეთი დონეცკში გავიცანი, მაგრამ შემდგომში კიევში გადავედით, სადაც 2003 წელს დავქორწინდით კიდევ. ქორწილი არ გვქონია – ხელი მოვანერეთ მამჩის ბიუროში და ეგ იყო. შვილს სოფია დავარქვით, უბრალოდ ეს სახელი ძალიან მომწონდა... საერთოდ კი ასე მოვილაპარაკეთ: თუ გოგო გვეყოლა, სახელს მე ვარქმევ, თუ ბიჭი – ქმარი... უფრო უკრაინულ ტრადიციებს ვიცავთ. საქმე ის არის, რომ ჩემი ოჯახი შერეული იყო: მამაჩემი და ბაბუაჩემი სომხები იყვნენ, დედაჩემი – რუსი [...] დედ-მამა ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდა, ჩვეულებრივი საბჭოთა სკოლა დავამთავრე და სომხურ ტრადიციებს თითქმის არ ვიცნობ.¹⁴

წყარო 12 სატელევიზიო სიუჟეტიდან „ურთიერთობა ბარიერების გარეშე“

ხმა კადრის მიღმა: ქმარი ქართველია, ცოლი – ურაინელი. ივანა პლიუს არჩილი სიყვარულის ფორმულაა. ურთიერთობა რომანში გადაიზარდა, რომანი – დიდ სიყვარულში. ოჯახის შექმნის ყველა ეტაპმა საზღვარგარეთ ჩაიარა, შვეიცარიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. დასახლდნენ უკრაინაში. დღეს არჩილი, ივანა და მათი ორი ქალიშვილი ოთხ ენაზე ურთიერთობენ.

არჩილ ცინცაძე, ქმარი: ივანა ისეთი ადამიანია, რომელიც გაგებით ეკიდება იმას, რომ ქართველი ვარ. ბავშვებს ესმით ქართული, მათ მე მხოლოდ ქართულად ველაპარაკები, ივანა კი – უკრაინულად.

ხმა კადრის მიღმა: კლიმპუშ-ცინცაძის ოჯახში რუსული ერთაშორისი ურთიერთობის ენაა. არჩილმა და ივანამ ერთმანეთი უცხოეთში გაიცნეს და ინგლისურად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ ერთმა ქართულის სწავლა დაიწყო, მეორემ კი უკრაინულის.

ივანა კლიმპუშ-ცინცაძე, ცოლი: ვფიქრობ, რომ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ ჩვენგანს ასე უყვარს თავისი, ორივეს უნარი შეგვწევს პატივი ვცეთ სხვას, ამიტომ ენის საკითხი საერთოდ არ წამოჭრილა. ქართულს ვსწავლობ, რადგან ხომ უნდა მესმოდეს, რას ელაპარაკება ქმარი ბავშვებს!

¹³ ტ.ა. ზაპარის ნაამბობიდან, რომელიც კიევში 2012 წლის დეკემბერში პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურების დიალოგი“ ჩაინერა ოლგა კოვალევსკაიამ.

¹⁴ ტ.ს. ხალაპინას ინტერვიუდან, რომელიც კიევში 2012 წლის დეკემბერში პროექტისათვის „საერთო ისტორია. კულტურების დიალოგი“ ჩაინერა ოლგა კოვალევსკაიამ.

ხმა კადრის მიღმა: მშობლებს არც შვილები ჩამორჩებიან. სალომია და მელანია, ქართულად – სალომე და მელანო, ფლობენ ინგლისურს, ქართულს და უკრაინულს. რუსული თვითონ ისწავლეს.

არჩილ ცინცაძე: [...] გოგონებმა რატომღაც უცებ და, გაუგებარია, როგორ, ისწავლეს რუსული ენა, რომელიც მათთვის არავის უსწავლებია. უკრაინული სკოლიდან მოიტანეს ალბათ.

ივანა კლიმპუშ-ცინცაძე: იმის გარდა, რომ კვირაში ხუთი დღე უკრაინულ სკოლაში დადიან, კიდევ ორ დღეს – ქართულში.

არჩილ ცინცაძე: ჩვენს ოჯახს ასე მიაჩნია: რაც მეტი ენა ვიცით, მით მეტი შესაძლებლობა გვაქვს ამ ცხოვრებაში.¹⁵



შემაჯამებელი განხილვა

რა გავლენას ახდენდა სახელმწიფო პოლიტიკა და ცვლილებები საზოგადოებაში შერეულ (კულტურათშორის) ქორწინებაზე XX საუკუნესა და XXI საუკუნის დამდეგს? შეადარეთ ახლანდელი პასუხები თქვენივე პასუხებს ერთაშორის ქორწინების შესახებ გაკვეთილის დასაწყისში. დადასტურდა თუ არა თქვენი აზრი?

თქვენი აზრით, როგორია მეუღლის არჩევანის მთავარი კრიტერიუმები ჩვენს დროში? რა ახდენს გავლენას ამ კრიტერიუმების ჩამოყალიბებაზე?

¹⁵ «Общение без барьеров» сюжет от 27.07.2012 г. Телерадіокомпанія «Вікка-Новини». ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://vikka.ck.ua/ua/news.php?bl=1&pid=6&view=5783> – ელექტრონულ რესურსზე შესვლის თარიღი 03.04.2014.

საზღვრისპირა ვაჭრობა და ეროვნებათშორისი კონტაქტები

► რამდენად უწყობს ხელს საზღვრისპირა ვაჭრობა ვითარების სტაბილიზაციას რეგიონში?



1. ისტორიული ცნობისა და რუკის (წყარო 1) გამოყენებით ახენით, ვინ და რა არის გამოსახული ფოტოზე (წყარო 2)?

◆ ისტორიული ცნობა

კავკასიის ტერიტორიაზე, მათ შორის სამხრეთშიც, ეროვნებებს, თემებსა და ჯგუფებს შორის კონფლიქტური ვითარების მოგვარების რთული მოდელები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდულ გამოცემებში „ტრადიციული“ ინსტიტუტებისა და მექანიზმების მეშვეობით კონფლიქტების მოგვარების უამრავი მაგალითია აღწერილი. ეს მექანიზმები XX საუკუნეშიც მოქმედებდა, როდესაც სომხურ-აზერბაიჯანულ, ქართულ-აფხაზურ, ქართულ-სამხრეთოსურ საზღვარზე კონფლიქტი წარმოიქმნა. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ხალხებს საზღვრისპირა ვაჭრობის უძველესი ტრადიციები აქვთ. ეროვნებათშორისი კონტაქტების მაგალითები, მათ შორის, ვაჭრობისას, ამ ტრადიციების გაგრძელებაა და მოწმობს, რომ დაძაბული ურთიერთობისა და კონფლიქტების დროსაც კი მხარეებს ურთიერთგაგების ფორმების გამოძებნა შეუძლიათ.

ასეთი კონტაქტების მაგალითია ორი ბაზარი, ერთი საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე – სადახლოსა და ბაგრატაშენში, მეორე კი შიდა ქართლში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვარზე – ერგნეთში.

სადახლო დასახლებული პუნქტია საქართველოს ტერიტორიაზე, სომხეთის საზღვართან. მოსახლეობა დაახლოებით 10000 ადამიანს შეადგენს. ძირითადად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, აგრეთვე ქართველები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. სოფლებს სადახლოსა და ბაგრატაშენს მდინარე დებედა და ბალების ვიწრო ზოლი ყოფს. აქ არის საქართველო-სომხეთის საზღვარზე განთავსებული სამი საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან ერთ-ერთი, რომელიც ძალიან ხალხმრავალია, რადგან ერევან-თბილისის ტრასაზე მდებარეობს.

აქვე, ხიდის მახლობლად, ფუნქციონირება დაიწყო ბაზრობამ. სადახლოს ბაზრობა, პირველ რიგში, იმით არის საინტერესო, რომ უშუალოდ საზღვარზე მდებარეობს (როგორც კი საქართველო-სომხეთის საზღვარზე გადახვალ, ბაზრობაზე ხვდები); მეორეც იმით, რომ ბაზრობა აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლის მახლობლად მდებარეობს. სადახლოს ბაზრობა არა მარტო თავისი რეგიონის მოსახლეობისთვის იყო შემოსავლის წყარო – აქ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობა ციტრუსებსა და ვაშლს ყიდდა. სომხეთის მოქალაქეები ომის პერიოდშიც კი აგრძელებდნენ სავაჭრო ურთიერთობას საქართველოს აზერბაიჯანელ მოქალაქეებთან. ბაზრობაზე მოვაჭრეებს გავესაუბრეთ და აღმოჩნდა, რომ სავაჭრო ურთიერთობას არც აზერბაიჯანის მოქალაქეებთან წყვეტდნენ.

ორივე ბაზრობა (სადახლოც და ერგნეთიც) 1990-იანი წლების შუა ხანებიდან 2005 წლამდე მოქმედებდა. ორივე საქართველოს ხელისუფლებამ დახურა.

წყარო 1 კავკასიის რეგიონის საზღვრისპირა ბაზრობები XXI საუკუნის დასაწყისში



წყარო 2 ვაჭრობა საზღვრისპირა ბაზრობაზე¹



¹ აქაც და შემდეგაც ფოტოები ავტორის, ასევე, ეთნოგრაფ ა. დაბაგაევის პირადი არქივიდან.



2. როგორ გესმით ტერმინი „მტრის ხატი“ (იხ. საინფორმაციო ცნობა)?
3. წყაროების საფუძველზე განსაზღვრეთ, როგორ უწყობს ხელს საზღვრისპირა ვაჭრობა „მტრის ხატის“ გაქარწყლებას.

◆ საინფორმაციო ცნობა

მტრის ხატი საერთაშორისო ურთიერთობაში არსებული სტერეოტიპების ერთ-ერთი უარყოფითი გამოვლინებაა. „მტრის ხატისთვის“ დამახასიათებელია მისი დეჰუმანიზაცია, როდესაც მტერს სხვადასხვა უარყოფით თვისებებს მიაწერენ. „მტერი“ ასოცირდება ბოროტებასთან, ზიზღთან, აგრესიასთან, მზაკვრობასთან, ძალადობასთან, სიკვდილთან და სხვ. „მტერი“ არის ფენომენი, რომელიც ადამიანს, ჯგუფს, სოციალურ უქმნის რეალურ ან მოჩვენებით საფრთხეს, იგი ანტიჰუმანური თვისებებით ხასიათდება და ამიტომ „გამართლებული“ დისკრიმინაციისა და ძალადობის ობიექტი ხდება.

წყარო 3 ბაზარი და სხვისი ხატი

სხვადასხვა გარემოების მიუხედავად, სადახლოს ბაზრობა სომხებისთვისაც და აზერბაიჯანელებისთვისაც საარსებო წყაროა. ისინი ერთმანეთთან ურთიერთობის ხარჯზე ცხოვრობენ. ნეიტრალური სავაჭრო ზონა დაძაბული პოლიტიკური გარემოს განმუხტვას უწყობს ხელს. ეს ორივე მხარეს კარგად ესმის. სომხეთიდან სადახლოში ათასობით ადამიანი ჩადის, ურთიერთობა აქვთ აზერბაიჯანელებთან, უახლოვდებიან მათ, მოსაზრებებს უზიარებენ, ერთად ვაჭრობენ, განურჩევლად საქმიანობისა, სპეციალობისა და ეროვნებისა. სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვის ნეიტრალური ზონა შეხვედრის ადგილად იქცა. ყველაფერი ეს კი „მტრის“ ხატის სტერეოტიპის დაძლევას უწყობს ხელს.²

წყარო 4 სადახლო და ბაგრატაშენი: საზღვრისპირა ფენომენი

საქართველო-სომხეთის საზღვარზე, უმეტესად აზერბაიჯანელებით დასახლებულ სადახლოში მდებარე ბაზრობა ცნობილი იყო, როგორც სამხრეთ კავკასიაში ყველაზე სტაბილურად ფუნქციონირებადი ეკონომიკური ობიექტი. მისი ხასიათსა და დანიშნულებას განაპირობებდა არცთუ უმნიშვნელო ფაქტი: ეს ბაზრობა იყო სომხურ-აზერბაიჯანული სავაჭრო ერთობა, რომელიც ორივე მხარისთვის დიდი ხნის განმავლობაში განსაკუთრებულად მიმზიდველი იყო. ეს ბაზრობა 1990-იანი წლებიდან არსებობდა, მაგრამ აქტიური ფუნქციონირება 1993 წელს დაიწყო. სადახლოს ბაზრობის წყალობით წარმოქმნილმა შესაძლებლობებმა მაშინვე მიიზიდა უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეები საქართველოდან და სომხეთიდან. ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები აქ ჩამოდიოდნენ სავაჭროდ, რაიმე სამუშაოს საძებნელად ან საკუთარი ბიზნესის დასაწყებად. „სავაჭრო ურთიერთობა“ ძირითადად ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ყალიბდებოდა. აზერბაიჯანელები ყიდდნენ, სომხები ყიდულობდნენ, ქართველები კი, როგორ „მინის პატრონები“, პროცესს „აკონტროლებდნენ“.³

² Н. Булгадарян. Садахло. Зеркало и модель Южного Кавказа. – ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: [http://hcaav.am/attachments/5d061_sadakhlo\[1\].pdf](http://hcaav.am/attachments/5d061_sadakhlo[1].pdf).

³ Погосян Анна. Садахло как нейтральная зона армяно-азербайджанских контактов: использование торговли в качестве средства для трансформации конфликта. – ელექტრონული რესურსი «Кавказский выпуск». ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://caucasusedition.net/ru/blog/садахло-как-нейтральная-зона-армяно-а/>.

წყარო 5 როგორ ყალიბდებოდა „კავკასიური ერთობა“

ეთნიკური მრავალფეროვნება კულტურის ისეთ ელემენტებშიც აისახა, როგორიცაა დასახლებებისა და საცხოვრებელი სახლების ტიპები, ტანსაცმელი, ნაირ-ნაირი მასალისგან დამზადებული საყოფაცხოვრებო ნივთები; აგრეთვე, სხვადასხვა კონფესიის ადამიანების - ქრისტიანების, მუსლიმების, იუდეველებისა და სხვა რწმენის მიმდევრების თანაცხოვრებაში. ამავე დროს საერთო ისტორიულმა ბედმა, კავკასიის ხალხების ეთნიკურმა სიახლოვემ საფუძველი ჩაუყარა კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-კულტურულ ერთობას, რომელიც გამოიხატა, კერძოდ, ლითონისა და ხის დამუშავებაში, საიუველირო ხელოვნებაში, ქვაზე კვეთაში, ხალიჩების ქსოვაში, ქარგვაში და ა. შ. გარდა ამისა, კავკასიის ყველა ხალხის ტრადიციაშია სტუმართმოყვარეობა და მასთან დავაპირებული დაძმობილება, ანუ სხვადასხვა გვარის ან ხალხის წარმომადგენლებს შორის ახლო ურთიერთობის დამყარება. ეს ტრადიცია ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტას უწყობდა ხელს.⁴

წყარო 6 ჩვენ და ისინი: ეროვნებათშორისი ურთიერთობების ფორმულები

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გამახსენდა ჩანაწერი საველე დღიურიდან: სადგურში დაახლოებით 50 წლის აზერბაიჯანელ გამყიდველ ქალს გამოველაპარაკე. მას რამდენიმე ადამიანი მიუხლოვდა და რაღაც ჰკითხა რუსულად. როცა წავიდნენ, მათკენ თავი გაიქნია და თქვა: „სომხები იყვნენ...“ შეყოვნდა, ჩემს რეაქციას დაელოდა... კითხვაზე, პრობლემები ხომ არ გექმნებათ-მეთქი, მაშინვე მიპასუხა: „არა, რა უნდა გვითხრან?!“ ასეთი გამონათქვამების ფონზე სხვასაც მოისმენდით: „სომხები აქ მეზობელი სოფლებიდან ჩამოდიან. ამას წინათ ჩემთან გაჩერდნენ, ბაგრატაშენიდან არიან. კარგი ურთიერთობა გვაქვს“ (60 წლის აზერბაიჯანელი მამაკაცი). ან კიდევ: „ბევრი სომეხი მეგობარი მყავს, ამ ქორწილშიც დავპატიჟე. სამწუხაროა, რომ დღეს მოსვლა ვერ შეძლეს“ (55 წლის აზერბაიჯანელი მამაკაცი). აი კიდევ ერთი მონათხრობი: „ჩემი მეგობარი კიროვაკანიდანაა (სომეხი), ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა და 300 დოლარს მესესხა. რა თქმა უნდა, მივეცი. დაბრუნდება, სად წავა... ერთმანეთი ბაზარში გავიცანით, თავის ნივთებს ჩემთან ინახავდა, ასე დავახლოვდით“.⁵

წყარო 7 ჩვენ და ისინი: ვაჭრობა კონფლიქტის დროსაც კი...

სადახლოში მცხოვრები აზერბაიჯანელები სომხებთან თავისუფლად ვაჭრობენ. ამის შესახებ განაცხადა ჰსა-ს⁶ განჯის ოფისის თავმჯდომარემ აკიფა ალიევამ, რომელიც სადახლოს მონიტორინგს ატარებდა იმის დასადგენად, თუ რა ურთიერთობა აქვთ დაპირისპირებულ ერებს რეგიონში. მისი თქმით, ყოველდღე სადახლოდან ბაქოში, „ბინას“

⁴ Сайт Российского этнографического музея (материал подготовлен В. А. Дмитриевым). – ელექტრონული რესურსი <http://www.ethnomuseum.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.ethnomuseum.ru/section69/23/269/387.htm>.

⁵ Гусейнова С. Азербайджанцы и Армяне в Грузии: пространство совместного проживания. – Положительные примеры из истории сосуществования народов стран Южного Кавказа. Статьи ученых – историков и экспертов из Азербайджана, Армении и Грузии (Ереван, Армения). – Ереван, Антаpec. - 2009. - С. 156. ელექტრონული რესურსი <http://rus.acgrc.am/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://rus.acgrc.am/positive_examples_of_coexistence_russian.pdf.

⁶ ჰსა – ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეა.

სავაჭრო ზონაში, საქონლის შესაძენად 25 ავტობუსი და 10 მიკროავტობუსი მიემგზავრება. სადახლოში აზერბაიჯანიდან შემოდის სურსათი, ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო საქონელი, სომხეთიდან კი – თევზი, კარტოფილი და კომბოსტო... ბაზარში 3 200 დახლია, თუ არ ჩავთვლით სასაძილოებსა და რესტორნებს. გამყიდველები აზერბაიჯანელები არიან, ძირითადად. ქალები და ახალგაზრდები. სომეხ მყიდველებს სომხურად ელაპარაკებიან. სავალუტო ერთეულებია დოლარი, ლარი და დრამი.⁷ სადახლოს აზერბაიჯანელები დაუბრკოლებლად დადიან საყიდლებზე სომხეთის ახლო სოფლებში. მათი სიტყვებით, ზოგიერთი პროდუქტი იქ უფრო იაფია. ფაქტობრივად, სადახლო თავისუფალი ეკონომიკური ზონაა.⁸

წყარო 8 დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრება საზღვრისპირა ვაჭრობაზე ერგნეთში

ერგნეთის ბაზრობის ფუნქციონირების დროს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა საქართველოსკენ იხრებოდა – მიმოქცევაში იყო ლარი. ნებისმიერ ქართველს შეეძლო ცხინვალის რეგიონში წასვლა, იქიდან კი რუსეთში გადასვლა. ქართველებს და ოსებს ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდათ, ერთად ვაჭრობდნენ, ერთმანეთს უნათესავდებოდნენ. ურთიერთნდობა აღდგა. ცხინვალში უკვე ქართული ისმოდა, ანუ დაახლოების პერსპექტივა არსებობდა. საჭირო იყო აფხაზეთში ერგნეთის მაგვარი რამის მოწყობა. რა თქმა უნდა, უკანონობა, ნარკოტიკების გავრცელება უნდა აღიკვეთოს, მაგრამ ნარკოტიკების ნაკადის შესაჩერებლად ბაზრობის დახურვა არ ღირდა.⁹

წყარო 9 ერგნეთიდან დევნილი 82 წლის შალვა კასრაძის მოსაზრება

მიმაჩნია, რომ ერგნეთის ბაზრობის დახურვა შეცდომა კი არა, დანაშაულია. ხალხი ხომ იყო დასაქმებული? სწორედ ერთობლივი საქმიანობააჩვენ შორის ახლო და მეგობრული ურთიერთობის აღდგენის აუცილებელი პირობა. ბაზრობა დახურეს კორუფციასთან ბრძოლის საბაბით. წაართვა ადამიანებს სამუშაო – ესაა კორუფციასთან ბრძოლა?!¹⁰

წყარო 10 ერგნეთის ბაზრობაზე ვაჭრობის შესახებ

ერგნეთის ბაზრობა „ვარდების რევოლუციამდე“¹¹ 7 წლის განმავლობაში არსებობდა. ბაზრობაზე ძირითადად რუსეთიდან შემოტანილი უაქციზო¹² ბენზინით, შაქრით, სიგარეტებით, ფქვილითა და ხორბლით ვაჭრობდნენ. სხვა საქონელიც იყიდებოდა, ძირითადად

⁷ სომხური ფულის ერთეული.

⁸ შსა-ს განჯის ოფისის მასალა: Садахло. Зеркало и модель Южного Кавказа. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://hcav.am/attachments/5d061sadakhlo> [1].pdf.

⁹ პ. ზაქარაიშვილი. გაზეთი „რეზონანსი“, 23 მარტი, 2008 წ. ციტატა ნიგნიდან „როგორ ვცხოვრობდით ერთად საქართველოში XX საუკუნეში“ – თბილისი, 2011. გვ.13.

¹⁰ იქვე.

¹¹ ვარდების რევოლუცია – რევოლუცია საქართველოში 2003 წლის ნოემბერში. რევოლუციის ძირითადი მიზეზი გახდა 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების ფალსიფიკაცია. რევოლუციის დღეებში პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოიხსნა უფლებამოსილება და ქვეყნის ხელმძღვანელობა გადავიდა ოპოზიციონერების ხელში მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით.

¹² აქციზი (ფრანგულიდან accise) – არაპირდაპირი გადასახადი ფართო მოცმარების საგნებზე (თამბაქო, ღვინო და სხვ.). შედის საქონლის ფასში და ამგვარად მას ფაქტობრივად მომხმარებელი იხდის, აქციზი თანამედროვე ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. ბევრი სახეობის საქონლის აქციზის ოდენობა ფასის ნახევარს, ზოგჯერ კი ორ მესამედსაც აღწევს.

კონტრაბანდული: ხილი, მარცვლეული, ბოსტნეული და ა. შ. კონფლიქტის შედეგად ერთ-მანეთს დაპირისპირებულ ქართველებსა და ოსებს ურთიერთობა ჰქონდათ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტებით ვაჭრობდნენ. ამ ურთიერთობიდან ჩანდა, რომ შერიგების რესურსი ჯერ არ იყო ამოწურული.¹³

ნყარო 11 ინგლისელი ჟურნალისტი კავკასიაში საზღვრისპირა ვაჭრობის შესახებ

კავკასია პატარა არასტაბილური რეგიონია. საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ერები თავად უნდა ესწრაფოდნენ თანამშრომლობას, რომ ინტეგრირებული რეგიონი შექმნან... კავკასიის მოსახლეობა ცდილობს ხელიდან არ გაუშვას შანსი და ყოველთვის იყენებს ერთობლივი ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობას.. ამის მაგალითია ორი ბაზრობის ისტორია. პირველია ერგნეთი, რომელიც უშუალოდ სამხრეთ ოსეთის (საქართველო) ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობდა... მეორე – საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე, სოფელ სადახლოში: უზარმაზარი აზერბაიჯანულ-სომხური ბაზრობა საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც არც ერთი ქართველი არ ჩანდა. აზერბაიჯანელები სომხურ საქონელს ყიდულობდნენ, სომხები – აზერბაიჯანულს. ერგნეთის მაღაზიები ამ საქონლით სავსე იყო. მთავრობის ზეწოლის შედეგად ბაზრობა შეავიწროვეს, თუმცა არ დაუხურავთ. ეს ეთნიკური თანამშრომლობის ჩახშობის კიდევ ერთი მაგალითია.

იურიდიული თვალსაზრისით ეს გამართლებული, კანონიერი ნაბიჯი იყო, მაგრამ, როგორც კონფლიქტების მოგვარების ყოფილი მინისტრი გიორგი ხაინდრავა ამბობს, „ერგნეთის ბაზრობა რომ არ ყოფილიყო, ის უნდა გამოგვეგონა“. კავკასიის რეგიონის მოვაჭრე ხალხებს შორის ნდობის აღსადგენად ეს ბაზრობა, ალბათ, ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იყო. გამორიცხული არ არის, რომ ახალი ომისკენ ნაბიჯი მაშინ გადაიდგა, როცა ბაზრობა დახურეს. პოლიტიკა განცალკევებით დგას მაშინ, როცა საერთო ეკონომიკური ინტერესები და უსაფრთხოების საკითხები ერთობლივად უნდა გადაიჭრას. სამხრეთ კავკასია ფაქიზი მექანიზმია, რომლის ერთი ნაწილის დაზიანება მაშინვე მთელ მექანიზმზე ვრცელდება.¹⁴



4. კიდევ რა არგუმენტებს მოიყვანდნენ რეგიონის მცხოვრებლები საზღვრისპირა ბაზრობების მხარდასაჭერად და საწინააღმდეგოდ (წყაროები 7, 9, 12, 15)?
5. დააკვირდით ფოტოებს (წყაროები 12-13). რა საქონელს სთავაზობენ ბაზრობაზე? როგორ არის ორგანიზებული ვაჭრობა, საქონლის შენახვა და მიწოდება?
6. როგორ ფიქრობთ, რა მოთხოვნა არსებობდა შეთავაზებულ საქონელზე (წყაროები 12-13)?

¹³ ლევან სეზისკვერაძე. გაიხსნება თუ არ ერგნეთის ბაზრობა? 23.01.2013. – ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16198&lang=geo>.

¹⁴ თომას დი ვალი, კავკასია: გატეხილი რეგიონი, ლონდონი, დეკემბერი 2008 ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://foreignpressge.blogspot.com/2008_05_01_archive.html.

წყარო 12 ვაჭრობა საზღვრისპირა ბაზრობაზე...



წყარო 13 ვაჭრობა საზღვრისპირა ბაზრობაზე...



წყარო 14 საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი სადახლოში ბაზრობის აღდგენის შესახებ

საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო საზღვრისპირა ტერიტორია ეკონტროლებინა და კონტრაბანდის ფაქტები აღეკვეთა. ჩემთვის გაუგებარია, რად უნდათ ამდენი მესაზღვრე, თუკი წესრიგი ვერ დაამყარეს. აღადგინონ ბაზრობა და გააკონტროლონ საზღვარი, მათ ეს შეუძლიათ. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ბაზრობის დახურვამ კონტრაბანდის პრობლემა ვერ მოაგვარა. დღესაც კი ხდება არალეგალური საქონლის გაცვლა ბაზრობის გარეშე...

ბაზრობის დახურვის შემდეგ საზღვრისპირა ტერიტორიის მოსახლეობა სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდა. ვისაც კრედიტი ჰქონდა აღებული, გადახდა ვერ შეძლო, რის გამოც მათი საკუთრების კონფისკაცია მოხდა. სახელმწიფო მათი ყოფის გაუმჯობესებაზე არ ზრუნავს. ბაზრობა დახურეს, მაგრამ ამ ხალხს სამაგიეროდ არანაირი სამუშაო არ შესთავაზეს.¹⁵

წყარო 15 ადგილობრივი მცხოვრებლები ერგნეთის ბაზრობის აღდგენის შესახებ

ადგილობრივების თქმით, ერგნეთის ბაზრობას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მათი აზრით, თუ ბაზრობა აღდგება, აქციზის დაკვრა თავად სოფელ ერგნეთში უნდა ხდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაბანდის რაოდენობა სწრაფად იმატებს და ბაზრობა კორუფციის ახალი წყარო გახდება.

ლიახვის ხეობაში მცხოვრები ზაზა კახაბრიშვილი: „სიიაფის გამო მთელი აღმოსავლეთი საქართველო ერგნეთში ყიდულობდა ფქვილს, შაქარს და სხვა პროდუქტებს. ადგილობრივები მხარს ვუჭერთ ბაზრობის აღდგენას, თუმცა არ გვინდა, რომ ცხინვალიდან პროდუქტებთან ერთად ნარკოტიკებიც შემოდის. ე შემოტანილი ნარკოტიკებით ქართველი და ოსი ახალგაზრდები ინამლებოდნენ და ბევრი მათგანი ნარკომანიის მსხვერპლი გახდა“.

გიორგი კასრაძე, ერგნეთის მცხოვრები: „ჩემს ოჯახს იმ დროზე კარგი არაფერი ახსოვს. ღამლამობით სახლიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო, რადგან ერგნეთში უკანონო სუფევდა და ვერ გაიგებდი, ვინ რას აკეთებდა. ერთხელ ნაცნობმა ოსებმა მთხოვეს ბენზინით სავსე ორმოცტონიანი „კამაზი“ შემენახა. მეორე დღესვე დაგვეცენენ ნიღბიანი უცნობები, მანქანაც წამართვეს და ფულიც, რაც კი გვქონდა. ვშიშობ, იგივე არ გამეორდეს. მით უმეტეს, დღესაც დაუცველები ვართ და რა მოხდება, ღმერთმა უწყის“.

მიუხედავად ასეთი განსხვავებული დამოკიდებულებისა, კონფლიქტის ზონასთან ახლოს მდებარე სოფლების მცხოვრებლები მაინც დადებითად აფასებენ ერგნეთის ბაზრობის აღდგენის პერსპექტივას. მათი აზრით, ომსა და მტრობას მაინც ბაზრობა სჯობს!¹⁶

¹⁵ ნონა სალაღია, სადახლოს მოსახლეობა „საზღვრისპირა სავაჭრო ცენტრის“ გახსნას ითხოვს, 23.04.2009 ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=7612&lang=geo>.

¹⁶ ლევან სეზისკვერაძე, გაიხსნება თუ არა ერგნეთის ბაზრობა? 23. 01. 2013. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16198&lang=geo>

წყარო 16 ბაზრობა და მოსახლეობის ცხოვრების წესი

2007 წელს ბაზრობა დაიხურა. ეს ნიშნავდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას უნდა დაბრუნებოდა. ამისთვის კი ისინი მზად არ იყვნენ, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბაზრობის არსებობამ მთლიანად შეცვალა სადახლოელთა ცხოვრების წესი. ხალხი იმდენად შეეჩვია ბაზრობიდან მიღებულ მოგებას, რომ დიდად არ ესწრაფვის კვლავ ტრადიციულ ხვნა-თესვაზე გადასვლას.¹⁷



7. როგორ ფიქრობთ, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ხელისუფლება, როდესაც ბაზრობა დახურა (წყაროები 9-10, 12-13, 15, 17-19)?
8. დააკვირდით ფოტოებს (წყაროები 12-13). როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა ხელისუფლება საქონლის ხარისხისა და გადასახადების გადახდის გაკონტროლებას?

წყარო 17 სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ვაჭრობა არ წყდება...

დილის 8 საათზე მესაზღვრეები ჭიშკარს ალებენ და დიდი ტომრებით დატვირთული 1000-ზე მეტი ადამიანი სომხეთის სოფელ ბაგრატაშენიდან ქართულ სოფელ სადახლოსკენ მიეშურება. ზოგიერთი ურიგოდ გასვლას ცდილობს, მაგრამ ქართველი მესაზღვრეები მათ უკან აბრუნებენ... ჭიშკრის გავლის შემდეგ მოვაჭრეები აღმოჩნდებიან ქართულის სოფლის სადახლოს უზარმაზარ საერთაშორისო ბაზრობაზე. ეს სოფელი არაფრით გამოირჩევა, მხოლოდ ბაზრობით და იმით, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს ესაზღვრება. სადახლოს ბაზრობა უნიკალური მოვლენაა: ის სომხებისა და აზერბაიჯანელების სავაჭრო პუნქტად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სადავო ტერიტორიის – მთიანი ყარაბაღის გამო ყველანაირი ოფიციალური კონტაქტი განწყვეტილია. არ ასახულა ამ მდგომარეობაზე არც საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუცია“, რომელსაც კონტრაბანდასთან ბრძოლა მოჰყვა. შეცდნენ ისინიც, ვინც ბაზრობას დახურვას უწინასწარმეტყველებდა. ბაზრობას ხელმძღვანელობენ ქართველები, მყიდველების 95 პროცენტი კი სომხები არიან. სომხეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის მონაცემებით, ამ ბაზრობაზე ყოველკვირეულად 5500 ადამიანი დადის. ოფიციალური მონაცემებით, 2004 წელს სადახლოდან სომხეთში 1,8 მილიონი დოლარის საქონელი შევიდა, რეალური ციფრები კი, სავარაუდოდ, უფრო დიდი უნდა იყოს.¹⁸

¹⁷ Погосян Анна. Садахло как нейтральная зона армяно-азербайджанских контактов: использование торговли в качестве средства для трансформации конфликта. ელექტრონული რესურსი: «Кавказский выпуск». ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://caucasusedition.net/ru/blog/садахло-как-нейтральная-зона-армяно-а/>.

¹⁸ «Кавказский узел». ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/79267/?print=true>

წყარო 18 ყოფილი დიპლომატი საქართველოსთვის საზღვრისპირა ვაჭრობის ეკონომიკური შედეგის შესახებ

საქართველოს ყოფილი ელჩი უზბეკეთსა და ტაჯიკეთში გიგი კუბლაშვილი, რომელიც ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე მუშაობდა: „ბაზრობა მხოლოდ რუსეთის მაფიოზურ კლანებსა და სეპარატისტებს გაამდიდრებს და, რაც მთავარია, საქართველოს ეკონომიკას უზარმაზარ ზიანს მიაყენებს. ე. წ. ერგნეთის ბაზრობის ფუნქციონირების პერიოდში (2004 წლამდე) აღურიცხავი, დაუბეგრავი, მათ შორის ქვეყნისთვის სტარტეგიულად მნიშვნელოვანი საქონლის შემოტანის გამო საქართველოს ბიუჯეტი მილიარდობით დოლარს კარგავდა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო კრიმინალური მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ ე. წ. ერგნეთის ბაზრობასთან ისო დაკავშირებული. სწორედ აქედან შემოდიოდა ნარკოტიკები და აქედანვე გაყავდათ მოპარული მანქანები. შესაშვოთებლად ეს მაგალითებიც საკმარისია.¹⁹

წყარო 19 ბრიტანელი მკვლევრის წიგნიდან

2001 წლის მარტში სომხეთის ფინანსთა მინისტრმა არდან ხაჩატრიანმა სადახლოს ბაზრობის დახურვა მოითხოვა და იგი „კორუფციის ბუდედ და სომხეთში კონტრაბანდის ნაკადის ძირითად არხად“ გამოაცხადა. მინისტრის თქმით, ამ ბაზრობიდან ქვეყანაში სამასიდან ოთხას მილიონ დოლარამდე ღირებულების დაუბეგრავი საქონელი შედის, ეს თანხა კი სომხეთის ბიუჯეტის მთელი საშემოსავლო ნაწილის ტოლია. ამის სანაწილმდეგოდ რიგითმა ადამიანებმა შეიძლება თქვან, რომ ბაზრობა აკეთებს იმას, რასაც ხელისუფლება არ აკეთებს – მოსახლეობას თავის რჩენისა და ჩაცმა-დახურვის საშუალებას აძლევს.²⁰



9. რატომ აყენებს ზოგიერთი პოლიტიკოსი კვლავ ბაზრობების გახსნის საკითხს (წყაროები 14, 15, 20-22)?
10. თქვენი აზრით, რასე შეიძლება მოახმაროს სახელმწიფომ სააქციზო გადასახადით, სავაჭრო მოსაკრებლით და გადასახადებით შემოსული თანხა?

წყარო 20 სადახლოს ბაზრობის მომავლის შესახებ

ღია სააქციო საზოგადოება „კავკასიის სავაჭრო-საინვესტიციო ცენტრი“ 2010 წელს დაარსდა. ამ კომპანიამ 2012 წელს გამოიტყვა სურვილი აღედგინა სადახლოს ბაზრობა, რომელიც 6000-კაციან მრავალეროვნულ ჯგუფს სამუშაოთი უზრუნველყოფდა. ამ კომპანიას ეკუთვნის 50 000 კვ.კმ-ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც მალე 15 000 კვ.მ-ის ფართობის სავაჭრო ცენტრი აშენდება.²¹

¹⁹ Эргнетский рынок – самоубийство экономики Грузии?! ელექტრონული რესურსი Иверия, 14 ноября 2014 года. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://iveria.biz/615--.html>

²⁰ Томас де Ваал. Черный сад. Цит. по: Том де Ваал. Заключение. Садахло: будущее. ვებგვერდი BBC. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://news.bbc.co.uk/hi/russian/in_depth/newsid_4685000/4685199.stm.

²¹ ელექტრონული რესურსი «Sadakhlo-Mall». ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.facebook.com/pages/Sadakhlo-Mall/130432473807578>

წყარო 21 ბაზრობა, როგორც რეგიონის ეკონომიკის განვითარების სტიმული

ცხოვრების რეალური პირობები ის სტიმული აღმოჩნდა, რომელმაც ფრონტის ხაზის ორივე მხარეს მყოფ ადმიანებს უბიძგა კონფლიქტის ლოგიკის სანინააღმდეგოდ ერთმანეთთან ვაჭრობა დაეწყოთ, როგორც ეს სადახლოს შემთხვევაში მოხდა. ეს ბაზრობა არსებობდა საზღვარზე აზერბაიჯანელებით დასახლებულ საქართველოს ტერიტორიასა და სომხეთს შორის. მაგრამ ქვეყნის სერიოზული ეკონომიკური ინტერესები სწორედ ასეთ პროცესებთან არის დაკავშირებული. „სერიოზულ ეკონომიკურ ინტერესებში“ ვგულისხმობ, რომ ვაჭრობის გაფართოება უზრუნველყოფდა ამ რეგიონის პოტენციურ ეკონომიკურ განვითარებასა და სადახლოს მიმდებარე სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.²²

წყარო 22 სამოქალაქო აქტივისტები სადახლოსა და ერგნეთში ბაზრობების აღდგენის შესახებ

ზაურ დარგალი, სამოქალაქო აქტივისტი მარნეულიდან: „თუ გახსოვთ, სადახლოში არსებობდა ბაზრობა, სადაც სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები ერთად ვაჭრობდნენ. „თეძალის პროცესის“²³ კონტექსტში საზღვრისპირა ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა მშვიდობის დამყარების კარგი წინაპირობა იქნება“.

მიხეილ მირზიაშვილი, ფინური ორგანიზაციის „კრიზისების მართვის ინიციატივა“ რეგიონალური პროექტის მენეჯერი: „ერგნეთის ბაზრობა ხელს უწყობდა ურთიერთობას, მხარეებმა ერთმანეთის იმედების შესახებ ასე თუ ისე იცოდნენ, ქართველები თავისუფლად შედიოდნენ ცხინვალში, ოსები კი, ეკონომიკური თუ სხვა საჭიროებებისთვის – თბილისში. ასეთ საზოგადოებებს შორის კონფლიქტის პროვოცირება ძნელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი თავიდან აცილება ვერ შევძელით“.²⁴

შემაჯამებელი კითხვა

რამდენად უწყობს ხელს საზღვრისპირა ვაჭრობა ვითარების სტაბილიზაციას რეგიონში?

²² Погосян Анна. Садахло как нейтральная зона армяно-азербайджанских контактов: использование торговли в качестве средства для трансформации конфликта. – ელექტრონული რესურსი «Кавказский выпуск». ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://caucasusedition.net/ru/blog/sadaxlo-kak-neytralnaya-zona-armyano-a/>.

²³ საქართველოს მარნეულის რაიონის საზღვრისპირა სოფელ თეძალში იკრიბებოდნენ კავკასიის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის დიალოგში დაპირისპირებული მხარეების დაახლოების მიზნით.

²⁴ დავით მჭედლიძე, თეძალი – დიალოგის საზღვრისპირა კუნძული, რადიო თავისუფლება, 24.07.2012. ელექტრონული რესურსი. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.radiotavisupleba.ge/content/tekali/24655360.html>.

თანამედროვე შრომითი მიგრაცია და მისი გავლენა საზოგადოებაზე

- რა გავლენას ახდენს თანამედროვე შრომითი მიგრაცია
მოლდოვურ საზოგადოებაზე?



1. დააკვირდით წყაროებს 1-2. რა გძნობებს იწვევს თქვენში ფოტოები?
2. რა საერთო სიტყვა ან ფრაზა შეგიძლიათ შეურჩიოთ სათაურად ამ ფოტოებს?

წყარო 1 შეხვედრა ნათესავებთან კიშინიოვის რკინიგზის სადგურზე¹



¹ შაბათ-კვირას ან შვეებულებით, ასევე, ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებზე მიგრანტები შინ ჩადიან.
პ. ჩერბუშკას ფოტო, 2014 წ.

წყარო 2 მიგრანტი მუშები მოსკოვში²



ბლოკი 1. მიგრანტების იმედები და სახელმწიფოთა პოლიტიკა

◆ ისტორიული ცნობა 1


შრომითი მიგრაცია ჩვეულებრივი პროცესია, რომელიც ყველა ისტორიულ პერიოდში არსებობდა და ადამიანის საქმიანობის ნაწილია. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგი რეფორმების გაჭიანურებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნის – მოლდოვას, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვების – ეკონომიკურ განვითარებაზე. მოქალაქეთა ცხოვრების დონის დაცემამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ დროებითი შრომითი მიგრაციის გაზრდა გამოიწვია. ბევრი მოლდოველი, უკრაინელი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საზღვარგარეთ გაემგზავრა.



3. რა არის შრომითი მიგრაციის მიზეზი?
4. დააკვირდით რუკას (წყარო 3). სად მიემგზავრებიან მიგრანტები მოლდოვიდან? რატომ მიდიან სწორედ ამ ქვეყნებში?
5. როგორ ფიქრობთ, რისი იმედი აქვთ ადამიანებს, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოს საძებნელად? რაზეა დამოკიდებული ამ იმედების გამართლება?
6. გააანალიზეთ წყაროები 4-6 და გამოიტანეთ დასკვნა, რა პრობლემებს აწყდებიან საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად ჩასულნი?
7. რა მიანიშნებს წყაროებში 4-8 რუსეთის, ევროკავშირის ქვეყნებისა და მოლდოვას ხელისუფალთა დამოკიდებულებას მოლდოველი შრომითი მიგრანტებისადმი? ახსენით ამა თუ იმ დამოკიდებულების მიზეზები. როგორ ფიქრობთ, ვრცელდება თუ არა ასეთი დამოკიდებულება სხვა ქვეყნებიდან ჩასულ მიგრანტებზე? რატომ?

² რუსეთში შესვლის აკრძალვის შესახებ ინფორმაციას მოიძიებთ ელექტრონული რესურსზე Газета MD. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://gzt.md/article/%D0%BE%D0%B1%D1%89%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B2%D0%BE/18144/>.

წყარო 3 ევროპის რუკა, მოლდოვითა და შრომითი მიგრანტების ნაკადებით



წყარო 4 მიგრანტებს იერიში მიაქვთ რუსეთის ფედერალური საიმომარაციო სამსახურის მოსკოვის ოლქის სამმართველოს შრომითი მიგრაციის საკითხთა განყოფილებაზე. აქ იღებენ მუშაობის ნებართვას.³



³ Путь гастарбайтера: от вокзала до вокзала. ელექტრონული რესურსი FORBES <http://m.forbes.ru/>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://m.forbes.ru/article.php?id=240561>. ვებ-რესურსზე შესვლის თარიღი – 01.04.2014.

წყარო 5 სად ეძებონ სამუშაო?

რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით რუსეთში ამჟამად მოლდოვას 750 ათასი მოქალაქე შრომობს, რომელთაგანაც აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს მუშაობის ნებართვა. რუსეთში დაიწყო აქტიური ბრძოლა გასტარბაიტერების წინააღმდეგ. აქ ბევრ რეგიონში ორგანიზებულია ბანაკები უკანონო მიგრანტებისთვის.

ევროპაში კი მოლდოვას მოქალაქეთა უმრავლესობა ლეგალურად იმყოფება, შესაბამისად, სამუშაოდაც ევროპული კანონმდებლობის თანახმად ეწყობა. და საქმე ის კი არ არის, რომ ევროკავშირის ქვეყნები ესოდენ ლოიალური არიან მოლდოვას მოქალაქეებისადმი: იქ ჩასული მოლდოველების ძირითად ნაწილს რუმინეთის პასპორტები აქვს, რაც კანონიერად ცხოვრებისა და მუშაობის საშუალებას აძლევთ.⁴

წყარო 6 რუსეთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების მინისტრის იგორ სლიუნიაევის გამოსვლიდან

ჩვენს წინაშე მდგომი ძირითადი პრობლემაა დეპოპულაციიდან⁵ გამოსვლა. თუ ამ პრობლემას არ გადავწყვეტთ, ყველა დანარჩენმა პრობლემამ რამდენიმე ხანში შეიძლება აქტუალურობა დაკარგოს. ჰოდა მიგრანტების, ჩვენი თანამემულებების დაბრუნება ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ფორმაა. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს დიდი მიგრაციული პოტენციალი აქვთ – მხედველობაში მაქვს მართვადი ლეგალური მიგრაცია სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საზღვარგარეთ დარჩენილ თანამემამულეთა გადმოსახლების პროგრამის ფარგლებში. სამწუხაროდ, კვლავინდებურად მოუწესრიგებელი რჩება შრომითი მიგრაციის ნაკადები. ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს, ართულებს კრიმინოგენულ ვითარებას და ერთ-თაშორის ურთიერთობას.⁶

წყარო 7 მოლდოვას მთავრობის ყოფილი შრომითი მიგრანტების მხარდაჭერის ღონისძიებათა გეგმიდან

მოლდოვას მთავრობა კვლავ მოუწოდებს საზღვარგარეთ მომუშავე თანამემამულეებს შინ დაბრუნდნენ და თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. ხოლო იმისათვის, რომ სტიმული მისცეს შრომითი მიგრანტების დაბრუნების პროცესს, შრომის სამინისტრომ შეიმუშავა გუშინდელ გასტარბაიტერთა მხარდაჭერის არაერთი ღონისძიება.

ღონისძიებათა გეგმა ითვალისწინებს მოქალაქეთა სოციალური, სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესებას და უფრო სრულ ინფორმირებას მოლდოვას რესპუბლიკაში შრომითი მონაცობის შესაძლებლობათა შესახებ. სხვასთან ერთად, ხელისუფალნი აპირებენ მოსახლეობის დასაქმების ტერიტორიულ სააგენტოებთან შექმნან სპეციალური ოფისები, სადაც მოქალაქეებს შეეძლება კონსულტაციის მიღება მიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხებზე. კიდევ ერთი ღონისძიება, რომელმაც შრომით მიგრანტებს

⁴ Судьбы мигрантов. ელექტრონული რესურსი <http://www.puls.md>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.puls.md/ru/content/sudby-migrantov> ადაპტირებული ტექსტი. ვებ-რესურსზე შესვლის თარიღი – 01.04.2014.

⁵ დეპოპულაცია – რომელიმე ქვეყნის ან ტერიტორიის მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვის სისტემატური შემცირება.

⁶ Россия ждет из СНГ соотечественников, но не нерегулируемую трудовую миграцию. ადაპტირებული ტექსტი. ელექტრონული რესურსი <http://www.newsmoldova.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.newsmoldova.ru/society/20130212/193004457.html>. ვებ-რესურსზე შესვლის თარიღი – 01.04.2014.

დაბრუნების სტიმული უნდა მისცეს, ითვალისწინებს საზღვარგარეთ მუშაობის დაწყებამდე ან მუშაობის დროს მიღებული სპეციალობებისა და უნარ-ჩვევების აღიარებას. შრომის, სოციალური დაცვისა და ოჯახის სამინისტროს მონაცემებით, სამშობლოში დაბრუნების სურვილი ჩვენი ქვეყნის საზღვარგარეთ მომუშავე მოქალაქეთა დაახლოებით სამოცმა პროცენტმა გამოთქვა.⁷

წყარო 8 გერმანიაში მოლდოვას რესპუბლიკის საელჩოს საიტზე 2013 წლის 8 თებერვალს გამოქვეყნებული ინფორმაციიდან

ეკონომიკაში ფულადი გზავნილების მოზიდვის პროგრამა „PARE 1+1“⁸ 2015 წლამდეა გაგრძელებული.

მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობამ გააგრძელა პროგრამა „PARE 1+1“ მიგრანტებისა და მათი პირველი რიგის ნათესავებისათვის, რომლებსაც სურთ ინვესტირება მოლდოვაში ბიზნესის დაწყებასა თუ გაფართოებაში.

პროგრამა ხორციელდება 1+1 პრინციპით, რომლის თანახმადაც, ფულადი გზავნილებიდან ჩადებულ ყოველ ლეიზე⁹ პროგრამიდან ერთი ლეი გამოიყოფა. დაფინანსების მაქსიმალური თანხა 200 ათას ლეის შეადგენს. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტი უსასყიდლოა.

ამასთან დაკავშირებით მცირე და საშუალო ბიზნესის ორგანიზაცია მოუწოდებს მოლდოვას საზღვარგარეთ მომუშავე მოქალაქეებს და/ან მათ პირველი რიგის ნათესავებს, დარეგისტრირდნენ პროგრამაში 5 თებერვლიდან.¹⁰

ბლოკი 2. მიგრაცია, ოჯახი და დემოგრაფია

8. როგორია მიგრანტების რაოდენობის დინამიკა (წყარო 9-ის მიხედვით)?
9. წყარო 10-ის მეშვეობით, განსაზღვრეთ მიგრანტებისა და მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილის თანაფარდობის დინამიკა. როგორ ფიქრობთ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას მოლდოვასთვის?
10. წყაროების 11-14 საფუძველზე განსაზღვრეთ, როგორ გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია მოლდოვას მოსახლეობის სტრუქტურაზე (სხვადასხვა ასაკის ადამიანების, ქალებისა და მამაკაცების, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა, შობადობის დონე).
11. წყაროებზე 11-14 დაყრდნობით განსაზღვრეთ, რა გავლენას ახდენს ცვლილებები მოსახლეობის სტრუქტურაში ოჯახების შექმნასა და შობადობაზე ქვეყანაში? თქვენი აზრით, როგორ იცვლება ოჯახის შემადგენლობა, მის წევრთა სოციალური როლი და მათი ურთიერთდამოკიდებულება?
12. როგორ ფიქრობთ, რატომ უწოდებენ მოლდოვას „მარტოხელა ბავშვებისა და მოხუცების ქვეყანას“?

⁷ Министерство Труда Молдовы разработало план действий по поддержке бывших трудовых мигрантов, 21 апреля 2014, ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://news.mail.ru/inworld/moldova/society/17917117/?frommail=1> ადაპტირებული ტექსტი. ვებ-რესურსზე შესვლის თარიღი – 25.04.2014.

⁸ პროგრამის მიზანია მიიზიდოს შრომითი მიგრანტების სახსრები მოლდოვას ეკონომიკაში ინვესტიციების სახით.


⁹ ლეი – მოლდოვას ფულადი ერთეული.

¹⁰ გერმანიაში მოლდოვას საელჩოს საიტი. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.germania.mfa.md/embassy-news-ru/494034/>.

წყარო 9 შრომითი მიგრაციის ინტენსიურობა

2000-2011 წლების პერიოდში შრომითი მიგრაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოლდოვას ფარგლებს გარეთ სამუშაოს საძებნელად დროებით წასულ მოქალაქეთა წილი გაიზარდა 3,8 პროცენტიდან 8,3 პროცენტამდე, ხოლო მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიურ ნაწილთან თანაფარდობა – 8,4 პროცენტიდან 25,2 პროცენტამდე (იხ. დიაგრამა).¹¹

წყარო 10¹² დროებითი შრომითი მიგრაციის დინამიკა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან თანაფარდობით. მოლდოვას რესპუბლიკა, 2000-2011 წწ.



წყარო 11 მიგრაციის შედეგები¹³

მოლდოვას მცხოვრებთა საერთო რაოდენობიდან (3,6 მილიონი კაცი) თითქმის ერთმა მილიონმა დატოვა სამშობლო და საზღვარგარეთ მუშაობს. მათგან 66 პროცენტი 20-დან 40 წლამდე ასაკისაა. შრომითი მიგრანტების უმრავლესობა მიდის რუსეთში სეზონურ სამუშაოებზე (როგორც წესი, სოფლელი მამაკაცები), ასევე, იტალიაში (განსაკუთრებით ქალები) და სხვა ქვეყნებში, როგორცაა საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი.

წყარო 12 შრომითი მიგრაციის გავლენა საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაზე

მოლდოვას მოსახლეობის ხანგრძლივი შრომითი მიგრაცია უარყოფით გავლენას ახდენს შობადობის დონეზე: სამუშაოდ მიდის ყველაზე აქტიური შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, რაც იწვევს საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურის დარღვევას.

¹¹ Марианна Буччану-Врабие. Трудовая миграция из Молдовы. ადაპტირებული ტექსტი. ელექტრონული ჟურნალი Демоскоп Weekly, № 515-516. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://demoscope.ru/weekly/2012/0515/tema01.php>. ვებ-რესურსზე შესვლის თარიღი – 01.05.2014.


¹² იქვე.

¹³ Миграция легальная и нелегальная. Перевод с румынского языка. ადაპტირებული ტექსტი. <http://2011.europa.md/subpagina/arata/32/Migratia%20legala%20si%20ilegala> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://2011.europa.md> ვებ-რესურსზე შესვლის თარიღი – 01.05.2014.

მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილებები შესამჩნევია ყველა დასახლებულ პუნქტში, მაგრამ სოფლები ამ მხრივ ყველაზე მეტად დაზარალდა.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია მიგრაციული ნაკადების მიმართულება და გენდერული უპირატესობები, ბევრ სოფელში მასობრივი მოვლენა ხდება ის, რომ იქ საერთოდ აღარ არიან შრომისუნარიანი (რეპროდუქციული¹⁴) ასაკის ქალები ან მამაკაცები. შრომით მიგრაციაში ჩართული ახალგაზრდობა სამერმისოდ გეგმავს ოჯახის შექმნას და ბავშვების გაჩენას. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მიგრანტების ნაწილი საბოლოოდ დარჩება იმ ქვეყნებში, სადაც მუშაობს. მოლდოვასთვის ეს პირდაპირი დემოგრაფიული დანაკარგია, რომელსაც შეიძლება დავუმატოთ არაპირდაპირი დანაკარგებიც – მათი შვილები უკვე სხვა ქვეყნებში დაიბადებიან.¹⁵

წყარო 13 მოსახლეობის მიგრაცია იალოვენის რაიონის სოფელ კარბუნადან¹⁶



წყარო 14 მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიაში კონფერენციაზე მეცნიერი თანამშრომლების გამოსვლებიდან

კიდევ ერთი პრობლემაა უდედოდ ან უმამოდ, ზოგჯერ კი, სულაც უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების მდგომარეობა, რომელთა მშობლებიც საშოვარზე არიან წასული. ასეთი, დედ-მამის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს არავინ ითვლის. მათი რიცხვი კი, სხვადასხვა შეფასებით, 100 ათასს აღემატება. მიმდინარეობს ხანდაზმულთა წილის ზრდის პროცესი. პროგნოზების მიხედვით, 2050 წლისთვის ხანდაზმულთა რიცხვი გაორმაგდება.¹⁷

¹⁴ რეპროდუქციული ასაკი – ასაკი, რომელშიც ადამიანებს ფიზიოლოგიურად შეუძლიათ შვილების ყოლა.

¹⁵ Гагауз О.Е. Низкая рождаемости в Молдове. ელექტრონული ჟურნალი Демоскоп Weekly, № 515-516. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://demoscope.ru/weekly/2011/0457/index.php> ვებ-რესურსზე შესვლის თარიღი – 25.04.2014.

¹⁶ Трудовая миграция. Национальное бюро статистики. Кишинев, 2012.

¹⁷ Эксперты обсудили аспекты миграции и ее влияние на социальную безопасность в Республике Молдова. ელექტრონული რესურსი <http://ru.sputnik.md/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://ru.sputnik.md/archive/20110616/>.

ბლოკი 3. მიგრაციის გავლენა ადამიანთა ცხოვრების წესსა და კეთილდღეობაზე



13. წყარო 17-ის დახმარებით, გაანალიზეთ წყაროები 15-16. გამოავლინეთ ცვლილებები, რომლებიც მიგრაციის გავლენით ხდება მოლდოვური სოფლების მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაში. შეადარეთ იმ შემთხვევებს, რომელიც საკუთარი გამოცდილებიდან იცით.

წყარო 15 წყალმომარაგება
მიგრაციულ პროცესებამდე.
პ. ჩერბუშკას ფოტო, 2014.



წყარო 16 წყალმომარაგება
მიგრაციული პროცესების შემდეგ.
პ. ჩერბუშკას ფოტო, 2014.



წყარო 17 სოფელ რეზენის მკვიდრის ირინა ბალანის ინტერვიუდან¹⁸

ბავშვობიდან წყალს ჭიდან ვეზიდებოდი, ჩვეულებრივ, 500-700 მეტრის მანძილზე. ეს ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა, რადგან ჩვენ სოფელში ყველა ასე იყო. მაგრამ გავიდა დრო და სულ უფრო მიჭირდა ორი ვედროს თრევა. წყლით სავსე ვედროებიც თითქოს დამძიმდა და ჭისკენ მიმავალი გზაც უკვე უფრო გრძლად მეჩვენებოდა.

მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი საზღვარგარეთ წავიდა სამუშოდ, ყველაფერი კარდინალურად შეიცვალა. როცა სახლში ბრუნდებოდა შვებულებით, ყოველთვის რაღაცას ცვლიდა სახლშიც და მის გარშემოც. ჯერ სახლში ევროპული ყაიდის რემონტი გავაკეთეთ, მერე ეზო გადავაკეთეთ. მენტალიტეტიც შეგვეცვალა, მაგალითად, ხალიჩები სილამაზისთვის კედელზე აღარ დავკიდეთ, იატაკზე დავაფინეთ, ეს უფრო პრაქტიკულად მომეჩვენა. ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ წყალი მიღებით სახლში შევიყვანეთ, ავაშენეთ აბაზანა და ტუალეტი სახლში, თორემ აქამდე ტუალეტი მარტო გარეთ გვექონდა.

რა თქმა უნდა, ახლა უფრო ადვილია – ონკანს გახსნი და აი შენი წყალიც, თუნდაც უფრო ძვირი იყოს, ვიდრე ჭიდან თრევა. დიდი მადლობა ჩემს შვილს ცვლილებებისთვის, რომლებმაც ცხოვრება გაგვიადვილა.

¹⁸ ინტერვიუ 1958 წელს დაბადებულ ირინა ბალანთან. ჩაინერა პ. ჩერბუშკამ, სოფ. რეზენი, 2014 წლის 12 აგვისტო.



14. წყაროებზე 3, 18 და 25 დაყრდნობით განსაზღვრეთ, რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია ცხოვრების დონეზე მოლდოვაში.
15. როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებები მოხდა მოლდოველთა ყოფა-ცხოვრებაში საზღვარგარეთ ნაშოვნი ფულის წყალობით?

წყარო 18 მსოფლიო ბანკის მასალებიდან მოლდოვას ეკონომიკის შესახებ

2010-2011 წლებში ფულადმა გზავნილებმა და ინვესტიციებმა შიდა მოთხოვნილება გაზარდა, ძლიერ იმატა ექსპორტმა.

ბოლო წლების ეკონომიკურმა განვითარებამ დასწია მოსახლეობის სიღარიბის დონე და ორივე მხარის აყვავება უზრუნველყო. სიღარიბისა და სიღატაკის დონემ (ეროვნული სტანდარტებით) იმდენად დაიწია, რომ მოლდოვა ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერი გახდა სიღარიბის დონის დაწევის მიხედვით. მოხმარების საშუალო დონის ზრდას ხელი შეუწყო მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი 40% მოსახლეობის მოხმარების ზრდამაც... ასეთი შედეგები აიხსნება ეკონომიკური ზრდით და მასთან დაკავშირებული მოსახლეობის შემოსავლის ისევე, როგორც კერძო ფულადი გზავნილების ზრდით.¹⁹



16. წყაროებზე 19-20 დაყრდნობით ახსენით, როგორ შეუძლია შრომითი მიგრაციას ხელი შეუწეოს ეკონომიკის აღმავლობას და ბიზნესის წარმართვის ხასიათის შეცვლას მოლდოვას რესპუბლიკაში.

წყარო 19 „ახალი ამბების“ სიუჟეტიდან

2013 წელს „PARE 1+1“²⁰ პროგრამით დაფინანსდა სამჯერ მეტი პროექტი, ვიდრე წინა წელს. სამი წლის მანძილზე პროგრამის ფარგლებში სამასზე მეტმა მეწარმემ გრანტების სახით 53 მილიონი ლეი მიიღო, ხოლო მათმა წვლილმა 160 მილიონი ლეი შეადგინა. ამგვარად, სახელმწიფოს მიერ ჩადებულმა ერთმა ლეიმ სამი ლეი კერძო ინვესტიციები მოიზიდა.²¹

წყარო 20 ინფორმაციიდან „PARE+1“ პროგრამის საზედამხედველო კომიტეტის სხდომის შესახებ

დაფინანსების შესახებ განაცხადების ანალიზი მოწმობს, რომ შრომითი მიგრანტები დაგროვილი სახსრების ინვესტირებას ახდენენ უპირატესად სოფლის მეურნეობაში 20 პროექტი (38%), მომსახურების სფეროში – 16 პროექტი (31%), წარმოებაში/გადამუშავებაში – 13 პროექტი (25%), ტურიზმის სფეროში რეგისტრირებულია ერთი განაცხადი.²²

¹⁹ მსოფლიო ბანკის საიტი. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე <http://www.worldbank.org/en/country/moldova/overview>.

²⁰ “PARE 1+1” პროგრამის შესახებ იხ. წყარო 8.

²¹ Всѣ больше молдавских мигрантов подают заявки на участие в программе PARE 1+1. Новостной портал publika.md. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე http://ru.publika.md/link_1199311.html

²² ელექტრონული რესურსი <http://www.noi.md/ru> Независимый информационный портал. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.noi.md/ru/news_id/32849.

ბლოკი 4. მიგრაციის გავლენა კულტურულ ტრადიციებსა და ადამიანთა აზროვნებაზე

17. ისტორიულ ცნობა 2-სა და წყაროებზე 21 და 23 დაყრდნობით ახსენით, როგორ აცნობენ მიგრანტები თავიანთ სამშობლოს რეციპიენტი²³ ქვეყნების მცხოვრებლებს.

◆ ისტორიული ცნობა 2

საზღვარგარეთ მუშაობისას ბევრმა მოლდოველმა მიგრანტმა ახალი ოჯახი შექმნა. ზოგიერთმა მათგანმა ამ ქვეყნებში საცხოვრებლად დარჩენა მოისურვა და დარწმუნებულია, რომ აქ მისი „სახლია“, მაგრამ როდესაც მიგრანტები სხვადასხვა მიზეზით საზღვარგარეთიდან ბრუნდებიან, ამტკიცებენ, ჩვენი სამშობლო მოლდოვაა და სწორედ აქ არის ჩვენი ნამდვილი სახლი.

შინ დაბრუნებულ მოლდოველებს ხშირად საზღვარგარეთ შეძენილი მეგობრები ახლავთ ხოლმე. ხშირად ახალმა მეგობრებმა იციან მოლდოველი კულტურის, მოლდოვას ლამაზი ბუნების, ეროვნული სამზარეულოს ელემენტების, ეროვნული ან ადგილობრივი დღესასწაულების (დროშის დღე, მერციშორი,²⁴ ღვინის დღესასწაული და სხვ) შესახებ. საზღვარგარეთ ისინი ეროვნულ კერძებს ამზადებენ, ჩუქნიან ნაცნობებს სუვენირებს, ეროვნულ ტანსაცმელს იცვამენ, მონაწილეობენ კონცერტებსა და პრეზენტაციებში.



წყარო 21 ნიდერლანდებში მოლდოველმა მიგრანტებმა 2014 წლის 1 მარტს მოაწყვეს სახელოსნო მერციშორების დასამზადებლად, რომლებსაც შემდეგ პოლანდიელ მეგობრებს ჩუქნიდნენ. 2014 წ.²⁵

18. დააკვირდით წყარო 22-ს. როგორ ფიქრობთ, რაზე შეიძლება საუბრობდნენ ამ მაგიდსათან მსხდომნი? წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხართ (აირჩიეთ პერსონაჟი). რას ხედავთ, რა გესმით, რას ფიქრობთ და გრძნობთ? წყვილ-წყვილად ან ჯგუფურად მოიფიქრეთ და გაითამაშეთ დიალოგი უცხოეთიდან დროებით ჩამოსულ მიგრანტს (მიგრანტებს) და სამშობლოში მცხოვრებ მის ახლობლებს შორის.

²³ რეციპიენტი ქვეყნები (ლათინურიდან რეციპიენს – მიმღები) – ქვეყნები, რომლებშიც მიგრანტები სახლდებიან.

²⁴ მერციშორი (Mărțișor, რუმინულიდან Martie – მარტი) – მოლდოვაში გაზაფხულის შეხვედრის ტრადიციული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება 1 მარტს. ამ დღეს მოლდოველები ერთმანეთს ჩუქნიან თეთრი და წითელი ძაფებით დამზადებულ სამკაულს, რომელსაც ისევე, როგორც დღესასწაულს, მერციშორი ეწოდება.

²⁵ ფოტოს ავტორია მოლდოვის სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული დიასპორებთან კავშირ-ურთიერთობის ბიუროს ხელმძღვანელი ვიქტორ ლუტენკო.



წყარო 22
სააღდგომოდ
შინ ჩასული
მიგრანტების შეხვედრა
ახლობლებთან
(იალოვენის
რაიონის სოფ.
რეზენი, მოლდოვას
რესპუბლიკა).
პ. ჩერბუშკას ფოტო,
2013 წ.



19. რას მოუყვებოდა თავიანთ ახლობლებს წყაროების 23 და 24-ის შინ ჩასული გმირები?
20. როგორ ფიქრობთ, რა რეაქცია ექნებოდათ მსმენელებს ამ მონათხრობზე? დამატებითი ინფორმაციისთვის გამოიყენეთ წყარო 25.
21. წყაროებზე 23 და 24 დაყრდნობით ახსენით, რატომ ამბობენ ხალხში, მიგრანტებს „ორი სახლი“ აქვთო. რას ფიქრობენ ამის თაობაზე ინტერვიუს ავტორები?

წყარო 23 ნაწყვეტი მოლდოვადან ჩასული ემიგრანტი ქალის მიერ ჟურნალ „Aquarelle“-ისთვის 2006 წლის მაისში მიცემული ინტერვიუდან²⁶

— თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ უცხო ქვეყანაში წარმატებას მიაღწიოს?

— ჰოლანდიაში უკვე შვიდი წელია ვცხოვრობ, უცხოეთში კი – ათი. ჰოლანდია ახლა ჩემი სახლია. რა თქმა უნდა, ჰოლანდიელებისათვის მთლად „თავისიანი“ ვერასდროს გავხდები, მაგრამ ამას არც ვესწრაფვი. ჩემი უპირატესობა ისაა, რომ ვიცნობ მათ ცხოვრებას და ვეგუები მას, მაგრამ ამასთანავე სხვა ქვეყნებშიც მიცხოვრია. მაგალითად, ხშირად ერთგვარი განმანათლებლის როლს ვასრულებ ზოგიერთი ჰოლანდიელისთვის, რომლებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მოლდოვაზე.

— არასდროს შეგიდარებიათ მოლდოვა და ჰოლანდია?

— ამის შესახებ ცალკე სტატიის დანერა შეიძლება, იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგრამ ორივე ქვეყანა თვისებურად მშვენიერია. ჰოლანდია ყოველთვის მრავალფეროვნებით მიზიდავდა. საოცარი ქვეყანაა. ისე მოხდა, რომ ჯერ კიდევ, როდესაც კიშინიოვში თარჯიმნად ვმუშაობდი, ბევრ ჰოლანდიელთან მიხდებოდა მუშაობა. ჰოლანდიელები ორგანიზებული ხალხია, ეს თვისება ძალიან მომწონს. რა სათუთი დამოკიდებულება აქვთ ბუნების, ნივთების, გარემოს მიმართ! ალბათ ამიტომ არის, რომ ასევე სათუთი

²⁶ Лучия Цуркан: Голландия стала для меня вторым домом. ადაპტირებული ტექსტი. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.aquarelle.md/персонажи/_Лучия_Цуркан%3A_Голландия_стала_для_меня_вторым_домом/?lg=ro ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე – <http://www.aquarelle.md/> ვებ-რესურსზე შესვლის თარიღი 25.04.2014.

დამოკიდებულება აქვთ პიროვნებისადმი. და კიდევ – ძალიან თავმდაბლები არიან, გულითადები უცხოელთა მიმართ. აქ არ არის არც კომპლექსები, არც ზედმეტად მკაცრი წესები. მაგალითად, ხელმოწერულ ცოლ-ქმრობას ჰოლანდიურ საზოგადოებაში უბრალოდ ლოიალურად კი არ უყურებენ, არამედ საერთოდაც ნორმად თვლიან. არავინ გიკარნახებს, როგორ უნდა იცხოვრო. ყოველ ადამიანს უფლება აქვს აირჩიოს, რა აკეთოს.

ყველაფერი რომ თავიდან დამეწყო, ისევ ისე მოვიქცეოდი. რა თქმა უნდა, მენატრება ჩვენი მთა-გორები, ჩვენი პეიზაჟები. მაგრამ ჰოლანდია მიყვარს, ის ჩემი მეორე სახლი გახდა.

წყარო 24 ნაწყვეტი მოლდოვადან იტალიაში ჩასული ემიგრანტი ქალის მიერ გაზეთ „Кишинёвские новости“-სათვის 2011 წლის 16 სექტემბერს მიცემული ინტერვიუდან

— შვიდი წელია იტალიაში ცხოვრობ. ჯერ ხომ გული არ გაგიცრუვდა?

— იტალია სიურპრიზებითაა სავსე. მდიდარი კულტურის ქვეყანაა. დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობას. მაგრამ დღითი-დღე სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენს, რუსულ სულს აქ ვერ ვიპოვი. ჩვენ იტალიელებისგან სრულიად განსხვავებული მენტალიტეტი გვაქვს.

— რა ცვლილებები შეამჩნიე შინ ბოლო ჩასვლის დროს? რა მოგეწონა და რა – არა?

— რაც შეეხება ჩემს ოჯახს და ახლობლებს – ისინი ისევ ისეთები დარჩნენ ჩემთვის, თუ შეიცვალნენ – მხოლოდ უკეთესობისკენ. რა თქმა უნდა, ჩვენს ქალაქში მომხდარ ცვლილებებსაც ვამჩნევ. შენდება ახალი სახლები, კომუნიკაციები უფრო თანამედროვე ქალაქი ხდება, რაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მახარებდეს. აი ფასები კი აქ პრაქტიკულად ისეთივეა, როგორიც იტალიაში, და ეს არ მომწონს და მანუხებს.²⁷

წყარო 25 მიგრაციის შედეგები²⁸

მიგრაციის დადებითი შედეგი ის არის, რომ მიგრანტები შინ ფულს აგზავნიან (ფულადი გზავნილები ეროვნული მშპ-ს²⁹ 25 პროცენტს შეადგენს), იცვლება ადამიანების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის მენტალიტეტი, ყალიბდება შრომის ახალი კულტურა. ახალგაზრდები უფრო მოტივირებული არიან იმისთვის, რომ შეისწავლონ უცხო ენები, ისწავლონ საზღვარგარეთ, უფრო შემწყნარებლები იყვნენ სხვა კულტურებისადმი, სურთ დაინახონ თავიანთი ბიზნესი და მონაწილეობა მიიღონ დასავლურ ყაიდაზე საზოგადოების განვითარებაში.

შემაჯამებელი განხილვა

როგორ იცვლება მიგრაციის შედეგად საზოგადოების მენტალიტეტი და ღირებულებები? მიგრაციის შედეგებიდან, რომელს შეაფასებდით დადებითად და რომელს – უარყოფითად?

²⁷ Мурзакова Ирина. «Милан стал для меня вторым домом». ელექტრონული გაზეთი «Кишиневские новости». <http://kn.md/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://kn.md/Milan-stal-dlya-menya-vtoryim-domom> რესურსზე შესვლის თარიღი 25.04.2014.

²⁸ Миграция легальная и нелегальная. Перевод с румынского языка. ელექტრონული რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე-<http://2011.europa.md/subpagina/arata/32/Migratia%20legala%20si%20ilegala> რესურსზე შესვლის თარიღი 01.05.2014.

²⁹ მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი. ინგლ. Gross Domestic Product – GDP), ასევე ერთობლივი შიდა პროდუქტი (ეშპ) – ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის საზღვრებში წარმოებული მთლიანი საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების საერთო ღირებულება.

შრომითი მიგრაცია და ოჯახი

► რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია ოჯახზე?



1. ვინ და რა არის აღბეჭდილი წყარო 1-ზე??
2. რატომ გადაწყვიტა არეიკმა ასეთი ფოტოს გადაღება? რას შეიძლება განასახიერებდეს ის არეიკისთვის?

წყარო 1 არეიკი თავისი ძველი სახლის წინ დგას (მარჯვნივ), ახალს კი ჯერ ისევ აშენებს იმ ფულით, რომელსაც რუსეთში შოულობს.¹



◆ ისტორიული ცნობა

შრომითი მიგრაციის ინტენსივობა თანამედროვე მსოფლიოში მატულობს. გაეროს მონაცემებით, 2014 წელს დაახლოებით 214 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა იმ ქვეყნების საზღვრებს გარეთ, სადაც დაიბადა. მიგრაციის სახეობების უმეტესობა ეკონომიკური მიზეზით არის გამოწვეული.

მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ შრომითი მიგრაციის საკითხი ძალიან მწვავედ დგას შავი ზღვის რეგიონში. ყოველ წელს სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდოვას ათასობით მოქალაქე ტოვებს საკუთარ ქვეყანას, ოჯახებს და საშოვარზე მიემგზავრება.

სომხეთიდან რუსეთსა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში შრომითი მიგრაციის პროცესი ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო, როდესაც სომხები სეზონურ სამუშაოზე, განსაკუთრებით ხშირად კი – მშენებლობებზე, მიემგზავრებოდნენ.

¹ Гаянэ Абрамян и Юстина Мельникевич Армения: Женский мир в одном высокогорном селении. – ელექტრონული რესურსი <http://russian.eurasianet.org>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://russian.eurasianet.org/node/58583>. Изображение №6.

1988 წლის დამანგრეველი მიწისძვრა ერთ-ერთი უძლიერესი ბიძგი აღმოჩნდა, რომელმაც სომხეთში მიგრაციული დინამიკა განაპირობა. 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლამ, რეგიონის ეროვნებათშორისმა კონფლიქტებმა, მათ შორის – ყარაბაღის, თურქეთის მხრიდან საზღვრების ბლოკადამ, ქვეყანა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო. ამან კი სომხეთიდან ახალი მიგრაციული ნაკადები გამოიწვია. სომხეთიდან მიგრანტების 93,5%-ს მამაკაცები შეადგენენ, ქალები – მხოლოდ 6,5%-ს. მიგრაცია განსაკუთრებით მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიურ ნაწილს – 21-55 წლის ასაკის ადამიანებს შეეხო.

შრომით მიგრაციას შედეგად მოჰყვება ცვლილებები არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, არამედ ოჯახური ურთიერთობების კულტურასა და სოციალური როლების განაწილებაში. მიგრაციის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს: კულტურული გაცვლა და დიალოგი, კარიერული შესაძლებლობები, პროფესიული ჩვევების გაუმჯობესება, ოჯახებისთვის უკეთესი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფა. მაგრამ, დადებითთან ერთად, თავს იჩენს უარყოფითი ცვლილებები, განსაკუთრებით ოჯახური ურთიერთობების დონეზე.

ბლოკი 1. რატომ მიდიან ადამიანები სახლიდან



3. წყაროების 2-4 საფუძველზე, განსაზღვრეთ ის მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანები საკუთარი ქვეყნიდან საშოვარზე მიემგზავრებიან.
4. გაარკვეით, ვისი თვალსაზრისითაა გადმოცემული ბლოკ 1-ში? რომელი წყარო გეხმარებათ კითხვა 3-ზე პასუხის გაცემაში?

წყარო 2 გოართან ინტერვიუდან, 14 წლის გოგონა, სოფელი მარმაშენი²

- როგორ ფიქრობთ, რატომ წავიდა მამათქვენი საშოვარზე?
- მამაჩემი წავიდა, ჩვენ რომ უკეთ ვიცხოვროთ. ის მუშაობს და ფულს გვიგზავნის. ამ ფულით ვყიდულობთ ახალ ნივთებს, ტანსაცმელს და ყველფერს, რაც გვჭირდება.

წყარო 3 მიგრაცია სოფლებიდან

საშოვარზე ყველაზე მეტი მიგრანტი გეგარქუნის ოლქიდან³ მიემგზავრება: ოლქის საერთო მოსახლეობის (243 ათასი კაცი) 8%-მდე. გეგარქუნში დარჩენილ მამაკაცებს არც ისე დიდი არჩევანი აქვთ. ოლქის 49 მაღალმთიან სოფელში სოფლის მეურნეობისთვის მკაცრი პირობებია – ზამთარი შეიძლება ექვსი თვე გრძელდებოდეს. საბჭოთა ხელისუფლების დროს აშენებული სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ოდესღაც იქაურ მოსახლეობას ცხოვრებისთვის ფულის შოვნის საშუალებას აძლევდა, დიდი ხნის წინ დაიხურა.

² ინტერვიუ ჩაინერა რ.ცატურიანმა პროექტისთვის „საერთო ისტორია. კულტურული დიალოგი“

³ ყველაზე მსხვილი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ოლქი სომხეთის აღმოსავლეთით.

არტიომი წარმოშობით შირაკის რეგიონის სოფელ აზატანიდან არის. 1993 წლიდან იაკუტიაში მუშაობს. ამ დროის განმავლობაში, ძველი სახლის ნაცვლად, რომელიც 1988 წლის მიწისძვრამ დაანგრია, მან შეძლო ახალი, დიდი სახლის აშენება. სომხეთის გარეთ ნაშონი ფულით სამი ქალიშვილის უნივერსიტეტში სწავლის საფასურს იხდის. „არტიომი რომ რუსეთში არ მუშაობდეს, ვერაფერს ვერ გავაკეთებდით. ყოველ წელს ბავშვების სწავლასა და სამეურნეო საჭიროებებისთვის \$12.000 გვჭირდება“, – მოგვითხრობს არტიომის ცოლი.⁴

წყარო 4 სომხეთის ტერიტორიული მმართველობის სამინისტროს მიგრაციული სამსახურის უფროსის გაგიკ ეგანიანის ინტერვიუდან სომხეთიდან შრომითი მიგრაციის შესახებ

მიგრაციულ ნაკადში ყველაზე მრავალრიცხოვანი შრომითი მიგრანტები არიან. ოთხიდან სამი მიგრანტი მიზეზად ასახელებს: სამუშაო ადგილების ან სათანადოდ ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების არარსებობას, ან რომ პროფესიის მიხედვით ვერ პოულობს სამუშაოს, ან კიდევ ბიზნესის წარმოებისას სიძნელეებს. მიგრაციული ნაკადების კვლევიდან გამომდინარე, 90-იანი წლებიდან მოყოლებული სომხეთიდან ემიგრირებულია დაახლოებით 1 მილიონ 300 ათასი ადამიანი. <...> საყოველთაოდ ცნობილია, რომ სომხები კარგი მშენებლები არიან. დაახლოებით 60%-65% დასაქმებულია სამშენებლო სფეროში. საკმაოდ ბევრი ჩვენი თანამემამულე მუშაობს მომსახურების, ვაჭრობისა და სატრანსპორტო სფეროებში. თუმცა უმრავლესობა მაინც სამშენებლო საქმიანობას ეწევა.⁵

ბლოკი 2. მოიფიქრეთ ბლოკის სათაური



5. რა არის გამოსახული წყაროზე 5? რა განწყობა აქვთ ფოტოზე აღბეჭდილ ქალებს? თქვენი აზრით, რატომ სხედან სადღესასწაულო სუფრასთან მხოლოდ ქალები, მამაკაცების გარეშე.
6. რა პრობლემების შესახებ ჰყვებიან ქალები წყაროში 6? რა სირთულეებს წააწყდნენ ქალები, რომელთა ქმრები საშოვარზე გაემგზავრნენ?
7. რა არის გამოსახული ა. გრიგორიანის საოჯახო არქივის ფოტოებზე (წყაროები 7, 8, 9)? თქვენი აზრით, რით განსხვავდება საშოვარზე წარული ადამიანის ყოფა საკუთარ სახლში, ოჯახურ წრეში ცხოვრებისგან?

⁴ Г. Абрамян, Ю. Мельникович. Армения: Женский мир в одном высокогорном селении. ელექტრონული რესურსი Euroasia <http://russian.eurasianet.org/>. მოძიებულია მისამართზე: <http://russian.eurasianet.org/node/58583>.

⁵ Элина Казарян. Основной вектор мигрантов из Армении направлен в сторону России. ელექტრონული რესურსი «Окно в Россию» <http://windowrussia.ru/ru/>. მოძიებულია მისამართზე: http://windowrussia.ru/ru/2013_12_10/Osnovnoj-vektor-migrantov-iz-Armenii-napravlen-v-storonu-Rossii-0714/.

წყარო 5 სადღესასწაულო სუფრა, ქალაქი აშტარაკი, 2004 წლის ნოემბერი⁶



წყარო 6 სომეხი ქალების მოსაზრებები

ქალთა საერთაშორისო დღეს სომხეთის სოფელ ძორაგიუხში⁷ ერთგვარი შავი იუმორით უდგებიან. სოფლის მამაკაცების 98%, ხუთათასიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი, უცხოეთში საშოვარზეა წასული. დარჩენილი მოსახლეობა თავიანთ დასახლებულ პუნქტს ხუმრობით „ქალთა კლუბს“ უწოდებს, სადაც ყველაფერს ქალები აკეთებენ: მინას ხნავენ, ბავშვებს ზრდიან, გარდაცვლილებს ასაფლავებენ და თავიანთ დაშლილ ოჯახებს მხოლოდ სულიერი სიმტკიცით ინარჩუნებენ. ამ მიგრანტების, ძირითადად, მამაკაცების უდიდესი ნაწილი ყოველ შემოდგომაზე უკან ბრუნდება. „ყოველ ჯერზე, როცა კი მათი წასვლის შემდეგ კარს ვხურავ, ასე მგონია, სახლის კედლები ინგრევა“, – ამბობს ოთხშვილიანი დედა, სკოლის დირექტორი ერიკნაზ ხაჩატრიანი. როდესაც მისი ქმარი ყოველ გაზაფხულზე მოსკოვში მიემგზავრება, ერიკნაზი თვითონ ხნავს, თესავს, ძროხებსა და ღორებს უვლის. „ყველანაირი სახლის სამუშაო მე მანველა მხრებზე, მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც ის არის, რომ არასოდეს ვიცი, ჩემი ქმარი ცოცხალი დაბრუნდება თუ არა“.

„ძალიან მძიმეა ქალის ცხოვრება სოფლად, – ამბობს რუსული ენის მასწავლებელი ლაურა ოვანისიანი, – ჩვენ მინას ვართ მიჯაჭვულები, კაცებივით ვმუშაობთ, ჩვენს კაცებს კი სოფლის ცხოვრებასთან დაბრუნება აღარ შეუძლიათ“.⁸

⁶ ა. გრიგორიანის საოჯახო არქივიდან.

⁷ ძორაგიუხი – სოფელი სომხეთის აღმოსავლეთით, სევანის ტბასთან ახლოს.

⁸ Армения. Кошмары женщин села Дзорагюх. – ელექტრონული რესურსი «Armenia Today», ხელმისაწვდომია მისამართზე: http://armtoday.info/default.asp?Lang=_Ru&NewsID=40285&SectionID=33&RegionID=0&Date=05/15/2011&PagePosition=4.

წყარო 7 ახალ სამუშაო ადგილას⁹



წყარო 8 ავაჭი შარვალს აუთოებს. სახლში ამას ყოველთვის მისი ცოლი აკეთებდა.



წყარო 9 დაბადების დღე სახლიდან შორს¹⁰



- ▼
8. რა საერთო აქვს მოზარდთა პასუხებს წყაროებში 10-11? როგორ გრძნობენ თავს ბავშვები მამების არყოფნაში და რა აწუხებთ მათ?
 9. როგორ ფიქრობთ, რა მიზნით გადაიღეს ფოტო (წყარო 12). რა ემოციებს აღძრავს ის?
 10. რა სახის წყაროებია მოცემული ბლოკში? რამდენად სარწმუნოა თქვენთვის ბლოკში მოცემული ინფორმაცია? რატომ?

⁹ ფოტო 7-9 საოჯახო ალბომიდან, 2000 წელი.

¹⁰ ფოტოები 8,9, 10 ა. გრიგორიანის პირადი არქივიდან.

ნყარო 10 არამის ინტერვიუდან, 10 წლის ბიჭი, ქალაქი ერევანი

— როგორ იცვლება შენი მოვალეობები, როცა მამა მიემგზავრება? როგორ ფიქრობ, მოქმედებს თუ არა მამის არყოფნა შენს მოსწრებაზე სკოლაში? ყოფა-ქცევაზე?

— ზოგადად, არც ისე ძალიან, უბრალოდ, დედა იღლება უფრო მეტად... ვცდილობ, დავეხმარო სახლის საქმეებში, მესმის, რომ მამის გარეშე მას ისედაც უჭირს. სახლში არ ვაგვიანებ, ვცდილობ გაკვეთილები დამოუკიდებლად და დროულად დავამზადო. მამასაც არ მინდა ვაწყენინო, რადგან ის ხომ ჩვენთვის მუშაობს, შრომობს, ჩვენ რომ უკეთ ვიცხოვროთ. წასვლის წინ მთხოვს ხოლმე, დედას დავუჯერო და დავეხმარო, კარგად მოვიქცე და სწავლაში არ ჩამოვრჩე. რა თქმა უნდა, მიჭირს, როცა მამა ჩვენთან არ არის, მაგრამ ვიცი, რომ ვუყვარვართ და ჩვენთვის ცდილობს.

— რამდენად ხშირი ურთიერთობა გაქვს მამასთან, როცა ის საზღვარგარეთაა? რაზე ლაპარაკობთ ხოლმე? როცა სახლშია, მაშინ რაზე სუბრობთ ხოლმე?

— სკაიპითა და ტელეფონით გვაქვს ურთიერთობა. მამამ შეიძლება ყოველდღე ან კვირაში რამდენჯერმე დარეკოს. ვუყვებით ყველაფერს, რაც სახლში ხდება, რა ნიშნები მივიღე სკოლაში, ჩემს მეგობრებზე, სად ვიყავით. დედა უყვება, რა ილაპარაკეს ჩემზე მშობელთა კრებაზე. ზოგჯერ დედა არ უამბობს იმას, რაც, მისი აზრით, მამას ეწყინება. როცა მამა სახლშია, ყველაფერს ერთად ვგეგმავთ, სად წავიდეთ, რა ვიყიდოთ... ტელეფონით და კომპიუტერით რაღაც პრობლემებზე საუბარი მიჭირს ხოლმე... მაგალითად, თანაკლასელებთან ურთიერთობის შესახებ. გოგოებისთვის უფრო ადვილია, ისინი ხომ ყველაფერზე დედებთან ლაპარაკობენ, მე კი მამასთან შორ მანძილზე ყველაფერზე ლაპარაკი მიჭირს...¹¹

ნყარო 11 შვილიშვილის დაბადების დღის ფოტოსურათი ბაბუასთვის¹²



¹¹ ინტერვიუები აიღო რ. ცატურიანმა შირაკის რაიონის სოფელ მარმაშენში 2014 წელს პროექტისთვის „საერთო ისტორია, კულტურული დიალოგი“.

¹² ა. არტიურიანის პირადი არქივიდან. ერევანი, 2008 წ.

წყარო 12 ლუსინეს ინტერვიუდან, 15 წლის გოგონა, სოფელი განძაკარი, თავეშის რეგიონი


— როდესმე თუ წაუყვანიხარ მამას იმ ქვეყანაში, სადაც დროებით მუშაობს? გინდა, რომ მამამ თავისთან წაგიყვანოს? რამდენი ხნით და რატომ?

— ჯერ არ ვყოფილვარ მამასთან ერთად საზღვარგარეთ. მამა ამბობს, რომ მე კარგი სპეციალისტი უნდა გამოვიდე და ჩემს ქვეყანაში ვიმუშაო. მაგრამ მაინც მინდა არდადეგებზე მამასთან ჩავიდე და ვნახო, როგორ მუშაობს, მასთან ერთად ვისეირნო და ვისწავლო რაღაც, ვნახო ახალი ადგილები, შეივიძინო ნაცნობები.¹³



11. წყარო 13-ში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, საიდან მიდიან ყველზე ხშირად საშოვარზე? რა შედეგები მოაქვს ამას?
12. როგორ შეესაბამება (ავსებს, ადასტურებს, ეწინააღმდეგება, ეჭვს იწვევს) წყარო 13-ის ინფორმაცია წყაროების 2, 3, 5, 6, 10, 11 ინფორმაციას?

წყარო 13 იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთა წევრები შრომითი მიგრანტები არიან¹⁴



ბლოკი 3. შრომითი მიგრაცია და საზოგადოება



13. თქვენი აზრით, რამ განაპირობა მიგრაციის შესახებ გაეროს კონფერენციის ერევანში ჩატარება (წყარო 14)? კონფერენციის მონაწილეთა აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ სომხეთისთვის მიგრაციის საკითხი მოგვარდეს?
14. რა კრიტერიუმებია გამოყენებული წყარო 15-ის სტატისტიკურ ინფორმაციაში? ცხრილის მიხედვით, რა გავლენას განიცდის ოჯახი?

¹³ ინტერვიუები აიღო რ. ცატურიანმა შირაკის რაიონის სოფელ მარმაშენში 2014 წელს პროექტისთვის „საერთო ისტორია, კულტურული დიალოგი“.

¹⁴ ალბუღია: С. Манукян. Влияние трудовой миграции из Армении в Россию на экономику и социально-политическую ситуацию в Армении. – ელექტრონული რესურსი Союзинфо, ხელმისაწვდომია მისამართზე http://www.soyuzinfo.am/rus/analitics/detail.php?ELEMENT_ID=1101

წყარო 14 საგაზეთო ინფორმაცია ერევანში გაეროს კონფერენციის შესახებ 2013 წელს

ერევანში, გაეროს ოფისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „შრომითი მიგრაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების პოლიტიკა“. ღონისძიება სომხეთის დამსაქმებელთა რესპუბლიკურმა კავშირმა (სდრკ) მოაწყო ეუთოსა¹⁵ და გაეროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით. მასში მონაწილეობდნენ სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წამომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები სომხეთიდან, რუსეთიდან და ყირგიზეთიდან.

გაეროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სომხეთის ოფისის ხელმძღვანელმა ილონა ტერ-მინასიანმა აღნიშნა, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად – შრომითი მიგრანტების სომხეთში დასაბრუნებლად აუცილებელია, შემუშავდეს სტრატეგია. „ბევრი მიგრანტი ტოვებს სომხეთს და სამუშაოს სხვა ქვეყნებში პოულობს. იქიდან სისტემატურად აგზავნის ტრანსფერებს.¹⁶ მაგრამ მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ საკუთარ ქვეყანაში მუშაობით ისინი გაცილებით მეტ სარგებელს მოიტანენ. ამიტომ საჭიროა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სპეციალისტების უკან დაბრუნება“, – განაცხადა ი. ტერ-მინასიანმა.¹⁷

წყარო 15 ციფრების ენაზე

შრომითი მიგრაციის გავლენა ოჯახის კეთილდღეობაზე (2007-2013 წწ მონაცემები)¹⁸

საოჯახო მეურნეობის კავშირი მიგრაციასთან (მეურნეობის სახეობა)	ფინანსური მდგომარეობა				
	ძალიან კარგი	კარგი	დამაკმაყოფილებელი	ცუდი	ძალიან ცუდი
არ ჰყავს მიგრანტი	0.4	6.2	45.0	35.0	12.2
მიგრანტი ჰყავს მოცემულ მომენტში	0.4	13.6	55.1	24.3	6.5
მიგრანტი ჰყავდა ადრე	0.8	4.7	50.6	32.3	11.5
სომხეთში დაბრუნებულები	0.0	13.3	45.0	36.0	5.6
სულ	0.4	7.6	47.2	32.8	11.0

15. შრომითი მიგრაციისადმი რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს წყაროები 16 და 17? როგორ შეესაბამება (ავსებს, ადასტურებს, ეწინააღმდეგება, საეჭვოს ხდის) ამ წყაროების ინფორმაცია წყაროების 14-15 ინფორმაციას?

¹⁵ ეუთო (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) – 1973 წელს შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაღრმავება.

¹⁶ ტრანსფერი – ფულადი გზავნილი სხვა ქვეყნიდან.

¹⁷ სომხეთის ეკონომიკური გაზეთი «Деловой Экспресс» <http://www.express.am/>, ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.express.am/article/35_1034/view/kak-vernut-trudovyh-migrantov-v-armeniyu.html

¹⁸ ცხრილი 3.5.1 „გარე მიგრაცია და სოციალური უზრუნველყოფა“. აღებულია «Оценка миграционной ситуации Армении (посредством выборочного исследования)»-დან. სამეცნიერო ხელმძღვანელი რ. ეგანიანი. ერევანი, 2013წ., ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://files4.webyd.com/45/452723/Uploaded-Files/7926b382-53f6-4128-8dbb-cacc8e6a8ff9.pdf> გვ. 52.

წყარო 16 თვითმხილველის შეხედულება – მილენა კაზარიანი

ეს ძალიან მძიმეა: მთელი ოჯახი ელოდება, როდის დაბრუნდება ქმარი. ყველას გვინდა, რომ სამუშაო ადგილები სომხეთში არსებობდეს, რომ ჩვენი ოჯახები მთლიანი იყოს, შვილები მამების თვალწინ იზრდებოდნენ. ოჯახი გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ დედა. ჩვენ აქ მამებიც გვჭირდება.¹⁹

წყარო 17 თვითმხილველის შეხედულება – არევიკ არუთინიანი

ძორაგიუხის 51 წლის მსცოვრებისთვის არევიკ არუთინიანისთვის სიტყვა „მიგრაცია“ სიტყვა „დანაკარგის“ ტოლფასია. როცა ოცი წლის წინ სამუშაოს საძებნელად მისი ქმარი რუსეთში გაემგზავრა, ფიქრობდა, რომ მისი დახმარებით უზრუნველად ცხოვრებას შეძლებდა. ამის ნაცვლად, მან შრომით მიგრაციას შესწირა არა მხოლოდ ქმარი, რომელსაც ოჯახთან აღარავითარი კონტაქტი არ აქვს, არამედ 23 წლის ვაჟიშვილიც, რომელიც უცხოეთში უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

ახლა ქალი ცდილობს, დაარწმუნოს 16 წლის ვაჟიშვილი, მამასა და ძმას არ მიბაძოს და რუსეთში არ წავიდეს. „როგორც კი ყურს მოვკრავ სიტყვა „მიგრაციას“, ტკივილი და დარდი მისერავს გულს, – ამბობს იგი, – ჩვენს ქვეყანაში რომ სამუშაო ყოფილიყო, არც ჩემი ქმარი წავიდოდა და არც ჩემი შვილი“.²⁰

**შემაჯამებელი განხილვა**

შრომითი მიგრაცია: სარგებელი და დანაკარგები.

¹⁹ Д.Мак Гиннес. Армения и миграция: в селах остались только женщины. – ელექტრონული რესურსი ИНОФорум- <http://www.inoforum.ru>, ხელმისაწვდომია მისამართზე http://www.inoforum.ru/inostrannaya_pressa/armeniya_i_migraciya_v_syolah_ostalis_tolko_zhenwiny.

²⁰ Г. Абрамян, Ю.Мельникович. Армения: Женский мир в одном высокогорном селении. – ელექტრონული რესურსი Euroasia <http://russian.eurasianet.org/>, ხელმისაწვდომია მისამართზე <http://russian.eurasianet.org/node/58583>.

თანამედროვე ქალაქი – კულტურათა გზაჯვარედინი და სივრცე კულტურათა დიალოგისთვის


► რა შესაძლებლობებს ქმნის თანამედროვე ქალაქი კულტურათა დიალოგისთვის

ბლოკი 1. ცნებებზე მუშაობა

1. რა არის ქალაქი? რა ფუნქციები აქვს მას (წყარო 1)?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ ამახვილებენ მეცნიერები ყურადღებას თანამედროვე ქალაქში მიმდინარე პროცესებზე (წყაროები 1-2)?
3. რა არის მნიშვნელოვანი კულტურათა წარმატებული დიალოგისთვის (წყაროები 3-6)?
4. როგორ გესმით ტერმინი „კულტურათა მრავალგანზომილებიანი დიალოგი“ (წყარო 3)?

წყარო 1 ქალაქი და მისი ფუნქციები

ქალაქი არის მსხვილი დასახლებული პუნქტი, რომლის მცხოვრებლებიც უმეტეს წილად დასაქმებული არიან არა სოფლის მეურნეობაში, არამედ მრეწველობაში, მშენებლობაში, სატრანსპორტო სფეროში, ვაჭრობაში, მეცნიერებისა და კულტურის, მომსახურების სფეროში. ქალაქებში კონცენტრირებულია ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, კულტურული და სამეცნიერო ფუნქციები, აგრეთვე გარემომცველი ტერიტორიის სხვადასხვაგვარი მომსახურების ცენტრები.¹



წყარო 2 ქალაქის
მოსახლეობის წილი²
მსოფლიოს განვითარებულ და
განვითარებად ქვეყნებში
1950-2050 წლებში.
სტატისტიკური მონაცემები და
გაეროს პროგნოზი³

- ქველი მსოფლიო
- ▲— განვითარებული ქვეყნები
- განვითარებადი ქვეყნები

¹ Географическая энциклопедия. ელექტრონული რესურსი <http://dic.academic.ru>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://dic.academic.ru/dic.nsf/enc_geo/6249/%D0%B3%D0%BE%D1%80%D0%BE%D0%B4.

² პროცენტი მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან.

³ К 2050 доля городского населения в развитых странах вырастет с 75% до 86%, в развивающихся – с 45% до 66%. ელექტრონული რესურსი <http://demoscope.ru/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://demoscope.ru/weekly/2010/0429/barom04.php>.

წყარო 3 გლობალიზაციის გავლენა კულტურაზე

დღესდღეობით ისტორიაში პირველად მიმდინარეობს კაცობრიობის კულტურული გაერთიანება, რაც პრინციპულად ცვლის მექანიზმს, რომელიც ცალკეული კულტურისა და ცივილიზაციის ბედს განსაზღვრავდა. დგება ახალი ერა, ასპარეზზე გამოდის კულტურათა „მრავალგანზომილებიანი დიალოგი“. ამ დიალოგში მონაწილეობა ნებისმიერი კულტურის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ნათელია, რომ კულტურა, რომელსაც სხვა კულტურებთან კონტაქტი არ აქვს და მათ გავლენას არ განიცდის, მსოფლიო კულტურის განვითარების დონეს გარდაუვლად ჩამორჩება. მდიდარი კულტურა სხვა კულტურების მიღწევების შეთვისებისას თავისთავადობასა და უნიკალურობას არ კარგავს, პირიქით, უფრო მდიდრდება.

აუცილებელი არ არის, რომ გლობალიზაციას კულტურათა ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვა მოჰყვეს. კოლტურებს შორის განსხვავების წაშლა უახლოეს მომავალში არ უნდა იყოს მოსალოდნელი (თუნდაც იმიტომ, რომ ეროვნული ენები არ გაქრება).⁴

წყარო 4 იუნესკო კულტურათა დიალოგის შესახებ

კულტურათა წარმატებული დიალოგისთვის საჭიროა მონაწილეების თანაბარი ღირსების აღიარება. დიალოგში მონაწილეობს არა იმდენად კულტურები, რამდენადაც ადამიანები, ინდივიდები და სხვადასხვა ჯგუფი საკუთარი სირთულეებითა და მიკუთვნებულობის მრავალი ფორმით. დიალოგის წარმატებულად წარმართვისთვის კი აუცილებელია არა იმდენად სხვების ცოდნა, რამდენადაც მოსმენის, დიალოგის წარმართვისა და სხვებით განცვიფრების ფუძემდებლური უნარი.⁵

კულტურათა დიალოგის ნახალისება „მრავლობითი“ იდენტობის მიდგომის პრინციპს ემთხვევა. ეს ეხება როგორც სხვადასხვა კულტურული კუთვნილების თანაარსებობის ფორმებს, ისე ამ ფორმების განვითარებას საკუთარი ფესვების შეგრძნების დაკარგვის გარეშე. დიალოგი ნიშნავს გახსნილობას და არა საკუთარი თავის დაკარგვას.⁶

წყარო 5 ფილოსოფოსის მოსაზრება კულტურათა დიალოგის შესახებ

დიალოგი წარმოიქმნება არა იმიტომ, რომ სხვადასხვა კულტურა არსებობს, არამედ იმიტომ, რომ არსებობს მისი განსაკუთრებული სახეობა, რომელშიც წარმოიშვება საერთო-საკაცობრიო ნათესაობის შეგნება. ეს შეგნება არ არსებობდა კულტურული განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს სახეობისგან ვერ არჩევდა და მთლიანად ერწყმოდა მას. ადამიანები ხომ გვიან მიხვდნენ, რომ ყველანი ერთმანეთის ძმები არიან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინდივიდმა შეიგნო, რომ ავტონომიური პიროვნებაა საკუთარი თავისუფალი ინდივიდუალურობით, გაუჩნდა შეგნება, რომ კაცობრიობის

⁴ Локальные социокультурные миры. Законы истории и развитие культуры. ელექტრონული რესურსი <http://studme.org>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://studme.org/161703124854/kulturologiya/lokalnye_sotsiokulturnye_miry#794.

⁵ Инвестирование в культурное разнообразие и диалог между культурами. იუნესკოს მსოფლიო მოხსენება, 2009, გვ. 61. ელექტრონული რესურსი: <http://unesdoc.unesco.org/images/0018/001852/185202r.pdf>.

⁶ იქვე, გვ. 54.

ნაწილია – სხვა სისხლის, რელიგიისა და რასის მქონე ადამიანების ნათესავი. კაცობრიობისადმი კუთვნილების შეგნება ბადავს დიალოგის მოთხოვნილებას, თანაც არა მარტო საკუთარი კულტურული ჯგუფის შიგნით, არამედ სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთანაც.⁷

წყარო 6 კულტუროლოგის მოსაზრება კულტურათა დიალოგზე

კულტურაში მიმდინარე ცვლილებები სულ უფრო ექვემდებარება კულტურული კომუნიკაციის ლოგიკას. თანამედროვე ცივილიზაციაში ადამიანების თანაარსებობა წარმოუდგენელია კულტურებს შორის თანხმობისადმი მისწრაფების გარეშე. ამის მიღწევა კი მხოლოდ დიალოგით შეიძლება. დიალოგში ვერც ერთ კულტურას ვერ ექნება განსაკუთრებული მდგომარეობა ან მხოლოდ საკუთარი მსოფლმხედველობის ჭეშმარიტებაზე პრეტენზია. კულტურების ურთიერთობა კონსენსუსის და პლურალიზმის პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს. ასეთი სახის ურთიერთობას რეალურ საფუძველს უქმნის ყოველ კულტურაში არსებული დადებითი საერთოსაკაცობრიო ფასეულობები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება კულტურათშორისი კონსენსუსის მისაღწევად.⁸

ბლოკი 2. ქალაქი, როგორ „სხვებთან“ შეხვედრის ადგილი



5. რა განაპირობებს იმას, რომ ქალაქური გარემო უკეთ შეითვისებს სხვადასხვა კულტურას (წყაროები 7-10)?
6. ბლოკის წყაროების საფუძველზე ჩამოაყალიბეთ ქალაქის, როგორც კულტურათა დიალოგისთვის კომფორტული სივრცის, ძირითადი მახასიათებლები.

წყარო 7 ფილოსოფოსის მოსაზრება ქალაქის მრავალფეროვნებაზე

ქალაქური მრავალფეროვნების თეორიების საკვანძო იდეა ის არის, რომ არა მარტო ქალაქური ცხოვრება წარმოშობს მრავალფეროვნებას, არამედ მრავალფეროვნებაც ქმნის ქალაქს. ამიტომ არაერთი განსაზღვრება ქალაქს ახასიათებს, როგორც „სხვებთან“ შეხვედრის ადგილს, სადაც ქალაქელი ყოველთვის განსხვავებულებს შორის არის. XVIII საუკუნიდან მოყოლებული ქალაქს მიაწერდნენ მაგიურ თვისებებს, როდესაც განსხვავებული სოციალური ელემენტები (კლასები და ეთნიკური ჯგუფები) ახალ ქალაქურ საზოგადოებას და კოსმოპოლიტურ კულტურას ქმნიან. ქალაქელი ქალაქს აღიქვამს მისგან რასობრივად, ეთნიკურად, კლასობრივად და ა. შ. განსხვავებულ ადამიანებთან, თუნდაც, ნუთიერი კონტაქტების გამოცდილებაზე დაყრდნობით.⁹

⁷ Межуев В.М. Диалог как способ межкультурного общения в современном мире. Журнал «Вопросы Философии». ელექტრონული რესურსი: http://vphil.ru.xelmisawvdomia misamarTze: http://vphil.ru/index.php?option=com_content&task=view&id=387&Itemid=52.

⁸ Грушевицкая Т.Г. и др. Основы межкультурной коммуникации: Учебник для вузов – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2002. ელექტრონული რესურსი: <http://www.countries.ru/library/intercult/mktr.htm> ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.countries.ru/library/intercult/mktr.htm>.

⁹ Елена Трубина. Город в теории. Опыты осмысления пространства. – М.: НЛО. 2011. С.356-357.

წყარო 8 ურბანიზაციის გავლენა ქალაქის სოციალურ გარემოზე

კულტუროლოგებმა ურბანიზაცია დაუკავშირეს მსხვილი ქალაქების სულ უფრო მზარდ მრავალეთნიკურობას: ურბანიზაციას, როგორც წესი, ტრადიციების ნგრევა მოჰყვება, რაც სოციალურ გარემოს განსხვავებული ფასეულობებისა და ქცევის ფორმებისადმი უფრო გახსნილს და ტოლერანტულს ხდის.¹⁰

წყარო 9 თანამედროვე ქალაქის სოციალურ-კულტურული პრობლემები

თანამედროვე ქალაქის სივრცეში თავს იყრის უამრავი ეთნიკური ჯგუფი, განსხვავებული კულტურით, კონფესიით, ტრადიციით, ქცევის მოდელით, რაც სოციალურ-კულტურულ პრობლემებს იწვევს. ამასთან დაკავშირებით, საჭირო ხდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საკითხებთან ერთად, ეთნოსებს, კონფესიებსა და კულტურებს შორის წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა. ეს კი დამოკიდებულია სოციუმის უნარზე იყოს ტოლერანტული და ეფექტიანი მულტიკულტურულ სივრცეში.¹¹

წყარო 10 სოციოლოგის მოსაზრება ქალაქური კულტურის თაობაზე

ქალაქი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური ერთობის სახეობა, რომელიც მოსახლეობის დაქსაქსული ჯგუფების ინტეგრაციის საფუძველზე ფუნქციონირებს. ინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს სხვადასხვა დონეზე.

სოციალურ-კულტურულ დონეზე ეს არის ტოლერანტული ქალაქური კულტურა, რომელიც ქმნის პირობებს ქალაქის მოსახლეობის ჯგუფებისა და ფენების ურთიერთქმედების გზაზე წარმოქმნილი სოციალური და ეთნიკური ბარიერების გადასალახად.¹²

ბლოკი 3. თანამედროვე ქალაქი, როგორც კულტურათა გზაჯვარედინი



7. ქალაქ ერევნის დღის პროგრამაში (წყარო 11) სხვადასხვა ფერის ფანქრებით ან მარკერებით მონიშნეთ:
 - ა) საერთაშორისო დონის ლონისძიებები
 - ბ) ეროვნებათაშორისი დონის ლონისძიებები
 - გ) ეროვნული დონის ლონისძიებები.
8. როგორ უწყობს ხელსა ეს ლონისძიებები კულტურათა დიალოგს?

წყარო 11 ოფიციალური დოკუმენტი. ქალაქ ერევნის დღე

„სომხეთის რესპუბლიკაში დღესასწაულებისა და ღირსახსოვარი დღეების შესახებ“ სომხეთის რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 23 ივნისის №882-Н გადაწყვეტილებით, ოქტომბრის მეორე შაბათს აღინიშნება ერევნის დღე.¹³

¹⁰ Драч Г.В. и др. Культурология: учебник для вузов. С-Петербург, ООО «Лидер», 2011, с.335.

¹¹ Афанасьева Л. Пространство взаимопонимания и возможностей. ელექტრონული რესურსი: <http://mbbox.org.ua/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://mbbox.org.ua/2015/03/space_and_understanding/.

¹² Понкалина О.В. Социальная экология городского пространства. ელექტრონული რესურსი: http://www.comk.ru/project/open_map/HTML/. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.comk.ru/project/open_map/HTML/poukalina_doc.htm.

¹³ ერევნის მერია. ოფიციალური გვერდი. Праздники и памятные дни. ელექტრონული რესურსი: <https://www.yerevan.am/ru/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.yerevan.am/ru/holidays-and-memorial-days/>.

სადღესასწაულო ღონისძიებათა პროგრამა „ერებუნი-ერევანი 2796“

11.10.2014 წ.

- 14.00 ხალხური შემოქმედების ნამუშევრების, ეროვნული თამაშების, კოსტიუმებისა და სამზარეულოს ჩვენება /ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის „ერებუნის“ მიმდებარე ტერიტორია – ერებუნის ქუჩა/
- 15.00 ეროვნული თამაშების დასაწყისი
- 16.00 კონცერტი „ნორჩ მუსიკოსთა ერევანი“
- 16.30 თოკზე მოსიარულეთა კონკურსი
- 17.00 ეროვნული და ხალხური ხელოვნების კონცერტი
- 19.00 საკონცერტო პროგრამა „ერევანში დღესასწაულია...“ /ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის „ერებუნის“ მოედანი/

12.10.2014 წ.

- 10.00 აქცია – ქუჩის სარწყავი მანქანების პარადი ერევნის ქუჩებში
- 10.30 ერევან-არტი /სარიანის სკვერი/
- 11.00 აქცია – ქალაქ ერევნის ძეგლების დასუფთავება
- 12.00 „ერევნული ესკიზები“ – ქალაქმშენებლობის პროექტების გამოფენა /თუმანიანის ძეგლის მახლობლად/
- 13.00 ბავშვებისა და მოზარდების ნაწარმოებთა გამოფენა ღია ცის ქვეშ /გენრიხ იგიტიანის სახელობის ესთეტიკის ეროვნული ცენტრის მიმდებარე ტერიტორია, აბოვიანის 13/
- 14.00 საზეიმო პარადი /ერევნის მერიიდან რესპუბლიკის მოედნამდე/
- 14.30 მართონი 2796 მეტრზე/ მეტანადარანიდან საიათნოვას და აბოვიანის ქუჩით რესპუბლიკის მოედნამდე/
- 15.00 „ჩემი ძველი და ახალი ერევანი“ – ქორეოგრაფიული წარმოდგენა /რესპუბლიკის მოედანი/
- 15.00 საზეიმო საბავშვო პროგრამები(თოჯინების სპექტაკლები, გასართობი თამაშები, ჯამბაზები, ზღაპრების გმირები და ა. შ. – კიროვის სახელობის საბავშვო პარკი)
- 15.00 სტუდენტური სცენა (კონსერვატორიის სკვერი)
- 15.00 „სადღესასწაულო სეირნობები“ – თეატრალურ-საცირკო წარმოდგენები (ჩრდილოეთის გამზირი)
- 15.00 საჩვენებელი სპორტული გამოსვლები /თავისუფლების მოედანი/
- 15.00 „სამი პერიოდი“ – ფოტოპავილიონი /ოპერისა და ბაღეცის ეროვნული აკადემიური თეატრის სამსახურებრივი შესასვლელი/
- 15.00 „მსოფლიოს ხალხთა მისალმებები“ – ერევანში მცხოვრები ეთნიკური ანსამბლების, ეროვნული უმცირესობების კოლექტივების გამოსვლა /სტ. შაუმიანის მოედანი/
- 15.30 ეროვნული და ხალხური მუსიკის კონცერტი /მაშტოცისა და ბუზანდის ქუჩების გზაჯვარედინზე/
- 15.30 „ერევნული თამაშები“ – ერევნის ეზოების თამაშების კონკურსი /ინგლისური პარკი/
- 15.30 „ერევანი მღერის“ – კარაოკე-სცენა/შარლ აზნავურის მოედანი/
- 16.00 აფროსნების საჩვენებელი გამოსვლა /გედის ტბა/
- 16.30 ველოგადარბენა /არგიშტის ქუჩა – იტალიის ქუჩა – ნალბანდიანის ქუჩა – საიათნოვას ქუჩა – მაშტოცის გამზირი – ისაკოვის გამზირიველოტრეკამდე/
- 17.00 საჭადრაკო ტურნირი ცნობილი მოჭადრაკეების მონაწილეობით /შარლ აზნავურის მოედანი/

- 17.00 „ერევნული ცეკვა“ – ეროვნული ცეკვების სცენა /თავისუფლების მოედანი/
- 17.00 კლასიკური მუსიკის კონცერტი /კონსერვატორიის სკვერი/
- 17.30 საესტრადო კონცერტი /სტ. შაუმიანის მოედანი/
- 18.00 ჯაზური მუსიკის კონცერტი/კომპლექსი „კასკადი“, გაფესჩიანის ხელოვნების ცენტრი/
- 18.30 ბარდული სიმღერის საღამო /მასკოვიანის სკვერი/
- 19.30 „ერევანი ჩემი სახლია“ – გალა-კონცერტი /რესპუბლიკის მოედანი/
- 20.00 „ერევანი მხიარულობს“ – როკ-კონცერტი /თავისუფლების მოედანი/
- 22.00 ახალგაზრდული დისკოთეკა /რესპუბლიკის მოედანი/¹⁴

▼ შეისწავლეთ წყაროები 12-28 და უპასუხეთ კითხვებს:

- 9. რას ეძღვნება ეს წყარო? რომელ ღონისძიებას, ობიექტს თუ სიტუაციას აღწერს იგი?
- 10. ეს ღონისძიება, ობიექტი თუ სიტუაცია ადგილობრივია თუ საერთაშორისო?
- 11. რას აძლევს ეს ღონისძიება, ობიექტი თუ სიტუაცია ქალაქის მცხოვრებლებს?
- 12. რა არის მისი მთავარი ღირსება კულტურათა დიალოგისთვის?

წყარო 12 წმინდა ღვთისმშობლის კვართის მართლმადიდებლური ეკლესია ერევანში¹⁵



¹⁴ «Երեւուნი-Երեւան 2796» ოფიციალური ღონისძიებების პროგრამა. ერევნის მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდი. ინფორმაციისა და ურთიერთობის სამმართველო ერევნის მერიაში. ელექტრონული რესურსი: <https://www.yerevan.am/ru/> ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.yerevan.am/ru/erebuni-yerevan-2796/>.

¹⁵ ა. ოგანესიანის ფოტო. 2013 წ.

წყარო 13 სპარსული „ცისფერი მეჩეთი“ ერევანში¹⁶



წყარო 14 სინაგოგა ერევანში¹⁷



¹⁶ ა. ოგანესიანის ფოტო. 2013 წ.

¹⁷ Synagogue in Yerevan. ელექტრონული რესურსი: <https://commons.wikimedia.org/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://commons.wikimedia.org/wiki/File:Synagogue_in_Yerevan_05.JPG.

წყარო 15 წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ერევანში
(სომხური სამოციქულო ეკლესია)¹⁸



წყარო 16 იესო ქრისტეს აღდგომის ეკლესია

1987 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით ერევანში გაიხსნა იესო ქრისტეს აღდგომის ეკლესია. მისმა მოძღვარმა, დაკანონმა ალექსანდრე შკარბანენკომ ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველა უთანხმოების მიუხედავად რუსეთს, საქართველოსა და სომხეთს ერთი ღმერთი ჰყავს და მათ ერთი წმინდა კვართი ფარავს.

„80-იან წლებში სომხეთში ბევრი რუსი ცხოვრობდა, მრევლი იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ ეკლესიაში ვერც ეტეოდა, რადგან მისი ფართობია 6 x 12 მ. დღეს ეკლესიაში სულ ოციოდე ქართველი და რუსი დადის, დიდ დღესასწაულებზე კი ორმოცდაათამდე კაცი იკრიბება, თქვა მამა ელექსანდრემ.¹⁹

¹⁸ John The Baptist Church of Yerevan. ელექტრონული რესურსი: <https://commons.wikimedia.org/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://commons.wikimedia.org/wiki/File:St_John_The_Baptist_Church_of_Yerevan.jpg.

¹⁹ Армения, Грузия, Россия: под покровом Богородицы. ელექტრონული რესურსი: <http://www.pravda.ru/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.pravda.ru/faith/faithguest/28-03-2012/1112783-armenia_bog-0/.

წყარო 17 ერევნის „ცისფერი მეჩეთი“

ერევნის „ცისფერი მეჩეთი“, რომლის ფართობია 7 000 კვ.მ., აშენებულია 1765 წელს ერევნის მაშინდელი გუბერნატორის, ჰუსეინ ალი ხანის შემწეობით.

მეჩეთის ბიბლიოთეკაში დაცულია 8 000-მდე წიგნი სპარსულ და ინგლისურ ენებზე. აქ არის როგორც რელიგიური, ისე საერო შინაარსის წიგნები. ბიბლიოთეკით ძირითადად აღმოსავლეთმცოდნეები და ერევანში მცხოვრები ირანელი სტუდენტები სარგებლობენ. მეჩეთში მოქმედებს ირანული ენის კურსები. მეჩეთის აღმოსავლური არქიტექტურა ერევნის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა და რეგიონის ძველ კულტურას კიდევ უფრო ამდიდრებს.²⁰

წყარო 18 2011 წელს ერევანში რესტავრირებული სინაგოგა გაიხსნა

1990 წლიდან ეს სინაგოგა არ ფუნქციონირებდა. სომხეთის 800-კაციანი ებრაული თემის წარმომადგენლები აღნიშნავენ სინაგოგის გახსნის როგორც რელიგიურ, ასევე საგანმანათლებლო მნიშვნელობას.²¹

წყარო 19 უცხოელი სტუდენტები ერევანში

2012 წლის 12 დეკემბერს ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დარბაზში ჩატარდა უცხოელი სტუდენტების ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა სტუდენტური საბჭოს ათი წლისთავს. „ფესტივალ „მეგობრობის“ მიზანი იყო ჩვენი უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტებს შორის მეგობრობის განმტკიცება. კონცერტი დაიწყო ეროვნული სიმღერებითა და ცეკვებით. მას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები, ინდოეთის და ირანის საელჩოების წარმომადგენლები. ჰოლში გაშლილი იყო მაგიდები სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კერძებით, რომლებიც თავად უცხოელმა სტუდენტებმა მოამზადეს.²²

²⁰ Единственная мечеть в христианском Ереване. ელექტრონული რესურსი: <http://rus.azattyk.org/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://rus.azattyk.org/content/kyrgyzstan_armenia_akishov_blog_mosque/24485801.html.

²¹ В Ереване открылась отреставрированная синагога. ელექტრონული რესურსი: <http://armenpress.am/rus/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://armenpress.am/rus/news/653464/>.

²² Фестиваль «Дружба». ელექტრონული რესურსი: Ереванский государственный медицинский университет. <http://www.ysmu.am/index.php?lang=ru>. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.ysmu.am/index.php?option=com_content&view=article&id=773:friendship&catid=49:news&Itemid=1&lang=ru.

ნყარო 20 სტუდენტური ფილმების ფესტივალი

[2009] 15-17 აპრილს ერევანში გაიმართება ამიერკავკასიის სტუდენტთა ფილმების ფესტივალი „სახელოსნო გზაჯვარედინზე“. ფესტივალი „ინტერნიუსის“ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის შედეგად დაარსდა და პროექტის „სახელოსნო გზაჯვარედინზე“ ნაწილია. ამის შესახებ PANARMENIAN.NET-ის კორესპონდენტს „ინტერნიუსის“ ოფისში განუცხადეს. პროექტის ფინანსური მხარდამჭერები არიან USAID და ფონდი „ევრაზია-თანამშრომლობა“.

პროექტის ავტორების მიზანია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სარეჟისორო და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების სტუდენტებს შორის პროფესიული კონტაქტების დამყარება. ერთი წლის განმავლობაში დამწყები სპეციალისტები ესწრებოდნენ სპეციალურ კურსებს, შემდეგ კი ერთობლივი ფილმების შექმნაზე მუშაობდნენ.

ყოველ ჯგუფში ორი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული. თანავტორებს ფილმის შექმნის მთლიან პროცესზე ერთობლივად უნდა ემუშავათ. პროექტში სულ სამი ქვეყნის 72 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, გადაღებულია 42 ერთობლივი ფილმი. პროექტის ფარგლებში შექმნილი ბევრი ფილმი მათი ავტორებისთვის საკურსო და სადიპლომო ნამუშევრებად იქცა. ეს ფილმები გადაიციმა სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტელეეთერით.²³

ნყარო 21 ფესტივალი „არმონო“ ერევანში

2015 წლის 11 მაისს ერევანში მთავრდება XIII მონოსპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი „არმონო“. მაყურებელს წარმოუდგინეს ევროპის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აშშ-ში შექმნილი 31 სპექტაკლი. ფესტივალში მონაწილეობდნენ აშშ-ის, რუსეთის, ბელორუსიის, ლიტვის, პოლონეთის, ბულგარეთის, მაროკოს, ეგვიპტის, ქუვეითისა და ირანის, აგრეთვე, ადგილობრივი მსახიობები.

ერევნელმა მარსელ ბარსეგიანმა აღნიშნა, რომ ასეთი ფესტივალები მსოფლიო თეატრალური ხელოვნების მრავალფეროვნების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა.²⁴

ნყარო 22 ნანყვეტი საერთაშორისო ფესტივალ „ოქროს გარგარის“ დირექტორის არუთიუნ ხაჩატრიანის ინტერვიუდან

ფესტივალის დევიზია „კულტურებისა და ცივილიზაციების გზაჯვარედინზე“. ჩვენც ვცდილობთ არ ვუღალატოთ მთავარ იდეას და ფესტივალში ჩავრთოთ განსხვავებული კულტურის, მიმართულების, სხვადასხვა ესთეტიკური მიდგომის ფილმები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მთავარი კრიტერიუმი მაღალი მხატვრული დონე და საავტორო კინო. ჩვენი ფესტივალი არც შოუ-ბიზნესია და არც კომერციული პროექტი. ეს არის მცდელობა გაავმართოთ დიალოგი კულტურათა შორის, რაც კეთილმეზობლური თანაარსებობისა და ერთობლივი განვითარების საფუძველს შექმნის.

²³ В Ереване пройдет фестиваль студенческих фильмов «Мастерская на перекрестке». 14 апреля 2009, PanARMENIAN.Net. ელექტრონული რესურსი: <http://panarmenian.net>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://panarmenian.net/rus/news/30284>.

²⁴ Зрители фестиваля «Арммоно» в Ереване увидели 31 спектакль. © Кавказский Узел. ელექტრონული რესურსი: <http://www.kavkaz-uzel.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/262097/>.

ვაპირებთ მოვანყოთ ფესტივალი „დსთ-ს ქვეყნების კინო: დამოუკიდებლობის 20 წელი“. ბოლო 20 წლის განმავლობაში დსთ-ს ქვეყნების კინემატოგრაფისტებს შორის შემოქმედებითი კავშირები შესუსტდა, მეტიც – დავკარგეთ კონტაქტები, დაირღვა ერთობლივი კულტურული სივრცე. ხშირად ისიც კი არ ვიცით, რა ხდება ჩვენი მეზობელი ქვეყნების კინემატოგრაფიაში. ამიტომ მიზნად დავისახეთ ხელი შევეწყოთ მუდმივი შემოქმედებითი, კულტურული, საქმიანი და უბრალოდ ადამიანური კავშირისა და ურთიერთობის აღდგენას თანამეგობრობის კინემატოგრაფიულ სივრცეში. ამ პროგრამაში მონაწილეობენ ჩვენი კოლეგები დსთ-ს თითქმის ყველა ქვეყნიდან: ბელორუსიდან, ყაზახეთიდან, მოლდოვადან, ტაჯიკეთიდან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან.²⁵

წყარო 23 ფესტივალი „ქვეყნები ერთ ჭერქვეშ“

ერევანში მეხუთე წელია ტარდება ფესტივალი „ქვეყნები ერთ ჭერქვეშ“, რომელიც გამოფენასა და კონფერენციას მოიცავს.

წელს გამოფენა გედის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება, სადავ 30 ქვეყნის 90-ზე მეტი ორგანიზაცია წარმოადგენს თავის პროდუქციას, ეროვნულ კულტურას, სამზარეულოსა და ტრადიციებს.

„ერევანში სხვადასხვა ქვეყნიდან ათობით კერძო მეწარმე ჩამოვიდა. აქ ერთ ჭერქვეშ უკვე მეხუთეჯერ შევეცდებით ხელი შევეწყოთ მათ ნაცნობობას, ურთიერთობას, საქმიანი და კულტურული კავშირების დამყარებას და საზოგადოებრივ ინიციატივებს. მაღლობას მოვახსენებთ ფესტივალის ყველა მონაწილეს, ასევე დიპლომატიურ სტრუქტურებს და ერევნის მერიას“, – აღნიშნა საერთაშორისო საქმიან ურთიერთობათა საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ მანუკიანმა.²⁶

წყარო 24 გაფესჩიანის ხელოვნების ცენტრის შესახებ

სამხატვრო მუზეუმი „გაფესჩიანის ხელოვნების ცენტრი“, რომელიც დააარსა სომხური წარმოშობის ამერიკელმა კოლექციონერმა ჯერარდ გაფესჩიანმა, გაიხსნა 2009 წელს ერევნის ცენტრში, ძალიან ლამაზ არქიტექტურულ კომპლექს „კასკადში“. ერევნელებსა და ქალაქის სტუმრებს ვერ წარმოუდგენიათ ქალაქი „კასკადის“ გარეშე. აქ სიცოცხლე დულს, ინიშნება შეხვედრები და პაემნები, ტარდება სხვადასხვა ღონისძიება. მუზეუმში წარმოდგენილია იშვიათი ექსპონატები, ნახატები და ქანდაკებები, მინისგან დამზადებული ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმის მიზანია სომხეთში მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო

²⁵ Кинофестиваль «Золотой абрикос», IAN – Interactive Armenian Network. რუსეთის სომხების გაზეთი «Еркრამас». ელექტრონული რესურსი: <http://www.yerkramas.org>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.yerkramas.org/article/18330/mkf-zolotoj-abrikos-armeniya-kak-perekrestok-kultur-i-civilizacijo>

²⁶ Стартовал 4-х дневной фестиваль «Страны под одной крышей». 20.09.2014, ერევნის მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდი. ელექტრონული რესურსი: <https://www.yerevan.am/ru>. ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.yerevan.am/ru/news/meknarkel-e-erknere-mek-harki-tak-khoragrov-k-arhorya-p-arhatone/>.

ნიმუშების გამოფენების მოწყობა და სომხური ხელოვნების მთელი მსოფლიოსთვის გაცნობა. მუზეუმში ეწყობა ლექციები, კონცერტები, კინემატოგრაფიის კლასიკის შედეგების ჩვენება, აგრეთვე უამრავი საგანმანათლებლო პროგრამა ბავშვებისა და უფროსებისთვის.²⁷

წყარო 25 გაფესჩიანის ხელოვნების ცენტრი²⁸



²⁷ «Центр искусств Гафесчяна». ელექტრონული რესურსი: <http://turbina.ru>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://turbina.ru/guide/Erevan-Armeniya-108343/Otzyvy/Tchto-delat-dostoprimechatelnosti/Arkhitektura-Pamyatniki/3/0/Tsentr-iskusstv-Gafestchyana-47223/Otzyv/Muzey-kotoryy-deystvitelno-pod-otkrytym-nebom-74342/>.

²⁸ ელექტრონული რესურსი: <https://commons.wikimedia.org/>. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://commons.wikimedia.org/wiki/File:View_from_the_Cafesjian_Center_for_the_Arts.jpg.

წყარო 26 ბაზარი ერევანში²⁹



წყარო 27 სავაჭრო ცენტრის გახსნა ერევანში³⁰



წყარო 28 ამონაწერი ერევანის კაფეებისა და რესტორნების სიიდან³¹

დასახელება	სამზარეულო	დასახელება	სამზარეულო
Ai Leoni	იტალიური	La Perla	ესპანური
Brazilian Pioneer Restaurant	ბრაზილიური	Liban	სომხური, არაბული, ხმელთაშუა ზღვისპირეთის
Dolmama	სომხური	Mimino	სომხური, ქართული
Karloff Czech Restaurant	კონტინენტური, ჩეხური	Mr Gyros	ბერძნული
La Boulangerie De Paris	ფრანგული	Samurai Sushi Bar	იაპონური
TMS Burger	ამერიკული	Veda Restaurant Bar	ინდური

შემაჯამებელი განხილვა

რა შესაძლებლობებს ქმნის თანამედროვე ქალაქი კულტურათმორის დიალოგისთვის?

²⁹ ელექტრონული რესურსი: <https://commons.wikimedia.org/>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: https://commons.wikimedia.org/wiki/File:Yerevan_Market_%2825211861716%29.jpg.

³⁰ ელექტრონული რესურსი: <https://commons.wikimedia.org/>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: [https://commons.wikimedia.org/wiki/File:Yerevan_Mall_opening_ceremony_\(6\).jpg](https://commons.wikimedia.org/wiki/File:Yerevan_Mall_opening_ceremony_(6).jpg).

³¹ ელექტრონული რესურსი: <http://yerevanresto.am>. – ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://yerevanresto.am/ru/leisures/10>.

ლექსიკონი

- აბრევიატურა** – შემოკლებული სიტყვათშეთანხმება, შედგენილი პირველი ასოებით; მაგალითად, ადდთ – აკადემიური დიდი დრამატული თეატრი.
- ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია** – საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. გორში (საქართველო), რომელიც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის სკოლებისთვის მასწავლებლებს ამზადებდა.
- ბათუმი** – საქართველოს ქალაქი ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი.
- გაერო** (შემოკლ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) – მსოფლიოს ქვეყნების გაერთიანება, იღვწის მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის.
- გასტარბაიტერი** – (გერმ. *გასტარბაიტერ* – სიტყვასიტყვით: „სტუმარი-მუშაკი“) – ჟარგონი, რომელიც დროებით დაქირავებულ უცხოელს აღნიშნავს.
- გენდერი** – საზოგადოების მიერ შექმნილი ქალის ან მამაკაცის ქცევის სტანდარტი.
- გენდერული როლი** – ქცევის ნორმების ნაკრები ამა თუ იმ სქესის ადამიანებისთვის.
- გლობალიზაცია** – მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ინტეგრაცია და უნიფიკაცია. გულისხმობს მსოფლიო სამეურნეო სტრუქტურის ცვლილებას, მსოფლიო ბაზარში ჩართვას, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის მჭიდროდ შერწყმას ტრანსნაციონალიზმისა და რეგიონალიზმის საფუძველზე.
- განჯა** – აზერბაიჯანის სიდიდით მეორე ქალაქი.
- დემოგრაფია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის დინამიკას.
- დემოგრაფიული მახასიათებლები** – სქესის, ასაკის, შემოსავლისა და სოციალური სტატუსის მახასიათებლები.
- დეპორტაცია** – ძალადობრივი გადასახლება ან ქვეყნიდან გასახლება.
- დუხობორები** – რუსი სტაროვერების ერთ-ერთი სექტა. აქტიურად სახლდებოდნენ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე.
- ეთნიკური ჯგუფები** – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ეთნიკურ ჯგუფთა სხვადასხვა სახის ერთობებს, უფრო დაბალი დონისას, ვიდრე ეთნოსია.
- ეთნოსი** – ადამიანების ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, გაერთიანებული წარმოშობის, ენის, კულტურის, საცხოვრებელი ადგილის, თვითშეგნების და სხვ. მიხედვით.
- ელიზავეტპოლი** – თანამედროვე ქალაქ განჯის (აზერბაიჯანი) სახელწოდება რუსეთის იმპერიის პერიოდში, 1804-1916 წლებში. ელიზავეტპოლის გუბერნიის ცენტრი.
- ემანსიპაცია** – გათავისუფლება დამოკიდებულებისგან, დაქვემდებარებისგან, ჩაგვრისა და ცრურწმენებისგან.
- ქალთა ემანსიპაცია** – ქალებისთვის თანასწორუფლებიანობის მინიჭება საზოგადოებრივ, შრომით და საოჯახო ცხოვრებაში.
- ეროვნული უმცირესობა** – ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ცხოვრობენ რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, არიან მისი მოქალაქეები, მაგრამ არ განეკუთვნებიან მის მკვიდრ მოსახლეობას და თავს ეროვნულ თემად აღიქვამენ.
- ზაგსი** – სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ქორწინებებისა და განქორწინებების რეგისტრაციას ახდენს.
- ზოროასტრიზმი** – აქემენიანთა (VI-IV ს. ჩვ. წ. აღ.-მდე) და სასანიანთა (III-VIII ს. ჩვ. წ. აღ.) ირანის ოფიციალური რელიგია.
- თათარი** – თურქულენოვანი ხალხი, მცხოვრები რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრალურ რეგიონში, ვოლგისპირეთში, ურალში, ციმბირში, ყაზახეთში, ცენტრალურ აზიასა

- და შორეულ აღმოსავლეთში. რევოლუციამდელ რუსეთში თათრებს ასევე უწოდებდნენ თურქულენოვან მოსახლეობას კავკასიის რეგიონში.
- თალმუდი** (ივრითი – „სწავლა“, „შესწავლა“) – იუდაიზმის სამართლისა და რელიგიურ-ეთიკური დებულებების მრავალტომიანი კრებული.
- თურქულენოვანი ხალხები** – თურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები: თურქები, თათრები, აზერბაიჯანელები, უზბეკები, ბაშკირები, ყირგიზები, იაკუტები, ჩუვაშები, ყარაყალპაქები და სხვ.
- იდენტიფიკაცია** – (ლათ. *Identific* – „გაიგივება“) – უცნობი ობიექტის ნაცნობთან გაიგივება საერთო ნიშნების საფუძველზე.
- იდენტობა** – ადამიანის მიერ კუთვნილების შეგრძნება გარკვეული სოციალური, ნაციონალური, პროფესიული, ენობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, რასობრივი და სხვა ჯგუფებისადმი.
- იდეოლოგია** – შეხედულებებისა და იდეების სისტემა, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა საზოგადოების, სოციალური კლასისა და ჯგუფის ინტერესს.
- იკომოსი** (შემოკლ. ინგლ. *International Council on Monuments and Sites*) – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია კულტურულ-ისტორიული ადგილების შენარჩუნებითა და დაცვით მთელ მსოფლიოში; ასევე ახდენს გაეროს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად შეთავაზებული ობიექტების შეფასებას.
- ინტერნაციონალიზმი** – იდეოლოგია, რომელიც ერებსა და ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის პროპაგანდას ეწევა.
- ისტორიოგრაფია** – სპეციალური ისტორიული დისციპლინა, რომელიც ისტორიული მეცნიერების ისტორიას შეისწავლის.
- იუნესკო** – გაეროს სტრუქტურული ორგანიზაცია განათლების, კულტურისა და მეცნიერების საკითხებში.
- იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობა** – ბუნებრივი ან ადამიანის ხელით შექმნილი ობიექტები, რომლებსაც აქვს განსაკუთრებული კულტურული, ისტორიული ან ეკოლოგიური მნიშვნელობა და იუნესკოს მიერ ოფიციალურად არის აღიარებული.
- კოლონისტები** – უცხო ტერიტორიაზე გადასახლებულები ამ ტერიტორიის სამეურნეო ათვისების მიზნით.
- კოლონია** – 1) ტერიტორია, სადაც სხვა ქვეყნიდან, ოლქიდან გადასახლებულები ცხოვრობენ; 2) დამოკიდებული ტერიტორია, რომელიც იმყოფება უცხოური ქვეყნის (მეტროპოლიის) ძალაუფლების ქვეშ და რომელსაც არ აქვს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა.
- კოლმეურნეობა** (შემოკლ. „კოლექტიური მეურნეობა“) – ძალადობით დამკვიდრებული კოლექტიური მეურნეობის ფორმა სოფლად, კოოპერაციის საბჭოური ფორმა. კოლმეურნეობების შექმნისას გლეხები კარგავდნენ პირად საკუთრებას წარმოების საშუალებებზე – მიწაზე, შრომის იარაღზე, წარმოებულ პროდუქციაზე, რომელიც ფორმალურად საერთო საკუთრებაში, კოლმეურნეობის გამგებლობაში გადადიოდა, რეალურად კი მას სრულად სახელწიფო განკარგავდა.
- კომუნისტური იდეოლოგია** – შეხედულებებისა და იდეების სისტემა, რომელიც ეყრდნობა საერთო კოლექტიურ საკუთრებას, საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტს პირადულსა და ჯგუფურზე, ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ფორმით ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის უარყოფას (მაგალითად, კომუნისტური იდეოლოგია საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური იდეოლოგია იყო).
- კომუნისტური სახელმწიფო** – ქვეყანა, სადაც იგულისხმება კოლექტიური საკუთრება, კოლექტიური წარმოება, საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესობა (არსებობს პრინციპით: *თითოეული – შესაძლებლობების მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით*).
- კომკავშირი** (შემოკლ. „ახალგაზრდების კომუნისტური კავშირი“, *აქედან – კომკავშირელი*) – ახალგაზრდობის პოლიტიკური ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში.

კომუნიზმი – ჰიპოთეტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, დაფუძნებული სოციალურ თანასწორობაზე, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებაზე. ასეთი ფორმაცია გულისხმობდა: მაღალგანვითარებულ სანარმოო ძალებს, სოციალურ კლასებად დაყოფის არარსებობას, სახელმწიფოს თანდათანობით კვდომას, ფულის ფუნქციის ცვლილებასა და ნელ-ნელა გაქრობას.

კონსოლიდაცია – ცალკეული პირების, ჯგუფების, ორგანიზაციების ერთიანობა, ერთსულოვნება საერთო იდეისთვის ბრძოლის გასაძლიერებლად.

კონსტიტუცია – სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც ამყარებს მოცემული ქვეყნის ძირითად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სისტემას.

კონფესია (ანუ აღმსარებლობა) – აღმსარებლობის თავისებურება ერთი რომელიმე რელიგიური მრწამსის ფარგლებში; ასევე, ამ აღმსარებლობის მიმდევართა გაერთიანება.

კორუფცია – თანამდებობის პირის მიერ სახელისუფლებო უფლებამოსილების, მინდობილი უფლებების, შესაძლებლობებისა და კავშირის გამოყენება პირადი სარგებლის მიზნით.

კულტურული სივრცე – სივრცე, რომელზეც ვრცელდება იდეები და შეხედულებები, ენა და ტრადიციები, რწმენები და ნორმები და ა. შ.

კულტურული მემკვიდრეობა – წინაპრების მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი კულტურის ნაწილი, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო და რომელიც თაობებს გადაეცემა.

კულტურათშორისი ურთიერთობა – სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს ადამიანებსა და მათ ერთობებს შორის როგორც უშუალო ურთიერთობას, ასევე, ურთიერთობის გაშუალებულ ფორმებს.

ლიპოვანები – რუსი სტაროვერების ჯგუფი, რომელიც XVII საუკუნეში რუმინეთის ტერიტორიაზე გადასახლდა. დღესდღეობით ცხოვრობენ რუმინეთში, მოლდოვას რესპუბლიკა-სა და უკრაინის სამხრეთში.

ლუთერანობა (მისი დამაარსებლის მარტინ ლუთერის სახელის მიხედვით) – ქრისტიანული პროტესტანტული მოძღვრება, რომელიც XVI საუკუნეში შეიქმნა გერმანიაში რეფორმატორული მოძრაობის შედეგად.

მედრესე – მუსლიმური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საშუალო სკოლისა და სასულიერო სემინარიის ფუნქციას ასრულებს.

მენტალიტეტი (ლათ. *ment* – „გონება“, *alis* – „სხვა“) – ინტელექტუალური, ემოციური, კულტურული, ფასეულობათა ორიენტირებისა და შეხედულებების ერთიანობა, აზრთა წყობა.

მიგრანტი – გადასახლებული; ადამიანი, რომელიც საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა.

მიგრაცია (ლათ. *Migratio* „გადასახლება“) – ადამიანების გადასახლება ერთი რეგიონიდან (ქვეყნის, მსოფლიოს) მეორეში.

მოქალაქეობრიობა – ზნეობრივი პოზიცია, რომელიც გამოიხატება ადამიანის მოვალეობის გრძნობასა და პასუხისმგებლობაში სამოქალაქო კოლექტივის წინაშე, რომელსაც თავად ეკუთვნის; საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ხელყოფისგან ბოლომდე დაიცვის მზადყოფნა.

ნაციონალისტი – იმ იდეოლოგიისა და პოლიტიკური მიმართულების მიმდევარი, რომელიც საკუთარ ერს განსაზღვრავს, როგორც უმაღლეს ფასეულობას და აღიარებს მის ფუძემდებლურ როლს სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და არსებობაში.

ონომასტიკა – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანთა საკუთარ სახელებს და მათ წარმოშობას.

პალეოგრაფია – ისტორიული მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ძველ დამწერლობებს.

პოლიკულტურული საზოგადოება – საზოგადოება, რომელიც შედგება სხვადასხვა კულტურის მატარებლებისგან.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები – ქვეყნები, შექმნილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

პროპაგანდა – გარკვეული შეხედულებებისა და დებულებების გავრცელება და შთაგონება.

- პროტესტანტი** – ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმართულების – პროტესტანტიზმის მიმდევარი.
- რენესანსი** (ფრანგ. *Renaissance*) – აღორძინების ეპოქა, მეცნიერებისა და ხელოვნების სწრაფი განვითარების პერიოდი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში XIV-XVI საუკუნეებში.
- რეპატრიაცია** – იმ პირთა იძულებითი დაბრუნება მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებლის, ან წარმოშობის ადგილას, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.
- რეპრესიები** – დამსჯელი ღონისძიებები. **პოლიტიკური რეპრესიები** – სასჯელი, დამსჯელი ღონისძიებები, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები იყენებენ არსებული წყობილების დასაცავად და შესანარჩუნებლად.
- რეფერენდუმი** – საერთო-სახალხო ხმის მიცემა, რომელიც ტარდება მნიშვნელოვანი კანონის მიღებასთან დაკავშირებით ან მასში ცვლილების შესატანად.
- სამოქალაქო საზოგადოება** – თავისუფალი მოქალაქეების თვითმმართველობისა და ნებაყოფლობით შექმნილი ასოციაციებისა თუ ორგანიზაციების სფერო, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევისა და თვითნებური რეგლემენტაციისგან.
- სამშენებლო რაზმები** – ნებაყოფლობითი რაზმები, რომლებსაც იყენებდა სხვადასხვა სამუშაოს (ძირითადად, სამშენებლო) შესასრულებლად სახელმწიფოს ინტერესებში.
- სსრკ** (შემოკლ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“) – შემოკლებული სახელწოდება საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც 1917-1991 წლებში არსებობდა.
- სტუდენტური სამშენებლო რაზმები** – სტუდენტებისგან შემდგარი დროებითი შრომითი კოლექტივები, რომლებიც იქმნებოდა სწავლისგან თავისუფალ დროს (როგორც წესი, ზაფხულის არდადეგებზე) ნებაყოფლობითი სამუშაოების შესასრულებლად საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა ობიექტზე.
- სუბკულტურა** (ლათ. *sub* – „ქვე“, *cultura* – „კულტურა“) – საზოგადოების კულტურის ნაწილი, გაბატონებული კულტურისგან განსხვავებული.
- საყოველთაო შრომითი ბეგარა** – 1918-1920 წლებში საბჭოთა ხელისუფლების მერ გატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის სავალდებულო სამუშაოზე მისაზიდად.
- სუკი** (შემოკლ. „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი“ (КГБ)) – პარტიულ-სახელმწიფო ორგანო, რომელიც შიგა და გარეშე მტრებისგან საბჭოთა მოქალაქეების დაცვის ფუნქციას ასრულებდა.
- ტიფლისი** – თბილისის სახელწოდება რევოლუციამდე.
- შრომითი მიგრაცია** – მიგრაციის სახეობა, რომელიც დაკავშირებულია დასაქმებასთან და სამუშაოს ძებნასთან.
- ჩადრი** – ქალის მსუბუქი თავსაბურავი თეთრი, ლურჯი ან შავი ფერის. იხურავენ სახლიდან გასვლის წინ. ფარავს მთელ სხეულს თავიდან ფეხებამდე. ატარებენ რელიგიური მოსაზრებით.
- ცივილიზაცია** – ისტორიული პროცესის ერთიანობა და ამ პროცესში ადამიანის მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობა (კაცობრიობის ცივილიზაცია დედამიწის ისტორიაში).
- ჰუმანიზმი** (ლათ. *humanus*, ადამიანისეული, ადამიანური, განათლებული) – შეხედულებათა სისტემა, რომელიც ძირითად ღირებულებად თვლის ადამიანის პიროვნებას, აღიარებს მის უფლებას ბედნიერებაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ყოველგვარი უნარის გამოვლენაზე. ადამიანის კეთილდღეობა სოციალური ინსტიტუტების აკარგავანობის შეფასების საზომია, ხოლო თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპი – ადამიანთა შორის ურთიერთობის ნორმები.

პროექტის „საერთო ისტორია. კულტურათა დიალოგი“ მონაწილეები



ვაგიფ აბასოვი (ავტორი) – ქ. ბაქოს №87 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი. მონაწილეობდა პროექტის სემინარებსა და ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა და ტრენინგში.



არზუ აბასოვა (მოგვანოდა მასალები) – ქ. ბაქოს დ. ჯახანგიროვის სახელობის №4 სკოლის ისტორიისა და საზოგადოებრივი ცოდნის მასწავლებელი.



ქარიმ აბიდი (ეროვნული კოორდინატორი) – ქ. ბაქოს №31 საშუალო სკოლის დირექტორი. რამდენიმე კვლევითი პროექტის მონაწილე, აზერბაიჯანის ისტორიის მასწავლებლების საზოგადოებრივი გაერთიანების თავმჯდომარე. მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად როგორც საშუალო და უმაღლეს სკოლებში, ასევე, მოზრდილების განათლების სფეროში.



გულნარა აბიდი (ავტორი) – აზერბაიჯანის ისტორიის მასწავლებლების საზოგადოებრივი გაერთიანების მმართველობის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე; სწავლების მეთოდის მასწავლებელი ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში; ისტორიის მასწავლებელი №16 სკოლასა და ტექნიკურ-ჰუმანიტარულ ლიცეუმში; სტატიების ავტორი.



ფუად აგაევი (ეროვნული რედაქტორი, ავტორი, თანაავტორი) – აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი; ამჟამად „აზერბაიჯანის ისტორიის ექსპოზიციის“ განყოფილების უმცროსი მეცნიერ-მუშაკი. მუშაობს რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის, ეთნიკური და სამხედრო ისტორიის საკითხებზე.

აიდინ ასლანოვი (ავტორი) – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ბაქოს ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა კათედრის გამგე; აზერბაიჯანის ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი; 45-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და ისტორიის სწავლების მეთოდის 10 დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი.



კარენ ბაირამიანი (ავტორი) – სომხეთის კულტურის სამინისტროს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის სააგენტოს განყოფილების გამგე; 2001-2014 წლებში ქ. ერევნის რამდენიმე სკოლის ისტორიის მასწავლებელი; სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი.



ვერა ბალანი (ავტორი) – ქ. იალოვენის (მოლდოვა) თეორიული ლიცეუმის „პეტრე სტაფანუცა“ დირექტორი, ისტორიისა და სამოქალაქო სამართლის მასწავლებელი; დაწყებითი და საგიმნაზიო განათლების მოდერნიზებული პროგრამის განხორციელების მეთოდური სახელმძღვანელოს და ისტორიაში სამუშაო რვეულების თანაავტორი; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსების ასოციაციის (ANTIM) წევრი.



ელისაბედ ბუცხრიკიძე (ავტორი) – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტი; ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა მასწავლებელი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში; საქართველოს ისტორიის მასწავლებლების ასოციაციის (GAHE) აქტიური წევრი.




მხითარ გაბრიელიანი (ეროვნული კოორდინატორი, ავტორი) – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; 9 მონოგრაფიისა და 50-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი სოციალურ-კულტურული ტარნსფორმაციის, სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების, ანთროპოლოგიის, იდენტობისა და ნაციონალიზმის პრობლემებზე.



ნატალია გოლოსოვა (ავტორი) – ლვოვის №38 სკოლის ისტორიის მასწავლებელი, პედაგოგების, ადმინისტრატორების, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის საერთოუკრაინული და საერთაშორისო სემინარების ტრენერი; საშუალო სკოლის სამოქალაქო აღზრდის დამხმარე სახელმძღვანელოების თანაავტორი.



აისელ გოჯაევა (პროექტის მენეჯერი) – EUROCLIO-ს თანამშრომელი, პასუხს აგებდა პროექტის „საერთო ისტორია. კულტურათა დიალოგი“ მართვაზე; პროფესიულად მონაწილეობს EUROCLIO-ს საერთაშორისო ტრენინგებისა და ეროვნებათშორისი პროექტების ორგანიზებაში.



ლუდმილა გურსკაია (ავტორი) – ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი ქ. გლოდენის (მოლდოვა) ლ. ტოლსტოის სახელობის თეორიულ ლიცეუმში; 10 წელზე მეტია აქტიურად თანამშრომლობს ANTIM-თან; არის ნაშრომების ავტორი ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის სწავლებაში ინტერაქტიული ტექნოლოგიის დანერგვის სფეროში; მოლდოვას რესპუბლიკის „წლის მასწავლებლის“ პირველი კონკურსის ლაურეატი.



პოლინა ვერბიცაია (ეროვნული კოორდინატორი, ავტორი) – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, „ლვოვის პოლიტექნიკის“ ეროვნული უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორი, ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა მასწავლებლების საერთოუკრაინული ასოციაციის „ნოვა დობა“ აღმასრულებელი დირექტორი, EUROCLIO-ს ელჩი, 100-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.



ვერა ვრაბიე (ავტორი) – ისტორიის, კულტურის ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) წევრი; ისტორიაში, სამოქალაქო აღზრდასა და ამ საგნების სწავლების მეთოდულ კაბინეტში პუბლიკაციების ავტორი და თანაავტორი.



ანჟელა ზიამა (ავტორი) – ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი ქ. სოროკის (მოლდოვა) „კ. სტერეს“ თეორიულ ლიცეუმში; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) წევრი; არის სტატიების ავტორი, რომლებშიც მხარს უჭერს ისტორიის სწავლების თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდებს.



სამირა ისკენდეროვა (ავტორი) – ისტორიის მასწავლებელი ქ. ბაქოს №102 სკოლაში; ქ. ბაქოს ბინაგადინის რაიონის შტატგარეშე მეთოდისტი; 2012 წელს II ადგილი დაიკავა კონკურსზე „საუკეთესო ღია გაკვეთილი“; 2013 წელს დაჯილდოვდა საპატიო სიგელით ჰეიდარ ალიევის მემკვიდრეობის შესწავლისთვის.



ლელა კაკაშვილი (ავტორი) – ისტორიის, სამოქალაქო აღზრდისა და ხელოვნების მასწავლებელი ქ. გორის №8 სკოლაში; ისტორიის მასწავლებლების ასოციაციის შიდა ქართლის რეგიონის თავმჯდომარე; აქტიურად იყენებს და პროპაგანდას უწევს სწავლების ინტერაქტიურ მეთოდებს.



ვარვარა კიპური (ავტორი) – ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი ქ. ორეხის (მოლდოვა) „ო. გიბუს“ თეორიულ ლიცეუმში; მონაწილეობს ადგილობრივი ისტორიის, კულტურის ფასეულობითი საფუძვლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ისტორიის შემსწავლელ პროექტებში.



ოლგა კოვალევსკაია (ავტორი) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის უკრაინის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი; 170-ზე მეტი სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო-მეთოდური და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი; ძირითადი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება უკრაინის ისტორიას, ისტორიოგრაფიასა და სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებს; აქვს პედაგოგიური მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება.



ალექსანდრა კობოროგი (ნაციონალური რედაქტორი, ავტორი, თანაავტორი) – ისტორიისა და საზოგადოებრივი დისციპლინების უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, მეთოდისტი, ტრენერი; ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა საერთოუკრაინული ასოციაცია „ნოვა დობა“ წევრი. სასწავლო-მეთოდური მასალის თანაავტორი ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის სფეროში.



ირინა კოსტიუკი (რედაქტორი, გამომწვევი რედაქტორი) – დიპლომის შემდეგში პედაგოგიური განათლების ლვოვის საოლქო ინსტიტუტის თანამშრომელი, მასწავლებელი; რამდენიმე სახელმძღვანელოს თანაავტორი და რედაქტორი; ისტორიაში ეროვნული სტანდარტისა და სასწავლო პროგრამების თანაავტორი; მრავალი სტატიის ავტორი ისტორიის სწავლების მეთოდიკაში; საერთაშორისო პროექტების ტრენერი და კოორდინატორი.



იულია კუშნერიოვა (მთავარი რედაქტორი) – ისტორიის მასწავლებელი ქ. მოსკოვის №1567 გიმნაზიაში; რეგიონთაშორისი საზოგადოებრივი ასოციაცია „ისტორიის მასწავლებლების გაერთიანების“ მმართველობის თავმჯდომარე; სასწავლო დამხმარე მასალების, სასკოლო ციფრული საგანმანათლებლო რესურსისა და პუბლიკაციების ავტორი ისტორიის სწავლების პრობლემებზე; მთელი რიგი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების ექსპერტი, ავტორი და ტრენერი.



ძინტრა ლეპინია (რედაქტორი) – ისტორიისა და პოლიტოლოგიის მასწავლებელი, ისტორიის მასწავლებლების ლატვიის ასოციაციის წევრი; ავტორი ისტორიის სწავლების საკითხზე პუბლიკაციისა და რამდენიმე სახელმძღვანელოსი მასწავლებლისთვის; პროექტების კოორდინატორი ისტორიის სწავლებაში თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვაში; ადგილობრივი კოორდინატორი; EUROCLIO-ს პროექტების ექსპერტი და რედაქტორი.



ბესიკ ლორთქიფანიძე (ეროვნული რედაქტორი, ავტორი) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) თანადამაარსებელი; 50-ზე მეტი პუბლიკაციის, მათ შორის – ისტორიაში სამეცნიერო ნაშრომების, ეროვნული სასწავლო პროგრამის, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური დამხმარე საელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი.



თემურ ლუკინი (ეროვნული კოორდინატორი) – მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკური და ადმინისტრაციული დისციპლინების ფაკულტეტის სტუდენტი; საერთაშორისო სკოლებისა და კონფერენციების მონაწილე; ძირითადი სამეცნიერო ინტერესები: საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია.



ლუდმილა მალესი (ავტორი) – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელი. 100-მდე პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის, მეთოდურის გენდერის, პოლიკულტურისა და ოჯახის პრობლემატიკაზე, დემოგრაფიასა და იდენტობაზე; მიჰყავს კურსი „სწავლება უმაღლეს სასწავლებელში“, სტუდენტებს აცნობს სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს.



მიქაელ მალხასიანი (ავტორი) – ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სომხეთის ისტორიის კათედრის ასპირანტი; ესუ-ს სამეცნიერო სტუდენტური საზოგადოების თავმჯდომარე. ასწავლის გიმნაზია „კანტში“; 5 მონოგრაფიისა და 40-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.



ნიკოლ მარგარიანი (ეროვნული რედაქტორი, ავტორი) – ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; 2 მონოგრაფიისა და 50-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი ონომასტიკის პრობლემებზე; მუშაობს კულტურის თეორიისა და გამოყენებითი ასპექტების პრობლემებზე, კულტუროლოგიაში; ესუ-ში მიჰყავს საერთო და სპეციალური კურსები; მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში.



ნატალია მარკუსი (ავტორი) – ისტორიის მასწავლებელი ქ. კოზოვას (უკრაინა) №1 სკოლაში; ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა საერთოუკრაინული ასოციაციის „ნოვა დობას“ წევრი; მონაწილეობდა სასწავლო მასალების დამუშავების პროექტებში; სხვადასხვა სატრენინგო პროგრამისა და სემინარის მონაწილე.



ლუბა მელიკი (ავტორი) – ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი; სტატიების ავტორი და თანაავტორი ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის სწავლების მეთოდულში; I დიდაქტიკური ხარისხის მფლობელი.



ელენე მეძმარიაშვილი (რედაქტორი) – თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; მრავალი პუბლიკაციის, მათ შორის, წიგნების, ისტორიის სახელმძღვანელოების, სტატიების ისტორიის დიდაქტიკის, ქალთა საკითხებისა და იმიგრაციის პრობლემებზე ავტორი; საერთაშორისო კონფერენციებისა და პროექტების მონაწილე; არაერთი მონოგრაფიის, სამეცნიერო კრებულისა და ჟურნალის რედაქტორი.



მადონა მიქელაძე (ავტორი) – პედაგოგიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების ფაკულტეტის დეკანი; ისტორიის მასწავლებლების საქართველოს ასოციაციის (GAHE) აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი; საერთაშორისო სემინარებისა და კონფერენციების მონაწილე, ტრენერი; სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოს თანაავტორი.



ოქსანა მიხეევა (ავტორი, მთარგმნელი) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საშუალო და უმაღლესი სკოლის მასწავლებელი, 100-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური პუბლიკაციის ავტორი ისტორიის, ქალაქის სოციოლოგიის, დევანტური ქცევის, სწავლების აქტიური მეთოდების სფეროში.



სერჟიუ მესტიაძე (ეროვნული რედაქტორი) – „იონ კრიანგეს“ სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) პრეზიდენტი; 6 წიგნისა და 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი ისტორიის, არქეოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობისა და სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზში.



ნუგზარ მოლაშვილი (ავტორი) – ისტორიის მასწავლებელი თბილისის №42 სკოლაში; მუშაობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად; თბილისის ისტორიის მასწავლებლების კავშირის თავმჯდომარე; მთელი რიგი სამეცნიერო, მეთოდური და პოპულარული ნაშრომების ავტორი.



ანჟელა მუშენკო (ავტორი) – ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი ქ. სოროკის (მოლდოვა) „იონ კრიანგეს“ ლიცეუმში; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) წევრი; ძირითადი სამეცნიერო ინტერესები: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები მოლდოვაში.



როდიკა ნასტასი (ავტორი) – ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი მ. კოციუბას სახელობის ლიცეუმში; ი. კრიანგეს სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოქტორანტი; მოლდოვას ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის (ANTIM) წევრი; სამეცნიერო სტატიების ავტორი, საერთაშორისო პროექტების, სემინარებისა და ტრენინგების მონაწილე.



ეკატერინე ოდაყიუ (ავტორი) – ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდის მასწავლებელი; სოფელ ბოროგანის (მოლდოვა) ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დამაარსებელი და დირექტორი; ორგანიზაციასთან VIVERE (შვეიცარია) თანამშრომლობით პროექტების კოორდინატორი კულტურისა და აღზრდის სფეროში.



აიკაზ ოჰანესიანი (ეროვნული კოორდინატორი, ავტორი) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორი; მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტის მატენადარანის დირექტორის მრჩეველი; 5 მონოგრაფიისა და 70-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი.



ლილია ოჰანესიანი (ავტორი) – ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის ასპირანტი; 2007-2013 წლებში ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი.



გრანტ ოჰანიანი (ავტორი) – მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტის მატენადარანის ასპირანტი.



ოლგა პედან-სლესუხინა (ეროვნული კოორდინატორი, ავტორი და თანაავტორი) – მასწავლებელ-მეთოდისტი, ლვოვის №65 სკოლის მასწავლებელი; ისტორიისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა საერთოუკრაინული ასოციაციის „ნოვა დობა“ წევრი; სასწავლო-მეთოდური დამხმარე მასალების ავტორი და თანაავტორი; ეროვნული და საერთაშორისო სემინარებისა და სატრენინგო პროგრამების ტრენერი და მონაწილე.



ნარმინ რაჯაბოვა (ავტორი) – მასწავლებელი; სტატიებისა და 3 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; ისტორიული და სამოქალაქო განათლების თემაზე პროექტის, სემინარების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების მონაწილე.



რაუფ რეჯაბოვი (ეროვნული კოორდინატორი) – აღმოსავლეთმცოდნე და პოლიტოლოგი; «3rd View»-ს (გონებრივი ცენტრი) მთავარი რედაქტორი; 600-მდე ნაშრომის ავტორი გლობალური, რეგიონული, ენერგოსატრანსპორტო და ინფორმაციული უსაფრთხოების, კონფლიქტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამოქალაქო აღზრდის სფეროებში, ასევე 5 წიგნის თანაავტორი სამხრეთ კავკასიის ისტორიაში.



ვერა სააკიანი (ავტორი) – მესროპ მაშტოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტის „მატენადარანის“ მეცნიერ-მუშაკი და ასპირანტი.



ლუჩია სავა (ავტორი) – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქ. კიშინიოვის „იონ კრიანგეს“ სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტი. 35-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი თანამედროვე ეროვნული და მსოფლიო ისტორიის საკითხებზე.



სტივენ სტიგერსი (პროექტის მენეჯერი) – EUROCLIO-ს პროგრამების დირექტორი; პასუხისმგებელია პროექტის „საერთო ისტორია. კულტურათა დიალოგი“ ზოგად ხელმძღვანელობაზე; პროექტ Historiana-ს ორგანიზატორი და კოორდინატორი; 15 წლის განმავლობაში მონაწილეობს საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზებაში, ძირითადად, ევროპის ქვეყნებში.



ლალი ფირცხალავა (მოგვანოდა მასალები) – საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი; ისტორიაში 60-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი; ისტორიის მასწავლებლთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) ჟურნალ „ისტორიკოსის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.



მანანა შევილაძე (რუკების შემდგენელი) – ქ. თბილისის ევროპული სკოლის მასწავლებელი; ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) ვიცე-პრეზიდენტი; ისტორიის სახელმძღვანელოებში რუკების შემდგენელი, მეთოდისტი და ტრენერი



პაველ ჩერბუშკა (ეროვნული რედაქტორი, ავტორი და მთარგმნელი) – პედაგოგიური მეცნიერების დოქტორი, მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის ლიცეუმის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე; ისტორიისა და სამოქალაქო აღზრდაში ეროვნული პროგრამის ავტორი; 40-ზე მეტი სახელმძღვანელოსა და 100-ზე მეტი სტატიის ავტორი; მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების გადამზადების ეროვნული ტრენერი.



ნოდარ შოშიაშვილი (ავტორი) – რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე; ამჟამად მუშაობს დისერტაციაზე; სამეცნიერო მუშაობის პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.



რუზანა ცატურიანი (ავტორი) – სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი; 2 მონოგრაფიისა და 10-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი თანამედროვე კავკასიურ საზოგადოებებში საკვების, ანთროპოლოგიისა და გენდერულ პრობლემებზე; მუშაობს ნაციონალიზმისა და იდენტობის საკითხებზე; მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციაში.



ტატიანა ჩიგანუ (ავტორი) – ისტორიის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე ა. ი. კუზას სახელობის თეორიულ ლიცეუმში; განათლების საკითხებზე რამდენიმე სტატიის ავტორი; განათლების სფეროში სხვადასხვა მუნიციპალური კომისიის წევრი; ამჟამად მუშაობს ინფორმაციის სტრუქტურირების მეთოდებზე ისტორიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით.



ნანა ციხისთავი (ეროვნული კოორდინატორი) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) პრეზიდენტი; საქართველოს უნივერსიტეტებში მუშაობს 1990 წლიდან; ისტორიული განათლების სფეროში საერთაშორისო პროექტების მონაწილე, ისტორიულ და სამოქალაქო განათლებაზე მრავალი საერთაშორისო კონფერენციის ტრენერი და მონაწილე.



არტაკ ხაჩატრიანი (ავტორი) – ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპი-რანტურის კურსდამთავრებული; მუშაობს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე კონფლიქტების პრობლემატიკაზე; სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი; მონაწილეობდა რესპუბლიკურ კონფერენციებში, სემინარებსა და მრგვალ მაგიდაში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე სამოქალაქო ინიციატივის ფარგლებში.



ამირან ჯამაგიძე (ნაციონალური კოორდინატორი, ავტორი, თანაავტორი) – ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში; ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) ერთ-ერთი დამაარსებელი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი; რეგიონალური და საერთაშორისო პროექტების მონაწილე, EUROCLIO-ს ტრენერი.



ოთარ ჯანელიძე (ავტორი) – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კონგრესის წევრი; ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (GAHE) აქტიური წევრი; ისტორიაში მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი.



ნაზმინ ჯაფაროვა (ავტორი, მთარგმნელი) – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; 2004-2015 წლებში იყო ნიზამი განჯელის სახელობის აზერბაიჯანული ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი. ამ მუზეუმის პრეზიდენტის ცენტრალური აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი (მთარგმნელი); 45-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და თეზისის ავტორი.

მთავარი რედაქტორი იულია კუშნეროვა

გამომშვები რედაქტორი ირინა კოსტიუკი

მხატვრული გაფორმება, დიზაინი ოლგა ბარისენკო

ქართული გამოცემის დაკაბადონება ნანა ესართია

კორექტურა ბესიკ ლორთქიფანიძე, ელენე მემმარიაშვილი, ნანა ციხისთავი

გამოცემა ვრცელდება უფასოდ

კულტურათა გზაჯვარედინი. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში. დამხმარე სახელმძღვანელო/ავტორთა ჯგუფი / EUROCLIO /. – 384 გვ., ილუსტრაციები, რუკები.

ფორმატი 60X84/8. გარნიტურა Times New Roman. პირობ. ნაბეჭ. თაბახი. 41,28.

გამოცემა ვრცელდება უფასოდ



დამხმარე სახელმძღვანელო.
384 გვ., ილუსტრაციები,
რუკები

მასწავლებლის წიგნი.
168 გვ.

<http://euroclio.eu/crossroad-of-cultures>